ნელსური ავგუსტინე

ეღსარებანი

ნეტარი ავგუსტინე

აღსარებანი

ლათინურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო

ბაჩანა ბრეგვაძემ

ნეტარი ავგუსტინე ანუ ავგუსტინე ავრელიუსი ცხოვრობდა 354-430 წლებში. ის გახლდათ ჰიპონიის ეპისკოპოსი, ცნობილი თეოლოგი და ფილოსოფოსი. მრავალი ქრისტიანული ეკლესიის მიერ არის აღიარებული წმინდანად. განსაკუთრებით დიდ პატივს მიაგებენ კათოლიკები, მათთან ეკლესიის მამად იწოდება. მისმა ნაშრომებმა დიდი გავლენა იქონია დასავლელ მოაზროვნეებზე. განსაკუთრებით ორმა ნაწარმოებმა – "აღსარებანი" და "ღვთის ქალაქი". მას ასევე დაწერილი აქვს ჰომილიები, პოლემიკური წერილები ერეტიკოსთა წინააღმდეგ და წმინდა წერილის განმარტებანი.

ის დაიბადა ჰიპონიის მახლობლად, სამხრეთ ნუმიდიის პატარა ქალაქ ტოგასტაში. მამამისი იყო წარმათი პარტიციუსი, დედა კი ქრისტიანი, სავარაუდოდ ბერბერი. ყავდა უმცროსი და-ძმა. ბავშვობიდენვე ჰქონდა შეხება როგორც ქრისტიანულ, ისე წარმართულ სამყაროსთან. თუმცა, გაქრისტიანდა გვიან. 16 წლისა კართაგენში წავიდა რიტორიკის შესასწავლად. იქ გაეცნო მანიქეველთა სექტას, სადაც 9 წელი დაჰყო. კართაგენში დიდხანს აღარ დარჩენილა. უკან დაბრუნდა ტოგასტაში სადაც გრამატიკის მასწავლებლად მუშაობდა. შემდეგ კარიერის გაგრძელება რომში გადაწყვიტა. იქიდან კი მილანში გაემგზავრა. მუშაობდა რიტორად იმპერატორის კარზე. 387 წელს ნეტარი ავგუსტინე მოინათლა. ამ პერიოდში დიდად არ იყო გავრცელებული წესი პატარაობიდანვე მონათვლისა. ქრისტიანების ერჩივნათ მათი შვილები კატეხუმენად ყოფილიყვნენ და შემდგომ ზრდასრულ ასაკში თავად გადაეწყვიტათ მონათლულიყვნენ თუ არა. გაქრისტიანების შემდეგ ავგუსტინემ უარი თქვა თავის კარიერაზე, ქონება ღარიბებს დაურიგა და უკან დაბრუნდა აფრიკის პროვინციაში. 399 წელს გახდა იპონიის ეპისკოპოსი. 430 წელს, როცა ქალაქს ვანდალები დაესხნენ თავს არ მიატოვა თავის თანამოქალაქეები და მათან ერთად დაიღუპა. რომის პაპს მისთვის ხომალდი ჰქონდა გამოგზავნილი, მაგრამ უარი თაქვა სამწყსოს მიტოვებაზე. განადგურებას მარტო მისი ბიბლიოთეკა გადაურჩა სასწაულებრივად. ესაა მისი მოკლედ ბიოგრაფია, რომელიც ჩვენთვის ძირითადად მისი "აღსარებანიდან" არის ცნობილი. ამ წიგნში ის მოგვითხრობს მთელ თავის ცხოვრებას დაბადებიდან გაქრისტიანებამდე აღსარებასთან ერთად. მაგრამ ეს წიგნი უბრალოდ მისი ცოდვების მშრალი ჩამონათვალი არ გეგონოთ. ეს არც მარტოოდენ მომაბეზრებელი გლოვა ცოდვების გამო. წმინდანი წარმოგვიდგენს მთელ თავის სულიერი განვითარების ისტორიას, თავის ძიებას, ეჭვებს, აზრებს, სიხარულსა თუ მწუხარებას. მაგრამ არა როგორც მწერალი, არამედ როგორც ნამდვილი მეცნიერი. ის გონების მკაცრი კრიტიკით განიხილავს თავის სულს, გულს და გონებას. ნაბიჯ-ნაბიჯ აფასებს თავის ცხოვრებას დებადებიდან მონათვლამდე უმცირეს, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალებამდე. თავის თავს როგორც გარეგანი ისე შინაგანი თვალით აფასებს.

წიგნი პირველი

I

1. „დიდი ხარ შენ, უფალო, და ღირსი იმისა, რომ ყველა გაქებდეს: დიდია ძალა შენი და უსასრულოა სიბრძნე შენი“[1]. და შენი ქება სურს კაცს, შენივე ქმნილებების უბადრუკ ნაწილს; კაცს, თავისი მოკვდავობით მოსილსა და თავისივე ცოდვით აღბეჭდილს, რომელიც მოწმობს, რომ შენა ხარ „მზვაობართა წინააღმდგომი“[2]. და მაინც, შენი ქება სურს კაცს, შენივე ქმნილებების უბადრუკ ნაწილს. თვითონვე აღძრავ საიმისოდ, რომ შენი ქებით დატკბეს, რადგანაც შენთვის შეგვქმენი; და არ დაცხრება ჩვენი გული, ვიდრე არ განისვენებს შენში. მომეცი ძალა, უფალო, შევიცნო და მივხვდე, რითი დავიწყო: ჯერ გიხმო, ვიდრე ქებას შეგასხამდე, თუ ჯერ შეგიცნო და შემდეგ გიხმო? მაგრამ როგორ გიხმოს იმან, ვისაც ვერ უცვნიხარ? შენმა ვერმცნობმა შენ კი არა, შეიძლება სხვას უხმოს. ან, იქნებ, შენს შესაცნობად უმჯობესია ჯერ გიხმონ? „მაგრამ როგორ უხმობენ იმას, ვინც არა სწამთ? ან როგორ ირწმუნებენ მქადაგებლის გარეშე? და ადიდებენ უფალს მაძიებელნი მისნი“[3]. მაძიებელნი ჰპოვებენ მას და მპოვნელნი ადიდებენ მას. მე მოგძებნი, უფალო, შენი მხმობელი, და გიხმობ შენი მორწმუნე, რადგანაც შენი დიდება გვექადაგა ჩვენ. შენ გიხმობს, უფალო, ჩემი რწმენა, რომელიც მომეცი მე, რომელიც შთამაგონე მე შენი განკაცებული ძის მეოხებითა და შენი მქადაგებლის[4] მსახურებით.

II

2. მაგრამ როგორ ვუხმობ ღმერთს ჩემსას, ღმერთსა და უფალს ჩემსას? ვინაიდან როდესაც ვუხმობ, ჩემშივე ვუხმობ მას, მაგრამ სადაა ჩემში ადგილი, რომ იქ შემოვიდეს უფალი ჩემი? სად შემოვა ჩემში ღმერთი; ღმერთი, „რომელმაც შექმნა ცა და მიწა?“[5] უფალო ჩემო, არის კია ჩემში რაღაც ისეთი, რომ დაგიტიოს? განა შენს მიერ შექმნილი ცა და მიწა, რომელთა წიაღშიაც შემქმენი მე, შენი დამტევნი არიან? მაგრამ უშენოდ არ იქნებოდა

[1] ფსალმ. 144, 3; 146, 5.
[2] იხ. იაკ. IV, 6; პეტრე V, 5.
[3] რომ. X, 14; ფსალმ. 21,27.
[4] ზოგიერთის კომენტატორის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ეკლესიის ერთ-ერთი უდიდეს მამათაგანი, მილანის არქიეპისკოპოსი ამბროსი მედიოლანელი (მილანელი; 340-397 წ.), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნეტარი ავგუსტინეს მოქცევაში.
[5] დაბად. I, 1.

არაფერი, რაც არსებობს[6]; მაშასადამე, ყველაფერი, რაც არსებობს, შენი დამტევია? კი მაგრამ, მეც ხომ ვარსებობ; მაშ, რაღაც გთხოვ, რომ ჩემში შემოხვიდე: მე ხომ არ ვიქნებოდი, შენ რომ არ ყოფილიყავი ჩემში? „ქვესკნელშიაც რომ ჩავიდე, შენც იქ იქნები“[7]. მე ხომ არ ვიქნებოდი, ღმერთო ჩემო, საერთოდ არ ვიქნებოდი, ჩემში რომ არ იყო, ან, უფრო სწორად, არ ვიქნებოდი, შენში რომ არ ვყოფილიყავი; შენში, „ვისგანაცაა ყოველი, ვისი მეოხებითაცაა ყოველი, ვის არსშიცაა ყოველი“[8]. ჭეშმარიტად ასეა, უფალო ჩემო, ჭეშმარიტად ასე. სად გიხმო, თუკი შენში ვარ? ან საიდან შემოხვალ ჩემში? სად წავიდე, ვინც ცასაც გავცდე და მიწასაც, რომ იქ მომეახლოს უფალი ჩემი, რომელმაც თქვა: „მე ვავსებ ცასა და მიწას“[9].

III

3. მაშ, გიტევენ თუ არა ცა და მიწა, რაკიღა შენა ხარ მათი აღმვსები? ან იქნებ ავსებ და მაინც რაღაცა რჩება შენგან, რომ ვერ გიტევენ? კი მაგრამ, სადა ღვრი მაგ შენს ნაშთს, თუკი ცასა და მიწასაც ავსებ? იქნება სულაც არ გჭირდება დამტევი, ყველაფრის დამტევს, ვინაიდან რასაც ავსებ, თვითონვე იტევ. შენით აღსავსე ჭურჭელნი როდი განიჭებენ სიმყარეს: დაე, დაიმსხვრნენ, შენ მაინც არ დაიღვრები. ხოლო როცა ჩვენში იღვრები, კი არ ემხობი, არამედ ჩვენ აღგვაზევებ; კი არ იფანტები, არამედ ჩვენი გვკრებ. და ყველაფერს, რასაც ავსებ, მთელი შენი არსებით ავსებ? იქნებ საგნები, რომლებსაც არ შეუძლიათ მთლიანად დაგიტიონ, მხოლოდ შენს ნაწილს იტევენ, და ყველა ერთად ერთსა და იმავე ნაწილს იტევს? თუ თვითეული მათგანი თავის შესაბამის ნაწილს იტევს: დიდი - დიდს, მცირე კი - მცირეს? მაშ, შენი ერთი ნაწილი უფრო დიდია, მეორე კი უფრო მცირე? თუ ყველგან მთლიანი ხარ და არცერთ საგანს არ შეუძლია მთლიანად დაგიტიოს?[10]

---

[6] შდრ. ნეტარი ავგუსტინე, „შესაქმისათვის“, 4, 12, 22: „შემოქმედისა და მძლეთა-მძლე ყოვლისმპყრობელის ძალმოსილება, - აი, მიზეზი ყოველი ქმნილების არსებობისა“.

[7] იხ. ფსალმ. 138, 8.

[8] შდრ. რომ. XI, 36.

[9] იერ. XXIII, 24.

[10] „აღსარებათა“ ფრანგი გამომცემლის, მთარგმნელისა და კომენტატორის, პუატიეს უნივერსიტეტის პროფესორის პიერ დე ლაბრიოლის შენიშვნით, „კითხვითი ფორმით გადმოცემული ამნაირი მსჯელობანი იმდენად ხშირია ნეტარი ავგუსტინეს თხზულების ფილოსოფიურ ნაწილში, რომ მკითხველისათვის ზოგჯერ მოსაბეზრებელიც კი ხდება“ (Saint Augustin, Confessions, t. I, Paris, 1925, p.4).

IV

4. ვინა ხარ, ღმერთო ჩემო? გეკითხები, ვინა ხარ-მეთქი, თუ არა უფალი ღმერთი ჩემი? „ვინ არის უფალი, გარდა უფლისა, ან ვინ არის ღმერთი, გარდა ჩვენი ღმერთისა?“[11] უზენაესო, უკეთილესო, მძლეთა-მძლეო, ყოვლად ძლიერო, ყველაზე გულმოწყალევ და ყველაზე სამართლიანო, ყველაზე იდუმალო და ყველგან მყოფო, უმშვენიერესო და უმტკიცესო, უძრავო და გონებამიუწვდომელო, თვით უცვლელო და ყოვლის მცვლელო, მარად ახალო და მარად ძველო, რომელიც განაახლებ ყველაფერს და „აბერებ მზვაობართ, თუმცა თვითონაც არ იციან ეს“[12]; მარად ქმედითო და მარადიულ სიმშვიდეში დავანებულო, რომელიც ჰკრებ ყველაფერს, თუმცა არა გჭირდება რა; მოგაქვს, ავსებ და ფარავ; ქმნი, ზრდი და სრულყოფ; ეძებ, თუმცა ყოვლის მფლობელი ხარ; გიყვარს, მაგრამ როდი მღელვარებ; ეჭვობ, მაგრამ არ შფოთავ; სასოებ, მაგრამ როდი ვალალებ; მრისხანებ, მაგრამ აუმღვრეველი ხარ; საქმეს იცვლი, მაგრამ არა ზრახვას; ყველაფერს აგროვებ, რასაც პოულობ, და არაფერს კარგავ; არ იცი, რაა ნაკლულოვანება და მოგებით ხარობ; არა ხარ ხარბი და ვახშს კი მოითხოვ; მეტს გაძლევენ, ვიდრე მართებთ, რათა მათი მოვალე იყო, მაგრამ ვისა აქვს რამე ისეთი, რომ შენი არ იყოს? ვალს იხდი, მაგრამ არავისი არა გმართებს რა; სესხს აბრუნებ, მაგრამ არაფერი გაკლდება[13]. მეტი რა შეიძლება ითქვას, უფალო ჩემო, სიცოცხლევ ჩემო, წმიდათა-წმიდა სიხარულო ჩემო? მეტი რა შეიძლება ითქვას შენზე საუბრისას? მაგრამ ვაი მათ, ვინც დუმილით გივლიან გვერდს, რადგან თვით შენზე მეტყველნიც კი მუნჯნი არიან[14].

V

5. ვინ მაღირსებს, რომ შენში დავივანო? ვინ მაღირსებს, რომ ჩემს გულში შემოხვიდე და დაათრო იგი, რათა დავივიწყო ჩემი ბოროტება და გულში ჩაგიკრა ჩემი ერთადერთი სიკეთე? რა ხარ შენ ჩემთვის? შემიწყალე და მათქმევინე, ან მე თვითონ რაღა ვარ შენთვის, რომ მიბრძანებ მიყვარდე, და მრისხანებ, თუ შენს ბრძანებას არ ვასრულებ? მრისხანებ და

[11] ფსალმ. 17, 32.

[12] იხ. იობი, IX, 5 (ნეტარი ავგუსტინე იზიარებს „ვულგატის“ მცდარ ინტერპრეტაციას).

[13] ეს მხატვრული სახეები ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებიდან იღებენ დასაბამს (დაწვრილებით იხ. Исповедь Блаженного Августина, епископа Иппонского, Примечания, - Богословские труды, сб. 19, М., 1978, стр. 228. прим. 13).

[14] შდრ. ნეტარი ავგუსტინე, „იოანეს სახარებისათვის“, 13,5: „ღმერთზე შეიძლება ყველაფერი ითქვას, მაგრამ ვერაფერს ვიტყვით ისეთს, მისი ღირსი რომ იყოს“.

საშინელ უბედურებას მიქადი! განა საშინელი უბედურება არ არის, არ მიყვარდე შენ? ვაიმე, ბედკრულს! მითხარი, შენი გულმოწყალებით, რა ხარ შენ ჩემთვის. უთხარი ჩემს სულს: „მე ვარ ხსნა შენი“[15]. ამის გაგონებისთანავე მოგაშურებ და მოგეახლები. ნუ მარიდებ პირს: მოვკვდები თუ არ მოვკვდები, მაინც მეჩვენე[16].

6. ვიწროა ჩემი სულის სახლი, ვერ დაეტევი: მაშ, განავრცე. ინგრევა: შეაკეთე. ვიცი და ვაღიარებ, რამდენი რამაა შიგ, რასაც შეუძლია შეურაცხყოს შენი მზერა, მაგრამ ვინ დაგვის და დაასუფთავებს? ან ვის შევღაღადო, თუ არა შენ: „გამწმინდე ჩემი ფარული უწმინდურებისაგან, უფალო, და დაიფარე მაცთურთაგან მონა შენი“[17]. მწამს და მიტომაც ვამბობ[18]: „უფალო, შენ იცი“. განა შენს წინაშე არ ვადანაშაულებდი საკუთარ თავს „ჩემი ცოდვების გამო“, ღმერთო ჩემო. „და განა შენ არ მიუტევე უკეთურება ჩემს გულს?“[19] არა, სამსჯავროდ როდი გიხმობ შენ, ვინც იწოდები ჭეშმარიტებად, რადგანაც „თუ დახედავ უსამართლობას, უფალო, უფალო, ვინღა გაუძლებს გამოცდას?“[20].

VI

7. და მაინც, ნება მიბოძე, უფალო, მე „მტვერსა და ფერფლს“[21], შენი გულმოწყალების წინაშე ვილაპარაკო; ნება მიბოძე შენს გულმოწყალებას მივმართო და არა კაცს, რომელიც მასხრად ამიგდებს; ვინ იცის, იქნებ შენც დამცინო, მაგრამ ჩემდამი მოქცეული მაინც შემინყალებ. რისი თქმა მსურს, უფალო ღმერთო ჩემო? - მხოლოდ იმისი, რომ არ ვიცი, საიდან მოველ ამ ქვეყნად[22], ანუ ამ მკვდარ სიცოცხლეში თუ ცოცხალ სიკვდილში[23]. არა,

---

[15] ფსალმ. 34,3.

[16] შდრ. გამოსვლა, 33, 20, სადაც უფალი ღმერთი ეუბნება მოსეს: „ვერ შეძლებ ჩემი პირის ხილვას, რადგან ისე ვერ მიხილავს ადამიანი, რომ ცოცხალი დარჩეს“.

[17] ფსალმ. 18, 13-14.

[18] შდრ. ფსალმ. 115, 1.

[19] ფსალმ. 31, 5.

[20] შდრ. ფსალმ. 129, 3.

[21] დაბად. 18, 27.

[22] შდრ. ბლეზ პასკალი: „მე არ ვიცი, ვინ წარმომგზავნა ამ ქვეყნად, არ ვიცი, რაა სამყარო, არ ვიცი, ვინა ვარ მე. ო, საშინელი და სრული უმეცრება ჩემი. მე არ ვიცი, რა არის ჩემი სხეული, ჩემი გრძნობა, ჩემი სული და ჩემი არსების ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს იმას, რასაც მე ვამბობ...“ „როდესაც ვხედავ კაცთა სიბრმავეს და სისაწყლეს, როდესაც ვუმზერ მუნჯ სამყაროს და ნათლისაგან განძარცულ, თავისი თავის ამარა შთენილ და სამყაროს ამ უბადრუკ კუთხეში ჩაკარგულ მოყვასს, რომელმაც არ იცის, ვინ მოიყვანა აქ, რისთვის მოვიდა, ან რა ელის სიკვდილის შემდეგ, - თავზარდაცემული ვძრწი, როგორც კაცი, რომელიც მძინარე ასწიეს და უკაცურსა და უდაბურ კუნძულზე გადაიყვანეს“ (იხ. ბლეზ პასკალი, აზრები, ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბ. 1981, გვ. 235, 306).

[23] პლატონს თავის „გორგიაში“ (492e) მოაქვს ციტატა ევრიპიდეს დაკარგული ტრაგედიიდან „პოლიიდე“ (ფრაგმ. 638): „ვინ იცის, იქნებ სიკვდილია სიცოცხლე ჩვენი, ხოლო სიცოცხლე არის სიკვდილი?“ ამ სიტყვებს დიალოგში წარმოთქვამს სოკრატე და იქვე (493a) დასძენს: „იქნებ ჩვენ მართლაც მკვდრები ვართ? ღმერთმანი, ერთი ბრძენკაცისაგან გამიგონია, რომ ჩვენ ამჟამად მკვდრები ვართ და სხეულია ჩვენი საფლავი“.

არ ვიცი. მხოლოდ შენმა გულმოწყალებამ მცა ნუგეში, როგორც გავიგე ჩემი ხორციელი მშობლებისაგან, რომელთა მეშვეობითაც შემქმენი დროში; პირადად მე კი არ მახსოვს. ჩემი პირველი ნუგეში იყო რძე, რომლითაც დედაჩემი, ან ძიძა თუ გადია კი არ ივსებდნენ ძუძუებს, არამედ მათი მეშვეობით შენ სთავაზობდი საზრდოს ჩემს სიყრმეს, თანახმად შენი განწესებისა, ცით ნაწყალობევ სიმდიდრეს რომ უნაწილებს თვით შენს უბადრუკ ქმნილებებს. შენ ჩამაგონე, არ მომეთხოვა იმაზე მეტი, ვიდრე შენ აძლევდი მათ. რადგანაც შენს მიერვე ჩანერგილი სიყვარულის წყალობით მზად იყვნენ უშურველად მოეძღვნათ ჩემთვის, რაც შენგან მიეღოთ. მათი სიკეთე იყო ის, რომ ჩემთვის მოეძღვნათ სიკეთე, რომელსაც შენგან იღებდნენ, ღმერთო, რადგანაც მთელი სიკეთე, მხოლოდ შენგან იღებს დასაბამს, და შენვე ხარ, ღმერთო ჩემო, ჩემი ერთადერთი მხსნელიც. ყოველივე ეს შემდეგ გავიგე, თუმცა შენ მაშინაც მიხმობდი ყველა იმ ნიჭის წყალობით, რასაც გარედან მანიჭებდი და შინაგანაც მავსებდი. თუმცა ჩვილს სხვა რა შემეძლო, გარდა იმისა, რომ ძუძუ მეწოვა, ნეტარებით გატრუნულს, ანდა მეტირა, ტკივილით გაწამებულს? ეს იყო და ეს.

8. მერე სიცილიც დავიწყე, ჯერ ძილში, შემდეგ კი სიფხიზლეშიც. ასე მეუბნებოდნენ და მე მჯერა მათი, რადგან თვითონაც მინახავს, რომ ასევე იქცევიან სხვა პატარებიც: ჩემდა თავად კი არაფერი არ მახსოვს. და აი, თანდათანობით გავიგე, სად ვიყავი, მინდოდა ჩემი სურვილები გამეგებინებინა იმათთვის, ვისაც მათი შესრულება შეეძლო, მაგრამ ვერ ვახერხებდი, რადგანაც ჩემი სურვილები ჩემშივე იყვნენ, ხოლო ისინი, ვისაც მათი შესრულება შეეძლო, - გარეთ, და ვერანაირი გრძნობით ვერ შემოაღწევდნენ ჩემში. მე ვფართხალებდი და ვიჭაჭებოდი, ვცდილობდი, როგორც შემეძლო და რამდენადაც შემეძლო, სხვადასხვა ნიშნით გამომეხატა ჩემი საწადელი, მაგრამ ვერცერთი ნიშანი ზუსტად ვერ გამოხატავდა ჩემს სურვილს. და რაკი ყურს არ მიგდებდნენ, არ ვიცი, იმიტომ, რომ ვერ მიგებდნენ, თუ არ უნდოდათ რაიმე ევნოთ ჩემთვის, - ვბრაზდებოდი, რომ დიდები არ მემორჩილებოდნენ, არც მონებივით მემსახურებოდნენ თავისუფალნი, და ვცდილობდი ტირილით მეძია შური. უფრო გვიან, როცა შემეძლო თვითონვე დავკვირვებოდი პატარებს, მივხვდი, რომ ასეთია ყველა ბავშვი, და ასეთივე ვიყავი მეც[24]; ამ მხრივ მათ, ანგარიშმიუცემლად, უფრო მეტი რამ მასწავლეს, ვიდრე ჩემმა გონიერმა აღმზრდელებმა.

[24] შდრ. პოლ ვალერი: „მომენტი, როცა პატარა ბავშვი თავისი ტირილის ძალას შეიცნობს, არაფრით არ განსხვავდება იმ მომენტისაგან, როცა ის ამ ძალას ზემოქმედებისა და ძალადობის იარაღაც აქცევს“ (იხ. პოლ ვალერი, სულის კრიზისი, ფრანგულიდან თარგმნა ბ.ბრეგვაძემ, თბ. 1993, გვ.35).

9. და, აი, ჩემი სიყრმე რა ხანია მოკვდა, მე კი კვლავ ვცოცხლობ. უფალო, რომელიც მარად ცოცხალი ხარ, და არაფერი არ კვდება შენში, ვინაიდან საუკუნეთა უწინარეს და უპირველეს ყოვლისა, რაზედაც შეიძლება ითქვას „უწინ“, შენა ხარ ყოველივე იმის ღმერთი და უფალი, რაც შენ თვითონვე შეჰქმენი. შენშია მყარი მიზეზი ყოველივე არამყარისა, უცვლელი საწყისი ყოველივე ცვალებადისა, მარადიული წესრიგი უწესრიგოსი და წარმავალისა; მითხარი, ღმერთო, შენს მახვეწარს და მავედრებელს, გულმოწყალების გამო მითხარი შენს საწყალობელ მსახურს, ჩემი სიყრმე რომელიღაც სხვა - მასზე უწინ მკვდარ ასაკს მოჰყვა, თუ მას წინ უსწრებდა მხოლოდ ის დრო, რაც დედის საშოში დავყავი? ზოგი რამ ამაზედაც მსმენია, და ჩემი თვალითაც მინახავს ფეხმძიმე ქალები. კი მაგრამ, მანამდე რაღა იყო, სიხარულო ჩემო, უფალო ჩემო? სადმე მაინც თუ ვიყავი, ან ვინ ვიყავი? ვერავინ მეტყვის: ვერც დედამ შესძლო ეს და ვერც მამამ; ვერც სხვისმა გამოცდილებამ მაუწყა რამე და ვერც ჩემმა მეხსიერებამ[25]. იქნება კიდეც დამცინი, ამას რას მეკითხებაო, და მიბრძანებ გაქო იმის გამო, რაც ვიცი; გაქო და აღსარება გითხრა.

10. აღსარებას გეუბნები, „ცისა და მიწის უფალო“[26], ქებას გიძღვნი ჩემი დასაბამისა და სიყრმისათვის, რაც აღარ მახსოვს, მაგრამ შენ შეაძლებინე კაცს სხვების მიხედვით დაესკვნა, თუ რა იყო თავად, და ბევრი რამ გაეგო თავის თავზე უბირი ქალებისაგან. დიახ, მე ვიყავი და ვცხოვრობდი მაშინ, და ჩემი სიყრმის დამლევს უკვე ვეძებდი ნიშნებს, რათა სხვებისთვის გასაგები გამეხადა ჩემი გრძნობები. საიდან უნდა იღებდეს დასაბამს ამნაირი არსება, თუ არა შენგან, უფალო? განა არსებობს ოსტატი, თავისავე თავს რომ ქმნიდეს? განა შეიძლება სხვაგან დიოდეს წყარო, საიდანაც ჩუხჩუხით იღვრება ჩვენში არსებობა და სიცოცხლე? არა, შენა გვქმნი, უფალო, ვისთვისაც ერთია არსებობა და სიცოცხლე, რადგანაც შენა ხარ უზენაესი არსებობა და უზენაესი სიცოცხლე. დიახ, უზენაესი ხარ და უცვლელი; დღევანდელი დღე არასოდეს მთავრდება შენში, თუმცა არა, მაინც მთავრდება, რადგანაც ყოველი დღე შენშია; და ვერცერთი დღე ვერ გაიკვლევდა გზას, შენში რომ არ ყოფილიყო. ხოლო რაკი „შენი წლები წარუვალნი არიან“[27], სწორედ ეს წლებია დღევანდელი დღე. ვინ მოთვლის, ჩვენი წინაპრების რამდენ დღესა და წელს გაუვლია შენი დღევანდელი დღის გავლით,

[25] „სულის წარმომავლობის საკითხი ერთი იმ საკითხთაგანია, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ სტანჯავდა და აწამებდა ავგუსტინეს, რომელმაც სიცოცხლის დამლევსაც კი ვერ შესძლო მისი გადაჭრა, როცა თავის თხზულებას „Retractationes“ („უარყოფანი“) წერდა, რათა თავისი საბოლოო დასკვნები შეეტანა მასში“ (პიერ ლაბრიოლის შენიშვნა, იხ. „აღსარებათა“ ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ.8).
[26] მათე, XI, 25.
[27] ფსალმ. 101, 28.

რომლისგანაც შეუძენიათ ელფერი და ზიარებიან არსებობას, ანდა რამდენი გაივლის კვლავაც, რამდენი შეიძენს იმავე ელფერს და ეზიარება იმავე არსებობას. „შენ კი ერთი და იგივე ხარ“[28]: ყოველივე ხვალინდელსა თუ ზეგინდელს, ყოველივე გუშინდელსა თუ გუშინწინდელს „დღევანდელად“ აქცევ, როგორც აქამდე გიქცევია[29]. რა ვქნა, თუ ვერავინ გამიგებს? დაე, იხარონ და გულში თქვან: „რა არის ეს?“ დაე, იხარონ და უფრო მეტად დატკბნენ იმით, რომ ნამდვილად კი არ უპოვნიხართ, არამედ ჰგონიათ, რომ გიპოვნეს, ვიდრე იმათ, რომ ეგონოთ, თითქოს ვერ გიპოვნეს, თუმცა სინამდვილეში ნაპოვნი ჰყავხართ.

VII

11. მისმინე, ღმერთო, ვაი ცოდვილსა და შემცოდეს! ამას ამბობს კაცი, და შენ გებრალება იგი, რადგანაც შენ თვითონ შეჰქმენი, თუმცა მისი ცოდვები კი არ შეგიქმნია. ვინ გამახსენებს ჩემს სიყრმისდროინდელ ცოდვას? რადგანაც არავინაა უცოდველი შენს წინაშე, თვით ახალშობილიც კი, მხოლოდ ერთი დრე რომ უცხოვრია[30], ვინ გამახსენებს?

---

[28] იქვე.

[29] დროის ეს ორიგინალური კონცეფცია პლატონის „ტიმეოსიდან“ იღებს დასაბამს: „ტიმეოსის“ მიხედვით, კოსმოსის მოწესრიგებული და ჰარმონიული მოძრაობა, გრძნობად-კონკრეტული სამყაროს დინამიზმი სხვა არა არის რა, თუ არა იდეალური სინამდვილის უძრაობის, მისი სტატიურობის პროეცირება ქმნადობის წიაღში; ზუსტად ასევე, დროც - ამქვეყნიურ საგანთა და მოვლენათა არსებობის, მათი მოძრაობისა და ცვალებადობის ფორმა - უცვლელი და უძრავი მარადისობის ანალოგიურ პროექციად გვევლინება. „მარადისობა“ („აიონ“) პლატონისათვის ძირეულად განსხვავდება ამ სიტყვის ჩვენი თანადროული გაგებისაგან. ამ ტერმინით „ტიმეოსში“ აღინიშნება არა ბუნდოვანი, გაურკვეველი და ჯერ კიდევ არ არსებული მომავლიდან აწ უკვე აღარ არსებული წარსულისაკენ ცალსახად და უკუმოუქცევლად მედინი „დროის“ („ხრონიოს“) უსასრულო ოდენობა, რომელიც წინ უსწრებს ან მოსდევს აწმყოს, არამედ ერთგვარი ექსტრატემპორალური (დროის მიღმური, დროის გარეშე არსებული) რეალობა (ჩვენი „უჟამო ჟამი“, ალბათ, ყველაზე სრულად და ამომწურავად გამოხატავს ამ ცნების შინაარსს). დღევანდელი გაგებით „დრო“ სასრულია, მარადისობა კი უსასრულო, მაშინ როდესაც პლატონის აზრით, ამ ორ ცნებას შორის რაოდენობრივი (კვანტიტატური) კი არა, თვისობრივი (კვალიტატური) სხვაობა არსებობს.

„ტიმეოსის“ მარადისობა ინტეგრალური, ცალკეულ მომენტებად (წარსული, აწმყო, მომავალი) განუწილველი დროა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარადიული, წარუვალი აწმყო, რომელიც ხასიათდება ერთადერთი პრედიკათით - „არის“. და პირიქით, საკუთრივ დრო ცალკეულ მომენტებადაა განწილული. მას თავისი ნაწილები („მერე“) და თავისი სახეები („ეიდე“) აქვს. დორის ნაწილებია დღეები და ღამეები, თვეები და წლები, სახეები კი - „იყო“ და „იქნება“ (ე.ი. წარსული და მომავალი). „არის“, პლატონის მიხედვით, მარტოოდენ მარადისობის ატრიბუტია; რაც შეეხება დროის იმ მომენტს, რომელსაც აწმყოს ვუწოდებთ ჩვენ, ის თითქოს კიდეც არსებობს და არც არსებობს, რაკიღა მხოლოდ და მხოლოდ წარსულისა და მომავლის ერთმანეთისაგან გამმიჯნავ ზღვრად, მსწარფლწარმავალ წამად თუ დროული ნაკადის ერთვარი „ატომად“ გვევლინება. შეადარე არისტოტელე: „ამრიგად, რამდენადაც „ახლა“ (არისტოტელეს „ახლა“ იგივეა, რაც პლატონის „არის“, - ბ.ბ.) სხვა არა არის რა, თუ არა ზღვარი, ის არ არის დრო და მხოლოდ თანხვდომითაა ნიშნული დროისათვის, ვინაიდან ზღვარი ეკუთვნის მხოლოდ იმას, რის ზღვრადაც ის გვევლინება“. - ბ.ბრეგვაძე, „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი“ (იხ. წიგნში: პლატონი, „ტიმეოსი“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ.ბრეგვაძემ, თბ. 1994, გვ. 235-236).

[30] „ავგუსტინე დარწმუნებული იყო ადამიანის ბუნების თანდაყოლილ ხრწნილებაში, ბუნებისა, რომელიც იმდენად შებღალა დასაბამიერმა ცოდვამ, რომ უკეთური მიდრეკილებები აკვანშივე იჩენენ თავს ჩვილის სულში“ (პიერ დე ლაბრიოლის შენიშვნა, იხ. „აღსარებათა“ დასახ. გამოც. გვ.9).

ამ კონცეფციიდან დასაბამს იღებს საკმაოდ პირქუში დოქტრინა, რომელსაც საუკუნეების შემდეგ ააღორძინებს ჟან კალვინი (1509-1564 წ.). „ავგუსტინეს მოძღვრების თანახმად, ცოდვითდაცემამდე ადამს ჰქონდა თავისუფალი ნება და შეეძლო თავი შეეკავებინა ცოდვისაგან. მაგრამ როცა მან და ევამ იგემეს ვაშლი, მათში შევიდა ხრწნილება, რომელიც შემდეგ მთელ მათ შთამომავლობას გადაეცა. ასე რომ უკვე აღარავის შეუძლია საკუთარი ძალით თავი შეიკავოს ცოდვისაგან. მხოლოდ ღვთის მადლი აძლევს ადამიანებს იმის საშუალებას, რომ სიქველის გზას მისდიონ. რაკი ყველანი ადამის ცოდვის მემკვიდრენი ვართ, ამიტომ ყველა საუკუნო წყევლისა და შეჩვენების ღირსია. ყველას, ვინც მოუნათლავი კვდება, თვით ყრმებსაც კი, ჯოჯოხეთში დაუსრულებელი ტანჯვა-წამება ელის. ჩვენ უფლება არა გვაქვს

ახალშობილი, რომელიც მიჩვენებს იმას, რაც მე თვითონ აღარ მახსოვს. კი მაგრამ, რა იყო ჩემი ცოდვა მაშინ? ის, რომ ვტიროდი და ხარბად ვეტანებოდი ძუძუს? ახლაც რომ ასე მოვიქცე და ხარბად დავაცხრე რძეს კი არა, ჩემი ასაკისთვის შესაფერ საჭმელს, უთუოდ მასხრად ამიგდებენ და სამართლიანად დამგმობენ. მაშინაც გმობის ღირსი ვიყავი, მაგრამ რაკი ვერაფერს გავუგებდი მგმობელს, არც ჩვეულება და არც გონიერება არავის რთავდა ჩემი გმობის ნებას. რაც უფრო მეტად გვემატება წლები, თვითონვე აღმოვფხვრით ჩვენს თავში და უკუვაგდებთ ამ უკეთურ ზნე-ჩვეულებებს, არასოდეს მინახავს კაცი, სარეველას რომ თხრიდეს და ჯეჯილიც შეგნებულად ზედ მიაყოლოს, - მერედა, კარგი იყო, თუნდაც სიყრმეში, ტირილით მომეპოვებინა ის, რაც ჩემთვისვე იქნებოდა საზიანო, თუკი ნებას დამყვებოდნენ და საწადელს ამისრულებდნენ? გაშმაგებულს დამეწიოკებინა თავისუფალი, თავისი თავის ბატონ-პატრონი, მოწიფული და ჭკუადამჯდარი ხალხი, მათ შორის, ჩემი მშობლებიც, მხოლოდ იმიტომ, რომ საწადელს არ მისრულებდნენ? პაწაწინა მუშტები მებაგუნებინა და დაუნდობლად დამეკაწრა ისინი, იმის გამო, რომ უარს ამბობდნენ ჩემი ბრძანების შესრულებაზე, რომლის შესრულებაც თვით ჩემთვისვე იქნებოდა სავალალო?

ასე რომ, ჩვილი უმწეოა მხოლოდ თავისი ასოების სისუსტით, და არა სულით. ჩემი თვალით მინახავს და დავკვირვებივარ ეჭვებით შეპყრობილ ყრმას: ჯერ კიდევ არ შეეძლო ლაპარაკი, მაგრამ, მრისხანებით გაფითრებული, რანაირი მძულვარებით და გაშმაგებით მისჩერებოდა თავის მეძუძურ ძმას. თუმცა ეს ყველას კარგად მოეხსენება. ვინ იცის, რა ხერხს აღარ მიმართავენ დედები და ძიძები ამ ბიწის აღმოსაფხვრელად. როდესაც დედის ძუძუდან ესოდენ უხვად გადმოსჩქეფს რძე, განა შეიძლება უბიწოება ეწოდოს იმას, რომ ვერ იტანდე ძუძუმტეს, რომელიც მხოლოდ ამ რძითა ცოცხლობს? და მაინც, ამ ბიწს უდრტვინველად იტანენ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ უმნიშვნელოა და უბადრუკი, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ზრდასთან ერთად კნინდება, რასაც შენ თვითონ გვიდასტურებ, რადგანაც იგივე ბიწი ყოველად აუტანელი გვეჩვენება, თუ კაცი მოწიფულობაშიც ინარჩუნებს მას.

ვდრტვინავდეთ ამის გამო, რადგანაც ყველანი ბოროტები ვართ... თუმცა ღვთის თავისუფალი მადლის წყალობით, მონათლულთა შორის გამოირჩევიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც სასუფევლის ღირსნი ხდებიან, მაგრამ არა მათი სიკეთის გამო: ჩვენ ყველანი მთლიანად ჩავმყაყდით ბიწიერებაში და შეგვიძლია მართალნი ვიყოთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევს ღვთიური მადლი, რასაც იმსახურებენ მატროოდენ რჩეულნი. შეუძლებელია იმისი ახსნა, თუ რატომაა ხსნა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი დაწყევლილია. ამას ღვთის არამოტივირეული გადაწყვეტილება განაპირობებს. შეჩვენება ღვთის მართლმსაჯულების მაუწყებელია, ხსნა კი - მისი გულმოწყალება. ორსავე შემთხვევაში თავს იჩენს მისი მადლი". - Б. Рассел, История Западной философии, М., 1959, стр. 310-311.

12. უფალო ღმერთო ჩემო, შენ მიეცი ყრმას სიცოცხლე და სხეული, რომელიც აღჭურვე გრძნობებით, მტკიცედ შეჰკარი მისი ასოები, უხვად შეამკე და ყოველი ცოცხალი არსებისათვის ნიშნეული სწრაფვაც ჩაუნერგე, სწრაფვა სიცოცხლის შენარჩუნებისა და სრულქმნილებისაკენ. შენ მიბრძანებ ქებას გასხამდე ამის გამო, „აღსარებას გეუბნებოდე და ვუგალობდე შენს სახელს, უზენაესო!“[31], რადგანაც შენ ხარ ყოვლისშემძლე და კეთილი, რაკიღა შესძელი იმის ქმნა, რაც შენს გარდა ვერავინ შესძლო. ო, ერთადერთო, ვისგანაც იღებს დასაბამს ყოველი ზომა; ო, უმშვენიერესო, რომელიც ამშვენიერებ და აწესრიგებ ყველაფერს, შენივე კანონის თანახმად. ეს ასაკი, რომელსაც ვეღარ ვიხსენებ, უფალო, და მხოლოდ სხვების მონაყოლით თუ მონათხრობით ვიცნობ, ან კიდევ სხვა უმწეო ყრმებზე დაკვირვებით თუ შემიძლია დავასკვნა, რომ ოდესღაც მეც მათნაირი ვიყავი, - რაგინდ სარწმუნოც უნდა იყოს ჩემი დასკვნა, მაინც არ მინდა ეს ასაკი ჩემი ამქვეყნიური სიცოცხლის ნაწილად მივიჩნიო. წყვდიადი, რომელიც მას მოსავს ჩემი მეხსიერების სიღრმეში, ერთმანეთის ტოლფარდსა ხდის სიყრმის ასაკს და იმ დროს, დედის საშოში რომ დავყავი, და თუ „უკანონოდ ჩავისახე და ცოდვით მზრდიდა დედაჩემი თავის საშოში“[32], მაშინ სადღა ვიყავი მე, უფალო, შენი მონა, გეკითხები, სადღა ვიყავი, ან როდისღა ვიყავი უბიწო? არა, მე დუმილით ვუვლი გვერდს ამ ასაკს; რა მესაქმება მასთან, თუკი მის ვერავითარ ნაკვალევს ვეღარ ვპოულობ?

VIII

13. განა ჩემი ახლანდელი ასაკისაკენ მომავალმა სიყრმიდან სიყმაწვილეში არ გადავაბიჯე? თუ, უფრო სწორად, სიყმაწვილე თვითონვე მოვიდა ჩემთან და სიყრმე შეცვლა? სიყრმე არ გამქრალა: მაგრამ სად წავიდა? და მაინც, ის აღარსად იყო. მე უკვე აღარ ვიყავი ყრმა, რომელსაც ლაპარაკი არ შეუძლია, არამედ - ტიკტიკა ყმაწვილი. ეს კი მახსოვს, ხოლო შემდეგ იმასაც მივხვდი, თუ როგორ ამოვიდგი ენა. უფროსები როდი მასწავლიდნენ, და არც გარკვეული წესრიგით დალაგებულ სიტყვებს მთავაზობდნენ, როგორც უფრო გვიან - ანბანის შესწავლისას. მე ვმოქმედებდი ჩემივე გონების კარნახით, რომელიც შენ მიბოძე, ღმერთო.

[31] ფსალმ. 91, 2.
[32] ფსალმ. 50,7.

როდესაც ვცდილობდი ტირილითა თუ ყვირილით, ან ხელებისა თუ ფეხების ქნევით გამომეხატა ჩემი სანუკვარი სურვილი, რათა დიდები დამორჩილებოდნენ ჩემს ნებას, ვერც იმას ვახერხებდი, რომ მიმეღო ყველაფერი, რაც მსურდა, და ვერც იმას, რომ ყველასათვის გამეგებინებინა ჩემი გულისნადები. ამიტომაც მეხსიერებაში ვიბეჭდავდი ყველა სიტყვას, რომლითაც დიდები ამა თუ იმ საგანს ასახელებდნენ; ამ სიტყვის გაგონება და ხსენებული საგნისკენ ჩემი შეტრიალება ერთი იყო. ვხედავდი და ვიმახსოვრებდი: წარმოთქმული სიტყვა სწორედ ამ საგანს აღნიშნავდა. დიდებს რომ მისი დასახელება სურდათ, ამას მათი მოძრაობებიც მოწმობდა, ყველა ხალხის ეს ბუნებრივი ენა, სახის გამომეტყველებისაგან, თვალის ჩაპაჭუნებისაგან, მინიშნებებისა და სულიერი მდგომარეობების გამომხატველი ბგერებისაგან რომ ითხზვის, იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს, რისკენ მიილტვის, რას უარყოფს ან გაურბის სული. მე თანდათანობით ვხვდებოდი, რის ნიშნებად გვევლინებოდნენ სხვადასხვა წინადადებაში თავიანთ ადგილას ხმარებული სიტყვები, ესოდენ ხშირად რომ ჩამესმოდა ყურში. თანდათანობით შევაჩვიე ჩემი ბაგეები მათ წარმოთქმას, და ვცდილობდი მათი მეშვეობით გამომეთქვა ჩემი სურვილი. ასე ვისწავლე ამ ნიშნებით სარგებლობა, რათა ჩემი გულისნადები გამეგებინებინა ახლობლებისათვის, ასე რომ, სულ უფრო და უფრო ღრმად ვიჭრებოდი ადამიანთა ბობოქარი ცხოვრების მორევში, თუმცაღა კვლავ უფროსების ნება-სურვილზე ვიყავი დამოკიდებული.

IX

14. ღმერთო ჩემო, ღმერთო, რამდენი უბედურება და დამცირების გადატანა მომიხდა მაში, როცა პატარა ბიჭს მაიძულებდნენ ისე მოვქცეულიყავი, როგორც ჯერ არს: უსიტყვოდ დავმორჩილებოდი ჩემს მასწავლებლებს, რომლებიც მირჩევდნენ, ისე მეცხოვრა, რომ წარმატებისათვის მიმეღწია ამ ქვეყნად და სიტყვიერების ხელოვნებაში გამეწაფა თავი, რისი წყალობითაც იხვეჭენ სახელსა და მაცთურ სიმდიდრეს. ამიტომაც მიმაბარეს სკოლაში, რომ წერა-კითხვა მესწავლა. საუბედუროდ, არ მესმოდა, რა საჭირო იყო ეს, და თუ გულს ვერ ვუდებდი სწავლას, სასტიკად მსჯიდნენ. უფროსებს მოსწონდათ ეს ჩვეულება. ვინ მოსთვლის, ჩვენზე უწინ რამდენ თაობას გაუკვალავს ეს ნარეკლიანი გზა, რომელიც აწ ჩვენ იძულებით

უნდა გაგვევლო; რამდენ თაობას უმრავლებია ადამის ძეთა ურვა და ტანჯვა-ვაება[33]. ამ გზაზე მე შეხვედრია, უფალო, შენს მიმართ მლოცველი ხალხი. მათგან გავიგე და, შეძლებისდაგვარად, კიდევაც მივხვდი, რომ შენა ხარ ვიღაც დიადი, რომელსაც შეუძლია შეისმინოს ჩვენი ვედრება და შეგვეწიოს, ისე, რომ ჩვენი გრძნობებისათვის მიუწვდომელი დარჩეს. და მეც, თითის ტოლა ბიჭუნამ, შენს მიმართ დავიწყე ლოცვა, „ჩემო მეოხო და თავშესაფარო“[34]. შენ გიხმობდი და ამის წყალობით დავძლიე ჩემი ენაბრგვილობა. პატარა ვიყავ, მაგრამ დიდი მოწიწებით და გულმხურვალედ გევედრებოდი, რომ მასწავლებლებს არ ვეცემე. და რაკი შენ არ გესმოდა ჩემი ვედრება, - რაც, ბოლოს, სასიკეთო გამოდგა ჩემთვის, - უფროსებს, ჩემი მშობლების ჩათვლით, რომლებსაც ნამდვილად არ უნდოდათ, რომ ავი რამ შემმთხვეოდა, მიუხედავად ამისა, სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ ეს ცემა-ტყეპა, ჩემი მაშინდელი სიმწარე და სასოწარმკვეთი უბედურება.

15. თუ მოიძებნება, უფალო, იმდენად დიდსულოვანი კაცი, ენითუთქმელი სიყვარულით რომ გემსჭვალვის, თუ მოიძებნება-მეთქი, გეკითხები, კაცი, რომელიც ისე მაღლა აეზიდოს საღვთისმოსაო გზნებას, რომ არაფრად უჩნდეს ძელზე გასმა, რკინის მარწუხებით ხორცის გლეჯა და სხვა მისთანანი (რადგანაც ზოგჯერ თვით სიჩლუნგეც კი ამნაირ შედეგს აღწევს), რომელთაგანაც თავის დახსნას მთელი დედამიწის ზურგზე თავზარდაცემულნი შეგთხოვენ საწამებლად განწირულნი? ანდა თუ შესძლებდა ამნაირი კაცი, სასაცილოდაც არ ჰყოფნოდა მათი ძრწოლა, როგორც ჩემს მშობლებს - ის საშინელი წამება, რითაც სულს მხდიდნენ სკოლაში? მით უმეტეს მეშინოდა ჩემი მასწავლებლებისა და დღენიადაგ გევედრებოდი, ამ მტანჯველებისაგან მიხსენი-მეთქი. გევედრებოდი და თან ვცოდავდი, რადგანაც ნაკლებ დროს ვუთმობდი წერა-კითხვას და გაკვეთილების მომზადებას, ვიდრე ჩემგან მოითხოვდნენ. არც მეხსიერება მაკლდა და არც ნიჭი, უშურველად რომ მიწყალობე, მაგრამ თამაში მიყვარდა და ამის გამო მსჯიდნენ ისინი, ვინც ჩემსავით თამაშით იქცევდა თავს. დიდების თავშექცევას საქმე ჰქვია; ბავშვების თამაშიც საქმეა[35], მაგრამ დიდები მათ სჯიან ამის გამო, და არავის

[33] „ბავშვებს ხშირად სასჯელის შიშით აიძულებენ ისწავლოს, - შენიშნავდა სხვაგან ნეტარი ავგუსტინე („ღვთის ქალაქისათვის“, XXI, 14) - და ეს იმდენად საზარელია, რომ მათ, არცთუ იშვიათად, სასჯელი ურჩევნიათ სწავლას. ამიტომ ვის არ შეაძრწუნებდა ხელახლა დაეწყო ბავშვობა, და არჩევანის საშუალება რომ ჰქონოდა, ვინ არ ამჯობინებდა სიკვდილს?“

[34] ფსალმ. 93, 22.

[35] სენეკასაც მიაჩნდა, რომ ბავშვების თამაშსა და უფროსების საქმიანობას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს („დიალოგები“ 2, 12, 1-2)... გულისშემძვრელია ისააკ ნიუტონის სიტყვები, სადაც გენიალური ინგლისელი სწორედ პატარა ბავშვს ადარებს თავს, ოკეანის

ებრალება არც პატარები და არც დიდები. მოიწონებდა თუ არა მართლად გამრიგე მსაჯული იმ ცემა-ტყეპას, რასაც მე ვიტანდი იმის გამო, რომ ბურთს ვთამაშობდი და თამაშში გართულს საერთოდ აღარ მახსოვდა, რომ წერა-კითხვა უნდა მესწავლა, რითაც, უკვე მოწიფული, გაცილებით უფრო უხამსი თამაშით ვიქცევდი თავს. მასწავლებელი, რომელიც მცემდა, განა ჩემზე უკეთ იქცეოდა? საკმარისი იყო, ყოვლად უბადრუკ პაექრობაში დაეჯაბნა მის სწავლულ კოლეგას, რომ ისევე ახრჩობდა შური და ბოღმა, როგორც მე, როცა ბურთის თამაშში ჩემივე თანაგუნდელი თუ მოწინააღმდეგე მჯობნიდა.

X

16. და მაინც, მე ვცოდავდი, უფალო ღმერთო ჩემო, ყოვლის გამრიგევ და ყოველი ბუნებრივი საგნის შემქმნელო, გარდა ცოდვისა, რომელიც კი არ შეგიქმნია, არამედ შენს მარადიულ წესრიგს დაუმორჩილე. დიაც, ვცოდავდი, უფალო ღმერთო ჩემო, რადგანაც ყურად არ ვიღებდი მშობლებისა და მასწავლებლების რჩევას. აკი შემდეგ ჩემდა სასარგებლოდ გამოვიყენე ის ცოდნა, რომელსაც, ჩემი ახლობლების ნება-სურვილით, მიუხედავად იმისა, თუ რას ისახავდნენ მიზნად, უთუოდ უნდა დავუფლებოდი. ურჩი ვიყავი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ უფრო სასიკეთო საქმის კეთებას ვირჩევდი, არამედ იმიტომ, რომ თამაში მიყვარდა. მიყვარდა, როცა ვიმარჯვებდი შეჯიბრში და ვამაყობდი ამ გამარჯვებით. ჩემს ყურს საამოდ ელამუნებოდნენ ცრუ არაკები, რომლებიც მხოლოდ მიღვივებდნენ ფუჭ ცნობისწადილს, და მე დღითი-დღე მიმძაფრდებოდა სურვილი, საკუთარი თვალით მენახა ჩემთვის უცნობი სანახაობა - მოწიფულთა თამაშობანი. ამ სანახაობათა გამმართავნი ისეთ დიდ წარმატებას აღწევენ[36], რომ ერთია თითქმის ყველას საფიქრალი და საზრუნავი: ადრე თუ გვიან, თავიანთ ადგილას იხილონ საკუთარი ნაშიერნი, მაგრამ, ამასთანავე, სულაც არ აწუხებთ ის ამბავი, რომ მათ საყვარელ ნაშიერთ ცემითა ხდიან სულს, თუკი ამ სანახაობათა გადამკიდენი სწავლაში მოიკოჭლებენ. რადგანაც მშობლების მიზანი მხოლოდ ისაა, რომ სწავლა-განათლებამ, როცა იქნება, მათ შვილებსაც შეაძლებინოს ამნაირ სანახაობათა გამართვა. დახედე ამას, უფალო, შენი მოწყალე თვალით დახედე, და გვიხსენი

პირას რომ თამაშობს და უხარია, თუკი შემთხვევით ლამაზ კენჭს, ან ფერად ნიჟარას იპოვის, მაშინ როდესაც მის წინაშე გადაშლილია ჭეშმარიტების უკიდეგანო ოკეანე (იხ. В.Гейзенберг, Шаги за горизонт, М., 1957, стр. 291).

[36] გლადიატორთა ბრძოლებსაც და საცირკო ასპარეზობებსაც ქალაქის უმაღლესი მოხელენი აწყობდნენ.

შენი მხმობელნი; ჩვენც და ისინიც, ვინც ჯერ კიდევ არ გიხმობენ; რათა გიხმონ და, ამრიგად, იხსნა ისინიც.

XI

17. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და უკვე მესმოდა, რომ არსებობს საუკუნო სიცოცხლე, რომელიც აღგვეთქვა იმის წყალობით, რომ უფალმა ღმერთმა ჩვენმა დაიმცრო თავი და არ ითაკილა ჩვენს ქედმაღლობამდე დამდაბლებულიყო. მე მისი ჯვრის ნიშნით ვიყავი აღბეჭდილი და მისივე მარილით ნამარილევი[37] დედის საშოდან გამოსვლისთანავე, ხოლო დედაჩემის ყველაზე დიდი სასოება უფალი იყო. ხომ შენი თვალით გინახავს, ღმერთო, როგორ დამრია ერთ დღეს ხელი სრულიად უმწეო ბალღს მუცლის საშინელმა გვრემამ, რომელმაც ლამის სიკვდილის პირას მიმიყვანა; ხომ შენი თვალით გინახავს, ღმერთო ჩემო, რადგანაც იმთავითვე შენ იყავი ჩემი მფარველი, - რა გულმხურვალედ ვევედრებოდი ღვთისმოსავ დედაჩემსა და ყველა მორწმუნის საერთო დედას - ეკლესიას, სასწრაფოდ მოვენათლეთ შენი ქრისტეს, ჩემი ღმერთისა და უფლის სახელით. და ჩემი ხორციელი დედა, ვის უმანკო გულშიაც არაფერს შეეძლო ჩაექრო ჩემი საუკუნო ხსნის იმედი და შენდამი ურყევი რწმენა, მწუხარებისაგან შეშლილი სახით ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად მოვენათლე, რათა შენს წმინდა საიდუმლოს ვზიარებოდი და ამრიგად ჩამომერეცხა ჩემი ცოდვები, - რომ მოულოდნელად მოვმჯობინდი და სააქაოსაკენ ვიბრუნე პირი. ამრიგად, ჩემი განწმენდა გადაიდო, თითქოს აუცილებელი იყო, რომ, რახან ცოცხალი დავრჩი, უფრო მეტად ამოვსვრილიყავი მწვირეში; როგორც ჩანს, ასე ინება თვითონ განგებამ, რადგანაც განწმენდის შემდეგ ჩადენილ დანაშაულთა მწვირე უფრო მძიმე შეცოდებად შემერაცხებოდა. ამრიგად, მე უკვე მწამდა, სწამდა დედაჩემსაც და მთელ სახლეულსაც, გარდა მამაჩემისა, თუმცა მან ვერ დამავიწყებინა ღვთისმოსაობის დედისეული გაკვეთილები და ვერც ქრისტეს რწმენაზე ამაღებინა ხელი, რომელიც ჯერ კიდევ უცხო იყო მისთვის. დედაჩემის ძალისხმევას უნდა ვუმადლოდე, უფალო, რომ მამად უმალ შენ მეგულვი, ვიდრე ჩემი ხორციელი მამა, და ეს შენი შეწევნით მოხდა, შენ მიეც ძალა ქმრის ძლევისა, ვისაც, თავისი ზნეობრივი უპირატესობის

[37] „ეს იყო ეგრეთ წოდებული „ნათლობისწინა რიტუალის აღსრულება“, რაც შემდეგნაირად ხდებოდა: ბავშვს ახნა მოზრდილს ჯვარს გადასახავდნენ და მარილის მწიკვს მისცემდნენ. ის, ვისზედაც ამ რიტუალს აღასრულებდნენ, უკვე კატიხუმენთა, ესე იგი, იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისაც შეეძლო ნათლისღების საიდუმლოს ზიარებოდა. ბავშვს, ჩვეულებრივ, სრულწლოვანების მიღწევამდე არ ნათლავდნენ: მიაჩნდათ, რომ ნათლისღებით მანამდე ჩადენილი ყველა ცოდვა მიეტევებოდა ადამიანს და ამიტომაც არ ჩქარობდნენ მის მონათვლას. მაგრამ IV ს. ეკლესიის მამებმა დაჟინებით მოითხოვეს, რომ ბავშვებიც მოენათლათ, და V საუკუნეში უკვე ჩვეულად იქცა მათი მონათვლა“ (იხ. „აღსარებათა“ რუსული თარგმანის შენიშვნები, დასახ. გამოც. გვ. 229).

მიუხედავად, უსიტყვოდ ემორჩილებოდა, რადგანაც ამით ის გმორჩილებდა შენ, რომელმაც ქმრების მორჩილება უბრძანე ცოლებს[38].

18. მითხარი, ღმერთო ჩემო, მინდა ვიცოდე, რა მიზნით გადაიდო მაშინ ჩემი ნათლობა: ჩემდა სასიკეთოდ მოხდა თუ სავალალოდ, რომ ჩემი უკეთური მიდრეკილების სადავე მიშვებულ იქნა? ან, იქნებ, არც მიუშვიათ? რატომაა, რომ დღესაც ყურს მიბურღავს ხან ერთი და ხან მეორე მოყვასის მისამართით თქმული სიტყვები: გაუშვი, რაც უნდა, ის ქნას, ჯერ კიდევ მოუნათლავიაო. როცა საქმე სხეულის ჯანმრთელობას ეხება, მაშინ ხომ არავინ იტყვის: გაუშვი, თავში ქვა უხლია, ჯერაც არ მორჩენილაო. რამდენად უფრო უმალ და უკეთ განვიკურნებოდი, ამაზე მე თვითონ რომ მეზრუნა, ჩემიანებთან ერთად, რათა შენი მფარველობით მეხსნა სული, რადგანაც მხოლოდ შენა ხარ ჩვენი მხსნელი და მფარველი. რა თქმა უნდა, ასე აჯობებდა. მაგრამ რა საშინელმა ქარიშხალმა უნდა გადაიქროლოს იმის თავზე, ვინც უკან იტოვებს ბავშვობის ასაკს, ეს დედაჩემმა უკვე იცოდა, და ამიტომაც ამჯობინა, რომ ქარიშხალს თავის სათამაშოდ ექცია მტვერი, რომელიც შემდეგ შეიძლებოდა კაცად ქცეულიყო, - ვიდრე ხატება ღვთისა[39].

XII

19. ჩემს სიყმაწვილეში, რომელიც ნაკლებ შიშს მინერგავდა, ვიდრე სიჭაბუკე, გულს ვერ ვუდებდი სწავლას, თუკი არ მაიძულებდნენ მემეცადინა. იძულებით კი, იცოცხლე, მაიძულებდნენ, და ეს სასიკეთო გამოდგა ჩემთვის, თუმცა მე თვითონ ცუდად ვიქცეოდი: რომ არ ვეიძულებინეთ, საერთოდ ხელს ავიღებდი სწავლაზე. ვინ აკეთებს რაიმეს კარგად, თუ ეს მის ნება-სურვილს ეწინააღმდეგება, - კარგ საქმესაც რომ აკეთებდეს? ცუდად იქცეოდა ყველა, ვინც მაიძულებდა მემეცადინა, მაგრამ თუ ეს იძულება სასიკეთო გამოდგა ჩემთვის, ამას მხოლოდ შენ უნდა გიმადლოდე უფალო. მათ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ: საშუალება მოეცათ ჩემთვის, რამენაირად დამეცხრო სიხარბის უძღები სურვილი და მათხოვრული სიმდიდრისა და სამარცხვინო დიდების მოსახვეჭად გამომეყენებინა ის, რის სწავლასაც მაიძულებდნენ. შენ კი, „ვისაც ჩვენი თმებიც სათითაოდ დათვლილი გაქვს“[40], ჩემს

[38] იხ. I პეტრე, III, 1.

[39] შდრ. დაბად. II, 7: „და შექმნა უფალმა ღმერთმა კაცი მიწის მტვრისაგან“. „აღსარებათა“ ბოლო თავში (XIII, XII, 13) ნეტარი ავგუსტინე, ალეგორიული მეთოდის თანახმად, „მიწას“ აიგივებს „ხორციელ კაცთან“, წმიდა მოძღვრების წყალობით რომ იღებს „ფორმას“, რაც ნათლით მოსავს და სულიერებას ანიჭებს მას.

[40] მათე, X, 30.

სასარგებლოდ იყენებდი მათ შეცდომას, ვინც მაიძულებდა მესწავლა, ხოლო ჩემს საკუთარ ცთომილებას - სიზარმაცეს - საიმედოდ, რომ დაგესაჯე, რასაც სავსებით ვიმსახურებდი, მე - პატარა ბიჭი და დიდი ცოდვილი. ასე, იმათი მეშვეობით, ვინც ცუდად იქცეოდა, მევე მწყალობდი, ხოლო ჩემი საკუთარი ცოდვებისთვის სამართლიანად მომაგებდი სანაცვლოს. აკი შენ ბრძანე, - და ასეცაა, - რომ ყოველი აღვირახსნილი სული თავის თავშივე იმარხავდეს საკუთარ სასჯელს[41].

XIII

20. მაგრამ რა იყო იმის მიზეზი, რომ ასე ძალიან მძულდა ბერძნული, რომლითაც სიყრმიდანვე მჭყიპავდნენ? მართალი გითხრათ, დღესაც არ ვიცი. ლათინური კი მიყვარდა, მაგრამ არა ის, რასაც დაწყებით სკოლებში ასწავლიან, არამედ ეგრეთწოდებულ გრამატიკოსთა გაკვეთილები[42]. წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლა თავდაპირველად ისევე ძნელი და აუტანელი მეჩვენებოდა, როგორც ბერძნული[43]. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, თუ არა ცოდვა და ცხოვრებისეული ამაოება? რადგანაც მე ვიყავი „ხორცი და ცთომილი სული, უკან რომ არ შემოიქცევა“[44]. და მაინც, ეს პირველდაწყებითი სწავლა, რამაც, ბოლოს და ბოლოს, საშუალება მომცა სხვისი ნაწერიც მეკითხა და თვითონაც მეწერა, რაც კი მომეპრიანებოდა, გაცილებით უფრო უკეთესი და სასარგებლო იყო, ვიდრე ის გაკვეთილები, სადაც მაიძულებდნენ დამეზუთხა ვიღაც ენეასის[45] ხეტიალი და, ამრიგად, დამევიწყებინა ჩემი

[41] ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, სასჯელი არასოდეს არ არის თვითნებური და ზეგარდამო მოვლენილი: ის ბრალის იმმანენტურია და მისგანვე იღებს დასაბამს.

[42] რომის იმპერიაში (მეტროპოლიაშიც და პროვინციებშიც) სწავლა-განათლების სრული კურსი სამ საფეხურს, სამ ეტაპს მოიცავდა: ეს იყო - ა) დაწყებითი სკოლა, სადაც სწავლობდნენ წერა-კითხვას და არითმეტიკას; ბ) გრამატიკული სკოლა, სადაც ძირითადად კითხულობდნენ რომაული და ბერძნული მწერლობის კლასიკოსებს და საფუძვლიანად არჩევდნენ მათ ტექსტებს, რასაც უშუალოდ ერწყმოდა გრამატიკის, სტილისტიკის, მეტრიკის, მუსიკის, ისტორიის, რელიგიის, მითოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვა საგანთა სწავლება; და ბოლოს, გ) რიტორიკული სკოლები, სადაც ჭაბუკები მჭევრმეტყველების ხელოვნებას ეუფლებოდნენ და ორატორის პრესტიჟული კარიერისათვის ემზადებოდნენ (დაწვრილებით იხ. М. Сергеенко, Жизнь древнего Рима, М.-1, 1964, стр. 169-191).

[43] „დღემდე დაობენ იმის თაობაზე, იცოდა თუ არა ნეტარმა ავგუსტინემ ბერძნული. თვითონვე ამბობდა ხოლმე, თითქმის სრულიად არ ვიცი ეს ენაო („პეტილიანეს წინააღმდეგ“, 2, 38, 91). მაგრამ საეჭვოა, რომ ეს მართლაც ასე ყოფილიყო. გრამატიკული სკოლებიდან მოყოლებული სწავლება ორენოვანი იყო, და ავგუსტინეც, ეს ნიჭიერი ჭაბუკი, იმდენად მაინც დაეუფლა ბერძნულ ენას, რომ ცოდნის ეს მარაგი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, რათა შემდეგ ერთმანეთისათვის შეედარებინა ბიბლიის ლათინური თარგმანი და ბერძნული ორიგინალი (სამოცდაათი განმმარტებლის თარგმანი). თუმცა ბერძნული ყოველთვის უცხო იყო მისთვის, ისევე, როგორც ელინისტური კულტურა: ბერძენ კლასიკოსებს საერთოდ არ კითხულობდა, წარმართი ფილოსოფოსებისა და აღმოსავლური ეკლესიის მამათა თხზულებებიდან კი მხოლოდ იმას იცნობდა, რაც ლათინურად იყო თარგმნილი“ (იხ. „აღსარებათა“ რუსული თარგმანის შენიშვნები, დასახ. გამოც. გვ.230).

[44] ფსალმ. 77,39.

[45] ენეასი - ვერგილიუსის „ენეიდას“ მთავარი გმირი, ქალღმერთ აფროდიტესა და დარდანიელთა მითიური მეფის ანქისის ძე, ტროას მეფის პრიამოსის სიძე: ცოლად ჰყავდა მისი ასული კრეუსა, ვისგანაც შეეძინა ასკანიოსი (იოლოსი - რომაელ იულიუსთა საგვარეულოს ლეგენდარული მამამთავარი). ტროას დამხობის შემდეგ თავისი ღვთაებრივი დედის რჩევით ცოლ-შვილითა და ახლობლებითურთ მიატოვა ცეცხლმოდებული ქალაქი, რათა თავისი შორეული წინაპრების ოდინდელ საშობლოში - იტალიაში გადასახლებულიყო. გზაში დაეღუპა მამა და მეუღლე. კართაგენს ჩასული დიდი პატივით მიიღო იქაურმა დედოფალმა დიდონამ, რომელსაც თავდავიწყებით შეუყვარდა იგი. ქალი ყოველნაირად ცდილობდა სამუდამოდ კართაგენში დაეტოვებინა მიჯნური. მაგრამ თავისი აღთქმის ერთგულმა

საკუთარი ხეტიალი ცოდვისა და ცთომილების გზით; მდუღარე ცრემლებით დამეტირებინა დიდონა[46], სიყვარულის გამო რომ მოიკლა თავი, მაშინ როდესაც მე უბედურს ერთი ცრემლიც არ გადმომვარდნია ჩემი სულიერი სიკვდილის გამო, რაშიაც ბრალი მიუძღოდა ამ აბდაუბდას, შენს თავს რომ მაშორებდა, ღმერთო ჩემო, სიცოცხლევ ჩემო.

21. ვინ იქნება იმ საბრალოზე უფრო საბრალო, ვისაც თავისი თავი კი არ ებრალება, არამედ დიდონას დასტირის, ენეასადმი სიყვარულის გამო რომ მოიკლა თავი; დიახ, დიდონას დასტირის და არა თავის საკუთარ სიკვდილს, რისი მიზეზიც ის გახდა, რომ არ მიყვარდი, უფალო, ჩემი გულის ნათელო, ჩემი სულის პურო, ჩემი გონების ცხოველმყოფელო ძალავ და აზრის სიქადულო. არ მიყვარდი და გღალატობდი, ხოლო ჩემს ღალატს სიხარულის ყიჟინით ხვდებოდა ხალხი. საწუთროს სიყვარული შენი ღალატია[47], და როცა ამ ღალატს სიხარულის ყიჟინით ეგებებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ კაცს შერცხვეს, ვაითუ ისე არ ვიქცევი, როგორც იქცევიან სხვებიო. ჰოდა, მეც ჩემს უბედურებას კი არ დავტიროდი, არამედ დიდონას, რომელმაც „დანა დაიცა და მიაშურა ჩვენს უკანასკნელ ადგილსამყოფელს“[48]; მეც ასევე ვეშურებოდი შენს უკანასკნელ ქმნილებათა შორის ტრიალს, - მე, შენთვის ზურგის მქცეველი, მიწა, მიწადვე მიქცეული. ჩემი წამება მაშინ გენახათ, ამნაირი არაკების კითხვა რომ აეკრძალათ, რადგანაც ვერ შევძლებდი მეკითხა წიგნი, რომელიც გამაწამებდა. და მთელი ეს სიშლეგე უფრო მეტად ფასობს და უფრო ღრმა განსწავლულობის ნიმუშად ითვლება, ვიდრე წერა-კითხვის შესწავლა.

22. უფალო, ახლა კი, დაე, აიმაღლოს ჩემს სულში ხმა და მითხრას შენმა სიმართლემ: „არ არის ასე, არ არის ასე“. არა, დაწყებითი განათლება უმჯობესია. მე, ჩემდა თავად, მზადა ვარ უმალ დავივიწყო ენეასის ხეტიალი და სხვა მისთანანი, ვიდრე წერა და კითხვა, გრამატიკოსთა სკოლების ბჭეზე ფარდებია ჩამოშვებული, მაგრამ ეს მოწიწების აღმძვრელ საიდუმლოებათა ნიშანი როდია, არამედ ცთომილების საბურველი[49]. დაე, ნუ აყაყანდებიან

ენეასმა ყურად არ იღო ქალის ვედრება და იტალიისაკენ გასწია. სასოწარკვეთილმა დიდონამ ვერ აიტანა მიჯნურთან განშორება და თავი მოიკლა.

[46] დიდონა - იხ. ზემო შენიშვნა.

[47] შდრ. იაკ. IV, 4: „...ნუთუ არ იცით, რომ ამ ქვეყნის სიყვარული მტრობაა ღვთისა? ამიტომ ვისაც სურს ამ ქვეყნის მოყვარე იყოს, ღვთის მტრად იქცევა“.

[48] იხ. ვერგილიუსი, „ენეიდა“, VI, 457.

[49] თავის ზემოთ დასახელებულ წიგნში „ძველი რომის ცხოვრება“ (გვ. 169-170) მ.სერგეენკო ასე აგვიწერს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის უღიმღამო და უბადრუკ ყოფას: „...მას არა აქვს უფლება „მასწავლებლად“ (ლათ. professor იწოდებოდეს). ის მხოლოდ „სასკოლო ზედამხედველი“ თუ „სკოლის უფროსია“ (magister). მაღალზურგიანი სავარძელი და კათედრა მისი საქმე არ არის: ამნაირ სავარძელში მხოლოდ „გრამატიკოსი“ ან რიტორი თუ შეიძლება იჯდეს. მასზე არ ვრცელდება პრივილეგიები, რომლებსაც საშუალო თუ უმაღლესი სკოლის მასწავლებლებს ანიჭებს იმპერატორი. მისი ხელფასი უბადრუკია, და მასწავლებელმა აქედანაც უნდა გამოყოს თანხა,

ჩემს წინააღმდეგ ისინი, ვისიც უკვე აღარ მეშინია, ვიდრე აღსარებას გეუბნები, ღმერთო ჩემო, და გიმჟღავნებ, რა სურს ჩემს სულს: მე ვმშვიდდები, როცა ვგმობ ჩემი ცთომილების გზას, რათა შენი წრფელი გზა შევიყვარო. დაე, ნუ აყაყანდებიან ჩემს წინააღმდეგ კაზმულსიტყვაობის ნიმუშთა მყიდველნი და გამყიდველნი: მე რომ ავდგე და ამ კითხვით მივმართო მათ, ენეასი ოდესღაც მართლა ჩავიდა კართაგენში, როგორც პოეტი ამტკიცებს-მეთქი, ნაკლებად განათებულნი მიპასუხებენ, არ ვიცითო, უფრო ღრმად განსწავლულნი კი დაბეჯითებით იტყვიან, არა, არ ჩასულაო. მაგრამ თუ ვიკითხე, რა ასოებით იწერება სახელი „ენეასი“, წერა-კითხვის ყოველი მცოდნე სწორ პასუხს გამცემს, იმ შეთანხმების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ადამიანებმა დაადგინეს ამ ნიშნების მნიშვნელობა[50]. ხოლო თუ ამ კითხვასაც დავუსვამ მათ: რა უფრო საზიანო იქნება თქვენთვის, წერა-კითხვის დავიწყება, თუ ამ პოეტური გამონაგონისა-მეთქი, განა თავისთავად ცხადი არ არის, რასაც მიპასუხებს ყველა ჭკუადამჯდარი კაცი?

მაშასადამე, პატარაობისას ვცოდავდი, რაკიღა ცრუ არაკები მერჩია ჩემთვის ესოდენ სასარგებლო გაკვეთილებს, ან, უფრო სწორად, როცა მიყვარდა პირველნი და მძაგდა მეორენი. „ერთი და ერთი ორია; ორი და ორი - ოთხი“, - ჭირის დღესავით მძულდა ეს ინილო-ბინილო[51], სამაგიეროდ წარმოსახვა ტკბებოდა ფუჭი და მაცთური ხილვებით: ხის ცხენი, შიგ მიმალული მეომრები, ტროის ხანძარი და „თვით კრეუსას აჩრდილი“[52].

XIV

23. მაშ, რატომ მძულდა ბერძნული მწერლობა, რომელიც ამნაირი არაკებითაა სავსე? ჰომეროსი ხომ ისე ოსტატურად თხზავს მათ და, მთელი თავისი ამაოების მიუხედავად, ჯადოქრული ხიბლითა და უებრო სიტკბოებით გვაბრუებს[53], მაგრამ ჩემთვის, პატარა

რათა შენობა დაიქირავოს თავისი სკოლისათვის. რა თქმა უნდა, ამნაირ სკოლაში ამაოდ დაუწყებთ ძებნას მყუდროებას და ვერც თვალისთვის სასიამოვნოს ჰპოვებთ რასმე: მასწავლებელი ფარდულსა თუ სახელოსნოს იქირავებს, სადაც თავისთვის სკამს დაიდგამს, შეგირდებისთვის კი მერხებსა თუ ტაბურეტებს ჩამოამწკრივებს; პატარებს მაგიდებიც არა სჭირდება: მერხებზე მსხდომთ მუხლებზე ფირფიტები უდევთ და ასე წერენ. ზოგჯერ მასწავლებელს თვით ამნაირი შენობის დასაქირავებლადაც არ ჰყოფნის ფული, და მაშინ პირდაპირ ღია ცის ქვეშ, ფორუმის პორტიკთან ხსნის თავის სკოლას, ხოლო მის მოწაფეებს ყურადღება რომ არ გაეფანტოს, ფორუმისაგან ფარდით გამოჰყოფს სასწავლებელს. სწორედ ამნაირ სკოლას ვხედავთ პომპეის ერთ-ერთ ფსკერზე...“ ამ ფარდებჩამოფარებულ საკლასო „ოთახს“ ნეტარი ავგუსტინე ირონიულად ადარებს წარმართული ტაძრების საიდუმლო სენაკებს (cellae), სადაც სათაყვანებელ ღვთაებათა გამოსახულებებს დგამდნენ.

[50] იგულისხმება ასო-ნიშნები.

[51] დაწყებით სკოლებში მოწაფეებს ამ მეთოდით ასწავლიდნენ თვლას და ანგარიშს.

[52] იხ. ვერგილიუსი, „ენეიდა“, II, 772.

[53] ჰომეროსის სწავლება სავალდებულოდ ითვლებოდა როგორც დაწყებით, ისე გრამატიკულსა და რიტორიკულ სკოლებშიც. „ყველაფრის დასაწყისი, შუაგული და დასასრული არის ჰომეროსი; - წერდა დიონ ქრისოსტომი (ოქროპირი), - ყმაწვილსაც, მოწიფულსაც

ბიჭისათვის, ის მაინც მწარე იყო. მე მგონია, ასეთივე მოეჩვენებოდათ ბერძენ ბიჭუნებს ვერგილიუსიც, თუკი აიძულებდნენ ისევე ესწავლათ იგი, როგორც მე მაიძულებდნენ ჰომეროსის სწავლას. ჩემის აზრით, სიძნელე, რომელიც განუხრელად თან ახლავს უცხო ენის შესწავლას, დიახ, სწორედ სიძნელე იყო, რომ მიწამლავდა და თითქოს ნაღველს ურევდა ბერძნული არაკების სიტკბოებას. ჯერ ერთი ბერძნული სიტყვაც არ ვიცოდი, მე კი ნამდვილი სულთამხუთავებივით მადგნენ თავზე და მაიძულებდნენ სასწრაფოდ მესწავლა ეს ენა, ისე, რომ სულის მოთქმის საშუალებასაც არ მაძლევდნენ და თანაც სასტიკი სასჯელით მემუქრებოდნენ[54].

იყო დრო, როცა, სულ პაწაწინამ, არამცთუ ბერძნული, ერთი ღერი ლათინურიც არ ვიცოდი, მაგრამ ჩემით ამოვიდგი ენა, გადიების ხვევნა-კოცნასა და სიცილ-კისკისში, გადიებისა, ენას რომ მიჩლექდნენ, გულში მიკრავდნენ და მიალერსებდნენ. ასე, თითქოს თამაშ-თამაშით ვისწავლე ლაპარაკი, ყოველგვარი შიშისა და ძალდატანების გარეშე; მხოლოდ გული მაიძულებდა სიტყვით გამომეხატა სათქმელი, რაც შეუძლებელი იქნებოდა, ის სიტყვები რომ არ მესწავლა, რომელთა მეშვეობითაც ჩემიანებს ვაგებინებდი, რასაც ვფიქრობდი; მაგრამ ამას მასწავლებლებს კი არ ვუმალავდი, არამედ ჩემს ახლობლებს, რომელთ ლაპარაკიც ყოველდღე ჩამესმოდა ყურში. აქედან აშკარაა, რომ ენის შესწავლისას თავისუფალი ცნობისმოყვარეობა გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მრისხანე აუცილებლობა. მაგრამ პირველს ჰბოჭავს და გასაქანს არ აძლევს მეორე, თანახმად შენი კანონისა, უფალო, რომელიც, მასწავლებლის წკეპლით დაწყებული და მარტვილის ცთუნებით

და ბერიკაცსაც ის აძლევს იმდენს, რამდენის მიღებაც შეუძლია თვითულ მათგანს. ლირიკა, ელეგია, იამბები, დითირამბები ძალზე მნიშვნელოვანია იმისთვის, ვისაც ბევრი თავისუფალი დრო აქვს; მაგრამ ვისაც განუზრახავს, ერთსა და იმავე დროს, პრაქტიკულ მოღვაწეობას მისდიოს, გაიფართოოს სარბიელი და გაიმდიდროს ცოდნა, ყველაფრისათვის ნამდვილად არ ეყოფა დრო“ („სიტყვიერების ხელოვნებაში გაწაფვისათვის“, 8).

[54] საუკუნეების შემდეგ სასწავლებლებში გამეფებულ სისასტიკეს, დაუნდობლობას და ცემა-ტყეპას ასევე გადაჭრით გმობდა დიდი ფრანგი ჰუმანისტი და მოაზროვნე მიშელ მონტენიც (1533-1592 წ.): „ჩვენი კოლეჯები ხომ ნამდვილი სატუსაღოებია, სადაც ჩვენი მომავალი თაობა გვყავს გამომწყვდეული. საბრალო მოსწავლეებს განუკითხავად ამახინჯებენ და ასახიჩრებენ, ვინაიდან მანამდე სჯიან, სანამ სანაშაულის ჩადენას მოასწრებდნენ. კეთილ ინებეთ და მეცადინეობისას შეაღეთ ნებისმიერი კოლეჯის კარი: ვერაფერს გაიგონებთ, ყვირილის გარდა; ყვირიან მოსწავლეები, რომლებსაც წკეპლით უჭრელებენ ზურგს, ყვირიან რისთვის ცნობამიხდილი და გაცოფებული მასწავლებლები. განა შეიძლება ამ გზით სწავლის სიყვარული აღუძრა ნორჩებს? განა სეიძლება წკეპლით ხელში და რისხვით შეშლილი სახით მწყემსო და წინ წაუძღვე შემკრთალსა და შეშინებულ უმანკო სულებს? დამაქცევია ეს გზა და დამღუპველი! აქვე მინდა შეგახსენოთ კვინტილიანეს სავსებით სამართლიანი შენიშვნა: მასწავლებელს ამ უსაზღვრო და შეუზღუდავ ძალაუფლებას საშინელი შედეგი მოსდევს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რა სასტიკი განაჩენის გამოტანის უფლებაც ეძლევა მას. რამდენად უფრო მართებული იქნებოდა ფოთლებითა და ყვავილებით მოგვეფინა საკლასო ოთახების იატაკი, გასისხლიანებული წკეპლების ნაცვლად! ჩემი ნება რომ იყოს, განკარგულებას გავცემდი, სიხარულის, სახალისის, ფლორასა თუ გრაციების გამოსახულებით შეემკოთ საკლასო ოთახების კედლები, როგორც ფილოსოფოს სპევსიპეს შეუმკია თავისი სკოლა“ („ესსეები“, I, XXVI, ბავშვების აღზრდისათვის).

დამთავრებული, თანაბრად განსაზღვრავს ყველაფერს და იძულების მწარე წამალს ჩვენდა სასიკეთოდ უზავებს განცხრომის ტკბილ საწამლავს, რომელიც შენგან გვაშორებს.

XV

24. „შეისმინე, უფალო, ჩემი ვედრება“[55]: დაე, ნუ შედრკება ჩემი სული შენი სიმკაცრის წინაშე; დაე, ნუ შევდრკები მე, როცა შენს წინაშე ვაღიარებ შენსავე გულმოწყალებას, რომლის მეოხებითაც განმარიდე ყოველგვარი საცთურს. იყავ ჩემთვის ყველა ცთუნებაზე უტკბესი[56]; დაე, შეგიყვარო მთელი ჩემი არსებით; დაე, გული შევაწებო შენს მოწყალე ხელს. მიხსენი ყოველგვარი ცთუნებისაგან თვით უკანასკნელ ამოსუნთქვამდე[57]. აჰა, უფალო, „მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო“[58]: დაე, გემსახუროს ყოველივე კეთილი, რაც სიყმაწვილისას შემისწავლია, ჩემი სიტყვაც, წერა-კითხვაც და ანგარიშიც, როცა ფუჭსა და ამაო მეცნიერებას ვეუფლებოდი, შენ მიწინამძღვრე და მომიტევე ჩემი ცოდვები: პატივმოყვარული გატაცება მთელი ამ ამაოებით. მე ხომ ასე ვისწავლე ბევრი სასარგებლო სიტყვა, თუმცა შეიძლებოდა სხვანაირადაც მესწავლა, ისე, რომ ამდენი დრო არ შემეწირა ესოდენ ფუჭი საქმისათვის; აი, წრფელი გზა, რომელსაც უნდა მიჰყვებოდნენ ბავშვები.

XVI

25. ვაი შენდა, კაცთა ჩვეულებების შმაგო ნაკადო! ვის შეუძლია წინ აღგიდგეს? როდის, მაინც როდის დაშრები? როდემდის წარიტაცებ ევას ნაშიერთ, რათა უკიდეგანო და ბობოქარ ზღვას შერთო ისინი, რომლის გადასერა თვით ხომალდზე[59] მსხდომ ზღვაოსნებსაც კი უჭირთ? განა შენს ტალღებში მოტივტივე არ ვკითხულობდი მეხთამტეხი და მემრუშე იუპიტერის ამბებს? შეუძლებელია ერთიც იყო და, იმავდროულად, მეორეც, მაგრამ ასეა

[55] ფსალმ. 60, 2.

[56] შდრ. ნეტარი ავგუსტინე, „მუსიკისათვის“, 6, 16, 52: „სიყვარული ყოველივე წარმავალისადმი შეიძლება ამოძირკვო მხოლოდ იმის საშუალებით, რომ შეიგრძნო სიტკბოება წარუვალისა“.

[57] შდრ. I კორ. I, 8.

[58] ფსალმ. 5, 3.

[59] დედანშია lignum - „ძელი“ - მეტონიმური აღნიშვნა ხომალდისა; „ზღვა“ ჩვეულებრივი მეტაფორაა, ცხოვრებას, „ცხოვრებისეულ ზღვას“ რომ გულისხმობს. ხომალდი, რომლითაც შეიძლება ეს ზღვა გადაცურო, ეკლესიასა და ქრისტეს ჯვარს ნიშნავს. ამ ადგილის საუცხოო კომენტარია ნეტარი ავგუსტინეს „იოანეს განმარტებისათვის“, 2, 4: „რატომ აცვეს ჯვარს? იმიტომ, რომ შენთვის აუცილებელია ეს ძელი (lignum) მისი დამდაბლებისა. შენი ამპარტავნების გამო გეშინოდა მისი და ამიტომაც მშობლიური მხარიდან შორს გაგიტაცა დინებამ. საერო ტალღებმა გადარეცხეს მისკენ დასაბრუნებელი გზა; მხოლოდ ამ ხომალდით (lignum) თუ შესძლებ შინ დაბრუნებას. ის თვითონ იქცა გზად, მაგრამ ეს გზა ზღვაზე გადის, ფეხით კი ზღვას ვერ გადალახავ, მხოლოდ ხომალდით თუ გადასერავ მას, მხოლოდ „ძელით“ (ე.ი. „ჯვრით“). გწამდეს ჯვარცმა და შენ დაბრუნდები“ (იხ. რუსული თარგმანის შენიშვნები, დასახ. გამოც. გვ. 230).

დაწერილი, რათა მისაბაძ ნიმუშად გვქონდეს ნამდვილი მრუშობა ყალბი მეხთატეხის მაჭანკლობით[60].

ოჰ, რამდენნი არიან ეს გრძელმოსასხამიანი მასწავლებლები, მაგრამ ვინ, რომელი მათგანი ათხოვებს ყურს მათსავით წარმართული მტვრისაგან მოზელილი კაცის სიტყვებს: „ეს ჰომეროსის გამონაგონია, რომელმაც ღმერთებზე გადაიტანა ადამიანთა თვისებები, მე კი მერჩია ჩვენზე გადმოეტანა ღმერთების სიდიადე!“[61] მაგრამ ის უფრო სწორი იქნებოდა, რომ ეთქვა: დიახ, ეს ჰომეროსის გამონაგონია, მაგრამ ბიწიერ კაცთათვის რომ მიგვეწერა ღვთაებრიობა, არავითარი დანაშაული აღარ ჩაითვლებოდა დანაშაულად, და მისი ჩამდენი გადაგვარებულ კაცთა მიმბაძველი კი არ იქნებოდა, არამედ ცის ბინადარი ღმერთებისაო.

26. და მაინც, ჯოჯოხეთის ნაკადო[62], შენს ტალღებში ყრიან ადამის ძეთ, რათა ისწავლონ მთელი ეს უკეთურება, და თანაც სწავლის საფასურიც გადაიხადონ! რა დიდი საქმე კეთდება საჯაროდ, რა დიდი საქმე კეთდება ფორუმზე, ჩვენი კანონების პირისპირ[63], რომლებიც, შეგირდების მიერ გაღებული საფასურის გარდა, ქალაქსაც უწესებენ გასამრჯელო აძლიოს მასწავლებლებს[64]. შენი ტალღებით ეხეთქები კლდოვან კბოდეებს და ზათქით გვამცნობ: „აქ სწავლობენ სიტყვებს; აქ ეუფლებიან მჭევრმეტყველებას, რომელიც აუცილებელია საიმისოდ, რომ კაცთა დარწმუნება და შენი აზრების გამოხატვა შესძლო“. ჩვენ მართლაც ვერსად ვისწავლიდით ამნაირ სიტყვებს: „ოქროს წვიმა“, „წიაღი“, „შეცდენა“, „ციური ტაძარი“ და სხვა მისთანანი, ტერენციუსს[65] თავის პიესაში რომ არ გამოეყვანა ერთი აღვირახსნილი აშიკი, რომელსაც - მას შემდეგ, რაც თვალი შეავლო კედლის მოხატულობას, სადაც უკვდავთა და მოკვდავთა მამა, დანაიდას შეცდენის მიზნით, ოქროს წვიმად ეფრქვევა ქალწულის პოხიერ წიაღს, - იუპიტერი დაუსახავს მრუშობის მისაბაძ ნიმუშად. ერთი უყურეთ, რანაირი სიტყვებით აღაგზნებს თავის ბილწ ვნებებს, ციური მოძღვრის მიერ განსწავლული:

[60] კომენტატორთა აზრით, ნეტარი ავგუსტინე აქ ნართაულად უნდა გულისხმობდეს მის თანადროულ რომელიღაც ფარსს.
[61] ეს სიტყვები ციცერონს ეკუთვნის („ტუსკულუმური საუბრები“, I, 26, 65).
[62] „ჯოჯოხეთის ნაკადო“ რომ ამბობს, ნეტარი ავგუსტინე კლასიკური განათლების ჩვეულებრივი პროცესს გულისხმობს.
[63] სასწავლებლებს უპირატესად ფორუმზე ხსნიდნენ (იხ. აქვე, შენ. 49)... ფორუმზევე ჰკიდებდნენ კანონთა ასლებს.
[64] ქალაქი, რომელიც მასწავლებელს იწვევდა, იმპერატორის საგანგებო ბრძანებით დაწესებულ ხელფასს უხდიდა მას; გარდა ამისა, მასწავლებელი შეგირდებისგანაც იღებდა სწავლის საფასურს.
[65] ტერენციუსი - სახელგანთქმული რომაელი კომედიოგრაფი (დაახლ. 195-159 ძვ.წ.ა).

„თუ ამას სჩადის უკვდავი ღმერთი, გრგვინვით ცის თაღის შემარყეველი, რად არ მივბაძო მეც მის მაგალითს, უბადრუკმა და უჩინო მღილმა?“[66]

არა, არ არის სწორი, ღმერთმანი, არ არის სწორი, თითქოს ეს სიტყვები უფრო ადვილად გვამახსოვრდებოდნენ მათი ბილწი შინაარსის წყალობით. დამახსოვრებისა რა მოგახსენოთ და უფრო ადვილად კი ჩაგვადენინებენ იმავე სიბილწეს. მე თვით სიტყვებს კი არა ვგმობ, ამ ძვირფასსა და რჩეულ ჭურჭელს, არამედ შიგ ჩასხმულ ცთომილების ღვინოს, რომლითაც გვიმასპინძლდებოდნენ შეზარხოშებული მასწავლებლები. რომ არ დაგველია, გაგვწკეპლავდნენ და იმის ნებასაც არ მოგვცემდნენ, რომ ფხიზელი კაცი მოგვეწვია მსაჯულად. და მაინც, ღმერთო ჩემო, მე შემიძლია შენს წინაშე მშვიდად და აუმღვრევლად გავიხსენო ყოველივე ეს: მე უბედური სიამოვნებით ვსწავლობდი ამ მაცთურ არაკებს და ვტკბებოდი კიდეც მათი ხიბლით, ამიტომაც იყო, რომ სკოლის იმედს მეძახდნენ და დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ.

XVII

27. ნება მიბოძე, გაგიმჟღავნო, უფალო ჩემო, რანაირ აბდაუბდას ვალევდი შენს მიერ ნაწყალობევ ნიჭსა და უნარს. ისეთ დავალებას მაძლევდნენ ხოლმე, რომ მთელ სულს მიმღვრევდა და მიფორიაქებდა: ასე მაგალითად, მე უნდა წარმომეთქვა განრისხებული იუნონას სიტყვა; ქალღმერთის რისხვა იმით იყო გამოწვეული, რომ „ვერ შესძლო იტალიისათვის თავიდან აეცილებინა ტევკრების მეფის შეჭრა“[67]. თუ დავალებას ღირსეულად გავართმევდი თავს, ჯილდოდ ქების შესხმა მელოდა, თუ არა და, სასჯელიც ცნობილი იყო: გაბიაბრუება და გაწკეპვლა. მე საერთოდ არ გამიგია, რომ იუნონას ოდესმე წარმოეთქვას ამნაირი სიტყვა, მაგრამ ჩვენ გვაიძულებდნენ პოეტურ გამონაგონთა კვალდაკვალ გვებორიალა და პროზაული სიტყვით გადმოგვეცა ის, რაც პოეტს ლექსად გამოეთქვა.

[66] ტერენციუსის ერთ-ერთ კომედიაში „ევსუქი“ ჭაბუკი ქერეა ევნუქის ტანსაცმელში გამოწყობილი შეიპარება ჰეტერა თაისის საწოლ ოთახში, რათა სიყვარული აუხსნას ქალს, და როცა კედელზე ზემოთ აღწერილ სურთას შეავლებს თვალს, იუპიტერის მიბაძვით, მტკიცედ გადაწყვეტს დაუყოვნებლივ ისარგებლოს ესოდენ ხელსაყრელი შემთხვევით („ევნუქი“, 585-605).

[67] „ტევკრები“ ეწოდებოდათ ტროელებს, მათი პირველი მეფის ტევკროსის სახელის მიხედვით... „ტევკრების მეფედ“ აქ ენეასი (ინ. შენ. 45) იგულისხმება. ტროელების მიმართ მტრულად განწყობილი იუნონა (ბერძნული მითოლოგიით - ჰერა) ყოველნაირად ცდილობდა, რომ ენეასს თავისი თანამგზავრებითურთ ვერ მიეღწია იტალიისთვის, სადაც მას, ბედის წინასწარგანჩინებით, დიადი სამეფო უნდა დაეარსებინა... ამნაირი „დავალება“, რომელსაც ესოდენ უსიამო გრძნობით იხსენებს ნეტარი ავგუსტინე, ჩვეულებრივი რამ იყო დაწყებითსა თუ გრამატიკულ სკოლებში. მოწაფეს არა მარტო პროზად უნდა „გარდაეთქვ“ „ენეიდის“ მოცემული ნაწყვეტი (I, 36-75), არამედ, სახელგანთქმული რომაელი ორატორის კვინტილიანეს (დაახლ. 35-100 წ.) სიტყვებით რომ ვთქვათ, „მჭევრმეტყველური ძალმოსილებაც მიენიჭებინა პოეტის აზრისათვის, გაესრულებინა ნაკლული ადგილები, სხარტად და მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა ის, რაც ბუნდოვანი ჩანდა... ეს უნდა ყოფილიყო პოეტთან პაექრობა და ჭიდილი“ („შეგონებანი ორატორის მიმართ“, X, 5, 4-5).

განასკუთრებით აქებდნენ იმას, ვინც შესძლებდა ზუსტად და ხატოვნად წარმოესახა ღვთაების რისხვა თუ მწუხარება, მისი ღირსების შესაბამისად, და სათანადო სიტყვების გარსში მოექცია თავისი აზრი. რა შავ ქვად მინდოდა ყოველივე ეს, ღმერთო ჩემო, ჭეშმარიტო სიცოცხლევ ჩემო?! რა თავში ვიხლიდი იმას, რომ ჩემს სიტყვებს უფრო ერთსულოვანი ტაშით ხვდებოდნენ, ვიდრე ჩემი ტოლებისას თუ თანაკლასელებისას? რა არის ეს, თუ არა კვამლი და ქარი? განა სხვა თემა არსად იყო, რომ იმაში გამეწაფა ჩემი ენაც და გონებაც? შენი ქება-დიდება, უფალო, შენი ქება-დიდება, შენივე წერილის მიხედვით, - აი, რა უნდა ყოფილიყო ჩემი ნორჩი გულის საყრდენი, როგორც ჭიგო - ვაზის ლერწებისა! მაშინ ხომ ასე ადვიალდ ვეღარ მიიტაცებდა ამაობა, როგორც ონავარი ჩიტების გუნდი იტაცებს ყურძნის მარცვლებს, მეამბოხე ანგელოსებს ხომ სულ სხვადასხვანაირად სწირავენ მსხვერპლს[68].

XVIII

28. მაშ, რა გასაკვირია, რომ ნაფოტივით მიმაქანებდა ამაოების ნაკადი, და მე თანდათან გშორდებოდი, ღმერთო ჩემო, რათა გარე სამყაროში დავნთქმულიყავი[69]. მე ხომ ნიმუშად მისახავდნენ ადამიანებს, რომლებსაც სირცხვილისაგან ჭირის ოფლს ასხამდათ, თუ ვინმე შენიშნავდა, რომ თავიანთ ქველმოქმედებაზე ლპარაკისას ბარბარიზმი ან სოლეციზმი[70] წამოსცდათ, მაგრამ სიხარულით ცას ეწეოდნენ და მედიდურად იბღინძებოდნენ, თუ ვინმე შეუქებდათ სიტყვის სინატიფეს, ენაწყლიანობასა და მჭევრმეტყველებას, როცა თავიანთ სასიყვარულო თავგადასავლებს იხსენებდნენ.

---

[68] ანალოგიის აზრი გამჭირვალეა: ნეტარ ავგუსტინეს არ ჰქონდა რწმენა, ანუ „ჭიგო“ თუ „საყრდენი“. ამიტომაც იყო, რომ მის გულს ისევე ადვილად იტაცებდნენ დაცემული ანგელოზები, როგორც ონავარი ჩიტების გუნდი იტაცებს მიწაზე დაცვენილ ყურძნის მარცვლებს. „ეს ამაყი და უკეთური სულები - ამბობდა ავგუსტინე მათზე, - კეთილსურნელოვანი კვამლით კი არ საზრდოობენ, როგორც ჰგონია ზოგიერთ ბრიყვს, არამედ ადამიანთა შეცდომებით“ („ფაუსტუსის წინააღმდეგ“, 20, 22).

[69] სწორედ ამ „გარე სამყაროში დანთქმასა“ თვლიდა სულიერი დაცემის მიზეზად დიდი ნეოპლატონიკოსი პლატონი (204-270 წ.), რომელმაც პლატონთან (427-347 ძვ.წ.ა.) ერთად გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინა ნეტარი აგვუსტინეს მსოფლმხედველობის ფორმირებაზე... „წარმოვიდგინოთ მახინჯი სული - უსამართლო, აღვირახსნილი, ათასი ქვენა გრძნობით სავსე, მხდალი, ჯაბანი, ღვარძლიანი, მხოლოდ ხრწნადისკენ, წარმავლისკენ მიქცეული, მრუდედ მავალი, ხორციელ ვნებებს დამონებული, უწმინდურ განცხრომათა ტრფიალი, ლირწებაში ჩამყაყებული. ვიტყვით თუ არა ჩვენ, რომ ეს სიმახინჯე მიემთხვა და მიეტმასნა სულს, როგორც ამ ქვეყნად შეძენილი რამ ბოროტება, რომელმაც ბიწით შესვარა ის და ამრიგად მოსწყვიტა სიწმინდეს მისი სიცოცხლე და მისი გრძნობები; ვიტყვით თუ არა ჩვენ, რომ ბოროტებასთან შეხებამ და შერევამ შემუსრა მისი ნათელი და უღიმღამო არსებობისთვის, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ლასლასისთვის გასწირა იგი. ამიტომაა, რომ ვეღარ ხედავს იმას, რასაც უნდა ხედავდეს სული; ამიტომაა, რომ აღარ ძალუძს თავის თავში განმარტოება, რადგან ვნებები გარეთ ეწევიან ვნებულს, სიმდანლისა და სიბნელისაკენ“ („ენნეადა“, I, 6,5).

[70] ბარბარიზმი („ბარბაროს“ - ასე უწოდებდნენ ბერძნები ყოველივე უცხოს, უკულტუროს, ველურს, არაცივილიზებულს) - ამა თუ იმ ენის ბუნებისათვის შეუფერებელი, სხვა ენის ნორმების მიხედვით შექმნილი, ან უცხოურიდან საჭიროების გარეშე შემოსული სიტყვა... სოლეციზმი (წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „სოლოიკისმოს“, საიდანაც დასაბამს იღებს ლათინური „სოლეციზმუს“ - კილიკიის ქალაქ „სოლოი“-ს მცხოვრებთათვის ნიშნეული მეტყველება) - ბარბარიზმის ერთ-ერთი კერძო სახე, ამა თუ იმ ენის სინტაქსისათვის შეუფერებელი, მახინჯი ფორმა.

შენ ხედავ ამას, უფალო, ხედავ და დუმხარ, „სულგრძელო, გულმოწყალევ და სამართლიანო“[71]. აი, ახლაც საზარელი უფსკრულიდან ამოგყავს სული[72], რომელიც გეძებს, რადგან შენი სიტკბო სწყურია, და გულში ამბობს: „შენს სახეს ვეძებდი, უფალო; და კვლავაც განუწყვეტლივ უნდა ვეძებო“[73]. მაგრამ რა შორსაა შენი სახისაგან ის, ვინც ვნების პირქუშ მორევში დანთქმულა. როცა გშორდებიან და ხელახლა გიბრუნდებიან, აქ არც მათი ნაბიჯები იგულისხმება და არც თქვენი გამყოფი სივრცე. განა შენი უმრწემესი ძე ცხენებს, ეტლს ან ხომალდს ეძებდა? განა ხილული ფრთებით გაფრინდა, ან ფეხით გაუდგა გზას, რათა შორეულ მხარეში გაეფლანგა და გაენიავებინა მთელი თავისი ავლადიდება, რომელიც წასვლის წინ უბოძე, ტკბილო მამაო, რათა უფრო მეტად შეგეტკბო უკანვე შემოქცეული?[74] არა, ბილწი ვნებების მორევში იყო დანთქმული, და ამიტომაც შორს იყო შენი სახისაგან.

29. უყურე, უფალო, შენი ჩვეული მოთმინებით უყურე, რა გულმოდგინედ ცდილობენ ადამის ძენი მკაცრად დაიცვან ეს წესები, ასოებსა და მარცვლებს რომ ეხებიან, წესები, რომლებიც თავიანთი მასწავლებლებისაგან შეითვისეს, და როგორ უგულებელყოფენ სულის ხსნის იმ მარადიულ აღთქმას, შენგან რომ მიუღიათ[75]. თუ კაცმა, რომელიც იცნობს, ან სხვებს ასწავლის ამ ძველისძველ წესებს ასოებისა და მარცვლების შესახებ, გრამატიკული კანონების საპირისპიროდ, უმშვინველად წარმოსთქვა სიტყვა „ჰომო“-ს პირველი მარცვალი[76], ეს უფრო მეტად აღაშფოთებს ხალხს, ვიდრე ის ამბავი, რომ ადამიანმა, შენი აღთქმის საპირისპიროდ, შეიძულოს ადამიანი. თითქოს თვით მოსისხლე მტერიც კი უფრო საშიში იყოს, ვიდრე მის მიმართ გულში მბორგავი სიძულვილი! თითქოს დევნილი მტერი შეიძლება ვინმემ უფრო სასტიკად მოწყლას, ვიდრე მდევრის გული - მრისხანებამ დევნილის მიმართ! რა თქმა უნდა, გრამატიკულ წესებს გულში უფრო ღრმად როდი აქვთ ფესვი გადგმული, ვიდრე იმის

[71] ფსალმ. 102, 8.

[72] შდრ. ფსალმ. 85, 13.

[73] ფსალმ. 26, 8.

[74] ნეტარი ავგუსტინეს ნააზრევში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს სახარებისეული იგავი ძე შეცდომილის შესახებ (ლუკა, XV, 11 და შმდ.) და პლოტინის „ენნეადების“ ერთი პასაჟი (I, 6, 8). ავგუსტინეს ზოგიერთი ფრაზა თითქოს სიტყვასიტყვით თარგმანია პლოტინის ტრაქტატის მითითებული პასაჟისა: „ამიტომ ის იქნება უკეთესი მრჩეველი და კეთილისმყოფელი ჩვენი, ვინც გვირჩევს, გავიქცეთო ჩვენს სამშობლოში. მაგრამ რას ნიშნავს ეს „გავიქცეთ“? როგორ გავიქცეთ? როგორც ოდისევსი, რომელიც გრძნეულ კირკეს გაექცა და გრძნეულ კალიფსოს, მიუხედავად მთელი სილამაზისა, რასაც ისინი მის მზერას აღუთქვამდნენ და ფიანდაზად უშლიდნენ ფეხქვეშ. ჩვენი სამშობლო კი იქაა, საიდანაც მოვსულვართ, და იქვეა მშობელი ჩვენი. უნდა გავიქცეთ, მაგრამ არა ფეხთა სისწრაფით, რომელთაც მიწის ერთი კუთხიდან მეორეში გადავყავართ მხოლოდ, ან ეტლითა თუ კეთილმავალი ნავით; არა, უნდა დავხუჭოთ თვალი, სხვა რამით შევცვალოთ ხორციელი მზერა და გავაღვიძოთ ის ფარული უნარი, რომელიც ყველა ჩვენგანში თვლემს, მაგრამ რომელსაც ცოტანი იყენებენ მხოლოდ“.

[75] შდრ. ბლეზ პასკალი: „კაცის გრძნობელობა ყოველგვარი წვრილმანებისადმი და მისი სრული უგრძნობლობა ყოველივე დიადის მიმართ - სულის უცნაური გახრწნილების ნიშანია“ („აზრები“, დასახ. გამოც. გვ. 238).

[76] ესე იგი „ჰომო“-ს მაგივრად რომ წარმოეთქვა „ომო“. რომაელი სწავლულის ნიგიდიუს ფიგულუსის (I ს. ძვ.წ.ა.) აზრით, მშვინვის ნიშნის უგულებელყოფა მეტყველებისას კულტურის დაბალ დონეს მოწმობდა.

შეგნებას, რომ სხვას არ უნდა მოექცე ისე, როგორც არ ისურვებდი შენ თვითონ მოგქცეოდნენ სხვები[77].

რა იდუმალი ხარ „მაღალთა შინა“ მდუმარედ დამკვიდრებულო ღმერთო, ერთადერთო და დიადო, შენი ურყევი კანონის ძალით სიბრმავეს რომ უვლენ სასჯელად ბილწ გულისთქმათა მონებს! კაცს სურს სახელი მოიხვეჭოს მჭევრმეტყველებით; და, აი, მეორე კაცის - მსაჯულის წინაშე და უამრავი ხალხის თანდასწრებით, გაშმაგებული სიძულვილით უტევს თავის მტერს, და თუ საერთოდ უფრთხის რაიმეს, მხოლოდ იმას, რომ არაფერი შეეშალოს, ვთქვათ, უმშვინველად არ წარმოსთქვას სიტყვა „ჰომო“-ს პირველი მარცვალი[78], მაგრამ არას დაგიდევთ სულის სიშმაგეს, რასაც შეუძლია ადამიანთა სიიდან ამოშალოს ადამიანი.

XIX

30. აი, რანაირი ცხოვრების ზღრუბლზე ვიდექი, მე სვედავსილი, და რანაირ ასპარეზზე ვასპარეზობდი. უფრო მეტად იმისაი მეშინოდა, ვაითუ ბარბარიზმი წამომცდეს-მეთქი, ვიდრე იმისადმი შურისა, ვისაც ამ მხრივ, ჩემზე უკეთ შეეძლო თავი გაერთმია სათქმელისათვის. შენ გეუბნები ამას, უფალო, და ვაღიარებ, რომ მაშინ მე მაქებდა ის ხალხი, ვისი მოწონებაც ღირსეული ცხოვრების საწინდრად მიმაჩნდა. მათი ქებით თვალდავსილი ვერ ვხედავდი სიბილწის უფსკრულს, რომელშიაც დანთქმული ვიყავი „შენს ღვთაებრივ მზერას მოწყვეტილი და მოშორებული“[79]. და მართლაც, რა საზიზღარი უნდა ვყოფილიყავი, თუკი თვით ამნაირ ხალხსაც ვაბეზრებდი თავს, რადგანაც ურცხვად ვცრუობდი აღმზრდელების, მასწავლებლებისა და მშობლების წინაშე, მხოლოდ იმიტომ, რომ თამაში მიყვარდა, გატაცებით ვუყურებდი უაზრო სანახაობებს და ყმაწვილური საინცითა და დაუდგრრომლობით ვბაძავდი მათ. სურსათ-სანოვაგეს ვიპარავდი მშობლების საკუჭნაოდან და ტკბილეულიც ამიწაპნია სუფრდან, რომ პირი ჩამეკოკლოზინებინა, ან სათამაშოები მათ ჩემზე ნაკლებ როდი უყვარდათ. თამაშში ხშირად ცბიერებით ვაღწევდი გამარჯვებას, თვითონ პირველობის ფუჭი სურვილით ძლეული და დამარცხებული. მოკლედ, ისე ვექცეოდი სხვებს,

[77] შდრ. მათე, VII, 12.
[78] იხ. შენ. 76.
[79] ფსალმ. 30, 23.

რომ ღმერთის მადლობელი უნდა ვყოფილიყავი, თუ თვითონაც იმითვე არ მიხდიდნენ სამაგიეროს. მაგრამ თუ დავინახავდი, რომ არც ისინი მრჩებოდნენ ვალში, უშვერი სიტყვებით ვლანძღავდი და ვაგინებდი ჩემს მიერ მხილებულთ; ხოლო თუ სხვები აქეთ მამხელდნენ, სიშმაგე მიპყრობდა, ნაცვლად იმისა, რომ პეტიება მთხოვა მათთვის[80].

და ამას ჰქვია ბავშვური უმანკოება?[81] არა, უფალო, არა და არა! ნება მიბოძე, გულახდილად მოგახსენო: ყოველივე ეს ერთია: ბავშვობისას - აღმზრდელები, მასწავლებლები, კაკლები, ბურთები და ბეღურები; მოწიფლობისას - პრეფექტები, მეფეები, ადგილ-მამული, ოქრო-ვერცხლი და მონები, - დიახ, ყოველივე ეს ერთი და იგივეა, მხოლოდ გაწკეპვლას უფრო საშინელი წამება ცვლის.

როდესაც შენ თქვი, მეუფეო: „ამნაირებისაა ცათა სასუფეველი“[82], მხოლოდ ის გსურდა, რომ თვინიერების სიმბოლურ ნიმუშად დაგესახა ჩვენთვის პატარა ბალღი.

XX

31. და მაინც, მადლობას გწირავ, უფალო, სამყაროს უზენაესო და უკეთესო შემოქმედო, არსთა გამრიგევ; მადლობას გწირავ და იმ შემთხვევაშიაც კი შემოგწირავდი, სულაც რომ არ გენებებინა, უკან მომეტოვებინა ყრმობის ასაკი. რადგან მე მაშინავ ვარსებობდი, ვცოცხლობდი, ვგრძნობდი და იმაზედაც ვზრუნავდი, რომ ჩემი თვითმყოფადობა შემენარჩუნებინა: ნიშატი იმ უიდუმალესი ერთობისა, საიდანაც ვიღებ დასაბამს[83]; შინაგანი

---

[80] ერთი სიტყვით, ნეტარი ავგუსტინე ბავშვობაში აშკარად ვერ აკმაყოფილებდა მიშელ მონტენის დიდაქტიკურ მოთხოვნებს: „სიტყვაძუნწობა და თავმდაბლობა სხვებთან ურთიერთობისას ფასდაუდებელი თვისებებია. ყმაწვილი უნდა მივაჩვიოთ იმას, რომ ძუნწად და ხელმომჭირნედ ხარჯავდეს მის მიერ შეძენილ ცოდნას; კამათის საგნად არ აქცევდეს მისი თანდასწრებით წამოროშილ როყიო სიტყვას, სიბრიყვეს თუ სისულელეს, რადგანაც იმის ხელაღებით გმობა, რაც არ მოგვწონს, უკადრისი საქციელია. დაე, თავისი თავის გამოსწორებას დასჯერდეს და სხვას ნუ ჰკიცხავს იმის გამო, რაც თვითონვე საძრახისად მიაჩნია; დაე, წინ ნუ აღუდგება საყოველთაოდ გავრცელებულ წეს-ჩვეულებებს. „შეიძლება მრავლისმცოდნე იყო ქედმაღლობისა და ამპარტავნების გარეშე“. ნურავინ შეატყობს ყოყოჩობასა თუ ყოყლოჩინობას; დაე, თავი აარიდოს ბავშვურ პატივმოყვარეობას, ანუ ტოლ-სწორებში გამორჩევისა და მათი დაჩრდილვის სურვილს...“ („ესსეები“, I, XXVI, ბავშვების აღზრდისათვის).

[81] შდრ. ჟან დე ლა ბრუიერი: „ბავშვები კადნიერნი არიან, თავხედნი, გულფიცხნი, შურიანნი, ცნობისმოყვარენი, ანგარიშიანნი, ზარმაცნი, თავქარიანნი, მხდალნი, თავშეუკავებელნი, ცბიერნი, გულჩათხრობილნი; სულ მცირე რამის გამო ტირიან ან იცინიან; უმნიშვნელო წვრილმანიც საკმარისია, რომ უსაზღვო აღტაცებამ თუ მწუხარებამ შეიპყროთ; ტკივილს ვერ იტანენ, სხვას კი დაუფიქრებლად მიაყენებენ ტკივილს; უკვე ადამიანები არიან“ (ფრანსუა დე ლა როშფუკო, მაქსიმები. ბლეზ პასკალი, აზრები. ჟან დე ლა ბრუიერი, ხასიათები, ფრანგულიდან თარგმნა ბ.ბრეგვაძემ, თბ. 1994, გვ. 260).

[82] მათე, XIX, 14.

[83] შდრ. მარკუს ავერლიუსი: „ყოველთვის უნდა იაზრებდე სამყაროს, როგორც ერთ არსს - ერთარსებას და ერთი სულით მოსილს; ყოველთვის უნდა გახსოვდეს, როგორ დაიყვანება ყველაფერი მის ერთ შეგრძნებამდე, როგორც მოიქცევა ყოფად ყოველი მისი ერთ სწრაფვად ქცეული ნებით, როგორ იქცევა ყველაფერი ის, რაც არის, თანამიზეზად იმისა, რაც უნდა იქნას, და დასასრულ, როგორია კავშირი და თანაფარდობა საგანთა შორის“ („ფიქრები“, IV, 40). „ყველაფერი ერთმანეთს ეწვნის, ყველაფერს წმინდა კავშირი ჰკრავს, და არა არის რა, შეიძლება ითქვას, რაიმე უცხო და უთვისტომო საგანთა და მოვლენათა ხომლში. რადგან ყველაფერს ერთი და იგივე წესრიგი აწესრიგებს და ყველაფერი ერთსა და იმავე სამყაროს ამკობს. და მართლაც, ერთია ყოვლისმომცველი სამყარო, ერთია

გრძნობის კარნახი ვცდილობდი უზრუნველმეყო ჩემი გრძნობების ცხოველმყოფელობა[84]; მე შევხაროდი ჭეშმარიტებას: ჩემი უბადრუკი აზრით მიღწეულ არანაკლებ უბადრუკი საგნების ცოდნას. არ მინდოდა შევმცდარიყავი, საუცხოო მეხსიერება მქონდა, გულმოდგინედ ვეუფლებოდი სიტყვას, მხიბლავდა მეგობრობა, გავურბოდი ტკივილს, სიძულვილს, უმეცრებას. ვითომ რა არ არის ამნაირ არსებაში განცვიფრებისა და აღტაცების ღირსი?

და ყოველივე ეს შენი წყალობაა, უფალო; მე ხომ არ მიმიცია ჩემი თავისთვის; ყოველივე ეს კარგია, და ყოველივე ესა ვარ მე. მაშასადამე, კეთილია, ვინც შემქმნა, და თვითონვეა ჩემი სიკეთე. ამიტომაც მადლობას ვწირავ ყველა იმ სიკეთისათვის, რომელთა წყალობითაც ვარსებობდი სიყრმითგანვე. მაგრამ ვცოცავდი, რადგან თვით მასში კი არ ვეძებდი სიამოვნებას, სიმაღლეს და ჭეშმარიტებას, არამედ - მის ქმნილებებში: ჩემსავე თავში და სხვებში, რაც სხვა არა იყო რა, თუ არა ტანჯვის, მშფოთვარების და ცთომილების სათავე[85].

მადლობას გწირავ, ნეტარებავ ჩემო, ღირსებავ ჩემო, სასოებავ ჩემო, ღმერთო ჩემო! მადლობას გწირავ ყველა იმ სიკეთისათვის, რაც მიწყალობე; მაშ, შემარჩინე და შემინარჩუნე ისინი; ასე შემინარჩუნებ მეც, და ამრიგად იმატებს და სრულქმნილებას მიაღწევს ის, რაც ჩემთვის გიბოძებია; და მე სამუდამოდ შენთან ვიქნები, რადგან თვით სიცოცხლეც შენ მიწყალობე.

ყოველისგანმწონი ღმერთი, ერთია არსი, ერთია კანონი, ერთია სული და გონება ყველა სულდგმულის და ერთია ჭეშმარიტება, რაკი ერთია ყველა ერთგვაროვანი და ერთსა და იმავე გონებასთან წილნაყარი არსის სრულყოფილება“ („ფიქრები“, VII, 9)... „ყველაფერი იმდენად არსებობს, რამდენადაც ერთს მიელტვის. ერთობა ქმნის თანხმობას და ერთსულოვნებას... მარტივი, რაკიღა ერთიანია, თავისთავად არსებობს, ხოლო ის, რაც რთულია, ნაწილთა თანხმობით ესწრაფვის ერთიანობას, და იმდენად არსებობს, რამდენადაც ამას ახერხებს“ (ნეტარი ავგუსტინე, „მანიქეველთა ზნეობისათვის“, 6).

[84] „ნეტარი ავგუსტინე გულისხმობს არისტოტელესეული და სტოიცისტური ფსიქოლოგიის „საერთო გრძნობას“: ესაა გრძნობა, რომელიც გრძნობის ორგანოებით მიღებული შთაბეჭდილებების კორელირებას ახდენს. მაგრამ ნეტარი ავგუსტინე თავის წინამორბედებზე უფრო შორის მიდის და ამ გრძნობას არა მარტო გარეშე შთაბეჭდილებათა კორელირებს ფუნქციას მიაწერს, არამედ ინდივიდის მიერ საკუთარი თავის, როგორც სუბიექტის, შეგრების უნარსაც, სუბიექტისა, როემლიც აღიქვამს ამ შთაბეჭდილებებს და მათ კორელირებას ახდენს. „ჩემთვის ცხადია, რომ ეს შინაგანი გრნობა არა მარტო აღიქვამს იმას, რასაც ხუთი გარეგანი გრძნობა აწვდის, არამედ იმასაც გრძნობს, რომ გარედან მიწვდილი მასალა კიდეც აღიქმება მის მიერ“ („მანიქეველთა ზნეობისათვის“, 2, 4, 10). - იხ. რუსული თარგმანის შენიშვნები, დასახ. გამოც. გვ. 231.

[85] „ვინც საგანთა მშვენიერებას ჭვრეტს, - ამბობს პლატონი, - უნდა იცოდეს, რომ ის ხატია მხოლოდ და მხოლოდ, მხოლოდ ჩრდილი და ნაკვალევი მისი, რას ხატადაც შეიქმნენ მშვენიერი საგნები. ამიტომ კი არ უნდა მიელტვოდეს, პირიქით, უნდა გაურბოდეს მათ. რადგან ვინც მათ მიელტვის, იმ ჭაბუკის ხვედრს გაიზიარებს უცილოდ, რომელმაც, როგორც მითი გვაუწყებს, მდინარეში თავისი მშვენიერი სახის ანარეკლს რომ მოჰკრა თვალი, წყლის სიღრმეში ჩაყვინთა მის დასაჭერად და... უჩინარ იქნა. მის მსგავსად, ისიც, ვინც მონუსხულივით უმზერს სხეულთა მშვენიერებას და წამითაც ვერ სწყდება მას, სხეულით კი არა, სულით დაინთქმება გონებისათვის უსაზარლეს, ურჩხულივით პირაშკმულ უფსკრულში, და სამუდამოდ იქ დარჩება თვალდაშრეტილი, აჩრდილთა შორის, როგორც ჰადესში“ („ენნეადა“, I, 6, 8).

წიგნი მეორე

I

1. მე მინდა გავიხსენო ჩემი სიბილწე და ხორციელი ხრწნილება ჩემი სულისა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მიყვარს ისინი, არამედ იმიტომ, რომ შენ შეგიყვარო, ღმერთო ჩემო. შენი სიყვარულისადმი სიყვარულით ჩავდივარ ამას, და მწუხარებით გავცქერი გავლილ გზას, რომელიც ცოდო-ბრალითაა მოფენილი. მილხინე, უფალო, ჩემო ჭეშმარიტო ნეტარებავ, ბედნიერებისა და აუმღვრევლობის სიხარულო, მტკიცედ შეჰკარი ჩემი გაფანტული და დაქუცმაცებული არსება, შენი ერთობისაგან გამდგარი და სიმრავლის ამაოებაში ჩაკარგული[1]. ოდესღაც, ჩემი სიჭაბუკის ჟამს, მე ვიწვოდი განცხრომის მწველი სურვილით, რომელსაც ჯოჯოხეთი უფრო შეჰფერის სახელად, და არ შეუდრკა ჩემი სული იმას, რომ უკეთური სიყვარულის ყლორტები ამოეყარა და ბილწი ვნებების შამბნარით დაბურულიყო; ჩაქრა, ჩაიშრიტა ჩემი მშვენება, და ვიქეც ხრწნილებად შენი ღვთაებრივი მზერის წინაშე, მე - თავმომწონე და მოსურნე იმისა, რომ ხალხის თვალშიც მოსაწონი ვყოფილიყავი.

2. რა მანიჭებდა ნეტარებას, გარდა იმისა, რომ მყვარებოდა და მეც ვყვარებოდით? მაგრამ სული, ხარბად რომ დაეძებდა მეორე სულს, ვერ ახერხებდა სულიერი სიყვარულის სხივოსან ზღურბლზე შეჩერებულიყო. ოხშივარი ასდიოდა ხორციელ გულისთქმათა ჭაობს და დუღდა, თუხთუხებდა სიჭაბუკე ჩემი; ბილწი ვნებები ყომრალი ღრუბლებივით შემოსწოლოდნენ გულს, რომელსაც ამ ჯანღში ერთმანეთისაგან ვეღარ გაერჩია სიყვარულის ციური შუქი და გულისთქმათა მწველი ალმური. ორივენი ერთმანეთს ერწყმოდნენ, ერთად

[1] პლოტინის მიხედვით, ნებისმიერი სიმრავლე, რომელიც პირწმინდად მოკლებულია ყოველგვარ ერთობას, მთლიანად კარგავს თავის რაობას: ის საერთოდ აღარ არის რაიმე და, მაშასადამე, აღარც სიმრავლეა; იგივე ითქმის ამ სიმარავლის შემადგენელი თვითეული წევრის მიმართაც, და ასე შემდეგ, დაუსრულებლივ („ენნეიდა“, VI, 9,1; შდრ. პროკლე დიადოხოსი, „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, I, 1)... ბლეზ პასკალი შემდეგნაირად აღგვიწერს ღვთაებრივი ერთობისაგან გამდგარი და სიმრავლის ამაოებაში დანთქმული სულის უსიხარულო და უბადრუკ ყოფას: „აი, რას გვიბრძანებს სიბრძნე უფლისა: ...მე შევქმენი ადამიანი წმინდა, უბიწო, სრულყოფილი, სინათლით სავსე, გონებით სრული; ღირსი ვყავ იგი ჩემი დიდებისა და ჩემი სასწაულთმოქმედებისა. ადამიანი უშუალოდ ჭვრეტდა მაშინ სიდიადეს შემოქმედისა. მისთვის უცხო იყო წყვდიადი, რომელიც ახლა ასე აბრმავებს, უცხო იყო სიკვდილი და უსასოება, რომელიც ახლა ასე აძრწუნებს. მაგრამ მან ვერ გაუძლო ამ სიდიადეს და ცუდმედიდი გახდა. მან მოისურვა თავად ყოფილიყო თავისი თავის ცენტრი და არად ჩაეგდო ჩემი შემწეობა. ის გამიდგა და რაკი ისურვა თავის თავშივე ეპოვა საკუთარი ბედნიერება, მეც გავწირე და თავისი თავის ანაბარა მივატოვე; მე ავუმბოხე ქმნილებები, რომლებიც მანამდე ემონებოდნენ, და მტრებად ვუქციე ისინი: ასე რომ, კაცი მხეცს დაემსგავსა და იმდენად დამცილდა მე, რომ მბუტავ სანთლადღა შემორჩა მოგონება შემოქმედისა: ისე ჩაქრა, ისე ჩაიშრიტა მისი სულიერი ნათელი და გონების სხივცისკროვნება. გონებისაგან თავდახსნილმა და ხშირად გონებისავე მბრძანებელმა გრძნობამ შვებისა და განცხრომის ძებნად მიაქცია იგი. ყველაფერი თრგუანვს, ყველაფერი აძრწუნებს, ყველაფერი აცთუნებს; ყველაფერი ან თავისი ძალმოსილებით სრესს, ან თავისი ხიბლით ჩხიბავს, ხოლო ესაა უსასტიკესი უღელი და უმძიმესი ტვირთი უსიხარულო მონობისა. აი, რა დღეშია ამჟამად ადამიანი, მას შემორჩა მხოლოდ ბრმა ინსტიქტი, მბუტავი ხსოვნა თავისი ოდინდელი ბედნიერებისა და დასაბამიერი ბუნებისა. ის მთლიანად შთაინთქა სიმწარეში, მთლიანად ჩამყაყდა სიბრმავესა და სიბილწეში, რომელიც მის მეორე ბუნებად იქცა“ („აზრები“, დასახ. გამოც., გვ. 283-284).

მძვინვარებდნენ ჩემში და თავის ნებაზე ათამაშებდნენ ჯერ კიდევ უნდილსა და უმწიფარ ჭაბუკს, რათა ვნებების მორევში ჩაერთოთ და ბიწიერების უფსკრულში დაენთქათ იგი[2].

იმძლავრა ჩემზე შენმა რისხვამ, მე კი არ ვიცოდი ეს. სმენა დამიხშო ბორკილის ჟღრიალმა, რომელიც ჩემმავე მოკვდავობამ დამადო; ამით უნდა გამომესყიდა სიამაყე ჩემი სულისა. სულ უფრო და უფრო გშორდებოდი, შენ კი არ მიკრძალავდი ამას. ღობე-ყორეს ვედებოდი, ვშფოთავდი, ვწრიალებდი და ფუჭად ვფლანგავდი ვნების სახმილით მბორგავ ძალას. შენ კი დუმფი. ო, ჩემო ნაგვიანევო სიხარულო[3], შენ დუმდი, როცა სულ უფრო და უფრო გშორდებოდი და ცოდვით დაცემული, თუმცაღა ჩემივე სიმდაბლით მოქადული და, იმავდროულად, სასოწარმკვეთი მოუსვენრობით გამოფიტული უხვად ვისთვლიდი ჩემი უმწეობისა და წუხილის ნაყოფს.

3. ვინ დააცხრობდა მაშინ ჩემს ტანჯვას, ვინ შემოაქცევდა ჩემს სასიკეთოდ ყოველგვარი სიახლის მსწრაფლწარმავალი ხიბლს, ვინ ამოსდებდა ლაგამს ჩემს უკეთურ ზრახვებს? ცოლქმრული ცხოვრების ნაპირს მაინც შემსხვრეოდა ჩემი სიჭაბუკის ქარიშხალი[4], თუკი სხვანაირად შეუძლებელი იყო მისი დაცხრომა, - რათა შვილების კეთებაში მეპოვა სულის სიმშვიდე, რასაც ვალად გვიწესებს შენი კანონი, რადგანაც შენა ხარ, უფალო, მოკვდავთა მოდგმის ნაშიერთა შემოქმედი, მოალერსე ხელით რომ გლეჯ წვეტიან ეკლებს, რომლებიც არ ხარობენ შენს სამოთხეში[5]. ახლოა შენი ყოვლისმძლეობა, თუნდაც ჩვენ თვითონ შროს ვიყოთ შენგან. ეჰ, რატომ უფრო ყურადღებით არ ვუსმენდი ხმას, რომელიც შენი ღრუბლიდან ჩამოდიოდა[6]: „ისინი თავს იდებენ ურვას ხორცისას, ხოლო მე გზოგავთ თქვენ“[7]; „კარგი იქნება, რომ კაცი არ გაეკაროს ქალს“[8]; ან კიდევ: „უცოლო უფლისას ზრუნავს, თუ როგორ აამოს უფალს, ცოლიანი კი ქვეყნისას ზრუნავს, თუ როგორ აამოს ცოლს“[9]. ნეტა ამ

[2] გარდამავალი ასაკისათვის ნიშნეული ეს ეროტიული ვნებათაღელვა გარკვეულწილად მოგვაგონებს პლატონის „ტიმეოსის“ ერთ პასაჟს.

[3] შდრ. „აღსარებანი“, X, 38: „გვიან შეგიყვარე, მშვენიერებავ, უძველესო და უახლესო, გვიან შეგიყვარე! შენ ჩემში იყავ, მე კი გარე-გარე გეძებდი: შენს მიერ შექმნილი სამყაროს მომნუსხველ წიაღში ვცდილობდი შეჭრას მე უმსგავსი და უსახური. ჩემთან იყავი, მე კი არ ვიყავი შენთან. შენს თავს მაშორებდა სამყარო, რომელიც საერთოდ არ იარსებებდა, შენში რომ არ არსებულიყო“.

[4] უფრო გვიან ნეტარ აგვისტინეს აუცილებლად მიაჩნდა უარი ეთქვა ცოლის შერთვაზე, რათა სულიერად განახლებულს ზურგი ექცია ძველი ცთომილებით სავსე ცხოვრებისათვის, თუმცა ამასვე როდი ურჩევდა ყველას და საკმაოდ მაღალი აზრისაც იყო ქორწინების დანიშნულებაზე (იხ. მისი თხზულება „ქორწინების სიკეთისათვის“).

[5] როდესაც ღმერთმა სამოთხიდან გააძევა შემცოდე ადამი, ამ სიტყვებით შეაჩვენა იგი: „მიწა დაიწყევლოს შენს გამო... ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო“ (დაბად. III, 17-18).

[6] ნეტარი ავგუსტინე „ღრუბლიდან ჩამომავალ ხმად“ სახავდა საღმრთო წერილის წიგნებს: „მართებული იქნებოდა ღრუბლები გვეწოდებინა მათთვის, რადგან ეს სიტყვები ზათქით მოაპობენ ჰაერს და, ეგეც არ იყოს, ალეგორიებით, როგორც ნისლით, მოსილნი ღრუბლებსა ჰგვანან“ („შესაქმისათვის“ მანიქეველთა წინააღმდეგ“, 2,3,5).

[7] I კორ. ,28.

[8] იქვე, 1.

[9] იქვე, 32-33.

სიტყვებისთვის უფრო ფხიზლად მეგდო ყური. „ცათა სასუფევლის გულისთვის დასაჭურისებული“[10] სიხარულით დაველოდებოდი, როდის ჩამიკრავდა გულში.

4. მაგრამ ვაი რომ ვნებები მძვინვარებდნენ ჩემში; მე წარმიტაცა მათმა შმაგმა დინებამ და მიგატოვე შენ; გარდავხდი ყველა შენს მცნებას, მაგრამ ვერ გავექეცი შენს მათრახს; ან კი რომელი მოკვდავი გაჰქცევია? შენ ყოველთვის ახლოს იყავი, შენი მკაცრი გულმოწყალებით, უმწარეს იმედგაცრუებას რომ უსართავდი ჩემი აღვირახსნილობის სიტკბოებას, რათა მეძებნა სიტკბოება, რომლისთვისაც უცხოა იმედგაცრუების სიმწარე. მხოლოდ შენში თუ შემეძლო მისი პოვნა, მხოლოდ შენში, უფალო, ტკივილით რომ გვინიღბავ შეგონებას, გვწყლავ, რომ განგვკურნო, გვკლავ, რომ უშენოდ არ მოვკვდეთ[11].

სად ვიყავი? რა შორს დავეხეტებოდი შენს ბედნიერ სახლს მოწყვეტილი, ჩემი ხორციელი არსებობის ამ მეთექვსმეტე წელს, როცა თავისი კვერთხი შემართა ჩემზე კაცთა უკეთურებით ნებადართულმა, ხოლო შენი კანონით აღკვეთილმა გულისთქმის სიშლეგემ, მთლიანად რომ დამიმონა. ახლობლებს თითიც კი არ გაუნძრევიათ, რომ წყალწაღებულს მომშველებოდნენ და ქორწინებით მაინც გადავერჩინეთ. მათი საზრუნავი მხოლოდ ის იყო, რომ უკეთ დავუფლებოდი მჭევრმეტყველების ხელოვნებას, რათა ამის წყალობით დამერწმუნებინა ხალხი.

III

5. თუმცა იმ წელს ჩემი მეცადინეობა შეწყდა: მადავრიდან[12] კვლავ შინ დავბრუნდი; ესაა ჩვენი მეზობელი ქალაქი, სადაც ლიტერატურისა და ორატორული ხელოვნების შესასწავლად გახლდით ჩასული. მშობლები ფულს აგროვებდნენ, რომ უფრო შორს - კართაგენში გავეგზავნეთ სასწავლებლად. ამას მოითხოვდა მამაჩემის პატივმოყვარეობა, რომლის დაკმაყოფილებასაც მისივე ხელმოკლეობა უშლიდა ხელს: ჩვენი ოჯახი საკმაოდ ღარიბულად ცხოვრობდა თაგასტაში[13]. მაგრამ ვის ვეუბნები ამას? არა, შენ კი არა, უფალო,

[10] შდრ. მათე, XIX, 12.

[11] შდრ. მეორე სჯული, XXXII, 39: „არ არის ღმერთი ჩემს გარდა! მე ვკლავ და ვაცოცხლებ, მე გვმირავ და ვკურნავ“.

[12] მადავრა - ნუმიდიის ქალაქი (დღევანდელი მიდაურუსი), ნეტარი ავტუსტინეს მშობლიურ ქალაქ თაგასტიდან დაახლ. 24 კმ-ით დაშორებული. აღსანიშნავია, რმო მადავრში დაიბადა სახელგანთქმული რომაელი მწერალი ლიციუს აპულეიუსი (დაახლ. 124 - დაახლ. 180 წ.), „ოქრის ვირის“ ავტორი. პირველდაწყებითი განათლება აპულეიუსმა იქვე, მადავრაში მიიღო, შემდეგ კი, ნეტარი ავგუსტინესი არ იყოს, კართაგენს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად.

[13] ნეტარი ავგუსტინე თავის ერთ-ერთ წერილშიც (126,7) გვიდასტურებს მშობლების ხელმოკლეობას: „მამაჩემი საკმაოდ მცირე ადგილ-მამულის პატრონი იყოო“.

არამედ შენს წინაშე - კაცთა მოდგმას, რომელსაც ვეკუთვნი მე, - რაგინდ უმნიშვნელოც უნდა იყოს იმათი რიცხვი, ვისაც შეუძლება ხელში ჩაუვარდეს ეს წიგნი. ან რატომ ვყვები? მხოლოდ იმიტომ, რომ მეც და ყველა ჩემი მკითხველიც ჩავუფიქრდეთ, „რაოდენ ღრმაა ის უფსკრული, საიდანაც მოგიხმობთ შენ“[14]. მაგრამ რა შეიძლება უფრო ახლოს იყოს შენთან, ვიდრე გული, რომელიც აღსარებას გეუბნება და შენდამი რწმენით სულდგმულობს?

ვინღა არ აქებდა და ადიდებდა მაშინ მამაჩემს, რომელიც შვილის გულისთვის უფრო მეტს აკეთებდა, ვიდრე მისი ხელმოკლეობა აძლევდა ამის საშუალებას, და მზად იყო ასე შორს გავეგზავნე სასწავლებლად. მასზე გაცილებით უფრო მდიდარი ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ამნაირ მსხვერპლს არ გაიღებდა შვილების გულისთვის. მაგრამ, მეორეს მხრივ, მამაჩემს სულაც არ ადარდებდა, რანაირი ვიზრდებოდი შენს წინაშე, ვინარჩუნებდი თუ არა უმანკოებას; მისთვის მთავარი ის იყო, რომ მჭევრმეტყველების ხელოვნებაში გამეწაფა თავი, და თუნდაც სამუდამოდ შენი მადლის გარეშე დავრჩენილიყავი, როგორც უნაყოფო წარაფი, სახნისი რომ არ შეხებია, ო, ერთადერთო კეთილო პატრონო შენი ხოდაბუნის - ჩემი გულისა[15].

6. მაშ, ასე, თექვსმეტი წლისა რომ ვიყავი, ოჯახურმა გარემოებამ მაიძულა დროებით შემეწყვიტა სწავლა. ერთხანს მშობლებთან ვცხოვრობდი, უქნარა და არას მაქნისი. ჩემი ვნებების ქაცვნარსაც სხვა რა უნდოდა: ისე იზარდა და ტანი აიყარა, რომ მალე ტავს გადამიარა. სად იყო ხელი, მისი აღმომფხვრელი და ამომძირკველი? ის კი არა და, ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემმა აბანოში ჩემი დაკაცების ნიშანს რომ მოჰკრა თვალი, როგორც ჩემი მშფოთვარე სიჭაბუკის დასტურს, სიხარულით ცას ეწია, თითქოს უკვე შვილიშვილების ჟივილ-ხივილი ჩაესმა ყურშიო, და მაშინვე დედაჩემს ამცნო ეს ამბავი: ფუჭი სიხარული შლეგური თრობისა, რის შედეგადაც ეს ქვეყანა გივიწყებს, ჩვენო შემოქმედო, და შენს ნაცვლად შენსავე ქმნილებას ეტრფის[16]. მაგრამ დედაჩემის გულში შენ აღმართე შენი ტაძარი და საფუძველი ჩაუყარე შენს წმიდათა-წმიდა სავანეს. მამაჩემი ჯერ მხოლოდ ახალი კატეხუმენი[17] იყო. ამიტომაც დედაჩემი ჭეშმარიტი ღვთისმოსავის მღელვარებამ და შიშმა

[14] შდრ. ფსალმ. 129,1.
[15] შდრ. I კორ. III, 9.
[16] შდრ. რომ. I, 25: „სიცრუეზე გაცვალეს ჭეშმარიტება ღმრთისა, და ჰმსახურებდნენ შექმნილსა და არა შემოქმედს“.
[17] იხ. შეს. წიგნი პირველი, 37.

შეიპყრო: მართალია, ჯერ კიდევ არ ვიყავი მონათლული, მაგრამ მას ეშინოდა იმ მრუდი გზისა, რომელსაც ადგას ყველა, ვინც „პირით კი არა, ზურგითაა შენსკენ მოქცეული“[18].

7. ვაიმე ბედკრულს! რამ მათქმევინა, სდუმრი-მეთქი, უფალო, როცა მე გშორდებოდი? განა ასე სდუმან? ვის ეკუთვნოდა, თუ არა შენ, ის სიტყვები, რომლებსაც დედაჩემის - შენი ერთგული მხევლის პირით გამუდმებით ჩამჩურჩულებდი? მაგრამ ვაი რომ ვერცერთმა ვერ გაიკვლია გზა ჩემი გულისკენ, არცერთს არ ვათხოვე ყური. მახსოვს, რა შეშფოთებული მევედრებოდა განმარტოებით, ჭკუას მარიგებდა და მირჩევდა, თავი ამერიდებინა ყოველგვარი გარყვნილებისათვის და განსაკუთრებით მოვრიდებოდი გათხოვილ ქალთან კავშირს. ეს მე ქალური ჩიჩინი მეგონა და სირცხვილით ვიწვოდი მისი მოსმენისას. სინამდვილეში კი შენ მეტყველებდი მისი პირით, მაგრამ მე არ ვიცოდი ეს. ამიტომაც მეგონა, თითქოს სდუმდი, და მხოლოდ დედაჩემი ლაპარაკობდა. მაგრამ შენ მისი მეშვეობით მომმართავდი, და მისი სახით სწორედ შენ მძულდი „მე, შენი მხევლის ძეს და მონას შენსას“[19]. დიახ, მე არ ვიცოდი ეს და სწრაფად მივექანებოდი თავქვე, სულიერი დაცემის გზით, იმდენად თვალდავსილი და დაბრმავებული, რომ ჩემი ტოლებისა მრცხვენოდა, რომლებან შედარებითაც მამა აბრამის ბატკანი მეგონა ტავი. რაც უფრო ურცხვნი და აღვირახსნილნი იყვნენ ისინი, მით უფრო მეტად მოჰქონდათ თავი თავიანთი გარყვნილებით. მეც მინდოდა მათსავით გარყვნილი ვყოფილიყავი, მაგრამ ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ გარყვნილება მომწონდა, არამედ პატივმოყვარეობა. განა ბიწიერება გმობისა და განკიცხვის ღირსი არ არის? მე კი სწორედ განკიცხვის შიშით სულ უფრო და უფრო ღრმად ვეფლობოდი ბიწიერების მწვირეში, და თუ სინამდვილეში სათაკილო არა ჩამედინა რა, თვითონვე ვიგონებდი საძრახის საქციელს, ოღონდაც ჩემი უბიწოების გამო არ შევზიზღებოდით და არც მასხრად აეგდოთ ჩემი უმაკოება.

8. აი, რანაირ ამფსონებთან ერთად დავყიალობდი „ბაბილონის“[20] მოედნებზე და მის წუმპეში ვგორავდი, თითქოს წუმპე კი არა, დარიჩინისა და სხვა ძვირფას საკმეველთა

[18] შდრ. იერ. II, 27: „...რადგანაც ზურგი მომაქციეს და არა პირი; გასაჭირში კი ამბობენ: ადექი და გვიხსენიო“.

[19] ფსალმ. 115, 7.

[20] ნეტარი ავგუსტინე ნახევრად ირონიული ტონით აიგივებს ჩრდ. აფრიკის პატარა პროვინციულ ქალაქს თაგასტას ბაბილონის ძველი და ახალი სამეფოს ისტორიულ დედაქალაქთან, რომელიც იუდეველთა თვალში განასახიერებდა მთელი წარმართული სამყაროს ხრწნილებას, სიბილწეს, სისასტიკეს და უწმინდურებას. ბაბილონის მიმართ ამნაირ დამოკიდებულებას შორეულ წარსულში აქვს ფესვი გადგმული: ძვ.წ.ა. 586 წ. ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ II-მ (605-562) იერიშით აიღო და მიწასთან გაასწორა იერუსალიმი, ხოლო ათი ათასობით დატყვევებული იუდეველი ბაბილონში გადაასახლა. „ბაბილონის ტყვეობა“ სამოცდაათ წელს გაგრძელდა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი ხანა იუდეველთა ისტორიაში. დამპყრობლებისადმი ენით უთქმელმა ზიზღმა და სიძულვილმა, სიმწარემ და ბოღმამ სიმბოლური გამოხატულება ჰპოვა მეტსახელში „დიდი მეძავი“, რომელიც ბაბილონის სინონიმად იქცა. შდრ. აპოკალიფსი, XVIII,

სურნელებით გაზავებული აბაზანა ყოფილიყოს. და უფრო ღრმად რომ ჩავფლულიყავი ამ ტლაპოში, ფეხით მქელავდა უჩინარი მტერი, რომელიც მით უფრო გახელებით მაცთუნებდა, რაც უფრო ადვილი იყო ჩემი ცთუნება! ხოლო „შუა ბაბილონიდან გამოქცეული“[21], მაგრამ მის განაპირას ჯერ კიდევ ნელი ნაბიჯით მომავალ ჩემს ხორციელ დედას, რომელიც დღენიადაგ ჩამჩიჩინებდა, მტკიცედ დამეცვა ჩემი სიწმინდე, მიუხედავად ამისა, არც უცდია ჩემი დაქორწინება, რათა ცოლქმრობის უღელს მაინც დაეურვებინა იმის სიურჩე, რისი ამბავიც მამაჩემისაგან გაეგო, თუკი შეუძლებელი იყო ძირფესვიანად ამოეწვა და ამოეშანთა ხორციელ გულისთქმათა მძვინვარება, თუმცაღა მაშინვე მშვენივრად ესმოდა, რა საფრთხესაც მიქადდა ეს შემდგომ. და მაინც არ ისურვა ჩემი დაქორწინება, რადგანაც ეშინოდა, ცოლქმრობის უღლის სიმძიმე გადაულახავ დაბრკოლებად არ ქცეულიყო ჩვენი იმედების ხორცშესხმის გზაზე, - არა საუკუნო ცხოვრების იმედისა, არასაც შენზე ამყარებდა დედაჩემი, არამედ იმისა, რომ დიდი წარმატებისათვის მიმეღწია სამეცნიერო ასპარეზზე; დიახ, ორივეს - მამაჩემსაც და დედაჩემსაც - ეს იმედი ასულდგმულებდა: მამაჩემს იმდენად, რამდენდაც საერთოდ არ ფიქრობდა შენზე, ხოლო რასაც ჩემზე ფიქრობდა, სხვა არა იყო რა, თუ არა ამაოება. დედაჩემს კი მიაჩნდა, რომ ეს წარმატება არამცთუ რაიმეს მავნებდა, გარკვეულწილად ხელსაც კი შემიწყობდა იმაში, რომ უფრო ადვილად მეპოვნა შენსკენ სავალი გზა. აი, როგორი უნდა ყოფილიყო საქმის ვითარება, თუ გავითვალისწინებ ჩემი მშობლების ხასიათს, რასაც ახლა შეძლებისდაგვარად ვიხსენებ. ამიტომაც იყო, რომ მათ მეტი გასაქანიც კი მისცეს ჩემს დაუდგრომლობას, ვიდრე გონივრული სიმკაცრე მოითხოვდა, და მე თავდაყირა გადავეშვი ვნებათაღელვის მორევში, წყვდიადით რომ მიბურავდა, უფალო, შენი ჭეშმარიტების ნათელს, „და იზრდებოდა უსამართლობა ჩემი სულისა“[22].

2-3, 5: „დაემხო, დაემხო ბაბილონი, დიდი მეძავი, და ეშმაკთა სამკვიდროდ, და ყოველი უწმინდური სულის სამყოფელად და ყოველი უწმინდური და ბილწი ფრინველის საბუდრად იქცა. რადგანაც მისი სიძვის მძვინვარე ღვინით დაითრო ყველა ხალხი, და ქვეყნის მეფეებმა ისიძვეს მასთან, და ქვეყნის ვაჭარნი დამდიდრდნენ მისი ფუფუნების სიუხვით... რადგანაც უწიეს მისმა ცოდვებმა ზეცას, და გაიხსენა ღმერთმა უსამართლობა მისი“.

[21] შდრ. იერ. LI, 6: „გაიქეცით შუა ბაბილონიდან“.

[22] შდრ. ფსალმ. 72,7.

IV

9. ქურდობა, რა თქმა უნდა, შენი კანონითაც ისჯება, უფალო[23], და იმ კანონითაც, კაცთა გულებში რომაა ჩაწერილი[24], რომლის ამოშლა თვით მათ უსამართლობასაც არ ძალუძთ. რომელი ქურდი მოითმენს იმას, რომ გაქურდულ იქნეს? ან რომელი მდიდარი შეიწყნარებს ღარიბ-ღატაკს, ვისაც გაჭირვებამ დააწყებინა ქურდობა? მე კი მინდოდა მექურდა, და ვიქურდე კიდეც, თუმცა შიმშილისა და გაჭირვების გამო კი არა, სამართლიანობისადმი ზიზღისა და იმის შედეგად, რომ ცოდვა მომჭარბდა. მე მოვიპოვე ის, რაც თვითონაც ბლომად მქონდა, და თანაც ჩემი გაცილებით სჯობდა მოპარულს. არა, ნაქურდალით როდი ვაპირებდი ტკბობას, არამედ თვით ქურდობა და ცოდვა მომწონდა.

ჩვენი ვენახის მახლობლად ნაყოფით დახუნძლული მსხლის ხე იდგა. ვერ ვიტყვი, თითქოს ნაყოფს თვალს ვერ მოსწყვეტდი, ან ისეთი გემრიელი ყოფილიყოს, რომ ჭამით ვერ გაძღებოდი. და მაინც, ონავარი ქურდები შუაღამისას მივეპარეთ მსხალს, რომ დაგვერხია და ნადავლი დაგვესაკუთრებინა: ქუჩის ბიჭების უკეთური ჩვეულებისამებრ, ჩვენი თავშექცევა და დროსტარება შუაღამემდე გაგრძელდა. დაზურგულები წამოვედით, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ პირი ჩაგვეტკბარუნებინა, არამედ მზად ვიყავით თუნდაც ღორები დაგვეძღო მსხლით; მართალია, თითო-ოროლა კი ჩავკბიჩეთ, მაგრამ ჩვენი ერთადერთი სიამოვნება სულ სხვა რამ გალხდათ: ჩაგვედინა ის, რაც აკრძლული იყო.

აი, ჩემი გული, უფალო, აი, ჩემი გული, რომელიც შეიწყალე უფსკრულს დანთქმული. კეთილ-ინებოს და გითხრას ახლა, რატომ მოიქცა ასე უმსგავსოდ მაშინ, მხოლოდ იმიტომ, რომ უმსგავსოდ მოქცეულიყო, და არავითარი სხვა მიზანი არ ამოძრავებდა. ჩემი თავაშვებულობის ერთადერთი მიზეზი ჩემივე თავაშვებულობა იყო. ბილწი იყო ეს თავაშვებულობა, და მეც მხოლოდ სიბილწის გამო მიყვარდა იგი; მიყვარდა ჩემი წარწყმედა, ჩემი დაცემა; არა, ის კი არა, რაც მაიძულებდა დავცემულიყავი, არამედ საკუთრივ დაცემა!

[23] იხ. გამოსვლა, XX, 15: „არა იპარო“.

[24] შდრ. რომ. II, 14-16: „ვინაიდან როცა სჯულის არმქონე წარმართნი ბუნებრივად ასრულებენ სჯულს, მაშინ სჯულის არმქონენიც თვითონვე არიან თავიანთი თავის სჯული. ისინი გვიჩვენებენ, რომ სჯულის საქმე გულის ფიცარზე უწერიათ, რასაც მოწმობენ მათი სინდისი და მათი აზრები, რომლებიც ხან ბრალს დებენ, ხან კი ამართლებენ ერთიმეორეს, საიმდღისოდ; როცა ჩემი სახარებისამებრ, ღმერთი განსჯის კაცთა ფარულ საქმეებს იესო ქრისტეს მიერ“.

და ჩემი უკეთური სული, რომელსაც მოშლოდა და გამოსცლოდა შენი საყრდენი[25], ბიწიერების გზით კი არ მიელტვოდა სიბილწეს, არამედ - თვით ბიწიერებას!

V

10. ლამაზ საგნებს, ოქრო-ვერცხლს და სხვა მისთანათ თავიანთი ხიბლი ახლავს; სიამოვნებას, რასაც ჩვენში იწვევს შეხება, მხოლოდ შეხებასა და საგანს შორის არსებული სიმპათია განაპირობებს. თვითეულ გრძნობას მის მიერ აღქმული საგნის თავისებურება შეესაბამება[26]. თავისებურად მომხიბლავია ამქვეყნიური დიდება, მბრძანებლობა და ძალაუფლება; აქედანვე იღებს დასაბამს მონის დაუოკებელი სწრაფვაც თავისუფლებისაკენ. მაგრამ დაუშვებელია ხარბად მიელტვოდნენ ყველა ამ სიკეთეს და შენ კი გშორდებოდნენ, უფალო ჩემო, აღარც შენ ახსოვდეთ და აღარც შენი კანონი. გარკვეული ხიბლი მოსავს ჩვენს ამქვეყნიურ სიცოცხლესაც, რასაც უშუალოდ შეესატყვისება მთელი მიწიერი მშვენიერება. რა შეედრება მეგობრობას კაცთა შორის, უნაზესი და უსათუთესი კავშირით რომ აერთებს მრავალს? აი, რისი გულისთვის სცოდავს კაცი, მეტისმეტი გულმოდგინებით რომ მიელტვის ამქვეყნიურ სიკეთეს თუ კეთილდღეობას, და ამ ლტოლვისას გივიწყებს შენ, უფალო ღმერთო ჩემო, ივიწყებს თავის უკეთესსა და უზენაეს სიკეთეს, შენს სიმართლეს და შენს კანონს[27]. ტკბილია ყველა ეს მიწიერი სიკეთე, მაგრამ სად მათი სიტკბოება და სად შენი, უფელო ღმერთო, რომელმაც შეჰქმენი ყოველი, რადგანაც შენით ტკბება მართალი და თვითონვე ხარ სიტკბოება გულმართალთათვის[28].

11. ამრიგად, როცა დანაშაულის მიზეზით ეძებენ, არცერთი პასუხი არ იქნება დამაჯერებელი, გარდა იმისა, რომელიც ცხადყოფს, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა ამა თუ იმ სიკეთის მოხვეჭის მიზნით, ამქვეყნიურ სიკეთეთა რიცხვს რომ მივაკუთვნოთ, - ანდა მისი დაკარგვის შიშით. ყველა ამ სიკეთეს თან ახლავს თავისი მაცთური ხიბლი და მიმზიდველობა, თუმცა ისინი უბადრუკი და ზიზღის ღირსნი არიან უზენაეს სიკეთესთან შედარებით, რომელსაც ერთადერთს ძალუძს ნეტარეა მიანიჭოს ადამიანს. მავანმა კაცი მოკლა. რატომ? იმიტომ, რომ მისი ცოლი შეუყვარდა, ან მის ქონებაზე რჩებოდა თვალი; მსხვერპლის გაძარცვა სურდა,

[25] იხ. შენ. წიგნი პირველი, 68.
[26] მზერას - სილამაზე, ყნოსვას - სურნელება, შეხებას - სილბო თუ სიმკვრივე და ა.შ.
[27] შდრ. წიგნი პირველი, XX, 31; იხ. აგრეთვე შენ. 85.
[28] შდრ. ფსალმ. 63, 11.

რათა არხეინად ეცხოვრა მის ხარჯზე, ან ეშინოდა, თვითონვე არ გაეძარცვა მოკლულს; შეურაცხყოფილი იყო და შური იძია. ვინ მოჰკლავდა კაცს უმიზეზოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ მკვლელობით დამტკბარიყო? ვინ დაიჯერებს ამას? თვით იმ გულმხეცსაც კი, რომელზედაც ამბობენ, რომ სისასტიკეს და დაუდობლობას არავითარი საფუძველი არ მოეძებნებოდა, არამედ მხოლოდ ავკაცობის გამო ავკაცობდაო[29], - ცდილობენ შემდეგი სიტყვებით ამართლებინონ თავი: „ხელი და სული არ უნდა მოგიდუნოს უმოქმედობამ“[30]. ვითომ რატომაო? მაინც რა სურდა? როგორც ჩანს, ის, რომ თავისი ავაზაკობისა და ბოროტმოქმედების წყალობით გამხდარიყო რომის ბატონ-პატრონი, მოეხვეჭა სახელი და დიდება, ხელთ ეგდო ძალაუფლება, თავი დაეღწია გაჭირვებისათვის, რაც განპირობებული იყო მისი მამულის სიმწირით, და დაეძლია კანონის შიში, გამოწვეული თავისი ავკაცობის შეგნებით. მაშასადამე, კატილინას თავისი ბოროტმოქმედება კი არ უყვარდა, არამედ რაღაცის გულისთვის სჩადიოდა მას.

VI

12. კი მაგრამ, მაინც რა მომწონდა შენში, ქურდობავ ჩემო, ცხოვრების მეთექვსმეტე წელს ჩადენილო ღამეულო დანაშაულო ჩემო? მშვენიერებისა არა გეცხო რა: სად ქურდობა და სად მშვენიერება? მშვენიერი მხოლოდ ჩვენს ნაქურდალს თუ ეთქმოდა, რადგანაც ის შენი ქმნილება იყო, უფალო, ყოვლის შემოქმედო, უმშვენიერესო და უკეთილესო, უზენაესო და ჭეშმარიტო სიკეთევ ჩემო. დიახ, მშვენიერი იყო ჩვენი ნაქურდალი ხილი, მაგრამ ის როდი სურდა ჩემს საბრალო სულს: მასზე უკეთესიც ბლომადა მქონდა; მხოლოდ იმიტომ დავკრიფე, რომ მომეპარა. დაკრეფილი ხილი გადავყარე და მხოლოდ უსამართლობა ვიგემე: მოგეცათ ლხენა, მე მაშინ უკეღმართობის სიტკბოებით ვიჯერე გული[31]. თუმცა ორიოდე მაინც ჩავკბიჩე და ნერწყვმორეულმა ვიგრძენი, რომ დანაშაულის გემო ჰქონდა. და, აი, ახლა გეკითხები, უფალო ჩემო, რა სიამოვნება უნდა მოენიჭებინა ჩემს ქურდობას? მშვენიერებისა ხომ

[29] იგულისხმება ლუციუს სერგიუს კატილინა (108-62 ძვ.წ.ა), გაღარიბებული რომაელი პატრიციუსი, ავანტიურისტი და დემაგოგი. 68 წელს არჩეულ იქნა პრეტორად. შემდეგ სცადა კონსული გამხდარიყო, მაგრამ რამდენჯერმა დამარცხდა არჩევნებში. გაბოროტებულმა გადაწყვიტა დაემხო რესპუბლიკური წყობილება და „მხსნელად“, ე.ი. ერთპიროვნულ მბრძანებლად მოვლენოდა რომს. დემაგოგიური პოლიტიკის წყალობით საკმაოდ მრავალრიცხოვანი მომხრეები შემოიკრიბა და თავისი განზრახვის პრაქტიკულ ხორცშესხმას შეუდგა. ციცერონის მიერ მხილებული ეტრურიაში გაიქცა და ლაშქრის შეგროვება დაიწყო. 62 წლის დამდეგს ქალაქ პისტორიუმთან (დღევანდელი პისტოია) გამართულ ბრძოლაში სასტიკი მარცხი იწვნია და თვითონაც ბრძოლის ველზე დაეცა.

[30] ციტატა მოტანილია სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსის გაიუს კრისპუს სალუსტიუსის (86-35 ძვ.წ.ა) თხზულებიდან „კატილინას შეთქმულება“. სალუსტიუსი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ავტორად ითვლებოდა რომაული აფრიკის სკოლებში. ნეტარი ავგუსტინე არცთუ იშვიათად იხსნებეს მას თავის „ღვთის ქალაქში“ და საკმაოდ დიდი პატივისცემითაც.

[31] შდრ. მარკუს ავერლიუსი: „რამდენი ტკბილი წამი ახსოვს ყაჩაღს, მემრუშეს, მამისმკვლელს, ტირანს!“ („ფიქრები“, VI, 34).

ნამდვილად არა ეცხო რა: არა, იმ მშვენიერებას როდი ვგულისხმობ, რაც ნიშნეულია სამართლიანობის, კეთილგონიერების, ადამიანის ქმედითი აზრის, მეხსიერების, გრძნობებისა თუ სიცოცხლის ცხოველმყოფელობისათვის; მისთვის სრულიად უცხო იყო ცის თაღზე მოციმციმე ვარსკვლავების, დედამიწის თუ ზღვის მშვენება, ისევე, როგორც მათი ბინადარი არსებებისა, დაუსრულებლივ რომ ცვლიან ერთმანეთს შობისა თუ კვდომის უწყვეტი მონაცვლეობით; არა, მასში ვერ იპოვიდით თვით იმ მქრქალი და უღიმღამო მშვენიერების ნასახსაც, რომლითაც ბიწიერება გვაცთუნებს ხოლმე.

13. ქედმაღლობა ხომ სულის სიმაღლედ ასაღებს თავს, მაგრამ შენა ხარ, ღმერთო ჩემო, ყველაზე უმაღლესი. რას მიელტვის პატივმოყვარეობა, თუ არა პატივსა და დიდებას? მაგრამ მხოლოდ შენ უნდა გცემდეთ უმეტეს პატივს და გადიდებდეთ უკუნითი უკუნისამდე. მრისხანე ძალაუფლებას სურს შიშსა და ძრწოლას გვინერგავდეს, მაგრამ ვისი უნდა გვეშინოდეს, გარდა ღმერთისა? რა შეიძლება გამოსტაცო ან დაუმალო მის ძალაუფლებას? სად, როდის, რანაირად, ვისი მეშვეობით? შეყვარებულის სინაზე საპასუხო სიყვარულს ეძებს, მაგრამ არა არის რა შენს გულმოწყალებაზე უნაზესი, და არ არსებობს უფრო ცხოველმყოფელი სიყვარული, ვიდრე სიყვარული შენი ჭეშმარიტების მიმართ, რომელიც ყველაზე ნათელია და მშვენიერი. ცნობისწადილიც, როგორც ჩანს, ხარბად მიელტვის ცოდნას, მაგრამ მხოლოდ შენა ხარ ცოდნის სისავსე და სისრულე. თვით უმეცრება და სიბრიყვე სიმარტივისა და უმანკოების სახელს ირქმევენ, მაგრამ რა არის შენზე მარტივი, ან შენზე უმანკო და უბიწო? რადგანაც ბოროტის ყველაზე დიდი მტერი მისივე ბოროტი საქმეა[32]. მცონარება სიმშვიდის სურვილად გვაჩვენებს თავს, მაგრამ მხოლოდ უფალში თუ ვპოვებთ სიმშვიდეს. ფუფუნებას სურს სიუხვედ და განცხრომად იწოდებოდეს, მაგრამ მხოლოდ შენა ხარ უხრწნელი სიტკბოების სისავსე და ამოუწურავი სიუხვე. მფლანგველობა გულუხვობად ასაღებს თავს, მაგრამ ყველა სიკეთეს მხოლოდ შენ გვიწყალობებ გულუხვად. სიხარბეს სურს ყველაფერს ფლობდეს, მაგრამ მხოლოდ შენა ხარ ყოველის მფლობელი. შური უზენაესობას ესწრაფვის, მაგრამ რა არის შენზე უზენაესი? მრისხანება შურისძიებას მოითხოვს, მაგრამ ვინაა შენზე სამართლიანი შურისმგებელი? შიში თავს დაჰკანკალებს იმას, ვინც უყვარს, და ცდილობს ყოველგვარი უჩვეულო საფრთხისა თუ მოულოდნელი უბედურებისაგან დაიხსნას

[32] შდრ. ფსალმ. 7, 16-17... შდრ. აგრეთვე მარკუს ავერლიუსი: „ის, ვინც სცოდავს, თავისი თავის წინაშე სცოდავს. უსამართლობის მოქმედიც თავისი თავის მიმართ იჩენს უსამართლობას, რადანაც ბოროტყოფს საკუთარ თავს“ („ფიქრები“, IX, 4). „ვინაცა სცოდა, იგივე იმკის შეცოდების ნაყოფს“ („ფიქრები“, IX, 38).

იგი, მაგრამ რა არის შენთვის უჩვეულო და მოულოდნელი? ვის შეუძლია წარგტაცოს ის, რაც გიყვარს? სადაა ხსნა, თუ არა შენში? მწუხარებას ინელებს სინანული იმის დაკარგვის გამო, რითაც ტკბებოდა მისი სიხარბე, მაგრამ მხოლოდ შენა ხარ, ვინც შეუძლებელია დაკარგოს რამე.

14. ასე ირყვნება სული, შენგან განდგომილი და შენს გარეშე მაძიებელი იმისა, რასაც მხოლოდ მას შემდეგ თუ იპოვის წმინდა და შეუბღალავი სახით, რაც უკანვე დაგიბრუნდება. ყველა, ვინც განგშორებია, ან შენს წინააღმდეგ აღძრულა, თითქოს უკუღმა გემსგავსება და უკუღმართად გბაძავს[33]. მაგრამ თვით ამნაირი მსგავსებაც კი იმას მოწმობს, რომ შენა ხარ მთელი სამყაროს შემოქმედი, და ამიტომაც ვერავინ ვერსად წაგივა.

მაშ, რა მომწონდა ჩემს ქურდობაში? ან რითი ვბაძავდი უკუღმართად ჩემს უფალს? იქნებ ის მსიამოვნებდა, რომ მზაკვრულად დამერღვია კანონი, რომელსაც აშკარად ვერ დავუპირისპირდებოდი? მონად შობილს ჭეშმარიტი თავისუფლება კი არა, მისი უღიმღამო ჩრდილი მხიბლავდა, რაკიღა შემეძლო დაუსჯელად მეკეთებიანა ის, რაც აკრძალული იყო, და ამრიგად, ყოვლისშემძლეობის უბადრუკ ხატს ველოლიავებოდი. აი, თუ გნებავთ, მონა, რომელიც ბატონს გაურბის და მის ლანდს კი ეძებს[34]. ჰოი, ხრწნილებავ, ჰოი, ცხოვრების საშინელებავ, ჰოი, სიკვდილის სიღრმევ! განა შეიძლება სასიამოვნო იყოს ის, რაც აკრძალულია, მხოლოდ იმიტომ, რომ აკრძალულია?

VII

15. „რას მივაგებ უფალს“[35] მთელი იმ საგანძურიდან, რასაც იმარხავს ჩემი მეხსიერება, და რის წინაშეც არ შედრკება ჩემი სული? მე შეგიყვარებ, უფალო, მადლს შემოგწირავ და ვაღიარებ შენს სახელს, რადგანაც იმდენი ბოროტება შემინდე და იმდენი უკეთურება მომიტევე! შენს წყალობას და გულმოწყალებას ვუმადლი იმას, რომ ყინულივით დაადნე ჩემი

[33] „ცოდვილი სული თავისი ამპარტავნული, გაუკუღმართებული და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მონური თავისუფლებით ესწრაფვის იმას, რომ ღმერთს დაემსგავსოს. ასე, იმისთვის, რომ ჩვენს წინაპრებს შეეცოდათ, საკმარისი აღმოჩნდა სიტყვები: „იქნებით, როგორც ღმერთებიო“ (ნეტარი ავგუსტინე, „სამებისათვის“, 11,5,8).

[34] კვლავ მეორდება ნეტარი ავგუსტინესათვის ჩვეული მოტივი: ეს ქვეყანა მხოლოდ ლანდია საუკუნო სოფლისა, და ვინც პირველის გულისთვის ივიწყებს მეორეს, ღვთისგან განდგომილია იგი, ზეციურ ნათელს მოწყვეტილი, ხორციელ გულისთქმათა სათამაშოდ ქცეული და ბნელეთის მორევში დანთქმული („ნუ შეიყვარებთ ამ ქვეყანას, ნურც ამქვეყნიურ რასმე: ვისაც ეს ქვეყანა უყვარს, მამის სიყვარული არ არის მასში. ვინაიდან ამ ქვეყნად ყველაფერი - გულისთქმა ხორცის, გულისთქმა თვალის და სიამაყე არსებობისა, - მამისაგან კი არ არის, არამედ ამ ქვეყნისაგან“. - I იოან. II,15-16).

[35] ფსალმ. 115, 3.

ELIBRARY.SOU.EDU.GE

ცოდვები. შენივე წყალობაა ისიც, რომ ხელი ამაღებინე ავკაცობაზე, არადა, ვინ მოსთვლის, რამდენი სიავის ჩადენა შემეძლო ცოდვის უანგარო მოყვარეს!

და მე ვმოწმობ, რმო ყველაფერი მომიტევე: ის ბოროტებაც, ჩემივე ნებით რომ ჩავიდინე, და ისიც, რისი ჩადენაც შენმა გულმოწყალებამ აღმიკვეთა. ვინ, თავის უმწეობაზე დაფიქრებული რომელი კაცთაგანი გაბედავს, საკუთარ ძალმოსილებას მიაწეროს თავისი უმანკოება თუ უბიწოება, და ამრიგად, მის გულში თანდათანობით მიინავლოს შენი სიყვარული, თითქოს აღარ სჭირდებოდეს შენი გულმოწყალება, რომლითაც მიუტევებ ცოდვებს შენდამი მოქცეულთ? მაშ, დაე, ნუ დამცინებს კაცი, ვისაც უხმე და ვინც კვალდაკვალ გამოჰყვა შენს ხმას, რისი წყალობითაც თავი დააღწია იმას, რასაც ამ ჩემს მოგონებებსა თუ აღსარებებში ამოიკითხავს: მე ხომ სნეული ვიყავი და შენ განმკურნე, ან, უფრო სწორად, საშუალება არ მიეცი სნეულებას, უფრო ღრმად გაედგა ფესვი ჩემს სულში. დაე, ამის გამო ჩემსავით, არა, ჩემზე მეტადაც შეგიყვაროს, რაკიღა დაინახავს, ვინ დამიხსნა ცოდვათა კირთებისაგან, და მიხვდება, ვის უნდა უმადლოდეს, რომ თვითონაც არ გაება ცოდვის მახეში.

VIII

16. რას გამოვრჩი, მე უბედური, რომ გავიხსენე ის, რის გამოც დღეს სირცხვილით ვიწვი, მეტადრე - ჩემი ქურდობა, სადაც თვითონ ქურდობა მომწონდა მხოლოდ და მეტი არაფერი? თავისთავად ეს ქურდობაც არარა იყო, და ეს არარაობა კიდევ უფრო მამდაბლებს და მაუბადრუკებს. მაგრამ, რამდენადაც ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა მახსოვს, მარტო მე არასდიდებით არ ჩავიდენდი მას. მაშასადამე, მათი თანამზრახველობაც მიყვარდა, ვისთან ერთადაც ვიქურდე. დიახ, გარდა საკუთრივ ქურდობისა, ეტყობა, სხვა რაღაცაც მიყვარდა, მაგრამ ეს სხვა რაღაცაც, თავის მხრივ, არარა იყო.

მაინც რა? ვინ მეტყვის, გარდა იმისა, ვინც ნათელს ჰფენს ჩემს გულს და მის ირგვლივ ჩამოწოლილ წყვდიადსა ფანტავს? რა მაიძულებს ვიფიქრო, ვიმსჯელო, ვიკვლიო, თავი ვიმტვრიო? მარტოოდენ ნაქურდალი ხილი რომ მნდომებოდა, ან იმის სურვილი მქონოდა, რომ მსხლით ჩამეტკბარუნებინა პირი, ანდა ისიც საკმარისი ყოფილიყო, რომ შემეძლო დაუსჯელად, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სიამოვნებისათვის მექურდა, მარტოდმარტოც ხომ შევძლებდი ამას? რაღა საჭირო იქნებოდა ამფსონებს დავკავშირებოდი, რომ უფრო გამემძაფრებინა ჩემი უკეთური სურვილი? მაგრამ რაკი ნაქურდალ ხილს არავითარი

სიამოვნება არ მოუნიჭებია, მაშასადამე, ჩემთვის ეს სიამოვნება საკუთარივ ქურდობა იყო, თანამზრახველებთან ერთად ჩადენილი.

IX

17. მაინც რა ეთქმის სულის ამ მდგომარეობას? რა თქმა უნდა, შავ დღეში ვიყავი; მით უარესი ჩემთვის, რომ ამ საშინელებისათვის უნდა გამეძლო. კი მაგრამ, მაინც რა შეიძლება ეწოდოს ამას? „ვინ რას გაუგებს დანაშაულს?“[36]

ეს იყო გულიანი სიცილი, თითქოს შიგ გულში გვიღიტინებსო; ვიცინოდით, რადგანაც ვტყუოდით, და იმავდროულად, კიდევაც ვაბიაბრუებდით იმ ხალხსმ ვისაც, ალბათ, აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ჩვენ საერთოდ შეგვეძლო ქურდობა, და დანაშაულიც რომ გვეღიარებინა, მაინც არავინ დაგვიჯერებდა. ვერ გეტყვით, რატომ მსიამოვნებდა ის ამბავი, რომ მარტოკას არ მიქურდია. იქნებ იმიტომ, რომ მარტო კაცი ძნელად თუ გაიცინებს გულიანად. თუმცა ზოგჯერ კაცს შეიძლება მაშინაც აუტყდეს სიცილი, როცა სრულიად მარტოა, თუკი რაღაც ძალზე სასაცილო წარმოიდგინა ან გაახსენდა. მე, ჩემდა თავად, მარტოდმარტო არასდიდებით არ ვიქურდებდი, არა და არა.

აი, ღმერთო ჩემო, რა გუშინდელი დღესავით მახსოვს ამდენი ხნის წინანდელი მდგომარეობა. მარტოდმარტო არასდიდებით არ ვიქურდებდი, რადგანაც საქურდალი კი არ მხიბლავდა, არამედ თვითონ ქურდობა. მარტო რომ ვყოფილიყავი, ქურდობაში ვერაფერს ვნახავდი მოსაწონს, და ამიტომ არც ვიქურდებდი. ო, მტრულო მეგობრობავ, სულის გონებამიუწვდომელო ცთუნებავ, წყეულო სურვილო, რომელიც იმას მიელტვი, რომ რაიმე ავნო სხვას, მხოლოდ და მხოლოდ თავშესაქცევად, სალიზღოდ და სალაზღანდაროდ; დიახ, რაიმე ავნო სხვას, ყოველგვარი პირადი გამორჩენისა თუ შურისძიების გრძნობის გარეშე! მაგრამ საკმარისია ვიღაცამ წამოაყრანტალოს - „წამო, გავაიმასქნათო“, რომ უკვე გრცხვენია, თუ სხვასავით ურცხვი არა ხარ.

[36] ფსალმ. 18, 13.

X

18. ვინ გიხსნის უკუღმართობის მზაკვრულად ჩაწნულ-ჩახვეულსა და ჩაგრეხილ ხლართს? რაოდენ ბილწია საცქერლად: არც მისი გახსნა მსურს და არც დანახვა. მე მხოლოდ შენ მახსოვხარ, სამართლიანობავ და უმანკოებავ, პირმშვენიერო შენი მშვიდი ნათლის ციმციმით, უძღები ვნებით რომ მოგელტვიან შენით მაძღარნი. შენში შემოსული „თავისი პატრონის სიხარულში შედის“[37], აღარასოდეს შედრკება და მარად ბედნიერი იქნება მარადიული სიკეთის სასუფეველში. სიჭაბუკისას მე მოგწყდი და განგიდექი, უფალო ჩემო, შორს ვიყავ შენი სიმყარისაგან, და ამიტომაც სიმწირის ბუდედ ვიქეცი.

[37] მათე, XXV, 21.

წიგნი მესამე

I

1. ჩავედი კართაგენში[1]; ეს იყო სამარცხვინო სიყვარულით სავსე კარდალი[2], რომელიც დუღდა და გადმოდიოდა. მე ჯერ კიდევ არ მიყვარდა, მაგრამ მიყვარდა სიყვარული, და ფარული მოთხოვნილებით გატანჯულს მეზიზღებოდა ჩემი ტავი, მეზიზღებოდა იმის გამო, რომ ეს მოთხოვნიება საკმაოდ მძაფრი არ იყო. მე ვეძებდი ჩემი სიყვარულის საგანს, სიყვარულზე შეყვარებული. მძულდა სიმშვიდე და მძულდა გზა, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე მახე არ იყო დაგებული. მთელი შიგანი მეწვოდა შიმშილით: ეს სულიერი შიმშილი იყო, და მხოლოდ შენ შეგეძლო მისი დაცხრობა, უფალო ჩემო, მაგრამ მე ამ შიმშილის მოკვლა როდი მსურდა, რადგანაც ჯერ კიდევ არ მოველტვორი უხრწნელ საზრდოს, თუმცა იმიტომ კი არა, რომ საძღომად მქონდა: რაც უფრო მეტად მშიოდა, მით უფრო მეზიზღებოდა იგი.

ამიტომაც ჩემი სული სნეული იყო, გარე სამყაროში დანთქმული და მოწყალების მთხოვნელი გლახაკივით საწყალობლად ხელგაშვერილი, ხოლო მისი ერთადერთი გასაკითხი გრძნობად საგნებთან ლაციცი გახლდათ. მაგრამ რაკი ამ საგნებს სული არ ჰქონდათ, ცხადია, მათი შეყვარებაც შეუძლებელი იყო.

მეყვარებოდა და ვეყვარებოდი, - ჩემთვის ეს უფრო სანუკვარი იყო, ვიდრე სატრფოს სხეულის დაუფლება. სულიერი სიყვარულის წმინდა წყაროს გულისთქმის მწვირით ვამღვრევდი და ვნაბათაღელვის ჯოჯოხეთური სუნთქვით ვბღალავდი მის სიკამკამეს. ურცხვი, ურიდი და უტიფარი, უსაზღვრო ამაოებით აღსავსე, თავგამოდებით ვცდილობდი ზრდილი, დახვეწილი და მომხიბლავი მოვჩვენებოდი ხალხს. გულისთქმათა მორევში დანთქმულს მინდოდა შიგ ჩავმხრჩვალიყავი. ღმერთო დიდებულო, რანაირ ნაღველს ურევდი, შენი გულმოწყალებით, ამ სიტკბოებას. მე ვუყვარდით! ფეხაკრეფით მივიპარებოდი განცხრომის პირქუშ დილეგში, ლხენით აღვსილი თვითონვე ვიდებდი წამების ბორკილს და საშუალებას ვაძლევდი თავიანთი შანთით დავედაღეთ იჭვნეულობას, შიშს, ძრწოლას, შურს, მრისხანებას, განხეთქილებას.

---

[1] დიდი ბერძენი სწავლულის სტრაბონის (დაახლ. 64 ძვ.წ.ა - დაახლ. 24 ახ.წ.ა) ცნობით, მესამე პუნიკურ ომში (149-146 ძვ.წ.ა) დამარცხებული და მიწასთან გასწორებული, ხოლო შემდეგ იულიუს კეისრისა და ავგუსტუსის მიერ აღდგენილი კართაგენი მის (ე.ი. სტრაბონის) დროს ლიბიის ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული ქალაქი ყოფილა („გეოგრაფია“, XVII, 15). ისტორიკოსი ჰეროდიანე (III ს. ახ.წ.ა.) წერდა, რომ კართაგენი მხოლოდ რომს ჩამოუვარდებოდა სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით („ისტორია“, VII, 6). ქრისტიანობა ადრე გავრცელდა კართაგენში, მაგრამ წარმართობაც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო (იხ. ნეტარი ავგუსტინე, „ღვთის ქალაქისათვის“, 2,4; 7,26).

[2] დედანში სიტყვების თამაშია: Carthugo (კართაგენი) - sartago (ქვაბი, ტაფა). მე „კარდალი“ ვიხმარე, რათა ნაწილობრივ მაინც მიმეღწია დედნის ასონანსური ეფექტისათვის.

II

2. მე გამიტაცა თეატრალურმა წარმოდგენებმა, თვალწინ რომ მიყენებდნენ ჩემსავე სვედავსილობას და, ამრიგად, ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ. რატომ სურს კაცს მწუხარებას ეძლეოდეს სავალალო და ტრაგიკულ მოვლენათა ჭვრეტისას, თუმცა არამც და არამც არ ისურვებდა პირადად განეცადა ისინი? მიუხედავად ამისა, მას, როგორც მაყურებელს, დიახაც სურს თვითონვე განიცდიდეს მწუხარებას, და სწორედ ამ მწუხარებით ტკბება. აი, უცნაური სიშლეგე! ადამიანი მით უფრო მეტად ღელავს თეატრში, რაც უფრო ნაკლებ დაზღვეულია იმისაგან, რომ პირადად განიცადოს ის, რაც სცენაზე ხდება. როცა კაცი თავის საკუთარ სალმობას განიცდის, ამას ტანჯვა ჰქვია, სხვისი სალმობის განცდას კი - თანალმობა. მაგრამ რანაირად უნდა თანაულმობდე დრამატულ გამონაგონს? მაყურებელს იმიტომ კი არ იწვევენ თეატრში, რომ სხვას დაეხმაროს, არამედ იმიტომ, რომ მწუხარებით აღივსოს, და ის მით უფრო მადლიერია ამ გამონაგონთა ავტორისა, რაც უფრო მეტად წუხს. მაგრამ თუ ოდინდელი ან გამოგონილი უბედურება იმნაირადაა წარმოდგენილი, რომ მწუხარებას ვერ განაცდევინებს მაყურებელს, ეს უკანასკნელი მთქნარებითა და ლაძღვა-გინებით გამოდის თეატრიდან. ხოლო თუ მწუხარება განაცდევინეს, თვალის დაუხამხამებლად მისჩერებია სცენას, და სწორედ ეს ანიჭებს სიამოვნებას[3].

3. მაშ, ცრემლები და მტკივნეული განცდები გვიყვარს? რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს სურს სიხარული, სალმობას კი ყველა გაურბის, თუმცა ის მაინც სურს, რომ თანამლმობელი ერქვას; მაგრამ რაკი თანალმობა შეუძლებელია ტანჯვისა და მწუხარების გარეშე, ეს ხომ არაა ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ სიყვარულით ვემსჭვალვით წუხილს? თანალმობის წყარო მეგობრობაა. მაგრამ საით მივყავართ მას? ან საით მიედინება? რატომ ერთვის მოთუხთუხე კუპრის შმაგ ნაკადს, პირქუში ვნების ბობოქარ მორევს, სადაც თავისი არჩევანითვე იცვლება, ზურგს აქცევს თავი ციურ სიწმინდეს? მაშ, შორს თანალმობა? არამც და არამც! დაე, მწუხარება ხანდახან მაინც სასურველი იყოს. მაგრამ უფრთხილდი, სულო ჩემო, უწმინდურებას, მამა-პაპათა ღმერთის მფარველობით უფრთხილდი, ღმერთისა, რომელიც ქება-დიდებისა და თაყვანისცემის ღირსია უკუნითი-უკუნისამდე[4].

მე დღესაც თანამლმობელი ვარ, მაგრამ მაშინ, თეატრში, მე ვხარობდი შეყვარებულებთან ერთად, ვნებააღანილნი რომ ეკურკურებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ყოველივე ეს სხვა არა იყო რა, თუ არა გამონაგონი და თეატრალური თამაში. ხოლო როდესაც ერთმანეთს ეყრებოდნენ, მთელის არსებით ვიზიარებდი მათ მწუხარებას, თუმცა

[3] მართალია, ნეტარ ავგუსტინეს აქ თავისი პირადი განცდებისა და მათი ფსიქოლოგიური ანალიზის გარდა არაფერი აინტერესებს, მაგრამ მისი სიტყვები მაინც ერთგვარი ისტორიული დოკუმენტია: ისინი გვიჩვენებენ, რაოდენ ძლიერი იყო ანტიკური თეატრალური ხელოვნების ტრადიციები ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის კართაგენში და, ალბათ, არა მარტო კართაგენში.
[4] შდრ. დან. III, 52.

ორივე შემთხვევაში თანაბრად ვტკებებოდი ამ საპირისპირო განცდებით[5]. ახლა მე უფრო მეტად მებრალება ის, ვინც თავისდა სამარცხვინოდ, საკუთარი ბინიერებით ტკბება, ვიდრე ის, ვინც თავბედს ინყევლის იმის გამო, რომ დაუშრა საბედისწერო ვნებათაღელვის წყარო და, ამრიგად, დაჰკარგა უბადრუკი ბედნიერება. ეს, რა თქმა უნდა, ნამდვილი სიბრალულია, მაგრამ ამ დროს მწუხარება ტკბობის წყაროდ როდი იქცევა. გებრალებოდეს უბედური, იმასა ნიშნავს, რომ კუთვნილს მიაგებდე გულმონყალებას, მაგრამ ნამდვილ გულმონყალებას ერჩია, სიბრალულის საბაბი არ მისცემოდა. რომ არსებობდეს ბოროტმოსურნე კეთილმოსურნეობა, - რაც შეუძლებელია, - მაშინ ნამდვილი და ჭეშმარიტი თანალმობით შეძრული კაცი, ალბათ, ისურვებდა, რომ ყოფილიყვნენ უბედურნი, რათა მათ მიმართ სიბრალული გამოეჩინა. მაშასადამე, მწუხარება ზოგჯერ შეიძლება მოსაწონიც კი იყოს, მაგრამ შეუძლებელია გიყვარდეს იგი. ო, სულმოყვარე ღმერთო ჩემო, შენი გულმონყალება განუზომლად უფრო წმინდაა ჩვენსაზე, უფრო წმინდა და უცვლელი, სწორედ იმიტომ, რომ არავითარ მწუხარებას არ შეუძლია შენი მოწყვლა; „თუმცა ან კი ვის შეუძლია?“[6]

4. მაგრამ მაშინ მე სვედავსილს მხიბლავდა მწუხარება და თვითონვე დავეძებდი წუხილის საბაბს: მსახიობის თამაში, ვიღაცის შეთხზულსა და გამოგონილ უბედურებას რომ წარმოგვიდგენდა, უფრო მეტად მომწონდა და მიტაცებდა, თუკი ცრემლს მაღვრევინებდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მე - ფარას მოწყვეტილი, გზააბნეული და შენი მოწყალე მფარველობის მოძულე ცხვარი[7] ბინძური ქეცით გავქეციანდი? სწორედ ამიტომ მხიბლავდა მწუხარება, მაგრამ ის მწუხარება კი არა, სულის სიღრმემდე რომ განგვწონის: მე თვითონ ხომ ვერ ავიტანდი იმას, რისი ცქერაც ასე მიყვარდა, - წარმოსახული ტანჯვის ყურება თითქოს კლანჭებით მიკაწრავდა კანს, ანთებას იწვევდა და მთელ ტანზე ჩირქიან მუწუკებს მაყრიდა.

ასეთი იყო ჩემი ცხოვრება, უფალო ჩემო, თუკი ამას ცხოვრება ეთქმის!

III

5. მე კი შორითვე თავს მევლებოდა შენი მამობრივი გულმონყალება, და მაინც, რანაირი უსამართლობის მწვირეში ვიყავი დანთქმული! მკრეხელური იყო ჩემი ცნობისწადილი: ზურგი გაქციე და მივადექი ურწმუნოების უფსკრულის ნაპირს; ქედს ვიდე დემონთა მსახურების მძიმე უღელი, რომელთაც „მსხვერპლად ვწირავდი“[8] ჩემს ბოროტ საქმეებს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანისათვის მამათრახებდი!

[5] ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ეს პასაჟი საშუალებას გვაძლევს ჰიპოთეტურად განვსაზღვროთ იმდროინდელი თეატრების რეპერტუარი: ესაა, უწინარეს ყოველისა, პოპულარული რომაელი დრამატურგების - ტიტუს მასკენციუს პლავტუსისა (დაახლ. 250-184 ძვ.წ.ა) და ტერენციუს აფერის („აფრიკელის“: დაიბადა კართაგენში ძვ.წ.ა. 195 წ. გარდ. 159 წ.) კომედიები, რომელთა სიუჟეტიც ძირითადად სასიყვარულო ინტრიგებზეა აგებული.

[6] შდრ. II კორ. 11,16.

[7] შდრ. ლუკ. XV, 4.

[8] შდრ. მეორე სჯ. XXXII, 17.

იმდენად გავთავხედდი და გავკადნიერდი, რომ თვით შენს ტაძარში კი, საზეიმო ღმრთისმსახურებისას, მხოლოდ იმას ვნატრობდი და მიველტვოდი, რის შედეგადაც შეიძლებოდა მომესთვლა სიკვდილის მწარე ნაყოფი[9]. ამიტომაც დამსაჯე უსასტიკესი სასჯელით, მაგრამ თვით ესეც კი ღვთის წყალობა იყო ჩემს უკეთურებასთან შედარებით, ო, ღმერთო ჩემო, საშინელ განსაცდელში ჩემო ერთადერთო თავშესაფარო, განსაცდელში, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე მემუქრებოდა, როცა, ქედმაღლური თვითრწმენით აღსავსე, თანდათანობით გშორდებოდი, რადგანაც ჩემი გზა მიყვარდა, და არა შენი; მიყვარდა თავისუფლება, მაგრამ ეს იყო თავისუფლება პატრონისაგან გაქცეული მონისა[10].

6. არანაკლები ძალით მიზიდავდა ყველა ის საქმიანობა, რომელიც საპატიოდ ითვლებოდა; ვოცნებობდი ფორუმზე, მისი დაუსრულებელი დავიდარაბითურთ, და ვნატრობდი წარმატება მომეპოვებინა იქ, სადაც სახელსა და დიდებას მხოლოდ სიცრუის ხარჯზე თუ მოიხვეჭს კაცი. ასეთია კაცთა სიბრმავე, ამ სვედავსილთ კი თავიანთი სიბრმავით მოაქვთ თავი. მე პირველი ვიყავი მჭევრმეტყველების სკოლაში და უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული; ერთ რამედ ღირდა ჩემი გოროზი იერი და გაბღენძილობა! თუმცა შენ ხომ იცი, უფალო: თავი სხვებზე უფრო მშვიდად მეჭირა და არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობდი „ამრევთა“ აღვირახსნილ გამოხდომებში (თვით ეს საბედისწერო და სატანური სახელი დახვეწილობის ნიმუშად იყო მიჩნეული). მე მათ შორის ვცხოვრობდი და, ჩემდა სამარცხვინოდ, მრცხვენოდა, რომ მათნაირი არ ვიყავი. თუმცა ხანდახან მათ წრეშიაც ვტრიალებდი და, ასე განსაჯეთ, ზოგჯერ კიდევაც ვმეგობრობდი ამ თავგასულებთან, მაგრამ მათი საქციელი - უმანკო ახალბედების დაცინვა, შეურაცხყოფა და ცთუნება, მხოლოდ და მხოლოდ თავშექცევისა და საკუთარი ბოროტმოსურნეობის დაკმაყოფილების მიზნით, - ზიზღის მეტს არაფერის იწვევდა ჩემში[11]. რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო ეშმაკისეული? „ამრევებზე“ უკეთეს სახელს ვერც მოიგონებდით მათთვის. მაგრამ ეს „ამრევნი“ და მაცთურნი სხვებზე უმალ თვითონვე იყვნენ თავგზააბნეულნი, გარყვნილნი და ცთუნებულნი ბოროტი სულების მიერ, მზაკვრულად დაგებულ მახეში რომ აბამდნენ მათ, ვისაც თვითონვე უყვარდა სხვების დაცინვა და ცთუნება[12].

[9] შდრ. რომ. VII, 5.

[10] შდრ. „აღსარებანი“, წიგნი მეორე, VI, 14.

[11] „ამრევთა“ ამნაირ ქცევას, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ზუსტად ასევე აგვიწერს ჰენრიკ იბსენი თავის ბრწყინვალე დრამაში „კეისარი და გალილეველი“ (ნაწ. I - „ცეზარის განდგომილება“, II მოქმედების დასაწყისი). მსგავსება იმდენად დიდია, რომ კაცმა შეიძლება ძალაუნებურად იფიქროს: ხომ არ იყო ნეტარი ავგუსტინეს ეს პასაჟი იბენის ერთ-ერთი წყარო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ამრევთა“ ქცევა ისეთსავე ზიზღს იწვევს ათენის ორატორულ სკოლაში უფლისწულ იულიანეს „თანაკურსელთა“ - ღვთისმეტყველების მომავალ მნათობთა: ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნაზიანზელის სულში, როგორსაც ნეტარ ავგუსტინეში.

[12] „რა შეიძლება იყოს უფრო საზიზღარი, ან რამ შეიძლება დაატეხოს კაცს მეტი რისხვა უფლის მართალი მსჯავრისა და განკითხვის დღეს, ვიდრე სხვისი უბედურებით გამოწვეულ სიხარულს, რაც ადამიანს ეშმაკს ამსგავსებს?“ (ნეტარი ავგუსტინე, „კატეხუმენთა განსწავლისათვის“, 11).

IV

7. აი, რანაირ ხალხში ვტრიალებდი ჯერ კიდევ უნდილი ჭანუკი, და თან მჭევრმეტყველების ხელოვნების ვეუფლებოდი, რათა ხორცი შემესხა სრულიად ფუჭი, ქარაფშუტული მიზნისათვის და, ადამიანური ამაოებისა თუ პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, სახელგანთქმული მჭევრმეტყველი გავმხდარიყავი. განსწავლის გატკეპნილი გზით სიარულმა, ბოლოს და ბოლოს, ვინმე ციცერონის[13] წიგნთან მიმიყვანა, ციცერონისა, ვისი ენაც უფრო დიდი განცვიფრებას იწვევს, ვიდრე გული. ეს წიგნი, რომელსაც „ჰორტენზიუსი“ ეწოდება[14], გვირჩევს ფილოსოფიას მივუძღვნათ თავი.

---

[13] „ნეტარი ავგუსტინე კარგად იცნობდა ციცერდონის ნაწარმოებებს. თავის თხზულებაში „აკადემიკოსთა წინააღმდეგ“ (I,3,7) „ჩვენს ციცერონად“ იხსენიებს მას. ნეტარი ავგუსტინეს თანამედროვეთა შორის ალბათ არც მოიძებნებოდა ისეთი კაცი, ვისთვისაც უცნობი იქნებოდა ციცერონის სახელი. „ვინმე ციცერონს“ სხვადასხვაარად განმარტავენ: 1) ზოგის აზრით, ნეტარი ავგუსტინე ამით გამოხატავდა თავის ზიზღს წარმართული კულტურისადმი; ამნაირი დამოკიდებულება საერთოდ ნიშანდობლივი იყო ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ქრისტიანი მწერლებისათვის; 2) ზოგის აზრით კი, რაკიღა სურდა ხაზგასმით აღენიშნა, რომ აქ განგების ხელი ერია, ნეტარი ავგუსტინე განზრახ აკნინებდა ადამიანის მნიშვნელობას“ (რუსული თარგმანის შენიშვნები, - იხ. დასახ. გემოც. გვ.233).

[14] ჩვენ საგანგებოდ მიმოვიხილავთ ციცერონის ამ თხზულებას, რომელმაც უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ჭაბუკი ავგუსტინეს მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. „ჰორტენზიუსი“ დაიწერა ძვ.წ.ა 45 წლის გაზაფხულზე. ციცერონის ცხოვრებაში ესაა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და პირქუში ხანა. 46 წ. იულიუს კეისარი ფაქტიურად რომის ერთპიროვნული მბრძანებელი ხდება. ესაა ციცერონის მასულდგმულებელი დემოკრატიული იდეალების კრახი. რომს გარიდებული და თავის მამულში განმარტოებული დიდი რესპუბლიკელი არსებითაც პოლიტიკურ საბრიელს მიღმა რჩება. ამას ზედ ერთვის მეგობრებისა და საყვარელი ასულის ტულიას სიკვდილი. სასოწარკვეთილი ციცერონი, ბოეციუსისა არ იყოს, ცდილობს ფილოსოფიის წიაღში ჰპოვოს ნუგეში და თავშესაფარი. სწორედ ამ მიზნით იწერება დიალოგი „ჰორგენზიუსი“, რომელსაც ჩვენს დრომდე არ მოუღწევია; შემოგვრჩა მხოლოდ ფრაგმენტები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი ხდება დიალოგის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია.

ნაწარმოებში ოთხი მოქმედი პირია: ჰორტენზიუსი, ლუკულუსი, კატულუსი და თვით ციცერონი. ამქვეყნიური არსებობის ამაოების, ცხოვრებისეული სიმწირისა და სიმწარის, ყოველდღიურობის დამთრგუნველი ძალმოსილების წინააღმდეგ ბრძოლაში, კატულუსის აზრით, ყველაზე ქმედითი იარაღი პოეზიაა. ამ მხრივ, ლუკულუსი ისტორიას ანიჭებს უპირატესობას, ჰორტენზიუსი კი მჭერმეტყველებას აყენებს ყველაზე მაღლა და, ცოტა არ იყოს, აგდებულად იხსენიებს ფილოსოფიას, რომლის დამცველადაც დიალოგში ციცერონი გვევლინება.

ყოველი ჩვენგანი - ამტკიცებს ციცერონი, - ბედნიერებას სახავს ცხოვრების უმაღლეს მიზნად და ბედნიერებასვე ესწრაფვის. ეს წინაღუდგომელი სწრაფვა თვითონ ბუნებამ ჩადო დვრიტად ადამიანში, და მანვე ჩაგვინერგა ცოდნაც იმისა, თუ რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება. მაგრამ ყოველდღიურ ორომტრიალში დანთქმული ადამიანის ათასნაირი ცთომილება ახშობს და გასაქანს არ აძლევს ბუნების ხმას. ამიტომაცაა, რომ ზოგს სიმდიდრე მიაჩნია ჭეშმარიტ ბედნიერებად, ზოგს განცხრომა და ამქვეყნიური სიამით ტკბობა, ზოგსაც სახელი, პატივი თუ ძალაუფლება. მაგრამ ყოველივე ეს უხანოა და უფასური; ყველაფერი ისევე სწრაფად ქრება, როგორც კვამლი - ქარში, ან წამი - მარადმედინი დროის ნაკადში. რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე განუწყვეტელი რუდუნებით, ოფლისღვრითა და ჭაპანწყვეტით ვეძენთ, ვიხვეჭთ და ვაგროვებთ, შეიძლება ერთ წამში გამოგვეცალოს ხელიდან. აქედან - ჩვენი მუდმივი შიში და ძრწოლა, წრიალი და მოუსვენრობა, მოსალოდნელი უბედურების დამთრგუნველი და მტანჯველი განცდა. მერედა, ამას ჰქვია ჭეშმარიტი ბედნიერება? ეს შეცდომა, ფასეულობათა ეს აღრევა დასაბამს იღებს იქიდან, რომ ადამიანში ერთმანეთს ერწყმის უკვდავი სული და მკვდარი სხეული, ეს ხრწნადი გვამი, რომელსაც სული იძულებით დაათრევს ყველგან.

მაგრამ არსებობს ადამიანური ცთომილების, სულის ამ სნეულების სამკურნალო საშუალება, რომელსაც გვთავაზობს ფილოსოფია, ათასგვარი ცრურწმენისაგან რომ გვათავისუფლებს, ბედნიერების ილუზორულობაში გვარწმუნებს და სიქველის სიყვარულს გვინერგავს გულში. სიქველის გარეშე არ არსებობს ბედნიერება; ესაა სიკეთე, რომელსაც ვერავითარი ძალა, თვით ბედის უკუღმა ტრიალიც კი ვერ წაგვართმევს. თუმცა თვით სიქველეც კი არ არის სურვიელი ლტოლვის საბოლოოს მიზანი, რადგანაც მის არსებობას ცხოვრებისეული უბედურება, სულისა და სხეულის კავშირი განაპირობებს. თუკი „ნეტართა კუნძულები“ (წარმართული სამოთხე - ბ.ბ.) მართლაც არსებობენ, სადაც სხეულის დილეგიდან თავდაღწეული სულები აუმღვრეველი ბედნიერებითა და სრული ნეტარებით ტკბებიან, მაშინ იქ ადგილი აღარა რჩება სიქველეს, რადგანაც სიქველე არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ბიწიერებას უპირისპირდება, ბიწიერების სათავე კი მატერიაა, ხოლო „ნეტართა კუნძულები“ აბსოლუტურად იმმატერიალური სინამდვილეა, წმინდა სულიერების საუფლო. სულის ნეტარება სხვა არა არის რა, თუ არა ამ იდეალური სამყაროს ჭვრეტა და მარადიული ჭეშმარიტების შემეცნება. ამიტომ ჩვენი ამქვეყნიური არსებობის დანიშნულებაცა და უზენაესი მიზანიც ისაა, რომ მთელის არსებით ვესწრაფვოდეთ ცოდნას და ფილოსოფიის მეშვეობით შეძლებისდაგვარად ვეზირებოდეთ ჭეშმარიტებას, რომელიც ცთომილებისაგან გვათავისუფლებს და ამრიგად გვიჩვენებს ნეტარებისაკენ მიმავალ გზას.

ციცერონის თხზულებამ ძირფესვიანად შეცვალა ჩემი სულიერი მდგომარეობა, უფალო ჩემო, შენსკენ მოაქცია ჩემი ლოცვები და სრულიად ახალი გეზი მისცა ჩემს აღთქმებსა თუ სურვილებს. ჩემთვის ერთბაშად ნათელი გახდა მთელი ჩემი სასოების ამაობა; ამიერიდან უჩვეულო გზნებით მიველტვოდი მხოლოდ უკვდავ სიბრძნეს, და დაცემული ნელ-ნელ ვდგებოდი ფეხზე, რათა კვლავ დაბრუნებოდი[15]. არა, იმიტომ კი არა, რომ ენა დამეხვეწა, რისთვისაც დღემდე ვხარჯავდი დედაჩემის მიერ გამოგზავნილ ფულს (მაშინ ცხრამეტი წლისა ვიყავი, მამაჩემი კი ორი წლის წინ გარდაიცვალა[16], არა-მეთქი, კვლავ ვიმეორებ, ენის დასახვეწად როდი ჩავკირკიტებდი ამ წიგნს, რომელიც იმას კი არ მასწავლიდა, თუ როგორ უნდა მეთქვა სათქმელი, არამედ იმას, რაც ნათქვამი იყო შიგ.

8. ოჰ, როგორ მწვავდა, ღმერთო ჩემო, როგორ მწვავდა და მდაგავდა იმის სურვილი, რომ მიმეტოვებინა ყოველივე მიწიერი და ფრენით მომეშურებინა შენთვის! მაგრამის კი არ ვიცოდი, რას მიპირებდი. „ხომ შენშია სიბრძნე“[17], სიბრძნის სიყვარულს კი ბერძნულად ფილოსოფია ჰქვია[18]; სწორედ ამ სიყვარულს აღაგზნებდა ჩემში ეს წიგნი.

არიან ადამიანები, რომლებიც ფილოსოფიას მოყვასთა საცთუნებლად იყენებენ, და ამ დიადი, მომხიბლავი და ღირსეული სახელით ცდილობენ შენიღბონ და შეალამაზონ თავიანთი შეცდომები. ციცერონის თხზულებაში დასახელებული და მხილებულია თითქმის ყველა ამნაირი ფილოსოფოსი, მისი თანამედროვეებიცა და წინამორბედნიც, რაც ერთხელ კიდევ გვიდასტურებს სული წმიდის კეთილმოსურნე გაფრთხილებას, შენი ერთგული და ღვთისმოსავი მსახურის მიერ გაცხადებულს: „ფრთხილად, არავინ გაცთუნოთ სიბრძნის

ასეთია დაახლოებით „ჰორტენზიუსის“ იდეურ-შინაარსობრივი სამყარო. საკითხავია, რას უნდა მიეწეროს ის უჩვეულო ზემოქმედება, რაც მან მოახდინა ჭაბუკი ავგუსტინეს სულზე. აკი თვითონაც, სიყრმეშიც და სიჭაბუკეშიც, თავის მშობლიურ თავასტაშიც, მადავრასა თუ კართაგენშიც, გატაცებით ეუფლებოდა ცოდნას. როგორც ყველა მაღალნიჭიერი და პატივმოყვარე ყმაწვილი კაცისათვის, უწინარეს ყოვლისა, მისთვისაც ცოდნა იყო სახელისა და დიდების მოხვეჭის ყველაზე საიმედო საშუალება. მაგრამ მისი მისწრაფებისა და „ჰორტენზიუსის“ საერთო მიზანდასახულობის არსებითი განსხვავება ესაა სწორედ. ავგუსტინეს მხოლოდ საშუალებად მიაჩნდა ცოდნა, ციცერონს კი - მიზნად, მეტიც, თვითმიზნად, რადგანაც დიდი რამაელი ორატორის აზრით, რასაც სოკრატეს მსოფლგაგება ედო საფუძვლად, ცოდნა იგივე იყო, რაც სიქველე და სულიერი სრულყოფილება.

ამიტომაცაა, რომ ამიერიდან ნეტარი ავგუსტინეს ინტელექტუალურ ქმედითობას მთლიანად განაპირობებს სულის სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ. სულიერი ცხოვრების ცენტრი რადიკალურად გადაადგილდა, რამაც განსაზღვრა ჭაბუკის ცნობიერ ძიებათა ახალი პროგრამის შემუშავება. ამიერიდან ის ბრმად აღარ ენდობა, აღარ ემორჩილება თავის ინსტინქტებს და მთელის არსებით მიილტვის რაციონალურად დასაბუთებული და მტკიცედ დასახული მიზნისაკენ - თვითონვე გამოსჭედოს საკუთარი ბედნიერება, რაციონალურ საწყისებზე დააფუძნოს და ბედის ტრიალისაგან დამოუკიდებელი გახადოს იგი.

მაგრამ ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჭეშმარიტება თავდაპირველად ეუფლება გონებას და მხოლოდ შემდეგ მოიცავს დანარჩენსაც“ („საღმრთო საკითხთათვის“, 67,6). ეს „დანარჩენი“ კი გრძნობაა და ნება. „ჰორტენზიუსის“ ზემოქმედების შედეგად ჭაბუკი ავგუსტინე დარწმუნდა, რაოდენ ფუჭი იყო სიმდიდრის, სახელისა თუ პატივის მოხვეჭა დაესახა მიზნად. მაგრამ მისი ნება ჯერ კიდევ ამ მძვინვარე ვნებების ტყვედა რჩებოდა და მისი სურვილები აშკარად არ შეესაბამებოდნენ მისსავე რაციოალურ რწმენას. ამიტომაც მომავალში აუცილებელი შეიქნა თავგანწირული ძალისხმევით დაეთრგუნა მის არსებაში მბორგავი ვნებები, რათა სულიერი ჰარმონიისათვის მიეღწია.

[15] ნეტარი ავგუსტინე კვლავ უბრუნდება თავის საყვარელ მოტივს: ძე შეცთომილის დაბრუნებას მშობელ მამასთან (იხ. ლუკა XV, 18).

[16] ნეტარი ავგუსტინე დაიბადა 354 წლის 13 ნოემბერს. მაშასადამე, მამამისი 371 წელს გარდაცვლილა.

[17] იობი, XII, 13.

[18] „ფილოსოფია! კომპოზიტია: „ფილია“ - „სიყვარული“, „სოფია“ - „სიბრძნე“.

მოყვარებითა და ფუჭი საცთურით, კაცთა გადმოცემებისა თუ ქვეყნის საწყისთამებრ, და არა ქრისტეს თანახმად, რადგანაც მასში მკვიდრობს ღვთაების მთელი სავსება სხეულებრივად“[19].

მაგრამ ამ ხანად, შენ ხომ იცი, ნათელო ჩემი გულისა, მე ჯერ კიდევ არ ვიცნობდი მოციქულის ამ სიტყვებს, და მაინც ვტკბებოდი ციცერონის თხზულებით, რომელიც შეგვაგონებდა, ესა თუ ის ფილოსოფიური სკოლა კი არ გვყვარებოდი, არამედ - საკუთრივ ფილოსოფია, და მისკენ სწრაფვის, მისი დაუფლებისა და მასთან ზიარების დაუოკებელ სურვილს გვიღვივებდა გულში. მხოლოდ ერთი რამ ანელებდა ჩემს გზნებას: შიგ ნახსენებიც არ იყო ქრისტე[20], ხოლო ეს სახელი, შენი გულმოწყალების მეოხებით, უფალო ჩემო, შენი ძისა და ჩემი მაცხოვრის სახელი, დედის რძესთან ერთად შევიწოვე და შევისისხლხორცე: ის ღრმად აღიბეჭდა ჩემს ბავშვურ გულში, ასე რომ, ვერცერთი წიგნი, რაგინდ მომხიბლავი, ღრმააზროვანი და დახვეწილიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მთელი არსებით ვერ გამიტაცებდა.

V

9. ამრიგად, გადავწყვიტე გულდასმით ჩავჯდომოდი საღმრთო წერილს, რათა მენახა, რა არის ეს. და, აი, მე ვხედავ, რომ ესაა ქედმაღალთათვის რაღაც გაუგებარი, ბავშვებისათვის - გონებამიუწვდომელი; იდუმალებით მოსილი შენობა დაბალი შესასვლელით, რომელიც მით უფრო მაღლდება, რაც უფრო მეტად შედიხარ სიღრმეში. მე არც შიგ შესვლა შემეძლო და არც თავის დახრა, რომ ორიოდე ნაბიჯი მაინც წამედგა წინ. ამ სიტყვებს არაფერი აქვთ საერთო ჩემს მაშინდელ განცდასთან, ერთბაშად რომ დამეუფლა, როგორც კი საღმრთო წერილს მივყავი ხელი: იმის ღირსადაც არ მომეჩვენა რომ ციცერონის ბრწყინვალე სტილისათვის შემედარებია[21]. ჩემი ყოყოჩობა ვერ ურიგდებოდა მის სისადავეს; ჩემი მზერა ვერ აღწევდა მის სიღრმეში; მართალია, მისი მკითხველი მით უფრო მეტად იზრდება, რაც უფრო მეტად მიიწევს წინ, ზუსტად ისევე, როგორც იზრდება პატარა ბავშვი, მაგრამ მე მეზიზღებოდა ბალღური უნდილობა და მედიდურად გაბღენძილს უკვე დიდი მეგონა თავი.

[19] კოლ. II, 8-9.

[20] ცოტა არ იყოს, უცნაური მოთხოვნაა: როგორც აღვნიშნეთ, „ჰორტენზიუსი დაიწერა ძვ.წ.ა 45 წლის გაზაფხულზე (იხ. ზემოთ, შენ. 14), ხოლო მისი ავტორი ორი წლის შემდეგ (43 წ.) დაიღუპა.

[21] თავის მეორე თხზულებაში „რწმენის სარგებლობისათვის“ (2) ნეტარი ავგუსტინე აღნიშნავს, რომ „დაბადებამ“ თავდაპირველად თითქმის ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რანაირსაც ახდენდნენ „დედაბრების ზღაპრები“ („quasi aniles fabulas“)... აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმის კითხვამ ბერძენი და რომაელი კლასიკოსების შემდეგ, რომლებიც მთელის არსებით უყვარდა, ასეთივე შთაბეჭდილება აღუძრა ნეტარი ავგუსტინეს თანამედროვეს, დასავლური ეკლესიის ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწეს წმ. იერონიმეს (დაახლ. 346-420 წ. - „წერილები“, 22,30), რომელსაც ერთხელ თურმე ძილში ჩაესმა იდუმალი ხმა: „შენ ქრისტიანი კი არა არ, არამედ ციცერონისტიო“ (იხ. Grand dictionnaire universel du XIXe siecle, s.a. V. IX, p.950).

VI

10. ასე აღმოვჩნდი ქედმაღალთა, ბორგნეულთა, ხორცის მსახურთა და ებედთა შორის. მათი სიტყვები „ეშმაკის მახე“[22] იყო, სქელი წებოთი შეკრული და შემოწინებული მარცვლების გროვა, ცალკეულ სახელებს რომ ქმნიდნენ: უფალი ღმერთი, იესო ქრისტე, პარაკლეტოსი[23], ნუგეშისმცემელი ჩვენი, სული წმინდა[24]. ეს სიტყვები ერთავად პირზე ეკერათ, თუ სიტყვები ეთქმოდა ამ უაზრო რახა-რუხს, გაუთავებელ ფშვენას თუ ქშენას: ჭეშმარიტების ნათელი არა ნათობდა მათ გულში. წარამარა გაიძახოდნენ: „ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება“, და ვინ მოსთვლის, რამდენს მეჩიჩინებოდნენ მასზე, მაგრამ სინამდვილეში ჭეშმარიტებისა არა ეცხოთ რა. ყალბი იყო მათი მოძღვრება არა მარტო შენზე, რომელიც ჭეშმარიტად ხარ ჭეშმარიტება, არამედ შენს მიერ შექმნილი სამყაროს საწყისებზედაც, მე კი მმართებდა ზურგი მექცია თვით იმ ფოლოსოფოსებისთვისაც, რომლებიც სიმართლეს ამბობდნენ, ზურგი მექცია შენდამი სიყვარულის გამო, მამაო ჩემო, უზენაესო სიკეთევ, მშვენიერებათა მშვენებავ[25].

---

[22] I ტიმ. III, 7; II ტიმ. II, 26.

[23] „პარაკლეტოს“ - ნუგეშისმცემელს, ქომაგს, მოსარჩლეს ნიშნავს ბერძნულად.

[24] ნეტარი ავგუსტინე გულისხმობს III ს. ვინმე მანისა თუ მანასეს (დაახლ. 216-275 წ.) მიერ ახლო აღმოსავლეთში დაარსებული რელიგიური სექტის წევრებს - მანიქეველებს. მანის მოძღვრება წარმოადგენდა, ერთის მხრივ, ძველი აღმოსავლური (ქალდეურ-ბაბილონური და სპარსული: ზოროასტრიზმი, მაზდეანობა, ფარსიზმი) რელიგიებისა თუ მითიური თქმულებების, ხოლო მეორეს მხრივ, ქრისტიანული გადმოცემებისა და რიტუალების უცნაურ სინთეზს. მანიქეველები ქრისტეს მიმდევრებად ასაღებდნენ თავს, თუმცა ამ ერეტიკულ სექტას სინამდვილეში ძალზე ცოტა რამ ჰქონდა საერთოდ ორთოდოქსულ ქრისტიანიზმთან.

თვითონ ავგუსტინე შემდეგნაირად აგვიხსნის, რამ განაპირობა მისი კავშირი მანიქეველებთან: „ხომ მოგეხსენება, ჰონორატუს, რატომაც აღმოვჩნდი ამ ხალხში: ისინი აღუქვამდნენ ყველას, ვინც მოისურვებდა მათთვის ესმინა, ღმერთთან მიეყვანათ და ყოველგვარი ცთომილებისაგან დაეხსნათ, რადგანაც მათი წარმმართველია წმინდა და მარტივი გონება, რაკიღა ეკლესიის მრისხანე ავტორიტეტისაგან თავისუფალნი არიან. სხვა რა მაიძულებდა ზურგი მექცია რწმენისათვის, ბავშვობიდანვე რომ ჩამინერგეს მშობლებმა, თითქმის ცხრა წლის მანძილზე ამ ხალხის მიმდევარი ვყოფილიყავი და ყურადღებით მესმინა მათთვის, დიახ, სხვა რა მაიძულებდა, თუ არა მათი მტკიცება: თქვენ (ქრისტიანები) დაშინებულნი ხართ ცრურწმენებით, თქვენ გიბრძანებენ გწამდეთ და განსჯასა და ფიქრს გიკრძალავენ, ჩვენ კი არავის ვაიძულებთ ირწმუნოს ისე, თუ წინასწარ არ ავუხსნით, რა არის ჭეშმარიტებაო. ვის არ აცთუნებდა ამნაირი აღთქმა? მით უმეტეს მე, ჭეშმარიტების ხარბად მაძიებელ ჭაბუკს, ამპარტავან ყბედს, როგორიც ვიყავი მაშინ“ („რწმენის სარგებლობისათვის“, 1,2); „მე დავაჯერე თავი, რომ უფრო იმათ უნდა ვნდობოდი, ვინც გვარწმუნებს, ვიდრე იმათ, ვინც გვიბრძანებს“ („ნეტარი ცხოვრებისათვის“, 1,4).

[25] ეს მწვავე სინანული კვლავ არაერთხელ განმეორდება ქვემოთ. მაგრამ ფაქტია, რომ ნეტარი ავგუსტინე მთელი ცხრა წლის განმავლობაში მანის მიმდევართა სექტას ეკუთვნოდა, და ჩვენ ბევრი რამ გაუგებარი დაგვრჩება „აღსარებათა“ ტექსტში, თუ მოკლედ მაინც არ მიმოვიხილეთ მანიქეველთა ფანტასმაგორიული მოძღვრება.

ისევე, როგორც ძველი აღმოსავლეთის თითქმის ყველა პრიმიტიული რელიგია, მანიქეიზმიც რადიკალური დუალიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი: დასაბამიდან არსებობდა ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისი, ორი ძირეულად განსხვავებული სუბსტანცია: კეთილი და ბოროტი, ნათელი და ბნელი. ნათელი საწყისი, ტავის ყველა ნაწილსა თუ გამოვლენაში საკუთარი თავის ერთარსი, ცალკეულ ჰიპოსტასთა, ემანაციათა, ანგელოსურ არსებათა და მათ ადგილსამყოფელთა მთელ სისტემად განიტოტება. სივრცეში განფენილობის თვალსაზრისით ის სამ სხვადასხვა სფეროდ იყოფა. ამათგან ყველაზე მაღალი სფერო სინათლის მთელი სამყაროს უზენაესი მბრძანებლის, მამისა და მეუფის - კეთილი ღმერთის სამკვიდროა, ღმერთისა, რომელსაც ხუთი „სხეულებრივი“ (თვინიერება, ცოდნა, ერთგულება, კეთილშობილება, სიბრძნე) ატრიბუტი მიეწერება. ამ ატრიბუტებს ასოებიც ჰქვიათ ფიგურალურად, რადგანაც ღმერთის სუბსტანცია უშუალოდ გრძელდება მათში.

მომდევნო სფეროს მთლიანად ავსებს სხივოსანი ეთერი, რომელიც ზუსტად იმავე ატრიბუტებით ხასიათდება, რომლებიც მიეწერება ღმერთს, რაც მათ სუბსტანციურ იგივეობაზე მიგვანიშნებს. და ბოლოს, ყველაზე ქვემოთა, მესამე სფერო ე.წ. „დაუბადებელ მიწას“, სინათლის მთელი სამყაროს ამ ერთგვარ მტკიცე საძირკველს თუ საყრდენს უჭირავს, რომელიც, თავის მხრივ, ხუთი სხვადასხვა ნაწილისა თუ ასოსაგან, ანუ, ფილოსოფიური ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ელემენტისაგან ითხზვის: ჰაერის მშვიდი სუნთქვა, ქარი, შუქი, ცეცხლი და წყალი. დაუბადებელი მიწა ათასგვარი სიკეთითაა შემკული: მოლივლივე ნათელში დანთქმულ საგანთა მშვენიერება, ფორმათა სინატიფე და დახვეწილობა, მაცოცხლებელი ჰავა, მომხიბლავი ჭალაკები, ზურმუხტოვანი ველ-მინდვრები, ხილით დახუნძლული ბაღები.

ELIBRARY.SOU.EDU.GE

მისი მბრძანებელია ნათელი ღმერთი, თორმეტი პირველშობილი „სიდიადის“ ასაბიით გარშემორტყმული; მათ მოსდევენ უფრო დაბალი რანგის „სიდიადენი“ და ბოლოს, სულების, ღვთაებებისა თუ ანგელოზების ლეგიონები.

სინათლის სამკვიდროს მკვეთრად უპირისპირდება ბნელეთის საბრძანებელი. ეს პირქუში სამყარო ხუთი სხვადასხვა სფეროსა თუ „მღვიმისაგან“ შედგება, რომელთა თანმიმდევრობაც, დაღმავალი რიგით, ასეთია: კვამლის, ბობოქარი ქარის (გრიგალის), ყოვლისმმუსრველი ცეცხლის, მავნე წყლისა და წყვდიადის მღვიმე. ყველა ზემოხსენებული სტიქიონი აქ თავის დამარგრეველი, ველური და ქაოტური ძალით ვლინდება. ნათლის სამყაროს მიწისაგან განსხვავებით, ბნელეთის მიწა მთლიანად მოფენილია ჯურღმულებით, უძირო ნაპრალებით, უფსკრულებით, შმორიანი ჭაობებით, უსიცოცხლო უდაბნოებით, გაუვალი შამბნარითა და შხამიანი წყაროებით, რომელთა ზედაპირსაც მომწამვლელი ოხშივარი ასდის.

ბნელეთის საბრძანისს, ისევე, როგორც სინათლისას, თავისი მეუფე ჰყავს, რომლის არსებობაც მარადიულია და წარუვალი, მაგრამ ეს საბოლოოდ დასრულებული პიროვნული არსება კი არაა, არამედ მხოლოდ ქაოტურად მოძრავ სტიქიონებში ვლინდება და მათგანვე იღებს დასაბამს. ბნელეთის სამეფო დემონიურ არსთა ურიცხვი სიმრავლითაა დასახლებული. ისინი ბნელეთის მეუფის ნაშიერნი არიან. გარდა ამისა, ყოველი სტიქიონი დასაბამს აძლევს ცოცხალ არსებათა ამა თუ იმს სახეობას და, იმავდროულად, მათ საცხოვრისადაც გვევლინება: წყვდიადი - ქვეწარმავლებს, წყალი - მცურავებს, ქარი - ფრთოსნებს, ცეცხლი - ოთხფეხებს, კვამლი კი - ორფეხებს და მთელი ბნელეთის მბრძანებელს - სატანას.

ეს ორი სამეფო - სინათლისა და სიბნელისა, სიკეთისა და ბოროტებისა - უშუალოდ ეხება და ესაზღვრება ერთიმეორეს. ორივე უსაზღვროა და უსასრულო, მაგრამ ეს უსაზღვროება ყოველმრხივი როდია. პირველი უსასრულოდ განიფინება ზევით, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან, მაგრამ ქვემოდან ზღვარდებულია სიბნელის სამეფოთი, რომელიც, თავის მხრივ, შემოსაზღვრულია ზემოდან და უსასრულოა ყველა სხვა მიმართულებით. ამ ორ სამეფოს შორის შუალედური ადგილი უჭირავს რეალურ სამყაროს, სადაც ერთმანეთშია ალუფხული სინათლზე და სიბნელე, სიკეთე და ბოროტება, რასაც კოსმიური დრამა - ორი მტრული საწყისის დაუსრულებელი ორთაბრძოლა განაპირობებს.

სინათლის სამეფოსათვის ტრაგიკული აღმოჩნდა ამ დრამის პირველი აქტი - ბრძოლის დასაწყისი. ბნელეთის მოციქულები - გულხარბი, ქედმარალი და მძვინვარე დემონები, რომლებიც მანამდე ერთმანეთს ნთქამდნენ, პირველად გაერთიანდნენ თავიანთი მთავრის სატანის მეთაურობით და თავს დაესხნენ მათ უახლოეს მეზობელს - სინათლის სამეფოს მიწას. მაშინ სინათლის მეუფემ ზეციურ ძალებს კი არ უხმო მტერთან საომრად, რომლებიც სიკეთისა და აღმშენებლობითი საქმიანობისთვის იყვნენ შექმნილნი და ნგრევის, ხოცვა-ულეტისა და განადგურების არაფერი გაეგებოდათ, არამედ საგანგებოდ შექმნა „სიცოცხლის დედა“, ამ უკანასკნელმა კი - მამის თანაარსი „პირველი კაცი“, რომელმაც სინათლის წმინდა სტიქიონებით - ჰაერის მშვიდი სუნთქვით, ქარით, შუქით და წყლით საქსოვი პერანგი მოირგო ტანზე აბჯრად, შუბისა და ფარის ნაცვლად კი ცეცხლი იპყრა ხელთ და ასე ეკვეთა ბნელეთის მთავარს, თავის მხრივ, სიბნელის სამეფოს უწმინდური სტიქიონებით - კვამლით, გრიგალით, ყოველისმმუსვრელი ცეცხლით, მავნე წყლითა და წყვდიადით რომ აღჭურვილიყო.

შეტაკებისას გამარჯვების სასწორი ბნელეთის მთავრისაკენ გადაიხარა. მაშინ „პირველმა კაცმა“ გადაწყვიტა ხერხი ეხმარა: თავისი თავიცა და თავისი ნათელი სტიქიონებიც, ანუ ელემენტები, შესაჭმელად მიეცა ბნელეთის მოლაშქრეთათვის, რათა თვინიერების საწყისით დაეცხრო უკეთურთა სიშმაგე და გაენეიტრალებინა მათი ბოროტება. მაგრამ ამ კეთილშობილურმა თავგანწირვამ ნაყოფი არ გამოიღო, რადგანაც დემონებმა შთანთქმით კი შთანთქეს სინათლის ელემენტები, მაგრამ თავიანთი შხამი შეურიეს მათ ბუნებას, რამაც ისევე იმოქმედა „პირველი კაცის“ გონებაზე, როგორც ცოფიანი ძაღლის კბენამ. ცნობამიხდილმა იმდენი მაინც შესძლო, რომ ზეცას შეჰღაღადა და მამას სთხოვა შველა. მაშინ სინათლის მეუფემ „პირველი კაცის“ სახსნელად შეჰქმნა ტრიადა: „ნათლის მეგობარი“, „ნათლის მეგობარმა“ - „დიადი ბანა“, ამ უკანასკნელმა კი - „სიცოცხლის სული“. „ნათლის მეგობარი“ პირველი ჩავიდა ბრძოლის ველზე და დემონთა შხამისაგან გაწმინდა „პირველი კაცი“, მაგრამ ის კი ვერ მოახერხა, რომ თავის ზეციურ სამშობლოში დაებრუნებინა იგი. მაშინ „სიცოცხლის სულმა“ ხმამაღლა უხმო სატანის ტყვეს, რომელიც კვლავ ღმერთად იქცა, მერე ხელი ჩაუწოდა დაცემულს, წამოაყენა და ბნელეთის უფსკრულიდან კვლავ სინათლის სამეფოში დააბრუნა.

მაგრამ ბნელეთის მოციქულთა ხელში დარჩა ფასდაუდებელი ნადავლი - „პირველი კაცის“ საჭურველი: ხუთი წმინდა ელემენტი, რომელთაგანაც ეს საჭურველი იყო დამზადებული, ნაწილობრივ დემონებმა შთანთქეს, ნაწილობრივ კი ბნელეთის სამყაროს უწმინდურ ელემენტებს შეერივნენ და ასე წარმოიქმნენ ე.წ. ემპირიული ელემენტები. ყველაფერი, რაც კარგი, სასარგებლო და სასიკეთოა მათში, წმინდა ელემენტებისეულია, ყოველივე მავნე და უკეთური კი უწმინდური ელემენტებისაგან იღებს დასაბამს. ასე მაგალითად, ცეცხლისათვის ნიშნეულია სითბო, სინათლე, განმწმენდი ძალა, მაგრამ ის, იმავდროულად, ყოველისშთანმთმქელიცაა და ყოვლისმმუსვრელიც. იგივე ითქმის ყველა სხვა ელემენტზედაც. ამრიგად, ბნელეთის ძალებმა თავისას მიაღწიეს და ნაწილობრივ დაეუფლნენ ღვთაებრივ სუბსტანციას. მაგარამ სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. „პირველი კაცი“ სიბნელის სამეფოს ფსკერამდე ჩავიდა, რათა უწმინდურ ელემენტთა ფესვები გადაეჭრა და, ამრიგად, გამრავლების საშუალება მოესპო მათთვის, რის შემდეგაც კვლავ დაუბრუნდა გადახდილი ბრძოლის ასპარეზს - სინათლის სამყაროს მიწას და თავის ანგელოსებთან ერთად ბნელეთის ელემენტებისაგან მის გაწმენდას შეუდგა.

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ნათლისა და ბნელის ნაზავიდან გამოეყოთ წმინდა ელემენტები და სინათლის სამეფოსათვის დაეუბრუნებინათ ისინი. ამ მიზნით, თვით ნაზავისა და ბრძოლაში დატყვევებულ ბნელეთის დაშქრის არქონტთა (თავკაცთა) ნაწილებისაგან „სიცოცხლის დედამ“ შექმნა ახალი სამყარო - ადამიანთა დღევანდელი საცხოვრისი. ემპირიული ელემენტები მიწის შესაქმენლ მასალად გამოიყენა, არქონტთა ნაწილს ტყავი გააძრო და ათი ცის თაღად გადაჭირა, ხოლო მიწაზე მიმოფანტული მათი ძვლები მთებად და კლდეებად იქცა. დანარჩენ დატყვევებულ არქონტებს ბორკილები დაადეს და იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი

ნათელი ჰქონდა შთანთქმული, სინათლის სამეფოს სხვადასხვა სფეროს ცას მიაჯაჭვეს. შემდეგ წმინდა ცეცხლის ნაშთისაგან „სიცოცხლის დედამ“ შექმნა მზე, წმინდა წყლის ნაწილაკებისაგან კი - მთვარე, - ორი ვეება ხომალდი, დღისით და ღამით რომ სერავენ ციურ ოკეანეს.

ამნრაიად შექმნილი სამყარო თითქოს ერთგვარი ხელოვნური მანქანაა, გამიზნული ნათლისა და ბნელის ნაზავიდან სინათლის ელემენტების გამოსაყოფად, მათ შესაკრებად და გასაწმენდად. ამ მიზნით, ცის თაღზე დამაგრებულია მარად მბრუნავი გიგანტური ბორბალი თორმეტი ვეება სათლითურთ (ზოდიაქოს თანავარსკვლავედები), რომლებიც ისრუტავენ უსასრულო სივრცეში მორიალე სინათლის ნაწილაკებს და გასაწმენდად მთვარის ზედაპირზე ღვრიან, ხოლო მთვარე მის მიერ გადარჩეულსა და სათანადოდ გადამუშავებულ ნაწილაკებს მზეს უგზავნის გაწმენდის პროცესის დასამთავრებლად. ამის შედეგად, მთვარე, თანდათანობით რომ ივსება სინათლის ნაწილაკებით, თოთხმეტი დღის განმავლობაში მატულობს, ხოლო როცა მზეს უგზავნის მათ, დროის იმავე პერიოდის მანძილზე ნელ-ნელა ცხრება.

სამყაროული მანქანა ისე სრულყოფილად მუშაობდა, რომ სიბნელის სამეფო კატასტროფის წინაშე დადგა: ეტყობოდა, საერთოდ ვეღარ შეინარჩუნებდა სანუკვარ ნადავლს. მაშინ სატანამ „საყოველთაო მობილიზაცია“ გამოაცხადა. მისი ბრძანებით, მაღალი რანგის ყველა დემონი თანაეყო თავის მეუღლეს, მათი ნაშიერნი კი ბნელეთის მთავარმა შთანთქა, რის შედეგადაც სატანის არსებაში კონცენტრირებული აღმოჩნდა მის მიერ შთანთქმულთა როგორც ბნელი, ისე ნათელი საწყისიც, და ყოველივე ეს მან გადასცა თავის მეუღლეს, რომელთან პირველი თანაყოფის შედეგად გაჩნდა ადამი, მეორე თანაყოფისას კი ევა მოევლინა ქვეყანას. აქედან იღებს დასაბამს ადამიანის მრჩობლი (ორადი) ბუნება: მის არსებაში ერთმანეთს ერწყმის სინათლის სამეფოს ნაშიერი სული თავისი სიწმინდით, სიკეთითა თუ სიქველით, და ბნელეთის ნაშიერი სხეული თავისი ხრწნილებით, სიბილწით, უკეთურებით, თავისი ბობოქარი ვნებებით. პირველქმნილ ადამიანებს ბნელეთის სამეფოს არქონტებმა სამოთხეში მიუჩინეს ბინა, სადაც მათ შეეძლოთ ეგემათ ყოველი ხის ნაყოფი, გარდა ცნობადის ხისა. ადამი ერთხანს ინარჩუნებდა სიწმინდეს და უბიწოებას, მაგრამ ბოლოს აცთუნა ევამ, რის შედეგადაც ქედი მოიდრიკა ბნელეთის ძალთა წინაშე, თავისი სული სამუდამოდ დაუკავშირა მატერიალურ საწყისს და საუკუნო ტანჯვა-წამებისათვის გასწირა ადამიანთა ურიცხვი თაობა, კაცთა მთელი მოდგმა.

სამყაროული პროცესი დასრულდება ერთმანეთში შერეულ ელემენტთა განცალკევებით, მაგრამ დასაბამიერი მდგომარეობის მთელი სისრულით აღდგენა მაინც შეუძლებელი იქნება: „პირველი კაცის“ მიერ ფესვებგადაჭრილი სიბნელის სამეფო ძველებურად ვეღარ იმძლავრებს და ვეღარც სინათლის სამეფოს დაემუქრება, მაგრამ ეს უკანასკნელი მთლიანად მაინც ვერ დაიბრუნებს ბნელეთის მიერ მიტაცებულ წმინდა ნაწილაკებს, რომელთა გარკვეული რაოდენობა, ცოდვილთა სულების სახით, განწირულია იმისათვის, რომ სამუდამოდ ბნელეთის ტყვეობაში დარჩეს. მაგრამ ეს იქნება შემაკავშირებელი ფაქტორი ბნელეთის ძალთა ბოროტებისთვის.

მანიქეისტური სისტემის პრინციპებითაა განსაზღვრული მისი, როგორც რელიგიის, პრაქტიკული ასპექტიც. რაკიღა დემონები ცდილობდნენ მორჩილებაში იყოლიონ სული, ხოლო სამისოდ ყველაზე ქმედითი საშუალება ისაა, რომ სხეულსა და მატერიალურ სამყაროს მიაჯაჭვონ იგი, ამიტომ მათი მიზანია რაც შეიძლება გაამძაფროს თვითშენახვის, გვარის გაგრძელების, მესაკუთრეობის და სხვა ამნაირი ინსტინქტები. ქორწინება, მიწათმოქმედება, საერთოდ, სამეურნეო საქმიანობა, ვნებათაღელვა, ანგარება და ა.შ. - ამ ბორკილებს გამუდმებით ჭედენ ისინი. სული კი, პირიქით, უნდა ცდილობდეს დაამსხვრიოს ეს ბორკილები, რათა გაწყვიტოს ყოველგვარი კავშირი მატერიალურ სინამდვილესთან და ამრიგად ეზიაროს თავისუფლებას.

მაგრამ ეს ძალიან ძნელი საქმეა: ყველას როდი შეუძლია ზურგი აქციოს იმას, რითაც ცოცხლობს და სულდგმულობს ადამიანი. ამიტომ მანიქეველები ორად ჰქოფდნენ თავიანთ მწვალებლურ სექტას: „რჩეულნი“, ანუ „სრულქმნილნი“ და „მსმენელები“, ანუ „კატეხუმენები“ (ნეტარი ავგუსტინე ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა). რჩეულთათვის ნებადართული იყო მხოლოდ მცენარეული საზრდო, რომელიც სინათლის ყველაზე მეტ ნაწილაკებს შეიცავდა. მაგრამ მათ ეკრძალებოდათ ხორცის ჭამა და ღვინის სმა, ისევე, როგორც ქორწინება, მიწათმოქმედება, ვაჭრობა და, საერთოდ, ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმიანობა. ხილი რომ ხილია, მისი დაკრეფის ნებაც არ ჰქონდათ. „რჩეულთაგან“ განსხვავებით, „მსმენელებს“ შეეძლოთ ღვინოც ესვათ და ხორციც ეჭამათ, ექორწინათ, ევაჭრათ და ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში მიეღოთ მონაწილეობა. მათვე ეძლეოდათ მცენარის მოჭრის უფლებაც, რაც, მანიქეველთა აზრით, მისატევებელ ცოდვად ითვლებოდა, რომლის ჩამდენიც შეიძლებოდა „რჩეულთა“ ლოცვით განწმენდილიყო. ამის სანაცვლოდ „მსმენელებს“ მცენარეთა ნაყოფი უნდა მიერთმიათ „რჩეულთათვის“.

თავიანთი დუალიზმის გასამართლებლად მანიქეველები მკვეთრად მიჯნავდნენ ერთმანეთისგან ბიბლიის ორ ძირითად ნაწილს - ძველსა და ახალ აღთქმას, რომელთაგანაც პირველს ბნელეთის მოციქულთა ქმნილებად მიიჩნევდნენ, ხოლო მეორეს სინათლის სამყაროს კეთილი მეუფის ღვთაებრივ გამოცხადებად. მათი აზრით, ძველი აღთქმა დემონიურობის ნიშნით იყო აღბეჭდილი და გასაგებია, ვინც იქნებოდა მასში გაცხადებული ღმერთი: რა თქმა უნდა, ბნელეთის მთავარი, რის დასტურადაც მანიქეველები გადაციცებით დაეძებდნენ ძველი აღთქმის ტექსტში რელიგიურსა თუ ლოგიკურ შეუსაბამობებს და ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში ხაზგასმით აღნიშნავდნენ საღმრთო წერილისათვის მიუტევებელ ანთროპომორფიზმს, ზნეობრივ ცნებათა პრიმიტიულ სიტლანქესა და სიმდაბლეს. ამნაირი მანიპულაციები მით უფრო უადვილდებოდათ, რომ მანიქეველები ხელაღებით უარყოფდნენ ძველი აღთქმის სიმბოლურ ხასიათს, არასდიდებით არ უნდოდათ ელემენტარული ანგარიში გაეწიათ ენის ბუნებრივი ხატოვანებისათვის და თვით აშკარა მეტაფორებსაც კი ყოველგვარი ალეგორიულობისაგან განყენებულად, მათი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით აღიქვამდნენ.

არანაკლებ გაუგებრობაზეა დაფუძნებული იესო ქრისტეს პიროვნების მანიქეველებისეული ინტერპრეტაცია. ქრისტე მათთვის იყო „პირველი კაცის“ ძე, ანუ სინათლის სამეფოს ის წმინდა ელემენტები თუ სტიქიონები, რომლებითაც აღიჭურვა „პირველი კაცი“ ბნელეთის ძალებთან საომრად, და რომლებიც დატყვევებულ იქნენ ამ უკანასკნელთა მიერ. ეს სტრიქონები მოიაზრებდნენ როგორც „პირველი კაცის“ თანაარსნი, როგორ მისი სუბსტანციის უშუალო გაგრძელება, და ამიტომაც ძნელი არ იყო „ძეობის“ ჰიპოსტასად დაესახათ ისინი.

ოჰ, ჭეშმარიტებავ, ჭეშმარიტებავ! ჯერ კიდევ მაშინ მწარედ ვგმინავდი შენს გამო სულის სიღრმეში, და ამ ფილოსოფოსებისაგან ხომ ყურთასმენა მქონდა წაღებული შენზე ჩიჩინით, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფუჭი სიტყვები, ერთავად პირზე რომ ეკერათ, ან მათი ურიცხვი და უსაშველოდ სქელი წიგნების გროვაში იყვნენ ჩამარხულნი. მე მშიერი ვიყავი და მხოლოდ შენ შეგეძლო მოგეკლა ჩემი შიმშილი, ისინი კი შენს ნაცვლად მზესა და მთვარეს - ამ შენს მშვენიერ ქმნილებებს მთავაზობდნენ[26], მაგრამ მხოლოდ ქმნილებებს და არა შენს თავს, ან თუნდაც შენს პირველ ქმნილებებს, რადგანაც პირველობა სულიერ ქმნილებებს ეკუთვნით და არა ამ მნათ სხეულებს, თუმცაღა ციურნი არიან და თავიანთ გრძნეულ ღიმილს გვაფრქვევენ.

მაგრამ მე, მშიერ-მწყურვალი, შენი პირველი ქმნილებებისკენ კი არა, საკუთრივ შენსკენ ვილტვოდი, ჭეშმარიტებავ, ვისთვისაც „უცხოა ცვალებადობა და ცვლილების ჩრდილი“[27]. მე კი წინ მილაგებდნენ მოელვარე ფანტასმებით[28] დაზვინულ ხონჩებს. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა მყვარებოდა ეს მზე, რომელიც ჩვენი თვალისთვის მაინც არსებობს სინამდვილეში, ვიდრე მთელი ეს ყალბი გამონაგონი, თვალის მეშვეობით რომ აცთუნებს სულს. მაგრამ მე მაინც შევექცეოდი ხონჩებით მორთმეულ ხორაგს, და მეგონა, რომ შენ აქა ხარ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ვერავითარ სიამოვნებას ვერ განვიცდიდი და ვერ ვგრძნობდი შენს ნამდვილ გემოს, ასე რომ, გაძღომის მაგივრად უფრო მეტად ვიმშეოდი და ვმჭლევდებოდი.

საჭმელი, რომელსაც სიზმარში შევექცევით ხოლმე, ზედმიწევნით იმ საჭმელსა ჰგავს, სიფხიზლეში რომ მივირთმევთ, მაგრამ ის ვერ გვაძღებს მძინარეთ, რადგანაც გვძინავს. ეს ხორაგი კი არაფრით არ მაგონებდა შენს თავს, სახელდობრ, ისეთს, როგორიც ახლახან მელაპარაკე. ეს იყო ფანტასმაგორიული სხეულებისა თუ სხეულთა ლანდების გროვა, რომლებზე უფრო ჭეშმარიტნიც არიან ნამდვილი სხეულები, ჩვენი ხორციელი თვალით რომ ვხედავთ როგორც ცაში, ისე დედამიწაზეც; დიახ, ჩვენც ისევე ვხედავთ მათ, როგორც ცხოველები და ფრინველები, და ისინი უფრო ნამდვილნი არიან, ვიდრე ჩვენს მიერ შეთხზული მათი ხატებანი. თუმცა ეს უკანასკნელნი, თავიანთი მხრივ, უფრო ჭეშმარიტნი არიან, ვიდრე ყველა ის ვარაუდი, რასაც სხვა - დიდსა და უსასრულო, თუმცა სინამდვილეში

დემონების მიერ დატყვევებული სინათლის სტრიქონები (ანუ, მანიქეველთა ტერმინოლოგიით, „პირველი კაცის“ ძე - იესო ქრისტე) მთელი სამყაროს - ციური სხეულების, ადამიანების, ცხოველების, მცენარეების და თვით ქვების სულად იქცა. მატერიაში დანთქმული სინათლის ნაწილაკები - აი, ვინ არის, მანიქეველთა კონცეფციით, „ვნებული ქრისტე“. მაგრამ ბნელეთის მიერ მიტაცებული სინათლის სტიქიონთა ნაწილი თავს აღწევს მატერიის პირქუშ დილეგს და მთვარესა და მზეზე გროვდება. სწორედ ესაა ე.წ. „უვნები ქრისტე“. მანიქეველთა მაცხოვარს არავითარი კავშირი არა აქვს სახარებისეულ ქრისტესთან, რომელსაც ისინი იუდეველთა ღმერთის მიერ წარმოგზავნილად თვლიან. მანიქეველები გადაჭრით უარყოფენ განკაცებას, რადგანაც ეს ღვთაებრივი ბუნების შებღალვად და ბნელეთის ძალთა წინაშე მის ქედმოდრეკად მიაჩიათ. მათი მტკიცების თანახმად, მხოლოდ „უვნები ქრისტეა“ ჭეშმარიტი მხსნელი და მაცხოვარი მთელი კოსმოსის მასშტაბით (Проф. И.В.Попов, Личность и учениа блаженного Августина, т.I; Сергиев Посад, 1916; стр.88-105; რუსი მეცნიერი, თავის მხრივ, ძირითადად ეყრდნობა ორ დასავლელ სწავლულს - ფრანგ ფ.კიუმონსა და გერმანელ გ.ფლიუგელს: Fr.Cumont, Recherches sur le manichéisme, Bruxels, 1908; G. Frügel, Mani, seine Lehre und siene Schriften, Leipzig, 1862).

[26] იხ. წინა შენიშვნა.

[27] იაკ. I,17.

[28] ნეტარი ავგუსტინე ამ ტერმინს განსაზღვრავს როგორც თვითნებურად შექმნილ მხედველობით ხატს, განსხვავებით რეალური ხატისაგან („ფანტასია“), რომელსაც ინახავს მეხსიერება. მამის ხატება ავგუსტინესათვის იყო „ფანტასია“, პაპისა კი, რომელიც არასოდეს უნახავს - „ფანტასმა“ („მუსიკისათვის, 6,11,32). ზოგიერთი კომენტატორის მტკიცებით, იმ ავტორთა შორის, რომელნიც ლათინურ ენაზე წერდნენ, ავგუსტინე იყო პირველი, ვინც ეს ტერმინი მისი ფილოსოფიური მნიშვნელობით იხმარა.

არარსებულ საგნებზე გამოვთქვამთ ხოლმე[29]. მე კი სწორედ ამ ქიმერებით ვსაზრდოობდი და მიტომაც ვერ ვიკლავდი შიმშილს[30].

შენ კი, ჩემო სიყვარულო, რომელსაც ეყრდნობა ჩემი უმწეობა, რათა ძალმოსილებად იქცეს, შენ როდი ხარ ის სხეულები, ცის თავანზე რომ ვხედავ, და არც ისინი, რომლებსაც იქ ვერ ვხედავთ, რადგან ერთნიც და მეორენიც შენი შეჰქმენი, და შენს უზანაეს ქმენილებათა[31] შორის როდი შეგირაცხავს ისინი. მაშ, რამდენად შორსა ხარ ამ ჩემი ფანტასმებისა და იმ ფანტასმაგორიული სხეულებისგანაც, რომლებიც საერთოდ არ არსებობენ. მათზე უფრო ნამდვილნი არიან არსებულ სხეულთა ჩვენს მიერ შექმნილი ხატებანი, ხოლო ამ უკანასკნელთა რეალობის ხარისხი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საკუთრივ სხეულებისა; მაგრამ ვერც მათ ვიტყვით იმად, რაცა ხარ შენ, რადგან შენ სულიც არა ხარ, სიცოცხლეს რომ ანიჭებს სხეულებს, სული, რომელიც მათზე უმჯობესია და უნამდვილესი. შენა ხარ სულთა სიცოცხლე, სიცოცხლეთა სიცოცხლე, თვითცოცხალი[32] და უცვლელი, სიცოცხლე ჩემი სულისა.

11. სად იყავ მაშინ, ან რამდენად შორს იყავ ჩემგან? სადღაც გადაკარგულში დავეხეტებოდი და იმ რკოსაც კი არ იმეტებდნენ ჩემთვის, რომელსაც ღორებს ვუყრიდი[33]. რამდენად უმჯობესია გრამატიკოსებისა თუ პოეტების არაკები მთელ ამ საცთურზე. პოეზია, რომელიც გვიხატავს მედეას, მფრინავი ეტლით რომ მიჰქრის[34], რა თქმა უნდა, უფრო სასარგებლოა, ვიდრე ამდენი გამონაგონი ხუთი ელემენტის შესახებ, ათასნაირად შეფერილი „წყვდიადის ხუთი მღვიმის“ მსგავსად[35], რომლებიც საერთოდ არ არსებობენ, მაგრამ იმათი დაღუპვა კი შეუძლიათ, ვისაც მათი არსებობა სწამს. ლექსები და პეოზია, ჩემის აზრით, ნამდვილი საზრდოა. როცა იმ ლექსებს ვკითხულობდი, სადაც მედეას მფრინავი ეტლი მიაქროლებს, სულაც არ ვარწმუნებდი ვინმეს ამ ამბის სიმართლეში, და არც მე თვითონ მწამდა, მაგრამ ვინ მოსთვლის, რამდენი სხვა სიშლეგე მირწმუნებია. ვაიმე ბედკრულს! რა უკეღმართი საფეხურებით ჩამიყვანეს ჯოჯოხეთის სიღრმეში, რადგანაც ჭეშმარიტება მწყუროდა და დაუოკებლად ვილტვოდი მისკენ; შენ გეძებდი, უფალო ჩემო (აღსარებას გეუბნები, ჯერ კიდევ მაშინ რომ შემიწყალე, როცა აზრადაც არ მომსვლია აღსარების თქმა), დიახ, შენ გეძებდი, მაგრამ გონების ხმას კი არ ვუგდებდი ყურს, გონებისა, რომლითაც განმასხვავე ცხოველებისაგან, არამედ ხორციელ გულისთქმათა კარნახს ვაყურადებდი. მე

[29] რეალურნი არიან საგნები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ; რეალურობა გაციელბით ნაკლებია ჩვენს წარმოდგენაში ამ საგნების შესახებ, და კიდევ უფრო ნაკლებად რეალურია ყველა ის ვარაუდი, რომლებსაც ამ წარმოდგენების მიხედვით ვაყალიბებთ.

[30] როგორც ვხედავთ, ნეტარი ავგუსტინე ქიმერებს ადარებს მანიქეველთა ფანტასმაგორიულსა და ყოველგვარი რეალური შინაარსისაგან დაცლილ წარმოდგენებს.

[31] უზენაეს ქმნილებებად იგულისხმებიან პირწმინდად სულიერი ქმნილებები - ანგელოზები.

[32] „თვითცოცხალი“ („vivens se ipsa“) - ნეოპლატონიკოსებისაგან ნასესხები ტერმინია („autozoon“), რომელსაც ისინი იყენებენ კოსმიური გონების აღსანიშნავად (იხ. ბ.ბრეგვაძე, „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი“, - წიგნში: პლატონი, „ტიმეოსი“, თბ. 1994, გვ.129).

[33] შდრ, ლუკა, XV, 16.

[34] იგულისხმება ევრიპიდეს ტრაგედიის „მედეას“ უკანასკნელი სცენა.

[35] იხ. აქვე, შენ. 25.

შევეყარე სოლომონის იგავთა იმ ბრიყვსა და მწიკანა ქალს, თავისი სახლის წინ რომ ზის და ამბობს: გუნებიერად მიირთვით, „გემრიელია გადამალული პური, ტკბილია მოპარული წყალი“[36]. მან მაცთუნა, რადგანაც დაინახა, რომ მთლიანად გარე სამყაროში ვიყავი დანთქმული, ჩემს ხორციელ თვალზე დამოკიდებული და იმ ნაქურდალი პურის ხარბად მცოხნელი, რომელიც სახეთქად მომიგდო.

VII

12. აზრადაც არ მომდიოდა, რომ არის რაღაც სხვა სინამდვილე, რომელიც ჭეშმარიტად არსებობს, და ამიტომაც დიდ გამჭრიახობად მიმაჩნდა კვერი დამეკრა იმ ბრიყვ მაცთურთათვის, მოსვენებას რომ არ მაძლევდნენ კითხვებით: საიდან იღებს დასაბამს ბოროტება[37], სხეულის გარსში ხომ არ არის მოქცეული ღმერთი, აქვს თუ არა მას თმები და ფრჩხილები, შეიძლება თუ არა ალალ-მართლად მიგვაჩნდეს ის, ვისაც ერთდროულად რამდენიმე ცოლი ჰყავს, ვინც კაცის მკვლელია, ანდა მსხვერპლად სწირავს ცხოველებს[38]. მე უვიცსა და უმეცარს თავგზას მიბნევდა ამნაირი კითხვები; ამიტომაც იყო, რომ ზურგს ვაქცევდი ჭეშმარიტებას, თუმცა მეგონა, რომ პირდაპირ მისკენ მივაბიჯებდი. რა ვიცოდი, რომ ბოროტება სხვა არა არის რა, თუ არა სიკეთის უქონლობა, სიკეთის დამცრობა და დაკნინება სრულ გაქრობამდე[39]. რა უნდა დამენახა, თუკი ჩემი თვალი ვერაფერს არჩევდა სხეულებს მიღმა, სულის თვალსაწიერი კი ფანტასმებით იყო შემოფარგლული.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ღმერთი სულია, და მას არა აქვს ასოები, რომლებიც შეიძლება სიგრძითა თუ სიგანით გაიზომოს; რომ მისთვის უცხოა სიდიდე, რომლის

---

[36] იხ. იგავნი სოლომ. IX, 13-18.

[37] „აღსარებებში“ ნეტარი ავგუსტინე არაერთხელ უბრუნდება ბოროტების წარმომავლობის საკითხს (განსაკუთრებით - VII, XII, 18 და შმდ.). თავის თხზულებაში „თავისუფალი ნებისათვის“, რომელიც „აღსარებებზე“ რამდენიმე წლით ადრე დაიწერა, ის შენიშნავს (1,2,4): „შენ აყენებ საკითხს, რომელმაც ისე გამაწამა სიჭაბუკეში, რომ მწვალებლებს მიმაკედლა. მე ისე დაბნეული და დათრგუნვილი ვიყავი ფუჭი იგავების ვეება გროვით, რომ თუ ჭეშმარიტებისადმი ჩემი სიყვარულისა და მისი დაუცხრომელი ძიების სანაცვლოდ უფლის შემწეობა არ მღირსებოდა, ჩემი საშველი არსად იყო“.

[38] „აღსარებათა“ ამ პასაჟში აისახა მანიქეველთა უარყოფითი დამოკიდებულება „ძველი აღთქმისადმი“ (იხ. შეს. 25). ცნობილია, რომ ისინი მკვეთრად ემიჯნებოდნენ ძველი აღთქმისეულ ანთროპომორფიზმს: რაკიღა ხელაღებით უარყოფდნენ საღმრთო წერილის ნებისმიერ ალეგორიულ ინტერპრეტაციას, „დაბადებას“ (I,26) სიტყვები - „და თქვა ღმერთმა: შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად და მსგავსად“ - მათი პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდათ, საიდანაც ასკვნიდნენ, რომ ძველი აღთქმის ღმერთი ანთროპომორფული არსება იყო; გადაჭრით ილაშქრებდნენ სისხლიანი მსხვერპლშეწირვის წინააღმდეგ, რაც დამკვიდრებული იყო ებრაელთა ღვთისმსახურებაში, და სასტიკად ჰგმობდნენ პატრიარქთა ქცევს, კერძოდ, აბრაამისას, განუკითხავად რომ გააძევა თავისი ხასა აგარი, ხოლო ეგვიპტეში ურცხვად იცრუა, როცა დად გაასაღა თავისი მეუღლე სარა; აგრეთვე იაკობისას, რომელსაც „ოთხი ცოლის ქმარს“ უწოდებდნენ (ორი სჯულიერი მეუღლის - ლიასა და რაქილის გარდა, იკობს ორი მხევალიც ჰყავდა ხარჭად).

[39] ბოროტების ეს განსაზღვრა პლოტინის ნააზრევიდან იღებს დასაბამს: „ბოროტება სხვა არა არის რა, თუ არა, სიკეთის ნაკლებობა“ („ენნეიდა“, III,2,5); „რაკიღა ბოროტება არსებობს, მაშასადამე, ის არსებობს იმაში, რაც არ არის; ბოროტება ერთგვარი სახეა არარსისა... შეიძლება აღვიქვათ იცი, თუ აზრით წარმოვიდგენთ, რომ ბოროტი ისე მიემართება კეთილს, როგორც ზომის უქონლობა - ზომას, როგორც განუსაზღვრელობა - ზღვარს, როგორც სიმახინჯე - მშვენიერების მიზეზს, ანდა მარადი ნაკლოვანება - თვითმკმარობას“ („ენნეიდა“, I,8,3); „რაკი არსებობს არა მარტო სიკეთე, ამიტომ საგანთა უსასრულო სიმრავლეში, რომლებიც მისგან იღებენ დასაბამს, ან, თუ ვნებავთ, მისგანვე გამომდინარეობენ და თანდათანობით შორდებიან მას, - აუცილებლად უნდა იყოს უკანასკნელი ზღვარი, რომლის იქითაც აღარაფერი აღარ შეიძლება დაიბადოს; ეს უკანასკნელი ზღვარი ბოროტებაა. პირველის შემდეგ აუცილებლად რაღაცა არის; მაშასადამე, არის უკანასკნელი ზღვარიც, და ეს ზღვარი მატერიაა, რომელსაც უვკე არავითარი წილი აღარ უძევს სიკეთეში. სწორედ ესაა ბოროტების გარდუვალობა“ („ენნეიდა“, I,8,7).

ნებისმიერი ნაწილი მთელ სიდიდეზე ნაკლებია, ხოლო თუ ეს მთელი უსასრულოა, მაშინ სასრული სივრცით შემოსაზღვრული მისი ესა თუ ის ნაწილი უსასრულობაზე მცირე იქნება და, მაშასადამე, აღარც მთელი იქნება ყველგან და ყოველთვის მთელი, როგორც სული, ან როგორც ღმერთი[40]. ხოლო ის, რაც არის ჩვენში, რისი მეოხებითაც ვარსებობთ და რაზედაც ჩვენთან მიმართებით მართებულად ბრძანებს საღმრთო წერილი: „ხატად ღმრთისაო“[41] - სრულიად უცნობი იყო ჩემთვის.

13. მე არ ვიცოდი ნამდვილი, შინაგანი სიმართლე, რომელიც ჩვეულების მიხედვით კი არა მსჯელობს, არამედ ყოველისმძლე ღმერთის მართლად გამრიგე კანონის თანახმად, ცალკეული ქვეყნებისა თუ ეპოქების მიხედვით რომ განსაზღვრავს მათ შესატყვის ზნე-ჩვეულებებს[42], თუმცაღა თვითონ ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა. ამ კანონის თანახმად, მართალნი არიან აბრაამი, ისააკი, იაკობი, მოსე, დავითი და სხვანი და სხვანი, ვინც ღმერთს თავისი პირით უქია. და პირიქით, ისინი უმართლონი არიან უვიცთა თვალში, დღევანდელი დღის მიხედვით რომ აფასებენ ყველაფერს და თავიანთი ზნეობის საზომით ზომავენ საერთოდ ზნეობას[43]. ეს იმას ჰგავს, კაცმა, რომელმაც არ იცის, სად რა აბჯარ-აბგარი მოირგოს, თავზე საბარკული ჩამოიფხატოს და ფეხი მუზარადში სტუცოს, შემდეგ კი დრტვინვას მოჰყვეს, ეს რა ჯართიაო; ანდა იმან აღაშფოთოს, რომ არა თუ იმ დღის მეორე ნახევარში, რომელიც უქმედაა გამოცხადებული, ვაჭრობის ნება არ მისცენ, მაშინ როდესაც იმავე დღის პირველ ნახევარში ეს ნებადართული იყო; ან კიდევ რისხვა ვეღარ დაიოკოს იმის გამო, რომ ერთსა და იმავე სახლში პირისფარეში თავის ნებაზე აგრიალებს ჭურჭელს, რომელსაც ღვინის მწდე ახლოსაც ვერ გაეკარება, ხოლო საჯინიბოში აკეთებენ იმას, რაც

[40] ნეტარი ავგუსტინეს მტკიცებით, ღმერთი უსხეულოა, ანუ, დავით გურამიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, - „უსხეულომყოფელი“. მაშასადამე, მას არა აქვს არავითარი ასო, არავითარი ორგანო, არავითარი ნაწილი; მისთვის სრულიად უცხოა ყოველგვარი ვრცეულობა თუ განფენილობა, რაც ნიშნეულია მხოლოდ სხეულებრივი სუბსტანციისათვის. „ღმერთი არსადაც არ არის. სადღაც რომ იყოს, სივრცით იქნებოდა გარემოცული; სივრცით რომ იყოს გარემოცული, სხეული იქნებოდა. მაგრამ ღმერთი სხეული არაა და, მაშასადამე, არსად არ არის“ (ნეტარი ავგუსტინე, „სხვადასხვა საკითხთათვის“, XX). თუმცა შეიძლება პირიქითაც ითქვას: ყველგან არის. კი მაგრამ, როგორ? ნეტარი ავგუსტინე თვალსაჩინოებისათვის ანალოგიას მიმართავს: თვით სხეულებშიაც კი არის რაღაც არავრცეული, ეს მათი თვისებებია. ნებისმიერი თვისება იმდენადვეა მთელს სხეულში, რამდენადაც მის ამა თუ იმ ნაწილში (წარმოიდგინეთ თაფლის სიტკბო, თოვლის სითეთრე, ვარდის სურნელი). მაგრამ თავისთავად უსხეულო თვისებებს არსებობისათვის სჭირდებათ სხეული, როგორც სუბსტრატი. სხეული რომ გამქრალიყო, თვისებებიც მის ხვედრს გაიზიარებდნენ. ღმერთს კი თავისი არებობისათვის არავითარი სუბსტრატი არ სჭირდებოდა, რადგანაც მისი არსებობა აბსოლუტურია, ე.ი. თავისით, თავისთავად და თავის თავშივე არსებობს (იხ. ნეტარი ავგუსტინე, „წერილები“, 187,13; 18). მართალია, ის ამბობს, მე ვავსებ ცასა და მიწასო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის ნაწილობრივ ცაშია, ნაწილობრივ კი მიწაზე, არამედ იმას, რომ ყველგან მთლიანადაა, ისევე, როგორც მისი ჭეშმარიტება, რომელსაც ერთდროულად ჭვრეტს ყველა სული, ყველა გონება, მიუხედავად იმისა, თუ სად არიან ისინი.

[41] დაბად. I, 27.

[42] შდრ. ბლეზ პასკალი: „...სამართლიანობისა თუ უსამართლობის ცნება ჰავის ცვლასთან ერთად იცვლება. პოლუსთან სამი გრადუსით მიახლოება მთელს იურისპუდენციას თავდაყირა აყენებს. ჭეშმარიტება მერიდიანზეა დამოკიდებული. აფერუმ სამართალს, რომელიც მდინარითაა შემოსაზღვრული. ის, რაც სიმართლეა პირინეებს აქეთ, სიმრუდეა პირინეებს იქით... მოდი და ნუ გაოცდები: ვიღაცას უფლება აქვს მომკლას მხოლოდ იმიტომ, რომ წყალგაღმა ცხოვრობს, და რომ მისი მბრძანებელი წაეკიდა ჩემსას, თუმცა პირადად მე არაფერი მაქვს მასთან სადავო“ (იხ. ბლეზ პასკალი, „აზრები“, თბ. 1981, გვ.255. ფრაგმ.224).

[43] ნეტარი ავგუსტინე აქ მანიქეველთა თავდასხმისაგან იცავს „ძველი აღთქმის“ პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა მორალს (შდრ. შენ. 38). მისი თვალსაზრისი იმაზეა დაფუძნებული, რომ ზნეობრივი საწყისებიცა და რელიგიური დოგმებიც ისტორიული განვითარების კანონზომიერ პროცესს ექვემდებარებიან (შდრ. აქვე, ცოტა ქვემოთ: „...მაშასადამე, სამართალიანობა სხვადასხვაგვარია და ცვალებადი? არა, მაგრამ დრო, რომელსაც ის განაგებს, სხვადასხვანაირად მიედინება, სწორედ იმიტომ, ომ დროა. ადამიანებს, რომელთა სიცოცხლეც ესოდენ მსწარფლწარმავალია, არ შეუძლიათ გარდასულ ეპოქათა წესრიგი თუ უცხო ხალხების ცხოვრების წესი შეუწონონ მათთვის ცნობილ წესრიგსა თუ ცხოვრების წესს“).

სასადილო ოთახში აკრძალულია: როგორ თუ ერთსა და იმავე ოჯახში ყველას არა აქვს ყველაფრის კეთების ნებაო.

განა ამას არა ჰგავს იმისი საქციელიც, ვის აღშფოთებასაც იწვევს ის გარემოება, რომ ოდესღაც მართალ კაცს ჰქონდა იმის უფლება, რაც დღეს ეკრძალება? რომ ღმერთია, დროის მოთხოვნის შესაბამისად, ზოგს ერთი რამ უბოძა, ზოგს კი მეორე, თუმცაღა ერთნიც და მეორენიც ერთსა და იმავე სამართლიანობას ემორჩილებიან? ასე, აბჯარ-აბგარი ერთი და იმავე კაცის სხვადასხვა ასოს - წვივს, მკლავს, მკერდს და სხვა მისთანათ ერგება; ერთი და იმავე დღის პირველ ნახევარში შესაძლებელია აკეთო ის, რაც მეორე ნახევარში დაუშვებელია; ერთი და იმავე სახლის ერთ-ერთ კუთხე-კუნჭულში ნებადართული და ნარბძანებია იმის კეთება, რაც მეორეში აკრძალულია და სასჯელის ღირსად ითვლება. მაშასადამე, სამართლიანობა სხვადასხვანაირია და ცვალებადი? არა, მაგრამ დრო, რომელსაც ის განაგებს, სხვადასხვანაირად მიედინება, სწორედ იმიტომ, რომ დროა. ადამიანებს, რომელთა სიცოცხლეც ესოდენ მსწრაფლწარმავალია, არ შეუძლიათ გარდასულ ეპოქათა წესრიტი თუ უცხო ხალხების ცხოვრების წესი შეუწონონ მათთვის ცნობილ წესრიგსა თუ ცხოვრების წესს. მაგრამ როცა საქმე ერთ კაცს, ერთ დღესა თუ ერთ სახლს ეხება, აქ მათ ადვილად შეუძლიათ შენიშნონ, რა შეჰფერის ამა თუ იმ ასოს, ამა თუ იმ საათს, ამა თუ იმ კუთხეს ანდა პირს: ზოგი რამ მათ აღშფოთებას იწვევს, ზოგს კი კვერს უკრავენ თანხმობის ნიშნად.

14. მაგრამ მაშინ არ მესმოდა ეს სიმართლე და არც ყურადღებას ვაქცევდი; ყოველმხრივ საგრძნობი იყო და თვალში საცემი, მე კი მაინც ვერ ვხედავდი მას. როცა ზეპირად ვკითხულობდი ლექსებს, უფლება არა მქონდა იქ ჩამერთო ნებისმიერი ტერფი, სადაც მომეპრიანებოდა: სხვადასხვა საზომი სხვადასხვა ტერფს მოითხოვდა და ნებისმიერ ლექსში თვითეულ ტერფს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. მაგრამ ლექსთწყობის ხელოვნება, რომელსაც მე ვეუფლებოდი, ერთდროულად მოიცავდა ყველა ამ წესს და ერთ შემთხვევაში ერთი როდი იყო, მეორეში კი - მეორე. მე კი არ მესმოდა, რომ სამართლიანობა, რომელსაც ემსახურებოდნენ ჩვენი კეთილი წინაპრები და წმიდანები, ლექსთწყობის ხელოვნებაზე გაცილებით უფრო დიადი და ამაღლებული, ერთდროულად მოიცავდა ყველა აღთქმას. თავისი არსით მარად უცვლელი, ის სხვადასხვა დროებას ერთბაშად კი არა, თვითეულს ცალ-ცალკე უწესებდა მის შესატყვის წესსა და რიგს. მე თვალდავსილი კი ვგმობდი ჩვენს ღვთისმოსავლ წინაპრებს, უფლის განჩინებითა და ბრძანებით რომ იყენებდნენ თავიანთი დროის კანონებს და ღვთაებრივი გამოცხადების წყალობით წინასწარმეტყველებდნენ მერმისს[44].

[44] თავის მოსაზრებებს პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა მორალის შესახებ ნეტარი ავგუსტინე დაწვრილებით აყალიბებს მანიქეველთა წინააღმდეგ მიმართულ ორ თხზულებაში: „ფაუსტუსის წინააღმდეგ“ (22,30-38) და „ქორწინების სიკეთისათვის“ (24).

VIII

15. განა სადმე ან ოდესმე უსამართლო ყოფილა მცნება: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით, და გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი?“[45] ანდა არაბუნებრივი, ვთქვათ, სოდომური ცოდვა განა ყველგან ზიზღს არ იწვევდა და სასჯელის ღირსად არ იყო მიჩნეული? ყველა ხალხს რომ ამ ცოდვით შეებღალა თავი, ყველანი ღვთაებრივი კანონის თანახმად დაისჯებოდნენ თავიანთი დანაშაულის გამო, რადგანაც ღმერთს ამნაირი ურთიერთობისათვის როდი შეუქმნია ისინი. ეს არღვევს ღმერთისა და ადამიანების ურთიერთმიმართებასაც, რადგანაც ღმერთის მიერ შექმნილი ბუნება იბღალება გაუკუღმართებული ვნებით.

რაც შეეხება დანაშაულს და შეცდომებს, რომლებიც ადამიანთა ზნე-ჩვეულებებს უპირისპირდებიან, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, თავიდან ავიცილოთ ისინი, ამ ზნე-ჩვეულებათა სხვადასხვაობის შესაბამისად. მოქალაქისა თუ უცხოელის ჟინი ვერ უნდა არღვევდეს საზოგადოებრივ ხელშეკრულებას, განმტკიცებულს სახელმწიფოს წეს-წყობილებითა თუ ხალხის ზნე-ჩვეულებებით: ყოველი ნაწილი, რომელიც არ ეთანხმება მთელს, მახინჯია. მაგრამ თუ ღმერთი გვიბრძანებს ჩავიდინოთ რაღაც ისეთი, რაც ეწინააღმდეგება ამა თუ იმ ზნე-ჩვეულებასა თუ დადგენილებას, მისი ბრძანება უნდა აღსრულდეს, თუნდაც ასე არვინ არვის არასოდეს მოქცეულიყოს. თუ ეს აღთქმა დავიწყებას მიეცა, ის განახლებულ უნდა იქნეს, ხოლო თუ დაწესებული არ არის, უნდა დაინერგოს. თუ მეფეს უფლება აქვს თავის სამეფოში იმნაირი ბრძანება გამოსცეს, რომლის მსგავსიც არც სხვას და არც თვითონ მას მანამდე არ გაუცია, და ამ ბრძანების აღსრულება არავის ეთვლება სახელმწიფოსა თუ საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედებად, პირიქით, სწორედ მისი აღუსრულებლობა მიიჩნევა დანაშაულად, განა მით უმეტეს არ გვმართებს უყოყმანოდ ვემორჩილებოდეთ ღმერთის ბრძანებას, რადგანაც სწორედ ღმერთია ყველა თავისი ქმნილების მბრძანებელი. ადამიანთა საზოგადოებაში ნებისმიერი უმდაბლესი ძალაუფლება უმაღლესს ექვემდებარება, სამყაროში კი ღმერთია უზენაესი ძალაუფლების ერთპიროვნული მპყრობელი.

16. იგივე ითქმის იმ დანაშაულთა მიმართაც, როცა ცდილობენ რაიმე ავნონ, შეურაცხყოფა მიაყენონ, ან უსამართლოდ მოექცნენ მოყვასს. შურისძიების წყურვილი მტრის წინააღმდეგ აქეზებს მტერს; სიმდიდრის მოხვეჭის სურვილით ყაჩაღი ძარცვავს მგზავრს; შიში იმის მოსაკლავად აღძღავს მხდალსა და ჯაბანს, ვისიც ეშინია; შური მდიდარი კაცის სიკვდილს ანატრებინებს ღატაკს, მდიდარს კი - თავის მეტოქისას, რომელსაც უფრთხის, ვაითუ გამიტოლდესო. ან იტანჯება იმის გამო, რომ მისი მეტოქე არანაკლები სიმდიდრის პატრონი გახდა; ასეთსავე სურვილს იწვევს სხვისი უბედურებით ტკბობა გლადიატორთა

[45] მათე, XXII, 37-39; მარკ. XII, 30-31.

ბრძოლების მაყურებლებში, მოყვასის აბუჩად ამგდებთა და შეურაცხმყოფველთა სულში. ყოველივე ეს სხვა არა არის რა, თუ არა ცოდვის ყლორტები, ესოდენ სწრაფად რომ იზრდებიან მბრძანებლობის, მზერის თუ გრძნობელობის გაუკუღმართებულ სურვილთა პოხიერ ნიადაგზე[46], სულერთია, კაცი ერთი მათგანის მონა-მორჩილი ხდება, ორისა თუ სამივესი ერთად. ესაა უკეთური ცხოვრება, ესაა ცოდვა, რომელიც არღვევს, ღმერთო ჩემო, უზენაესო და უტკბესო, შენი ათსიმიანი არფის ჰარმონიას, შენი დეკალოგის[47] პირველ სამსა და შვიდ მომდევნო მცნებას. მაგრამ ვინ რა უნდა გავნოს, რაკიღა უხრწნელი ხარ? ვინ რა უნდა სცოდოს შენს წინააღმდეგ, რომ რამე დაგაკლოს? თუ სჯი, მხოლოდ იმისთვის სჯი ადამიანებს, რასაც ისინი თავიანთივე თავის წინააღმდეგ სჩადიან: თვით მაშინაც კი, როცა შენს მიმართ სცოდავენ, ისინი საკუთარი სულის წინაშე გვევლინებიან მკრეხელებად, რადგანაც რყვნიან და ბღალავენ თავიანთ ბუნებას, რომელიც შენ შეურყვნელი და შეუბღალავი შეჰქმენი; დიახ, ბღალავენ, როცა ხარბად მიელტვიან იმას, რაც ნებადართულია, ან აკრძალული ხილის არაბუნებრივი სურვილით იწვიან; როცა სიტყვით თუ საქმით გგმობენ, რასაც სხვას ვერაფერს დავარქმევთ, თუ არა „დეზის წიხლვას“[48]; ან როცა ადამიანთა საზოგადოებისაგან გამდგარნი თავიანთ კარჩაკეტილსა და უბადრუკ წრეებს შეჰხარიან, მარტოოდენ თავიანთი მიდრეკილებების, თავიანთი სიყვარულისა თუ სიძულვილის ამარა შთენილნი.

აი, რა მოსდევს შედეგად იმას, რომ ზურგს გაქცევენ სიცოცხლის წყაროს, სამყაროს ერთადერთ ჭეშმარიტ შემოქმედს და არსთა გამრიგეს, რათა თავიანთი ქედმაღლობით აღძრულნი მთელის ერთობას განუდგნენ და მის ნაცვლად ნაწილის მოჩვენებითი მთლიანობა და ერთიანობა აღიარონ. ქედმოდრეკილი ღვთისმოსაობა - აი, ერთადერთი გზა, რომლითაც უკანვე გიბრუნდებიან, და შენ გვწმენდ ჩვენი უკეთური ჩვევებისაგან, კეთილმოწყალე და მლმობელი იმათ მიმართ, ვინც თავის ცოდვებს აღიარებს შენს წინაშე; ყურში ჩაგესმის ბორკილდადებულთ ზრიალი და ჩვენივე ხელით დაგებულ ბორკილებისაგან გვათავისუფლებ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენს წინააღმდეგ არ აღვმართავთ ყალბი თავისუფლების რქას[49], მეტის მოხვეჭის ხარბად მოსურნენი, ყველაფრის დაკარგვა რომ გვემუქრება, და ჩვენივე საკუთრების უფრო მეტად მოყვარენი, ვიდრე გვიყვარხარ შენ - ჩვენი საერთო სიკეთე.

[46] შდრ. I იოანე, II, 16.

[47] იგულისხმება ათი მცნება (გამოს. XX, 2-17), ღმერთმა რომ მისცა მოსეს („დეკალოგი“ - „ათსიტყვედი“). აქედან პირველი სამი განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას ღმერთის მიმართ, ხოლო დანარჩენ შვიდში „გადმოცემულია, როგორ უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები ერთმანეთს შორის. შევუერთოთ ესენი პირველ სამს, თუ გვსურს ახალი საგალობელი ვიგალობოთ ათსიმიან ფსალმუნზე“ (ნეტარი ავგუსტინე, „ქადაგებანი“, 9,5,6).

[48] მოციქ. საქმ. IX, 5.

[49] იხ. ფსალმ. 74, 5-6.

IX

17. ამდენი ცოდვის, დანაშაულისა და უსამართლობისაგან უნდა განვასხვავოთ იმათი შეცოდებანიც, ვინც ნელ-ნელა მიიწევს წინ სიქველის გზაზე. თუ მართებულად განვსჯით, მათ ხშირად ჰგმობენ სრულქმნილების თვალსაზრისით, თუმცა, იმავდროულად, კიდევაც აქებენ ხოლმე, რადგანაც სამერმისოდ კეთილი ნაყოფის გამოღებას გვპირდებიან, როგორც მწვანედ მოღაღანე ჯეჯილი გვპირდება უხვ მოსავალს. ზოგიერთი საქციელი შეცდომასა თუ დანაშაულს ჰგავს, მაგრამ ცოდვად კი არ ჩაითვლება, ვინაიდან არც შენ შეურაცხგყოფს, უფალო ღმერთო ჩემო, და არც საზოგადოებას. ასე მაგალითად, როცა კაცი, თავისი დროის მოთხოვნებისა თუ ვითარების შესაბამისად, გამალებით იძენს საარსებოდ აუცილებელ საგნებს, ვის შეუძლია დაბეჯითებით ამტკიცოს, რომ მაინცდამაინც სიხარბეა ამის მიზეზი? ან კიდევ, როცა კანონიერი ხელისუფალნი გამოსწორების მიზნით სჯიან ვინმეს, ვერ ვიტყვით, თითქოს ამ სიმკაცრეს საფუძვლად ედოს იმის სურვილი, რომ რაიმე ავნონ განსასჯელს.

ვინ მოსთვლის, რამდენ საქციელს საგმობად და საძრახისაც მიიჩნევს ხალხი, შენი მოწმობით კი ივივე საქციელი მოსაწონია, მაშინ როდესაც ესა თუ ის საქციელი, შენი მოწმობით საძრახისად რომ შეგირაცხავს, ხალხის თვალში საქები ჩანს. ეს იმიტომ, რომ ერთი და ივივე საქციელი ხშირად სულ სხვადასხვა სახით წარმოგვიჩნდება, ხოლო იმისი ფარული ზრახვა, ვინც ეს საქციელი ჩაიდინა, ისევე, როგორც ცალკეულ გარემოებათა დამთხვევა, ჩვენთვის სრული იდუმალებითაა მოცული.

მაგრამ როცა შენ მოულოდნელად რაღაც უჩვეულო და უცნაური საქმის ჩადენას ბრძანებ, იმდენად უცნაურისა, რომ უწინ თვითონვე კრძალავდი მას, და დროებით საიდუმლოდ ინახავ შენი ბრძანების მიზეზს, ბრძანებისა, რომელიც შესაძლოა, კიდევაც ეწინააღმდეგებოდეს ადამიანთა მოცემული საზოგადოების ცხოვრების წესს, ვის შეუძლია ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ შენი ბრძანება უნდა შესრულდეს? რადგანაც მხოლოდ ის საზოგადოებაა სამართლიანი, რომელიც შენს ბრძანებას ასრულებს. ნეტა მათ, ვინც იციან, რომ სწორედ შენა ხარ ამ ბრძანების გამცემი. ვინაიდან შენი მსახურნი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა გვიჩვენონ, რა არის საჭირო სადღეისოდ და რა - სამერმისოდ.

X

18. მე კი არ ვიცოდი ეს და ამიტომაც დავცინოდი შენს წმიდა მსახურთა და წინასწარმეტყველთ. მაგრამ რა შედეგი გამოიღო ამ სიცილმა? მხოლოდ ის, რომ თვითონვე ამიგდე საცინად: თანდათანობით და ნელ-ნელა მიმიყვანეს ყოვლად უაზრო რწმენამდე; ასე მაგალითად, მარწმუნებინეს, რომ მოწყვეტილი ლეღვი ტირის, ისევე, როგორც ლეღვის ხე, და ორივენი რძისნაირ ცრემლებს აფრქვევენ; ხოლო თუ რომელიმე „წმიდანი“ შეჭამს ამ ლეღვს, მისი საკუთარი კი არა, სხვისი დამნაშავე ხელით მოწყვეტილს, შეჭმული ხილი მის შიგანს შეერევა, ლოცვისას სლოკინს დააწყებინებს და პაწაწინა ანგელოსებს, ან, უფრო სწორად, ღვთაების ნაწილაკებს ამოაბოყინებს[50]; უზენაესი და ჭეშმარიტი ღვთაების ეს ნაწილაკები სამუდამო ლეღვში ჩარჩებოდნენ, „წმიდა რჩეულთ“[51] რომ არ გაეთავისუფლებინათ თავიანთი კბილებით და ნაწლავებით.

მე უბედურსაც მწამდა, რომ მიწის ნაყოფთა მიმართ უფრო მოწყალე უნდა იყო, ვიდრე ადამიანების მიმართ, ვისთვისაც ისინი მწიფდებიან. და თუ მშიერი (რა თქმა უნდა, არა მანიქეველი) ორიოდე ლუკმასა მთხოვდა, ჩემის აზრით, ყოველი ლუკმისათვის იმის ღირსი ვიყავი, რომ სიკვდილით დავესაჯეთ[52].

XI

19. და შენ „ზეცით ჩამომიწოდე ხელი“[53], ჩამომიწოდე და ამ უკუნეთიდან „აიტაცე ჩემი სული“[54], როცა საბრალო დედაჩემი, შენი ერთგული მხევალი, უფრო მწარედ დამტიროდა შენს წინაშე, ვიდრე მკვდარ შვილებს დასტირიან სვეგამწარებული დედები. რადგანაც თავისი რწმენისა და შენგან ნაბოძები სულის წყალობით თვალნათლივ ხედავდა ჩემს სიკვდილს; და

---

[50] როგორც ნეტარი ავგუსტინეს თხზულებებიდან ქვემოთ მოტანილი ნაწყვეტები გვიჩვენებს, ეს იყო მართლაც „ყოვლად უაზრო რწმენა“: „თქვენ (მანიქეველები) ამბობთ, რომ ნაყოფი ტკივილს განიცდის, როცა წყვეტენ, ჭრიან, ხეხავენ, ხარშავენ ან ჭამენ“ („ფაუსტუსის წინააღმდეგ“, 6,4). „ისინი ამბობენ, რომ კაცს უჯობს მევახშე იყოს, ვიდრე მიწის მუშაკი: ვინც ვახშით იძლევა სესხს, „სინათლის ჯვარს“ არ აზიანებს, მიწის მუშა კი დიახაც აზიანებს მას. შენ იტყვი, ეგ რა „სინათლის ჯვარიაო“? ეს, მათი მტკიცებით, ღმერთის ნაწილაკებია, ტყვედ ჩავარდნილნი იმ ბრძოლაში (იხ. შენ. 25, - ბ.ბ.) და შემდეგ მთელს სამყაროში მიმოფანტულნი: ისინი ხეებშიც არიან, ბალახშიც, ნაყოფშიცა და მარცვლეულშიც. ღვთის ნაწილაკებს ჭრის, ვინც ყანასა ხნავს; ღვთის ნაწილაკებს ჭრის, ვინც მიწიდან გლეჯს ბალახს; ღვთის ნაწილაკებს ჭრის, ვინც ნაყოფს წყვეტს ხიდან“ („ფსალმუნთათვის“, 140,12). „თუ ნაყოფს საზრდოდ სთავაზობენ „წმიდანებს“, ამ უკანასკნელთა სიწმინდის, ლოცვისა და ფსალმუნთა გალობის წყალობით, ეს ნაწილაკები თავისუფლდებიან და თავიანთ სამეფოს უბრუნდებიან“ („მანიქეველთა ზნეობისათვის“, 15,36; „მწვალებლობისათვის“, 45). „თქვენ გულხელდაკრეფილნი უცდით, თუ როდის დაგაპურებთ „წმიდანებს“ რომელიმე „მსმენელთაგანი“ (იხ. შენ. 25 - ბ.ბ.), დანით თუ ნამგლით აღჭურვილი ბაღჩაში რომ გარბის და, გოგრების მკვლელი, მათ ცოცხალ გვამებს მოგართმევთ“ („ფაუსტუსის წინააღმდეგ“, 6,4).

[51] „მანიქეველთა ეკლესია „რჩეულთა“ და „მსმენელთაგან“ შედგებოდა. „რჩეულთა“ იერარქიას ავვირგვინებდა „მთავარნი“, რომელსაც მოსდევდა თორმეტი „მაგისტრი“; მათ მოჰყვებოდა „მაგისტრებს“ დაქვემდებარებული სამოცდათორმეტი ეპისკოპოსი, რომლებსაც ექვემდებარებოდნენ მღვდლები და, ბოლოს, - დიაკვნები“ (ბ.დე ლაბრიოლის შენიშვნა, დასახ. გამოც. გვ.60).

[52] თუკი მანიქეველი არამანიქეველს სამოწყალოდ მიაწვდიდა პურს, ეს, მანიქეველთა აზრით, იმას მოასწავებდა, რომ „სინათლის ნაწილაკები“ კიდევ უფრო ღრმად დანთქმულიყვნენ მატერიის პირქუშ დილეგში. ნეტარი ავგუსტინე ჰკიცხავდა მათ გულმოწყალების ამგვარი შეზღუდვისათვის („მანიქეველთა ზნეობისათვის“,15,36).

[53] ფსალმ. 143, 7.

[54] ფსალმ. 85, 13.

შენ შეისმინე მისი გოდება, უფალო, შეისმინე და ზიზღით არ დახედე მის ცრემლებს, ღაპაღუპით რომ აფრქვევდა და უხვად რწყავდა მიწას ყოველგან, სადაც მულხმოყრილი ლოცულობდა და შეწევნად გვევედრებოდა. დიახ, შენ შეისმინე მისი გოდება. მაშ, ვინ მოუვლინა ის სიზმარი, რომელმაც ისეთნაირად ანუგეშა იგი, რომ, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა ერთ ჭერქვეშ გვეცხოვრა და ერთადვე გვესადილა, რაზედაც დიდხანს ცივ უარს მეუბნებოდა, ჩემი საშინელი ცთომილებითა და ღვთისმგმობლობით შეძრწუნებული. ესიზმრა, ვითომ ფიცარზე მდგარს მიუახლოვდა უცხო ჭაბუკი, სახეზე ნათელი რომ გადასდიოდა, და ღიმილით უთხრა უსასოოსა და ურვილს, რა გაწუხებს, ან ყოველდღე ასე გულამოსკვნით რატომ ტირიო; თანაც ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს ამბის გაგება კი არ სურდა, არამედ უნდოდა ნუგეში ეცა მისთვის. დედაჩემმა მიუგო, შვილი მეღუპება და იმას დავტირიო. ჭაბუკმა ურჩია, დამშვიდდი, ცრემლი შეიშრე, ყურადღებით დაუკვირდი და დაინახავ, რომ სადაც შენა ხარ, იქვე იქნება შენი შვილიცო. დედაჩემი შემობრუნდა და დაინახა, რომ მის გვერდით ვდგავარ, იმავე ფიცარზე.

ვინ მოუვლინა ეს სიზმარი, თუ არა შენ, მოწყალედ რომ მიაყურადე მისი მგლოვიარე გულის ფეთქვას, ღმერთო, კეთილო და ყოვლისმძლეო, ისე რომ ზრუნავ ყველა ჩვენგანზე, თითქოს სხვა საზრუნავი არა გქონდეს რა, და თავს დაჰკანკალებ როგორც თვითულს ცალ-ცალკე, ისე სუყველას ერთად.

20. ან ეს როგორღა მოხდა? როცა თავისი სიზმარი მიამბო, მე შევეცადე ჩემებურად განმემარტა ჩვენების აზრი და ვუთხარი, სასოს ნუ წარიკვეთ, სადაც მე ვარ, შენც იქვე იქნები-მეთქი; დედაჩემი არც კი შეყოყმანებულა, ისე მომიგო: „არა, მე ეგ როდი მეუწყა - სადაც ის, იქაც შენაო, არამედ, პირიქით, სადაც შენა ხარ, იქვე იქნება ისიცო“.

აღსარებას გეუბნები, უფალო: თუ მეხსიერება არ მღალატობს, ვინ იცის, რამდენჯერ მიამბნია ეს სიზმარი, - შვილზე თავგადაკლული დედაჩემისათვის შენს მიერ გაცემული პასუხი. რახან ჩემმა ყალბმა, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებელმა განმარტებამ ვერ შეაცბუნა, არამედ მაშინვე იგულისხმა ის, რაც უნდა ეგულისხმა, და რასაც მე მის პასუხამდე, რა თქმა უნდა, ვერ ვგულისხმობდი, - ამან კიდევ უფრო გამაოგნა, ვიდრე საკუთრივ სიზმარმა, რომლითაც ღვთისმოსავ ქალს დიდი ხნით ადრე ეუწყა მომავალი სიხარული და ნუგეში დღევანდელი გლოვის სანაცვლოდ.

და მაინც, ცხრა წელს კიდევ „ვგორავდი ამ ბინძურ წუმპეში“[55] და ცთომილების წყვდიადში ვიყავ დანთქმული. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიცდია წამოდგომა, მაგრამ უფრო მძიმედ ვენარცხებოდი ძირს. დედაჩემი კი, ეს წმინდა ქვრივი, ღვთისმოსავი და მოკრძალებული, ერთ-ერთი იმათთაგანი, ვინც ასე გიყვარს, უფალო, იმედით გამხნევებული, მაგრამ მაინც გამუდმებით მკვნესარე და მგლოვიარე, ლოცვისას კვლავაც დასტიროდა

[55] ფსალმ. 68, 3.

გზააბნეულ შვილს და ჩემს თავს გავედრებდა, უფალო. და „მოაღწია შენამდე მისმა ვედრებამ“[56], თუმცაღა შენვე ინებე, რომ კიდევ დიდხანს მეყიალა და მებოდიალა ამ უკუნეთში.

XII

21. იმხანად სხვა პასუხიც გამეცი, რომელსაც დღემდე ინახავს ჩემი მეხსიერება. ბევრ რამეს დუმილით ვუვლი გვერდს, რადგანაც მინდა სასწრაფოდ გადავიდე იმაზე, რასაც მოითხოვს აღსარება შენს მიმართ, ბევრი რამე კი საერთოდ აღარ მახსოვს.

დიახ, სხვა პასუხიც გამეცი შენი მღვდელმსახურის - ერთი ღირსეული ეპისკოპოსის პირით, რომელიც ეკლესიაში იყო აღზრდილი და საღმრთო წერილში ღრმად განსწავლული. ერთხელ დედაჩემმა სთხოვა, რა იქნება, ჩემს შვილს გაესაუბრო, იქნებ თვალი აუხილო და ზურგი აქციოს ბოროტებას, რათა სიკეთის გზას დაადგესო. ეპისკოპოსი საუბარს როგორ დაამადლიდა ვინმეს, თუკი მისი გამოსწორების იმედი ჰქონდა, მაგრამ ამჯერად უარი უთხრა დედაჩემს, და, როგორც უკვე გვიან მივხვდი, გონივრულადაც მოიქცა. ასე მიუგო, გამოსწორების მაგივრად გაკერპდება, რადგანაც მწვალებლობა ახალი ხილია მისთვის, თავი მოაქვს ერეტიკოსობით და, როგორც შენ თვითონ მითხარი, ვინ მოსთვლის, რამდენი მიამიტი სული აცთუნა თავგზაამბნევი შეკითხვებითო; თავის ნებაზე მიუშვი და მხოლოდ ღმერთს შეავედრე: რახან კითხვა ჰყვარებია, თვითონვე მიხვდება, რაოდენ საშინელია ეს მკრეხელობა და ღვთისმგმობლობაო. და იქვე დასძინა, დედაჩემიც მანიქეველებმა აცთუნეს და ჯერ კიდევ სულ პატარა ვიყავი, როცა მათ მიმაბარა აღსაზრდელადი; მანიქეველების მიერ დაწერილი თითქმის ყველა წიგნი წავიკითხე და ბევრი ჩემი ხელითაც გადავწერე, ასე რომ, ყოველგვარი ჩიჩინისა და შეგონების გარეშეც მივხვდი, რომ ამ უკეთურთა სექტას უნდა გაექცე, და მეც გავიქეცი.

მიუხედავად ამისა, დედაჩემი მაინც ვერ დამშვიდდა და უფრო დაჟინებითა და ცრემლების ფრქვევით დაუწყო თხოვნა, იქნებ მაინც გაესაუბრო და რამე შეაგნებინოო. მაშინ, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულმა ეპისკოპოსმა უთხრა: გეყოფა, ახლა კი წადი, როგორც შენ ცოცხალზე გხედავ, ისე შვილზე ამნაირად გადამკვდარი დედის ძე არ წარწყმდებაო.

დედაჩემი ხშირად მიმეორებდა ეპისკოპოსის ნათქვამს და მეუბნებოდა, ეს სიტყვები რომ გავიგონე, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ციდან ჩამომესმაო.

[56] ფსალმ. 87, 3.

წიგნი მეოთხე

I

1. ამ ცხრა წლის მანძილზე, ჩემი ცხოვრების მეცხრამეტედან ოცდამერვე წლამდე, ან სხვები მაცთუნებდნენ, ან მე თვითონ ვაცთუნებდი სხვებს; ხან ვტყუვდებოდი, ხანაც, ჩემი სხვადასხვა მიდრეკილებებისამებრ, იქით ვატყუებდი ხალხს: საჯაროდ - იმით, რომ ეგრეთწოდებულ „თავისუფალ მეცნიერებებს“[1] ვასწავლიდი, ფარულად[2] კი - რელიგიის ყალბი სახელით; გარეგნულად - ქედმაღალი, შინაგანად - ცრურწმენით სავსე, და მთელის არსებით - ამაოების მსხვერპლი. ერთის მხრივ, სახელის მოხვეჭის ფუჭი სურვილით ანთებულს მეამაყებოდა, როცა ტაშს მიკრავდნენ თეატრში, მელექსეთა შეჯიბრში გამარჯვებულს, და ბალახ-ბულახისაგან დაწნული გვირგვინით მამკობდნენ, მეორეს მხრივ კი უაზრო სანახაობებით, თავაშვებულობითა და აღვირახსნილობით ვტკბებოდი. ზოგჯერ, მთელი ამ სიბილწისგან განწმენდის მიზნით, ხორაგს ვეზიდებოდი ეგრეთწოდებულ „რჩეულთა“ და „წმიდანთათვის“[3], რომელნიც შემდეგ თავიანთი უძღები სტომაქის სახელოსნოში ჩემს მიერ მირთმეული ძღვენისგან ღმერთბსა და ანგელოზებს ამზადებდნენ ჩვენდა სახსნელად[4]. მე ვიყავი მთელი ამ უაზრობის გულმხურვალე აღმსარებელი, და მხარს მიმშვენებდნენ მეგობრები, ჩემთან ერთად თუ ჩემი მეშვეობით ცთუნებულნი.

დაე, საცინად ამიგდოს ყველა მზვაობარმა, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაგიმხია და დაგითრგუნავს, ღმერთო ჩემო, მათდა სახსნელად; მე მაინც მინდა აღსარება გითხრა შენდა სადიდებლად და ჩემი სირცხვილი ვაღიარო. მოწყალება მოიღე და შეაძლებინე ჩემს წარმოსახვას ხელახლა დაიაროს ჩემი ოდინდელი ცთომილების მრუდე და კლაკნილი გზები, და „მსხვერპლად შემოგწიროს ქება-დიდება“[5]. რა ვარ უშენოდ, თუ არა მეგზური, უფსკრულისაკენ რომ მიუძღვის საკუთარ თავს? ან რა ვარ, როდესაც მილხინს, თუ არა

[1] „თავისუფალ მეცნიერებათა“ რიცხვს ეკუთვნოდნენ - გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკის თეორია, ასტრონომია.

[2] „მანიქეველებს ეკლესიაც სდევნიდა და სახელმწიფოც. მათ წინააღმდეგ მკაცრი კანონები გამოსცა ვალენტინიანე I-მა 372 წელს. ამნაირ კანონებს მისი წინამორბედებიც აქვეყნებდნენ, დიოკლიტიანედან მოყოლებული. თუმცა მათ, როგორც ჩანს, არც ისე მკაცრად ახორციელებდნენ“ (რუს. თარგმანის შენიშვნ. იხ. დასახ. გამოც. გვ. 236).

[3] იხ. მესამე წიგნის შენიშვნები, 50.

[4] იხ. იქვე.

[5] ფსალმ. 49, 14.

ჩვილი, შენს რძეს რომ ეწაფება[6] და შენი უხრწნელი საზრდოთი საზრდოობს?[7] ანდა რა არის კაცი, რომელიც გნებავს კაცი, რაკიღა მხოლოდ კაცია? დაე, დაგვცინოდნენ ძლიერნი და მორჭმულნი ამა სოფლისანი: ჩვენ კი, უპოვარნი და უბადრუკნი, აღსარებას გეტყვით შენ.

II

2. იმხანად მჭევრმეტყველებას ვასწავლიდი[8] და საკუთარი სიხარბით ძლეული სარფიანად ვყიდდი ლაყბობის ძლევამოსილ ხელოვნებას. მე მერჩია, - შენ ხომ იცი, უფალო, - „კარგი“ შეგირდები მყოლოდა, იმ გაგებით, რა გაგებითაც მათ ესადაგება ზედსართავი სახელი „კარგი“, და უზაკველად ვასწავლიდი ზაკვას, მაგრამ იმ მიზნით კი არა, რომ უმანკონი ეცთუნებინათ, არამედ რათა ხანდახან მაინც გამოეხსნათ მანკიერნი. შენ კი შორიდან ადევნებდი თვალს, ღმერთო ჩემო, წამდაუწუმ რომ მისხლტებოა ფეხი ამ მოლიპულ გზაზე და ძლივს ვიკავებდი თავს; გარს შემომდგარ კვამლში ოდნავ შესამჩნევად ბჟუტავდა ჩემი პატიოსნება[9], რომელსაც გაკვეთილებზე უშურველად ვუზიარებდი ამაოების მოყვარეთ და სიცრუის მაძიებლებს[10], თავად მათი თანამოაზრე და მეგობარი.

იმხანადვე ერთ ქალთან ვცხოვრობდი, რომელთანაც ცოლ-ქმრული კავშირი არ მაერთებდა, არამედ ურცხვი და აღვირახსნილი ვნება. თუმცა ქალი მარტოხელა იყო, და მე თვითონ არ სარეცლის მიმართაც კი ვინარჩუნებდი ერთგულებას[11]. სწორედ მაშინ საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რა განასხვავებს მშვისა და აუმღვრეველ ცოლქმრულ ცხოვრებას, რომლის მიზანიც გვარის გაგრძელებაა, ვნებიანი სასიყვარულო კავშირისაგან,

[6] შდრ. I კორ. III, 1-2.

[7] შდრ. იოანე VI, 27.

[8] რუსი კომენტატორის მართებული შენიშვნით (იხ. დასახ. გამოც. გვ. 236), „დრო განუსაზღვრელადაა მოცემული. მოვლენები, რომელთა შესახებაც ნეტარი ავგუსტინე აქ და მომდევნო თავში მოგვითხრობს, უფრო გვიან მოხდა: მათ წინ უსწრებდა მეოთხე თავში აღწერილი ამბები. შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ მეორე და მესამე თავში აღწერილი მოვლენები თაგასტაში მოხდა: 1. ავგუსტინეს მდივანი და ბიოგრაფი პოსიდიუსი გარკვევით ამბობს, რომ ავგუსტინე თავდაპირველად „გრამატიკოსი“ იყო თაგასტაში, ხოლო რიტორიკის სწავლება უფრო გვიან დაიწყო კართაგენსი („ავგუსტინეს ცხოვრება“, 1,2), და 2. ისეთ პატარა პროვინციულ ქალაქში, როგორც იყო თაგასტა, შეუძლებელია რიტორიკული სკოლა არსებულიყო. ეტყობა, ნეტარ ავგუსტინეს მხოლოდ იმ ფაქტების შერჩევა აინტერესებდა, რომლებიც უფრო ნათლად წარმოგვიჩენდნენ მის სულიერ მდგომარეობას, როცა იგი მანიქეველი იყო“.

[9] შდრ. მათე, XII, 20.

[10] შდრ. ფსალმ. 4,3.

[11] ჭაბუკი ავგუსტინე კართაგენში ჩასვლისთანავე დაუახლოვდა ამ ქალს, რომლის სახელსაც არსად არ ახსენებს და რომელიც 370 წელს მისი საყვარელი გახდა. ეს კავშირი თხუთმეტ წელიწადს გაგრძელდა (იხ. ი.ვ.პოპოვი, დასახ. ნაშრ. გვ.66). 372 წელს მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ადეოდატუსი („ღვთივბოძებული“) დაარქვა მამამ. ავგუსტინეს ძალიან უყვარდა თავისი ერთადერთი ვაჟი (იხ. „აღსარებანი“, IX, 14).

როცა თვით ახალი სიცოცხლეც კი მშობლების უნებურად ჩნდება, თუმცა ახალშობილი მაინც გაყვარებს თავს.

3. ისიც მახსოვს, რომ ერთხელ გადავწყვიტე დრამატულ პოეტთა შეჯიბრში ჩავბმულიყავი. ერთმა ჰარუსპექსმა[12] კაცი მაახლა საკითხავად, რამდენს გადამიხდი, რომ გაგამარჯვებინოო? მე მივუგე, ეს უკეთური გრძნეულება იმდენად საძულველია ჩემთვის, რმო თუნდაც უხრწნელი ოქროს გვირგვინი მელოდეს ჯილდოდ, ჩემი გამარჯვებისთვის ბუზსაც არავის მოვაკვლევინებ-მეთქი. ჰარუსპექსი კი ცხოველების დაკვლას აპირებდა[13], რომ მსხვერპლად შეეწირა დემონებისათვის, რათა მათი გული მოეგო და ჩემს მიმართ კეთილმოსურნედ განეწყო ისინი. მაგრამ თუ ამ ბოროტებას წინ აღვუდექი, იმიტომ კი არა, რომ თაყვანს ვცემდი შენს სიწმინდეს, ღმერთო, ჩემი გულის ნათელო; რადგანაც მე არ შემეძლო შენი სიყვარული, მხოლოდ სხეულებრივი სინათლის სახით რომ წარმომედგინე. განა ამნაირ გამონაგონს დახარბებული სული „შენგან განშორებით არ ეძლევა გარყვნილებას?“[14] განა სიცრუე არა სწამს და „წყალს არ ნაყავს?“[15] მე, რა თქმა უნდა, არ მინდოდა, რომ ჩემს გამო მსხვერპლი შეეწირათ დემონებისთვის, რომლებსაც თვითონვე ვწირავდი მსხვერპლად საკუთარ თავს. ანდა რას ნიშნავს „წყლის ნაყვა“, თუ არა ამ ბოროტი სულების დარწყულებას, ცვენი ცთომილებით რომ ხარობენ და ჩვენი ცოდვებით იქცევენ თავს?

[12] ჰარუსპექსი - მისანი, რომელიც სამსხვერპლო ცხოველთა შიგანზე დაკვირვებით წინასწარმეტყველებდა მერმისს.
[13] ცხოველების დაკვლა სასტიკად იკრძალებოდა მანიქეველთა მიერ.
[14] შდრ. ფსალმ. 72,27.
[15] ასე გადმომაქვს დედნისეული „pascit vento“ („ქარებსა მწყემსავს“); ეს გამოთქმა ნეტარ ავგუსტინეს ოსია წინასწარმეტყველისგან აქვს აღებული (XII, 1).

III

4. თუმცა მე კვლავ ვეთათბირებოდი იმ თვალთმაქცებს, „მათემატიკოსებს“[16] რომ ეძახიან; ვეთათბირებოდი, რადგანაც ვხედავდი, რომ არც მსხვერპლს სწირავდნენ და არც ლოცვებს აღავლენდნენ ამა თუ იმ სულის მიმართ, რათა მისნობისას მწედ და მეოხად ჰყოლოდათ იგი. მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტად ქრისტიანული ღვთისმოსაობა ჰგმობს და სავსებით სამართლიანად უარყოფს მათ საქმიანობას.

მხოლოდ შენ უნდა გეუბნებოდეთ აღსარებას, უფალო, მხოლოდ შენ უნდა გავედრებდეთ თავს: „შემინყალე და განკურნე ჩემი სული, რადგანაც გცოდე“[17]. ბროოტად არ უნდა ვიყენებდეთ შენს მოწყალებას, რათა ხელახლა ვცოდოთ, არამედ ყოველთვის გვახსოვდეს უფლის სიტყვები: „აჰა, განიკურნე, ნუღარა სცოდავ, რათა უარესი არ დაგემართოს“[18].

ისინი ხომ ცდილობდენ ძირშივე ჩაკლან ეს მაცოცხლებელი შეგონება, როცა ამბობენ: „ზეცამ ისე ინება, რომ უთუოდ უნდა სცოდო“; ანდა: „ეს ვენერას საქმეა, ან სატურნის, ანდა მარსისა“. მაშასადამე, თუ კაცს, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა ხორცი, სისხლი და ქედმაღალი ხრწნილება, ვერავითარ ბრალს ვერ მივაწერთ, მაშინ ბრალი თვითონ შემოქმედს, ცისა და ციურ მნათობთა გამრიგეს ედება. მაგრამ ვინაა შემოქმედი, თუ არა შენ, უფალო ჩვენო, სამართლიანობის უშრეტო და უტკბესო წყაროვ, რომელიც „მისი საქმისამებრ მიაგებ თვითეულს და ურვილისა და თვინიერის გულს არ მოიძულებ“[19].

---

[16] ნეტარი ავგუსტინეს დროს რომის იმპერიაში ასე იწოდებოდნენ არა საკუთრივ მათემატიკოსები, არამედ ასტროლოგები: „ახლა მათემატიკოსებს უწოდებენ იმ ხალხს, ვისაც სურს ციურ სხეულებს დაუქვემდებაროს ჩვენი მოქმედებანი და ვარსკვლავებს მიანდოს ჩვენი ბედი“ („სხვადასხვა საკითხთათვის“, 83,14,1-2). ამ უცნაურსა და უძველეს რწმენას საფუძვლად უდევს პირველყოფილი ხალხების მიერ ციურ მნათობთა გაღმერთება და ამასთან უშუალოდ დაკავშირებული მითოლოგიურ-მაგიური აზროვნება, რომელსაც ბუნებრივ მოვლენებზე გადაჰქონდა ადამიანის ფსიქიკური თვისებები და, ამრიგად, მიკროკოსმოსმა (ადამიანი) და მაკროკოსმოსს (სამყარო) შორის სიმპათია-ანტიპათიაზე დაფუძნებულ სრულ ურთიერთშესატყვისობას ამყარებდა. ასტროლოგიურ წინასწარმეტყველებათა პოხიერ ნიადაგზე აღმოცენებული ათასგვარი ცრურწმენა რომაელ მწერალთა (იუვენალი, ავზონიუსი და სხვ.) სარკასტული დაცინვის საგნად იქცა. ძვ.წ.ა. 139 წელს ასტროლოგები რომიდან გააძევეს, მაგრამ ისინი მალე დაბრუნდნენ უკან. უფრო გვიან იმპერატორ ვალენტინიანე I-ის (364-375 წ.) საგანგებო ბრძანებულება სიკვდილით ემუქრებოდა ასტროლოგებსაც და მათ „კლიენტებსაც“. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ვერც რომში და ვერც შუა საუკუნეების ევროპაში ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო ძირფესვიანად აღმოეფხვრა ასტროლოგია, რომლის ზემოქმედება ბრბოზე, და არა მარტო ბრბოზე, დღემდე გრძელდება.

[17] ფსალმ. 40, 5.

[18] იოანე V, 14.

[19] მათე, XVI, 27; რომ. II, 6; ფსალმ. 50, 19.

5. იმხანადვე გავიცანი ერთი კაცი, დიდად გამჭრიახი, თავის საქმეში გაწაფული და დახელოვნებული ექიმი[20]. დრამატულ პოეტთა ასპარეზობაში რომ გავიმარჯვე, მაშინ ის პროკონსული იყო და თავისი ხელით დამადგა გვირგვინი ამ სნეულ თავზე: ასე რომ, პროკონსულობისა რა მოგახსენოთ და, როგორც ექიმმა, ამ შემთხვევაში ბევრით ვერაფრით ისახელა თავი. ამნაირი სნეულების მკურნალი მხოლოდ შენა ხარ, უფალო, რომელიც „ჰმუსრავ ქედმაღალთ, ხოლო მდაბალთ მადლს ანიჭებ“[21]. განა ამ ბერიკაცის მეშვეობით არ შემეწია? და განა ხელი აიღე ჩემი სულის მკურნალობაზე?

მე ძალიან დავუახლოვდი ექიმს და მისი მუდმივი და გულითადი თანამოსაუბრე გავხდი. ზიზილ-პიპილებით არ ამკობდა სათქმელს, მაგრამ აზრის სიცხადითა და დარბაისლური მეტყველებით გხიბლავდათ. როცა გაიგო, რომ ერთავად ასტროლოგიურ წიგნებს[22] ჩავკირკიტებდი, მამაშვილურად მირჩია, ხელი ამერო მათზე და ამ სისულელისათვის არ შემეილა ჩემი ძალა, რომელიც შეიძლებოდა გაცილებით უფრო სასარგებლო საქმისათვის გამომეყენებინა. მან მიამბო, რომ ოდესღაც თურმე თვითონაც სწავლობდა ამ მეცნიერებას, და ყმაწვილკაცობაში იმასაც კი აპირებდა, რომ თავის ხელობად სწორედ ასტროლოგია აერჩია. მაგრამ განა ჰიპოკრატეს[23] გამგებს ამ წიგნების გაგება გაუჭირდებოდა? მალე ზურგი აქცია მათ და მედიცინის შესწავლას მიჰყო ხელი, რადგანაც თვალნათლივ დარწმუნდა ასტროლოგთა სრულ სიყალბეში: როგორც ღირსეულ კაცს შეშვენის, არ მოინდომა სიცრუით მოეპოვებინა ლუკმა პური. „შენც შეგიძლია - დასძინა მან, - რიტორიკით ირჩინო თავი; შენ კი ნებაყოფლობით ჩაჰკირკიტებ ამ სისულელეს, და არა გაჭირვების გამო; მით უფრო მეტად უნდა ერწმუნო ჩემს სიტყვებს, რადგან მე თვითონაც ვცდილობდი ისე საფუძვლიანად შემესწავლა ასტროლოგია, რომ ჩემს ერთადერთ ხელობად მექცია იგი“. მე ვკითხე, რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ასტროლოგთა ბევრი წინასწარმეტყველება ბოლოს მაინც მართლდება-მეთქი? ის შეეცადა შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინა ჩემი ცნობისმოყვარეობა და ასე მომიგო: ეგ მხოლოდ შემთხვევითობის შედეგად ხდება, გამუდმებით რომ მოქმედებს ბუნებაში. პოეტის წიგნი რომ აიღო და ალალბედზე გადაშალო

[20] ქვემოთ (VII, VI, 8) ნეტარი ავგუსტინე ამ კაცის სახელსაც გვამცნობს: ეს იყო ვინდიციანუსი, იმპერატორ ვალენტინიანე I-ის სასახლის კარის ექიმი; ამიტომაც, იმ დროის ჩვეულებისამებრ, პროკონსულის ტიტული ჰქონდა მინიჭებული. უფრო გვიან კართაგენის მთავარი ექიმის მოვალეობას ასრულებდა. თანამედროვენი ვინდიციანუსს ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან მკურნალად თვლიდნენ.

[21] I პეტრე, V, 5; იაკ. IV, 6.

[22] დედანში: „libros genethliacorum“. ბერძნულ სიტყვას „გენეთლიაკოს“ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: 1. „ის, რაც დაბადებას უკავშირდება“ და 2. „ჰოროსკოპების შემდგენი“, „ასტროლოგი“. „მათ - წერს ნეტარი ავგუსტინე, - გენეთლიაკოსებს უწოდებდნენ იმიტომ, რომ დაბადების დღეებს აკვირდებოდნენ, დღეს კი ისინი „მათემატიკოსებად“ იწოდებიან“(„ქრისტიანული მოძღვრებისათვის“, 2, 21, 32).

[23] ჰიპოკრატე (დაახლ. 460 - დაახ. 370 ძვ.წ.ა.) - სახელგანთქმული ბერძენი ექიმი, მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელი.

სამკითხაოდ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ავტორი მხოლოდ თავის საკუთარ თემას ავითარებდა და საკუთარ მიზანს ისახავდა, - ზოგჯერ შეიძლება იმნაირ სტრიქონს წააწყდე, გამაოგნებელი სიზუსტით რომ შეესატყვისება შენთვის საინტერესო საკითხს. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ადამიანის სული, ამა თუ იმ უჩვეულო ინსტინტქის ძალით, ქვეშეცნეულად და ანგარიშმიუცემლად, სწორ პასუხს გასცემს შემკითხველს.

6. აი, რა მამცნე ამ ბერიკაცის პირითა და მისი მაგალითით. ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდა პირველი მონახაზი იმისა, რაც უფრო გვიან მე თვითონ უნდა მეძებნა. მაშინ კი ვერც მან და ვერც ჩემმა ძვირფასმა ნებრიდიუსმა, ღირსეულმა და კეთილშობილმა ჭაბუკმა, სასაცილოდაც რომ არ ჰყოფნიდა ამნაირი წინასწარმეტყველებანი, - ვერ შესძლეს ჩემი დარწმუნება და ვერც ასტროლოგიურ წიგნებზე ამაღებინეს ხელი, რადგნაც ჩემზე მათი ავტორების ავტორიტეტი უფრო მოქმედებდა, და ვერც ჩემი კვლევა-ძიებით მივაკვლიე ვერცერთ სარწმუნო საბუთს, რომელიც ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე დამიდასტურებდა, რომ მოცემულ კითხვაზე ასტროლოგების ყოველი ზუსტი პასუხი შემთხვევითობით თუ ბედისწერითაა ნაკარნახევი, და არა ვარსკვლავებზე დაკვირვებით.

IV

7. ჩემს მშობლიურ ქალაქში მასწავლებლობის დაწყებისას ერთი მეგობარი შევიძინე, რომელთანაც ინტერესების ერთობამ დამაახლოვა. ჩემი კბილა იყო და ჩემსავით ახლად შეღერებული ჭაბუკი. სიყმაწვილითვე თანშეზრდილები ვიყავით; ერთად დავდიოდით სკოლაში და ერთად ვთამაშობდით. მაგრამ მაშინ ჩემი მეგობარი არ ყოფილა, თუმცა ჩვენს ურთიერთობას ვერც შემდეგ დავარქმევდით ჭეშმარიტ მეგობრობას, რადგანაც ჭეშმარიტია მხოლოდ ის ძმური კავშირი, შენ რომ ამყარებ, უფალო, კაცთა შორის, რომელნიც გემსჭვალვიან „სიყვარულით, ჩვენს გულებში რომ ჩაღვრილა სული წმიდის მიერ, რომელიც შენვე მოგვეცი“[24]. და მაინც ეს მეგობრობა, განმტკიცებული იმის წყალობით, რომ ორივენი გულმხურვალედ მიველტვოდით ცოდნას, უძვირფასესი და უტკბესი იყო ჩვენთვის. მე ის ჭეშმარიტი რწმენის გზას ავაცდინე, რწმენისა, რომელიც ჯერ კიდევ მთლიანად ვერ დაუფლებოდა უმწიფარი ჭაბუკის გულს, - რათა ცრურწმენის საბედისწერო უფსკრულში გადამეჩეხა, რომელშიაც მე თვითონ ვიყავი დანთქმული, რის გამოც მწარედ დამტიროდა

[24] **რომ.** V, 5.

დედაჩემი. ჩვენი სულები მხარდამხარ მიისწრაფოდნენ ცთომილების გზით, და უერთმანეთოდ აღარ შეეძლოთ გაძლება.

მაგრამ შენ, რომელიც ფეხდაფეხ მისდევ ყველას, ვინც გაგირების, „შურისგების ღმერთო“[25] და გულმოწყალების უშრეტო წყაროვ, რათა უკანვე დაგვიბრუნო გონებამიუწვდომელი გზებით, - სწორედ მაშინ განაშორე საწუთროს იგი, როცა ჩვენს მეგობრობას ის-ის იყო ერთი წელი უსრულდებოდა, წელი, რომელიც ყველაზე ბედნიერი იყო ჩემს იმდროინდელ ცხოვრებაში.

8. თუ მოიძებნება კაცი, რომელსაც შეუძლია „აღნუსხოს შენი ქება“[26] იმ სიკეთისათვის, რაც მხოლოდ მისთვის გიყვია? რა მოიმოქმედე მაშინ, ღმერთო ჩემო? რარიგ გონებამიუწვდომელია შენი განგების უფსკრული![27] ციებ-ცხელებით გატანჯული ჩემი მეგობარი დიდხანს უგონოდ იწვა და ჭირის ოფლი სდიოდა. რაკი მისი გამოჯანმრთელების იმედი გადაუწყდათ, ასე ცნობამიხდილი მონათლეს[28]. ამისათვის მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მის სულში, უმალ, ის ჩარჩებოდა, რაც ჩემგან გაეგო, ვიდრე ის, რაც მის ცნობამიხდილ სხეულს დამართეს. მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. ის მომჯობინდა და სააქაოსაკენ იბრუნა პირი. როგორც კი გონს მოეგო, მაშინვე გამოველაპარაკე: ჩვენ კვლავ განუყრელნი ვიყავით, რადგანაც მის სასთუმალს არ მოვცილებივარ. მე დავაპირე გავსაუბრებოდი, რადგანაც მეგონა, რომ ჩემთან ერთად აიგდებდა მასხრად თავის ნათლობას[29], უგრძნობელმა და ცნობამიხდილმა რომ მიიღო (უკვე იცოდა, რომ მოენათლათ). მაგრამ მან, როგორც დაუძინებელ მტერს, შეძრწუნებულმა მაქცია ზურგი და, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, უჩვეულო სისასტიკით მომიგო, თუ კვლავაც ჩემთან მეგობრობას აპირებ, ეგ აღარ გამაგონოო. შემცბარმა და გაოგნებულმა როგორც იქნა მოვთოკე ჩემი გრძნობები და გადავწყვიტე მანამდე აღარ გამეცა თავი, ვიდრე საბოლოოდ არ მოიკეთებდა. მაგრამ შენმა განგებამ არ დამაცალა ჩემი შლეგური

[25] ფსალმ. 93, 1.
[26] შდრ. ფსალმ. 105, 2.
[27] შდრ. ფსალმ. 35, 7; შდრ. რომ. XI, 33.
[28] „ნეტარი ავგუსტინეს მეგობარი, ისევე, როგორც თვით ავგუსტინე, ალბათ, ბავშვობიდანვე „კატეხუმენი“ იყო. ეკლესია თავს იკავებდა ავადმყოფების მონათვლისაგან, რადგანაც მიაჩნდა, რომ ეს ნებაყოფლობითი აქტი კი არ იქნებოდა, არამედ იძულებითი. ამნაირად მონათლულები ღვთისმსახურნი ვერ გახდებოდნენ. თუმცა ბუნებრივი იყო იმის სურვილიც, რომ „კატეხუმენი“ მოუნათლავი არ დარჩენილიყო. ამიტომ თვითონ ცნობამიხდილთაც კი ნათლავდნენ. კართაგენის მესამე საეკლესიო კრების მიერ სანქციონირებულ იქნა ამნაირი პრაქტიკა, მხოლოდ იმ პირობით, თუკი ავადმყოფს ნათესავები დაუდგებოდნენ თავმდებად და დაადასტურებდნენ, რომ ის ნებაყოფლობით ინათლებოდა“ (რუს. თარგმანის შენიშვნები; იხ. დასახ. გამოც. გვ. 236-237).
[29] მანიქეველები არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ნათლისღებას და სრულიად უსარგებლოდ მიაჩნდათ იგი.

განზარხვის ასრულება: რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მის გვერდით აღარ ვიყავი, ციებამ კვლავ დარია ხელი და ჩემი საბრალო მეგობარი გარდაიცვალა; მე წამართვი, რათა, ჩემდა სანუგეშოდ, შენს გვერდით მიგეცინა მისთვის საუკუნო სამყოფელი.

9. რა საშინელმა მწუხარებამ მოიცვა ჩემი გული![30] საითაც უნდა გამეხედა, ყველგან მხოლოდ სიკვდილს ვხედავდი[31]. მშობლიური ქალაქი წამების დილეგად მექცა, მამისეული სახლი - დაუსრულებელი გლოვის სავანედ. ყველაფერი, რაც მასთან მაკავშირებდა, უმისოდ სხვა არა იყო რა, თუ არა აუტანელი ტანჯვის სათავე. ჩემი თვალები ყველგან მეგობარს ეძებდნენ, მაგრამ ამაოდ მე შევიძულე ყველაფერი, რადგან ის არსად ჩანდა, და ვერც ვერვინ მეტყოდა - მალე მოვაო, როგორც მის სიცოცხლეში მეუბნებოდნენ, როცა ჩემთან არ იყო. ჩემი თავისთვისვე ამოუხსნელ ამოცანად ვიქეცი, და ჩემს სულს ვეკითხებოდი, რატომა ხარ ასე მწუხარე, ან მე რად მაწამებ-მეთქი?[32] მაგრამ ის პასუხად დუმდა. თუ ვურჩევდი, ღმერთის იმედი ჰქონოდა[33], ის არ მემორჩილებოდა და ცამდე მართალიც იყო, რადგანაც ჩემთვის სამუდამოდ დაკარგული მეგობარი ათასწილ უფრო უკეთესად და უფრო ნამდვილად მიაჩნდა, ვიდრე ის ფანტასმა, იმედად რომ ვუსახავდი ჩემსავე სულს[34]. მხოლოდ ცრემლის ღვრა მანიჭებდა შვებას; სწორედ მან დაიკავა დაკარგული მეგობრის ადგილი ჩემს გულში და მის ერთადერთ სიამედ იქცა.

[30] შდრ. იერემიას გოდება, V, 17.

[31] ნეტარი ავგუსტინეს ეს სიტყვები ჩვენში დიდი ესპანელი პოეტის ფედერიკო გარსია ლორკას ოთხი მწარე სტრიქონის რემინისცემციას იწვევს: „Por todas partes yo veo el punal en el corazon“. („ყოველ მხარეს მე ვხედავ ხანჯალს გულში“. იხ. Federico Garcia Lorca, Prosa, Poesia. Teatro, M, 1979, p. 127).

[32] შდრ. ფსალმ. 41, 6,12; 42, 5.

[33] შდრ. იმავე ფსალმუნის იგივე ორი მუხლი (41, 6, 12).

[34] მანიქეველთა ღმერთი, რომელიც მაშინ სწამდა ავგუსტინეს, მხოლოდ მისი წარმოსახვით შექმნილი აჩრდილი, მხოლოდ „ფანტასმა“ იყო (იხ. მესამე წიგნის შენიშვნები, 28).

V

10. ახლა კი ყოველივე ეს, უფალო, წარსულს ჩაბარდა; დრომ პირი შეუკრა და მოაშუშა ჩემი ჭრილობა. შეიძლება თუ არა დღეს მაინც გავიგო შენგან, რომელიც ხარ ჭეშმარიტება, დიახ, შეიძლება თუ არა გულისყური მივაპყრო შენს ბაგეებს და მოვისმინო, რატომაა ტირილი ერთადერთი შვება უბედურთათვის?[35] განა შენ, ყველგან მყოფი, ხელაღებით იცილებ თავიდან ჩვენს უბედურებას? მართალია, როცა ამქვეყნიური განსაცდელით შეჭირვებულნი მბორგავი ტალღებივით გაწყდებით და გეხეთქებით ყოველი მხრიდან, შენ კვლავ შენსავე თავში ხარ მშვიდად და აუმღვრევლად დავანებული, მაგრამ ჩვენი ტირილი რომ ვერ აღწევდეს ჩენს ყურს, იმედის ნატამალიც აღარ შეგვრჩებოდა. რატომაა, რომ ცხოვრებისეული სიმწრის ხეზე მოცახცახე ხელითა ვკრეფთ კვნესის, გმინვის, ვაი-ვიშისა და მოთქმა-გოდების ტკბილ ნაყოფს? თუ სიტკბოება ისაა, რომ იმედი გვაქვს, იქნებ შეისმინო ჩვენი ვედრება? ეს ნამდვილად ასეა ლოცვისას, რასაც საფუძვლად უდევს შენსკენ ლტოლვისა და შენამდე მოღწევის დაუოკებელი სურვილი. მაგრამ იგივე ითქმის თუ არა ძვირფასი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ სიმძიმილზედაც, კერძოდ, ჩემს მაშინდელ მწუხარებაზე? განა იმის იმედი მქონდა, რომ გაცოცხლდებოდა? არა, ამას როდის მოვითხოვდი ჩემი ცრემლებით: მხოლოდ გვმინავდი და ვგოდებდი, რადგანაც მეჩვენებოდა, რომ მეგობართან ერთად სამუდამოდ დავკარგე სიხარულის განცდის უნარიც. ან იქნებ ტირილი, რომელიც თავისთავად მწარეა, მხოლოდ იმიტომ გვეჩვენება სიტკბოებად, რომ მოგვბეზრდა ის, რითაც აქამდე ვტკბებოდით, და ახლა მხოლოდ ზიზღს თუ აღგვიძრავს?

[35] შდრ. ნიკოლოზ ბარათაშვილი: „ოხვრა არის შვება უბედურისა“.

VI

11. მაგრამ რას მივედ-მოვედები? ახლა კითხვების დრო კი არ არის, არამედ აღსარების თქმისა. მე უბედური ვიყავი; უბედურია ყოველი სული, რომელიც სიყვარულით ემსჭვალვის იმას, რაც მოკვდავია; რადგანაც ამ უკანასკნელის დამკარგავს სიცოცხლე აუტანელ ტანჯვად ექცევა[36]. სწორედ მაშინ გრძნობს მთელი სიმძაფრით თავზარდამცემ უბედურებას, თუმცა უბედური იყო მანამდეც, ვიდრე თავისი სიყვარულის საგანს დაჰკარგავდა.

ასეთი იყო იმხანად ჩემი სულიერი მდგომარეობა. მწარედ ვტიროდი და მხოლოდ ეს სიმწარე მანუგეშებდა. ხომ ასე უბედური ვიყავი, მაგრამ, ეტყობა, ჩემს ძვირფას მეგობარს მაინც ეს უბედური სიცოცხლე მერჩია. მე, რა თქმა უნდა, ვისურვებდი მის შეცვლას, მაგრამ არა დაკარგვას, როგორც დავკარგე ჩემი მეგობარი. არ ვიცი, შევძლებდი თუ არა მისი გულისთვის თავის გაწირვას, ორესტესა და პილადეს[37] მსგავსად (თუკი მათი ამბავი მოგონილიარ არის), რომლებიც მზად იყვნენ ერთად დახოცილიყვნენ ერთიმეორის გულისთვის, რადგანაც უერთმანეთოდ სიცოცხლე სიკვდილზე უარესად მიაჩნდათ. ჩემში კი სრულად საპირისპირო გრძნობამ იჩინა თავი. საშინლად მძულდა სიცოცხლე, მაგრამ არანაკლებ მეშინოდა სიკვდილისა. მე მგონია, რაც უფრო მეტად მიყვარდა ჩემი მეგობარი, მით უფრო მეტად ვუფრთხოდი სიკვდილს, რომელმაც მისი თავი წამართვა; ვუფრთხოდი, როგორც მოსისხლე მტერს: ვაითუ ყველას ერთად მოუსვას თავისი ცელი, როგორც ის მოცელა-მეთქი.

მახსოვს, რა შავ დღეშიც ვიყავი. აი, ჩემი გული, უფალო: კარგად ჩახედე და დაინახავ, რომ ყველაფერი მშვენივრად მახსოვს, სასოებავ და ნუგეშო ჩემო, ამნაირ გრძნობათა

---

[36] ზოგჯერ მართლაც რომ განსაცვიფრებელია ორი ქრისტიანული აზრის თანხვდომა, რომლებსაც ერთმანეთისაგან საუკუნეები აშორებს. აი, რას ეუბნება მომაკდავი პასკალი დას: „არავის უნდა მივცე იმისი ნება, რომ შემიყვარონ, თუნდაც ეს იყოს მათთვის სრულიად თვითნებური და სასიამოვნო გრძნობა. მე მოვატყუებ ყველას, ვის გულშიაც ამნაირი გრძნობა აღიძვრის, რადგან მე არავის მიზანი არა ვარ და ყველას იმედს გავუცრუებ. განა სიკვდილი კარზე არ მიკაკუნებს უკვე? ასე რომ, მათი სიყვარულის საგანი მალე მოკვდება. ხომ დამნაშავე ვიქნებოდი, თუკი ვაიძულებდი სხვებს ჭეშმარიტად მიეჩნიათ სიყალბე, ვაიძულებდი თუნდაც ჩემდა უნებურად, და ამ იძულებით ვაამებდი მათაც და საკუთარ თავსაც? ასევე დამნაშავე ვიქნები, თუკი ჩემდამი სიყვარულის გრძნობას აღვუძრავ ვისმე. უნდა გავაფრთხილო ყველა, ვისაც ვუყვარვარ, ნუ იწამებს ამ სიყალბეს, ნუ მიწამებს, ნუ შემიყვარებს. ნაცვლად იმისა, რომ მე შემიყვარონ, დაე, ეცადონ სათნო-ეყონ ღმერთს“ (ბლეზ პასკალი, „აზრები“, ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ.ბრეგვაძემ, თბილისი, 1981, გვ. 166-167).

[37] ანტიკური მითოლოგიის გმირები, უერთგულესი მეგობრები, სამი დიდი ბერძენი დრამატურგის ტრაგედიათა პერსონაჟები: ესქილეს „ორესტეა“, სოფოკლეს „ელექტრა“, ევრიპიდეს „ორესტე“, „ელექტრა“ და „იფიგენია ტავრისში“.

მწვირისაგან რომ მწმენდ, შენსკენ მიმართავ ჩემს მზერას და „მახეში გაბმულ ფეხს მითავისუფლებ“[38].

მიკვირდა, რომ დანარჩენი მოკვდავნი ისევ ცოცხლობდნენ, მაშინ როდესაც მკვდარი იყო ის, ვინც ისე ძლიერ მიყვარდა, რომ თითქოს არ შეიძლებოდა მომკვდარიყო. უფრო მეტად მიკვირდა, რომ მე, მისი მეორე „მე“ ცოცხალი ვიყავი, ის კი აღარ იყო ამ ქვეყნად. ვიღაცას კარგად უთქვამს თავის მეგობარზე: „ნახევარი ჩემი სულისა“[39]. მეც ვგრძნობდი, რომ ჩემი სული და მისი სული ორი სული იყო ერთ სხეულში[40], და სიცოცხლე თავზრსა მცემდა: არა, არ მინდოდა ნახევარი სიცოცხლით მეცოცხლა. იქნებ იმიტომაც მეშინოდა სიკვდილისა, რომ მთლიანად არ მომკვდარიყო ის, ვინც ასე ძლიერ მიყვარდა.

VII

12. ო, შლეგი, რომელსაც არ შეუძლია უყვარდეს ადამიანი, როგორც შეჰფერის ადამიანს! ბრიყვი, რომელიც დრტვინავს ადამიანის ხვედრის გამო! აი, როგორი ვიყავი მაშინ: ვბორგავდი, ვგმინავდი, მოვთქვამდი, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი, მოსვენებას ვერსად ვპოულობდი და ვერც აზრებს ვუყრიდი ტავს. ყველგან თან დავათრევდი ჩემს დაფლეთილ-დასისხლიანებულ სულს და აღარ ვიცოდი, სად მეპოვა მისთვის მყუდრო სავანე. მომხიბლავი ჭალაკები, სიმღერები, ცეკვა-თამაში, ვნებათაღელვით წალეკილი სარეცელი, თავბრუდამხვევი სურნელებით სავსე ბაღები, თავაწყვეტილი ღრეობები, წიგნების კითხვა და ლექსები, - ვერაფერი ვერ ანიჭებდა სიმშვიდეს. ყველაფერი აძრწუნებდა, თვით დღის სინათლეც; რაც ჩემს მეგობარს არ აგონებდა, საზიზღარი და აუტანელი იყო მისთვის. მხოლოდ გმინვა და მოთქმა-გოდება, - აი, მისი ერთადერთი ნუგეში. მაგრამ საკმარისი იყო სულს ეს ნუგეშიც მოჰკლებოდა, რომ მაშინვე მძიმე ლოდივით მაწვებოდა და გასრესით მემუქრებოდა ჩემივე უბედურება.

მხოლოდ შენთვის უნდა შემევედრებინა სული, უფალო[41], მხოლოდ შენ შეგეძლო მისი მკურნალობა. ცოდნით კი ვიცოდი ეს, მაგრამ არ მინდოდა და არც შემეძლო შენ მეხმე მწედ და მეოხად, რადგანაც, ჩემი წარმოდგენით, სიმყარისა თუ ურყევობის არა გეცხო რა. ეს

[38] ფსალმ. 24, 15.
[39] შდრ. ჰორაციუსი, ოდები, I, 3, 8.
[40] „კითხვაზე, რა არის მეგობრობა, არისტოტელემ მიუგო: „ერთი სული ორ სხეულში“ (დიოგენე ლაერტელი, V, 1, 20).
[41] შდრ. ფსალმ. 24, 1.

იმიტომ, რომ შენ კი არა, ფუჭი ფანტასმა და ჩემი ცთომილება იყო ჩემი ღმერთი[42]. როცა ვცდილობდი ამ აჩრდილზე ჩამომესვენებინა ჩემი სული, ეს უკანასკნელი მაშინვე სიცარიელეში ვარდებოდა და ხელახლა მემხობოდა თავზე, მთელი თავისი სიმძიმით და სიმძიმილით; ასე რომ, კვლავ იმად ვრჩებოდი, რაც ვიყავი: წყეული და შეჩვენებული ადგილი, სადაც არ დამედგომებოდა და ვერც ვერსად გავიქცეოდი. ან კი სად უნდა გაქცეოდა ჩემი გული ჩემსავე გულს? სად უნდა გავქცეოდი ჩემსავე თავს? ან როგორ დამეხსნა თავი ჩემივე საკუთარი თავისაგან?

და მაინც, მე გავიქეცი ჩემი მშობლიური ქალაქიდან, რადგანაც ჩემი თვალები ნაკლებად დაიწყებდნენ მის ძებნას იქ, სადაც არასოდეს ეხილათ იგი; და მე თავასტიდან კართაგენში გადავბარგდი[43].

VIII

13. დრო უკვალოდ როდი ქრება და არც ფუჭად მიედინება, ისე, რომ არავითარ ზემოქმედებას არ ახდენდეს ჩვენს გრძნობებზე: არა, ის უცნაური ნამოქმედარით ავსებს ჩვენს სულს.

დღეები დღეებს მისდევდნენ; დღევანდელ დღეს ხვალინდელი დღე ცვლიდა; ისინი ჩემში მიედინებოდნენ და ახალ იმედებსა და მოგონებებს მიტოვებდნენ. ჩემს სულში ნელ-ნელა იღვიძებდა განცხრომის ძველი ჩვეულება, ჩემი მწუხარება კი თანდათანობით უკან იხევდა და ადგილს უთმობდა მას. სამაგიეროდ ახალმა მწუხარებამ, ან, უფრო სწორად, მწუხარების ახალმა მიზეზმა იჩინა თავი. რა იყო იმის მიზეზი, რომ ძველმა მწუხარებამ ასე ადვილად დამრია ხელი და ასე ღრმად განწონა ჩემი გული? მხოლოდ ის, რომ ქვიშას ვაპკურე სული, რაკიღა ისე შევიყვარე მოკვდავი ადამიანი, თითქოს არასოდეს ეწერა სიკვდილი[44].

მე კი ყველაზე მეტად სწორედ ახალი მეგობრები მანუგეშებდნენ და კვლავინდებურად მიბრუნებდნენ სიცოცხლის ხალისს; მეგობრები, რომლებიც ჩემთან ერთად იზიარებდნენ

[42] იხ. აქვე, შენ. 34.
[43] ავგუსტინე ისე გაემგზავრა თაგასტიდან, რომ არაფერი უთქვმს დედისთვის („აკადემიკოსთა წინააღმდეგ“, 2,2,3). სამგზავრო და ახალ ადგილზე დასაბინავებლად საჭირო ფული მას მისმა მეგობარმა, მდიდარმა თაგასტელმა მოქალაქემ რომანიანემ მისცა, ვის სახლშიაც ერთხანს ცხოვრობდა ავგუსტინე, როცა დედამ შინ არ შეუშვა გზაბნეული შვილი.
[44] შდრ. აქვე, შენ. 36.

ყოველივე იმის სიყვარულს, რაც შენს ნაცვლად მიყვარდა, ღმერთო. დიახ, ჩვენ ერთად გვიყვარდა დაუსრულებელი ზღაპარი და უწყვეტი სიცრუე[45], „საამოდ რომ ელამუნებოდა ჩვენს სმენას“[46] და თავისი უკეთურობით რყვნიდა ჩვენს სულს. ჩემი ერთ-ერრთი ახალი მეგობარიც რომ მომკვდარიყო, ეს ზღაპარი მაინც არ მოკვდებოდა ჩემთვის.

ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამით მხიბლავდა ეს მეგობრული ურთიერთობა: მხიარული საუბრები, სიცილ-ხარხარი, კეთილმოსურნეობა ერთურთის მიმართ, ტკბილმოუბარი წიგნების ერთობლივი კითხვა, თავშექცევა და ურთიერთპატივისცემა; შიგადაშიგ - უთანხმოებანიც, მსგავსი იმისა, ჩვენ თვითონ რომ არ ვეთანხმებით ხოლმე საკუთარ თავს; უიშვიათესი უთანხმოება, თავისებურ პენს რომ ჰმატებს ხანგრძლივ თანხმობას და ერთსულოვნებას; ურთიერთგანსწავლა, როცა მეგობრებს შორის თვითეული, ერთსა და იმავე დროს, მონაფეცა და მასწავლებელიც; შორს წასულთა სევდიანი მოლოდინი და სიხარული უკანვე დაბრუნებულებთან შეხვედრისას. ურთიერთსიყვარულის ყველა ამნაირი გამოვლინება, სახეზე რომ ახატია ადამიანს, სიტყვით მჟღავნდება და მზერაში გამოსჭვივის, როგორც იმავე სიყვარულის ურიცხვი სხვა გამოხატულება, თითქოს ის მოლაპლაპე ალია, რომელზედაც ხდება სულების ურთიერთშენდობა, რათა მრავლისგან წარმოიქმნას ერთი.

IX

14. აი, რა გვიყვარს მეგობრებში, და ისე ძალიან გვიყვარს, რომ ადამიანს დამნაშავე ჰგონია თავი, თუ სიყვარულს სიყვარულითვე არ აძლევს პასუხს. მეგობრისაგან მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვენ: კეთილმოსურნეობას. აქედან - მწუხარება მეგობრის დაკარგვის გამო; ტანჯვის უსხივო ღამე; სიმწარედ ქცეული სიტკბოება მდუღარე ცრემლებით წარღვნილსა და წალეკილ გულში; ცოცხალთა სიკვდილი, რაკიღა ცოცხალნი აღარ არიან მკვდრები.

ნეტა მას, ვისაც უყვარხარ, ღმერთო; ვისაც თავისი მეგობარი უყვარს შენში, მტერი კი - შენი გულისთვის. მხოლოდ ის არ კარგავს არაფერს ძვირფასს, ვისთვისაც ყველაფერი ძვირფასია მასში, ვინც შეუძლებელია დაკარგო, მაგრამ ვინ არის ეს, თუ არა ღმერთი ჩვენი, ღმერთი, რომელმაც „შეჰქმნა ცა და მიწა“[47] და თვითონვე ავსებს მათ[48], რადგანაც სწორედ

[45] ნეტარი ავგუსტინე მანიქეველთა მოძღვრებას გულისხმობს.
[46] II ტიმ. IV, 3.
[47] დაბად. I, 1.
[48] შდრ. იერემ. XXIII, 24.

იმის წყალობით შექმნა, რომ თავისით აავსო ისინი. არავინ არ გკარგავს, უფალო, გარდა იმისა, ვინც გტოვებს, თუმცა ვინც გტოვებს, სად წავა, ან სად გაიქცევა, თუ არა შენი გულმოწყალებიდან შენივე რისხვისაკენ? რადგანაც განა თავის სასჯელში არ ჰპოვებს შენს ურყევ კანონს? ხოლო „შენი კანონი ჭეშმარიტებაა“[49], ჭეშმარიტება კი შენა ხარ თვითონ[50].

X

15. „ღმერთო ძალთაო, მოგვაქციე ჩვენ, გამოგვიბრწყინე შენი სახე და გადავრჩებით“[51]. საითაც უნდა მიიქცეს ადამიანის სული. ყველგან მწუხარებას აწყდება, ყველგან, სადაც არა ხარ შენ; თვით მაშინაც კი, მშვენიერებასაც რომ შეეყაროს, რა თქმა უნდა, მშვენიერებას შენს გარეშე და, მაშასადამე, თავისი თავის გარეშეც. ეს მშვენიერი საგნებიც არარანი იქნებოდნენ, შენგან რომ არ იღებდნენ დასაბამს. ისინი იბადებიან და კვდებიან. დაბადებისას, ასე ვთქვათ, არსებობას იწყებენ, სრულ გაფურჩქვნამდე იზრდებიან, თანდათანობით ბერდებიან და, ბოლოს, კვდებიან. ყველანი როდი აღწევენ სიბერეს, მაგრამ ყველას გარდუვალი სიკვდილი ელის. ამრიგად, როცა იბადებიან და სიცოცხლეს ეზიარებიან, რაც უფრო სწრაფად იზრდებიან და ხარბად მიელტვიან არსებობას, მით უფრო სწრაფად უახლოვდებიან არარსებობის უფსკრულს. ესაა ზღვარი, რომელიც შენ დაუწესე მათ ამქვეყნიურ ყოფნას, რადგანაც ისინი მხოლოდ მარადიული მთელის წარმავალი ნაწილები არიან, რომლებიც ერთდროულად როდი არსებობენ; არყოფნაში რომ გადადიან, ან ამ ქვეყანას ევლინებიან, და ამრიგად ენაცვლებიან ერთმანეთს, ისინი ერთობლივად ქმნიან მთელ სამყაროულ დრამას, რომელშიაც თვითეული მათგანი თავის საკუთარ როლს ასრულებს. ასე, ჩვენი საუბარიც ცალკეული სიტყვებისაგან ითხზვის, და ის უწყვეტი მთლიანობა არ იქნებოდა, ყოველი სიტყვა, წარმოთქმის შემდეგ, ადგილს რომ არ უთმობდეს მეორეს.

დაე, გაქოს და გადიდოს ჩემმა სულმა[52] მთელი ამ მშვენიერებისათვის, „ღმერთო, ყოვლის შემოქმედო“[53], მაგრამ ხორციელი სიყვარულის წებოთი კი ნუ მიეკვრის გრძნობად სამყაროს, რომელიც კვლავ იქით მიდის, საითაც მიდიოდა - არყოფნის უფსკრულისაკენ, და

[49] ფსალმ. 118, 142.
[50] შდრ. იოანე XIV, 6.
[51] ფსალმ. 79, 4.
[52] ფსალმ. 145, 2.
[53] ამბროსი მედიოლანელის (იხ. პირველი წიგნის შენ. 4) ჰიმნის პირველი სტრიქონი, ჰიმნისა, რომელიც უფრო ვრცლად ციტირებულია ქვემოთ - „აღსარებანი“, IX, 32).

საბედისწერო სურვილთა სიმძაფრით ფლეთს ჩვენს საბრალო სულს, თვითონაც ხარბად რომ მიელტვის არსებობას და სურს ჩამოისვენოს იმ საგნებზე, რომლებიც უყვარს. მაგრამ ამ ქვეყნად ვერსად ჰპოვებ მოსვენებას, რადგანაც გრძნობადი საგნები, რომლებისთვისაც უცხოა ყოველგვარი სიმყარე, განუწყვეტლივ მიჰქრიან არყოფნისაკენ[54]. რომელ ხორციელ გრძნობას ხელეწიფება კვალდაკვალ მისდიოს მათ? როგორ გინდა შეაკავო თვით ისიც კი, რაც ხელთ გიპყრია? ზანტია ხორციელი გრძნობა, სწორედ იმიტომ, რომ სხვა არა არის რა, თუ არა ხორციელი გრძნობა, და თვით თავისი ბუნებითაა ზღვარდებული. ის საკმარისია მხოლოდ თავისი დანიშნულების აღსასრულებლად, მაგრამ სრულად უკმარისია საიმისოდ, რომ შეაკავოს მსწრაფლწარმავალი საგნები, მათთვის დასაზღვრული დასაბამიდან რომ მიჰქრიან გარდუვალი დასასრულისკენ. რადგანაც შენი ღვთაებრივი სიტყვა, რომლის მეშვეობითაც შეჰქმენ ისინი, მათ გასაგონად ბრძანებს: „აქედან - აქამდე“.

XI

16. ნუ აჰყვები ამაოებას, სულო ჩემო, ნუ დამიყრუებ გულისყურს მაგ შენი ფუჭი დგანდგარით. უსმინე: თვით ღვთაებრივი სიტყვა გვეძახის და თავისკენ გიხმობს. აუმღვრეველი სიმშვიდე სუფევს იქ, სადაც სიყვარული არ მიგატოვებს, თუკი შენ თვითონ არ მიატოვებ მას. აჰა, ქმნილებები მიდიან, რათა ადგილი დაუთმონ ახალ ქმნილებებს, და ყველანი ერთად თავიანთი მონაცვლეობით ქმნიან ესოდენ მყიფე და არამყარ გრძნობად სამყაროს[55]. „მაგრამ განა მე შემიძლია სადმე წავიდე?“ - ბრძანებს ღვთაებრივი სიტყვა. მასში დაიმკვიდრე შენი სავანე. მასვე მიანდე ყველაფერი, რაც გაბადია, ამდენი სიცრუით დაღლილო სულო ჩემო. ჭეშმარიტებას მიანდე ყველაფერი, რაც ჭეშმარიტებისგანვე მიგიღია, და შენ არაფერს დაკარგავ. რაც მიხრწნილია შენში, კვლავ თავის სინორჩეს დაიბრუნებს; განიკურნება ყველა შენი იარა და სნეულება; ყოველივე წარმავალი აღორძინდება,

[54] შდრ. მარკუს ავერლიუსი: „რაოდენ სწრაფად ქრება ყოველი: თვითონ სხეულები - სამყაროში, მათი ხსოვნა - მარადისობაში“ („ფიქრები“, II, 12).

[55] შდრ. მარკუს ავერლიუსი: „ყოვლისმპყრობელი ბუნება მალე სახეს უცვლის ყველაფერს, რასაც შენ ჭვრეტ; მისი არსისგან შექმნის სხვა საგნებს, მათგან კიდევ - სხვათ, და ასე შემდეგ, რათა მარადი სიჭაბუკე ახლდეს სამყაროს“ („ფიქრები“, VII, 25)... შდრ. მიშელ მონტენი: „დაუთმეთ ადგილი სხვებს, როგორც სხვებმა დაგითმეს იგი. თანასწორობა სამართლიანობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ვინ შეიძლება უჩიოდეს თავის განწირულებას, თუკი ყველა დანარჩენიც განწირულია? რამდენიც უნდა იცოცხლოთ, მაინც ვერ შეამოკლებთ იმ დროს, რომლის განმავლობაშიაც მკვდრები იქნებით“ („ესსეები“, 1,20).

განახლდება და კვლავ შეგერწყმის; აღარ წარგიტაცებს თავისი დინებით უფსკრულისაკენ, არამედ სამუდამოდ შენში დარჩება, მარად უძრავი და წარუვალი ღვთაების[56] გვერდით.

17. რად მისდევ, წრფელ გზას აცდენილი, შენივე ხორცის ძახილს? დაე, თვითონ მან მოგსდიოს. ყველაფერი, რასაც მისი მეშვეობით შეიგრძნობ, მხოლოდ უბადრუკი ნაწილია. შენთვის უცნობი მთელი, რომელსაც ეკუთვნის ყველა ნაწილი, მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელნი განიჭებენ სიხარულს. შენს ხორციელ გრძნობას რომ შეეძლოს ერთობლივად მოიცვას მთელი[57], და, შენდა სავალალოდ, საკუთარი სამართლიანად არ იყოს ზღვარდებული მარტოოდენ ნაწილის წვდომით, - თვითონვე ისურვებდი, რომ ყველაფერი, რაც კი არსებობს ანმყოში, დაუყოვნებლივ წარსულად ქცეულიყო, რათა უკეთ დამტკბარიყავი მთელით. აკი ჩვენს სიტყვასაც ხორციელი გრძნობით აღიქვამ, და, რა თქმა უნდა, იმას კი არ ისურვებდი, რომ ცალკეული მარცვლები უძრავად გახევებულიყვნენ, არამედ - იმას, რომ სწრაფად შეეცვალათ ერთიმეორე, რათა მთელი სიტყვა მოგესმინა. იგივე ითქმის ყველა ნაწილზედაც, რომლებიც ერთ მთელს შეადგენენ, მაგრამ ერთდროულად როდი იღებენ დასაბამს იმისაგან, რის ნაწილებადაც გვევლინებიან. მთელი გაცილებით უფრო მომხიბლავია (თუ დავუშვებთ, რომ შეიძლება ერთობლივად აღვიქვათ იგი), ვიდრე მისი შემადგენელი რომელიც გნებავთ ნაწილი. მაგრამ რამდენად უკეთესია თვით მთელის შემოქმედი - უფალი ღმერთი ჩვენი; და ის არსადაც არ მიდის, რადგანაც არაფერი არ ენაცვლება.

XII

18. თუ სხეულები მოგწონს, აქე უფალი მათ გამო, და სიყვარულით მიიქეც იმის მიმართ, ვინც არსებობისათვის გამოიწვია ისინი, რადგანაც თუ შენს არცევანს შეაჩერებ იმაზე, რაც მოგწონს, ვაითუ დასაწუნი შეიქნე უფლის თვალში. ხოლო თუ სულები მოგწონს, დაე, გიყვარდეს ისინი ღმერთში, რადგან სულებიც ცვალებადნი არიან და სიმტკიცეს იძენენ მხოლოდ შემოქმედის წიაღში, რომლის გარეშეც მათაც იგივე ბედი ელის: გადაგება და გარდასვლა. მაშ, გიყვარდეს ისინი ღმერთი, და მის მიმართვე მიაქციე ყველა, ვისი მიქცევაც ძალგიძს; ასე უთხარი მათ: „გვიყვარდეს იგი, რომელმაც შექმნა ყოველი, და რომელიც შორის

[56] შდრ. ფსალმ. 101, 13.

[57] ეს პასაჟი ერთხელ კიდევ ნათლად გვიმოწმებს ნეოპლატონიზმის გავლენას ნეტარი ავგუსტინეს მსოფლმხედველობაზე: „მთელი“ (ბერძნ. „ტო ჰოლონ“ - იგივეა, რაც „ერთი“, ანუ „ღმერთი“) და „ნაწილი“ („ტო მეროს“) პლოტინის ფილოსოფიის სპეციფიკური ტერმინებია.

როდის“[58]; არ გასცლია თავის ქმნილებებს: მისმიერნი მასშივე არიან. სად არის იგი? სადაც გემოს უსინჯავენ ჭეშმარიტებას? ის ჩვენი გულის სიღრმეშია, მაგრამ გული განეშორა მას. „დაუბრუნდით, განდგომილნო, გულს“[59] და მიემთხვიეთ თქვენსაც შემოქმედს. დადექით მასთან და ურყევნი იქნებით. დამშვიდდით მასში და ჰპოვებთ სიმშვიდეს. სად, რომელ ჯურღმულში მიძვრებით? საით მიდიხართ? სიკეთე, რომელიც თქვენ გიყვართ, შემოქმედისაგან იღებს დასაბამს, თუმცა ის მხოლოდ მასთან მიმართებითაა სანუკვარი და ტკბილი, მაგრამ სიმწარედ იქცევა, და სავსებით სამართლიანადაც, რადგანაც უსამართლობაა გიყვარდეს სიკეთე და ზურგს აქცევდე მის შემოქმედს. რატომ დაეხეტებით ერთავად ძნელად სავალი და ნარეკლიანი გზებით?[60] არ არის სიმშვიდე იქ, სადაც თქვენ ეძებთ. ეძებეთ, რასაც ეძებთ, მაგრამ იქ როდია, სადაც ეძებთ. ბედნიერ სიცოცხლეს დაეძებთ სიკვდილის საუფლოში: ვინ ჰპოვებს ბედნიერ სიცოცხლეს იქ, სადაც არ არის თვით სიცოცხლე?

19. ქვეყნად ჩამოვიდა ჩვენი სიცოცხლე[61] და აიტაცა სიკვდილი ჩვენი, აიტაცა და თავისი სიცოცხლის სიჭარბით შემუსრა იგი. და იგრგვინა ძახილმა მისმა, რათა მასვე დავბრუნებოდით, იმ საიდუმლო ტაძარში, საიდანაც მოგვევლინა ქალწულის საშოს გამოვლით, სადაც მას შეერწყა ადამიანური ბუნება, მოკვდავი ხორცი, რათა სამუდამოდ მოკვდავად არ დარჩენილიყო, და „საიდანაც გამოვიდა, როგორც მეფე - საქორწინო გავალაკიდან, გოლიათივით რომ შეჰხაროდა გარბენილ გზას“[62]. არ შეყოვნებულა, პირდაპირ ჩვენ მოგვაშურა, მგრგვინავმა სიტყვით და საქმით, სიცოცხლითა და სიკვდილით, ჯოჯოხეთს ჩასვლით და ამაღლებით, - მგრგვინავმა და ჩვენმა მხმობელმა: დამიბრუნდითო. ის განეშორა ჩვენს თვალს, რათა ჩვენს გულს დავბრუნებოდით და იქ გვეპოვა იგი. ის წავიდა, და კვლავ აქ არის; არ ინება დიდხანს დარჩენილიყო ჩვენთან, მაგრამ არც მიგვატოვა. წავიდა იქ, საიდანაც არასოდეს არსად წასულა, რადგანაც „ქვეყანა მის მიერ შეიქმნა“[63], და ის „ამ

[58] შდრ. მოციქ. საქმენი, XVII, 27.
[59] ესაია, XLVI, 8... შდრ. პასკალი: „ღმერთს გული გრძნობს და არა გონება. აი, რა არის რწმენა: ღმერთი გრძნობადი გულისათვის, არა გონებისათვის“ („აზრები“, 216).
[60] შდრ. სიბრძნე სოლომ. V, 7.
[61] შდრ, იოანე, VI, 33.
[62] ფსალმ. 18, 6.
[63] იოანე 1, 10.

ქვეყნად იყო“[64], და „მოვიდა ამ ქვეყნად, რომ ეხსნა ცოდვილნი“[65]. სწორედ მას ეუბნება აღსარებას ჩემი სული, რათა „განიკურნოს მის მიერ, რადგანაც მის წინაშე სცოდა“[66].

„ძენო კაცისანო, რაოდემდე იქნება თქვენი გული დამძიმებული?“[67] სიცოცხლე ჩამოვიდა თქვენთან, - ნუთუ არ გინდათ ამაღლდეთ და იცოცხლოთ? მაგრამ სად ამაღლდებით, რაკიღა თქვენი ქედმაღლობით „ცამდე აგიღერიათ თავი?“[68] ჩამოდით, რომ ამაღლდეთ და ღმერთამდე აღხდეთ[69]: თქვენ ხომ დაეცით, როცა აღსდექით მის წინააღმდეგ.

უთხარი ეს მათ, სულო ჩემო; დაე, ცრემლები აფრქვიონ „ბლოვის ველზე“[70]. ღმერთამდე აღიტაცე ისინი, რადგანაც სული წმიდა შთაგვაგონებს ამ სიტყვებს, თუკი მათ მიმართ მეტყველი სიყვარულის სახმილით ინვი.

XIII

20. მაშინ კი არ ვიცოდი ყოველივე ეს, და მე ვტკბებოდი ამქვეყნიური მშვენიერებით; უფსკრულისაკენ მივდიოდი და ჩემს მეგობრებს ვეუბნებოდი: „განა გიყვარს რაიმე, გარდა მშვენიერებისა? კი მაგრამ, რა არის მშვენიერება? რა გვიზიდავს, ან რა გვხიბლავს იმაში, რაც გვიყვარს? მომნუსხველი და მომაჯადოებელი რომ არა ჰქონდეს რა, ვერასდიდებით ვერ მიგვიზიდავდა“.

აი, ამაზე ვფიქრობდი, და მე მივხვდი, რომ არსებობს, ერთის მხრივ, მშვენიერება, რომელიც მთელის სრულქმნილებისაგან იღებს დასაბამს, მეორეს მხრივ კი - შესაბამისობა, ანუ საგანთა შორის ჰარმონიული თანაფარდობა, როგორც ნაწილი შეესაბამება და ესადაგება მთელს, როგორც ფეხსაცმელი ერგება ფეხს, და ასე შემდეგ.

[64] იოანე, იქვე.
[65] I ტიმ. 1, 15.
[66] ფსალმ. 40, 5.
[67] შდრ. ფსალმ. 4, 3.
[68] ფსალმ. 72, 9.
[69] შდრ. მათე, XVIII, 4.
[70] ფსალმ. 83, 7.

ეს აზრები ერთბაშად მოზღვავდნენ ჩემს სულში და მე დავწერე „მშვენიერისა და შესაბამისისათვის“, რომელიც ორი თუ სამი წიგნისაგან შედგებოდა; შენ იცი, ღმერთო, მე კი დამავიწყდა; თვითონ წიგნები აღარა მაქვს. არ ვიცი, როგორ ან სად დავკარგე[71].

XIV

21. რამ შთამაგონა, უფალო ღმერთო ჩემო, რომაელი ორატორის ჰიერიუსისათვის[72] მიმეძღვნა ჩემი წიგნი, თუმცა პირადად არც კი ვიცნობდი, მაგრამ აღფრთოვანებული ვიყავი მისი, როგორც სწავლულის, სახელითა და დიდებით. მე გადმომცეს მისი ზოგიერთი გამონათქვამი და ძალიან მომეწონა ისინი. მაგრამ უფრო მეტად იმიტომ მომწონდა ჰიერიუსი, რომ სხვებს მოსწონდათ და ცაში აჰყავდათ ქება-დიდებით. ვერ გამეგო, როგორ მოახერხა ამ სირიელმა, თავდაპირველად ასე დახვეწილი ბერძნულით რომ მეტყველებდა, შემდეგ ესოდენ ბრწყინვალედ შეესწავლა ლათინური და ფილოსოფიურ საკითხთა დიდებული მცოდნეც გამხდარიყო.

როცა ადამიანს ერთსულოვნად აქებენ, შეიძლება ისე შეგიყვარდეს იგი, რომ პირადად არც კი იცნობდე. ნუთუ სიყვარული მაქებრის პირიდან გადაეცემა მსმენელის გულს? არა, ის ვისაც უყვარს, თავისი სიყვარულით აღაგზნებს სხვებსაც. ამიტომაც გვიყვარს ის, ვისაც სხვები აქებენ, რადგანაც გვწამს, რომ გულწრფელად აქებენ, და, მაშასადამე, მათი ქება სიყვარულითაა ნაკარნახევი.

22. ასე მიყვარდა ოდესღაც ადამიანები, იმის მიხედვით, თუ რა აზრისანი იყვნენ მათზე სხვები, და არა შენი მსჯავრის თანახმად, ღმერთო ჩემო, ვისთვისაც უცხოა სიყალბე.

---

[71] „ამ თხზულებას დასაბამი მისცა კითხვებმა, თავისი მეგობრების წინაშე რომ სვამდა ავგუსტინე: რითი გვხიბლავენ სამყაროული საგნები და მოვლენები, თუ არა თავიანთი მშვენიერებით? რა არის მშვენიერება? ავგუსტინეს მშვენიერება მთელის ერთიანობაზე დაჰყავდა, ჰარმონია კი - ნაწილების, ან ნაწილისა და მთელის ურთიერთშესაბამისობაზე (ეს კონცეფცია ორიგინალური არაა: ის ანტიკური ესთეტიკიდან იღებს დასაბამს - პლატონი, ატისტოტელე, ციცერონი - ბ.ბ.). ესთეტიკისა არ იყოს, ასეთსავე მათემატიკურ პრინციპებზე აფუძნებდა იგი ეთიკასაც, რაკიღა სიქველე ერთობაზე (მონადური საწყისი; „მონადა“ - „ერთი“, - ბ.ბ.), ბიწიერება კი ორადობაზე (დიადური საწყისი; „დიადა“ - „ორი“, - ბ.ბ.), ესე იგი, უთანხმოებასა და გათიშულობაზე დაჰყავდა. ხანდაზმულობაში ავგუსტინეს აღარ აკმაყოფილებდა ამნაირი განსაზღვრა. თავის თავს უსაყვედურებდა იმის გამო, რომ მისი სული უპირატესად სხეულებრივი საწყისისკენ იყო მიქცეული; რომ მისი ინტერესის საგანი იყო მხოლოდ ხაზები, ფერები და სიდიდეები, რაც ხელს უშლიდა სულის ბუნების წვდომაში“ (А.Герье, Блаженный Августин; М., 1910, стр.28).

[72] ჰიერიუსის შესახებ არაფერი არ ვიცით, გარდა იმისა, რასაც ნეტარი ავგუსტინე გვაუწყებს მასზე.

მაგრამ რატომ აქებდნენ ჰიერისუსს სულ სხვანაირად, ვიდრე სახელგანთქმულ მეეტლეს, ან საქვეყნოდ ცნობილ მონადირეს? ეს იყო გაცილებით უფრო საპატიო და დარბაისლური ქება-დიდება, სწორედ ისეთი, ოცნებად რომ მქონდა ქცეული: ნეტა მეც ასე მაქებდნენ-მეთქი. რადგანაც ნამდვილად არ ვისურვებდი, ისე ვექეთ და ვედიდებინეთ, ან ისე ვყვარებოდით, როგორც მსახიობები, თუმცა მე თვითონ ვაქებდი მათ და მიყვარდა კიდეც ისინი. მაგრამ მე მერჩია, სულაც არავის სცოდნოდა ჩემი ასხელი და, ასე განსაჯეთ, საძულველიც კი ვყოფილიყავი ხალხისათვის, ვიდრე ასე ვედიდებინეთ, ან ამნაირი სიყვარულით ვყვარებოდით. ნეტა რომელ სასწორდზე წონის ერთი და იგივე ადამიანი სულ სხვადასხვანაირ სიყვარულს? რატომ მიყვარს ის თვისება სხვაში, რაც, იმავდროულად, მძულს? რადგანაც იგივე თვისება მეც რომ მახასიათებდეს, ამას, ალბათ, ვერ ავიტანდი. თუმცა ორივეს, მეც და მასაც, ადამიანი გვქვია. შეიძლება გიყვარდეს კარგი ცხენი, მაგრამ იმას კი არ ისურვებდი, რომ ცხენი ყოფილიყავი, ცხენად ქცევაც რომ შეგეძლოს. მსახიობი კი სხვა საქმეა: ის ჩვენი ჯიშისა და ჯილაგისაა. მაშასადამე, ადამიანში მე მიყვარს ის, რა ჩემსავე თავში მძულს, თუმცა მეც ადამიანი ვარ? რა უსასრულო უფსკრულია ადამიანი![73] შენ „მისი თმებიც კი სათითაოდ დათვლილი გაქვს“[74], უფალო, და ერთი ღერიც არ დაგეკარგება, მაგრამ გაცილებით უფრო ადვილია დათვალო მისი თმები, ვიდრე მისი ვნებები და გულისთქმანი.

23. რაც შეეხება ჰიერიუსს, ის მიეკუთვნებოდა ორატორთა იმ დასს, რომელიც ისე მხიბლავდა, რომ ძალიან მინდოდა მეც მისი წევრი ვყოფილიყავი. ჩემი სიამაყით გზააბნეულს თავის ნებაზე მათამაშებდა ყოველი მხრიდან მქროლავი ქარი[75], მაგრამ ფარულად და საიდუმლოდ შენ წარმართავდი ჩემს ნაბიჯს. მაშ, საიდან უნდა მცოდნოდა და დაბეჯითებით მეღიარებინა შენს წინაშე, რომ უფრო იმ სიყვარულის გამო მიყვარდა იგი, რასაც თავის მაქებრებს უნერგავდა, ვიდრე იმ საქმის გამო, რისთვისაც ასე აქებდნენ და ადიდებდნენ? მის თაყვანისმცემლებს რომ ქების ნაცვლად, პირიქით, ეგინებინათ, და თუნდაც იგივე გაემეორებინათ, რასაც მუდამ ამბობდნენ მასზე, მაგრამ ზიზღით და სიძულვილით, ჩემს გულში ნამდვილად არ აღიძვროდა სიყვარული მის მიმართ, თუმცა არც მისი საქმე

[73] შდრ. პასკალი: „რა საზარელი ქიმერაა ადამიანი! რა ენიგმა, რა ურჩხული, რა ქაოსი, წინააღმდეგობების როგორი ხლართი, რა სასწაული! სამყაროულ არსთა მსაჯული, მიწის ბრიყვი მატლი (პასკალის ამ პასაჟით უნდა იყოს შთაგონებული ვიქტორ ჰიუგოს მომხიბლავი დიალოგი კაცსა და მიწას შორის: „კაცი: მე ვარ შენი მეფე! მიწა: შენა ხარ ჩემი მატლი!“ - ბ.ბ.), ჭეშმარიტების საცავი, ეჭვებისა და შეცდომების აღუვსებელი სასწაული, სიბილწის ბუდე, სამყაროს დიდება, ბუნების უბადრუკი ნაშთი და ნარჩენი“ („აზრები“, 345).
[74] შდრ. მათე, X, 30.
[75] შდრ. ეფეს. IV, 14.

შეიცვლებოდა და არც თვითონ იქცეოდა სხვად: სხვანაირი იქნებოდა მხოლოდ იმათი გრძნობები, მის ამბავს რომ მიამობდნენ.

აი, რა სუსტი, რა უმწეო და მერყევია სული, ჯერ კიდევ რომ არ დაყრდნობია ჭეშმარიტების მყარ საყრდენს. გამუდმებით წრიალებს და აქეთ-იქით აწყდება, იმის მიხედვით, თუ საიდან უბერავს მითქმა-მოთქმის ქარბორბალი, მზის შუქს რომ უბნელებს და ამიტომაც ჭეშმარიტებას ვეღარ არჩევს, თუმცა ის აქვეა, ჩვენს გვერდით.

ჩემთვის მაშინ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ არ სახელოვან კაცს გაეცნო ჩემი წიგნი და ჩემი ნაღვაწი. თუ მოიწონებდა, გაათკეცებული გულმოდგინებით ჩავუჯდებოდი საქმეს; ხოლო თუ დაიწუნებდა, მწარედ მოწყლავდა ამაოების სიყვარულით მფეთქავ ჩემს საბრალო გულს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეგულებოდი თავისი სიმტკიცის ბურჯად. და მაინც, სიყვარულით ვფურცლავდი და გონების თვალით ველოლიავებოდი ჩემს წიგნს მშვენიერისა და შესაბამისის შესახებ, და იმდენად აღტაცებული ვიყავი ჩემი ნაშრომით, რომ, ღმერთმანი, არავის ქება არ მჭირდებოდა.

XV

24. მაგრამ მე ჯერ კიდევ ვერ ვხედავდი შენი დიადი საქმისა და ხელოვნების იდუმალ ფესვს, ყოველისმძლეო და „ერთადერთო სასწაულთმოქმედო“[76]. ჩემი სული უგზო-უკვლოდ დაბორიალობდა სხეულებრივ საგანთა შორის. „მშვენიერს“ მე ვუწოდებდი იმას, რაც თავისთავადაა მშვენიერი, „შესაბამისს“ კი იმას, რაც მეორე საგანს ესადაგება, და ამ განსაზღვრას გრძნობადი სამყაროდან მოხმობილი მაგალითებით ვასაბუთებდი.

შემდეგ კი სულის ბუნებას მივუბრუნდი, მაგრამ ის გარემოება, რომ გაყალბებული სახით აღვიქვამდი სულიერ სამყაროს, ხელს მიშლიდა ჭეშმარიტების წვდომაში. ის კი ჩემს თვალწინ იყო, მთელი თავისი სხივოსნობითა და ძალმოსილებით, მაგრამ მე ჩემს დაბინდულ მზერას ვარიდებდი ყოველივე უსხეულოს და ხაზებზე, ფერებსა და სიდიდეებზე გადავდიოდი. და რაკი არ შემეძლო ყოველივე ეს მეხილა სულში, ასე მეგონა, არც ჩემი სულის ხილვა შემეძლო. სიქველეში მე მიყვარდა სიმშვიდე, ბიწიერებაში კი მძულდა უთანხმოება, ამიტომ

[76] შდრ. ფსალმ. 71,10.

პირველს ერთობად აღვიქვამდი, მეორეს კი - გათიშულობად[77]. ერთობა გონივრული სულის, ჭეშმარიტების არსისა და უზენაესი სიკეთის ურთიერთშერწყმად წარმომედგინა, გათიშულობას კი გონიერებისაგან განძარცულ სიცოცხლედ, ღმერთმა იცის, რანაირ სუბსტანციად და უზენაეს ბოროტებად ვსახავდი, ბოროტებად, რომელიც, ჩემის აზრით, არა მარტო სუბსტანცია, არამედ ნამდვილი სიცოცხლე იყო, მხოლოდ იმნაირი სიცოცხლე, უფალო ჩემო, შენგან რომ არ იღებს დასაბამს, მიუხედავად იმისა, რომ შენგან წარმოსდგება ყოველი[78].

ერთობას მე ვუწოდებდი „მონადას“, როგორც ერთგვარ სულიერ საწყისს სქესის გარეშე, გათიშულობას კი - „დიადას“, მრისხანებად რომ გვევლინება დანაშაულში და გრძნობელობად - ხორციელი განცხრომის ჟამს. თვითონაც არ მესმოდა, რას ვამბობდი, და ვერც ის შემეგნო, რომ ბოროტება სუბსტანცია არ არის[79], და არც ჩვენი გონებაა უზენაესი და უცვლელი სიკეთე.

25. დანაშაული სულის ბიწიერი მოძრაობაა, სამოქმედოდ რომ აღგვძრავს, ხოლო ამ მოქმედებით სული შლეგურად და თავხედურად ცდილობს თვითდამკვიდრებას. ზუსტად ასევე, გარყვნილება თავაწყვეტილი და აღვირახსნილი სურვილია, დაუოკებელი სწრაფვა ხორციელი განცხრომისაკენ. თუ გონივრული სული თვითონვეა ბიწიერი, მაშინ სიცოცხლე ცთომილებითა და ყალბი წარმოდგენებით იბღალება. ასეთი იყო ჩემი მაშინდელი სიცოცხლე, და მე არ ვიცოდი, რომ სული სულ სხვანაირი შუქით უნდა გამენათებინა, რათა ჭეშმარიტებისათვის მეზიარებინა იგი, რადგანაც თვითონვე როდია ჭეშმარიტების საწყისი. „მხოლოდ შენ ამინთებ ლამპარს, უფალო; ღმერთო ჩემო, მხოლოდ შენ გაანათებ ჩემს წყვდიადს“[80]; და „ყველამ მივიღეთ შენი სისავსისაგან“[81], რადგანაც „შენა ხარ ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად“[82]; ვინაიდან „შენთვის უცხოა ცვალებადობა და ცვლილების ჩრდილი“[83].

[77] იხ. აქვე, შენ. 71.
[78] შდრ. I კორ. VIII, 6.
[79] აქ კვლავ აშკარად იგრძნობა პლოტინის გავლენა. იხ. მესამე წიგნის შენ. 39.
[80] ფსალმ. 17, 29.
[81] იოანე, I, 16.
[82] იოანე, 1, 9.
[83] იაკ. I, 17.

26. შენსკენ ვილტვოდი, შენ კი თავად მიშორებდი, რათა გამეგო სიკვდილის გემო[84], „რადგანაც მზვაობართა წინააღმდგომი ხარ“[85].

მართლაცდა, რა შეიძლება იყოს იმაზე მეტი ზვაობა და ქედმაღლობა, რომ გამაოგნებელი სიშლეგით ამტკიცებდე, თითქოს შენი ბუნება არსებითად არ განსხვავდება ღმერთის ბუნებისაგან? რაკი აშკარად ვგრძნობდი ჩემს ცვალებადობას, რისი უარყოფაც არ შემეძლო, რადგანაც უარესს მინდოდა უკეთესი გავმხდარიყავი, - მერჩია, შენ თვითონ მეგულე ცვალებადად, უფალო ჩემო, ვიდრე მეღიარებინა, რომ მე ივივე როდი ვარ, რაც შენ. ამიტომაც მიშორებდი თავიდან და ჩემს ყოყოჩობას თრგუნავდი. ჩემი წარმოსახვა თავს დასტრიალებდა სხეულებრივ ფორმებს. მე, ხორცი, ბრალს ვდებდი ხორცს, და „მაწანწალა სული“[86] არც ვცდილობდი შენსკენ მოქცევას; თავგზააბნეული დავბორიალობდი იმ საგნებს შორის, რომლებიც არც ჩემში იყვნენ, არც შენში და არც არსად; ისინი შენი ნამდვილი ქმნილებანი კი არ იყვნენ, არამედ ჩემი ფუჭი ზმანებანი. და მე ვეკითხებოდი შენს ერთგულ მსახურთ, ჩემს თანამოქალაქეებს, რომელთაგანაც უკვე განდევნილი ვიყავი, ისე, რომ თვითონაც არ ვიცოდი ეს, - დიახ, მე ბრიყვი და ყბედი, ვეკითხებოდი მათ: რატომ ცდება სული, თუ მართლა ღმერთმა შექმნა-მეთქი? მე არ მინდოდა, რომ პასუხად ეთქვათ: რატომღა ცდება ღმერთიო? ამტომაც ვამჯობინებდი უმალ ის დამემტკიცებინა, რომ შენი უცვლელი არსი აუცილებლობის გამო ცდება, ვიდრე მეღიარებინა, რომ ჩემი ცვლადი არსი თავისი ნებით გვერდს უქცევს წრფელ გზას, რისი სასჯელიც ცთომილებაა[87].

27. ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლისა ვიყავი, ეს წიგნი რომ დავასრულე. ჩემს თვალწინ შრიალით იფურცლებოდა ჩემივე გამონაგონი - ურიცხვი ხორციელი ხატება - და გულისყურს მიყრუებდა. მაგრამ ყოველივე ამის მიღმა მე ვცდილობდი გამერჩია შენი შინაგანი მელოდია, ო, ჩემო უტკბესო ჭეშმარიტებავ, ჩუმად რომ ხმიანებდა სულის სიღრმეში, როცა მშვენიერებასა და შესაბამისობაზე ვფიქრობდი. მე მინდოდა წამოვმდგარიყავი და „სიხარულით მეხარა სიძის ხმის გაგონებისას“[88], მაგრამ ვაი რომ არ შემეძლო: ხმამაღლა მიხმობდა ჩემი ცთომილება და გარეთ მიმათრევდა. ძირს მანარცხებდა ჩემი სიამაყის სიმძიმე. შენ არ აძლევდი „ჩემს

[84] შდრ. მათე, XVI, 28; მარკ. IX, 1; იოანე, VIII, 52.
[85] შდრ. I პეტრე, V, 5.
[86] ფსალმ. 77, 39.
[87] „ცოდვის ყველაზე სამართლიანი სასჯელი ისაა, რომ ადამიანი კარგავს იმას, რითაც მან არ მოისურვა სათანადოდ ესარგებლა... ვინც არ ინება მართებულად მოქცეულიყო, როცა შეეძლო, კარგავს ამის შესაძლებლობას, როცა ისურვებს მართებულად მოიქცეს“ (ნეტარი ავგუსტინე, „ნების თავისუფლებსიათვის“, 3. 18, 52).
[88] იოანე III, 29.

სმენას ხალისითა და სიხარულით ტკბობის“ საშუალებას, და არ „ილხენდნენ ჩემი ძვლები“, რადგანაც ჯერ კიდევ არ „დაგეთრგუნა“[89].

XVI

28. რა მარგო იმან, რომ ოცი წლის ყმაწვილ კაცს ხელში ჩამივარდა არისტოტელეს ერთი თხზულება, რომლის სათაურიც იყო „ათი კატეგორია“[90]; - უნდა გენახათ, რა მედიდურად იბღინძებოდნენ ამ სათაურის წარმოთქმისას ჩემი მასწავლებელი, კართაგენელი რიტორი, და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი სხვა კაციც, სწავლულებად რომ მოჰქონდათ თავი; ამიტომაც ისე ვოცნებობდი ამ წიგნზე, თითქოს რაღაც დიადი და ღვთაებრივი რამ ყოფილიყოს; - დიახ, რა მარგო იმან, რომ ჩემს ტოლ-სწორებში მხოლოდ მე შევძელი წამეკითხა და გამეგო იგი? როცა არისტოტელეს კატეგორიებზე ვესაუბრებოდი იმ ხალხს, ვინც თვითონვე აღიარებდა, რომ რის ვაივაგლახით შეძლო მისი გაგება, და ისიც, მოძღვართა წყალობით, რომელნიც მარტო სიტყვიერად კი არ განმარტავდნენ ზემოხსენებულ კატეგორიებს, არამედ ქვიშაზე დახაზულ ფიგურებსაც იშველიებდნენ, - ვერავინ ვერაფერს მეუბნებოდა იმაზე მეტს, რისი გაგებაც მე შევძელი.

---

[89] ფსალმ. 50, 10.

[90] ახლა ჯერი არისტოტელეს „კატეგორიების“ განქიქებაზე მიდგა: დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა ერთ საგულისხმო ტენდენციას: ნეტარი ავგუსტინეს მკვეთრად გამოხატულ უარყოფით დამოკიდებულებას ანტიკური კულტურის მიმართ. თუმცა ამ მხრივ ის გამონაკლისი არ ყოფილა: ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მეხუთე და თვით მეექვსე საუკუნემდეც კი ქრისტიანობა დაუნდობლად ებრძოდა უკვე დასაღუპად განწირულ ანტიკურ კულტურას, საუკუნეებით განმტკიცებულ მის მაღალ ავტორიტეტს, და ყოველნაირად ცდილობდა ადამიანთა შეგნებიდან ძირფესვიანად აღმოეფხვრა იგი. მაგრამ ნეტარი ავგუსტინე თვით თანამზრახველთა და თანამოაზრეთა შორისაც კი გამოირჩეოდა თვისი ულმობლობით. ხანდაზმულობისას ის სასტიკად ჰგმობდა თავისი სიყმაწვილისა თუ სიჭაბუკის დროინდელ გატაცებას ძველი ბერძნული თუ რომაული მწერლობითა და ხელოვნებით, სადაც მას უკვე აღარ ეგულებოდა არცერთი ღირსეული ნიმუში, ოდნავ მაინც რომ დააკმაყოფილებდა ნატიფი გემოვნებისა და მძლავრი გონების მოთხოვნებს, ტერენციუსის კომედიებით დაწყებული („აღსარებანი“, წიგნი I, XVI, 26) და ჰომეროსის გენიალური პოემებით დამთავრებული: „ცრუ არაკები“ - ეს ვერგილიუსის „ენეიდის“ ცალკეული ეპიზოდებია („აღსარებანი“, წიგნი პირველი, XIII, 2); „ფუჭი და მაცთური ხილვები“, - აქ ჰომეროსის „ილიადა“ იგულისხმება („აღსარებანი“, იქვე. შდრ. ლაქტანციუსი: „პოეტები საშიშნი არიან, იმიტომ, რომ მათი ტკბილხმოვანი სტრიქონები მადლისაგან გარემიაქცევენ სულს“, - ციტ. წიგნიდან: К.Гилберг, История эстетики, пер. с английского, М., 1920, стр. 141; „უცნაური სიშლეგე“ - ეს თეატრალურ სანახაობებზეა ნათქვამი („აღსარებანი“, წიგნი მეორე, II, 2. - შდრ. ტერტულიანე, რომელიც ამტკიცებდა, თეატრალურ ხელოვნებას ვნებისა და ჟინის ორი დემონი, ორი ეშმაკეული - ვენერა და ბახუსი მფარველობსო; - იხ. კ.გილბერტი, ჰ.კუნი, დასახ. ნაშრ. გვ. 139), ხოლო ამ სანახაობებით გატაცების სავალალო შედეგი იქვე (II, 4) ასეა გადმოცემული: „მე - ფარას მოწყვეტილი და შენი მოწყალე მფარველობის მოძულე ცხვარი ბინძური ქცევით გავქეციანდი“; „ვინმე ციცერონი“, - ასე იხსენიება („აღსარებანი“, წიგნი მეორე, IV, 7) „რიტორთა მეფე“, და ამას ამბობს კაცი, რომელიც სიჭაბუკეში ასე ბეჯითად სწავლობდა, ხოლო შემდეგ თვითონვე ასწავლიდა მჭევრმეტყველების ხელოვნებას ორატორულ სკოლაში; ეს იმას ჰგავს, ქრისტიან ეპისკოპოსს რომ ეთქვა - „ვინმე მათეო“ (თუმცა ნეტარი ავგუსტინე არც აქაა მარტო: მისი დიდი თანამედროვე წმიდა იერონიმე წერდა, ციცერონისადმი მეტისმეტი სიყვარულის გამო ანგელოზები ისე დაუნდობლად მამათრახებენ მამაზეციერის წინაშე, რომ მთელ ტანს მილილავებენო, „წერილები“, 22); „უხამსი სიამოვნება“, - ამ სიტყვებში წარმართული მუსიკის მოსმენით მონიჭებული სიტკბოება იგულისხმება („ღვთის ქალაქისათვის“, XVII, 14). „ნეტარი ავგუსტინეს ასკეტიზმი ზოგჯერ იქამდე მიდიოდა, რომ ხელაღებით ჰგმობდა ყველას, ვინც ცდილობდა ე.წ. „თავისუფალ ხელოვნებებს“ დაუფლებოდა. ერთადერთი „თავისუფლების მოყვარე“ ლიტერატურა „ბიბლიაააო“, - ამტკიცებდა იგი, ხოლო იმათ, ვინც თავისუფალ ხელოვნებებში იწაფავს თავს, მონები უფრო ეთქმით, ვიდრე თავისუფალი ადამიანებიო“ (კ.გილბერტი, ჰ.კუნი, დასახ. ნაშრ. გვ.140).

ჩემთვის აშკარა იყო, რომ ეს წიგნი საკმაოდ ნათლად მსჯელობდა სუბსტანციებსა და მათ თვისებებზე: ასე მაგალითად - ადამიანის აღნაგობა - თვისებაა; მისი სიმაღლე - რაოდენობა; ვისი ძმაა - მიმართება; სადაცაა - ადგილი; როცა დაიბადა - დრო; ზის თუ დგას - მდგომარეობა; რა მოსავს: ფეხსაცმელი თუ საჭურველი - ფლობა; რას აკეთებს - მოქმედება; რას განიცდის - ვნება. ამ ცხრა კატეგორიას, რომელთა მაგლითებიც აქ მოვიტანე, და საკუთრივ სუბსტანციის კატეგორიას შეიძლება ურიცხვი სხვადასხვა მოვლენა მიესადაგოს[91].

29. მერედა, რა მარგო ყოველივე ამან? ვნებით კი მავნო, რაკიღა მეგონა, რომ ეს ათი კატეგორია მოიცავდა უკლებლივ ყველაფერს, რაც კი არსებობს, მე ვცდილობდი, შენც, ღმერთო ჩემო, განსაცვიფრებლად მარტივი და უცვლელი, შენივე სიდიადისა თუ მშვენიერებს სუბიექტად წარმომედგინე, თითქოს მათსა და შენს შორის ისეთივე თანაფარდობა არსებულიყო, როგორიც აქციდენტებსა და სუბსტანციას, ვთქვათ, სხეულს შორის, მაშინ როდესაც შენივე სიდიადეცა და მშვენიერებაც თვითონ შენა ხარ[92]. სხეული კი არც დიდია და არც მშვენიერი, რამდენადაც ის მხოლოდ სხეულია: უფრო პატარაც რომ ყოფილიყო და ნაკლებ მშვენიერი, მაინც სხეული იქნებოდა.

ჭეშმარიტი კი არა, მცდარი იყო ყოველივე ის, რასაც შენზე ვფიქრობდი: ჩემი საცოდაობის უბადრუკი გამონაგონი, და არა შენი ნეტარების ურყევი სიმტკიცე. რადგანაც ასე

[91] მოძღვრება „კატეგორიების“ შესახებ გადმოცემულია არისტოტელეს ლოგიკურ თხზულებათა კორპუსის - „ორგანონის“ პირველ ტრაქტატში. სტაგირელი ფილოსოფოსის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს, რომელსაც ურიცხვი კომენტატორი გამოუჩნდა ქრისტიანიზმის პირველ საუკუნეებში, როგორც ჩანს, ნეტარი ავგუსტინე იცნობდა მარიუს ვიქტორინუსს (დაახლ. 300 - დაახლ. 363 წ.) ლათინური თარგმანის მიხედვით. არისტოტელეს თანახმად, კატეგორიები პრედიკატთა ის ძირითადი ტიპებია, რომლებზედაც შეიძლება დაყვანილ იქნეს მთელი მრავალფეროვნება გამონათქვამებისა არსის შესახებ. ასეთი კატეგორია ათია: 1. საკუთრივ არსი, ანუ სუბსტანცია (ბერძნ. „უსია“); 2. რაოდენობა („ჰოსონ“); 3. თვისება („ჰოიონ“); 4. მიმართება („ჰროს ტი“); 5. ადგილი („ჰუ“); 6. დრო („ჰოტე“); 7. მოქმედება („ჰოიეინ“); 8. ვნება („ჰასხეინ“); 9. მდებარეობა („კეისთაი“); 10. ფლობა („ეხეინ“), თუმცა ამ ორ უკანასკნელს არისტოტელე ზოგჯერ თვითონვე გამორიცხავდა კატეგორიათა წყებიდან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არისტოტელე ყველა კატეგორიას „არსს“ უწოდებს, და ეს უბრალო ომონიმია როდია. „არსი“, ამ სიტყვის უშუალო მნიშვნელობით, ერთობლივად მოიცავს არსებობის ყველა მოდუსს, რაც კი კატეგორიებითაა გამოხატული. „არსია“ გრძნობებით აღქმადი ყველა ცალკეული სუბსტანცია, რომელიც ყოველთვის გარკვეული სიდიდითა თუ თვისებით ხასიათდება, ყოველთვის სადღაც და როდესღაც - სივრცის ამა თუ იმ ადგილას და დროის ამა თუ იმ მომენტში არსებობს, ასე თუ ისე მიემართება სხვა საგნებს, რომლებზედაც გარკვეულ მოქმედებას ახდენს, ან თვითონვე განიცდის მათ ზემოქმედებას. ნეტარ ავგუსტინეს კი, ვისთვისაც ჯერ კიდევ უცხო იყო ნეოპლატონისტური ფილოსოფია, მანიქეველთა ანთროპომორფული მოძღვრების გავლენით ეგონა, რომ ყველა ეს კატეგორია შეიძლება მიესადაგოს ღმერთს, როგორც სუბიექტს, რომელიც არსებითად განსხვავდება სიდიდის, მშვენიერებისა და სხვა მისთანათა ატრიბუტებისაგან.

[92] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანიქეველთა მოძღვრების თანახმად, კატეგორიები ისე ესადაგებოდნენ ღმერთს, როგორც აქციდენციები თუ ატრიბუტები - სუბსტანციას, რაც პრიმიტიული აზროვნებით განპირობებული უხეში შეცდომა გახლდათ - პლატონის და, მის კვალდაკვალ, ნეოპლატონიკოსთა კონცეფციით, რასაც შემდეგ მთლიანად გაიზიარებს ქრისტიანული თეოლოგია, ღმერთისა და მისი ატრიბუტების განსხვავება პირწმინდად ნომინალურია. ასე მაგალითად, სახელმგანთქმული ქრისტიანი სქოლასტიკოსი ანსელმ კენტერბიელი (1033-1109 წ.), ღვთაებრივი ბუნების აბსოლუტური სიმარტივისა და სრულქმნილებისგან გამომდინარე, ამტკიცებს, რომ ყველა ატრიბუტი, ვთქვათ, სიკეთე, სიბრძნე, სამართლიანობა, მშვენიერება და სხვა მისთანანი, რაც ახასიათებს სრულქმნილებას, თვისებრივად კი არ მიეწერება ღმერთს, არამედ არსობრივად. რაკიღა ღმერთში არაფერია ისეთი, საკუთრივ ღმერთი რომ არ იყოს, ამიტომ ღმერთის სიკეთეც, სიბრძნეც, სამართლიანობაც და მშვენიერებაც სხვა არა არის რა, თუ არა იგივე ღმერთი.

ბრძანე და ასრულდა კიდეც შენი ბრძანება: დედამიწამ „ძეძვი და ეკალი აღმომიცენა“[93], რათა „ოფლითა პირისა ჩემისაითა მეჭამა პური“[94].

30. ანდა რა მარგო მაშინ ჯერ კიდევ უკეთურ ვნებათა მონას იმან, რომ ერთიმეორის მიყოლებით წავიკითხე ყველა წიგნი, რისი შოვნაც კი შევძელი[95], ეგრეთწოდებულ თავისუფალ ხელოვნებათა შესახებ და გავიგე კიდეც ისინი? მე ვტკბებოდი მათი კითხვისას და არ კი მესმოდა, საიდან იღებდა დასაბამს ის, რაც მათში ნამდვილი იყო და ჭეშმარიტი. სინათლის მიმართ ზურგშექცევით მდგარს პირი განათებული საგნებისაკენ მქონდა მიქცეული, ასე რომ, თვით ჩემს სახეს სინათლის სხივიც არ ეცემოდა. შენ ხომ იცი, უფალო ღმერთო ჩემო, რაც შევიმეცნე, დიდი გაჭირვებისა და სხვისი შეწევნის გარეშე, მჭევრმეტყველების, დიალექტიკის, გეომეტრიის, მუსიკისა და არითმეტიკის დარგში, რადგანაც შენგან მებოძა აზრის სისხარტე და გონების გამჭრიახობა, მაგრამ შენ როდი შემოგწირე მსხვერპლად ისინი. ჩემდა სასიკეთოდ კი არა, ჩემსავე წარსაწყმედად ვიყენებდი მათ, რადგანაც ხარბად ვებღაუჭებოდი ჩემი სამკვიდროს უკეთეს ნაწილს და ნაცვლად იმისა, რომ შენთვის შემენახა ჩემი ძალა, გაგექეცი და შორეულ მხარეს გადავიკარგე, რათა ავხორცულ გულისთქმათა დასაცხრომად გამეფლანგა მთელი ჩემი ავლადიდება[96]. რას ვაქნევდი სიკეთეს, თუკი არ შემეძლო კეთილად მომეხმარა ივი? არც კი მესმოდა, რარიგ უჭირდათ ჩემს ყველაზე ბეჯითსა და გონიერ მოწაფეებს ამ საგნების შეთვისება ჩემი გულმოდგინე ახსნა-განმარტების გარეშე, ასე რომ, ყველაზე გონებაგახსნილი მათ შორის ის იყო, ვინც შედარებით სწრაფად ითვისებდა ათასჯერ გადაღეჭილ მასალას.

31. რა მარგო იმან, უფალო ჩემო, რომ მეგონა, თითქოს შენ, ჭეშმარიტების ღმერთი, უზარმაზარი მნათი სხეული ხარ, ჩემი თავი კი ამ სხეულის ნამსხვრევად მიმაჩნდა? უკუღმართობაც ამასა ჰქვია! მაგრამ სწორედ ამნაირი ვიყავი მაშინ. არა, არ მრცხვენია, უფალო, აღსარება გითხრა და ვაღიარო შენი გულმოწყალება ჩემს მიმართ; ვაღიარო და

[93] დაბად. III, 18.
[94] იქვე, III, 19.
[95] მკვლევართა აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს დიდი რომაელი სწავლულის მარკუს ტერენციუს ვარონის (დაახლ. 116-127 ძვ.წ.ა.) „ხელოვნებათა ცხრა წიგნი“ - ე.წ. „თავისუფალ ხელოვნებათა“ პირველი ლათინური ენციკლოპედია, რომელსაც ჩვენს დრომდე არ მოუღწევია (ისევე, როგორც ამ უგანათლებულესი და უნაყოფიერესი მწერლის თხზულებათა აბსოლუტურ უმრავლესობას, რომელთა საერთოდ რაოდენობა, გადმოცემით, ექვსასს აღემატებოდა.
[96] როგორც მოიქცა სახარებისეული ძე შეცთომილი (იხ. ლუკა XV, 11 და შმდ.).

ხმამაღლა გიხმო: აკი არ მრცხვენოდა მკრეხელურად მექადაგა ხალხის წინაშე და ქოფაკივით მეყეფა შენთვის.

რა მარგო ჩემმა გონებამ, ასე ადვილად რომ ართმევდა თავს ზემოხსენებულ მეცნიერებებს, ან რა სიკეთე მიყო იმან, რომ მასწავლებლების დაუხმარებლადაც შემეძლო ჩავწვდომოდი უკიდურესად ბნელი და ბუნდოვანი წიგნების აზრს, მაშინ როდესაც უკეთურად ვმკრეხელობდი გზააბნეული და ურცხვად უგულებელვყოფდი ღვთისმოსაობის მეცნიერებას? განა რას ვნებდა შენს ბარტყებს ის, რომ ცოტა უფრო ზანტი ტონება ჰქონდათ? სამაგიეროდ არსადაც არ გაგირბოდნენ, არამედ მოთმინებით უცდიდნენ, როდის წამოიჩიტებოდნენ შენი ეკლესიის ბუდეში, და თანდათანობით იმაგრებდნენ სიყვარულის ფრთებს, ჭეშმარიტი რწმენის საზრდოთი ნასაზრდოებნი[97].

უფალო ღმერთო ჩვენო, „შენს ფრთათა ჩრდილქვეშ მოველით სასოებას“[98]: დაგვიფარე და გაგვაქროლე. „შენ გაგვაქროლებ შენს ბარტყებს, და ეს ქროლა გაგრძელდება ჩვენს სიბერემდე“[99], რადგანაც ჩვენი ძალა მხოლოდ მაშინაა ძალა, როცა ჩვენთანა ხარ; უშენოდ კი ჩვენი ძალა უძლურებაა, ჩვენი სიკეთე მუდამ შენშია, და როგორც კი ზურგს ვაქცევთ მას, სიწრფელის გზასა ვკარგავთ. შენს მიმართ შემოვიქცევით, რომ მიწას არ დავენარცხოთ, რადგანაც შენში ცოცხლობს ჩვენი სიკეთე მთელი თავისი სავსებით, და ეს სიკეთე შენა ხარ თვითონ. არ გვეშინია, რომ ვეღარსად დავბრუნდებით, რაკიღა დავეცით და დავემხეთ: ჩვენთან ერთად როდის დამხობილა ჩვენი მშობლიური სახლი - შენი მარადისობა.

[97] შდრ. ფსალმ. 83, 4-5.
[98] შდრ. ფსალმ. 16, 8; 62, 8.
[99] შდრ. ესაია XLVI, 3-4.

წიგნი მეხუთე

I

1. მიიღე ჩემი აღსარება, მსხვერპლად რომ გწირავს ჩემი ენა[1], რომელიც შენ თვითონ შეჰქმენი, რათა ეღიარებინა სახელი შენი; განიკურნენ და განტკიცდნენ ჩემი ძვლები[2]; დაე, ისინი ხმობდნენ: „უფალო, ვინ არის შენი მსგავსი?“[3] რას გეტყვის ახალს, ვინც აღსარებას გეუბნება, რათა გაუწყოს, რა ამბავია მის თავს: რადგანაც შენი თვალისათვის არ არსებობს გულდახურულთა საიდუმლო, და ვერც კაცთა სისასტიკე უკუაგდებს შენს მარჯვენას; როცა გსურს, ცვილივით გაალღობ მათ სისასტიკეს, გულმოწყალებითა თუ შურისძიებით აღძრული, „და ვერავინ დაემალება შენს მხურვალებას“[4].

დაე, გაქებდეს ჩემი სული[5], რათა შეგიყვაროს. გამუდმებით და დაუდუმებლად გადიდებენ შენი ქმნილებანი: შენსკენ მოქცეული ყოველი სული - თავისი ბაგეებით; ცხოველები და უსულო საგნები - მათსავე მჭვრეტელთა პირით. დაე, აღსდგეს და აღორძინდეს შენში ჩვენი დაღლილი სული; დაე, შენს ქმნილებებზე დაყრდნობით მოაღწიოს შენამდე, სასწაულებრივი ძალმოსილებით რომ შეჰქმენი ისინი: შენშია განახლება და ჭეშმარიტი სიმტკიცე.

II

2. დაე, გშორდებოდნენ და გაგირბოდნენ უტმკიცონი და უსამართლონი. შენ ხედავ მათ, რადგანაც შენი მზერა თვით ლანდებსაც კი განხრნის. და, აი, ყველაფერი მშვენიერია მათ ირგვლივ, თვითონ კი მახინჯნი არიან[6]. მერედა, რა გავნეს? ან რითი შებღალეს შენი უსასრულო ძალმოსილება, ზესკნელიდან ქვესკნელს რომ უწევს? სად უნდა გაქცეულიყვნენ,

---

[1] შდრ. ფსალმ 53, 8.
[2] შდრ. ფსალმ. 6, 3.
[3] ფსალმ. 34, 10.
[4] ფსალმ. 18, 7.
[5] ფსალმ. 118, 175; 145, 2.
[6] „მთელი სამყარო სურათსა ჰგავს, სადაც შავ ფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი; ის მშვენიერია თავისი ცოდვილებითურთ, თუმცაღა, თუკი ამ უკანასკნელთ თავისთავად განვიხილავთ. ისინი მახინჯნი არიან“ („ღვთის ქალაქისათვის“, XI, 23). - პარალელი პიერ დე ლაბრიოლისაა (იხ. დასახ. გამოც. გვ. 93)... შდრ. მარკუს ავრელიუსი: „ჩვენ ყველანი ერთი საერთო მიზნის ხორცშესხმას ვემსახურებით, ერთნი - ცოდნით და მიზნის შეცნობით, მეორენი - მის შეუცნობლად. ალბათ ამიტომ ამბობს ჰერაკლიტე, რომ თვით მძინარენიც მუშაკობენ და ხელს უწყობენ სამყაროეულ ყოვლისქმნადობას. მაგრამ ყველა თავისებურად მუშაკობს, ყველას თავისი წვლილი შეაქვს ამ ქმნადობაში, ასე განსაჯე, მკრეხელსაც და მასაც, ვინც ცდილობს წინაღუდგეს ქმნადს და არად აქციოს იგი. სამყაროს ასეთი კაცნიც სჭირდება. მაშასადამე, შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო, ვის მხარეს დადგე, ვის მიაკუთვნო თავი. სულ ერთია, ყოვლისგამრიგე მაინც ისე გამოგიყენებს, როგორც თვითონ მიიჩნევს უმჯობესად. და თავის თანამოქმედად და თანამონაწილედ გაქცევს. მაგრამ, დაე, შენი მონაწილეობა ნუ ემგვანება კომედიის იმ სუსტსა და სულელურ ლექს, რომელსაც იხსენიებს ქრისიპი“ („ფიქრები“, VI, 42). პლუტარქეს თავის ტრაქტატში „სტოელთა წინააღმდეგ“ მოაქვს სახელგანთქმული სტოელი ფილოსოფოსის ქრისიპეს (დაახლ. 282 - დაახლ. 208 ძვ.წ.ა.) სიტყვები, რომელთაც უნდა გულისხმობდეს მარკუს ავრელიუსი: „როგორც კომედიებში ვხვდებით ხოლოდ სუსტსა და სასაცილო ლექსს, რომელიც თავისთავად უფასურია, მაგრამ მაინც გარკვეულ მომხიბვლელობას ანიჭებს მთელს ქმნილებას, ისე ბიწიც თავისთავად საგმობია, მაგრამ არა უსარგებლო სხვა რიგის ფენომენთათვის“.

რომ შენს ნათელ სახეს გაქცეოდნენ? სადაა ადგილი, რომ შენ ვერ მიაგნო გაქცეულს?[7] გაიქცნენ, რათა აღარ ენახათ, რომ შენ ხედავდი მათ, მაგრამ თვალდავსილნი შენვე წაგაწყდნენ და წაიფორთხილეს, რადგანაც არასოდეს მიგიტოვებია არცერთი შენი ქმნილება[8]. დიახ, გაიქცნენ, რათა უსამართლონი შენვე ჩაგვარდნოდნენ ხელში და თავს დასტყდომოდათ შენი სამართლიანი რისხვა. შენს გულმოწყალებას გაექცნენ, რათა შენი საშინელი მსჯავრი ეწვნიათ. ეტყობა, არ იცოდნენ, რომ ყველგანა ხარ, და არ მოიძებნება იმნაირი ადგილი, სადაც შენ არ იყო. შენ, ერთადერთი, თვით იმათ გვერდითა ხარ, ვინც ყველაზე შორსაა შენგან[9].

მაშ, მოიქცნენ და გეძებონ. თუ თავიანთი შემოქმედი მიატოვეს, შენ როდი მიგიტოვებია შენი ქმნილება. მაშ, თვითონვე მოიქცნენ, რათა გეძებონ: შენ აქა ხარ, იმათ გულში ვინც აღსარებას გეუბნება; ვინც გულში გეკვრის და ნარეკლიან გზებზე ხეტიალით დაღლილი ცრემლებით გილტობს მკერდს; და შენ, გულმოწყალე, ცრემლებს უმშრალებ მათ[10]; ისინი კი უფრო მწარედ ტირიან, მაგრამ მათ ტირილში უკვე გამოკრთის სიხარული, რადგანაც ადამიანი - სისხლი და ხორცი კი არა, არამედ შენ, უფალო, მათი შემოქმედი, თითქოს ხელახლა ქმნი და ანუგეშებ მათ. მაგრამ სად ვიყავი მე თვითონ, როცა გეძებდი? შენ ჩემს წინ იდექ, მე კი დაგშორდი და ჩემს თავს ვეღარ ვპოულობდი, არამცთუ - შენ!

III

3. ახლა კი ჩემი ღმერთის წინაშე ვიტყვი, რა გადამხდა თავს ჩემი ცხოვრების ოცდამეცხრე წელს.

კართაგენში ჩამოვიდა ერთი მანიქეველი ეპისკოპოსი, სახელად ფაუსტუსი[11]; ეს იყო „ეშმაკის საშინელი მახე“[12], რომელშიაც ბევრი გაება, მისი მჭევრმეტყველებით ცთუნებული. მეც ვაქებდი მის ხელოვნებას, მაგრამ, ამასთანავე, ნათლად ვხედავდი განსხვავებას მასა და საგანთა ჭეშმარიტ არსს შორის, რომელის შეცნობასაც ხარბად მიველტვოდი. მე იმდენად მისი სიტყვიერების ჭურჭელს როდი ვაკვირდებოდი, რამდენადაც იმას, თუ რანაირ სასმელს შემომთავაზებდა ამ ჭურჭლით მისი თაყვანისმცემლების მიერ გაღმერთებული ფაუსტუსი.

[7] შდრ. ფსალმ. 138, 7-12.

[8] შდრ. სიბრძნე სოლომ. XI, 25.

[9] შდრ. პლოტინი („ენნეიდა“ VI, IX, 7): „არავინაა ისეთი, ამბობს პლატონი, ვის სულშიაც არ იყოს ღმერთი. ის ყველაშია, მაგრამ მათ არ იციან ეს. ვინც მას გაურბის, უმალ, თავის თავსვე გაურბის“.

[10] შდრ. გამოცხ. იოანესი (აპოკალიფსი), VII, 17; XXI, 4: „და შეაშრობს ღმერთი მათ თვალებზე ყოველნაირ ცრემლს“.

[11] იგულისხმება ნეტარი ავგუსტინეს თანამედროვე მანიქეველი ეპისკოპოსი (იხ. შენიშვნები III, 51) და ღვთისმეტყველი ფაუსტუს მილეველი, ცნობილი თავისი განსწავლულობითა და მჭევრმეტყველებით; დაახლოებით 382 წელს ჩავიდა კართაგენს, სამი წლის შემდეგ კი, როგორც ერეტიკოსი, უდაბურ კუნძულზე გადაასახლეს. ფაუსტუსს დაუწერია ჩვენთვის უცნობი თხზულება, სადაც მანიქეველთა რელიგიის საფუძვლები ყოფილა გადმოცემული. ნეტარმა ავგუსტინემ მის გასაბათილებლად დაწერა (დაახლ. 400 წ.) ოცდაცამეტი წიგნისაგან შემდგარი ვრცელი თხზულება - „ფაუსტუსის წინააღმდეგ“.

[12] I ტიმ. III, 7.

მითქმა-მოთქმის წყალობით წინასწარვე ვიცოდი, რომ ეს იყო უზენაეს მოძღვრებათა უბადლო მცოდნე და თავისუფალ მეცნიერებათა არაერთ დარგში ღრმად განსწავლული კაცი.

რაკიღა მრავალი ფილოსოფიური თხზულება მქონდა წაკითხული და კარგად მახსოვდა ისინი, ამიტომ ერთმანეთს ვუდარებდი ამ თხზულებათა ცალკეულ მონაცემებსა და მანიქეველთა დაუსრულებელ არაკებს: მე უფრო დამაჯერებელი მეჩვენებოდა მათი სიტყვები, „რომელთაც ეყოთ იმისი ძალა, რომ ეკვლიათ ეს წარმავალი სამყარო“, მაგრამ „ვერ მიაკვლიეს მის უფალს“[13]. „რადგანაც დიდი ხარ, უფალო, და თვინიერს ხედავ, ხოლო ქედმაღალს შორით შეიცნობ“[14], მაგრამ მხოლოდ „შემუსრულ გულებს“[15] უახლოვდები. ქედმაღალნი ვერ გპოვებენ, თავიანთი ცნობისმოყვარე გონებით ცაში ვარსკვლავებიც რომ დათვალონ, ხოლო ზღვაში - ქვიშის მარცვლები[16], გაზომონ სამყაროს უსასრულო სივრცე და გამოიკვლიონ მნათობთა გზები.

4. ისინი ახორციელებენ ამ გამოთვლებს თავიანთი ნიჭითა და გონებით, რომლებიც შენ უბოძე მათ; ბევრ რასმე მიაკვლიეს და დიდი ხნით ადრე იწინასწარმეტყველეს მზისა თუ მთვარის დაბნელება, ისევე, როგორც ამ დაბნელების დღე, საათი თუ ხარისხი. გამოთვლები სწორი გამოდგა: ყველაფერი ისე ხდება, როგორც იწინასწარმეტყველეს. მათ ჩაიწერეს კანონები, რომლებიც თვითონვე აღმოაჩინეს. ეს კანონები დღესაც ცნობილია და მათი მიხედვით წინასწარმეტყველებენ, რომელ წელს, ამ წლის რომელ თვეს, ამ თვის რომელ დღესა და ამ დღის რომელ საათზე დაბნელდება მზე თუ მთვარე, და რანაირი იქნება ეს დაბნელება - სრული თუ ნაწილობრივი. ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ნაწინასწარმეტყველებია.

[13] შდრ. სიბრძნე სოლომ. XIII, 9.
[14] ფსალმ. 137, 6.
[15] ფსალმ. 33, 19.
[16] შდრ. აკაკი წერეთელი: „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე - ვარსკვლავები“...

განცვიფრებული და გაოგნებულია ხალხი, რომელსაც ამ მეცნიერებისა არა გაეგება რა. სამაგიეროდ უსაზღვროა იმათი აღტაცება და აღფრთოვანება, ვისაც ყოველივე ეს ესმის. მკერეხული ქედმაღლობით აღძრულნი ზურგს გაქცევენ, უფალო, და თანდათანობით შორდებიან შენს ნათელს; ისინი დიდი ხნით ადრე წინასწარმეტყველებენ ზმის მომავალ დაბნელებას, მაგრამ ვერ ხედავენ საკუთარი მზის დაბნელებას აწმყოში[17]. ღვთისმოსავთათვის ნიშნეული გულმოდგინებით როდი ეძებენ, ვისგან ებოძათ ეს ნიჭი, რომლის მეშვეობითაც ყოველივე ამას იკვლევენ. მაგრამ თუნდაც მიხვდნენ, რომ შენა ხარ მათი შემოქმედი, სუერთია, მაინც არ მოგენდობიან, რათა დაიფარო ისინი, როგორც შენივე ქმნილებები, და მსხვერპლად არ შემოგწირავენ იმას, რადაც თვითონვე აქციეს თავიანთი თავი: არც თავიანთ ქედმაღლურ აზრებს, ცაში რომ ნავარდობენ „ჩიტებივით“[18]; არც თავიანთ ცნობისმოყვარეობას, „ზღვაში მცურავ თევზებს“ რომ მოგვაგონებს და აიძულებს მათ „უფსკრულის იდუმალი ბილიკებით იხეტიალონ“; არც თავიანთ მდაბალ ვნებებს, „მინდვრად მობალახე ნახირს“ რომ ამსგავსებს მათ[19], - რათა შენ, უფალო, „ყოვლისშთანმთქმელო ცეცხლო“[20], შემუსრო მათი სასიკვდილო საზრუნავი და ხელახლა შექმნა ისინი უკვდავებისათვის.

5. მათ ვერ შეიცნეს „გზა“, ანუ შენი სიტყვა[21], რომლითაც შეჰქმენი ისიც, რასაც აღირცხავენ, ისინიც, ვინც აღრიცხავენ, გრძნობაც, რომლითაც არჩევენ აღსარიცხს საგნებს და გონებაც, რომლის მეშვეობითაც აღრიცხავენ მათ, „შენი სიბრძნე კი აღურაცხელია და

[17] აქ ნეტარი ავგუსტინე ზუსტად ისევე მსჯელობს, როგორც ფრანგი იანსენისტები, რომლებიც უარყოფდნენ ყოველგვარ მეცნიერულ კვლევა-ძიებას, როგორც სულის პატივმოყვარულ მისწრაფებათა ხორცშესხმის მცდელობას და, მაშასადამე, აშკარა მკრეხელობასაც. მათი მტკიცებით, „დასაბამიერმა ცოდვამ არა მარტო ღვთიური მადლისაგან განძარცვა კაცი, არა მარტო ზებუნებრივი ნიჭი მიჰხადა და, ამრიგად, დააკნინა მისი ბუნება, არამედ სულის სიღრმემდეც შებღალა იგი. რა იყო პირველქმნილი ადამიანის უზენაესი დანიშნულება? მას უნდა ჰყვარებოდა ღმერთი და ეცხოვრა ღვთიური მადლის თანახმად. უფლის ამ ურჩეულეს ქმნილებაში თვით ბუნებაც კი ზებუნებრივი იყო. მაგრამ მან თავისი თავი არჩია ღმერთს, უარყო მისი გულმოწყალება და მთელის არსებით, თავისი გამრუდებული გონებითა და გაუკუღმართებული ნებით ბოლომდე დაემონა საკუთარ „მე“-ს. ამიტომ უფლის მიმართ მიქცევას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს იგი, თუ პირწმინდად წაშლის, უკვალოდ წარხოცს პირად ეგოიზმს და თავის ამქვეყნიურ ყოფას ბუნებრივ ცხოვრებას, ღმერთისმიერ არსებობას დაუქვემდებარებს. მირიადი ასპექტი აქვს კაცის ეგოიზმს, უთვალავი სხვადასხვა სახით, ხორციელი თუ სულიერი ვნების სახით ვლიდნება იგი. დიახ, ხორციელი ვნების გარდა არსებობს სულის ვნებაც, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანური ცნობისწადილის დაკმაყოფილება და რომელსაც საფუძვლად უდევს იგივე, რაც ყველა სხვა ადამიანურ ვნებას: ზვაობა, ცუდმედიდობა, თავმოყვარეობა. ამიტომ კაცის ამქვეყნიური არსებობის მიზანი მეცნიერება კი არ არის, არამედ სულის სიწმინდე; არა უძღები სურვილი ამ წარმავალი სინამდვილის შემეცნებისა, არა გონების პატივმოყვარული მისწრაფებანი, არამედ მარადიულ, თუნდაც გონებამიუწვდომელ ჭეშმარიტებათა წინაშე ქედის მოდრეკა, მათი გულმხურვალე სიყვარული, - აი, ჩვენი ჭეშმარიტი დანიშნულება, ვინაიდან მიუტევებელი მკრეხელობაა ყოველგვარი თვითგანწილვა, თვითგაორება, შუა გაყოფილი სულის რყევა, ერთის მხრივ, ღმერთსა, ხოლო მეორეს მხრივ, სამყაროს შორის: „რამეთუ წერილ არს: წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენტა და მეცნიერებაჲ იგი მეცნიერთაჲ შეურაცხ-ვყო. სადა არს ბრძენი? სადა არ მწიგნობარი? სადა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისაჲ? ანუ არა განაცოგაა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ“ (I კორ. I, 19-20). - იხ. ჩემი შესავალი წერილი წიგნში - ბლეზ პასკალი, აზრები, ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1981, გვ.16-17.

[18] შდრ. ფსალმ. 8, 9.

[19] „ჩიტები“, „ზღვაში მცურავი თევზები“, „მინდვრად მობალაზე ნახირი“, - „ნეტარ ავგუსტინეს უყვარდა ბიბლიის ალეგორიული სახეების ახსნა-განმარტება: „შეხედე ცის ფრინველებს“, ამ ქედმაღალთა და მზვაობართ, რომელთათვისაც ითქვა, ცამდე აუღერიათ თავიო. შეხედე „ზღვის თევზებს“, ანუ ცნობისმოყვარეთ, „ზღვის ბილიკებით რომ სეირნობენ“, ესე იგი, ამა სოფლის უფსკრულთა შორის ეძებენ წარმავალს, - იმას, რაც ისე სწრაფად როდი ქრება, როგორც „ზღვის ბილიკნი“, რომელთაც წყალი შლის მაშინვე, როგორც კი უკან მოიტოვებენ მათ... ხოლო „მინდვრის ნახირი“ უფრო მართებული იქნება ვუწოდოთ იმ ხალხს, რომელიც მხოლოდ ხორციელი განცხრომით ტკბება“ („ფსალმუნთათვის“, 8, 13), - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ.239.

[20] მეორე სჯული, IV, 24; ებრ. XII, 29.

[21] შდრ. იოანე, I, 1-3; იოანე XIV, 6.

განუზომელი“[22]. თვით შენი მხოლოდშობილი ძე „იქმნა ჩვენთვის სიბრძნე, სიმართლე და განწმენდა“[23], ჩვენს შორის შეირაცხა და ხარკს უხდიდა კეისარს[24].

მათ ვერ შეიცნეს ეს გზა, რომლითაც შეეძლოთ თავიანთი ქედმარლობიდან დაშვებულიყვნენ ძის სიმდაბლემდე და მისი მეშვეობით ამაღლებულიყვნენ მისსავე სიდადემდე. მათ ვერ შეიცნეს ეს გზა; ამიტომაც ჰგონიათ, თითქოს ვარსკვლავებს მისწვდნენ და მათთან ერთად ჩახჩახებენ ცის თავანზე, მაგრამ, აი, მიწას დაენარცხნენ, „და დაბნელდა მათი უგონო გული“[25].

ბევრი რამ, რასაც ისინი გვაუწყებენ ქმნილებაზე, მართალია, მაგრამ ღვთისმოასვთა მოწიწებით როდი დაეძებენ ჭეშმარიტებას, ანუ სამყაროს შემოქმედს, და ამიტომაც ვერ პოულობენ, თუმცა კიდევაც რომ იპოვონ, „არ ადიდებენ, როგორც ღმერთს, და მადლს არ სწირავენ, არამედ ამაოების მსახურნი ხდებიან და ბრძენკაცებად მოაქვთ ავი“[26]; თვითონვე მიიწერენ იმას, რაც შენ გეკუთვნის, და, პირიქით, თვალდავსილნი და გაუკუღმართებულნი შენ მოგაწერენ თავიანთ კუთვნილს; ასე რომ, შენზე გადმოაქვთ თავიანთი სიცრუე, შენზე, რომელიც ხარ ჭეშმარიტება; „უხრწნელი ღმერთის დიდებას ხრწნადი კაცის, ფრინველთა, ოთხფეხა თუ ქვეწარმავალთა ხატებაზე ცვლიან, ღვთის ჭეშმარიტებას კი -სიცრუეზე, და მსახურებენ შექმნილსა და არა შემოქმედს“[27].

6. და მაინც, მათ წიგნებში ბევრი ფასეული და საგულისხმო რამ ამოვიკითხე შექმნილი სამყაროს შესახებ. მათი ახსნა-განმარტების სისწორეს გამოთვლები, წელიწადის დროთა მონაცვლეობა და ვარსკვლავთა ხილული მოძრაობანი ადასტურებდნენ[28]. მათ დებულებებს მე ვუდარებდი მანის მრავალრიცხოვან თხზულებებში გადმოცემულ მოსაზრებებს: მთელს ამ აბდაუბდაში ვერსად ჰპოვებდით ვერც მზებუდობის, ვერც ბუნიობის, ვერც მზისა თუ მთვარის დაბნელებისა და, საერთოდ, ვერცერთი იმ მოვლენის დამაჯერებელ ახსნას, რაც საერო სიბრძნის ქმნილებებში ამოვიკითხე[29]. მე კი ნაბრძანები მქონდა მერწმუნა ის, რაც სრულიად არ ემთხვეოდა და ეთანხმებოდა არც გამოთვლებსა და არც ჩემს პირად დაკვირვებებს.

[22] ფსალმ. 146, 5.
[23] I კორ. I, 30.
[24] იხ. მათე XXII, 17-21.
[25] რომ. I, 21.
[26] რომ. I, 21-22.
[27] რომ. I, 23, 25.
[28] ჩვენთვის უცნობია, ვინ იყვნენ ის ასტრონომები, ვის თხზულებებშიაც ნეტარმა ავგუსტინემ, როგორც თვითონ გვაუწყებს, „ბევრი ფასეული და საგულისხმ რამ ამოიკითხა შექმნილი სამყაროს შესახებ“.
[29] ნეტარი ავგუსტინესა და მანიქეველ ფელიქსის სიტყიერი პაექრობისას (I, IX, Patrol. Lat. XLII, 525), ეს უკანასკნელი ამბობს: „მანიმ ჩვენ გვასწავლა სამყაროს დასაბამი; როგორ, რატომ, ან ვის მიერ შეიქმნა იგი. მანვე აგვიხსნა დღისა და ღამის მიზეზიც, განგვიმარტა მზისა და მთვარის მიმოქცევა. არაფერი ამდაგვარი არ განუცხადებია არც პავლეს და არც სხვა რომელიმე მოციქულს: აი, რატომ გვგონია, რომ მანი პარაკლეტონი უნდა იყოს“... თუმცა ნეტარი ავგუსტინეს მოწმობით, მანიქეველთა ფანტასმაგორიული ასტროლოგია თუ ასტროლოგიური ფანტასმაგორია სხვა არა იყო რა, თუ არა „აბდაუბდა“.

IV

7. „უფალო, ჭეშმარიტების ღმერთო“[30], ნუთუ ვინც იცის ყოველივე ეს, უკვე მოსაწონია შენთვის? ვაი იმ კაცს, ვინც იცის ყველაფერი, მაგრამ არ იცის, ვინა ხარ შენ. ნეტა მას, ვინც გიცნობს, თუნდაც სხვა არაფერი იცოდეს. ხოლო სწავლულს, რომელიც გიცნობს, მეცნიერება როდი ანიჭებს მეტ ნეტარებას, რადგანაც ის მხოლოდ შენი მეშვეობითაა ნეტარი, თუკი შენი შემცნობი გადიდებს, როგორც ღმერთს, მადლს შემოგწირავს და ამაოების მსახური არ გახდება თავისი ფუჭი აზრებით[31].

რადგანაც უმჯობესია ხე მედგას და იმ სარგებლობისათვის, რაც მას შეუძლია მომიტანოს, მადლს გწირავდე შენ, თუნდაც არ ვიცოდე, რამდენ წყრთას შეადგენს მისი სიმაღლე, ან რამდენ წყრთაზე იშლება მისი ტოტები, ვიდრე ვიცოდე, რანაირად გავზომო მისი სიმაღლე და სათითაოდ დავთვალო მისი ტოტები, მაგრამ თვით ხე კი ჩემი არ იყოს, არ ვიცოდე და არც მიყვარდეს მისი შემოქმედი. ასე, შენს ერთგულს ეკუთვნის სამყაროს მთელი სიმდიდრე, და თითქოს არას მქონები „ყოველის მფლობელი“[32] ხდება, თუკი შენ მოგანდობს თავს, შენ, ვისაც მორჩილებს ყოველი. რა ვუყოთ, თუ არ იცის, რანაირად ბრუნავს დიდი დათვის თანავარსკვლავედი? განა სიშლეგე არ იქნება ვიფიქროთ, რომ მასზე უფრო ბედნიერია ის, ვინც ზომავს ცის უსასრულო სივრცეს, სათითაოდ ითვლის ვარსკვლავებს და წონის მთელ ნივთიერებას, მაგრამ უგულებელგყოფს შენ, „რომელმაც ზომით, თვლითა და წონით განაწესე ყოველი“[33].

V

8. მაგრამ ვინ დაავალა ვიღაც მანის იმ საკითხთა კვლევა, რომელნიც არას არგიან ღვთისმოსაობის მეცნიერებას? აკი შენ უთხარი კაცს: „აჰა, ღვთისმოსაობაა სიბრძნე“[34]. მანის შეეძლო არ სცოდნოდა ეს ჭეშმარიტი სიბრძნე, თვით იმ შემთხვევაშიც კი, სრულყოფილადაც რომ დაუფლებოდა მეცნიერებას. მაგრამ მას წარმოდგენაც არა ჰქონდა მეცნიერებაზე, თუმცა ურცხვად კი მსჯელობდა მისი სახელით. ხოლო რაც შეეხება ჭეშმარიტ სიბრძნეს, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. საერო მეცნიერებათა ქადაგება ფუჭი საქმეა, თვით მაშინაც კი, როცა საფუძვლიანად იცნობენ მათ; ხოლო შენი აღმსარებლობა ღვთისმოსაობად შეირაცხება. მაგრამ სწორედ ამ გზას ასცდა მანი, ამდენს რომ ლაყბობდა სამეცნიერო საკითხებზე და მხილებულ იქნა ჭეშმარიტ მცოდნეთა მიერ. აქედან აშკარაა, რა ფასი უნდა ჰქონოდა მის აზრს იმ საგანზე მსჯელობისას, რაზედაც ხელი არ მიუწვდებოდა. მაგრამ იმხელა წარმოდგენა

[30] ფსალმ. 30, 6.
[31] შდრ. რომ. I, 21.
[32] II კორ. VI, 10.
[33] სიბრძნე სოლომ. XI, 20.
[34] იობი, XXVIII, 28.

ჰქონდა თავის თავზე, რომ ცდილობდა ხალხი დაერწმუნებინა იმაში, თითქოს სული წმიდა, უფლის ერთგულთა მფარველი და მწყალობელი, მთელი თავისი ძალმოსილებით სწორედ მასში იყო დამკვიდრებული[35]. ამხილებდნენ მის უმეცრებას იმ საკითხებში, ცისა და ვარსკვლავების მოძრაობას, მზისა და მთვარის მიმოქცევას რომ შეეხება და თითქოს კავშირი არა აქვს რელიგიურ მოძღვრებათან, მაგრამ მისი მცდელობის ღვთისმგმობლური ხასიათი აქაც აშკარა იყო, რადგანაც თავისი ფუჭი და შლეგური ქედმაღლობით აღძრული არამარტო თავხედურად მსჯელობდა იმაზე, რაზედაც წარმოადგენაც არა ჰქონდა, არამედ იმასაც ცდილობდა, რომ საკუთარი პიროვნების ყბადაღებული ღვთაებრიობის ავტორიტეტით განემტკიცებინა თავისი მკრეხეული აზრები.

9. როდესაც მესმის, რომ ჩემი ერთ-ერთი ქრისტიან ძმათაგანი, რომელსაც მეცნიერებისა საერთოდ არა გაეგება რა, უთავბოლოდ მსჯელობს ამ საკითხებზე, - მოთმინებით ვიტან მის უაზრო ლაქლაქს, რადგანაც ვხედავ, რომ ამას არ შეუძლია რაიმე ავნოს; მხოლოდ შენ, არ მოგიხსენიოს უდიერად, უფალო ჩემო, „ყოველის შემოქმედო“[36], და რა ვუყოთ, თუ წარმოდგენაც არა აქვს შექმნილ საგანთა ბუნებაზე. ვნება და ზიანი მაშინ იკითხეთ, თუკი გადაწყვეტს, რომ ამ საკითხებს რამე კავშირი აქვთ საღვთისმოსაო მოძრვრებასთან, და კადნიერად დაიწყებს იმის მტკიცებას, რისიც არა გაეგება რა. თუმცა თვით ამნაირ უმწეობასაც კი გულმოწყალება დედაშვილური სიყვარულით მიუტევებს იმათ, ვინც ჯერ კიდევ ჩვილია რწმენით, ვიდრე ახალი კაცი არ იქცევა „სრულყოფილ კაცად“[37], რომელსაც „ვერ შეარყევს ყოველგვარი მოძღვრების ქარი“[38].

მაგრამ ვის არ შეზარავს და თავს არ შეაზიზღებს იმისი სიშლეგე, ვინც ამდენჯერ ამხელს სიცრუეში, და მაინც გაბედა წარმდგარიყო თავისი მსმენელების წინაშე როგორც მოძღვარი, როგორც ფუძემდებელი, წინამძღოლი და თავკაცი, რათა მის მიმდევრებს ჰგონებოდათ, რომ უბრალო მოკვდავს კი არ მიჰყვებოდნენ კვალდაკვალ, არამედ თვით შენს წმინდა სულს?

ჩემთვის პირადად არცთუ მთლად ნათელი იყო, შეიძლებოდა თუ არა მანის მოძღვრების თანახმად აგვეხსნა დღეებისა და ღამეების სიგრძე თუ სიმოკლე, თვით დღე-რამის მონაცვლეობა, მზისა თუ მთვარის დაბნელება და სხვა მისთანანი, რაზედაც გარკვეული წარმოდგენა მქონდა სულ სხვა წიგნების წყალობით. ამნაირი ახსნა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ჩემთვის სრულიად გაურკვეველი დარჩებოდა საგანთა ჭეშმარიტი ბუნება; მაგრამ

[35] როგორც ზემოთ (შენ. 29) აღვნიშნეთ, მანის თუ მანესს (რომელსაც 275 წელს სპარსეთის მეფის ბაჰრამ I-ის ბრძანებით, ცოცხლად გააძრეს ტყავი) „პარაკლეტოსად“, ანუ იმ „ნუგეშინისცემლად“ მოჰქონდა თავი, იესო ქრისტემ წინასწარ რომ აუწყა თავის მოწაფეებს (იხ. იოანე XIV, 16). მანის პარაკლეტოსობაში არც მის მიმდევრებს ეპარებოდათ ეჭვი. თუმცა, ამ მხრივ, ისინი პირველობას ვერ დაიჩემებენ. თითქმის ერთი საუკუნით ადრე ფრიგიელმა ჰერესიარქმა მონტანუსმა (გარდ. 212 წ.) დააარსა მონტანისტთ მწვალებლური სექტა, რომლის წევრებიც ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სწორედ მონტანიუსი იყო ის „პარაკლეტონი“, რომელზედაც გადმოვიდა სული წმიდა, და რომელსაც თავისი მოწაფეებისთვის უნდა გაემჟღავნებინა ღვთიური საიდუმლო, რის აღსაქმელადაც თურმე ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად იესო ქრისტეს მოციქულები.

[36] II მაკაბ. I, 24.

[37] ეფეს. IV, 13.

[38] ეფეს. IV, 14.

ჩემს რწმენას საფუძვლად ედო მანის ავტორიტეტი, რადგანაც ჯერ კიდევ არ მეპარებოდა ეჭვი მის სიწმინდეში.

VI

10. თითქმის მთელი ცხრა წელიწადი, ვიდრე ჩემი მოხეტიალე სული ხარბად ეწაფებოდა მანიქეველთა „სიბრძნეს“, მოუთმენლად მოველოდი ზემოხსენებული ფაუსტუსის ჩამოსვლას. მანის დანარჩენი მიმდევრები, ვისაც კი შევხვედრივარ და ჩემთვის თავსამტვრევ საკითხებზე მისაუბრია, ვერაფერს მეუბნებოდნენ პასუხად, მაგრამ მაიმედებდნენ, მალე ჩამოვა ფაუსტუსი, შეხვდი, გაესაუბრე და სულ ადვილად და გასაგებად აგიხსნის არა მარტო მაგ თავსამტვრე საკითხებს, არამედ, თუ ჰკითხავ, გაცილებით უფრო რთული პრობლემების გადაჭრაშიც დაგეხმარებათ.

ბოლოს, ფაუსტუსიც ჩამოვიდა! მისი სახით მე გავიცანი მართლაც მომხიბლავი და ამოდ მოუბარი კაცი, სხვებზე გაცილებით უკეთ რომ მსჯელობდა ყოველივე იმის შესახებ, რაც არაერთხელ მსმენია მანიქეველებისაგან. მაგრამ რა სასმელი შემომთავაზა მწყურვალს თავისი ძვირფასი თასით ამ მომხიბლავმა მწდემ? ამნაირი სიტყვებით უკვე ყურები მქონდა გამოჭედილი: ისინი სულაც არ მეჩვენებოდნენ უკეთესნი იმის გამო, რომ უკეთ წარმოსთქვამდნენ; არც ჭეშმარიტნი, რადგნაც მჭევრმეტყველების ნიმუშებს უფრო ჰგავდნენ; სული არ ჩანდა ბრძენი, ვინაიდან თვით მჭევრმეტყველის სახე მრავლისმეტყველი იყო, გამოთქმები კი - საგულდაგულოდ შერჩეული. მანიქეველები, რომლებიც ფაუსტუსს მიქებდნენ, ცუდი მსაჯულები გამოდგნენ. მათ ის ბრძენი ეჩვენებოდათ მხოლოდ იმიტომ, რომ მონუსხულნი იყვნენ მისი სიტყვებით.

მე ვიცნობდი სხვა ჯურის ხალხსაც, რომელსაც თვით ჭეშმარიტებაც კი საეჭვოდ მიაჩნია, თუ ის მაღალფრდოვანი და ზიზილ-პიპილებით შემკული სიტყვითაა გადმოცემული. ხოლო მე შენ დამმოძღვრე, ღმერთო ჩემო, იდუამლი და გონებამიუწვდომელი გზით; დიახ, მე მჯერა, რომ შენ დამმოძღვრე, რადგანაც ესაა ჭეშმარიტება, ხოლო შენს გარდა არ არსებობს ჭეშმარიტების სხვა მოძღვარი, სადაც უნდა მოგვევლინოს, ან საიდანაც უნდა მოგვევლინოს იგი. შენგან ვისწავლე, რომ მჭევრმეტყველური სიტყვა არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს მხოლოდ იმის მიხედვით, რომ მჭევრმეტყველურია, უთავბოლო სიტყვა კი - ყალბი, მხოლოდ იმიტომ, რომ უთავბოლოდ ითხზვის როყიოდ წამოროშილი და ულაზათო ბგერებით; და პირიქით: ულაზათო სიტყვა თავისი ულაზათობის გამო როდი იქნება ჭეშმარიტი, ბრწყინვალე სიტყვა კი - ყალბი, მხოლოდ იმიტომ, რომ ბრწყინვალეა. სიბრძნე და სიბრიყვე თითქოს საზრდოა, სასარგებლო ან მავნე; დახვეწილი და ტლანქი სიტყვები კი - ქალაქური თუ სოფლური ჭურჭელი, რომლითაც ამა თუ იმ კერძს გვთავაზობენ.

11. მე ისე ხარბად და იმდენხანს ველოდი ფაუსტუსს, რომ ახლა ეს ჩემი სიხარბე თითქოს ცხრებოდა მისი მსჯელობის უჩვეულო ცხოველმყოფელობითა და უზადო სიტყვიერი გარსით, რომელშიაც ის გასაოცარი სიმსუბუქით აქცევდა თავის აზრებს. სხვებთან ერთად ვტკბებოდი მისი ხელოვნებით და სხვებზე მეტად ვაქებდი და ვადიდებდი მას, მაგრამ მწყინდა, რომ მსმენელთა ბრბოში გარეულს არ შემეძლო შეკითხვები მიმეცა ყოველივე იმის შესახებ, რაც ასე ძლიერ მტანჯავდა, ან გულითად საუბარში ჩემი აზრები გამეზიარებინა მისთვის. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ამის შესაძლებლობაც მომეცა და ჩემს მეგობრებთან ერტად დავიმარტოხელე იგი, როცა აზრების ამნაირი გაზიარება საკმაოდ დროული ჩანდა, და ჩემთვის მტანჯველი ზოგიერთი საკითხი შევთავაზე განსახილველად. მაგრამ სულ მალე დავრწმუნდი, რომ ამ კაცს წარმოდგენაც არ ჰქონდა თავისუფალ მეცნიერებაზე, გრამატიკის გარდა, თუმცა მისი ცოდნა აქაც ზერელე და ზედაპირული იყო. მას წაკითხული ჰქონდა მხოლოდ ციცერონის რამდენიმე სიტყვა, სენეკას ორიოდე ტრაქტატი, ძველი პოეტების ცალკეული ლექსები და იმ მანიქეველთა თხზულებები, რომლებიც ასე თუ ისე ასატანად და თანაც ლათინურად წერდნენ; ამას დაუმატეთ ყოველდღიურ ლაყბობაში გაწაფული ენა, და ეს იქნება ყველაფერი, რასაც ეფუძნებოდა ფაუსტუსის მჭევრმეტყველება, რომელიც მისი მახვილგონიერებისა და ბუნებრივი ხიბლის წყალობით კიდევ უფრო სასიამოვნო, შემპარავი და მაცთური ხდებოდა.

ზუსტია თუ არა ეს მოგონებები, უფალო ღმერთო ჩემო, ცემი სინიდისის მსაჯულო? შენს წინაშეა გადაშლილი ჩემი გულიცა და მეხსიერებაც. შენ უკვე შემიყვანე შენი განგების იდუმალებით მოცულ სიღრმეში და თვალნათლივ მიჩვენე ჩემი სამარცხვინო ცთომილება, რათა მეხილა და სამუდამოდ შემზიზღებოდა იგი.

VII

12. მას შემდეგ, რაც ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ ფაუსტუსს წარმოდგენაც არ ჰქონდა იმ მეცნიერებებზე, რომელთა დიდი მცოდნეც მეგონა, სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, რადგანაც მივხვდი, რომ მისგან ვეღარ ვეღირსებოდი ჩემთვის ესოდენ საინტერესო საკითხთა ახსნა-განმარტებას. მართალია, მათი არა გაეგებოდა რა, მაგრამ მაინც შეეძლო ჭეშმარიტი რწმენა ჰქონოდა, მანიქეველი რომ არ ყოფილიყო. მანიქეველთა წიგნები ხომ დაუსრულებელი არაკებითაა სავსე, სადაც ერთავად ცაზე, ვარსკვლავებზე, მზესა და მთვარეზე ლაყბობენ. მე უკვე აღარა მქონდა იმის იმედი, რომ ფაუსტუსი დამაკმაყოფილებლად ამიხსნიდა იმას, რაც ასე ძალიან მსურდა: ერთმანეთისათვის შეედარებიან ჩემს მიერ სხვა წიგნებში ამოკითხული გამოთვლები და მანიქეველთა მონაცემები, ხოლო შემდეგ ეჩვენებინა, რამდენად შეესაბამებოდნენ ისინი ერთიმეორეს, ან რომელი იყო უფრო ზუსტი.

როდესაც ეს საკითხები შევთავაზე განსახილველად, მოკრძალებით აღიარა, ესოდენ მძიმე ტვირთს ვერ შევეჭიდებიო, და ჭკვიანურადაც მოიქცა. იცოდა, რისი შემძლეც იყო, და არ რცხვენოდა ამის აღიარება. იმ აუტანელ მოლაყბეებს როდი ჰგავდა, ყველაფერს რომ მიხსნიდნენ, მაგრამ ვერაფერს მაგებინებდნენ. ფაუსტუსს შენს მიმართ „არ ჰქონდა წრფელი გული“[39], უფალო, თორემ საკუთარი თავის მიმართ ყოველთვის დიდ სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენდა. ვერ ვიტყვით, თითქოს არ იცოდა, რომ არაფრის მცოდნე არ იყო. ამიტომაც თავს არიდებდა მისთვის უცნობ საკითხზე კამათს, რათა გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო. ამით უფრო მეტად მომაწონა თავი. თავმდაბლობა, რომელიც თავის სისუსტეს აღიარებს, გაცილებით უფრო მომხიბლავია, ვიდრე ცოდნა, რომლის შეძენასაც მე ვაპირებდი. ხოლო ფაუსტუსი ყველა რთული და ჩახლართული საკითხის გადაწყვეტისას - მე თვითონ ვარ ამისი მოწმე, - უჩვეულო თავმდაბლობას იჩენდა.

13. გულმოდგინება, რომლითაც ვეწაფებოდი მანის თხზულებებს, თანდათანობით გამინელდა. სასომიხდილმა მანიქეველთა სხვა მოძღვრებებზედაც ავიყარე გული, რაკიღა მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულმაც კი ვერ შესძლო განემარტა იმ კითხვების უმრავლესობა, როლებიც ასე მტანჯავდნენ და მაწამებდნენ. მაგრამ კვლავინდებურად განვაგრძობდი მასთან ურთიერთობას, რადგანაც ფაუსტუსი გატაცებული იყო მწერლობით, ხოლო მე - იმხანად კართაგენელი რიტორი - სწორედ მწერლობას ვასწავლიდი ჩემს შეგირდებს. ჩვენ ერთად ვკითხულობდით იმ მწერლებს, რომელთა სახელიც ყურმოკვრით სმენოდა და ამიტომ ძალიან უნდოდა მათი გაცნობა, აგრეთვე იმ ავტორებს, რომლებიც მისი სულიერი წყობისათვის ყველაზე შესაფერისად მიმაჩნდა. ამ კაცის გაცნობამ ფრთები შეაკვეცა ჩემს მისწრაფებას - რამენაირად დავწინაურებულიყავი მანიქეველთა სექტაში. მართალია, საბოლოოდ არ გავმდგარვარ მათგან, მაგრამ ისე კი მეჭირა თავი, როგორც კაცს, რომელმაც დღემდე ვერაფერს მიაკვლია იმ მოძღვრებაზე უკეთესს, რასაც უწინ ესოდენ ბრმად იზიარებდა, და ამიტომაც იძულებულია ჯერხნობით ამით დაკმაყოფილდეს, იმის მოლოდინში, რომ შემთხვევით მაინც გამოკრთება რარაც უფრო ნათელი და არსებითი, რათა მასზე შეაჩეროს თავისი არჩევანი.

ამრიგად, ფაუსტუსმა, რომელიც მრავალთათვის „სიკვდილის მახედ“[40] იქცა, თავისდა უნებურად დაიწყო იმ მახის გახსნა, რომელშიაც მე ვიყავი გაბმული. ეს იმიტომ, რომ შენს მოწყალე ხელს, უფალო, შენივე განგების გონებამიუწვდომელი იდუმალებით, არ მიუტოვებია ჩემი სული. საბრალო დედაჩემი, ვის ტანჯულ გულსაც დღედაღამ შეუწყვეტლივ სდიოდა სისხლი, ცრემლებს გწირავდა მსხვერპლად ჩემს გამო, და შენ სასწაულებრივად დამიფარე,

[39] ფსალმ. 77, 37; მოციქ. საქმენი, VIII, 21.
[40] ფსალმ. 17, 6.

უფალო ჩემო; დიახ, დამიფარე, რადგანაც „უფლის მიერ წარიმართება კაცის ნაბიჯი, და ის უჩვენებს გზას“[41]. ვინ გვიხსნის, თუ არა შენი ხელი, რომელიც განაახლებს შენსავ ქმნილებას?

VIII

14. შენი ხელი ერია იმაშიც, რომ დაბეჯითებით მირჩიეს და კიდევაც დამარწმუნეს, რომში გადავსახლებულიყავი, სადაც, ჩემი მრჩევლების აზრით, უკეთ შევძლებდი იმის სწავლებას, რასაც ჩემს შეგირდებს კართაგენში ვასწავლიდი. უყოყმანოდ ვაღიარებ შენს წინაშე, რამ გადამაწყვეტინა ეს: შენი ზრახვების იდუმალი სიღრმე და შენი გულმოწყალება, რომელიც ყოველთვის მზადაა ჩვენს დასახმარებლად, ღირსია იმისა, რომ ჩაგვაფიქროს და აღგვაფრთოვანოს.

რომში გადასვლა იმიტომ კი არ მოვიწადინე, რომ იქ, როგორც ჩემი მეგობრები მარწმუნებდნენ, უფრო მეტ გასამრჯელოს შემომთავაზებდნენ და მეტი პატივით მელოდა, თუმცა ერთსაც და მეორესაც ჯერ კიდევ დიდი ფასი ედო ჩემს თვალში: მთავარი და ლამის ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ გავიგე, თითქოს იქაურ ახალგაზრდებს, მკაცრი დისციპლინის წყალობით, გაცილებით უფრო ნაკლები გასაქანი ჰქონდათ, ამიტომაც უფრო მშვიდად ეჭირათ თავი, და ვერ ბედავდნენ თავხედურად შეჭრილიყვნენ მათთვის უცხო მასწავლებლის კლასში, სადაც მხოლოდ თვით მასწავლებლის ნებართვით თუ შეიძლებოდა შესვლა. კართაგნეში კი, პირიქით, მოსწავლეების აღვირახსნილობა მართლაც რომ უსაზღვროა. გათავხედებულნი ურცხვად ამტვრევენ სკოლის კარს და მასწავლებლებს ძალით უვარდებიან კლასში; გამაოგნებელი სიჩლუნგით სჩადიან ათასნაირ უხამსობას, რისთვისაც კანონიერი სასჯელი არ ასცდებოდათ, ჩვეულება რომ არ იყოს მათი მფარველი. ამ უბედურებს ნებადართული ჰგონიათ ის, რასაც შენი მარადიული კანონი არასოდეს არ მიიჩნევს ნებადართულად. სასჯელის შიში არა აქვთ, რადგანაც ჰგონიათ, ყველაფერი შეგვრჩებაო, მაგრამ მათივე სიბრმავეა მათი სასჯელი; ამიტომაცაა, რომ გაცილებით უფრო მეტად იტანჯებიან, ვიდრე სხვებს სტანჯავენ და აწამებენ.

ჩემი მოწაფეობისას არავითარი სურვილი არა მქონდა ამ უკეთურთა ბრბოში გავრეულიყავი. მაგრამ როცა მასწავლებელი გავხდი, მეტი რა გზა მქონდა, ძალაუნებურად უნდა ამეტანა ისინი. ამიტომაც მინდოდა იქ წასვლა, სადაც, თვითმხილველთა მოწმობით, ვერაფერს ამის მსგავსს ვერ ჰპოვებდით. სინამდვილეში კი „სასოებავ ჩემო, წილხვდომილო ჩემო ცოცხალთა ქვეყნად“[42], სწორედ შენ მაიძულე სულის სახსნელად გამომეცვალა საცხოვრისი: კართაგენში დეზის კვრით მაქეზებდი, რომ იქაურობას გავცლოდი, რომში კი სატყუარს მიგებდი, რომ იქ ჩაგეტყუებინე, და ორსავე შემთხვევაში იმათი მეშვეობით

[41] ფსალმ. 36, 23.
[42] ფსალმ. 141, 6.

მოქმედებდი, ვისაც თავდავწყებით უყვარს ეს მკვდარი სიცოცხლე; ერთგან ისინი შლეგდებოდნენ, მეორეგან კი ურიცხვი ამაო აღთქმით მაბრუებდნენ, ხოლო შენ ფარულად იყენებდი მათსა და ჩემსავ სიბილწეს, რათა სათანადოდ წარგემართა ჩემი ნაბიჯი[43]. რადგანაც ჩემი სიმშვიდის დამრღვევთათვის სამარცხვინო სიშლეგეს დაევსო თვალი, ხოლო უკეთესი ხვედრის მიმართ ჩემი მხმობელნი ამქვეყნიური სიბრძნით იყვნენ ბრძენნი. და მე, ვისაც კართაგენში მთელის არსებით მძულდა ნამდვილი ტანჯვა, დაუოკებლად მივილტვოდი რომში - მოჩვენებითი ბედნიერებისაკენ.

15. შენ იცი, უფალო, რატომაც ვტოვებდი კართაგენს და რომში მივემგზავრებოდი, მაგრამ არავითარი ნიშანი არ მოგიცია არც ჩემთვის და არც დედაჩემისთვის, რომელიც მწარედ ტიროდა ჩემი გამგზავრების გამო და უნდოდა თვით ზღვამდე გავეცილებინე. გამწარებული ჩამფრენოდა ორივე ხელით, რათა ან უკან დავებრუნებინე, ან ჩემთან ერთად წამოსულიყო. მაგრამ მე ვიცრუე და თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ მეგობართან ვაპირებდი დარჩენას, რომელიც ზურგსქარსღა უციდა გასამგზავრებლად.

დიახ, დედაჩემს ვეცრუე, და მერე რანაირ დედას! ასე დავუსხლტი ხელიდან. მაგრამ შენმა გულმოწყალებამ ესეც მომიტევა; შენ დამიფარე, მწვირითა და სილირწით სავსე, ზღვის ტალღებისგან, რათა შენი მადლის ცხოველმყოფელ წყაროსთან მიგეყვანე, რომ მასში განბანილს ამომეშრო დედაჩემის ცრემლები, რომლებითაც შენს წინაშე უხვად რწყავდა მიწას, ჩემზე მტირალი. არასდიდებით არ უნდოდა უჩემოდ გაბრუნებულიყო უკან, და მე რის ვაივაგლახით დავარწმუნე, ის ღამე ნეტარი კიპრიანეს[44] სამლოცველოში გაეტარებინა, რომელიც ჩვენი ხომალდის მახლობლად იდგა. სწორედ იმ ღამეს გავიპარე, ის კი ნაპირზე დარჩა, ჩემზე მტირალი და მლოცველი.

მაინც რას გევედრებოდა, უფალო, ცრემლების ფრქვევით? იმას, რომ გამგზავრების საშუალება არ მოგეცა ჩემთვის? მაგრამ მის მთავარ სათხოვარს რომ უსმენდი, შენი უღრმესი ზრახვის თანახმად, ანგარიში არ გაგიწევია მისი იმჟამინდელი თხოვნისათვის, რათა იმად გექცია, რასაც ის მარადჟამ გთხოვდა.

დაჰბერა ქარმა, გაშლილ იალქნებს ეკვეთა და მალე ჩვენი ნაპირიც თვალს მიეფარა, სადაც, დილაუთენია, მწუხარებისაგან შეშლილი დედაჩემი ყურთასმენას გიყრუებდა თავისი გმინვითა და მოთქმა-გოდებით, რისთვისაც ყურადღება არ მიგიქცევია, რადგანაც ჩემი ვნებების ძახილზე მიმაქროლებდი, რათა სამუდამოდ დაგეთრგუნა იგივე ვნებები, დედაჩემის ხორციელ ჭმუნვას კი მართალი სამართლით სჯიდა ტკივილის შოლტი როგორც ყველა დედას, მასაც უნდოდა ყოველთვის გვერდით ვყოლოდი, მაგრამ მისი სურვილი კიდევ უფრო მძაფრი იყო,

[43] შდრ. ფსალმ. 39, 3; სიბრძნე სოლომ. XX, 24.

[44] კიპრიანე (დაიბ. დაახლ. 200 წ.) - კართაგენის ეპისკოპოსი, რომელსაც 258 წლის 14 სექტემბერს თავი მოჰკვეთეს იმპერატორების პუბლიუს ლიცინიუს ვალერიანიუსისა (253-260 წ.) და მისი ძის გალიენუსის (253-268 წ.) ბრძანებით. ეკლესიის მიერ კიპრიანე წმიდანად იქნა შერაცხილი.

ვიდრე სხვა დედებისა, და არ იცოდა, რამხელა სიხარულს აღუთქვამდი იმით, რომ ჩემს თავს აშორებდი. არა, არ იცოდა და ამიტომაც ტიროდა ასე მწარედ, რაც თვალნათლივ ავლენდა მასში ევას მემკვიდრეს: ტირილით ეძებდა იმას, რაც ტირილით ეშვა[45]. დიდხანს მოსთქვამდა საბრალო, დიდხანს მეძაცდა ცრუსა და გულქვას, მაგრამ ბოლოს მაინც ლოცვა დაიწყო, რათა შენთვის შეევედრებინა ჩემი თავი, და ისევ თავის ჩვეულებრივ საქმიანობას დაბრუნებოდა; ხოლო მე რომში ჩავედი.

IX

16. და აი, თავისი შოლტით მიწია ხორციელმა სნეულებამაც; უკვე ჯოჯოხეთს ვეშურებოდი და თან მიმქონდა ჩემი ცოდვები, რომლებიც ჩავიდინე არა მარტო შენს წინაშე, არამედ ჩემი თავისა და სხვების მიმართაც, - გრძელი და მძიმე ჯაჭვი, დასაბამიერი ცოდვის ბორკილზე გამობმული, ცოდვისა, რომლითაც „ყველანი ვკვდებით ადამში“[46]. შენ ჯერაც არაფერი მოგეტევებინა ჩემთვის ქრისტეს მიერ, რადგანაც მას ჯერ კიდევ არ გაექარწყლებინა თავისი ჯვარცმით მტრობა[47], რასაც შენს მიმართ მიღვივებდნენ ჩემი ცოდვები. რანაირად შეეძლო მისი გაქარწყლება იმ ჯვარცმულ აჩრდილს, რომელიც მაშინა მწამდა?[48] რამდენადაც მოჩვენებითი მეგონა მაშინ მისი ხორციელი სიკვდილი, იმდენადვე ნამდვილი იყო ჩემი სულიერი კვდომა, და რამდენადაც ნამდვილი იყო მისი ხორციელი სიკვდილი, იმდენადვე მოჩვენებითი იყო ჩემი სულიერი სიცოცხლე, რომელსაც არ სწამდა იგი.

ციებ-ცხელებამ მიმატა. აშკარად ვგრძნობდი, რომ ვკვდებოდი. სად წავიდოდი, მაშინ რომ მოვმკვარიყავი? რაღა თქმა უნდა, შენი მართალი მსჯავრით, - მხოლოდ ცეცხლის გეენასა და საგანჯველში, რასაც, ჩემი უკეთურების გამო, სავსებით ვიმსახურებდი. დედაჩემმა კი არ იცოდა ეს, და მაინც, ჩემგან შორს მყოფი ჩემთვის ლოცულობდა. შენ კი ყველგან მყოფო, იქ შეიწყნარე მისი ლოცვა, სადაც დედაჩემი იყო, ხოლო მე იქ შემიწყალე, სადაც ვიყავი. ასე რომ, მოვმჯობინდი და კვლავ სააქაოსაკენ ვიბრუნე პირი, თუმცა ჯერ კიდევ სნეული იყო ჩემი ღვთისმგმობი გული. მე ხომ თვით ამ საშინელი განსაცდელის ჟამსაც არ ვისურვე შენი ნათლობით მოვნათლულიყავი. რამდენად უკეთესი ვიყავი სიყმაწვილისას, როცა ღვთისმოსავლ დედაჩემს ვთხოვდი სასწრაფოდ მოვენათლე. ჩემდა სამარცხვინოდ, გავიზარდე და, დამთხვეული, დავცინოდი შენს სალბუნსა და წამლობას, მაგრამ შენმა გულმოწყალებამ არ ინება, რომ ღვთის პირიდან გადავარდნილი ორმაგი სიკვდილით მოვმკვდარიყავი[49]. ამნაირ იარას რომ მოეწყლა დედაჩემის გული, ნამდვილად ვერ

[45] შდრ. დაბად. III, 16.
[46] I კორ. XV, 22.
[47] შდრ. ეფეს. II, 16.
[48] როგორც ვიცით (იხ. მესამე წიგნის შენ. 25), მანიქეველები გადაჭრით უარყოფდნენ განკაცებას, რადგანაც ეს ღვთაებრივი ბუნების შებღალვად მიაჩნდათ. და რაკი ქრისტეს არასოდეს შეუმოსავს ადამიანური სხეული, ამიტომ, ცხადია, მისი ჯვარცმაც მოჩვენებითი იყო.
[49] ხორციელი და სულიერი სიკვდილი იგულისხმება.

გაღარიბდებოდა. საცოდავს მზე და მთვარე ჩემზე ამოსდიოდა, თავს მევლებოდა, მელოლიავებოდა და, ჩემი გაჩენის დღიდან მოყოლებული, უფრო მესათუთებოდა სულით, ვიდრე იმ ცხრა თვის მანძილზე, როცა მუცლით მატარებდა.

17. არა, არ ვიცი რა გადაარჩენდა, ჩემი სიკვდილის, და თანაც ამნაირი სიკვდილის ამბავს მახვილივით რომ განეწონა მისი სიყვარულით მფეთქავი გული. ვის მიმართ აღავლენდა ესოდენ გულმხურვალე და უწყვეტ ლოცვა-ვედრებას, თუ არა შენს მიმართ, მხოლოდ შენს მიმართ, უფალო? და განა შენ, გულმოწყალეთა ღმერთო, ზიზღით დახედავდი წმინდა და ლმობიერი ქვრივის „მოდრეკილსა და მორჩილ გულს“?[50] ქვრივისა, უშურველად რომ გასცემდა მოწყალებას, დაუზარებლად მსახურებდა შენს ერთულ მსახურთ, და დღე ისე არ გავიდოდა, რომ შესაწირავი არ დაედო შენს საკუთხეველზე[51]. დღეში ორჯერ, დილა-საღამოს, დადიოდა შენს ეკლესიაში, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ჭორიკნების მითქმა-მოთქმა თუ დედაბრების ჩიფჩიფი მოესმინა, არამედ იმ მიზნით, რომ შენი ხმა სმენოდა შენივე სიტყვებიდან და შენთვისაც მოეწვდინა ხმა თავისი ლოცვა-ვედრებით. და ნუთუ ზიზღით დახედავდი მის ცრემლებს, ხელს აიღებდი და შეწევნას არ აღირსებდი იმას, ვინც ოქრო-ვერცხლს, ან სხვა ხრწნადსა და მსწრაფლწარმავალ სიკეთეს კი არა გთხოვდა, არამედ მხოლოდ ერთ რამეს გევედრებოდა: გეხსნა მისი შეცთომილი ძის სული? არა და არა, უფალო, შენ გვერდით იდექ, გესმოდა მისი ხმა და ყველაფერი ისე წარმართე, როგორც შენი წინასწარგანჩინებით გადაგეწყვიტა. შეუძლებელია იმ ხილვებითა თუ პასუხებით მოგეტყუებინა, რომელთაგანაც მხოლოდ ზოგი მოვიხსენიე, ზოგი კი არა, და რომელთაც სათუთად ინახავდა გულის სიღრმეში, რათა ლოცვისას ისე წარმოედგინა შენთვის, როგორც შენივე ხელწერილი. რადგანაც თვითონვე ინებე, რაკიღა „მარადიულია შენი წყალობა“[52], თავს გედო შენი აღთქმის აღსრულება, და ამრიგად, იმათი მოვალე ყოფილიყავი, ვისაც თვითონვე მიუტევებ მათ ვალს.

X

18. ამრიგად, შენ განმკურნე ამ სნეულებისაგან და იხსენი „შენი მხევლის ძე“[53], მართალია, ჯერ მხოლოდ ხორციელად, რათა საშუალება გქონოდა უფრო ქმედითი და საიმედო ხსნითაც დაგეხსნა იგი.

მე რომშიაც დავუკავშირდი ცრუთა მიერ ცთუნებულ ამ ცრუ წმიდანებს; ამჯერად, არა მარტო „მსმენელებს“, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა ჩემი მასპინძელი, ვის სახლშიაც მოვიხადე ავადმყოფობა, არამედ იმათაც, ვისაც „რჩეულებს“[54] უწოდებენ. კვლავინდებურად

[50] ფსალმ. 50, 19.
[51] ე.ი. პური და ღვინო ევქარისტიისთვის.
[52] ფსალმ. 117, 1; 137, 8.
[53] ფსალმ. 115, 7.
[54] „მსმენელები“, „რჩეულები“ - იხ. მესამე წიგნის შენ. 25.

მეჩვენებოდა, რომ ჩვენ კი არ ვცოდავდით, არამედ რომელიღაც სხვა ბუნება სცოდავდა ჩვენში; ჩემი სიამაყე ტკბებოდა იმით, რომ წილი არ მედო ცოდვაში, ამიტომ თუ რაღაც სიავეს ჩავიდენდი, არამც და არამც არ ვაღიარებდი ჩემს დანაშაულს, რომ „განგეკურნე, რადგანაც შენს წინაშე ვცოდე“[55]. მე მსიამოვნებდა გამემართლებინა ჩემი თავი და დამედანაშაულებინა ვიღაც სხვა, რომელიც ჩემში იყო, მაგრამ ჩემს თავთან არასოდეს გამეიგივებინა იგი. თუმცა სინამდვილეში ერთი ვიყავი, მაგრამ ჩემმა სვედვსილობამ გამაორა და ჩემს თავსვე დამაპირისპირა: ცოდვა მით უფრო უკურნებელი ჩანდა, რომ ცოდვილად არ მიმაჩნდა თავი; ჩემ ამაზრზენ უსამართლობას ის უფრო სურდა, ყოველისმძლეო, რომ, ჩემსავ წარსაწყმედად, შენ ყოფილიყავი ძლეული ჩემში, ვიდრე შენ თვითონ გეძლიე ჩემდა სახსნელად. რადგანაც „ჯერ კიდევ არ მიგეჩინა გუშაგი ჩემი პირისათვის, და არ მოგეზღუდა ჩემი ბაგეების კარი, რათა უკეთურ სიტყვათა მიმართ არ მიქცეულიყო ჩემი გული, რომ უსამართლობის მოქმედთა მსგავსად მიტევება ეძებნა თავისი ცოდვებისათვის“[56]. აი, რატომ განვაგრძობდი „რჩეულებთან“ ურთიერთობას, თუმცა იმედი კი აღარა მქონდა, რომ რაღაც სასარგებლოს ვპოვებდი მათ მოძღვრებაში. და მაინც, გადაწყვეტილი მქონდა, მანამდე არ გამეწყვიტა კავშირი მათთან, სანამ უკეთესს არ მივაკვლევდი რასმე, თუმცა მანიქეველებზე გულაყრილს სულ უფრო და უფრო მიჭირდა ამ კავშირის შენარჩუნება.

19. ერთხანს იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ფილოსოფოსთა შორის სიბრძნით ყველას ჩრდილავდნენ ეგრეთწოდებული აკადემიკოსები, რომელთა აზრითაც, ყველაფერი საეჭვოა, ხოლო ჭეშმარიტება საერთოდ მიუწვდომელია ადამიანისათვის[57]. სხვებთან ერთად მეც მეგონა, რომ სწორედ ამას ამტკიცებდნენ ისინი, მაგრამ მათი ჭეშმარიტი ზრახვა ჩემთვის ჯერ კიდევ გაუგებარი იყო.

ყოველნაირად ვცდილობდით დამერწმუნებინა ჩემი მასპინძელი, რომ ბრმად არ უნდა ნდობოდა ამ ცრუ არაკებს, რომლებითაც სავსეა მანიქეველთა წიგნები. მაგრამ კვლავინდებურად მჭიდრო ურთიერთობა მაკავშირებდა მანიქეველებთან და უფრო მეგობრულად ვიყავი განწყობილი მათ მიმართ, ვიდრე იმ ხალხისადმი, ვინც ამ მწვალებელთა სექტას არ ეკუთვნოდა. მართალია, უწინდელი შემართებით აღარ ვიცავდი მათ მოძღვრებას, მაგრამ მათთან სიახლოვე (ხოლო რომს იმხანად უამრვი მანიქეველი აფარებდა თავს) ხელს მიშლიდა იმაში, რომ უკეთესი მოძღვრება მეძია, და, ეგეც არ იყოს,

[55] ფსალმ. 40, 5.

[56] ფსალმ. 140, 3-4.

[57] 388 წელს (ძვ.წ.ა.) ატიკელი გმირის აკადემოსის სახელობის ჭალაში პლატონმა დააარსა თავისი სახელგანთქმული „აკადემია“, რომელმაც თითქმის ათი საუკუნე იარსება (ვიდრე 529 წელს ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ საგანგებოა ბრძანებით არ გააუქმა იგი) და უდიდესი როლი შეასრულა ბერძნული, და არა მარტო ბერძნული, მეცნიერების განვითარების საქმეში. აკადემიის ისტორიაში გამოყოფენ სამ პერიოდს: 1. „ძველი აკადემია“ (388-270 ძვ.წ.ა.); 2. „საშუალო აკადემია“ (270-150 ძვ.წ.ა.) და 3. „ახალი აკადემია“ (150 ძვ.წ.ა. - 529 ახ.წ.ა.). ნეტარი ავგუსტინე სწორედ ამ უკანასკნელს გულისხმობს, რომლის წარმომადგენელთა („აკადემიკოსთა“) შორისაც თანდათანობით ძლიერდება სკეპტიკური ტენდენცია, რაც ბოლოს აშკარა აგნოსტიციზმში - სინამდვილის სრული შეუცნობლობის აღიარებაში გადადის. უფრო გვიან ახალმა აკადემიამ დასძლია სკეპტიციზმი და პლატონის, არისტოტელესა და სტოიკოსების იდეათა ეკლექტიკურ განზოგადებას შეუდგა, უწინარეს ყოვლისა, ეთიკის სფეროში. ზოგიერთ მკვლევარის აზრით, ნეტარი ავგუსტინე აკადემიკოსტა მოძღვრებას იცნობდა მხოლოდ ციცერონის „აკადემიკას“ მიხედვით, რომელიც დიდმა რომაელმა ორატორმა და ფილოსოფმა თავისი სიცოცხლის მიმწუხრს (45 ძვ.წ.ა.) დაწერა.

სასოწარკვეთილს არავითარი იმედი აღარა მქონდა, ცისა და მიწის უფალო[58], ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედო[59], რომ შენს ეკლესიაში ვპოვებდი ჭეშმარიტებას, რომლისკენაც მიმავალი გზა მანიქეველებმა გადამიღობეს; ამიტომაც სამარცხვინოდ მიმაჩნდა იმისი რწმენა, რომ შენ ადამიანივით ხორციელი არსება ხარ, ჩვენი სხეულის გარსით მოზღუდულ ვიწრო ფარგლებში მოქცეული[60]. მაგრამ როდესაც ვცდილობდი წარმომედგინა ჩემი ღმერთი, ვერაფერსაც ვერ ვხედავდი, სხეულებრივი სიდიდის გარდა, და მე მეგონა, რომ საერთოდ არა არის რა სხეული: აი, სწორედ ეს იყო ჩემი საბედისწერო ცთომილების მთავარი და, ალბათ ერთადერთი მიზეზიც.

20. ამიტომ ბოროტებაც ასეთივე სუბსტანციად წარმომედგინა[61], ბნელ და უფორმო სიდიდედ; ის ხან მკვრივი იყო, რასაც ისინი მიწას უწოდებდნენ, ხან კი ჰაერივით ისვიათ და ნატიფი: მათი წარმოდგენით, ეს იყო მიწაზე მცოცავი ბოროტი სული. და რადგანაც თვით ჩენი უბადრუკი ღვთისმოსაობაც კი მაიძულებდა მერწმუნა, რომ შეუძლებელია კეთილ ღმერთს შეექმნა თუნდაც ერთი ბოროტი არსება, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო სიდიდე, და ორივე უსასრულოა, თუმცა სიკეთე, ჩემი აზრით, მაინც უფრო ვრცლად იყო განფენილი, ვიდრე ბოროტება[62]. ამ მოწამლული სათავიდან იღებდა დასაბამს მთელი ჩემი ღვთისმგმობლობა.

და მართლაც, როცა ჩემი სული ცდილობდა კვლავ დაბრუნებოდა კათოლიკურ სარწმუნოებას, დაუყოვნებლივ უკუმაგდებდა რაღაც უხილავი ძალა; რადგანაც ჩემი წარმოდგენა ამ სარწმუნოებაზე ნაკლებად შეესაბამებოდა მის ნამდვილ არსს. მე უფრო დიდ ღვთისმოსაობად მიმაჩნდა იმისი რწმენა, უფალო, (ვის გულმოწყალებასაც თვითონვე ვმოწმობ ჩემი აღსარებით), რომ ყოველმხრივ უსაზღვრო და უსასრულო ხარ, თუმცა იძულებული ვიყავი ერთ რამეში მაინც მეღიარებინა შენი საზღვრულობა, კერძოდ, იქ, სადაც ბოროტება მთელი თავისი საზარელი სიდიდით გიპირისპირდება; დიახ, ეს უფრო დიდ ღვთისმოსაობად მიმაჩნდა, ვიდრე იმის აღიარება, რომ ყოველმხრივ ადამიანური სხეულის ფორმითა ხარ შემოსაზღვრული. მე მეგონა, უმჯობესი იყო მერწმუნა, რომ შენ არ შეგიქმნია

[58] დაბად. XXIV, 3.

[59] კოლ. I, 16.

[60] იხ. აქვე, შენ. 48.

[61] ამ მცდარი აზრის საპირისპიროდ, ბოროტების არასუბსტანციურობის შესახებ იხ. შენიშვნები, წიგნი მესამე, 39.

[62] იხ. შენიშვნები, წიგნი მესამე, 25... აქვე უნდა ითქვას შემდეგი: ღვთაებრივი არსის წარმოდგენისას მანიქეველებისათვის უცხო იყო ყოველგვარი ანთროპომორფიზმი, მაგრამ ისინი ვერ ამაღლდნენ ღმერთის, როგორც სულის ცნებამდე. ღვთაებრივ სუბსტანციას ისინი სინათლესთან აიგივებდნენ. თანაც სინათლე არა მარტო ღვთაების სინათლედ მიაჩნდათ, არამედ მის საკუთარ არსადაც (ნეტარი ავგუსტინე, „მწვალებლობისათვის“, 46; „ნეტარი ცხოვრებისათვის“, 4). ამრიგად, მანიქეველებისათვის ღმერთი იყო სხეულებრივი სინათლე, ანუ, ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით რომ ვთქვათ, უზარმაზარი „სხივოსანი სხეული“ („აღსარებანი“, III, X, 20), უკიდეგანოდ განფენილი სამყაროს ზედა ნაწილში. მათ მოძღვრებაში ვერსად შეხვდებით მკვეთრად გამოხატულ იდეას ღმერთის აბსოლუტურობის შესახებ. მანიქეველთა კეთილი ღმერთი მხოლოდ ბოროტ საწყისებზე უზენაესია. მართალია, ისინი მარტოოდენ მას მიაგებენ ღვთაებრივ პატივს, მაგრამ მთელ სამყაროულ სივრცეს კი თანაბრად ანაწილებენ მასა და სიბნელის მთავარს შორის. თუმცა ზოგჯერ ეს კეთილი ღმერთისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ, და მაშინ ერთგვარად ზღუდავდნენ ბოროტების საუფლოს, რომელიც სინათლის სფეროში შეჭრილი სოლის სახით წარმოედგინათ, ყოველი მხრიდან შემოსაზღვრული მხოლოდ ქვემოთ რომ ვრცელდება უსასრულოდ. ზოგჯერ კი, იმავე მიზნით, სინათლესა და სიბნელეს შორის სიცარიელეს ათავსებდნენ („ფაუსტუსის წინააღმდეგ“, 4, 2), რომელიც ერთგვარ ნეიტრალურ ზონად მიაჩნდათ.

არავითარი ბოროტება (ჩემი უმეცრების გამო არა მარტო ერთგვარ სუბსტანციად მიმაჩნდა იგი, არამედ სხეულრბრივ სუბსტანციადაც, ვინაიდან თვით ჩემს გონებასაც არ შეეძლო მისი წარმოდგენა სხვა რამედ, თუ არა უნატიფეს სხეულად, რომელიც, მიუხედავად ამისა, სივრცეში იყო გათქვეფილი), ვიდრე მეღიარებინა, რომ შენგან იღებს დასაბამს ის, რაც ბოროტებად მესახებოდა. რაც შეეხება მაცხოვარს ჩვენსას, შენს მხოლოდშობილ ძეს, ჩემი წარმოდგენით, ის შენი სხივოსანი სხეულის გამონაშუქი იყო, ამ ქვეყნად ჩვენდა სახსნელად ჩამოსული[63], და არ ვენდობოდი არაფერს, გარდა ჩემივე ფუჭი წარმოსახვისა, რომლის თანახმადაც, ამნაირი ბუნება შეუძლებელია ისე დაბადებულიყო ღვთისშშობლისაგან, რომ ხორციელ ბუნებას არ შეზავებოდა, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რანაირად შეიძლებოდა ხორციელ ბუნებას შეზავებოდა და შეუბღალავი კი დარჩენილიყო. ამიტომაც მეშინოდა მისი განკაცება მერწმუნა, რათა იძულებული არ ვყოფილიყავი მეღიარებინა, რომ ადამიანის ხორცით შეიბღალა.

ეს ჩემი „აღსარებანი“ დღეს რომ ჩვენს სულიერ მოძღვრებს ჩაუვარდეთ ხელში, ალბათ, ალერსითა და სიყვარულით დამაყრიან სიცილს, მაგრამ სწორედ ასეთი ვიყავი მე.

XI

21. ეგეც არ იყოს, მე ვფიქრობდი, რომ შეუძლებელი იყო შენი საღმრთო წერილის იმ ადგილების დაცვა, რომლებსაც თავს ესხმოდნენ მანიქეველები[64]. თუმცა ზოგჯერ მაინც მინდოდა ცალ-ცალკე განმეხილა ესა თუ ის ადგილი საღმრთო წერილში საფუძვლიანად გაწაფულ რომელიმე სწავლულთან ერთად, რათა გამეგო მისი აზრი ყოველივე ამის შესახებ.

ჯერ კიდევ კართაგენში ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვინმე ელპიდიუსმა[65], რომელიც საჯაროდ ილაშქრებდა მანიქეველების წინააღმდეგ: ძნელი იყო წინ აღდგომოდი მის სიტყვებს საღმრთო წერილის შესახებ. მანიქეველთა პასუხები მით უფრო უსუსური მეჩვენებოდა, რომ ისინი თავს არიდებდნენ საჯარო პაექრობას და საიდუმლოდ გვიზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს: მათი მტკიცებით, ახალი აღთქმა გაყალბებული იყო მავანთა მიერ, რომელთაც სურდათ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაემყნათ იუდეველთა სჯული, თუმცა თავიანთი მოსაზრების დასტურად ვერც ერთ წერილობით საბუთს ვერ გვიჩვენებდნენ[66]. მე კი კვლავაც ზემოხსენებულ სხეულებრივ სიდიდეებზე ვფიქრობდი, და,

[63] მანიქეველთა ქრისტოლოგია, პირველწყაროთა სიმწირის გამო (მათი აბსოლუტური უმრავლესობა განადგურებულ იქნა) საკმაოდ ბუნდოვანია. მოკლედ, იხ. შენიშვნები, მესამე წიგნი, 25.

[64] უპირატესად ძველი აღთქმის ცალკეული პასაჟები იგულისხმება. მათ შესახებ იხ. პროფ. ი.ვ.პოპოვი, დასახ. ნაშრ. გვ.88-91.

[65] ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ამ პოლემისტის შესახებ.

[66] „მანიქეველებისათვის განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა შემდეგი გარემოება: ახალი აღთქმა ხშირად იმოწმებს სჯულსა და წინასწარმეტყველთ, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ სახარების მქადაგებელნი სულაც არ უარყოფდნენ ძველი აღთქმის ავტორიტეტს და არც ბნელი ძალების ქმნილებად მიაჩნდათ იგი. ყველა ამნაირ შემთხვევაში მანიქეველები ძალზე მარტივად პოულობდნენ გამოსავალს: ყოველგვარი ტექსტოლოგიური თუ კრიტიკული კვლევა-ძიების, ხელნაწერთა ყოველგვარი შეჯერების გარეშე, ამნაირ ადგილებს ჩანართებად და ნაყალბევად აცხადებდნენ“ (პროფ. ი.ვ.პოპოვი, დასახ. ნაშრ. გვ.91).

როგორც მათი სიმძიმით გასრესულ ტყვეს, არ შემეძლო სული მომეთქვა, რომ შენი მარტივი ჭეშმარიტების სუფთა და მჭვირვალე ჰაერი ჩამესუნთქა.

XII

22. გულმოდგინედ მოვკიდე ხელი იმ საქმეს, რისთვისაც რომს ჩამოვედი: რიტორიკის სწავლება დავიწყე და, უწინარეს ყოვლისა, რამდენიმე შეგირდს მოვუყარე თავი; მათი წყალობით უკეთ გამიცნო ხალხმა.

მაგრამ სულ მალე შევიტყვე, რომ რომში ისეთი რამ ხდება, რაც ჩემთვის სრულიად უცნობი იყო აფრიკაში: მართალია, აქაური ჭაბუკი არამზადები ყველაფერს თავდაყირა არ აყენებდნენ, - რისი მოწმეც თავად გახლავართ, - მაგრამ სულ სხვა რამ მაუწყეს: იმ მიზნით, რომ მასწავლებელი გაეცურებინათ და სწავლის საფასური არ გადაეხადათ მისთვის, შეგირდები თურმე პირს შეკრავდნენ და ჯგუფ-ჯგუფად გადადიოდნენ სხვა მასწავლებელთა, რადგანაც სიტყვის გამტეხთ სულს ერჩიათ ფული. სამართლიანობა უფრო იაფად უღირდათ. სძულდა ჩემს გულს ამნაირი უღირსნი და უკეთურნი, თუმცა არა „სრული სიძულვილი“[67]. შესაძლოა, უფრო იმის გამო მძულდა ისინი, რაც მათგან უნდა ამეტანა, ვიდრე იმ ზიანის გამო, რასაც სხვებს აყენებდნენ.

ამნაირი ადამიანები მართლაც უღირსნი არიან, „შენგან შორს მყოფნი რომ ეძლევიან გარყვნილებას“[68], წამიერ თავშექცევასა და ბიძურ გამოსარჩენს დახარბებულნი, მაგრამ ვაი ამნაირ გამოსარჩენს: შეეხები თუ არა, სამუდამოდ გესვრება ხელი; ამ მსწრაფლწარმავალი ქვეყნის ტრფიალნი ზიზღით გიყურებენ შენ, უცვლელსა და წარუვალს, უკანვე რომ მოუხმობ და შეცოდებას მიუტევებ ადამიანის შეცთომილ სულს, რომელსაც სურს კვლავ მოგეახლოს.

მე დღესაც მძულს ამნაირი გარყვნილნი და უკეთურნი, მაგრამ, იმავდროულად, კიდევაც მიყვარს ისინი, რადგანაც მათი გამოსწორების იმედი მაქვს: დაე, ფულს ამჯობინოს მეცნიერება, რომელსაც ეუფლებიან, მეცნიერებას კი შენ გარჩიონ, უფალო ჩემო, რომელიც ხარ ჭეშმარიტება, უხრწნელი სიკეთისა და აუმღვრეველი სიმშვიდის უშრეტი წყარო. მაშინ კი უმალ ის მინდოდა, რომ არავითარი საქმე აღარ მქონოდა მათთან, ბოროტს რომ იზრახავდნენ ჩემთვის, ვიდრე ის, რომ კეთილნი ყოფილიყვნენ შენს მიმართ.

[67] ფსალმ. 138, 22.
[68] ფსალმ. 72, 27.

XIII

23. ამიტომ, როცა მედიოლანელებმა თხოვნა აახლეს რომის პრეფექტს[69], იქნებ რიტორიკის მასწავლებელი გვიშოვნო და უფლება მისცე, სახაზინო ეტლით ჩამოვიდესო, - ცდა არ დამიკლია, რომ ამ ადგილზე გავემწესებინეთ, რისთვისაც თავიანთი ფუჭი ზმანებებით მთვრალი მანიქეველები მოვიშველიე, რათა სამუდამოდ გავცლოდი მათ, თუმცა მაშინ არც მე და არც მათ აზრადაც არ მოგვსვლია ეს. სიტყვის წარმოთქმა შემომთავაზეს. იმხანად რომის პრეფექტი სიმმაქე[70] იყო, რომელმაც მოიწონა ჩემი სიტყვა და მედიოლანუმს წარმგზავნა.

მედიოლანუმში ეპისკოპოს ამბორისის[71] ვეწვიე; ეს იყო საქვეყნოდ სახელგანთქმული, უკეთესთა შორის უკეთესი კაცი, შენი ერთგული მსახური, ვინც თავისი ქადაგებებით გამუდმებით სთავაზობდა შენს ხალხს „ნოყიერ ხორბალს, სიხარულის ზეთსა და სიფხიზლის ღვინოს“[72]. ჩემს დაუკითხავად მიმგვარე მას, რათა მას ჩემივე ნებით მოვეყვანე შენთან.

ამ „ღვთის კაცმა“[73] მამაშვილური სიყვარულით მიმიღო და ეპისკოპოსის ღირსებით დამიდასტურა თავისი სიხარული ჩემი ჩასვლის გამო[74]. მე მაშინვე შევიყვარე იგი, მართალია, არა როგორც ჭეშმარიტების მასწავლებელი (რადგანაც უკვე აღარა მქონდა იმის იმედი, რომ შენი ეკლესიის წიაღში ვპოვებდი ჭეშმარიტებას), არამედ როგორც ჩემი კეთილმოსურნე. გულმოდგინედ ვუსმენდი მის საუბარს ხალხთან, მაგრამ არა იმ მიზნით, რა მიზნითაც უნდა მესმინა, არამედ რათა დავრწმუნებულიყავი, მართლა ისეთი დიდებული მჭევრმეტყველი იყო თუ არა, როგორც ამბობდნენ, და ამრიგად, გამეგო, გადამეტებულად ხომ არ აქებდნენ, თუ, პირიქით, მეტის ღირსიც იყო. საგულდაგულოდ ვწონიდი მის სიტყვებს, მაგრამ დაუდევრად უგულებელვყოფდი მათ შინაარსს. მე ვტკბებოდი მისი მომხიბლავი სიტყვით, რომელშიაც გაცილებით მეტი ცოდნა იყო ჩაქსოვილი, მაგრამ სინატიფითა და დახვეწილობით კი ჩამოუვარდებოდა ფაუსტუსის სიტყვას. რაც შეეხება შინაარსს, ამ მხრივ მათი შედარება შეუძლებელი იყო, რადგანაც ერთს მანიქეველთა სიყალბის უსიერ ტევრში დაებნა გზა, მეორე კი ნამდვილი მხსნელივი გვმოძღვრავდა, თუ როგორ გვეხსნა სული. მაგრამ „შორსაა ხსნა ცოდვილთაგან“[75], მე კი ცოდვილი ვიყავი მაშინ, თუმცა, ქვეშეცნეულად, თანდათანობით ვუახლოვდებოდი ხსნის გზას.

---

[69] რომის პრეფექტის (praefectus urbis) უფლება-მოვალეობათა შესახებ იხ. მ.სერგეენკო, დასახ. ნაშრ. გვ.38-40.

[70] ცნობილი რომაელი ორატორი და სახელმწიფო მოღვაწე კვინტუს ავრელიუს სიმმაქე (დაახლ. 345-403 წ.) რომის პრეფექტი იყო 384-385 წ.

[71] იხ. პირველი წიგნის შენ. 4.

[72] იხ. ფსალმ. 80, 17; 103, 15; 44, 8.

[73] IV მეფ. I, 9.

[74] შდრ. I ტიმ. III, 2.

[75] ფსალმ. 118, 155.

XIV

24. მართალია, არ მიცდია იმის შესწავლა, რასაც ის ლაპარაკობდა, მაგრამ გულდასმით კი ვაკვირდებოდი მის მეტყველებას (არა, იმედი აღარა მქონდა, რომ ადამიანის წინაშე შეიძლებოდა გახსნილიყო გზა, რომელსაც შენსკენ მოვყავართ, მაგრამ სიტყვისადმი ამნაირი დამოკიდებულება სასომიხდილსაც კი შემომრჩა). თუმცა იმ სიტყვებთან ერთად, რომლებსაც ასეთი სიამოვნებით აღვიქვამდი, ჩემში თავისთავად შემოდიოდა იმავე სიტყვებით გამოხატული აზრი, რის მიმართაც ესოდენ გულგრილად ვიყავი განწყობილი: მე არ შემეძლო ერთმანეთისაგან გამეცალკევებინა ისინი, და როცა ჩემს გულს ვუშლიდი იმას, რაც ესოდენ მოხდენილად იყო ნათქვამი, შიგ, მართალია, ნელ-ნელა და თანდათანობით, მაგრამ მაინც შემოდიოდა ის ჭეშმარიტებაც, რომელიც ესოდენ მომხიბლავი სიტყვებით იყო გამოთქმული.

უწინარეს ყოვლისა, მე შევნიშნე, რომ შეიძლებოდა მისი აზრების დაცვა, და უკვე აღარ ვფიქრობდი, რომ მხოლოდ უტიფრობას თუ შეეძლო ხმა აემაღლებინა კათოლიკე სარწმუნოების მხარდასაჭერად, რომლის დაცვაც მანიქეველთა თავდასხმისაგან აქამდე შეუძლებელი მეგონა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ძველი აღთქმის არა ერთი და ორი ბუნდოვანი ადგილის ახსნამ, რადგანაც მათი სიტყვასიტყვით განმარტება მომაკვდინებლად მოქმედებდა ჩემზე[76]. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოვისმინე საღმრთო წერილის ცალკეულ ადგილთა სპირიტუალური განმარტება[77], ჩემს თავს ყვედრება დავუწყე იმ სასოწარკვეთილების გამო, რასაც განვიცდიდი იმის შედეგად, რომ მჯეროდა, თითქოს შეუძლებელი იყო წინ აღვდგომოდით მათ, ვისაც სძულს და სასაცილოდაც არ ჰყოფნის საღმრთო წერილი და წინასწარმეტყველნი[78].

თუმცა მე მაინც არ მეგონა, რომ ეკლესიის გზას უნდა გავყოლოდი: განა კეთოლიკე სარწმუნოებას აკლდა გამოცდილი და ღრმად განსწავლული დამცველნი, რომელტაც შეეძლოთ ერთიმეორის მიყოლებით გაებათილებინათ მოპირისპირეთა მოსაზრებანი? მაგრამ მე არც ის მინდოდა, რომ ერთბაშად მექცია ზურგი ჩემი თანამოაზრეებისათვის, რადგანაც ორივე მხარე ტოლძალი ჩანდა. კათოლიკე სარწმუნოება ძლეული როდი მეგონა, თუმცა არც გამარჯვებულად მიმაჩნდა.

---

[76] შდრ. II კორ. III, 6: „ასო კლავს, ხოლო სული აცოცხლებს“.

[77] წმიდა ამბროსი მედიოლანელი სწორედ სპირიტუალურ-ალეგორიული მეთოდით განმარტავდა საღმრთო წერილს, რასაც თვალნათლივ გვიმოწმებს მისი ტრაქტატი „Hexaemeron“ („ექვსთა დღეთათვის“), რომელიც ბასილი დიდის იმავე სათაურის მქონე თხზულებითაა შთაგონებული. „ცხრა სიტყვისაგან შემდგარ ამ თხზულებაში, შესაქმის ექვს დღეს რომ ეხება, - წერს შუა საუკუნეების ფილოსოფიის ცნობილი ფრანგი მკლევარი ეტიენ ჟილსონი, - ამბროსი ფართოდ იყენებს ალეგორიულ ინტერპრეტაციას, რაც ზოგჯერ თითქოს უწონადს ხდის საღმრთო წერილის სიტყვებს. მაგრამ სანანებლად ნუ დაგვრჩება ეს მეტისმეტობა, რადგან მილანის ეპისკოპოსს რომ უსმენდა, რომელიც ალეგორიულად განმარტავდა ბიბლიას, ნეტარი ავგუსტინე სწორედ ამის წყალობით მიხვდა, რომ „სიტყვა კლავს, ხოლო სული აცოცხლებს“ (E.Gilson, La philosphie au moyen âge, Paris, 1962, p.112).

[78] იგულისხმებიან მანიქეველები.

25. სწორედ მაშინ იყო, თავდაუზოგავად რომ ვცდილობდი ეჭვშეუვალ საბუთებზე დაყრდნობით მემხილებინა მანიქეველთა სიცრუე. ჩემს გონებას რომ შესძლებოდა სულიერი სუბსტანციის წარმოდგენა, მთელ მათ გამონაგონს ხელის ერთი მოსმით აღვგვიდი პირისაგან მიწისა და მეც სამუდამოდ მოვისვენებდი, მაგრამ ვაი რომ ამნაირი სუბსტანციის წარმოდგენა არ შემეძლო. თუმცა აქვე უნდა ითქვას: ჩემი გულმოდგინე განხილვისა და ურთიერთშეჯერების შედეგად იმ დასკვნამდე მივედი, რომ ფილოსოფოსთა უმრავლესობას გაცილებით უფრო სწორი წარმოდგენა ჰქონდა სამყაროსა და ბუნების შესახებ, რომლებსაც გრძნობებით აღვიქვამთ.

ასე, აკადემიკოსებისა[79] არ იყოს (თუკი სწორია, რასაც გვაუწყებენ მათზე), ყველაფერზე დაეჭვებულმა და ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებს შორის ამდენი რყევით თავგაბეზრებულმა გადავწყვიტე სამუდამოდ ჩამოვშორებოდი მანიქეველებს, რადგანაც შეუძლებლად მიმაჩნდა კვლავინდებურად დავრჩენილიყავი ამ სექტაში, რომელსაც უკვე ზოგიერთი ფილოსოფოსი მერჩია; მაგრამ გადაჭრით უარვყავი იმის შესაძლებლობა, რომ ამ ფილოსოფოსებისათვის მიმენდო ჩემი დაუძლურებული სულის მკურნალობა, რაკიღა მათთვის სრულიად უცხო იყო ქრისტეს ყოვლისმხსნელი სახელი.

ამიტომაც გადავწყვიტე კატეხუმენად[80] დავრჩენილიყავი კათოლიკე ეკლესიაში, სადაც ლოცულობდა ჩემი დედ-მამა, და დავლოდებოდი ამა თუ იმ მხრიდან ანაზდეულად გამომკრთალ შუქს, რომელიც გამინათებდა ესოდენ ძნელად სავალ გზას.

[79] იხ. აქვე, შენ. 57.
[80] იხ. პირველი წიგნის შენ. 37.

წიგნი მეექვსე

I

1. ო, ჩემი სიჭაბუკის სასოებავ[1], სად იყავი და სად წახვედი? განა შენ არ შემქმენი, შენვე არ განმასხვავე ოთხფეხთაგან და ცის ფრინველებზე მეტი გონიერებაც არ მიბოძე? მე კი წყვდიადში დავბორიალობდი მოლიპული გზით[2], და ვერ ვპოულობდი ჩემი გულის ღმერთს[3]; ასე მივაღწიე „ზღვის უფსკრულს“[4]; რწმენადაკარგულს აღარ მქონდა იმის იმედი, რომ ოდესმე ვეზიარებოდი ჭეშმარიტებას.

მედიოლანუმს ჩამოვიდა დედაჩემი[5], ვისი რწმენაც ურყევი იყო. ათასნაირ საფრთხესა და განსაცდელში შენს მოწყალებას მონდობილი კვალდაკვალ მომყვა ხმელსა და ზღვაზე. როცა ტალღები წალეკვას უქადდნენ ხომალდს, თვითონვე ანუგეშებდა ზღვაოსნებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, იქით ამხნევებენ და აიმედებენ გამოუცდელ მგზავრებს, როცა მათ შიში აიტანს ხოლმე. დედაჩემი კი ზღვაოსნებს ანუგეშებდა, ნუ გეშინიათ, საღსალამათნი მიაღწევთ ნავსადგურსაო, რადგანაც უცნაური ხილვის მხილველს სწორედ შენ აღუთქვი ეს.

მისი ჩამოსვლისას საშინელი განსაცდელი მემუქრებოდა: იმედი აღარა მქონდა, რომ ჭეშმარიტებას მივაკვლევდი. როცა გაიგო, რომ მანიქეველი აღარ ვიყავი, თუმცა არც მართლმორწმუნე ქრისტიანი მეთქმოდა, სიხარულს არ აუტაცნია, თითქოს ამას არც მოელოდაო. თუმცა ჩემი უბედურების შემყურე შეიძლებოდა ერთის მხრივ მაინც მშვიდად ყოფილიყო: რადგანაც გამუდმებით დამტიროდა, როგორც მკვდარს, მაგრამ როგორც იმნაირ მკვდარს, რომელიც შენ უნდა აღგედგინა; მის წარმოსახვაში მე ვგავდი ქვრივის იმ უსულოდ მდებარე ვაჟს, რომელსაც შენ უთხარი: „ჭაბუკო, შენ გეუბნები, აღდეგ!“[6] ისიც გაცოცხლდა, „ალაპარაკდა და მიეცა იგი დედამისს“[7]. ამიტომაც არ აჩქროლებულა მისი გული უჩვეულო სიხარულით, როცა შეიტყო, რომ ნაწილობრივ მაინც აღსრულდა ის, რასაც დღემუდამ ცრემლების ფრქვევით გევედრებოდა; მართალია, ჭეშმარიტებას ჯერ კიდევ ვერ მივაკვლიე, მაგრამ სიცრუეს ხომ დავაღწიე თავი. დარწმუნებული იყო, რაკიღა აღუთქვი, რომ მთლიანად აუსრულებდი თხოვნას, - ბოლომდე მიიყვანდი დაწყებულ საქმეს; ამიტომაც ძალიან მშვიდად და რწმენით აღსავსე გულით გამანდო, ვიდრე ამ ქვეყნიდან გავალ, ჭეშმარიტ ქრისტიანად გიხილავ, ქრისტეა ამის თავმდებიო.

---

[1] შდრ. ფსალმ. 70, 5.
[2] შდრ. ფსალმ. 34, 6.
[3] შდრ. ფსალმ. 72, 26.
[4] ფსალმ. 67, 23.
[5] მონიკა მილანში (მედიოლანუმში) ჩავიდა 385 წლის გაზაფხულზე.
[6] ლუკა, VII, 12.
[7] ლუკა, VII, 15.

მხოლოდ ეს მითხრა; შენს მიმართ კი, გულმოწყალების უშრეტო წყაროვ, უფრო უხშირა ლოცვას და ცრემლების ფრქვევით გევედრებოდა, რაც შეიძლება სწრაფად მომშველებოდი და „სინათლედ გექცია ჩემი წყვდიადი“[8]. უფრო გულმოდგინედ დაიარებოდა ეკლესიაში და სულგანაბული უსმენდა ამბროსის, „საუკუნო სიცოცხლისაკენ მიმდინარე წლის წყაროს“[9], რადგანაც უყვარდა ეს კაცი, როგორც „ანგელოსი ღვთისა“[10], რაკიღა გაიგო, რომ სწორედ მან აღმიძრა ეჭვი და იქამდე მიმივყანა, სადაც მე ვიყავი ამჟამად. ამიტომ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ სნეულებისაგან განვიკურნებოდი და ამდენ განსაცდელგამოვლილი გავუძლებდი ამ საშინელ გამოცდასაც, ექიმები კრიზისს რომ ეძახიან.

II

2. ერთხელ, აფრიკელთა ჩვეულებრისამებრ, დედაჩემმა წმიდანთა სასაფლაოზე ფაფა, პური და ზედაშე მიიტანა[11], კარისკაცმა კი არ მიიღო მისი ძღვენი. როცა გაიგო, ეს ეპისკოპოსმა აკრძალაო, ისე თვინიერად დაემორჩილა მის განკარგულებას, რომ მე თვითონ გამიკვირდა, რა ადვილად უარყო თავისი ძველი ჩვეულება, აკრძალვის თაობაზე კი კრინტიც არ დაუძრავს. მეტისმეტობა არაფერში სჩვეოდა და ღვინის სიყვარული ჭეშმარიტებას ვერ შეაძულებდა, ბევრი სხვა ქალისა თუ კაცის მსგავსად, რომლებსაც ფხიზელთა საგალობლები ისევე ურევენ გულს, როგორც ლოთებს - წყლის დანახვა. როცა კალათით მიჰქონდა ხოლმე საკურთხი, რომლისთვისაც ჯერ თვითონ უნდა გაესინჯა გემო, შემდეგ კი უპოვართათვის ჩამოერიგებინა, თავისთვის მხოლოდ პატარა თასით იტოვებდა ღვინოს, და ისიც - წყლით გაზავებულს, როგორ კარნახობდა მისი ზომიერება. ორიოდე ყლუპს თუ მოწრუპავდა, რათა კუთვნილი მიეგო ჩვეულებისათვის. ხოლო როცა მრავალი მიცვალებულის სული უნდა მოეხსენიებინა, იმავე თასით ჩამოუვლიდა მათ საფლავებს და წვეთ-წვეთობით უნაწილებდა სასაფლაოზე მყოფთ არა მარტო წყლით გაზავებულ, არამედ შემთბარ ღვინოსაც, და ასე ასრულებდა დადგენილ წესს, რადგანაც ღვთისმოსაობას ემსახურებოდა და არა საკუთარ სიამოვნებას.

---

[8] ფსალმ. 17, 29.

[9] იოანე IV, 14.

[10] გალ. IV, 14.

[11] ეს იყო აფრიკაში, და არა მარტო აფრიკაში ფართოდ გავრცელებული ჩვეულება (რასაც ზოგიერთი მკვლევარი წარმართობის გადმონაშთად თვლის): სასაფლაოებზე მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად მიჰქონდათ პურ-მარილი, რაც თავაწყვეტილ ღრეობად იქცეოდა ხოლმე. „ავგუსტინემ, რომელმაც პირადი გამოცდილებით იცოდა, რომ ეს ჩვეულება, ეკლესიის გავლენით, უკვე ქრებოდა იტალიაში, მღვდლად კურთხევისთანავე გადაწყვიტა დაუნდობლად ებრძოლა მის წინააღმდეგ. მაგრამ გრძნობდა, რომ მხარდაჭერა სჭირდებოდა და ჯერ კიდევ 392 წელს ამ საქმის გამო წერილობით მიმართა აფრიკელ ღვთისმსახურთა წინამძღვარს ავრელიუს კართაგენელს, რომელსაც სთხოვდა „განეკურნა ეკლესია ურიცხვი წყლულისა თუ სნეულებისაგან, რომლითაც მრავალნი ხდებიან ავად, მაგრამ რომელსაც ცოტანი თუ დასტირიან“... „ლოთობა და ღორმუცელობა - წერდა იგი, - ამ შემთხვევაში იმდენად დასაშვებადაა მიჩნეული, რომ ასეთნაირად მიაგებენ პატივს წმიდა მოწამეთა ხსოვნას არა მარტო დღესასწაულებზე, არამედ სადაგ დღეებშიც“... (იხ. ვ.გერიე, დასახ. ნაშრ. გვ. 206-207; ამ მავნე ჩვეულების წინააღმდეგ ნეტარი ავგუსტინეს ბრძოლის ცალკეული პერიპეტიების შესახებ იხ. იქვე, გვ.207-210).

ამრიგად, როცა გაიგო, რომ ამ დიდებულ მოქადაგესა და ღვთისმოსაობის ბურჯს[12] აეკრძალა ეს ჩვეულება, თვით იმათთვისაც კი, ვინც განუხრელად იცავდა ზომიერებას, რათა ლოთებს იმისი საშუალება არ მისცემოდათ, რომ გამტყვრალიყვნენ, რის შედეგადაც ეს ქრისტიანული დღესასწაული წარმართულ ღრეობას[13] ემგვანებოდა - დედაჩემმა უყოყმანოდ უარყო იგი; სულ მალე მიეჩვია იმას, რომ მიწის ნაყოფით სავსე კალაი კი არ მიეტანა მოწამეთა საფლავზე, არამედ წმიდა აღთქმებით აღსავსე გული, და შეძლებისდაგვარად გაეკითხა გლახაკნი; ასე ხდებოდა ზიარება უფლის სხეულთან, რადგანაც მარტვილნი ქრისტეს ვნებების მიბაძვით ემსხვერპლნენ რწმენას და მოწამობრივი გვირგვინი დაიდგეს თავზე[14].

მაგრამ მე მგონია, უფალო ღმერთო ჩემო, - და სწორედ ამას მოწმობს შენს წინაშე ჩემი გული, - რომ დედაჩემი ასე ადვილად არ აიღებდა ხელს ამ ჩვეულებაზე, ის რომ სხვა ვინმეს აეკრძალა, ვინც უფრო ნაკლებ ეყვარებოდა, ვიდრე ამბროსი, რომელიც თავს ერჩია, რადგანაც სწორედ ის მიაჩნდა ჩემს მხსნელად. თავის მხრივ, ამბროსისაც უყვარდა დედაჩემი მისი ღვთისმოსაობისა და „სულის მდუღარების“[15] გამო, რითაც აღბეჭდილი იყო მისი კეთილი საქმეები და გამუდმებული ლოცვები, დღენიადაგ რომ აღავლენდა ეკლესიაში. ვინ მოსთვლის, ჩემთან შეხვედრისას რამდენჯერ უქია იგი; მილოცავდა და მეუბნებოდა, შენნაირ დედას ბევრი ვერ დაიკვეხნისო. რა იცოდა, რანაირი შვილი ვყავდი დედაჩემს; შვილი, რომელსაც ყველაფერი აეჭვებდა, რადგანაც მიაჩნდა, რომ შეუძლებელი იყო ეპოვა „სიცოცხლის გზა“[16].

III

3. მე ჯერ კიდევ არ ვდრტვინავდი ლოცვისას, და არ გევედრებოდი, შემეწიე-მეთქი, მაგრამ მშფოთვარე სულითა და მოუსვენარი განსჯით გეძებდი. თვით ამბროსი, საერო თვალსაზრისით, ბედნიერ კაცად მიმაჩნდა, იმ პატივის გამო, რასაც მას მიაგებდნენ ძლიერნი ამა სოფლისანი; ძნელი ასატანი მეჩვენებოდა მხოლოდ მისი ცელიბატობა[17]. მაგრამ რანაირ იმედებს შეჰხაროდა, როგორ ებრძოდა თვით მისი სიდიადისაგან განუყრელ საცთურს, რითი ინუგეშებდა თავს უბედობაში, ან რა სიტკბოებას განიცდიდა მისი გული, როცა იდუმალ ცოხნიდა[18] შენს პურს, ამას კი ვეღარ ვხვდებოდი ჩემი გამოუცდელობის გამო.

---

[12] იგულისხმება ამბროსი მედიოლანელი.

[13] დედანში: „parentalia“ - მმობლების სულის მოსახსენიებელი სამგლოვიარო დღესასწაული (იხ. ოვიდიუსი, „ფასტები“, II, 533 და შმდ.), რომელიც 13 თებერვალს იწყებოდა და მთელი ერთი კვირა გრძელდებოდა.

[14] ეკლესიის მიერ დადგენილი იყო წმიდა მოწამეთა ხსოვნის დღეს აღესრულებინათ ლიტურგია და ეზიარებინათ მორწმუნენი სწორედ იმ სასაფლაოზე, სადაც განისვენებდა ამ მოწამეთა ნეშტი.

[15] რომ. XII, 11.

[16] ფსალმ. 15, 11; იგავნი სოლომ. VI, 23; მოციქ. საქმენი II, 28.

[17] უქორწინებლობა, უცოლობა.

[18] დედანში ზუსტად ასეა: „ruminaret“. იმ ხალხს, ვინც გამუდმებით ჩაჰკირკიტებდა საღმრთო წერილს და ხშირ-ხშირად უბრუნდებოდა ერთსა და იმავე პასაჟს, ნეტარი ავგუსტინე მცოხნავ ცხოველებს ადარებდა.

მან კი არ იცოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ჩემს გულში და ვერც იმ უფსკრულს ხედავდა, რომელშიაც შეიძლებოდა თავდაყირა გადავშვებულიყავი. არ შემეძლო მისთვის მეკითხა, რაც მსურდა და როგორცა მსურდა, რადგანაც ჩვენს შორის ყოველთვის იდგა მთხოვნელთა ბრბო, რომელთაც იგი გასაჭირში შველოდა, ხოლო როცა მთხოვნელები არ აწუხებდნენ, დროის ამ მოკლე მონაკვეთს იმითვის იყენებდა, რომ აუცილებელი საზრდოთი აღედგინა ხორციელი ძალა, სულიერი კი - კითხვით.

კითხვისას მისი მზერა სწრაფად დასრიალებდა წიგნის ფურცლებზე, სული ცდილობდა ჩასწვდომოდა წაკითხულის აზრს, ენა კი დუმდა. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ შევსულვარ მასთან (ხოლო შესვლა ყველას შეეძლო: ჩვევად არ ჰქონდა მოეხსენებინათ, ესა და ეს გეახლათო) და ყოველთვის წიგნში თავჩარგული მხვდებოდა. ერთხანს უხმოდ ვიჯექი (ვინ გაბედავდა მყუდროება დაერღვია ესოდენ ღრმა ფიქრში დანთქმულისათვის?), შემდეგ კი ფეხაკრებით გამოვდიოდი, რადგანაც ვხვდებოდი, რომ არ უნდოდა სხვა საქმისათვის შეეწირა ის ორიოდე წამი, რომელსაც რის ვაივაგლახით მოიხელთებდა ხოლმე, რათა მთხოვნელთა ფუსფუსსა და ყურთასმენის წამღებ გნიასს გასცლოდა. იქნებ იმიტომაც, კითხულობდა ჩუმად[19], რომ ეშინოდა, მისი სმენით მოხიბლულ რომელიმე მსმენელს ამა თუ იმ ბუნდოვანი ადგილის განმარტება, ან ზოგიერთი საჭოჭმანო საკითხის გარჩევა არ ეთხოვა, და, ამრიგად, უფრო ნაკლები დრო არ დარჩენოდა საკითხავად, ვიდრე თვითონა სურდა. ეგეც არ იყოს, ხმამაღლა კითხვას იმიტომაც არიდებდა თავს, რომ ხმას უფრთხილდებოდა, რომელიც ხშირად ეხრინწებოდა. ასე თუ ისე, ერთი რამ მაინც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: მისი განზრახვა ყოველთვის სასიკეთო იყო.

4. მე, რა თქმა უნდა, არ მომეცა იმის საშუალება, რომ დაწვრილებით გამომეკითხა მისთვის, რაც მსურდა, რათა გამეგო, რას ფიქრობდა ამის თაობაზე ის თავის გულში, ამ შენს წმინდა სამისნოში. მხოლოდ მცირე ხნით თუ შეეძლო ყურადღება დაეთმო ჩემთვის. ჩემი მღელვარების დაცხრომას ხანგრძლივი საუბარი სჭირდებოდა მოცლილობის ჟამს, ამბროსი კი არასოდეს არ იყო მოცლილი. ყოველ კვირა ხალხში ჩამდგარი ვუსმენდი მას, „ჭეშმარიტების სიტყვის სარწმუნოდ მქადაგებელს“[20], და სულ უფრო და უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ შეიძლებოდა გაგვეხსნა ცილისწამების ყველა ხლართი, მაცთურთა მზაკვრულ ჩანაფიქრს რომ ჩაეხლართა საღმრთო წერილის წინააღმდეგ.

როდესაც მივხვდი, რომ შენი სულიერი ძენი, შენივე მადლით ხელახლა შობილნი კათოლიკე ეკლესიის წიაღში, „ადამიანის შექმნას შენს ხატად“[21] იმ აზრით როდი აღიქვამდნენ, თითქოს ადამიანური სხეულის ფორმით მოგეზღუდოს თავი (თუმცა მაშინ არავითარი, თვით ზერელე და ზედაპირული წარმოდგენაც კი არ მქონდა სულიერი

[19] ჩუმად კითხვა, ცოტა არ იყოს, უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგანაც ძველი რომაელები, ჩვეულებრივ, ხმამაღლა კითხულობდნენ.
[20] II ტიმ. II, 15.
[21] დაბად. IX, 6.

სუბსტანციაზე[22]), - სირცხვილით დავიწვი და, იმავდროულად, ცას ვეწიე სიხარულით, რადგანაც ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ ამდენი წლის მანძილზე თურმე კათოლიკე სარწმუნოებას კი არ ვუყეფდი[23], არამედ ხორციელი წარმოსახვით შექმნილ აჩრდილებს. მე თავხედი და მკრეხელი ვგმობდი და ბრალს ვდებდი იმას, რაც უნდა მეკვლია და მესწავლა.

შენთვის კი, ყველაზე შორეულო და ყველაზე ახლობელო, უიდუმალესო და უცხადესო, ვისი არცერთი ასო არ არის მეორეზე უფრო დიდი, ვინც ყველგანა ხარ მთლიანად, - რა თქმა უნდა, უცხოა ყოველგვარი სხეულებრივი ფორმა, და მაინც, „შენს ხატად შეჰქმენი ადამიანი“[24], რომელიც თხემით ტერფამდე გარემოცულია სივრცით.

IV

5. რაკიღა არ ვიცოდი, რანაირად შეიძლებოდა ადამიანი შენი ხატება ყოფილიყო, კარზე უნდა მეკაკუნებინა და გამომეკითხა, რა უნდა გვეფიქრა ამის თაობაზე, ნაცვლად იმისა, რომ თავხედურად მემტკიცებინა, თითქოს სწორედ ის სწამდათ, რასაც გადაჭრით უპირისპირდებოდა ჩემი რწმენა. მძაფრი სურვილი, როგორმე მომეხელთებინა რაღაც სარწმუნო, მით უფრო გაშმაგებით მიღრღნიდა სულს, რაც უფრო მეტად მრცხვენოდა იმისა, რომ ამდენხანს მაბიაბრუებდნენ და სარწმუნო ცოდნის მაცთური აღთქმით მიყოლიებდნენ, მე კი ბავშვური ნდობითა და მიამიტობით ვცდილობდი სარწმუნოდ მიმეჩნია ამდენი არასარწმუნო რამ. მხოლოდ უფრო გვიან მივხვდი, რაოდენ ყალბი იყო ყოველივე ეს. თუმცა ჩემთვის უკვე აშკარა იყო, რომ არასარწმუნო გახლდათ ის, რაც უწინ სარწმუნოდ მიმაჩნდა, როცა უმეცრებით თვალდავსილი ვუტევდი კათოლიკე სარწმუნოებას და ბრალს ვდებდი მას: მართალია, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ჭეშმარიტებას გვასწავლიდა თუარა, მაგრამ უკვე ვხედავდი, რომ იმას როდი გვიქადაგებდა, რისთვისაც ასე განუსჯელად ვადანაშაულებდი. ამრიგად, მე, შემცბარი და მოსქცევად გამზადებული, ვხარობდი, ღმერთო ჩემო, რომ ერთიანი ეკლესია, შენი მხოლოდშობილი ძის სხეული[25], რომლის წიაღშიაც სიყრმიდანვე მეუწყა ქრისტეს სახელი, ბავშვური თამაშით როდი იქცევდა თავს და, თავისი ჭეშმარიტი მოძღვრების თანახმად, არც სივრცით, თუნდაც უკიდეგანო სივრცით გზღუდავდა ყოვლის შემოქმედს, სივრცით რომელიც ყოველი მხრიდან მაინც ადამიანური სხეულის ფორმით იყო ზღვარდებული.

6. ისიც მიხაროდა, რომ სხვა თვალით უნდა წამეკითხა ძველი აღთქმა და წინასწარმეტყველნი, რომელნიც უწინ ესოდენ უაზრონი მეჩვენებოდნენ[26]. ამიტომაც იყო, რომ ევედრებით ვავსებდი შენს წმიდანთ, იმ აზრების გამო, რაც სინამდვილეში კი არ

[22] ამ მცდარი წარმოდგენის სათავე მანიქეველთა მოძღვრება იყო. იხ. მეხუთე წიგნის შენ. 62.
[23] დედანში ზუსტად ასეა: „latrasse“.
[24] დაბად. I, 27.
[25] შდრ. კოლ. I, 18; 24.
[26] ამასაც მანიქეველთა გავლენა განაპირობებდა. იხ. მესამე წიგნის შენ. 25.

გამოუთქვამთ, არამედ მხოლოდ მე მივაწერდი მათ. სიამოვნებით ვუსმენდი ამბროსის, თავისი ქადაგებებით ხშირად რომ უმეორებდა და დაბეჯითებით ურჩევდა ხლხს: „ასო კლავს, ხოლო სული აცოცხლებსო“[27]. როცა იდუმალების საბურველს ხსნიდა და სპირიტუალური აზრით განმარტავდა იმ ადგილებს, რომელნიც, სიტყვა-სიტყვით გაგებულნი, გარყვნილების ნიმუშად მეჩვენებოდეს, მისი სიტყვები არავითარ შეურაცხყოფას არ აყენებდნენ ჩემს სულს, თუმცა ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი, რამდენად მართებულნი იყვნენ ისინი. ნებას არ ვრთავდი ჩემს გულს, თანხმობა განმეცხადებინა რისთვისაც გნებავთ, რადგანაც უფსკრულში დანთქმისა მეშინოდა; მაგრამ ეს ორჭოფობა კიდევ უფრო მიწამლავდა ყოფას და ბოლოს მიღებდა. მინდოდა ისევე ურყევად მერწმუნა ყოველივე უხილავი, როგორც მჯეროდა, რომ შვიდი და სამი ათია. არც ისე დამთხვეული ვიყავი, რომ მეფიქრა, თითქოს ეს მტკიცება საკმაოდ ცხადი არ იყო, მაგრამ მინდოდა ასევე უეჭველი ყოფილიყო ჩემთვის ყველაფერი, სულერთია, იქნებოდა ეს რაღაც სხეულებრივი, მაგრამ ჩემი გრძნობებისგან დაშორებული, თუ სულიერი, რომლის წარმოდგენაც არასდიდებით არ შემეძლო სხეულებრივი გარსის გარეშე[28].

მხოლოდ რწმენას შეეძლო ჩემი განკურნება, მხოლოდ რწმენას შეეძლო გაეწმინდა და შენი უცვლელი და წარუვალი ჭეშმარიტების მიმართ მიექცია ჩემი გონების თვალი[29]. მაგრამ, მოგეხსენებათ, უხეირო მკურნალის ხელში გამოვლილი და დაშინებული ავადმყოფი იმასაც კი ვერ ბედავს, რომ ნამდვილ ექიმს მიანდოს თავისი ბედი[30]; ასევე კრთოდა ჩემი სნეული სულიც, რომელსაც მხოლოდ რწმენა თუ განკურნავდა, ის კი თავს არიდებდა მკურნალობას, რადგანაც ეშინოდა, ვაითუ კვლავაც სიცრუის მსხვერპლი გავხდეო. ის ეურჩებოდა შენს მოწყალე ხელს, რწმენის წამალი რომ გაემზადებინა მისთვის, წამალი, როემლიც უწყალობე ამ ქვეყნის ყველა სნეულს, რათა შენი სასწაულთმოქმედი ძალით განგემტკიცებინა ისინი.

---

[27] II კორ. III, 6.

[28] „ნეტარი ავგუსტინეს თვალში მათემატიკა ცოდნის ნიმუშად და იდეალად გვევლინება. მისი აზრით, ჭეშმარიტად შეცნობილი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც ისეთივე ეჭვშეუვალი სიცხადით წარმოუდგება გონებას, რანაირი სიცხადეც ახასიათებს მტკიცებას, რომლის თანახმადაც ერთის, ორის, სამისა და ოთხის ჯამი ათია („მონოლ.“, I, 9). „ჩვენ რომ შეგვეძლოს ისევე ცხადად შევიცნოთ ღმერთი, როგორც გეომეტრიული ხაზისა თუ სფეროს თვისებებს შევიცნობთ, უკეთესს ვერას ვინატრებდით“ („აკად. წინააღმდეგ“, 2, 9). - პროფ. ი.ვ.პოპოვი, დასახ. ნაშრ. ნაწ. II, გვ.445.

[29] ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, რწმენა არის ამა თუ იმ აზრის აღიარება თანაგრძნობით ანდა თანხმობით („სახელმძღვ.“ 9). რწმენასა და ცოდნას შორის ის განსხვავებაა, რომ ეს უკანასკნელი მყარ რაციონალურ საფუძველს ემყარება, რწმენას კი ამნაირი საფუძველი არ გააჩნია. ცოდნას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ გონებას, რწმენას კი - ავტორიტეტს. რწმენა, რომელიც ჭეშმარიტებად აღიარებს ამა თუ იმ დებულებას, მაგრამ გრძნობს, რომ საამისოდ მყარო რაციონალური საფუძველი არ გააჩნია, თავის თავში შეიცავს მომავალი განვითარების ტენდენციას, რადგანაც იმას მიელტვის, რომ ცოდნად იქცეს. ამ თვალსაზრისით, ცოდნა მიზანია, რწმენა კი მისი მიღწევის საშუალება. რაკი მიზანი საშუალებაზე უზენაესია, ხოლო საშუალება წინ უსწრებს მიზნის მიღწევას, ამიტომ ღირებულების მიხედვით პირველობა ცოდნას ეკუთვნის, დროის მიხედვით კი - რწმენას („ჭეშმარიტი რწმენისათვის“, 45). მაგრამ რწმენა შეიძლება ნაჩქარევი იყოს, დაუსაბუთებელი და ამიტომ - მცდარიც. მაშასადამე, გონება, გარკვეული აზრით, რწმენაზე უწინარესია, რადგანაც შეაგონებს მას, რაოდენ აუცილებელია ყველა პიროების გულდასმით აწონ-დაწონა და რწმენის საფუძველთა კვლევა. ასე რომ, ერთის მხრივ, რწმენაა გონებაზე უწინარესი, მეორეს მხრივ კი გონება წინ უსწრებს რწმენას. არის ზოგი რამ, რასაც ვერ ირწმუნებ, თუკი არ გესმის, და პირიქით, რასაც ვერ გაიგებ, თუკი თავდაპირველად არ ირწმუნე. ნეტარი ავგუსტინეს დევიზია: Credo ut intelligam (მწამს, რათა მესმოდეს) და intelligo ut credam (მესმის, რათა მწამდეს). „თუ ვერ გაიგე, ირწმუნე, რადგანაც გაგება რწმენის ჯილდოა“ („იოანეს სახარებისათვის“, 29, 6). - დაწვრილებით იხ. პროფ. ი.ვ.პოპოვის დასახ. ნაშრ. ნაწ. II, გვ.470-484.

[30] „უხეირო მკურნალიო“, რომ ამბობს, ნეტარი ავგუსტინე მანიქეველთა ერეტიკულ სექტას გულისხმობს.

V

7. და მაინც, ამ დროიდან მოყოლებული, მე უკვე ვამჯობინებდი კათოლიკე მოძღვრებას, რადგანაც მივხვდი, რომ მისი ბრძანება, გწამდეთ ის, რისი დამტკიცებაც შეუძლებელიაო (თუმცა მტკიცება, შესაძლოა, კიდეც არსებობს, მაგრამ არა ყველასათვის, ან, შესაძლოა, საერთოდ არ არსებობს), უფრო მოკრძალებული და გულწრფელი იყო, ვიდრე მიმნდობი ადამიანების თავხედური დაცინვა, ადამიანებისა, რომლებსაც განუსჯელად ჰპირდებოდნენ ცოდნას, შემდეგ კი უბრძანებდნენ ერწმუნათ ყოვლად უაზრო და ბრიყვული არაკები, რომელთა დამტკიცებაც არავითარ ძალას არ შეეძლო.

ეგეც არ იყოს, შენი მოწყალე და მოალერსე ხელით თანდათანობით დაიურვე ჩემი მბორგავი გული, უფალო. მე დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ რამდენი ისეთი რამ მწამდა, რაც არასოდეს მინახავს და არც მათი მომსწრე ვყოფილვარ: რამდენი ისტორიული მოვლენა; რამდენი ქალაქი თუ ქვეყანა, რომლებსაც არასოდეს ვწვევივარ; რამდენი შემთხვევა მახსოვს, როცა უყოყმანოდ ვნდობივარ მეგობრებს, ექიმებს, მავანს და მავანს, - ამ ნდობის გარეშე ჩვენ საერთოდ ვერ შევძლებდით გვეცოცხალა და გვემოქმედა. და ბოლოს, მე ხომ ურყევად მწამდა, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები, მაგრამ ასევე ურყევი იქნებოდა თუ არა ჩემი რწმენა, ხალხისთვის რომ არ დამეჯერებინა? შენ დამარწმუნე, რომ იმათ კი არ უნდა ვგმობდეთ, ვისაც სწამს საღმრთო წერილი, რომლის მნიშვნელობაც ესოდენ მტკიცედ დაამკვიდრე თითქმის ყველა ხალხში, არამედ იმათ, ვისაც არა სწამს იგი, და რომ ყურს უნდა ვუგდებდე იმ ხალხს, ვისაც შეუძლია მითხრას: „კი მაგრამ, რა იცი, რომ ეს წიგნები მართლაც ღვთის სულმა, უმართლესმა და უჭეშმარიტესმა, უბოძა კაცთა მოდგმასო?“ სწორედ ეს უნდა მერწმუნა ურყევად და უყოყმანოდ, რადგან ვერც ცილისმწამებლური კითხვების კორიანტელმა, ვერც ურთიერთმოქიშპე ფილოსოფოსთა დავამ, რომელთა მრავალი წიგნიც წამეკიტხა[31], ვერ შესძლეს თუნდაც წამით წაეშალათ ჩემს გულში რწმენა იმისა, რომ შენ არსებობ და შენვე ხარ ჩვენი გამრიგეც[32]. არ ვიცოდი მხოლოდ, ვინ ხარ და რა ხარ.

8. ჩემი რწმენა ხან უფრო მტკიცე იყო, ხან კი მერყევი, მაგრამ ყოველთვის მწამდა, რომ შენ ხარ და ჩვენზედაც ზრუნავ, თუმცა ის კი არ ვიცოდი, რა მეფიქრა შენი სუბსტანციის შესახებ, ან რომელი გზა მოგვიძღვის, რომელ გზას მოვყავართ შენსკენ.

მას შემდეგ, რაც საღმრთო წერილის არა ერთი და ორი ადგილის სარწმუნო ახსნა-განმარტება მოვისმინე[33], მივხვდი, რომ ის მოჩვენებითი უაზრობა, რაც ასე ხშირად

[31] ვინ არიან ეს ფილოსოფოსები? პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, სენეკა, პლოტინი, სკეპტიკოსები, სტოიკოსები? მკვლევართა ვერცერთი ვარაუდი, რა თქმა უნდა, ვერ სცილდება ჰიპოთეტიკურ ფარგლებს.

[32] არისტოტელესა და ეპიკურეს აზრით, ღმერთებისათვის უცხო იყო ადამიანზე ზრუნვა. სტოელები ფიქრობდნენ, რომ „ღმერთები არსებითზე ზრუნავენ და უგულებელყოფენ მცირეს“ („ღმერთების ბუნებისათვის“, 2,66). ავგუსტინე უარყოფდა ამ „უგულებელმყოფელ განგებას“ („ბუნებისათვის, I,1).

[33] იგულისხმება საღმრთო წერილის წმიდა ამბორის მედიოლანელისეული განმარტება. - იხ. მეხუთე წიგნის შენ. 77).

შეურაცხმყოფდა მათი კითხვისას, სინამდვილეში ღრმა და საიდუმლო აზრის შემცველი იყო. საღმრთო წერილის ავტორიტეტი ამიერიდან მით უფრო მეტი თაყვანისცემისა და ეჭვშეუვალი რწმენის ღირსი მეჩვენებოდა, რომ ყველასათვის მისაწვდომი ჩანდა და, ამასთანავე, უცვლელად ინარჩუნებდა თავისი იდუმალების უღრმესსა და უშინაგანეს აზრს. თავისი სიტყვიერი სისადავითა და ყველასათვის გასაგები ენით ის ჭეშმარიტად სახალხო წიგნი იყო და, იმავდროულად აიძულებდა გამალებით ემუშავა ყველა იმ კაცის აზრს, ვინც მალემრწმენი როდია გულით. ის თავის გულს უხსნიდა და მკერდში იკრავდა ყველას, შენამდე კი, ვიწრო ბჭით[34], მხოლოდ მცირერიცხოვან რჩეულთ უშვებდა, თუმცა მთელი თავიანთი სიმცირის მიუხედავად, ისინი მაინც მეტნი იყვნენ, ვიდრე იქნებოდნენ იმ შემთხვევაში, საღმრთო წერილს ესოდენ მაღლა რომ არ აეზიდა თავისი ავტორიტეტი და თავის წმიდათა-წმიდა წიაღში არ მიეღო ამდენი ხალხი.

ასე ვფიქრობდი და შენ ჩემს გვერდით იყავი; ვოხრავდი და მისმენდა; ტალღები მათამაშებდნენ და შენ თან მახლდი; ფართო საერო გზით მივდიოდი და მეგზურად შენ მყავდი.

VI

9. ხარბად მიველტვოდი პატივს, სარგებელს, ქორწინებას, შენ კი იცინოდი. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ჩავუგდივარ შავ დღეში ამ ჩემს უკეთურ ვნებებს. შენ მით უფრო მოწყალე იყავი ჩემს მიმართ, რაც უფრო ნაკლებ მაძლევდი იმის საშუალებას, რომ სიტკბობა მეპოვა იქ, სადაც არ იყავი შენ.

ჩახედე ჩემს გულს, უფალო: აკი შენ თვითონ ინებე, ყოველივე ეს გამეხსენებინა და აღსარება მეთქვა შენთვის. დაე, მოგეწებოს ან ჩემი სული, როემლიც იხსენი სიკვდილის ბლანტი წებოსაგან. რა უბედური იყო საბრალო! ყველაზე მტკივნეულ ადგიალს მოწყალი იგი, რათა მიეტოვებინა ყველაფერი და შენსკენ მოქცეულიყო განსაკურნებლად, შენსკენ, რომელიც ხარ უზენაესი[35] და რომლის გარეშეც არაფერი არ იქნებოდა. რა უბადრუკი ვიყავი და როგორ შემენიე, რათა უკეთ მეგრძნო ჩემი უბადრუკება იმ დღეს, როცა სიტყვას ვთხზავდი იმპერატორის სადიდებლად[36]. სიტყვა სიცრუით იყო სავსე, და მაინც, ის ალბათ კეთილად განაწყობდა ჩემს მიმართ იმ ხალხს, ვისაც მშვენივრად ესმოდა, რომ ეს იყო მტკნარი სიცრუე. სულს მიხუთავდა ამდენი საზრუნავი და გონების დამაბნელებელი აზრების კორიანტელი. და, აი, მედიოლანუმის ერთ-ერთ ქუჩაზე მიმავალმა თვალი მოვკარი მათხოვარს: ეტყობოდა, უკვე მოესწრო გადახუხვა და მშვენიერ გუნებაზე იყო. ამოვიოხრე და ჩემს გვერდით მომავალ

[34] მათე VII, 13.

[35] შდრ. რომ. IX, 5.

[36] იგულისხმება იმპერატორი ფლავიუს ვალენტინიანუს II (375-392 წ.). იმპერატორის სადიდებელი სიტყვის - პანეგირიკის წარმოთქმა - მისი კორონაციის ათი წლის თავზე (385 წლის 22 ნოემბერს) - სწორედ ავგუსტინეს ევალებოდა, როგორც რიტორთა სკოლის მოძღვარს.

მეგობრებს გადავულაპარაკე, რა ძვირი გვიჯდება ჩვენი საკუთარი სიშლეგე-მეთქი. და მართლაც, სურვილებით გაწამებულნი რომ მოვათრევთ ესოდენ მძიმე ტვირთს, რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებს ჩვენი მტანჯველი ძალისხმევა, ჩემი იმდღევანდელი ძალისხმევისა არ იყოს, ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს ვესწრაფვით: აუმღვრეველ ბედნიერებას. მაგრამ ამ მათხოვარმა ყველას გაგვასწრო, ჩვენ კი, შესაძლოა, ვერასოდეს ვეწიოთ მიზანს. ორიოდე ნამათხოვრევი მონეტით მან სულ ადვილად მიაღწია იმას, რის მიღწევასაც მე ირიბი და მიხვეულ-მოხვეული გზებით ვცდილობდი: მსწრაფლწარმავალი ბედნიერებით ტკბობას. მართალია, მათხოვრის სიხარულს ნამდვილი სიხარული არ ეთქმოდა, მაგრამ ის, რასაც ჩემი პატივმოყვარეობა მიელტვოდა, გაცილებით უფრო ყალბი იყო. ყოველ შემთხვევაში, ის ილხენდა, მე კი ვწუხდი; ის მშვიდად იყო, მე კი ვშფოთავდი. ვინმეს რომ ეკითხა, რა გირჩევნია, სიხარული თუ მწუხარებაო, მე უყოყმანოდ ვარჩევდი პირველს; მაგრამ კითხვა რომ შეებრუნებინათ: რას ამჯობინებ, ამ მათხოვრისნაირი იყო, თუ ის, რაც ამ წუთას ხარო, მე მაინც ჩემს თავს ვარჩევდი, ზრუნვით გაწამებულსა და შიშით გათანგულს. მაგრამ ეს იქნებოდა გარყვნილების არჩევანი, და არა ჭეშმარიტებისა. რად უნდა მერჩია ჩემი თავი მათხოვარს? მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი ვიცოდი? მაგრამ ცოდნა არავითარ სიხარულს არ მანიჭებდა, რადგანაც მისი მეშვეობით მე ვცდილობდი მეამებინა ხალხისათვის: კი არ განმესწავლა, არამედ მხოლოდ მეამებინა. ამიტომაც იყო, რომ შენი ცოდნის კვერთხით „შემუსრე ჩემი ძვლები“[37].

10. შორს ჩემგან ყველა, ვინც ეტყვის ჩემს სულს: „გააჩნია, ვინ რას შეჰხარის; მათხოვარს სიმთვრალე უხარია, შენი სიხარული კი დიდების წყურვილი იყო“. რომელი დიდებისა, უფალო? არა იმისა, რომელიც არის შენში. ყალბი იყო მათხოვრის სიხარული და ყალბი იყო ჩემი დიდებაც; ის მხოლოდ უფრო მეტად მახვევდა თავბრუს. მათხოვარი დაიძინებდა და ფხიზელი გაიღვიძებდა; მე კი ვიძინებდი და კვლავ ჩემი პატივმოყვარეობით მთვრალი ვიღვიძებდი; მთვრალს უნდა დამეძინა და მთვრალსვე გამეღვიძა; მაგრამ როდემდის, უფალო? ვიცი, რომ სხვადასხვაა სიხარულის მიზეზი: სხვაა წმიდათა-წმიდა სასოების სიხარული და სხვაა ფუჭი ბედნიერება. რა თქმა უნდა, მათხოვარი უფრო ბედნიერი იყო, არა მარტო იმიტომ, რომ მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მე კი ათასი საზრუნავი მიღრღნიდა გულს, არამედ იმიტომაც, რმო გამვლელ-გამომვლელს ლოცავდა და ასე იშოვა ღვინო, მე კი ვცდილობდი სიცრუით დამეცხრო ჩემი პატივმოყვარეობა.

ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ ვუთხარი იმ დღეს ჩემს ძვირფას მეგობრებს, თუმცა ამ მხრივ სხვა დროსაც დავფიქრებივარ ჩემს უნუგეშო ყოფას; ვგრძნობდი, რომ შავ დღეში ვიყავი, ვწუხდი და ამით მხოლოდ ვიორკეცებდი ტანჯვას. ხოლო თუ ოდესმე მაინც გამიღიმებდა ბედნიერება, მხნეობა არ მყოფნიდა მის მისახელთებლად, ასე რომ, უფრო მალე მიფრინავდა, ვიდრე მის მონადირებას მოვასწრებდი.

[37] შდრ. ფსალმ. 41, 11.

VII

11. ჩემს მეგობრებთან ერთად ხშირად ვოხრავდი ამის გამო; განსაკუთრებით გულახდილი ვიყავი ალიპიუსისა და ნებრიდიუსის[38] მიმართ. ჩემი თანამოქალაქე ალიპიუსი, დიდგვაროვანი მშობლების შვილი, ჩემზე უმცროსი იყო. ჯერ კიდევ მაშინ დამემონაფა, როცა ჩვენს ქალაქში პირველად დავიწყე მასწავლებლობა, შემდეგ კი კართაგენშიც ჩამომყვა. ძალიან ვუყვარდი, რადგანაც კეთილი და ღრმად განსწავლული კაცი ვეგონე. მეც მიყვარდა, სიქველისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების გამო, რაც მიყვარდა, სიქველისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების გამო, რაც სიყმაწვილიდანვე თვალნათლივ ვლინდებოდა მასში. მაგრამ კართაგენული უზნეობის ორომტრიალმა[39] და უაზრო სანახაობებით საყოველთაო გატაცებამ თავის მორევში ჩაითრია და საცირკო წარმოდგენების ტრფიალად აქცია იგი. ის რომ რეტდასხმულივით ტრიალებდა ამ შმაგ მორევში, მე იმხანად რიტორიკას ვსწავლობდი საქალაქო სასწავლებელში, მაგრამ ალიპიუსი ერთხანს თავს არიდებდა ჩემს გაკვეთილებს, მამამისსა და ჩემს შორის ჩამოვარდნლი უთანხმოების გამო. როცა შევიტყვე, რომ საცირკო სანახაობების[40] საბედისწერო ტრფიალს შეეპყრო, ძალზე შევწუხდი: რამხელა იმედებს ვამყარებდი მასზე, ის კი თავს იღუპავდა, თუ უკვე არ დაეღუპა. მაგრამ არავითარი საშუალება არა მქონდა თვალი ამეხილა თვალდავსილისთვის და კვლავ სწორ გზაზე დამეყენებინა: ვერც მეგობრულ კეთილმოსრუნეობას მოვიშველიებდი და ვერც მასწავლებლის უფლებას, რადგან მეგონა, რომ ჩემს მიმართ ისიც მამამისივით იყო განწყობილი. თურმე ვცდებოდი. სულ მალე მივხვდი, რომ ანგარიშს არ უწევდა მამის ნება-სურვილს: კიდევაც მესალმებოდა და გაკვეთილებზეც მესწრებოდა. უსიტყვოდ შემოვიდოდა, ყურადღებით მისმენდა, და ბოლოს, უსიტყვოდვე ტოვებდა კლასს.

12. დამავიწყდა, მოვლაპარაკებოდი და მერჩია, ფუჭი თავშექცევის საბედისწრო ტრფიალს ნუ უმსხვერპლებ ღვთისგან ბოძებულ ნიჭსა და უნარს-მეთქი. მაგრამ შენ, უფალო, ყოველივე იმის მესაჭევ და მესვეურო, რაც შენ თვითონვე შეჰქმენი, არ დაგვიწყნია შენი მომავალი მსახური[41]. მისი განკურნება უცილობლად შენ უნდა მოგეწერეოს, მაგრამ ეს ჩემი მეშვეობით მოხდა, ისე, რომ არაფერი გიკითხავს ჩემთვის.

---

[38] 394 თუ 395 წელს ალიპიუსი თავისი მშობლიური ქალაქის - თაგასტის ეპისკოპოსი გახდა, რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე ნეტარი ავგუსტინე ჰიპონის საეპისკოპოსო კათედრას დაიკავებდა. მისი გარდაცვალების წელი უცნობია, მაგრამ 428-429 წ. ის ცოცხალი იყო და ნუმიდიის არქიეპისკოპოსის თანამდებობა ეჭირა. ალიპიუსი ყოველთვის მხარში ედგა ნეტარ ავგუსტინეს და მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში შეეწეოდა, როგორც მოწაფე, მეგობარი და თანამოაზრე... რაც შეეხება ნებრიდიუსს, დღმდე შემოგვრჩა ნეტარი ავგუსტინეს ერთი წერილი მისდამი.

[39] „აფრიკელთა უზნეობა ანდაზადაც კი იქცა: „განა ვინმესთვის საიდუმლოა, რომ ყველა აფრიკელი უტიფარია, იმათ გარდა, ვინც ღვთის მიმართ მიიქცა?“ (სალვიანე, „ღვთის მმართველობისათვის“, 7,16). ამ მხრივ ის განსაკუთრებით გამოჰყოფს კართაგენს: „ამ ქალაქში ერთ უბანსაც ვერ შეხვდებით, სიბილწით რომ არ იყოს სავსე. ვერსად იპოვით ვერც მოედანს და ვერც ქუჩაბანდს, საროსკიპოდ რომ არ გვევლინებოდეს“ (იქვე, 17; სალვიანე მასილიის - მარსელის - მღვდელი იყო V ს. შუა წლებში)“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ. 242.

[40] ცირკში უპირატესად ცხენოსანთა ასპარეზობები იმართებოდა. საცირკო სანახაობათა შესახებ იხ. მ.სერგეენკო, დასახ. ნაშრ. გვ.245-253.

[41] იხ. ზემოთ, შენ. 38.

ერთხელ, როცა ჩემს ჩვეულ ადგილას ვიჯექი და წინ მოწაფეები მესხდნენ, ალიპიუსი ჩემოვიდა, უხმოდ მოგვესალმა, დაჯდა და ჩვენს მეცადინეობაში ჩაერთო. მოხდა ისე, რომ სწორედ ამ დროს ხელთ მქონდა ტექსტი, რომელიც ჩემი მსმენელებისათვის უნდა განმემარტა და რატომღაც მომეჩვენა, რომ ურიგო არ იქნებოდა ამ მიზნით სწორედ საცირკო სანახაობიდან აღებული მაგალითი მომეხმო; ჩემი აზრი რომ უფრო გასაგები და სისიამოვნო გამეხადა, მწარედ გავკენწლე ამ დამთხვეულობის ტრფიალნი. შენ ხომ იცი, უფალო, რომ იმ წუთას აზრადაც არ მომსვლია ამ წყეული სენისაგან განმეკურნა ალიპიუსი. მან კი რატომღაც თავის თავზე მიიღო ჩემი სიტყვები და გადაწყვიტა, რომ სწორედ მას ვგულისხმობდი. სხვა მის ადგილას გაცოფდებოდა და ჩემზე იყრიდა ჯავრს, მაგრამ ამ ღირსეულმა ჭაბუკმა საკუთარ თავზე გადაიტანა თავისი რისხვა და უფრო მეტად დამიახლოვდა.

შენ ხომ ოდესღაც თქვი და შენს წმინდა წერილშიც ჩართე ეს სიტყვები: „ამხილე ბრძენი და შეგიყვარებს“[42]. მე კი არც მიმხელია, მაგრამ შენ, რომელიც შენთვის ცნობილი მიზნით იყენებ ყველას (ხოლო ეს მიზანი ყოველთვის სამართლიანია), მიუხედავად იმისა, იციან თუ არა ეს, - ჩემი სიტყვები და აზრები მღვივან ნაკვერცხლებად აქციე, რათა ყოველგვარი ხრწნილება ამოეშანთათ სულში, რომელიც ესოდენ დიდ იმედებს იძლეოდა, და ამრიგად განეკურნათ იგი. დაე, ნუ გაქებს და გადიდებს, ვინც ვერ ხედავს შენს გულმოწყალებას, რომელსაც ვაღიარებ და აღსარებას ვეუბნები გულის სიღრმეში.

მას შემდეგ, რაც ჩემი სიტყვები მოისმინა, ალიპიუსმა თავი დააღწია იმ ღრმა ხაროს, რომელშიაც თავისი ნებით ჩაძვრა და ტკბებოდა კიდეც თავისი გამაოგნებელი სიბრმავით. ვაჟკაცური სიმტკიცით შეარყია ავისი სული და ცირკის მთელი ჭუჭყი და სიბინძურე ჩამოიბერტყა. ეს იყო და ეს, ცირკში ფეხი აღარ დაუდგამს. მერე მამამისის წინააღმდეგობაც დასძლია, რომელსაც არ უნდოდა, რომ მე ვყოფილიყავი მისი შვილის მასწავლებელი. მამამ უკან დაიხია და ძის ნებას დაჰყვა. ხელახლა რომ დამემოწაფა, ალიპიუსი ჩემთან ერთად გაება მანიქეველთა ცრურწმენის მახეში: მოსწონდა მათი მოჩვენებითი თავდაჭერილობა, რომელიც ნამდვილი და ჭეშმარიტი ეგონა[43]. ის კი მზაკვრული და რჩეულ სულთა მაცთური იყო, რომელნიც ჯერ კიდევ არ ზიარებოდნენ ჭეშმარიტი სიქველის მწვერვალს და ამიტომაც ადვილად ტყუვდებოდნენ თვალთმაქცური სიქველის ყალბი ციმციმით.

[42] იგავნი სოლომ. IX, 8.

[43] მანიქეველთა ეთიკა „სამ ბეჭედს“ უწესებდა თავისი სექტის წევრებს: „პირის ბეჭედი“, რომელიც კრძალავდა სიცრუეს, მკრეხელობას, განდგომილებას, ფიცს; „ხელის ბეჭედი“, რომლითაც იკრძალებოდა კაცის კვლა, ცხოველის მოკვლა, მცენარეების განადგურება; ხოლო „წიაღის ბეჭედი“ სქესობრივი კავშირისაგან თავშეკავებას მოითხოვდა. თუმცა მანიქეველები, როგორც ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებიდან ჩანს, არც ისე მკაცრად იცავდნენ ამ აკრძალვებს.

VIII

13. ალიპიუსს, რა თქმა უნდა, არ მიუტოვებია მიწიერი გზა, რომელზედაც ამდენს ეჩიჩინებოდნენ მშობლები; ამიტომაც ჩემზე უმალ ჩავიდა რომს სამართლის შესასწავლად; და იქ გამაოგნებელი სიმძაფრით დარია ხელი შმაგმა სურვილმა - გამუდმებით ეცქირა გლადიატორთა ბრძოლებისათვის[44].

თუმცა თავდაპირველად ჭირის დღესავით სძულდა და ეზიზღებოდა ეს საზარელი სანახაობა. მაგრამ ერთხელ ქუჩაში თავის მეგობრებსა და თანაკლასელებს შეხვდა, სადილობიდან რომ ბრუნდებოდნენ; მეგობრებმა, მისი ცივი უარისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალისძალად შეათრიეს ამფითეატრში, სადაც სწორედ იმ დღეებში ეს სასტიკი და სისხლიანი სანახაობანი იმართებოდა. „თქვენ შეგიძლიათ წაათრიოთ ჩემი სხეული და ამფითეატრში წამოჭიმოთ, - ეუბნებოდა ივი მათ, - მაგრამ ნუთუ გგონიათ, რომ ჩემს სულსა და თვალებსაც აიძულებთ ამ სისხლიან სპექტაკლს უყურონ? მე იქ ვიქნები და არც ვიქნები, ასე რომ, გამარჯვებას ვიზეიმებ მასზედაც და თქვენზედაც“. არაფერმა არ გაჭრა, მეგობრებმა მაინც თავისი გაიტანეს; იქნებ მისი გამოცდა სურდათ: ვნახოთ, შესძლებს თუ არა შეასრულოს თავისი სიტყვაო.

ამფითეატრში შესულებმა რის ვაივაგლახით მოძებნეს ადგილები. ბრბო უკვე მთვრალი იყო მძვინვარე ტკბობის მოლოდინით. ალიპიუსმა თვალები დახუჭა და სულს აუკრძალა ბოროტების ამ უფსკრულში დანთქმა. ოჰ, ნეტა ყურებიც დაეცო! ბრძოლის რაღაც მომენტში გაშმაგებულმა ბრბომ ისე საზარლად იღუმვლა, რომ ალიპიუსს ელდა ეცა, ცნობისმოყვარეობამ სძლია და თვალები გაახილა, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა გულთან ახლოს არ მიეტანა არანაირი სანახაობა. მაგრამ თვალის გახელაც იყო და მისი სული უფრო საშინელმა წყლულებამ მოსწყლა, ვიდრე იმ გლადიატორის სხეული, რომელსაც ხარბად ეძებდა მზერით. უბედური უფრო მძიმედ დაეცა, ვიდრე ის, ვისმა დაცემამაც ესოდენ საზარელი ღრიალი აღმოატევებინა ბრბოს, ღრიალი, რომელმაც ლამის დააყრუა და თვალები გაახელინა. ასე დაემხო ეს სული, უფრო თავხედი, ვიდრე ძლიერი, და მით უფრო უმწეო, რომ თავისი თავის იმედად იყო იქ, სადაც მხოლოდ შენი იმედი უნდა ჰქონოდა. როგორც კი სისხლი დაინახა, იმ წამსვე შეისრუტა ბრბოს მთელი მძვინვარება, და ნაცვლად იმისა, რომ პირი ებრუნა, თვალი ვეღარ მოსწყვიტა ამ საზარელ სანახაობას. ის ბობოქრობდა ისე, რომ თვითონაც ვერ ამჩნევდა ამას, ტკბებოდა ამ დანაშაულებრივი ბრძოლითა და თვრებოდა სისხლიანი ექსტაზით. ალიპიუსი უკვე აღარ იყო ის კაცი, რომელიც თავისდა უნებურად მოვიდა აქ, არამედ - ბრბოს ღვიძლი შვილი, ბრბოისა, რომელსაც შეუერთდა, და იმათი

[44] გლადიატორთა ბრძოლების შეასხებ დაწვრილებით იხ. მ.სერგეენკო, დასახ. ნაშრ. გვ.226-244.

სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ვინც ძალით მოიყვანა[45]. მეტი რაღა ვთქვა? უყურებდა, ყვიროდა, ღრიალებდა, ბორგავდა, ბობოქრობდა და თან წაიტანა შლეგური სურვილი, უკანვე რომ ექაჩებოდა. ახლა ის ძალით კი არ მოჰყავდათ სხვებს, პირიქით, თვითონ მოათრევდა მათ.

მაგრამ შენმა მძლეთა-მძლე და მოწყალ ხელმა ამ უფსკრულიდანაც ამოიყვანა იგი; შენვე ასწავლე, რომ თავისი თავის იმედი კი არ უნდა ჰქონოდა, არამედ მხოლოდ შენი; მაგრამ ეს გაცილებით უფრო გვიან მოხდა.

IX

14. მეხსიერებაში ჩამრჩა ეს შეთხვევა, როგორც სამერმისო წამალი. იგივე ითქმის მეორე შემთხვევაზედაც.

მაშინ ის ჩემი მოწაფე იყო კართაგენში. ერთხელ, შუადღისას, ფორუმზე სეირნობდა და თან იმ სიტყვაზე ფიქრობდა, რომელიც საჯაროდ უნდა წარმოეთქვა[46], - ეს იყო ჩვეულებრივი სასკოლო სავარჯიშო, - და შენ ინებე, უფალო, რომ ქურდივით შეეპყროთ ფორუმის მცველებს. მე მგონია, უფალო, მხოლოდ იმიტომ ინებე ასე, რომ ეს კაცი, რომელსაც ესოდენ დიდი როლი უნდა ეთამაშა შემდგომ, იმთავითვე მიმხვდარიყო, რომ არ შეიძლება მიამიტურად მიმნდობი იყო საქმის გარჩევისას და არც არავის მიეტევება განუსჯელად განიკითხოს ადამიანი.

დიახ, ის მარტო სეირნობდა სამსჯავროს წინ, თავის პატარა დაფებითა და სტილუსით[47], როცა ერთი ჭაბუკი შეგირდი, ნამდვილი ქურდი, ნაჯახით ხელში მიეპარა ტყვიის მოაჯირს, ოქრომჭედელთა ქუჩას რომ გასდევს ზემოდან, და ტყვიის ჩამოთლას შეუდგა. ალიპიუსს არც შეუნიშნავს, მაგრამ ოქრომჭედლები, ქვევით რომ იდგნენ, ნაჯახის ხმის გაგონებისას აჩოჩქოლდნენ და მცველები გაგზავნეს დამნაშავის შესაპყრობად. ხალხის გნიასმა დააფრთხო ქურდი, სწრაფად მოისროლა ნაჯახი, რომ თავისი იარაღითურთ არ შეეპყროთ, და თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა. ალიპიუსს შემოსული არ დაუნახავს, მაგრამ გაქცეულს კი მოჰკრა თვალი; ნეტა რა ამბავიაო, გაიფიქრა, მოაჯირს მიუახლოვდა და განცვიფრებით დააშტერდა მიწაზე დაგდებულ ნაჯახს. ამასობაში მცველებიც მოვარდნენ და ალიპიუსს დაადგნენ თავზე, რომელსაც ნაჯახი უკვე ხელში ეჭირა, ისინი კი სწორედ ნაჯახის კაკუნმა მოიყვანა აქ; ხელი სტაცეს, წაათრიეს და თან, გარსშემოჯარულ ახლომახლო მცხოვრებთა

[45] ავგუსტინეს ყოველთვის აინტერესებდა ბრბოს ფსიქოლოგია. ისევე, როგორც ზემოთ (იხ. წიგნი მეორე, III,8 - IV,9), აქაც ძალზე ზუსტადაა გადმოცემული ბრბოს ზემოქმედება ადამიანზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბრბოს ფსიქოლოგიის ცოდნას ნეტარი ავგუსტინე წარმატებით იყენებდა თავის საეპისკოპოსო მოღვაწეობაში. იხ. თუნდაც ვ.გარიე, დასახ. ნაშრ. გვ.206-210.

[46] იგულისხმება ე.წ. „დეკლამაცია“, - იხ. მ.სერგეენკო, დასახ. ნაშრ. გვ.187-188.

[47] ძველი რომაელები წვერწამახული წკირით („სტილუს“) წერდნენ ცვილის თხელი ფენით დაფარულ დაფაზე.

გასაგონად, ხმამაღლა იკვეხნიდნენ, რომ დანაშაულის ადგილზევე შეიპყრეს ქურდი; ასე გაკოჭილს მიათრევდნენ, რომ მსაჯულებისათვის მიეგვარათ.

15. ამით დამთავრდა გამოცდა. რადგან მაშინვე მოევლინე მწედ ალალმართალს, რომლის ერთადერთი მოწმეც შენ იყავი, უფალო. დილეგში ჩასაგდებად თუ საწამებლად რომ მიათრევდნენ, გზად ერთი ხუროთმოძღვარი შემოხვდათ, საზოგადოებრივ ნაგებობათა მთავარი ზედამხედველი. მცველებს ძალიან გაუხარდათ მისი დანახვა, რადგან ყოველთვის, როცა ფორუმზე რაიმე ზიანდებოდა, ხუროთმოძრვარი მათ სდებდა ბრალს: ახლა ხომ მაინც მიხვდება ვინ არის ნამდვილი დამნაშავეო.

მაგრამ ხუროთმოძღვარს არაერთხელ ენახა ალიპიუსი ერთი სენტორის სახლში, სადაც საკმაოდ ხშირი სტუმარი იყო; მაშინვე იცნო ალიპიუსი, ხელი ჩასჭიდა, ბრბოდან გამოიყვანა და ჰკითხა, ეს რა ამბავია შენს თავსაო? როდესაც გაიგო, რაც მოხდა, აღშფოთებულსა და აბობოქრებულ ბრბოს უბრძანა, უკან მომყევითო. ერთად მიადგნენ ქურდის სახლს. ჭიშკართან პატარა მონა იდგა, ისეთი პატარა, რომ აზრადაც არ მოსვლია, რა საფრთხეში აგდებდა თავის ბატონს, რომელსაც თან ახლდა ფორუმზე და ამიტომ ყველაფერი იცოდა. ალიპიუსმა იცნო იგი და ყველაფერი უამბო ხუროთმოძღვარს, რომელმაც ნაჯახი უჩვენა მონას და ჰკითხა, ეს ვისიაო? - ჩვენიო, - თვალის დაუხამხამებლად მიუგო ბიჭმა. მაშინ გამოკითხვა დაუწყეს და ყველაფერი ნათელი გახდა.

ასე მიაგნეს ნამდვილ ქურდს შეცბუნებული ბრბოს თანდასწრებით, რომელიც ის იყო აპირებდა საკადრისი მიეგო ალიპიუსისათვის. შენი სიტყვის მომავალი მქადაგებელი და საეკლესიო მსაჯული[48] სწრაფად გაეცალა იქაურობას, ესოდენ ძვირად შეძენილი ცოდნითა და გამოცდილებით გამდიდრებული.

X

16. ამრიგად, ის რომში დამხვდა, სადაც ისე დამიახლოვდა, რომ მედიოლანუმშიც წამომყვა, რათა არ გამოშორებოდა და პრაქტიკულადაც გამოეყენებინა მის მიერ შეძენილი იურიდიული ცოდნა, თუმცა სამართლის შესწავლა იმდენად თვითონ როდი უნდოდა, რამდენადაც მის მშობლებს. უკვე სამჯერ იყო არჩეული მსაჯულად და ყველას აცვიფრებდა თავისი უანგარობით. მისი ხასიათის სიმტკიცე არაერთხელ დაუყენებია გამოცდის წინაშე არა მარტო სიხარბის საცთურს, არამედ შიშის ნესტარსაც.

[48] ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ეპისკოპოსთა ყოველდღიურ მოვალეობად იქცა საჩივართა და ცილობათა გარჩევა, რადგანაც მორწმუნეებს არ უნდოდათ წარმარტული სამსჯავროებისათვის მიემართათ. იხ. ვ.გერიე, დასახ. ნაშრ. გვ.183.

რომში თანაშემწე გახლდათ მსაჯულისა[49], იტალიის ფინანსებს რომ განაგებდა. იმ დროს იქ იყო ერთი დიდად გავლენიანი სენატორი; ბევრი დაემონებინა თავისი მოწყალებით, ბევრი კი შიშით დაეთრგუნა. ერთ მშვენიერი დღეს მან მოისურვა თავისი გავლენით ესარგებლა და რაღაც ისეთ მოემოქმედა, რასაც კანონი კრძალავდა. ალიპიუსი გადაჭრით აღუდგა წინ. ჯილდოს შეჰპირდნენ, - სასაცილოდაც არ ეყო; დაემუქრნენ, - წარბიც არ შეიხარა. ყველას უკვირდა სულის ეს უჩვეულო სიმტკიცე, გადაჭრით რომ უარყოფთა იმ ყოვლისმძლე კაცის მფარველობას, რომელსაც უთვალავი საშუალება ჰქონდა საიმისოდ, რომ წყალობით აევსო მორჩილნი და კისერი მოეგრიხა ურჩთათვის, - და არც მის მტრობას უფრთხოდა. მართალია, ამ საქმის წინააღმდეგი გახლდათ თვითონ მსაჯულიც, ვისი მრჩეველიც იყო ალიპიუსი, მაგრამ ვერ ბედავდა უარი ეთქვა სენატორისთვის და ყველაფერს ალიპიუსს აბრალებდა: თანხმობის ნებას არ მრთავსო. და მართლაც, რომ დათანხმებოდა, ალიპიუსი მაშინვე თავს დაანებებდა სამსახურს.

მხოლოდ ერთხელ მეცნიერების სიყვარულმა კინაღამ აცთუნა იგი: შეეძლო სახელმწიფოს ხარჯზე შეეძინა ხელნაწერები; მაგრამ გულდასხმით რომ აწონ-დაწონა ყველაფერი, თავისთვის სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღო, რაკიღა მიიჩნია, რომ უმჯობესი იყო სამართლიანობა, რომელიც თანამდებობის ბოროტად გამოყენებას უკრძალავდა, ვიდრე ძალაუფლება, რომელიც ნებას რთავდა ბოროტად ესარგებლა იმავე თანამდებობით. თითქოს წვრილმანია, მაგრამ „მცირედში სანდო დიდშიც სანდოა“[50]. არ შეიძლება ფუჭი იყოს შენში ჭეშმარიტების სიტყვები: „თუ ცრუ და უსარგებლო სიმდიდრეში უნდონი იყავით, ჭეშმარიტს ვინ განდობთ თქვენ? და თუ სხვისაში უნდონი იყავით, თქვენსას ვინ მოგცემთ თქვენ?“[51]

ასეთი იყო ჩემი განუყრელი მეგობარი; ერთ ტაფაში ვიწვოდით, ერთნაირად დაეჭვებულნი, და ერთადვე ვიმტვრევდით თავს, რა გზა აგვერჩია ამ ცხოვრებაში.

17. რაც შეეხება ნებრიდიუსს, მან მიატოვა მამული, კართაგენის მახლობლად რომ მდებარეობდა, მიატოვა თვით კართაგენიც, სადაც უმეტესწილად ცხოვრობდა, მიატოვა მშობლიური მამაპაპეული სოფელიც, სახლიც და დედაც, რომელიც თან არ გამოჰყოლია, და მედიოლანუმში ჩამოვიდა მხოლოდ იმიტომ, რომ გვერდიდან არ მომშორებოდა, ჭეშმარიტებისა და სიბრძნის წვდომის დაუოკებელი სურვილით გულანთებული. ბედნიერების ეს გულმხურვალე მაძიებელი და ურთულეს პრობლემათა უგამჭრიახესი მკვლევარი აქ ჩემთან ერთად ოხრავდა, ჩემთან ერთად ბორგავდა და წრიალებდა. ერთად ვიყავით სამი მშიერი, ჭეშმარიტი არსობის პურს დანატრებულნი და იმის მოსურნენი, რომ „დროულად მოგეცა საზრდო“[52]. მწარე იმედგაცრუებისას, რაც, შენი გულმოწყალებით, განუყრელად თან

[49] დედანში: „comes“ („კომიტი“) - ეს იყო მაღალი რანგის მოხელე, პროკონსულის (იმპერატორის ნაცვლის, პროვინციის გამაგებლის) თანაშემწე.
[50] ლუკა XVI, 10.
[51] ლუკა XVI, 11-12.
[52] ფსალმ. 144, 15.

ახლდა ყველა ჩვენს საერო საქმეს, გაწამებულნი ვეკითხებოდით ერთმანეთს, რა აზრი ჰქონდა ჩვენს ტანჯვას, მაგრამ გარსშემოწოლილ წყვდიადში ვერავითარ პასუხს ვერ ვპოულობდით. სასოწარკვეთილნი უკუვიქცეოდით და მწარედ ვგმინავდით: „როდემდის, უფალო, როდემდის?!“ ხშირ-ხშირად ვიმეორებდით ამას და მაინც ძველებურად ვცხოვრობდით, რადგანაც ვერაფერს ვხედავდით სანდოსა და საიმედოს, რასაც შეიძლებოდა თავის გადასარჩენად ჩავჭიდებოდით.

XI

18. მე კი ყველაზე მეტად მიკვირდა და ჭმუნვით აღვსილი ვიგონებდი, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ცხრამეტი წლისა ვიყავი, როცა ჩემს გულში პირველად იჩინა თავი სიბრძნის სიყვარულმა. მე მეგონა, თუკი ამ სიბრძნეს ვეზიარებოდი, სამუდამოდ ხელს ავიღებდი ყველა ამაო სურვილსა თუ ფუჭ იმედზე და გასაქანს აღარ მივცემდი ცრუ გატაცებებს. მაგრამ უკვე ოცდამეათე წელში გადავდექი და კვლავ იმავე ტლაპოში ვიყავ დაფლული; ამაოდ ვცდილობდი დავმტკბარიყავი აწმყოთი, რომელიც ხელიდან მისხლტებოდა და თან მიჰქონდა გულის ნაწილი. მე კი დაჟინებით ვიმეორებდი: ხვალ მაინც მოვიხელთებ; ჭეშმარიტება მთელი სიცხადით წარმომიჩნდება და ვეღარსად წამივა; აი, ჩამოვა ფაუსტუსი და ყველაფერს ამიხსნის-მეთქი. ო, აკადემიის ბრძენმოძღვარნო! მაშ, სულ ტყუილად ვეცდებით იმის გაგებას, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ? მოდით, უფრო გულმოდგინედ დავიწყოთ ძებნა და ნუ წარვიკვეთთ სასოს. აკი ის, რაც უაზრობად მეჩვენებოდა საეკლესიო წიგნებში, თურმე სულაც არ ყოფილა უაზრობა, რაკიღა შეიძლება სულ სხვაგვარად და მართებულად განვმარტოთ ბევრი ადგილი. მეც ავდგები და იმ საფეხურზე დავმკიდრდები, სადაც ბავშვობისას დამაყენეს ჩემმა მშობლებმა, ვიდრე არ ვიპოვი თვითცხად ჭეშმარიტებას. მაგრამ სად დავუწყო ძებნა, ან როდის ვეძიო? ამბროსის არა სცალია; არც მე მცალია საიმისოდ, რომ წიგნებს ჩავუჯდე. სად ვეძიო თვითონ წიგნები? სად გამოვჩხრიკო, ან ვისა ვკითხო?

არა, უფრო ზუსტად უნდა გავანაწილო საათები, როგორმე გამოვნახო დრო სულის სახსნელად. უკვე გულში ჩამესახა დიდი იმედი: კათოლიკე სარწმუნოება იამს როდი გვასწავლის, რაც მე მეგონა და რაშიაც ბრალს ვდებდი მას: ამ სარწმუნოების აღმსარებელნი მკრეხელობად მიიჩნევენ იმის მტკიცებას, თითქოს ღმერთი ადამიანის სხეულის ფორმით იყოს შემოსაზღვრული. მე კი ვყოყმანობ, მეშინია დავაკაკუნო[53], რათა ყოველივე დანარჩენიც ცხადი შეიქნეს ჩემთვის. მთელი დილა მოწაფეებთან მეცადინეობას მიაქვს; კი მაგრამ, რისთვისღა ვიყენებ დარჩენილ დროს? რატომ არ მივყო ხელი ამ საკითხთა კვლევას? მაგრამ როდისღა მოვინახულო ჩემი გავლენიანი მეგობრები, რომელთა მხარდაჭერაც ასე მჭირდება?

[53] **რემინისცენცია მათეს სახარების სიტყვებისა: დააკაკუნეთ და გაგიღებენ“** (VII, 7).

როდისღა მოვამზადო ის, რასაც ყიდულობენ მონაფეები[54]? როდისღა გავერიდო დროებით მაინც ამდენ საზრუნავს, რათა დავისვენო და კვლავ მოვიკრიბო ძალა?

19. შორს ჩვენგან ყოველივე ეს; თავი ვანებოთ წვრილმანებს; მოვიქცეთ მხოლოდ ჭეშმარიტების ძებნად. სიცოცხლე უბადრუკია; არ ვიცით, როდის მოვკვდებით. თუ სიკვდილი ანაზდეულად წამომეპარა, რანაირად წავალ აქედან? სად ვისწავლი იმას, რაც აქ არაფრად მიმაჩნდა? შეჩვენება ხომ არ მომელის ამ დაუდევრობის სანაცვლოდ? კი მაგრამ, თუ სიკვდილი ბოლოს უღებს აზრის წრიალსა და გრძნობათა ბორგვას? ოო, ესეც უნდა ვიკვლიოთ[55].

არა, შორს ჩემგან ამნაირი ვარაუდი. განა ამაოდ გავრცელდა ქრისტიანული სარწმუნოება მთელი დედამიწის ზურგზე თავისი უზენაესი ავტორიტეტის ძალით? განა უფლის გულმოწყალება გვაღირსებდა ამდენ სიდიადესა და მშვენიერებას, სხეულის სიკვდილი სულის სიკვდილსაც რომ მოასწავებდეს?[56] მაშ, რად ვაყოვნებთ? დავუტევოთ ამქვეყნიური იმედები და მთელის არსებით მივიქცეთ ღმერთისა და საუკუნო სიცოცხლის ძებნად.

მოიცა: საწუთროც სანუკვარია, ჯადოქრული ხიბლითა და სიტკბოებით სავსე. ძნელია თავი დააღწიო მისკენ სწრაფვას, მაგრამ თუ მაინც დააღწევ, სამარცხვინოა კვლავ დაუბრუნდე. რაღა დამრჩა საპატიო წოდების მოპოვებამდე? განა ცოტა მყავს გავლენიანი მეგობარი? თუ მეტისმეტს არ მოვინდომებ, თავისუფლად შემიძლია პროვინციის მმართველი[57] მაინც გავხდე. ცოლსაც მოვიყვან, კაი გვარიანი მზითევი რომ მოჰყვეს: შემოსავალი უნდა სჭარბობდეს გასავალს. აი, ყველა ჩემი სურვილის ზღვარი. ვინ მოსთვლის, რამდენი სახელოვანი და მოყვასთათვის მისაბაძი კაცი ეწაფებოდა ცოლთან ერთად სიბრძნეს.

20. ასე ვესიტყვებოდი საკუთარ თავს, ხოლო ამასობაში ოთხივ მხრიდან მქროლი ქარები თავიანთ ნებაზე ათამაშებდნენ ჩემს გულს. დრო გადიოდა, მე კი ვაყოვნებდი ღმერთის მიმართ მიქცევას, ყოველდღე იმის ცდაში ვიყავი, რომ სახვალიოდ გადამედო შენში დავანება, შენში სიცოცხლე, უფალო, მაგრამ ყოველდღე კი ვკვდებოდი ჩემსავე თავში. თავდავიწყებით მიყვარდა ბედნიერება, მაგრამ მეშინოდა იქ მეძებნა, სადაც ის იყო; ხარბად მიველტვოდი და, იმავდროულად, გავურბოდი კიდეც. ასე მეგონა, უბედურზე უბედური ვიქნებოდი ქალის ალერსისა და ხვევნა-კოცნის გარეშე: იმედი არა მქონდა, რომ შენი გულმოწყალება მიხსნიდა ამ უბედურებისაგან, რადგანაც არასოდეს განმეცადა იგი. მე მწამდა, რმო თავშეკავება ჩვენს საკუთარ ძალაზეა დამოკიდებული, ჩემს თავში კი ვერ ვგრძნობდი მას. რა ვიცოდი მე

[54] იგულისხმება რიტორიკული ხელოვნების გაკვეთილები.

[55] იგულისხმება ეპიკურეს მოძღვრება, რომლის თანახმადაც სიკვდილი სულისა და სხეულის სრულ იავარყოფას მოასწავებს.

[56] ეპიკურეიზმის ანტითეზა.

[57] დედანში: „praesses“ (praesidis). იმპერატორ დიოკლიტიანეს (284-305 წ.) ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად რომის იმპერია 12 დიოცეზად იქნა დაყოფილი, ხოლო დიოცეზები, თავის მხრივ, პროვინციებად იყოფოდნენ. კონსტანტინე დიდმა (306-337 წ.) ოთხ პრეფექტურად გააერთიანა დიოცეზები: აღმოსავლეთი, ილირია, იტალია, გალია. პრეფექტურებს პრეტორიის პრეფექტები განაგებდნენ, რომლებსაც ემორჩილებოდნენ დიოცეზების ვიკარები, ამ უკანასკნელთ კი - პროვინციების პრეზიდენტები.

სულელმა, რომ დაწერილია: „ვერავინ იქნება თავდაჭერილი, თუკი ღმერთი არ მისცემს ამის უნარს“[58]. შენ კი დიახაც მომცემდი და მიწყალობებდი, გულიდან ამომსკდარ გმინვას რომ მოეღწია შენს ყურამდე და ურყევი რწმენით აღვსილს შენთვის გადმომებარებინა ჩემი საზრუნავი.

21. ალიპიუსი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ცოლი მეთხოვა და გამუდმებით მიმეორებდა, თუ ამ ნაბიჯს გადადგამ, ჩვენს მეგობრობასაც უნდა დავემშვიდობოთ და სიბრძნისკენ ერთად სწრაფვასაც, თანახმად ჩვენი სანუკვარი სურვილისაო. ამ მხრივ ის ჯერ კიდევ მაშინ განსაცვიფრებელ სიწმინდეს ინარჩუნებდა; სიჭაბუკის ზღურბლზე შეეცნო ხორციელი სიყვარული და მალე ხელიც აეღო მასზე: ზიზღისა და ტკივილის მეტი არა დარჩენოდა რა სახსოვრად, და მას აქეთ მკაცრი თავდაჭერილობა ექცია ცხოვრების წესად.

მე კი ვედავებოდაი და იმ ხალხს ვუსახავდი ნიმუშად, ვინც სიბრძნესაც ემსახურებოდა, მადლიც ეპოვნა უფლის წინაშე და მეგობრების მიმართაც შესაშურ ერთგულებას იჩენდა. თუმცა სად მე და სად მათი სულიერი სიდიადე? ხორციელი ციებ-ცხელების, ტკბილი და სასიკვდილო ციებ-ცხელების მონად ქცეული სიამოვნებით დავათრევდი ბორკილებს და ისე ვუფრთხოდი კეთილ რჩევასა თუ ჩემს სახსნელად მოვლენილ ხალხს, როგორც ღია ჭრილობაზე შეხებას. მეტიც, ჩემი მეშვეობით თვით გველი ელარაპაკებოდა ალიპიუსს[59] და ჩემივე სიტყვებით ქსოვა ვერაგულად დაგებულ მახეს, რათა შიგ გაება ეს თავისუფალი და პატიოსანი ყმაწვილი კაცი.

22. ალიპიუსს უკვირდა, რა ღრმად დავფლულიყავი მე, მისი სათაყვანებელი კერპი, ხორციელ გულისთქმათა მწვირეში, რადგანაც ყოველთვის, როცა ამ საკითხზე ვლაპარაკობდით, დაჟინებით ვიმეორებდი, უცოლოდ ვერ გავძლებ-მეთქი. მისი განცვიფრების შემყურე ვუმტკიცებდი, რომ ის წამიერი და მსწრაფლწარმავალი სიამოვნება, მალულად რომ განეცადა და თითქმის აღარც კი ახსოვდა, რის გამოც ასე ხელაღებით ჰგმობდა და ზიზღით იხსენიებდა მას, ძირფესვიანად განსხვავდებოდა ჩემს მიერ განცდილი და, თავისი ხანგრძლივობის წყალობით, სანეტარო ჩვეულებად ქცეული სასიყვარულო კავშირისაგან. ხოლო თუ ამ კავშირს ცოლქმრობის ღირსეული სახელიც დაერქმევა, - დავსძენდი მე, - რაღაც გიკვირს, რომ არ შემიძლია შენსავით მეზიზღებოდეს ამნაირი ცხოვრება-მეთქი? როგორც ჩანს, იმდენი ვეჩიჩინე, რომ, ბოლოს და ბოლოს, ალიპიუსმა თვითონაც მოინდომა ცოლის შერთვა, თუმცა არა ტკბობის სურვილით, არამედ ცნობისმოყვარეობით ძლეულმა. მეუბნებოდა, რომ ძალიან უნდოდა გაეგო, რა იყო ის, რის გარეშეც ჩემი ცხოვრება, როემლიც ასე მოსწონდა, ცხოვრებად კი არა, ნამდვილ სატანჯველად მიმაჩნდა. ამნაირ კავშირს უჩვევ სულს აცვიფრებდა ჩემი მონობა, და სწორედ ამ განცვიფრების გამო ცდილობდა თვითონაც განეცადა იგივე ვნება; მას სურდა შეეძინა იგივე გამოცდილება, რომელიც სწორედ იმნაირ

[58] შდრ. სიბრძნე სოლომ. VIII, 21.
[59] შდრ. დაბად. III, 1.

მონობაში ჩააგდებდა, ასე ძლიერ რომ აცვიფრებდა. დიახ, ის ცდილობდა „დაწინდულიყო სიკვდილზე“, ხოლო „ვინც განსაცდელს მიელტვის, განსაცდელშივე ვარდება“[60].

არც მე და არც მას არ გვიზიდავდა ის, რაც ამკობს და ამშვენებს ცოლქმრულ ცხოვრებას: ოჯახის რიგიანად გაძღოლა და ბავშვების აღზრდა. ხორციელი განცხრომის უძღები სურვილი, - აი, რა მატყვევებდა და კიდეც მტანჯავდა. მისი ტყვეობის მიზეზი კი ცნობისმოყვარეობა გახლდათ. აი, რანი ვიყავით, ვიდრე შენ, უზენაესო, რომელიც არ სტოვებ ჩვენს დედამიწას, არ შეგვიწყალე საწყალობელნი და იდუმალი და გონებამიუწვდომელი გზებით არ მოგვეახლე მწედ და მეოხად.

XIII

23. სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, ცოლი შემერთო. მე უკვე ხელი ვთხოვე ჩემს საცრფოს და თანხმობაც მივიღე მისგან. ამ საქმეში განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა დედაჩემი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ საქორწინოდ მაინც განვიბანებოდი ნათლისღების წმიდა და მაცოცხლებელი წყლით. სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რადგანაც ხედავდა, რომ დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მეტად მეუფლებოდა მონათვლის სურვილი, რაც თავისი ლოცვისა და შენი აღთქმის აღსრულებად მიაჩნდა.

ჩემი თხოვნითა და თავისი საკუთარი სურვილით ყოველდღე გიხმობდა და გულმხურვალე ღაღადისით გევედრებოდა, მოწყალება მოგეღო, ხილვა მოგევლინა და რაღაც მაინც გენიშნებინა მისთვის ჩემი მომავალი ქორწინების გამო; მაგრამ შენ დუმდი. რამდენჯერმე ნახა ფუჭი და უაზრო სიზმარი, რასაც სულში მომავლის მტანჯველი მოლოდინი ინვევს. დაწვრილებით მიამბობდა მათ, მაგრამ არა უწინდელი რწმენით და სასოებით, რაც ასე ნათლად ვლინდებოდა მის სიტყვებში, როცა თავისი სიზმარეული ჩვენებების მიზეზად შენ გსახავდა, არამედ ერთგვარი გულაცრუებით და, ცოტა არ იყოს, აგდებულადაც. ის ამბობდა, რომ რაღაც უცნაური ელფვერის წყალობით, რისი ახსნაც მას არ შეეძლო, თავისუფლად ასხვავებდა ერთმანეთისგან შენეულ გამოცხადებას და თავის საკუთარ ზმანებას.

და მაინც, დაჟინებით მირჩევდა ცოლი შემერთო. ყმაწვილი ქალი, რომელსაც ხელი ვთხოვე, მხოლოდ ორი წლის შემდეგ გახდებოდა საქორწინო ასაკისა[61], და რაკი მომწონდა, გადავწყვიტე მომეცადა.

[60] სიბრძნე ზირაქ. III, 25.

[61] ქალისათვის საქორწინო ასაკად ითვლებოდა 12 წელი (იუსტ. „ინსტიტ.“ 1,10,22).

XIV

24. მე და ჩემი მეგობრები რა ხანია ვაწყობდით გეგმებს, როგორ გავცლოდით კაცთა მშფოთვარე ცხოვრების უკუღმართობას; რაც უფრო მეტს ვფიქრობდით და ვსაუბრობდით ამის თაობაზე, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდით, რაოდენ სწორი იყო ჩვენი გადაწყვეტილება.

აი, როგორ უნდა მოგვეწესრიგებინა ეს უშფოთველი და აუმღვრეველი ყოფა: მთელი ჩვენი ავლადიდება საერთო საკუთრებად უნდა გვექცია, ესე იგი, გაგვეერთიანებინა ყველაფერი, რაც კი გვებადა; ამ საერთო საკუთრების მფლობელი უნდა ყოფილიყო თვითეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად, რათა გულწრფელი მეგობრობით შეკრულთა შორის საერთოდ აღარ დარჩენილიყო ცნებები - „ჩემი“ და „შენი“. დაახლოებით ათნი უნდა ვყოფილიყავით, და ჩვენს შორის ძალიან მდიდრებიც იყვნენ, როგორც მაგალითად, ჩემი თანამემამულე და ჩემი სიყრმის მეგობარი რომანიანე[62], რომელიც ძალზე გართულებული საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად ჩამოვიდა მედიოლანუმს და ერთავად სასახლის კარზე ტრიალებდა. ჩვენს წამოწყებას ყველაზე გულმხურვალედ სწორედ რომანიანე უჭერდა მხარს, და მის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა, რადგანაც გაცილებით უფრო დიდი სიმდიდრის პატრონი იყო, ვიდრე რომელიც გნებავთ ჩვენგანი.

დავადგინეთ, რომ ყოველწლიურად ორ კაცს ავირჩევდით, როგორც სახაზინო მოხელეს, რომლებიც მიხედავდნენ ყოველივე აუცილებელს, დანარჩენები კი თავისუფლები იქნებოდნენ ამ საქმისაგან. მაგრამ ამ ანაზდეულად შავბნელმა აზრმა გაგვიელვა თავში: დაეთანხმებოდნენ თუ არა ჩვენი ძვირფასი ცოლები ამნაირ გადაწყვეტილებას? (ზოგი უკვე ცოლიანი იყო, მე კი მალე ვაპირებდი ცოლის მოყვანას). ესეც იყო და ეს ჩვენი მშვენიერი გეგმა თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა და, რასაკვირველია, ერთხმად უარყოფილ იქნა.

კვლავ განვაახლეთ ვაი-ვიში და მოთქმა-გოდება, კვლავ დავადექით ამა სოფლის ფართო და გათელილ გზას, რადგანაც „მრავალი ზრახვა ტრიალებდა ჩვენს გულში“[63], მაგრამ „მხოლოდ უფლის შთანაფიქრია მარადისი“[64]. ასე, შენი შთანაფიქრის თანახმად, დასცინოდი ჩვენს გეგმებს და სანაცვლოდ ამზადებდი შენსას, რათა „დროულად მოგეცა ჩვენთვის საზრდო, გაგეხსნა ხელი და კურთხევით აგევსო ჩვენი სული“[65].

---

[62] შდრ. მეოთხე წიგნის შენ. 43.
[63] იგავნი სოლომ. XIX, 21.
[64] ფსალმ. 32,11.
[65] შდრ. ფსალმ. 144, 15-16.

XV

25. ამასობაში კი ჩემს ცოდვებს ცოდვები ემატებოდა[66]. მკერდიდან მომწყვიტეს საყვარელი არსება, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა ჩემი ქორწინებისათვის, და რომელიც ამდენი ხნის მანძილზე იზიარებდა ჩემს სარეცელს. სასიკვდილოდ მომიწყლეს გული, რომელიც უიმისოდ ვერ ძლებდა, და წყლულიდან დიდხანს მდიოდა სისხლი. ჩემი საყვარელი აფრიკაში დაბრუნდა; წასვლის წინ აღთქმა დადო, რომ სხვა მამაკაცს გვერდით აღარ გაიკარებდა, და დამიტოვა ჩემი უკანონოდ შობილი ვაჟი, რომელიც მისგან შემეძინა. მე უბედურს კი იმდენიც არ შემეძლო, რომ ამ უმწეო ქალისთვის მიმებაძა: რაკი ქორწინებამდე ორი წელი უნდა მეცადა, სულმოკლეობის გამო თავი ვეღარ შევიკავე, რადგანაც, ეტყობა, იმდენად ცოლქმრულ ცხოვრებას როდი ვესწრაფოდი, რადმენადაც ავხორცული ვნების დაცხრომას, დიახ, თავი ვეღარ შევიკავე და სხვა ქალს დავუახლოვდი, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ ცოლად შემერთო, არამედ რათა გამეხანგრძლივებინა ჩემი სულიერი სნეულება, რომელიც ჩემს არსებაში ღრმად ფესვგადგმული ჩვეულების ძალით სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა და, როგორც ჩანს, თვით ქორწინებამდე გაგრძელდებოდა. თუმცა ჩემს პირველ სიყვარულთან განშორებით გულს დაჩნეულმა იარამ არ იქნა და არ შეიკრა პირი: მართალია, ცნობის მიმხდელი ტკივილი ცოტათი გამინელდა, მაგრამ წყლული დაჩირქდა და კვლავ მტკიოდა, ყრუდ და უიმედოდ[67].

XVI

26. დიდება შენდა, უფალო, გულმოწყალების უშრეტო წყაროვ. რაც უფრო იზრდებოდა ჩემი უბედურება, მით უფრო მიახლოვდებოდი. ჩემს ზემოთ უკვე გამოისახა შენი მარჯვენა, რომელიც მზად იყო ამ მწვირედან ამოვეყვანე[68] და განვებანე, მე კი არ ვიცოდი ეს. თუ უფრო ღრმად არ ვინთქმებოდი ხორციელ გულისთქმათა უფსკრულში, მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილისა მეშინოდა და ვძრწოდი განკითხვის დღის წინაშე; ჩემი გრძნობების გამუდმებული მონაცვლეობის მიუხედავად, ამ შიშს არასოდეს მიუტოვებია ჩემი გული.

ჩემს მეგობრებთან - ალიპიუსსა და ნებრიდიუსთან ერთად ვმსჯელობდი სიკეთისა და ბროოტების ზღვრის თაობაზე. სულის სიღრმეში პირველობას მივანიჭებდი ეპიკურეს, თუ დარწმუნებული არ ვყოფილიყავი, რომ სული სხეულის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას, და იმას მოიმკის, რაც ამქვეყნად დაუთესია; ეპიკურეს კი ეს არ სწამდა; მე ვეკითხებოდი ჩემსავე თავს: „ჩვენ რომ უკვდავნი ვიყოთ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ხორციელ განცხრომაში დანთქმულნი, არც იმის შიში გვქონდეს, რომ ადრე თუ გვიან

[66] შდრ. სიბრძნე ზირაქ. XXIII, 3.
[67] ამ კავშირის შესახებ დაწვრილებით იხ. პროფ. ი.ვ.პოპოვი, დასახ. ნაშრ. გვ.66-70.
[68] შდრ. ფსალმ. 39, 3.

იძულებულნი ვიქნებით ხელი ავიღოთ ამ განცხრომაზე, ვითომ რატომ არ ვიქნებოდით ბედნიერნი, ან რაღა უნდა გვენატრა?“ რა ვიცოდი, რომ სწორედ ეს მოწმობდა უდიდეს უბედურებას: დაცემულსა და თვალდავსილს არ შემეძლო აღმექვა სიქველის წმინდა ნათელი და უხრწნელი მშვენიერება, რომელსაც ხორციელი თვალით კი არა, მხოლოდ შინაგანი - გონების თვალით თუ იხილავს კაცი. ისიც კი არ მესმოდა მე უბედურს, რომელი წყაროდან იღებდა დასაბამს თვით ამ სიბილწეზე საუბრის სიტკბოება, ან რატომ არ შემეძლო ბედნიერი ვყოფილიყავი მეგობრების გარეშე, თუმცა არანაირი ხორციელი განცხრომა არ მაკლდა. უანგაროდ მიყვარდა ჩემი მეგობრები და მწამდა, რომ ასევე უანგაროდ ვუყვარდი მათაც.

ო, ცთომილების კლაკნილო გზებო! ვაი თავხედსა და თავგასულ სულს[69], რომელსაც ეგონა, თუ შენ გაგეცლებოდა, უკეთესს იპოვიდა რასმე. ამაოდ წრიალებდა სასომიხდილი, ხან ერთ გვერდზე გადატრიალდებოდა, ხან მეორეზე, პირქვე დამხობილი რომ ვერ ძლებდა, გულაღმა არჩევდა წოლას, მაგრამ ყველაფერი მქისე და ხორკლიანი ეჩვენებოდა, რადგანაც შენს გარდა ვერსად ჰპოვებდა მოსვენებას.

და, აი, შენც არა ხარ, ჩვენი უბადრუკი ცთომილებისაგან გვათავისუფლებ და შენს წრფელ გზაზე გვაყენებ, გვანუგეშებ და შეგვაგონებ: „გაიქეცით, მე შეგეწევით; მე წაგიყვანთ და დაგიხსნით“[70].

[69] შდრ. ესაია III, 11.
[70] შდრ. ესაია, XLVI, 4.

წიგნი მეშვიდე

I

1. უკვე მიიცვალა ჩემი სიჭაბუკე[1], ცოდვილი და უკეთური: მოწიფულობის ასაკს ვუახლოვდებოდი. რაც უფრო მემატებოდა წლები, მით უფრო ფუჭი ხდებოდ ჩემი ოცნებები. მე არ შემეძლო წარმომედგინა სხვა არსი, გარდა იმისა, რომლის ჭვრეტასაც ჩვეულნი იყვნენ, აი, ეს ჩემი თვალები. ვერასდიდებით ვერ ვახერხებდი ადამიანის სახით წარმომედგინე, უფალო ჩემო: მას აქეთ, რაც სიბრძნის ხმას ვათხოვე ყური, ყოველთვის თავს ვარიდებდი ამნაირ წარმოდგენებს, და სიხარულით ცას ვეწიე, როცა იგივე რწმენა ვპოვე ჩვენი სულიერი დედის - შენი კათოლიკე ეკლესიის წიაღში. თუმცა აზრადაც არ მომსვლია, რომ შეიძლებოდა სხვა სახითაც წარმომედგინე. მე - კაცი, და მერე რა კაცი, ვცდილობდი წარმოსახვით მოგწვდომოდი უზენაესს, ერთადერთსა და ჭეშმარიტ ღმერთს![2] მთელი ჩემი არსებით მწამდა, რომ უხრწნელი ხარ, ურღვევი და მარად უცვლელი. არ ვიცი, როგორ და რისი წყალობით, მაგრამ მკაფიოდ ვხედავდი და დაბეჯითებით ვიცოდი, რომ ხრწნადი უხრწნელზე უდარესია, რღვევადი - ურღვევზე, ხოლო ცვლადი - უცვლელზე უმდაბლესი.

ჩემი გული გაშმაგებით ეწინააღმდეგებოდა ყველა ჩემს გამონაგონს. მე ვცდილობდი ერთი დარტყმით მომეცილებინა თავიდან ფუჭი ფანტასმების ეს უწმინდური ხროვა, გამუდმებით რომ რიალებდა ჩემი გონების თვალწინ; მაგრამ საკმარისი იყო წამით გამეფანტა, რომ თვალის დახამხამებაში[3] ხელახლა იყრიდა თავს, მტვრის ბუქივით კვლავ ჩემს ირგვლივ იწყებდა ტრიალს და მზის შუქს მიბნელებდა; ასე რომ, იძულებული ვიყავი, ადამიანის სახით თუ არა, ერთგვარ სხეულებრივ არსად მაინც წარმომედგინე, რომელიც სამყაროშია გათქვეფილი, ან უსასრულოდ განიფინება სამყაროს მიღმა. და მაინც, ჩემი წარმოდგენით, ეს იყო რაღაც უხრწნელი, ურღვევი, მარად უცვლელი და, მაშასადამე, ყოველივე იმაზე უზენაესიც, რაც ხრწნილებას, რღვევასა და ცვალებადობას ექვემდებარება. მაგრამ ის, რაც არანაირ სივრცეში არ თავსდებოდა, არარაობად, სრულ არარაობად მესახებოდა, და არა, ვთქვათ, სიცარიელედ, გადაადგილებული სხეულის ნაცვლად რომ რჩება სივრცეში, - ყოველგვარი სხეულისაგან თავისუფალ სიცარიელედ, მიწის, წყლის, ჰაერისა თუ ცის გარეშე. რა არის ეს, თუ არა პირწმინდად ცარიელი ადგილი, ერთგვარი ვრცეული არარაობა?[4]

---

[1] „ყოველივე ცვალებადში სიკვდილი სხვა არა არის რა, თუ არა ცვლილება, რადგანაც მასში სპობს იმას, რაც იყო“ („მანიქეველთა წინააღმდეგ“, 2, 12, 2).

[2] შდრ. იოანე XVIII, 3.

[3] შდრ. I კორ. XV, 52.

[4] მანიქეველთა მატერიალისტური წარმოდგენებისაგან განთავისუფლებლი ავგუსტინე ჯერ კიდევ განიცდის მათ ერთგვარ გავლენას: მას ვერ წარმოუდგენია ღმერთი, როგორც პირწმინდად სულიერი რეალობა: „სულიერებას“ ის ერთგვარ „მათემატიკურ“, ანუ იმნაირ სივრცესთან აიგივებს, რაც მისი ამვსები სხეულებისაგან დამოუკიდებლად მოიაზრება.

2. ისე გამქისდა ჩემი გული, თვითონაც ვერ ვამჩნევდი საკუთარ თავს, და სრულ არარაობად მიმაჩნდა ყველაფერი, რაც სივრცის ამა თუ იმ მონაკვეთზე არ იყო განფენილი, გადაჭიმული, შეგრაგნილი თუ გაწელილი[5], და რასაც არ შეეძლო ესა თუ ის ფორმა მიეღო, ან მისი მიღების საშუალება არ ჰქონდა. რანაირ ფორმათა შორისაც მჩვეოდა თვალის ცეცება, იმნაირ ხატებათა შორის დაბორიალობდა ჩემი გულიც; ვერ ვხედავდი, რომ სულის ის უნარი, რომლის მეშვეობითაც ვქმნიდი თვით ამ ხატებებს, მათივე მსგავსი როდი იყო: ის ვერ შესძლებდა შეექმნა ისინი, რაღაც დიადი რომ არ ყოფილიყო[6].

და თვით შენც, ჩემი სიცოცხლის სიცოცხლეო, მე წარმომედგინე უდიადეს არსად, კიდით-კიდემდე რომ განწონის სამყაროს უსასრულო სივრცეს და მის მიღმაც განიფინება, უსაზღვროდ და უკიდეგანოდ: შენა ხარ დედამიწაზე, შენა ხარ ცაში, შენა ხარ ყველგან, შენა ხარ ყველაფრის ზღვარი, შენთვის კი სრულად უცხოა ყოველგვარი ზღვარიც და დასასრულიც. როგორც ჰაერის სისქე, გარს რომ აკრავს მთელ დედამიწას, ხელს ვერ უშლის მზის შუქს, დაუბრკოლებლივ მოაღწიოს ჩვენამდე, ისე, რომ არსად გაფლითოს და გახიოს ჰაერი; შუქს, რომელიც მთლიანად ავსებს და განწონის მას, - მე მეგონა, შენც ასევე დაუბრკოლებლივ განწონიდი არა მარტო ცას, ჰაერს თუ ზღვას, არამედ დედამიწასაც, ისევე, როგორც სამყაროს ყველა ნაწილს, დიდსა თუ მცირეს, რომლებიც ცდილობდნენ მოეხელთებინათ შენი არსება, რათა, ამრიგად, შეგრწყმოდნენ და შეგნივთებოდნენ; ხოლო შენ, როგორც შიგნით, ისე გარეთაც, შენი იდუმალი სუნთქვით მართავდი და წარმართავდი შენსავ ქმნილებებს. ასე მეგონა, რადგან სხვა რამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო; მაგრამ ეს იყო შეცდომა, ვინაიდან მაშინ დედამიწის უდიდესი ნაწილი შენს უდიდეს ნაწილს მიირქმევდა, უმცირესი კი - უმცირესს; შენ იქნებოდი ყოვლის აღმვსები, მაგრამ სპილოში მეტი იქნებოდი, ვიდრე ბეღურაში, იმდენად მეტი, რამდენადაც სპილო აღემატება ბეღურას და უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე ამ პატარა ჩიტს. ამრიგად, სამყაროს სხვადასხვა ნაწილს შენ ნაკუწ-ნაკუწ უნილადებდი საკუთარ თავს: უფრო დიდს შენი არსების უმეტეს ნაწილს არგუნებდი, უფრო მცირეს კი - უკნინესს. არა, სინამდვილეში ასე როდია საქმე, მაგრამ შენ ჯერ კიდევ არ გაგენათებინა ჩემი წყვდიადი.

II

3. ჩემთვის სავსებით საკმარისი იყო, უფალო, ამ ცთუნებულ მაცთურთა, ამ მუნჯ ებედთა[7] საპირისპიროდ, - რადგანაც მათი პირით როდი ღაღადებდა შენი სიტყვა, - დიახ, ჩემთვის სავსებით საკმარისი იყო ის კითხვა, რომელსაც დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ კართაგენში გვთავაზობდა ნებრიდიუსი და რომელმაც ასე გაგვაოგნა მისი მსმენელნი: არ ვიცი, რას

[5] შდრ. მათე XIII, 15; მოციქ. საქმენი XXVIII, 27.
[6] შდრ. აქვე, შენ. 4.
[7] იგულისხმებიან მანიქეველები... შდრ. II ტიმ. III, 13.

დაგაკლებდნენ, უფალო, ბნელეთის ეს მოციქულნი, რომელთაც, ჩვეულებრივ, გიპირისპირებდნენ მანიქეველები, როგორც მტრულ ძალას, თუკი არ ისურვებდი შებმოდი მათ? თუ გვიპასუხებდნენ, რომ ამ ძალას შეიძლებოდა რაიმე ევნო შენთვის, მაშინ უნდა გვეღიარებინა, რომ არც უძლეველი ხარ და არც უხრწნელი. ხოლო თუ პასუხად გვეტყოდნენ, რომ ის ვერაფერს გავნებდა, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა მასთან ბრძოლას, ესე იგი, იმნაირ ბრძოლას, სადაც შენი ერთი ნაწილი, შენივე არსის ნაშიერი[8], შეიძლებოდა მტრულ ძალას, ანუ იმ ბუნებას შერეოდა, რომელიც შენ არ შეგიქმნია, და იმდენად შერყვნილ-შებღალულიყო, რომ ნეტარების ნაცვლად ტანჯვა ხვდომოდა წილად, ასე რომ, შემწეობა დასჭირდებოდა განწმენდისა და განთავისუფლების მოსურნეს[9]. სწორედ ეს ნაწილია სული, რომელსაც მწედ ევლინება შენი სიტყვა: მონას - თავისუფალი, შერყვნილს - უხრწნელი, ბიწიერს - წმიდა, თუმცა ხრწნილება, ამ შემთხვევაში, არც მისთვის იქნებოდა უცხო, რაკიღა იმავე საწყისისგან იღებს დასაბამს[10]. ამრიგად, თუ იტყოდნენ, რომ ის, რაცა ხარ, ანუ თვით შენი არსი, უხრწნელია, მთელი მათი მტკიცება მცდარი და ამაზრზენი იქნებოდა, ხოლო თუ იმავე არსს ხრწნილებას მიაწერდნენ, ეს იქნებოდა სიყალბე, რომლისთვისაც იმთავითვე ზიზღით უნდა გვექცია ზურგი.

მარტოოდენ ეს საბუთიც იკმარებდა ამ უკეთურთა უკუსაგდებად, რათა მათი კირთებისაგან დაგვეხსნა გული; რადგან ასე რომ მსჯელობენ და ფიქრობენ შენზე, ისინი თავს ვერ დააღწევენ ამ შინაგან წინააღმდეგობას საზარელი მკრეხელობის გარეშე: ესაა ღვთის გმობა ენისა თუ გულის მიერ.

III

4. მე კი, მართალია, ვამტკიცებდი და დაბეჯითებით მწამდა, რომ უმწიკვლო ხარ, წარუვალი და უცვლელი, უფალო ჩვენო[11], ჭეშმარტო ღმერთო ჩვენო, რომელმაც შეჰქმენი არა მარტო ჩვენი სული, არამედ სხეულიც, და არა მარტო ჩვენი სული და სხეული, არამედ ყველა და ყველაფერიც, მაგრამ ჯერ კიდევ არა მქონდა ნათელი და მკაფიო წარმოდგენა იმაზე, თუ რა იყო ბოროტების მიზეზი[12]. როგორიც უნდა ყოფილიყო ბოროტების დასაბამი,

[8] ე.ი. სინათლის ის ნაწილაკები, რომლებსაც სინათლისა და სიბნელის ურთერთჭიდილში, მანიქეველთა მოძღვრების თანახმად, მიიტაცებს ხოლმე ბნელეთი (იხ. მესამე წიგნის შენ. 25).

[9] ეს კი ღვთაებრივი არსის ყოვლისშემძლეობისა და უხრწნელების უარყოფას ნიშნავს. ნებრიდიუსის ზემოხსენებული არგუმენტით ისარგებლა ნეტარმა ავგუსტინემ მანიქეველთა ერთ-ერთ „რჩეულთან“ - ვინმე ფელიქსთან პაექრობისას. როცა დარწმუნდა, რომ მანიქეველთა მოძღვრებიდან ლოგიკური აუცილებლობის გზით გამომდინარეობდა დასკვნა, რომლის თანახმადაც ღმერთს შეიძლება ავნოს ან ზიანი მიაყენოს რამემ, ფელიქსი საბოლოოდ გაემჯნა მანიქეიზმს („აქტები ფელიქსის წინააღმდეგ“, 2,32).

[10] მანიქეველთა ქრისტოლოგია ბუნდოვანია და შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე (შდრ. მესამე წიგნის შენ. 25): ქრისტე ხან ღვთის სიტყვად გვევლინება, რომელიც მოევლინა ადამიანებს, რათა სინათლის საუფლოში დააბრუნოს ისინი, ხან კი - სინათლის ამ ნაწილაკთა პერსონიფიკაციად, რომელთაც ადამიანის სულში აქვთ სავანე.

[11] „თვით ღმერთზე ნეტარი ავგუსტინე გადმოგვცემს, რომ უფლის უცვლელობის იდეა ყოველთვის თვითცხადიიყო მისთვის. ერთის მხრივ, მას ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ ღმერთი ის არსებაა, რომელზე უზენაესის წარმოდგენაც შეუძლებელია გონებისათვის, მეორეს მხრივ კი, მისთვის ისიც უეჭველი იყო, რომ უხრწნელი და უცვლელი ხრწნადსა და ცვალებადზე უმაღლესია. ამ იდეების ურთიერთშერწყმამ მას შთაუნერგა ღვთაებრივი სუბსტანციის უცვლელობის ურყევი რწმენა“. - პროფ. ი.ვ.პოპოვი, დასახ. ნაშრ. ნაწ. II, გვ.580-581.

[12] ნეტარი ავგუსტინე დიდხანს განიცდიდა მანიქეველთა დუალისტური მოძღვრების გავლენას, რომლის თანახმადაც, ბოროტება სუბსტანციური ბუნებისაა, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ღმერთის, როგორც უზენაესი სიკეთის ცნებას. თუ ღმერთი მართლაც უზენაესი სიკეთეა და, იმავდროულად, ყოვლის შემოქმედიც, ის შეუძლებელია ბოროტების მიზეზი იყოს. ყველაფერი, რაც კი არსებობს, ღმერთის

მე მხოლოდ ერთ რამეს ვხედავდი: ისე უნდა წარმემართა ჩემი ძიება, რომ იძულებული არ გავმხდარიყავი ცვალებადად მეღიარებინა უცვლელი ღმერთი[13]; თორემ იმასვე დავემგვანებოდი, რასაც ვეძებდი. ამრიგად, მე მშვიდად მივყავი ხელი ძიებას, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მანიქეველთა მსჯელობაში სიმართლეს ვერ ჰპოვებდა კაცი. მთელი არსებით ვშორდებოდი მათ, რაკიღა ვხედავდი, რომ ბოროტების მიზეზის ძიებისას თვითონაც ბოროტდებიან და ამიტომაც ფიქრობენ, რომ უმალ შენ დაითმენ ბოროტებას, უფალო, ვიდრე ისინი ჩაიდენენ მას.

5. მე ვცდილობდი გამეგო, რასაც მეუბნებოდნენ ჩვენი თავისუფალი ნების თაობაზე: სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ბოროტებას ჩავდივართ და სამართლიანად ვიტეხთ თავზე უფლის მსჯავრსაო[14]. - მაგრამ ნათლად კი ვერ ვწვდებოდი ამ მიზეზის არსს. მინდოდა უფსკრულიდან ამომეზიდა ჩემი გონება, მაგრამ უფრო ღრმად ვინთქმებოდი შიგ; რაც უფრო მეტს ვწვალობდი, მით უფრო ფუჭი ხდებოდა ჩემი მცდელობა[15].

აი, რა მიზიდავდა შენი ნათლისაკენ: არანაკლებ ღრმად ვიყავი დარწმუნებული იმაში, რომ ნება მაქვს, ვიდრე იმაში, რომ ვცოცხლობ. ასე მაგალითად, როცა რაიმე მსურდა ან არ

შექმნილია. ღმერთისაგან არ იღებს დასაბამს მხოლოდ ის, რაც არ არსებობს. არარსებული კი, ნეოპლატონისტთა კონცეფციით, რასაც შემდეგ მთლიანად გაიზიარებს ნეტარი ავგუსტინე, მატერიაა (იხ. მესამე წიგნის შენ. 39). მაგრამ ამ „არარსებუს“, ამ „არარას“, რომელსაც სუბსტანციური არსებობა არ გააჩნია, გარკვეული აზრით, თავისებური წილი უდევს გრძნობადი სამყაროს არსებობაში. უფრო გვიან, ელინისტურ ეპოქაში, ბიბლიური ტრადიცია ეჭვშეუვალად გვიდასტურებს, რომ ღმერთმა სწორედ „არარსებულისგან“, „არარასგან“, „არაფრისგან“ შექმნა სამყარო: „გემუდარები, შვილო ჩემო, შეხედე ცასა და მიწას, იხილე ყოველივე ზეციური და მიწიერი, და შეიცან, რომ ყველაფერი არაფრისაგან შექმნა ღმერთმა, და რომ ასევე წარმოიშვა კაცთა მოდგმაც“ (II მაკაბ. VII, 28). შესაძლოა, ტერმინოლოგიური მსგავსების გამო ქრისტიანულმა თეოლოგიურმა აზრმა გარკვეულწილად ერთმანეთთან გააიგივა ნეოპლატონისტთა „არარსებული“ და ბიბლიური „არაფერი“, „არარა“. „ნეტარ ავგუსტინეს - შენიშნავს პროფ. ი.ვ.პოპოვი, - „არარა“ წარმოუდგენია ერთგვარ ურჩ საწყისად, რომელიც მას შემდეგ, რაც შემოქმედებითმა აქტმა გამოიხმო მისთვის ბუნებრივი არარსებობის მდგომარეობიდან, გამუდმებით მიელტვის იმას, რომ კვლავ მისთვის ნიშნეულ მდგომარეობას დაუბრუნდეს“ (დასახ. გამოც. ნაწ. II, გვ.536).

[13] „მანიქეველთა მოძღვრების თანახმად, დემონური არსებები ძალით მიიტაცებენ ნათელი ღვთაებრივი სუბსტანციის ნაწილს, რომელსაც მატერიაში გამოამწყვდევენ და ათასგვარი ძალადობის საგნად აქცევენ. მაცხოვრის ადამიანური ბუნება კი არა, ღვთაებრივი სუბსტანციის დაქუცმაცებული და ქვებში, მცენარეებსა თუ ცხოველებში დატყვევებული ნაწილაკები, - აი, რა არის ვნებული ქრისტე. ღმერთის ბუნების შეურაცხმყოფელმა და მისი ღირსების შემბღალავმა ამ წარმოდგენად აიძულა ნეტარი ავგუსტინე მკვეთრად დაპირისპირებოდა მანიქეველებს და განსაკუთრებული დაჟინებით წამოეყენებინა ღმერთის უცვლელობის იდეა“. - პროფ. ი.ვ.პოპოვი, დასახ. ნაშრ. ნაწ.II, გვ.580-581.

[14] ზოგიერთი კომენტატორის აზრით, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს წმ. ამბროსი მედიოლანელის ქადაგებები, რომელთა მიხედვითაც, ბოროტების მიზეზი თავისუფალი ნებაა. უფრო გვიან ნეტარი აგვუსტინე იტყვის: „ბოროტებად იწოდება ისიც, რასაც სჩადის და ისიც, რასაც ითმენს ადამიანი. პირველი ცოდვაა, მეორე კი სასჯელი. ადამიანი სჩადის ბოროტებას, რომელიც სურს, და ითმენს ბოროტებას, რომელიც არ სურს“ („მანიქეველთა წინააღმდეგ“, 26). მაგრამ საკითხავია, რამდენად ეთანხმება ცოდვის ეს დეფინიცია პავლე მოციქულის სიტყვებს: „რადგანაც ვიცით, რომ სჯული სულიერია, ხოლო მე ხორციელი ვარ და ცოდვას მიყიდული, ვინაიდან არ მესმის რას ჩავდივარ: იმიტომ, რომ იმას კი არ ჩავდივარ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს. ხოლო თუ იმას ჩავდივარ, რაც არ მსურს, მაშასადამე, ვეთანხმები სჯულს, როგორც კეთილს. და აწ უკვე მე კი არ ჩავდივარ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში. რადგანაც ვიცი, რომ არ მკვიდრობს ჩემში, ესე იგი, ჩემს ხორცში, კეთილი; ვინაიდან არის ჩემში კეთილის ნდომა, მაგრამ არ ვიცი, როგორც აღვასრულო იგი. რადგან კეთილს კი არ ჩავდივარ, რომელიც მსურს, არამედ ბოროტს, რომელიც არ მსურს. ხოლო თუ იმას ჩავდივარ, რაც არა მსურს, მე კი არ ჩავდივარ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში“ (რომ. VII, 14-20). თუ ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ბოროტების მიზეზი თავისუფალი ნებაა, პავლეს თანახმად, იმავე ბოროტების მიზეზად პირველი ცოდვა გვევლინება, რომელმაც შებღალა ადამიანის ბუნება და მემკვიდრეობით გადაეცა კაცთა მთელ მოდგმას. თუმცა, ბიბლიის მიხედვით, სწორედ თავისუფალი ნება იყო პირველი ცოდვის მიზეზი. მაგრამ მაშინ იბადება ახალი კითხვა: მხოლოდ ჩვენს ბიბლიურ წინაპრებს ჰქონდათ თავისუფალი ნება, ანუ სიკეთესა და ბოროტებას შორის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, კაცთა მთელი მოდგმა კი ამ პირველ ცოდვის მარადიული ტყვეა და მისი ქცევაც სწორედ ამ ცოდვითაა დეტერმინირებული?

[15] ეს ხელმოცარულობა, უწინარეს ყოვლისა, განპირობებული იყო იმით, რომ ნეტარი ავგუსტინეს მსოფლმხედველობაზე კვლავინდებურად გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა მანიქეველთა მოძღვრება, რომლის თანახმადაც ბოროტება სუბსტანციონალური ბუნებისაა. პრობლემის თავისებურ გადაჭრას გვთავაზობს ნეტარი ავგუსტინეს ორი თხზულება: „თავისუფალი ნებისათვის“, 3,17,47 და „დონიტისტთა წინააღმდეგ“, 12,7-8.

ELIBRARY.SOU.EDU.GE

მსურდა, ვიცოდი, რომ სხვას კი არა, სწორედ მე მსურდა ან არ მსურდა, და ამრიგად, ჩემთვის თანდათან ცხადი ხდებოდა, სად იყო ჩემი ცოდვის მიზეზი. რაც შეეხება ჩემს უნებურ ქცევას, ეს, უმალ, ვნებითი საწყისის გამოვლენად მიმაჩნდა, ვიდრე ქმედითისა, ასე რომ, დანაშაულად კი არა, სასჯელად აღვიქვამდი მას; ხოლო რაკი შემს სამართლიანობაში ეჭვი არ მეპარებოდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ საკუთარი სამართლიანად ვიმსახურებდი ამ სასჯელს.

მაგრამ მაშინვე თავს იჩენდა სასტიკი კითხვა: „ვინ შექმნა? ვინ, თუ არა ღმერთმა ჩემმა, რომელიც არა მარტო კეთილია, არამედ თვითონვეა სიკეთე? მაშ, რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ცუდი მსურს და არა კარგი? ნუთუ ის, რომ სამართლიანად დამსაჯოს ღმერთმა? ვინ ჩამინერგა, ვინ ჩათესა ჩემში სიმწრის ეს ნერგი[16], თუკი მთელი ჩემი არსება ჩემმა ტკბილმა უფალმა შექმნა? ხოლო თუ ჩემი შემოქმედი ეშმაკია[17], საიდან იღებს დასაბამს თვითონ ეშმაკი? თუ ის ოდესღაც კეთილი ანგელოსი იყო, მაგრამ თავისი გამრუდებული და გაუკუღმართებული ნების წყალობით ეშმაკად იქცა, მაშინ რა ძალამ შვა მასში ეს უკეთური ნება, თუკი ის, სრულმქნილი ანგელოსი, კეთილმა შემოქმედმა შექმნა?“ კვლავინდებურად თავს მეხვეოდნენ და სულს მიხუთავდნენ ეს შავბნელი ფიქრები, მაგრამ ცთომილების იმ უფსკრულში კი არ ვინთქმებოდი, სადაც არავინ გეუბნება აღსარებას, რადგანაც ხალხს ჰგონია, რომ უმალ შენ დაითმენ ბოროტებას, ვიდრე კაცი ჩაიდენს რაიმე ბოროტს.

IV

6. მე ვცდილობდი, ისევე ჩავწვდომოდი სხვა ჭეშმარიტებათა აზრსაც, როგორც იმას ჩავწვდი, რომ უხრწნელი ხრწნადზე უმჯობესია. ამიტომ, ვინც უნდა ყოფილიყავი, უხრწნელად გსახავდი, უფალო, ვინაიდან ვერცერთი სული ვერასოდეს ვერ შესძლებდა შენზე უკეთესი არსი წარმოედგინა, რადგანაც შენა ხარ უზენაესი და უსრულქმნილესი სიკეთე. რაკიღა სამართლიანობა და სიზუსტე მოითხოვს, უხრწნელი გერჩიოს ხრწნადს, - ხოლო ეს არჩევანი მე უკვე მოვახდინე, - შეიძლებოდა იმედი მაინც მქონოდა, რომ აზრით მივწვდებოდი შენზე უმჯობესს, უხრწნელი რომ არ ყოფილიყავი. დიახ, მე ვხედავდი, რომ უხრწნელი ხრწნადზე უმჯობესია, და ამიტომაც უხრწნელთა შორის უნდა მეძებნე, რათა გამეგო, საიდან იღებს დასაბამს ბოროტება, ანუ სადაა თვითონ ხრწნილების სათავე, რასაც ხელი არა აქვს შენს წმინდა არსთან, რადგანაც ყოველგვარი ხრწნილება უცხოა ჩვენი ღმერთისთვის: ვერავითარი ნებელობა, ვერავითარი აუცილებლობა, ვერავითარი გაუთვალისწინებელი შემთხვევითობა ოდნავადაც ვერ შებღალავს მას, რამდენადაც ის არის ღმერთი: ყველაფერი, რაც თავისი თავისთვის სურს, სიკეთეა, და თვითონვე არის სიკეთე. შეუძლებელია შენდა უნებურად ჩაიდინო რამე, უფალო, რადგანაც შენი ნება უფრო დიდი როდია, ვიდრე შენი ძალმოსილება.

[16] შდრ. ებრ. XII, 15.

[17] მანიქეველთა მოძღვრების გამოძახილი, მოძღვრებისა, რომლის თანახმადაც ადამი და ევა სატანის ნაშიერნი არიან (იხ. მესამე წიგნის შენ. 25).

ის რომ უფრო დიდი ყოფილიყო, მაშინ შენ თვითონ უნდა ყოფილიყავი შენსავე თავზე უფრო დიდი, მაგრამ ღმერთის ნებაცა და ძალმოსილებაც თვითონ ღმერთია[18]. ან რა უნდა იყოს გაუთვალისწინებელი შენთვის, რომელმაც იცი ყოველი? ნებისმიერი ქმნილება მხოლოდ იმის წყალობით არსებობს, რომ შენ იცი იგი. მაგრამ რა საჭიროა ამდენი მიეთ-მოეთი იმის დასტურად, რომ ღვთაებრივი არსი უხრწნელია? რადგანაც ხრწნადი რომ იყოს, ღმერთიც ხომ აღარ იქნებოდა ღმერთი.

V

7. მე ვეძებდი ბოროტების სათავეს, მაგრამ ცუდად ვეძებდი, და ვერ ვხედავდი ბოროტებას თვით ჩემს ძიებაში. ვცდილობდი აზრით წარმომედგინა ყოველივე შექმნილი: ისიც, რაც შეიძლება თვალით ვიხილოთ, - დედამიწა, ზღვა, ჰაერი, ვარსკვლავები, ხეები, მოკვდავი არსებები, და ისიც, რაც უხილავია, - უზენაესი ცამყარი[19], ანგელოსები თუ სულები. ჩემი წარმოსახვა ისე ანაწევრებდა თვით ამ სულიერ არსებებს, რათა თვითოეულისათვის ცალ-ცალკე მიეჩინა ადგილი, თითქოს სხეულებრივი არსნი ყოფილიყვნენ. მთელი შენი ქმნილებიდან მე ერთ უზარმაზარსა და განუყოფელ სამყაროს ვქმნიდი, სადაც ერთმანეთის გვერდით ვათავსებდი ყველა არსებას: როგორც სხეულებრივ, ისე სულიერ არსთაც, რომელნიც ჩემს წარმოსახვაში ხორცს ისხამდნენ და სხეულით მოსილნი ხდებოდნენ. დიახ, მე ის მესახებოდა ერთ უზარმაზარ სამყაროდ, მაგრამ ეს მისი ნამდვილი სიდიადე კი არ იყო, რაზედაც წარმოდგენაც არ მქონდა, არამედ ჩემი თვალით დანახული და ყოველმხრივ შემოსაზღვრული. შენ კი უფალო, არა მარტო გარს ეტყმოდი, კიდევაც განწონიდი მას, თუმცა ყოველი მიმართულებით მაინც უსასრულო რჩებოდი. ასე მაგალითად, ეს რომ მხოლოდ ზღვა ყოფილიყო, ყოველ მხარეს უსასრულოდ გადაჭიმული, შიგ მოტივტივე ერთადერთი, ნებისმიერი, მაგრამ სასრული სიდიდის მქონე ღრუბლის ნაჭრითურთ, ეს უკანასკნელიც ყოველმხრივ განწონილი და გაჟღენთილი იქნებოდა უსასრულო ზღვით[20].

მე მეგონა, შენს სასრულ ქმნილებასაც ასევე ავსებდი შენი უსასრულო არსით, და გულში ვამბობდი: „აჰა, ღმერთი და არა, ისიც, რაც შექმნა ღმერთმა; ღმერთი კეთილია და განუზომლად აღემატება თავის ქმნილებას; კეთილმა კეთილი შექმნა, და, აი, როგორ მოიცავს და კიდევაც ავსებს მას; მაშ, სადღაა ბოროტების სათავე, ან საიდან შემოგვეპარა იგი? სადაა მისი ფესვი და თესლი? ან, იქნებ, სულაც არ არსებობს? კი მაგრამ, მაშინ რაგომღა ვუფრთხით, ან რას გავურბივართ არარსებულს? ხოლო თუ უსაფუძვლოდ ვუფრთხით და გვეშინია, მაშინ თვთ ეს შიშია ბოროტება, რაკიღა ამაოდ გვაწამებს და გვიხეთქავს გულს, - მით უფრო დიდი

[18] იხ. მეოთხე წიგნის შენ. 92.

[19] იგულისხმება ჩვენს ხილულ ცაზე უზენაესი „ზეცათა ზეცა“ (იხ. „აღსარებათა“ XII წიგნი).

[20] პლოტინი ამბობდა, რომ მთელი სამყარო დანთქმულია „სამყაროულ სულში, როგორც ბადე - წყალში, და როგორც ბადეს მთლიანად განწონის წყალი, ისე სამყაროს ყველა ნაწილიც განწონილია სულით“ („ენნ.“ IV,III,9).

ბოროტება, რომ საშიში არაფერია, ჩვენ კი მაინც შიშითა ვძრწით. მაშასადამე, ან არსებობს ბოროტება, რომელიც შიშის ზარსა გვცემს, ან თვით ეს შიშია ბოროტება.

საიდან იღებს დასაბამს ბოროტება, თუკი ყველაფერი შექმნა კეთილმა ღმერთმა და კეთილია მისი ქმნილება? უფრო დიდმა და უზენაესმა სიკეთემ უფრო მცირე სიკეთე შექმნა, მაგრამ კეთილია შემოქმედიც და შექმნილიც. მაშ, სადაა ბოროტების სათავე? იქნებ ბოროტი იყო მატერია, რომლისგანაც ღმერთმა შეჰქმნა სამყარო? მაგრამ ფორმა რომ მიანიჭა და მოაწესრიგა მატერია, იქნებ რაღაცა დაუტოვა მას, რაც სიკეთედ არ გარდაუქმნია? კი მაგრამ, რატომ? ნუთუ ყოვლისმძლეს არ შეეძლო მთლიანად გარდაექმნა და შეეცვალა იგი, რათა საერთოდ არ დარჩენილიყო რამე ბოროტი?[21] და ბოლოს, რატომ ინება მატერიისაგან შეექმნა სამყარო, ნაცვლად იმისა, რომ თავისი ყოვლისმძლეობის წყალობით მთლიანად მოესპო და არარაობად ექცია იგი? განა მატერიას შეეძლო ღვთის ნების საპირისპიროდ ეარსება? ხოლო თუ მატერია მარადიული იყო, რად დართო ნება, უსასრულო დროის მანძილზე ამ სახით ეარსება და მხოლოდ შემდეგ ინება რაღაცა შეექმნა მისგან[22]. ანდა, თუ ანაზდეულად აღეძრა მოქმედების სურვილი, განა ყოვლისმძლეს არ ერჩია ისე ემოქმედა, რომ მატერია საბოლოოდ გამქრალიყო და მხოლოდ თვითონ დარჩენილიყო, მთლიანი ჭეშმარიტება, უსასრულო და უზენაესი სიკეთე? ხოლო თუ კეთილს უკადრისად მიაჩნდა არსებობა მიენიჭებინა რაღაც უკეთურისათვის, ნუთუ არ შეეძლო სამუდამოდ მოესპო ბოროტი მატერია[23], რათა მის ნაცვლად დაემკვიდრებინა კეთილი, და ამ უკანასკნელისაგან შეექმნა ყველაფერი? რადგანაც ყოვლისმძლე არ იქნებოდა, თუკი მატერიის გარეშე ვერ შექმნიდა რაიმე კეთილს, მატერიისა, როემლიც მას არ შეუქმნია“[24].

აი, რანაირი აზრები მიმღვრევდნენ გულს, შეძრწუნებულს სიკვდილის შიშითა და იმის შეგნებით, რომ ჭეშმარიტება მიუკვლეველი დამრჩა. და მაინც, ჩემს საბრალო გულში ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს[25] რწმენას, როგორც მას აღიარებს კათოლიკე ეკლესია. მართალია, ჩემს რწმენას ჯერ კიდევ აკლდა დოგმატთა მტკიცე საყრდენი, მაგრამ ის მაინც არ ტოვებდა ჩემს სულს; პირიქით, სულ უფრო და უფრო ურყევად მკვიდრობდა მასში.

[21] ამ მარადიულ კითხვას რვა საუკუნის შემდეგ თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორებს ჩვენი უდიდესი ნაციონალური პოეტი: „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“

[22] დროის პრობლემის შესახებ იხ. „აღსარებანი“, წიგნი მეთერთმეტე, 12-16.

[23] იხ. მესამე წიგნის შენ. 39.

[24] იხ. აქვე, შენ. 14.

[25] II პეტრე, II, 20.

VI

8. მე უკვე უკუვაგდე ასტროლოგთა ცრუ წინასწარმეტყველებანი და მკრეხელური ბოდგანი[26]. დაე, ჩემი გულის სიღრმიდან ვაღიარო, უფალო, შენი გულმოწყალება ჩემდამი! ვის შეუძლია გაგვარიდოს ათასგვარ ცთომილებისეულ სიკვდილს, თუ არა მარადიულ სიცოცხლეს, რომელმაც არ იცის, რა არის სიკვდილი; თუ არა სიბრძნეს, თავისი შუქით რომ ანათებს სულებს, რომლებსაც სინათლე სჭირდებათ, თვითონ კი არა სჭირდება არავითარი ნათელი, - და, იმავდროულად, მართავს მთელ სამყაროსაც, თვით იმ ყვითელი ფოთლების ჩათვლით, ხეებზე რომ აშრიალებს შემოდგომის ქარი? შენ, მხოლოდ შენ განმკურნე, უფალო, იმ სიკერპისგან, რომლითაც ვუპირისპირდებოდი ვინდიციანუსს[27], გონებაგამჭრიახ ბერიკაცს, და ნებრიდიუსს[28], დიდსულოვანსა და კეთილშობილ ჭაბუკს. პირველი დაბეჯითებით მიმტკიცებდა, მეორე კი, მართალია, ერთგვარი ყოყმანით, მაგრამ მაინც ხშირად მიმეორებდა, რომ არ არსებობს მომავლის წინასწარმეტყველების ხელოვნება; ხოლო რაც შეეხება ადამიანთ ვარაუდს, ის არცთუ იშვიათად ემთხვევა შემთხვევითობას: რა იციან წინასწარმეყველებმა, რა მოხდება მომავალში, მაგრამ იმდენს კი ლაყბობენ, რომ ზოგი რამ მაინც ახდება... და, აი, შენ მომივლინე მეგობარი, რომელიც გამუდმებით ეთათბირებოდა ასტროლოგებს. მართალია, მათი წიგნებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობით აღძრული, როგორც უკვე მოგახსენეთ, გატაცებით უსმენდა მათ. მამამისისაგან ერთი ამბავი სმენოდა, რომელსაც შეეძლო ძირი გამოეთხარა მთელი ასტროლოგიისათვის, თუმცა თვითონ აზრადაც არ მოსვლია ეს.

ამ კაცს ფირმინიუსი[29] ერქვა; საერო განათლება მიეღო და საფუძვლიანად გაეწაფა თავი მჭევრმეტყველების ხელოვნებაში. ძალიან დამიახლოვდა და ერთ დღეს რჩევა მკითხა რაღაც საქმის გამო, რაზედაც დიდ იმედს ამყარებდა, და თანაც მთხოვა, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, რა აზრისა ხარ „ჩემს თანავარსკვლავედზეო“[30]. იმხანად მე უკვე ნაწილობრივ მიზიარებდი ნიბრიდიუსის თვალსაზრისს; ამიტომ, მართალია, უარი არ მითქვამს, ჩემი ფრთხილი ვარაუდი გამენდო მისთვის, მაგრამ ისიც დავძინე, რომ მთელი ეს მისნობა თუ მკითხაობა ფუჭად და სასაცილოდ მიმაჩნდა.

მაშინ ფირმინიუსმა მიამბო, რა უჩვეულო ინტერესს იჩენდა მამამისი ასტროლოგიური წიგნების მიმართ. მას ჰყოლია ერთი მეგობარი, რომელსაც თურმე არანაკლებ იზიდავდა ასტროლოგია. ერთნაირი გულმოდგინება და ერთობლივი კვლევა-ძიება კიდევ უფრო ამძაფრებდა მათ ცნობისწადილს. საგულდაგულოდ ინიშნავდნენ დროს, როცა შინაურ

[26] იხ. წიგნი მეოთხე, 3-5.
[27] იხ. მეოთხე წიგნის შენ. 29.
[28] იხ. მეექვსე წიგნის შენ. 38.
[29] ჩვენთვის უცნობი პირი.
[30] იგულისხმება მისნობა ვარსკვლავების მიხედვით.

ცხოველებს უნდა მოეგოთ, და, იმისდა კვალად, - მნათობთა მდებარეობასაც ცის თაღზე: ასე იძებდნენ გამოცდილებას და თავის იწაფავდნენ თავიანთ ცრუ ხელოვნებაში.

ფირმინიუსს კარგად ახსოვდა მამის ნაამბობი: როდესაც დედაშენი ფეხმძიმედ იყო შენზე, მაშინ ჩემი მეგობრის ერთი მოახლეც დაორსულდაო. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია მის ბატონს, რომელიც ზუსტად ინიშნავდა თვით იმ დროსაც კი, როცა მისი ძაღლები ლეკვებსა ჰყრიდნენ. ორივე მეგობარი ცდილობდა შეუმცდარად გამოეთვალა მშობიარობის დღე, საათი და წუთი: ერთი მეუღლის მოლოგინებას ელოდა, მეორე - მოახლისას. ორივენი იძულებულნი იყვნენ ორი, ზედმიწევნით ერთმანეთის მსგავსი, ჰოროსკოპი შეედგინათ, რომელთაგანაც ერთი მემკვიდრისა იყო, ხოლო მეორე - მონისა. მშობიარობა რომ დაიწყო, მეგობრებმა ერთმანეთს შეატყობინეს ეს ამბავი; ორივეს მზად ჰყავდა მსახურები, რათა ერთმანეთთან ეფრინათ და, ამრიგად, დროზე გაეგოთ, როდის დაიბადნენ ბავშვები. რაკი თავ-თავიანთი სახლეულის ნამდვილი ბატონ-პატრონნი და ბრძანებელნი იყვნენ, არცერთს არ გასჭირვებია, დროულად ეცნობებინა მეორისათვის მშობიარობის ამბავი. და, აი, მათი შიკრიკები შუა გზაზე შეხვდნენ ერთმანეთს, ზუსტად იმ ადგილას, რომელიც თანაბარი მანძილით იყო დაშორებული როგორც ერთი, ისე მეორე სახლიდან. მეგობრებმა ყველაფერი ზუსტად გამოთვალეს და დარწმუნდნენ, რომ დაბადების დროცა და მნათობთა მდებარეობაც ცის თაღზე ზედმიწევნით ერთხვეოდა ერთმანეთს[31]. მიუხედავად ამისა, ფირმინიუსი, წარჩინებული მშობლების შვილი, წარმატებით მიიწევდა წინ ამქვეყნიური ცხოვრების ფართო სარბიელზე: ერთდროულად იზრდებოდა მისი სიმდიდრეც და გავლენაც; მონას კი კვლავ მონობის უღელი ედგა ქედზე და მისი სიმძიმით წელში მოკაკვული ემსახურებოდა თავის ბატონებს, როგორც მიამბობდა ფირმინიუსი, რომელიც კარგად იცნობდა მას.

9. ეს სარწმუნო ამბავი რომ მოვისმინე, - ფირმინუსი სავსებით იმსახურებდა ნდობას, - მთელ ჩემს სიკერპეს საფუძველი გამოეცალა, ამიტომაც გადავწყვიტე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ფირმინუსი განმეკურნა მისი ფუჭი ცნობისმოყვარეობისაგან. ვუთხარი, ჩემი დაკვირვება „შენს თანავარსკვლავედზე“ სწორი იქნებოდა, თუკი თვალნათლივ დავინახავდი შენს მშობლებს, ესოდენ საპატიო ადგილი რომ ეჭირათ თანამოქალაქეთა შორის, დიდებულ ოჯახს, შენს კეთილშობილურ წარმომავლობას და საუცხოო აღზრდა-განათლებას-მეთქი. მაგრამ მის თანამოასაკე მონას რომ ეთხოვა, ჩემი თანავარსკვლავედის მიხედვით მიმკითხავეო, - ხოლო ის და ფირმინუსი ერთ ვარსკვლავზე იყვნენ დაბადებულნი, - მაშინ, ჩემი დაკვირვება ამ შემთხვევაშიც სწორი რომ ყოფილიყო, იქვე უნდა დამენახა გაჭირვებული და გასაცოდავებული ოჯახი, მონური ყოფა და, საერთოდ, ყოვლად უბადრუკი ცხოვრება, ძირფესვიანად განსხვავებული ფირმინუსის ცხოვრებისაგან. ასე რომ, ერთი და იმავე დაკვირვებიდან, თუკი გულწრფელი ვიქნებოდი, ორი ურთიერთსაპირისპირო დასკვნა უნდა

[31] ეს გამოთვლები საჭირო იყო ახალშობილთა ჰოროსკოპების შესადგენად.

გამომეტანა, რადგან თუ ორივე დასკვნა ერთნაირი იქნებოდა, უთუოდ უნდა მეცრუა. აქედან გარდუვალად გამომდინარეობს შემდეგი: როდესაც ვარკვლავებზე დაკვირვების მეშვეობით შეუმცდარად წინასწარმეტყველებენ მერმისს, ამას ვარსკვლავთმრიცხველობის მეცნიერული მეთოდი კი არ განაპირობებს, არამედ შემთხვევითობა, ხოლო როდესაც წინასწარმეტყველება არ მართლდება, ეს მეთოდის მცდარობის შედეგი კი არ არის, არამედ შემთხვევითობის გონებამიუწვდომელი თვითნებობისა.

10. ამ ამბავმა საბოლოოდ ამიხილა თვალი და გამიხსნა გზა; ერთავად იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ დავსხმოდი თავს, მიწასთან გამესწორებინა და ქვეყნის სასაცილოდ მექცია ეს დამთხვეულნი, სიყალბითა და სიცრუით რომ შოულობდნენ ლუკმა-პურს; მაგრამ, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, ვაითუ ფირმინუსმა სიმართლე არ მითხრა, ხოლო მას, თავის მხრივ, მამამისი ეცრუა-მეთქი. ამიტომაც გულმოდგინედ ვაკვირდებოდი ტყუპებს, რომლებიც უმეტესწილად ერთიმეორის მიყოლებით იბადებიან, და მათ დაბადებათა შორის დროის ისეთი მოკლე შუალედი ძევს, რომ ასტროლოგია დაჟინებული მცდელობის მიუხედავად, გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭონ ამ ერთ უბადრუკ წამს, ჩვენ მის აღქმასაც ვერ ვასწრებთ, არამცთუ ჩაწერას და ჩანიშვნას, რის გარეშეც ვერცერთი ასტროლოგი ვერ შესძლებს ზუსტად იწინასწარმეტყველოს მერმისი[32]. მაგრამ ეს სიზუსტე პირწმინდად მოჩვენებითია, რადაგნაც, თავისი ჩანაწერის მიხედვით, ნებისმიერ ასტროლოგს ერთნაირი მომავალი უნდა ეწინასწარმეტყველებინა ესავისა და იაკობისთვის[33], თუმცაღა მათი ბედიღბალი ასე ძლიერ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მაშასადამე, ასტროლოგს უნდა ეცრუა, ხოლო თუ სიმართლეს იტყოდა, მაშინ ერთი და იმავე დაკვირვებიდან ორი სხვადასხვა დასკვნა უნდა გამოეტანა. ამრიგად, სიმართლე მეცნიერულ მეთოდზე კი არ იქნებოდა დამოკიდებული, არამედ შემთხვევითობაზე.

შენ კი, უფალო, შენი უსასრულო სიმართლით რომ მართავ სამყაროს[34], იდუმალების გონებამიუწვდომელი გზით ჩააგონებ ყველას - მრჩეველსაც და რჩევს მთხოვნელსაც - იმნაირ პასუხს, რისი ღირსიცაა მთხოვნელის სულის ფარული ღირსება თუ დამსახურება; პასუხს, რომელიც შენი მართალი მსჯავრის უსასრულო უფსკრულიდან იღებს დასაბამს. დაე, ნუ იტყვის კაცი: „რა არის ეს?“ ან „რატომაა ეს?“ დაე, ნუ იტყვის, რადგანაც ის სხვა არა არის რა, თუ არა კაცი.

[32] ე.წ. „ტყუპების არგუმენტი“ ასტროლოგიური წინასწარმეტყველების წინააღმდეგ ნეტარ ავგუსტინეზე ექვსი საუკუნით ადრე გამოიყენა ცნობილმა ბერძენმა ფილოსოფოსმა, „ახალი აკადემიის“ სქოლარმა კარნეადემ (214-129 ძვ.წ.ა). - იხ. Словарь Антонический. пер. с немецкого, М., 1989, стр.58.

[33] იხ. დაბად. XXV, 20-34.

[34] შდრ. ფსალმ. 35, 7.

VII

11. ასე გამათავისუფლე, მწევ და მეოხო ჩემო, ამ ხუნდებისგან, მაგრამ მე კვლავ ვეძებდი, სად იყო ბოროტების სათავე, გამოსავალი კი არ ჩანდა. ნებას არ რთავდა ჩემი აზრების შმაგ დინებას შორს წარვეტაცე ჩემი რწმენისგან, რომლის თანახმადაც შენ არსებობ და შენი არსი უცვლელია. შენ ზრუნავ ჩვენზე და შენი ძის, უფლის ჩვენის - იესო ქრისტესა და საღმრთო წერილის მეშვეობით განგვიკითხავ, საღმრთო წერილისა, რომლის ავტორიტეტსაც ურყევად ამკვიდრებს შენი კათოლიკე ეკლესია[35]; შენვე გვიჩვენებ გზას, საუკუნო სიცოცხლისაკენ რომ მიგვიძღვის, რომელიც იწყება სიკვდილის შემდეგ.

ეს ჭეშმარიტება თანდათან იზრდებოდა და ურყევად მკვიდრდებოდა ჩემს სულში, მაგრამ მაინც ვერ ვპოულობდი მოსვნებას და გამუდმებით ვეკითხებოდი ჩემსავე თავს, სადაა ბოროტების სათავე-მეთქი? ღმერთო ჩემო, როგორ იტანჯებოდა ჩემი გული, როგორ გმინავდა! შენ ყურს უგდებდი მის გმინვას, მაგრამ მე არ ვიცოდი ეს. უხმოდ გეძებდი, თავგანწირული ძალისხმევით, მაგრამ ჩემი გულის ძახილი სიმწრის ყვირილად აღწევდა, მოწყალეო, სასმენელს შენსას. შენ იცოდი, რა საშინლად ვიტანჯებოდი, ადამიანებმა კი არ იცოდნენ. ჩემი ენა დუმდა და თვით გულითად მეგობრებსაც კი არ უმჟღავნებდა ჩემს ხვაშიადს. განა მათ ესმოდათ ჩემი სულის ბორგვა და ტანჯვა-წამება, რომლის გადმოსაცემადაც არც დრო მეყოფოდა და ვერც საჭირო სიტყვებს ვპოულობდი? მაგრამ ყველაფერი შენსკენ მოისწრაფოდა; „ვღმუოდი ჩემი გულის გმინვით, და შენს წინაშე იყო ჩემი გულისთქმა, და ნათელი ჩემი თვალისა არ იყო ჩემთან“[36], რადგანაც ის შიგნით იყო, მე კი - გარეთ, სადაც ვერსად ვხედავდი ამ ნათელს[37], რაკიღა ჩემს ყურადღებას იპყრობდა მხოლოდ ის, რაც სივრცეშია, სივრცეში კი ვერსაც ვპოულობდი ადგილს, სადაც შეიძლებოდა მომესვენა, და არც იმის ნებასა მრთავდა, რომ კვლავ დავბრუნებულიყავი იქ, სადაც „საკმაოდ კარგად“ ვიქნებოდი.

მე ამ საყაროზე მაღლა ვიდექი, მაგრამ შენზე დაბლა ვიყავი, ჩემო ჭეშმარიტო სიხარულო, და შენ დამიმორჩილებდი ჩემზე დაბლა მდგომ ყველა ქმნილებას, შენი მორჩილი რომ ვყოფილიყავი. ასეთი იყო ნამდვილი თანაფარდობა[38], და ხსნის გზა სადღაც შუაში გადიოდა: შენს მონა-მორჩილსა და ჩემი სხეულის მბრძანებელს „შენი ხატისთვის“[39] უნდა მეერთგულა. მაგრამ როცა ქედმაღლურად აღვიძვროდი უფლის წინააღმდეგ, „ჩემი სქელი

[35] ტერმინს „კათოლიკური ეკლესია“ ნეტარი ავგუსტინეს დროს დღევანდელისაგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა და „საყოველთაო (მსოფლიო, უნივერსალური) ეკლესიის“ აღსანიშნავად იხმარებოდა.

[36] ფსალმ. 37, 9-11.

[37] პლოტინი ურჩევდა სრულქმნილების მიღწევის ყველა მსურველს, მოეკვეთა ყოველივე გარეგანი და მიქცეულიყო თავისი შინაგანი არსისა თუ რაობის ჭვრეტად („ენნ.“ VI, 9,7).

[38] „დაე, სული, თავის თავზე ფიქრისას მიელტვოდეს მისი ბუნების შესატყვის წესრიგს. იყოს იმაზე დაბლა, რისი მორჩილებაც მართებს, და იმაზე მაღლა, რაზე მაღლადაც დაუდგენიათ; იმაზე დაბლა, ვინც უნდა მართავდეს მას, და იმაზე მაღლა, ვისაც უნდა მართავდეს თვითონ“ („სამებისთვის“, 10,57).

[39] ე.ი. სულისათვის.

ფარით აღჭურვილი“[40], ქვენა სამყარო ყალყზე დგებოდა და თავს მემხობოდა: აღარსად იყო დანდობა და არც სულის მოთქმის საშუალება. საითაც უნდა გამეხედა, ჩემს თვალწინ იკვეთებოდნენ შენს მიერ შექმნილი საგნები, ერთმანეთში ალუფხულნი და აზავთებულნი. ჩემს აზრს გასაქანს არ აძლევდნენ და გზას უღობავდნენ მათი ხატებანი, რომელნიც თითქოს მეუბნებოდნენ: „საით გაგიწევია, უღირსო და უწმინდურო?“ და ყოველივე ეს იზრდებოდა ჩემი ჭრილობიდან, რადგანაც „დაამხე მზვაობარი, როგორც დაჭრილი“[41]: ჩემმა ქედმაღლობამ განმაშორა შენგან და ჩემს გაბღენძილ სახეზე დაიშრიტა თვალის ჩინი.

VIII

12. ხოლო შენ, უფალო, „მარადის ხარ“[42], მაგრამ „მარად როდი მრისხანებ ჩვენზე“[43], რადგანაც შეიწყალე მტვერი და ფერფლი და „შენი მზერის წინაშე“[44] სახე უცვალე ჩემს სიმახინჯეს, რათა მოსვენება არა მქონოდა, ვიდრე არ გირწმუნებდი ჩემი შინაგანი ხედვით. გაბღენძილ ზვაობას მიცხრობდი შენი იდუმალი კურნებით და ჩემი სულის ამღვრეულსა და დაბინდულ მზერას თანდათანობით აღმიდგენდი ჩემი მხსნელი ტანჯვა-წამების მწველი სალბუნით.

IX

13. უწინარეს ყოვლისა, შენ ინებე გეჩვენებინა ჩემთვის, რომ „მზვაობართა წინააღმდგომი ხარ, ხოლო თვინიერთ მადლს ანიჭებ“[45]. და რაოდენ დიდია შენი გულმოწყალება, რაკიღა ხალხს უჩვენე თვინიერების გზა, რადგანაც „სიტყვა ხორცად იქცა და დაემკვიდრა ჩვენს შორის“[46]. სწორედ შენ მაშოვნინე, ქედმაღლობისაგან უჩვეულოდ გაბღენძილი ერთი ნაცნობი კაცის წყალობით, ნეოპლატონიკოსთა ზოგიერთი თხზულება, ბერძნულიდან ლათინურ ენაზე თარგმნილი[47].

ამ თხზულებებში მე ამოვიკითხე, მართალია, არა იმავე სიტყვებით გადმოცემული, მაგრამ, არსებითად, იგივე აზრი, მრავალ სხვადასხვა საბუთზე დაყრდნობით რომ გვიმტკიცებს

[40] იობი, XV, 26.
[41] ფსალმ. 88, 11.
[42] შდრ. ფსალმ. 32, 11.
[43] ფსალმ. 84, 6; 102, 9.
[44] ფსალმ. 68, 21.
[45] იაკ. IV, 6; I პეტრე, V, 5.
[46] იოანე, I, 14.
[47] „ნეოპლატონიკოსთა შორის საყოველთაოდ ცნობილი არიან ბერძნები: პლოტინი, იამბლიქოსი, პორფირიოსი; ორსავ ენაზე, ე.ი. ბერძნულად და ლათინურად წერდა აპულეიუს ათრიკელი“ („ღვთის ქალაქისათვის“, 8,12). ავგუსტინე საფუძვლიანად იცნობდა პლოტინსა და პორფირიუსს, იამბლიქოსს კი არსად არ იმოწმებს. პლოტინი ლათინურ ენაზე თარგმნა სახელგანთქმულმა რიტორმა ვიქტორინუსმა, ვის შესახებაც ავგუსტინე მოგვითხრობს „აღსარებათა“ მომდევნო (მერვე) წიგნში. ვიქტორინუსის ამ თარგმანს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. ვინ აშოვნინა ნეტარ ავგუსტინეს ნეოპლატონიკოსთა თხზულებები, ესეც უცნობია ჩვენთვის.

შემდეგს[48]: „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან, ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა. მასში იყო სიცოცხლე, და სიცოცხლე იყო ნათელი კაცთა. და ნათელი ბნელში ნათობს, და ბნელმა იგი ვერ მოიცვა“[49]. ხოლო ადამიანის სული, მართალია, ნათელს გვიმონმებს[50], მაგრამ თვითონ როდია ნათელი[51]; არა, სიტყვა, ღმერთი, - აი, „ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად“[52]; იგი „ამ ქვეყნად იყო, და ქვეყანა მის მიერ შეიქმნა, და ქვეყანამ იგი ვერ იცნო“[53]. მაგრამ ის, რომ „თავისიანებთან მოვიდა, და თავისიანებმა იგი არ შეიწყნარეს; ხოლო ყველას, ვინც შეიწყნარა იგი, მისცა ხელმწიფება ღმრთის შვილებად წოდებულიყვნენ; ყველას ვისაც სწამს მისი სახელი“[54], - ნამდვილად აღარ ამომიკითხავს ამ თხზულებაში.

14. იქვე წავიკითხე, რომ სიტყვა, ღმერთი „არა სისხლისაგან, არა ხორცის ნებისაგან, არა მამაკაცის ნებისაგან, არამედ ღმრთისაგან იშვა“[55], მაგრამ ის კი ვეღარ წავიკითხე, რომ „სიტყვა ხორცად იქცა, და დაემკვიდრა ჩვენს შორის“[56].

ისიც ამოვიკითხე, რომ ამ წიგნებში სხვადასხვა კილოთი და სხვადასხვა სახითაა ნათქვამი: ძეს, როგორც „მამის ხატს, ნაძარცვად არ შეურაცხავს ღმრთის სწორად ყოფნა“[57], რადგან ბუნებით იგივეა, რაც ღმერთი[58], მაგრამ იმას კი ვეღარსად მივაკვლიე, რომ მან

---

[48] „ქრისტიანობის კავშირი ნეოპლატონიზმთან ბოლომდე არაა შესწავლილი. ცნობილია, რომ პლოტინი იცნობდა ქრისტიანებს; მისი მასწავლებელი ამონიოს საკასი, თავისი ცხოვრების ერთ პერიოდში მაინც, ქრისტიანი იყო; პლოტინის უშუალო მოწაფეები იცნობდნენ ახალ აღთქმას; ამელიოსი, პლოტინის მოწაფე, პარალელს ავლებდა იოანეს ლოგოსსა და ჰერაკლიტეს ლოგოსს შორის; სიმპლიციანუსისათვის, ამბროსის სულიერი მოძღვრისათვის, ცნობილი იყო ეს სიახლოვე. ავგუსტინეს მისგან გაუგონია, როგორ გამოთქვა ერთმა ნეოპლატონიკოსმა სურვილი, რომ იოანეს სახარების საწყისი ლექსები ოქროს ასოებით ამოეკვეთათ ეკლესიებში და მოედნებზე („დონატისტთა წინააღმდეგ“, 10,29). ამ საუბრებმა და საკუთარმა მედიტაციებმა აღუძრეს ნეტარ ავგუსტინეს იმის სურვილი, რომ პარალელი გაევლო სახარებასა და ნეოპლატონიზმს შორის“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ.244).

[49] იოანე I, 1-5.

[50] პლოტინის მიხედვით, „სამყაროს სული“, რომლის ნაშიერადაც გვევლინება ადამიანის სული, საკუთარი სინათლით კი არა ნათობს, არამედ „გონებისგან“ („ნუს“) სესხულობს ნათელს, როგორც მთვარე - მზისგან (იხ. „ენნ.“ V,6,4).

[51] პლოტინი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი ნათელი, ანუ „გონება“ („ნუს“) ყოველთვის როდი ცოცხლობს ჩვენს სულში („ენნ.“ V,3,3).

[52] იოანე, I, 9.

[53] იოანე, I, 10.

[54] იოანე, I, 11-12.

[55] იოანე, I, 13.

[56] იოანე, I, 14.

[57] ფილიპ. II, 6.

[58] პლოტინის ტრიადა, ანუ სამება სამ წევრს შეიცავს: აბსოლუტური ერთი („ტო ჰენ“), კოსმიური გონება („ნუს“) და სამყაროს სული („ფსიქე“). აბსოლუტური ერთი - ესაა ყოველგვარი თვისებრივი განსაზღვრულობისაგან განძარცული, არსსა და აზრზე მაღლა მდგომი, მეტანოეტური და მეტაონტოლოგიური პირველსაწყისი, ანუ ღმერთი. მას ვერ მივაწერთ ვერავითარ პრედიკატს, იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ის აზროვნებს, ანდა არსებობს. ესაა პირველი რგოლი, რომელზედაც ჰკიდია სამყაროული არსებობის, კოსმიური სიცოცხლის ყველა ჯაჭვი. ამ თვალსაზრისით, აბსოლუტური ერთი (პლოტინის „სიკეთე“) მთელი სინამდვილის პირველმიზეზი და ნეოპლატონისტთა ფილოსოფიური სისტემის გვირგვინია; იგია ჭეშმარიტებაც, სამართლიანობაც, მშვენიერებაც და მათზე უმეტესიც, მათზე უპირატესიც; იგია იდეალური სამყაროს დასაბამი, მისი სულიერი მზე, მისი ცენტრი. დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ამ პირველსაწყისს პლოტინი ზუსტად იმ სიტყვებით ახასიათებს, სამყაროს გონებამიუწვდომელ იდუმალებაში დაფარული ღმერთის ატრიბუტად რომ იყენებს ჩვენი უდიდესი ეროვნული პოეტი: „უცნაური და უთქმელი“ („arreton kai agnoston“, - „ენნ.“ V,3,10,42). არსისა და აზრის მიღმიურ ამ პირველსაწყისში აბსოლუტურად დაუნაწევრებელი სახით მოქცეულია კოსმოსის მთელი სიცოცხლე, მისი შინაგანი კანონზომიერებებიც, მისი აწმყოც, მისი მომავალიც, მისი წარსულიც; ესაა აზრის აბსოლუტური ნათელი, რომელიც არ შეიცავს არავითარ განსხვავებას და ამიტომ აბსოლუტური სიბნელის იდენტურია; როგორც უცვლელი, წარუვალი, თვითკმარი, მთლიანი და განუწილველი, აბსოლუტური ერთი არსის ზღვრული სისავსეა და სისრულე, არსებობის მინიმუმიც და მაქსიმუმიც, თუმცა, სწორედ ამ ზღვრული სისავსის გამო, ის თითქოს ვერ თავსდება თავის თავში და თავის თავს გასცემს, თავისი თავიდან გადმოედინება, მაგრამ ისე კი, რომ მის სავსებას არა აკლდება რა ამით. ასე მზე ღვრის სამყაროში სითბოს და სინათლეს, ასე ყვავილი აფრქვევს სურნელებას. აქედან - ემანაციურობის

„დაიმცრო თავისი თავი, მონობის ხატი შეიმოსა და კაცის მსგავსად იქცა; თავი დაიმდაბლა და მორჩილი გახდა ვიდრე სიკვდილამდე, ჯვარზე სიკვდილამდე: ამიტომაც აღამაღლა იგი ღმერთმა, და მისცა სახელი უზენაეს ყოვლისა სახელისა, რათა იესოს სახელის წინაშე მოიდრიკოს ყოველი მუხლი, ზეცისანი, ქვეყანისანი და ქვესკნელისანი, და ყოველმა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე არის უფალი, სადიდებლად ღმრთისა და მამისა“[59].

რომ უწინარეს ყოველი დროისა და ჟამთა უზენაეს უცვლელად სუფევს შენი მხოლოდშობილი ძე, შენსავით დაუსაბამო; რომ „მისი სავსებისაგან ყველამ მივიღეთ მადლი მადლისა წილ“[60], და რომ „მისივე სავსებისაგან“ იღებენ სულები ნეტარებას და ეზიარებიან მასშივე დამკვიდრებულ სიბრძნეს, რისი წყალობითაც განახლდებიან და განიბრძნობიან, - ამას კი იპოვით იმ წიგნებში[61], მაგრამ იმის თაობაზე, რომ ის „ჩვენი გულისთვის მოკვდა, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით“[62], და რომ შენ „ არ დაინდე შენივე ძე, არამედ ყველა ჩვენგანისათვის გასწირე იგი“[63], - იქ არაფერია ნათქვამი. „ბრძენთა და გონიერთ დაუფარე ყოველივე ეს, და გაუცხადე ჩვილ ბალღებს“[64], რათა მივიდნენ მასთან „მაშვრალნი და ტვირთმძიმენი“[65] და მან მოუფონოს შეჭირვებულთ, რადგანაც „მშვიდია და გულით მდაბალი“[66], და „წარუძღვება თავმდაბალთ სიმართლისაკენ და თავის გზას ასწავლის მორჩილთ“[67], ვინაიდან „იხილავს ჩვენს სიმდაბლეს და ტანჯვას, და მოგვიტევებს ჩვენს

პლოტინისეული თეორია. ერთის პირველ ემანაციად პლოტინი სახავს გონებას, რომელშიაც იმთავითვე მოცემულია „დასაბამიერი ორადობის“ პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ „ყოველი აზრი, თვითშემეცნების ჩათვლით, თავისთავად გულისხმობს სუბიექტისა და ობიექტის, შემმეცნებლისა და შესამეცნებლის დაპირისპირებულობას“ (ვინდელბანდი). ერთს რომ იაზრებს, ერთს რომ იმეცნებს, გონება წარმოიდგენს მას როგორც „თვითობას“ (პეტრიწისეული ტერმინია), ხოლო თავის თავს - როგორც მის Alter Ego-ს (მეორე მე-ს). გონების ქმედითობით ერთის განუყოფელი სისრულე აქ უკვე იდეათა სიმრავლედაა განწილული; ეს იდეები ქმნიან ინტელიგიბილურ (გონით საწვდომ) სამყაროს. ამრიგად, გონების ქმედითობა იდეალური სიმრავლის წყაროა და საწყისი. ემანაციის მომდევნო საფეხურზე დგას სული, რომელიც ისე მიემართება გონებას, როგორც ეს უკანასკნელი - ერთს. სულისათვის ერთი უშუალო წვდომის ობიექტი კი არაა (როგორც გონებისათვის), არამედ სიყვარულისა და სურვიელი ლტოლვის საგანი. სულიც გონებასავით მრჩობლი ბუნებისაა, მაგრამ მისი ორადობა მეორეული ორადობაა. პლოტინი განასხვავებს „უმაღლესსა“ და „უდაბლეს“ სულს. სწორედ უმაღლესი სული მიდრკება და მიისწრაფვის ერთისაკენ, მაშინ როდესაც უდაბლესი, ანუ „ბუნება“ მატერიისკენაა მიქცეული. თუ გონება იდეების, იდეალური სიმრავლის წყაროა და საწყისი, სამყაროს სული, თავის მხრივ, ინდივიდუალურ სულთა სიმრავლედაა განწილული. უმაღლესი სული ქმნის ღმერთებსა და უსხულმყოფელ ასტრალურ სულებს, ხოლო უდაბლესი - დემონიურ, ადამიანურ, ცხოველურ და მცენარეულ სულთა სიმრავლეს.

ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პლოტინისეული ტრიადის წევრები, ქრისტიანული სამებისა არ იყოს, ერთმანეთის სწორნი არიან; მაგრამ ეს შეცდომაა: კოსმიური გონება აბსოლუტური ერთის ემანაციაა და, ამრიგად, მასზე უდარესია; იგივე ითქმის სამყაროს სულისა და კოსმიური გონების თანაფარდობის მიმართაც („ენნ.“ V,1,6).

[59] ფილიპ. II, 7-11.

[60] იოანე, I, 16.

[61] ნეოპლატონიკოსთა მიხედვით, ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსის, გონება კოსმიური გონების („ნუს“) - პლოტინისეული ტრიადის მეორე წევრის გამოვლენაა გრძნობად-კონკრეტულ სინამდვილეში. როცა ჩვენ ამ კოსმიური გონების თანახმად ვცხოვრობთ, მაშინ „თითქოს ვივსებით მისით“ („ენნ.“ V,3,3-4).

[62] რომ. IV, 6.

[63] რომ. IV, 8.

[64] მათე, XI, 25.

[65] მათე, XI, 28.

[66] მათე, XI, 29.

[67] ფსალმ. 24, 9.

ცოდვებს“[68]. მათ კი, თითქოს უფრო მაღალი მეცნიერების კოთურნებზე[69] შემდგართ, არ ესმით უფლის სიტყვა: „დაიდგით ქედზე ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვაინაიდან მშვიდი ვარ და გულით მდაბალი, და მოიპოვებთ სულის სიმშვიდეს“[70]. თუმცა კი იციან ღმერთი, „მაგრამ არ ადიდებენ როგორც ღმერთს, და არც მადლს სწირავენ მას, არამედ ამაონი ხდებიან ზრახვით და ბნელდება მათი უგონო გული; ბრძენკაცებად მოაქვთ თავი და შლეგებად კი იქცევიან“[71].

15. ამიტომაც ამოვიკითხე ამ წიგნებში, როგორ მიაწერეს კერპებსა და ათასნაირ გამოსახულებებს „უხრწნელი ღმერთის დიდება“ და „ხრწნადი კაცის, ფრინველთა თუ ქვეწარმავალთა ხატებაზე გაცვალეს იგი“[72]. სწორედ ესაა ეგვიპტური საზრდო[73], რისთვისაც ესავმა დაკარგა თავისი პირმშოება, რადგანაც შენი რჩეული ერი „ეგვიპტისკენ მიიქცა გულით“, შენს ნაცვლად თაყვანი სცა ოთხფეხს და „თივის მცოხნელი მოზვრის“ ხატების წინაშე დაიდრიკა სული თვისი - შენი ხატება. ეს საზრდო ვპოვე ამ წიგნებში, მაგრამ მის ცოხნას არ მოვყოლივარ. თვითონვე ინებე, უფალო, არ დაგემდაბლებინა იაკობი, რათა „უხუცესი უმრწემესის მსახური“ ყოფილიყო, და შენს სამკვიდრებელში მოუხმე წარმართთ[74]. მეც წარმართთაგან მოვედი შენთან, და იმ ოქროსკენ ვისწრაფოდი, შენმა ერმა რომ წაიტანა ეგვიპტიდან[75], რადგან სადაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც შენი იქნებოდა. შენი მოციქულის

---

[68] ფსალმ. 24, 18.

[69] კოთურნები (ბერძნ. კოთორნოს) - სქელლანჩიანი ფეხსაცმელები, რომლებსაც სცენაზე გამოსვლისას იცვამდნენ მსახიობები, რათა უფრო ტანმაღალნი გამოჩენილიყვნენ. ლანჩების სისქე თანდათანობით იზრდებოდა და, ბოლოს, თითქმის წყრთას მიაღწია, ასე, რომ კოთურნები ნამდვილ ოჩოფეხებად იქცნენ.

[70] მათე, XI, 29.

[71] რომ. I, 21-22.

[72] რომ. I, 23.

[73] „პორფირიოსმა და მისმა მიმდევრებმა სცადეს, ქრისტიანობის მზარდი გავლენის საპირისპიროდ, ფილოსოფიური დასაბუთება მოეძებნათ წარმართული კულტისათვის. „ეგვიპტური საზრდოს“ პირდაპირი მოსხსნიება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ავგუსტინე გულისხმობდა პორფირიუსის თხზულებას „ხორცის ჭამისაგან თავშეკავებისათვის“ (4,9), სადაც ის იწონებს ცხოველთა თაყვანისცემას ეგვიპტეში: „მათ იცოდნენ, რომ ღმერთი მარტოოდენ ადამიანს როდი შეეხო, და სულიც დედამიწაზე მარტოოდენ ადამიანში როდი ჩასახლდა: ის ყველა ცოცხალ არსებაშია. ამიტომაც ისინი ღვთაებრივ პატივს მიაგებედნენ ყველა ცხოველს, ერთარსად აერთიანებდნენ ცხოველსა და ადამიანს, ფრინველისა და ადამიანის სხეულებს“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ.245.

[74] „მთელი ეს მოკლე აბზაცი მეტაფორათა წყებად გვევლინება: „ეგვიპტური საზრდო“ ნეოპლატონიკოსთა ფილოსოფიაა. ესავმა, ისააკის უფროსმა ძემ, ოსპის შეჭამანდზე გაცვალა თავისი პირმშოობა („ოსპი ეგვიპტელთა საზრდოა. ეგვიპტეში უხვადაა იგი. ალექსანდრიულ ოსპს დიდად აქებენ და ჩვენშიაც კი შემოაქვთ“, „ფსალმუნებისათვის“, 46,6). ავგუსტინემ არ ისურვა „ეცოხნა ეგვიპტური საზრდო“ („თვისი მცოხნელი მოზვერი“ - იხ. ფსალმ. 105,20 - ბ.ბ.). როგორც ებრაელებმა მოითხოვეს ოდესღაც, რომ მათთვის ჩამოესხათ ოქროს მოზვერი, რომელსაც იაჰვეს ნაცვლად სცემდნენ თაყვანს, ასევე ნეოპლატონიკოსებიც იწონებდნენ ცხოველთა კულტს (იხ. შენ. 75). „უმრწემესი“ იაკობი სიმბოლურად განასახიერებს წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანებს: ისინი „უხუცეს“ ებრაელებზე წინ არიან“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ.245).

[75] იხ. გამოსვლა, XII, 35-36: „მოსეს სიტყვისამებრ მოიქცნენ ისრაიტელები, ინათხოვრეს ეგვიპტელებისაგან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი და სამოსელი. მადლი აპოვნინა უფალმა ხალხს ეგვიპტელთა თვალში და მათაც ათხოვეს. ასე გაძარცვეს მთელი ეგვიპტე“... ნეტარი ავგუსტინე ეგვიპტურ ოქრო-ვერცხლს ადარებს პლატონისა და ნეოპლატონიკოსთა ფილოსოფიას, რომელიც ქრისტიანიზმის სამსახურში უნდა ჩააყენონ ჭეშმარიტმა მორწმუნეებმა. თავის თხზულებაში „ქრისტიანული სარწმუნოებისათვის“ (2,40,61), იმათ შორისაც, ვინც „ოქრო-ვერცხლითა და სამოსით დატვირთული გამოვიდა ეგვიპტიდან, ე.ი. წარმართობიდან მოიქცა ქრისტეს სჯულზე და ამ უკანასკნელის განსამტკიცებლად გამოიყენა თავისი ცოდნა, წარმართულ სკოლებში რომ შეიძინა. ნეტარი ავგუსტინე ასახელებს კართაგენის ეპისკოპოსს კიპრიანეს (იხ. მეხუთე წიგნის შენ. 44), სახელგანთქმულ რიტორს და მწერალს ლაციუს ცელიუს ფირმიანუს ლაქტანციუსს (გარდ. დაახლ. 317 წ.), ცნობილ რიტორს და სწავლულს ვიქტორინუსს (დაიბ. დაახლ. 300 წ.), მილევის (ნუმიდია) ეპისკოპოსს ოპტატუსს (დაახლ. 315 - დაახლ. 386 წ.), პუატიეს ეპისკოპოსს ჰილარიუსს (გარდ. დაახლ. 367 წ.). სხვათა შორის, ამ უკანასკნელის გარდა, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მოღვაწე, ისევე, როგორც ნეტარი ავგუსტინე, წარმოშობით აფრიკელი იყო... აღსანიშნავია, რომ ამავე მეტაფორას იყენებს დიდი ალექსანდრიელი ღვთისმეტყველი ორიგენეც (დაახლ. 185-254 წ.), რომელიც მოუწოდებს თავის მოწაფეს გრიგოლ სასწაულთმოქმედს, ქრისტიანული დოგმების დასაფუძნებლად გამოიყენოს მთელი თავისი ცოდნა,

პირით უთხარი ათენელებს, რომ „შენით ვცოცხლობთ, ვმოძრაობთ და ვართ“[76], როგორც უთქვამს ზოგიერთ მათ თანამემამულესაც[77]. ასეა თუ ისე, ეგვიპტური იყო ეს წიგნებიც. მაგრამ ეგვიპტურმა კერპებმა ვერ მიმიზიდეს, რომლებსაც შენივე ოქროთი ემსახურებოდნენ, რადგანაც „სიცრუეზე გაცვალეს ჭეშმარიტება ღმრთისა, და მსახურებდნენ შექმნილსა და არა შემოქმედს, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე“[78].

X

16. ამ წიგნებით გონს მოგებული საკუთარ თავს მივუბრუნდი და შენი წინამძღოლობით ჩემივე გულის სიღრმეში განვმარტოვდი: ეს თუ შევძელი, მხოლოდ იმიტომ, რომ „მწედ და მეოხად მომევლინე“[79]. ჩემსავე თავში ჩაღრმავებულმა სულიერი თვალით ვიხილე უშრეტი ნათელი, თვით ამ ჩემს სულიერ თვალსა და ჩემს გონებას რომ მოჰფენოდა; არა, ეს არ იყო ჩვეულებრივი ნათელი, რომელსაც ხორციელი თვალით აღვიქვამთ, და არც იმისი მსგავსი, არამედ უფრო ძალუმი, უფრო მეტად მოკაშკაშე და მოელვარე, თავისი ბრწყინვალებით ყოვლის წამლეკი[80]. ისე როდი ადგა ჩემს გონებას, როგორც ზეთი - წყალს, ან ზეცა - მიწას: არა, უზენაესი იყო, რადგანაც მან შემქმნა, მე კი მასზე დაბლა ვიდექი, რადგანაც მის მიერ ვიყავ შექმნილი. ვინც შეიცნო ჭეშმარიტება, მანვე შეიცნო ეს ნათელიც, ხოლო ვინც შეიცნო ნათელი, მანვე შეიცნო მარადისობაც[81].

ო, მარადიულო ჭეშმარიტებავ, ჭეშმარიტო სიყვარულო, საყვარელო მარადისობავ![82] შენა ხარ ჩემი ღმერთი, შენთვის ვჭმუნავ დღისით და ღამით[83]. შეგიცანი თუ არა, მაშინვე

რადგანაც წმიდათა-წმიდის ჯურჭელი დამზადებულია იმ ნადავლისაგან, ეგვიპტიდან რომ წაიღო ისრაელმა“ (გრიგოლ სასწაულთმოქმედი, წერილები,2).

[76] ესაა პავლე მოციქულის სიტყვები ათენელთა მიმართ. იხ. მოციქ. საქმენი, XVII, 28.

[77] აქ, უწინარეს ყოვლისა, პლატონი იგულისხმება.

[78] რომ. I, 25.

[79] იხ. ფსალმ. 29, 11.

[80] საკუთარ თავში ჩაღრმავების, თვითშემეცნებისა და სულიერი მზერის მეოხებით ზებუნებრივი, ღვთაებრივი ნათლის ჭვრეტა პლოტინის მიერ დასახული გზაა: „...რას ჭვრეტს ეს სულიერი მზერა, რას ჭვრეტს ეს შინაგანი თვალი? მას არ ძალუძს გაღვიძებისთანავე აღიქვას ჭეშმარიტ არსთა თვალშეუდგამი ბრწყინვალება. ამიტომ სული, უწინარეს ყოვლისა, უნდა მიეჩვიოს მშვენიერ საქმეთა თუ ქმნილებათა ჭვრეტას; მე ვგულისხმობ არა ხელოვნებისეულ ქმნილებებს, არამედ კეთილ კაცთა ნაქმარსა და ნამოქმედარს. ამის შემდეგ მას მართებს შეიცნოს ქველის საქმეთა მოქმედი სულის მშვენიერებაც. მაგრამ როგორ შეიცნობ შენ კეთილი სულის მშვენიერებას? მიიქეც შენად და შეიცან შენივე თავი. ხოლო თუ შენში ვერ იხილავ მშვენიერებას, მოიქეც როგორც მოქანდაკე: ხან ჭრის, ხან ფხეკს, ალაგ აგლუვებს, ალაგ კიდევ წმენდს, სანამ არ გამოავლენს ნატიფ ნაკვთებს ქანდაკებისას. ასე ჰყავ შენაც: ამოიკვეთე ზედმეტი, წრფელჰყავი მრუდი, წარიხოცე ბნელი, შემოსე ნათელი და აქანდაკე საკუთარი არსება მანამ, სანამ არ იფეთქებს შენში ღვთაებრივი სათნოების შუქი, სანამ არ იხილავ სიბრძნეს, თავის წმიდათა-წმიდა ტახტზე მჯდომს. თუ ჰყავ ასე და იხილე ეს, თუ წმიდა ხარ საკუთარ თავთან, თუ არაფერი გირღვევს კავშირთ უშინაგანეს ერთიანობას, არც რამ გიმღვრევს სულის სიწმინდეს, თუ შეიმოსე თვით ჭეშმარიტი ნათელი, არა სასრული, არა გარეშემოწერილი, ან კლებადი თუ მატებადი, არამედ უსასრულო და განუზომელი, ყოველგვარ განზომილებასა თუ გარეშეწერილობაზე უზენაესი, თუ მისწვდი და მიაღწიე ყველაფერ ამას, მაშინ თვით ჭვრეტად ქცეულხარ შენ, ჭეშმარიტ ჭვრეტად. მაშ, ენდე თავს და გწამდეს შენი, რადგან აქვე ეზიარე თვით უზენაესს. შენ უკვე აღარ გჭირდება მოძღვარი. დაძაბე მზერა სულისა და უმზირე ასე; რადგანაც ესაა ერთადერთი თვალი, რომელიც უზენაეს მშვენიერებას უმზერს“ („ენნ.“ I,6,9).

[81] „ღმერთია სინათლე, არა ის სინათლე, რომელსაც თვალითა ხედავ, არამედ ის, რომელსაც ხედავს ჩვენი გული, როდესაც გესმის: „იგია ჭეშმარიტება“ („სამებისათვის“, 8,2,3).

[82] „ღვთაებრივ არსებაში არაფერი არ იცვლება... მასშია მარადიული ჭეშმარიტება, მარადიული სიყვარული, ჭეშმარიტი მარადისობა; მასშია საყვარელი მარადისობა, საყვარელი ჭეშმარიტება“ („სამებისათვის“).

[83] შდრ. ფსალმ. 1,2.

აღმიტაცე, რათა მეხილა ის, რისი ხილვაც ასე მეწადა, თუმცა ჯერ კიდევ არ შემეძლო მეხილა იგი. შენი სხივებით დაშრიტე ჩემი უმწეო თვალის ჩინი, და მე ვერხვის ფოთოლივით ავცახცახდი სიყვარულისა და შიშის გამო. მე დავრწმუნდი, რარიგ შორს ვიყავი შენგან ამ ქვეყნად, სადაც არაფერი არ გგავდა შენ[84], და თითქოს ზეცით ჩამომესმა შენი ხმა: „მე ვარ მოწიფულთა საზრდო; იზარდე და მიგემებ მე. შენ კი ვერ გარდამქმნი შენში, როგორც ხორციელ საზრდოს, არამედ შენ თვითონ გარდაიქმნები ჩემში“.

და მე მივხვდი, რომ „უსამართლობის სამხილებლად ასწავლი კაცს და აბლაბუდასავით დაადნობ მის სულს“[85]; ამიტომაც ვთქვი: „ნუთუ ჭეშმარიტება არარაა, რაკიღა არც სასრულ სივრცეშია განფენილი და არც უსასრულოში?“ და შორიდან მომესმა შენი ხმა: „ჭეშმარიტად, მე ვარ, რომელიც ვარ“[86]. ვისმინე ეს, როგორც ისმენენ გულით, და არავითარი საბაბი აღარ დამრჩა ეჭვისა და ორჭოფობისათვის, რადგანაც უმალ ჩემი არსებობა დამაეჭვებდა, ვიდრე ის, რომ არსებობს ჭეშმარიტება, რომელსაც შექმნილი სამყაროს მეშვეობით აღიქვამს გონი[87].

XI

17. გულდასმით გამოვიკვლიე ყველაფერი, რაც შენზე დაბლა დგას, უფალო, და მივხვდი, რომ მასზე ვერც იმას იტყვი, არსებობდაო, და ვერც იმას, არ არსებობდაო: ის არსებობს, რადგანაც შენმიერია, და არ არსებობს, რადგანაც ის არ არის, რაცა ხარ შენ. ჭეშმარიტად არსებობს მხოლოდ ის, რაც უცვლელია[88]. „ხოლო ჩემი სიკეთე ისაა, რომ მივეახლო ღმერთს“[89], რადგან თუ მასში არ ვეგები, მაშინ ვერც ჩემში ვიარსებებ. ის კი „თავის თავშია დავანებული და განაახლებს ყოველს“. „შენა ხარ ჩემი უფალი, რადგანაც არა გჭირდება რა ჩემი“.

---

[84] შდრ. პლოტინი: „მაგრამ თუ ჭეშმარიტ არსთა ჭვრეტად მიიქცა უძლური ან ბიწით შესვრილი სული, ის მათ ბრწყინვალებას კი არა, თვით ხილულსაც ვერ იხილავს, შემთხვევით რომ დაუდონ წინ. რადგან ის, რაც ჭვრეტს, ჯერ ჭვრეტის საგანს უნდა ემსგავსოს და მხოლოდ შემდეგ მიიქცეს მის ჭვრეტად. განა ჩვენი თვალი ოდესმე იხილავდა მზეს, მზეს რომ დამსგავსებოდა თავად? ვერც სული იხილავდა მშვენიერს, მშვენიერება რომ არ შეემოსა მასაც. დაე, თავდაპირველად ღმერთს ემსგავსოს, დაე, თავდაპირველად მშვენიერი გახდეს ყველა, ვისაც სურს იხილოს ღვთაებრივი და მშვენიერი“ („ენნ.“ I,6,9).

[85] შდრ. ფსალმ. 38, 12.

[86] გამოსვლა, III, 14.

[87] უფრო გვიან იოანე სკოტ ერიუგენა ნეტარი ავგუსტინეს კვალდაკვალ იტყვის, რომ მართალია, ღმერთი ყოველგვარ არსებობაზე უზენაესია, მაგრამ ის აბსოლუტურად დაფარული როდია ჩვენთვის. ღმერთი თეოფანიით, ანუ ღვთიგამოვლენით ეცხადება ჩვენს ცნობიერებას. სწორედ ესაა ღმერთის შემეცნების საშუალება. თეოფანია, ერთის მხრივ, სხვა არა არის რა, თუ არა შექმნილი სამყაროს მოვლენები, რომლებსაც გრძნობებით აღვიქვამთ, მეორეს მხრივ კი შინაგანი ნათელფენა ღვთიური მადლის წყალობით (იხ. ალბერტ შტეკლი, შუა საუკ. ფულოს. ისტორია, იოანე სკოტ ერიუგენა, 2,3). იმავე აზრისა იყვნენ - პეტრე აბელიარიც (იხ. იქვე, 1,8). ჰუგო სენ-ვიქტორიელიც (იქვე, 2,3), რიშარ სენ-ვიქტორიელიც (იქვე, 3,3), ალბერტ დიდიც, ვისი მტკიცებითაც, ჩვენი ბუნებრივი ღვთისშემეცნება შუალობითი ხასიათით გამოირჩევა: ის გაშუალედებულია შექმნილი საგნებით, რომელთა ერთობლიობაც, როგორც შემოქმედებითი მიზეზის შედეგი, ამ მიზეზზე მიგვანიშნებს და მისი შეცნობის საშუალებას გვაძლევს (იქვე, 2,1), თოამ აქვინელიც, რომელიც, ამ მხრივ, პავლე მოციქულის სიტყვებს ემყარება („ყოველივე ის, რაც უხილავია ღმერთში, მისი ქმნილებების მიხედვით გონების მიერ ხილული ხდება“; იქვე, 4,1) და სხვანი და სხვანი.

[88] ესაა რადიკალური სხვაობა შემოქმედსა და მის ქმნილებას შორის. შემოქმედი უცვლელია, ქმნილება კი ცვალებადი. ამიტომ პირველის არსებობა აუცილებელია, მეორისა კი არა.

[89] ფსალმ. 72, 28.

XII

18. ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ მხოლოდ სიკეთეს თუ შეიძლება შეეპაროს ხრწნილება[90]. ეს რომ უზენაესი სიკეთე იყოს, ან სულაც არ იყოს სიკეთე, ხრწნილება უცხო იქნებოდა მისთვის. უზენაესი სიკეთე უხრწნელია[91], ხოლო იმაში, რაშიაც არავითარი წილი არ უდევს სიკეთეს, რას უნდა მოედოს ხრწნილება?[92] ის, რაც იხრწნება, ზიანდება; ხრწნილება რომ სიკეთეს არ ამცრობდეს, არც ზიანს მიაყენებდა რასმე. ამრიგად, ორში ერთია: ან ხრწნილება არაფერს აყენებს ზიანს, რაც შეუძლებელია, ანდა იმას, რაც ხრწნილებას განიცდის, სიკეთე აკლდება, რაც ცხადზე უცხადესია. ის, რასაც სიკეთის ნასახიც აღარა რჩება, საეროდ წყვეტს არსებობას. მაგრამ თუ კვლავაც იარსებებს და მიუწვდომელი იქნება ხრწნილებისათვის, უთუოდ უკეთესი გახდება, რადგანაც მთელი თავისი არსებობის მანძილზე შეინარჩუნებს უხრწნელებას. მაგრამ რა შეიძლება იყოს იმის მტკიცებაზე უფრო უცნაური, თითქოს შეიძლება უკეთესი გახდეს ის, რასაც სიკეთის ნატამალიც აღარა რჩება? მაშასადამე, რაც მთლიანად განძარცვულია სიკეთისაგან, საერთოდ ვერ იარსებებს; ესე იგი, ვიდრე არსებობს, კეთილია, ასე რომ, ყოველივე არსებული კეთილად უნდა მიგვაჩნდეს, ხოლო ბოროტებას, რომლის სათავესაც ვეძებდი, სუბსტანციური არსებობა არ გააჩნია, რადგანაც სუბსტანცია რომ ყოფილიყო, კეთილი იქნებოდა, ან იმნაირი სუბსტანცია, რასთანაც ხელი არა აქვს ხრწნილებას, ესე იგი, ნამდვილი სიკეთე, ან კიდევ - სუბსტანცია, რომელიც ხრწნილებას ექვემდებარება, რაც შეუძლებელი იქნებოდა, სიკეთეს რომ წილი არ ედოს მასში.

ამრიგად, მე მივხვდი და ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ ყველაფერი, რაც შენ შექმენი, კეთილია, და არ არსებობს სუბსტანცია, შენს მიერ შექმნილი რომ არ იყოს. ხოლო რაკი ყველაფერი ერთმანეთს არ გაუთანაბრე, ყოველივე არსებული, ცალ-ცალკე, კარგია, ყველა ერთად კი - ძალიან კარგი, რადგანაც ჩვენმა ღმერთმა ყველაფერი კეთილად შექმნა[93], და როცა შექმნა, იხილა, რომ „ძალიან კარგი იყო“[94].

---

[90] იგულისხმება სიკეთე, რომელიც ღმერთის მიერ დვრიტადაა ჩადებული ყველა ქმნილებაში, მთელს ბუნებაში, ვინაიდან სიკეთე, ნეტარი ავგუსტინეს აზრით, ესაა არსებობა, არსება, ფორმა, რაც მხოლოდ ღმერთისგან თუ შეიძლება იღებდეს დასაბამს, რამდენადაც მარტოოდენ ღმერთია უზენაესი არსებობა, უზენაესი არსება, სრულქმნილი ფორმა.

[91] უზენაესი სიკეთე უხრწნელია, იმიტომ, რომ მისთვის უცხოა ყოველგვარი ცვალებადობა („სიკეთის ბუნებისათვის“, 1). უზენაესი სიკეთე და აბსოლუტური უცვლელობა სინონიმური ცნებებია. უზენაესი სიკეთე ვერც უკეთესი გახდება და ვერც უარესი; ის არც მატებას ექვემდებარება და არც კლებას, არამედ ყოველთვის თვითიგივეობრივია, თვითიდენტური.

[92] მეორეს მხრივ, იგივე ითქმის მატერიის მიმართაც, რომელსაც სუბსტანციური არსებობა არ გააჩნია. და მართლაც, რანაირად შეიძლება განიცდიდეს ხრწნილებას ის, რასაც არავითარი წილი არ უდევს არსებობაში, ესე იგი, პირწმინდად განძარცულია ყოველგვარი სიკეთისაგან?

[93] „უთვალავი ფერით“ მოცემული სამყაროს საგანთა სიმრავლეს და მშვენიერებას, მათ ურთიერთდაქვემდებარებას, ამქვეყნიური ჰარმონიის წყაროს - სიკეთისა და სილამაზის გრადაციას ანალოგიურად განიცდიდა ვაჟა-ფშაველა:

[94] დაბად. I, 31.

XIII

19. ხოლო შენთვის, უფალო, სულაც არ არსებობს ბოროტება, და არა მარტო შენთვის, არამედ მთელი შენი ქმნილებისთვისაც, რადგანაც ამ ქმნილების მიღმა არ არის არაფერი, რაც შეიძლებოდა მის წიაში შემოჭრილიყო და დაერღვია შენს მიერ დადგენილი წესრიგი. ბოროტებად ითვლება ის, რაც ცალკე აღებული არ ეთანხმება და ესადაგება რაღაცას, მაგრამ სხვა რამეს კი შეიძლება ეთანხმებოდეს, და არა მარტო ამდენად, არამედ თავისთავადაც კეთილი იყოს. ყოველივე ის, რაც არ ეთანხმება ერთმანეთს, შეიძლება ამ ქვენა სამყაროს ეთანხმებოდეს, რომელსაც დედამიწას ვუწოდებთ ჩვენ, ღრუბლებით დაფარულსა და ქარების სათარეშოდ ქცეულ სამყაროს. ღმერთმა ნუ მათქმევინოს ეს სიტყვები: „უმჯობესი იქნებოდა, ეს ქვეყანა სულაც არ არსებულიყო!“ მის მეტი რომ არაფერი მცოდნოდა, შეიძლებოდა უკეთესი მენატრა, თუმცა მარტოოდენ მისი გულისთვისაც ქვება-დიდებით უნდა ამევსე[95], რადგანაც დიდების ღირსი რომ ხარ, ერთხმად მოწმობენ „ქვეყნით-ვეშაპნი და ყველა უფსკრული, ცეცხლი და სეტყვა, თოვლი, ყინვა და ქარბუქი, შენი სიტყვის მონა-მორჩილნი, მთანი და ყოველი ბორცვი, ყველა კედარი, ყოველი მხეცი და პირუტყვი, ქვეწარმავალნი და ფრთოსანნი, მეფენი ქვეყანისანი და ყოველი ერი, მთავარნი და ქვეყნის ყოველი მსაჯული, ჭაბუკნი და ქალწულნი, მხცოვანნი და ყრმანი, რომელნიც ადიდებენ შენს სახელს“. და კვლავაც „გადიდებდნენ ზეციოთაც, გადიდებდნენ „მაღალთა შინა“, ყოველი ანგელოსი შენი, ყოველი ძალი შენი, გადიდებდნენ მზე და მთვარე, ყოველი შუქურვარსკვლავი, ცანი ცათანი და წყალნი, ზესკენლზე უზენაესნი, დაე, ადიდებდნენ შენს სახელს“[96]. და როცა ყოველივე ეს გონის თვალით წარმოვიდგინე, უკვე აღარა მსურდა უკეთესი. უზენაესი, რა თქმა უნდა, უმდაბლესზე უმჯობესია, მაგრამ როცა საღი განსჯით გავზომე და ავწონ-დავწონე ყველაფერი, იმ დასკვნამდე მივედი, რომ მთელი ქმნილება ერთად უკეთესია, ვიდრე ცალკე აღებული ზენა სამყარო[97].

XIV

20. სულის სისაღე აკლია იმას[98], ვისაც რაღაცა არ მოსწონს შენს ქმნილებათა შორის, როგორც მე მაკლდა, როცა ამდენი რამ არ მომწონდა შენს ქმნილებებში. და რაკი ჩემი სული ვერ ბედავდა ეღიარებინა, ჩემი უფალი არ მომწონსო, ამიტომ არ სურდა შენეულად

[95] ამ მხრივ, ნეტარი ავგუსტინე მთლიანად ეთანხმება პლატონს, ვისი აზრითაც, მატერიალური, გრძნობად-კონკრეტული სამყარო მხოლოდ უფრო დაბალი რანგის რეალობაა ინტელიგიბილურ სინამდვილესთან შედარებით, და ამდენად, მშვენიერიცაა და კეთილიც.
[96] ფსალმ. 148, 7-13.
[97] ნეტარი ავგუსტინე ფიქრობს, რომ ინტელიგიბილური, ზედროული და ზესივრცული სინამდვილე და მისი მატერიალური გამოვლენა - გრძნობად-კონკრეტული სამყარო, ერთად აღებული, უმჯობესია, ვიდრე მარტოოდენ ზენა (ე.ი. ინტელიგიბილური) სამყარო.
[98] შდრ. ფსალმ. 37, 4.

მიეჩნია ის, რაც არ მოსწონდა[99]. სწორედ ამან მიიყვანა იმ აზრამდე, რომ არსებობს ორი სუბსტანცია[100], მაგრამ მაინც ვერ პოულობდა სიმშვიდეს და სხვისი ენით მეტყველებდა. ამ მცდარი წარმოდგენიდანვე გამომდინარემ შექმნა თავისთვის ისეთი ღმერთი, ყოველ მხარეს უკიდეგანოდ რომ განფენილა სამყაროს უსასრულო სივრცეში, შენ დაგსახა ამ ღმერთად, უფალო, თავის თავში დაუდო ბინა და ტაძრად ექცა საკუთარ კერპს, რაც ეგზომ საძულველია შენთვის. ხოლო როცა ჩემდა შეუცნობლად განკურნე ჩემი სნეული თავი და „დამიხუჭე თვალი, რათა არ ეხილა ამაოება“[101], ცოტა არ იყოს, მოვისვენე ჩემივე თავისაგან და მიიძინა ჩემმა სიშლეგემ. მერე შენში გავიღვიძე და ვიხილე, რომ სულ სხვანაირად ხარ უსასრულო, მაგრამ ხორციელი თვალით როდი ვიხილე ეს.

XV

21. თვალი მოვავლე დანარჩენ საგნებსაც, და მივხვდი, რომ შენ უნდა გიმადლოდნენ არსებობას და შენშივე არიან დამკვიდრებულნი, მაგრამ ისე კი არა, როგორც სივრცეში, არამედ სულ სხვანაირად: ყოვლისმპყრობელს ისე გიპყრია ისინი შენმიერ ჭეშმარიტებაში, როგორც ხელში, რადგანაც ყოველი არსებული ჭეშმარიტია, რამდენადაც ის არსებობს, და არა არის რა მოჩვენებითი, გარდა იმისა, რაც არსებულად მიგვაჩნია, თუმცა სინამდვილეში არ არსებობს.

იმასაც მივხვდი, რომ ყველაფერი არა მარტო თავის ადგილს შეესაბამება, არამედ დროსაც, და შენ, ერთადერთი მარადიული არსი, იმას როდი დალოდებიხარ, რომ საუკუნეთა უსასრულო წყებას გაევლო, რათა ქმედებად აღძრულიყო, რადგანაც ეს გარდასული თუ მომავალი საუკუნენი არც გავიდოდნენ და არც მოვიდოდნენ, შენ რომ არ მოქმედებდე და არ ეგო უკუნითი უკუნისამდე[102].

XVI

22. როგორც ჩემმა გამოცდილებამ დამარწმუნა, საკვირველი არა არის რა იმაში, რომ პურს, რომელსაც მადიანად შეექცევა ჯანმრთელი კაცი, რის ვაივაგლახით ღეჭავს

[99] ნეტარი ავგუსტინე მხოლოდ უფრო გვიან მივა პლოტინის მსოფლშეგრძნებამდე: „თავდაპირველად უნდა შევიგნოთ: სიკეთე, რომელსაც ამ ქვეყნად ვეძებთ, ბოროტებასთან შერეულია; მაშ, ნუ მოვითხოვთ, რომ ეს სიკეთე ისეთივე დიდი იყოს, როგორც შეურევნელ არსში; ნუ ვეძებთ ინტელიგიბილურ არსთა სიკეთეს გრძნობად არსთა შორის. რაკიღა სამყაროს სხეული აქვს, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სხეული რაღაცას ანიჭებს მას; და გონებაც მხოლოდ იმდენად მოვთხოვოთ ნარევს თუ ნაზავს, რამდენადაც ნაწილს შეუძლია მისი მიღება... დავუკვირდეთ ყველაზე მომხიბლავ გრძნობად კაცს; მის სილამაზეს მაინც ვერ შევადარებთ ინტელიგიბილური კაცის მშვენებას. მაგრამ მადლიერნი ვიყოთ მისი შემოქმედისა, თუკი ხორცის, ძვლებისა და ძარღვებისაგან შექმნილ ამ არსებაში მაინც მბრძანებლობს გონება, რომელსაც შეუძლია მშვენიერებით შეამკოს იგი და განწონოს მატერია“... („ენნ.“, III,2,7).

[100] იგულისხმება ღმერთი და მატერია, რომელსაც ნეტარი ავგუსტინე თავდაპირველად, მანიქეველთა მოძღვრების გავლენით, სუბსტანციურ არსებობას მიაწერდა.

[101] ფსალმ. 118, 37.

[102] ეს თემა დაწვრილებითაა განვითარებული „აღსარებათა“ მეთერთმეტე წიგნში.

სასამტკივანი; ნათელი, ესოდენ საამო საღი თვალისთვის, აუტანელია სნეულისათვის. არც შენი სიმართლე მოსწონთ ცოდვილთ, მით უმეტეს, ქვეწარმავალნი და ჭიაღუანი, რომელნიც შენ კეთილად შეჰქმენ, ქმნილებათა დაბალი საფეხურის შესაბამისად; ამ საფეხურსვე უახლოვდებიან თვითონ ცოდვილნიც, რადგანაც დაჰკარგეს შენი მსგავსება, და მხოლოდ მაშინ მიაღწევენ უფრო მაღალ საფეხურს, როცა ამ დაკარგულ მსგავსებას დაიბრუნებენ. მე ვცდილობდი გამეგო, რა იყო ცოდვილობა, და ვერ მივადექი სუბსტანციას: არა, ესაა გაუკუღმართებული ნება, რომელმაც ზურგი აქცია უზენაეს სუბსტანციას, ანუ შენ, ღმერთო, რათა უმდაბლესის მიმართ მიქცეულიყო, თავისი შინაგანი რაობის უარმყოფელი და გარე სამყაროში გათქვეფილი.

XVII

23. მიკვრიდა, უფალო, რომ უკვე მიყვარდი; დიახ, სწორედ შენ მიყვარდი და არა შენი ლანდი. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დავმკვიდრებულიყავი შენში და მთელი არსებით ვერ გამეხარა: უჩეულო ძალით მიზიდავდა შენი მშვენება, მაგრამ შენგანვე განმიზიდავდა ჩემი ტვირთი, და მე გმინვით ვემხობოდი ძირს. ეს ტვირთი ხორცის ჩვეულებაა. თუმცა ყოველთვის მახსოვდი და ეჭვიც აღარ მეპარებოდა იმაში, რომ არსებობს ის, ვისაც უნდა დავწაფებოდი, მაგრამ ჯერ კიდევ არ შემწევდა ამისი ძალი, რადგანაც „ეს ხრწნადი სხეული ამძიმებდა სულს, და ეს მიწიერი კარავი ტვირთად აწვა ფიქრით სავსე გონებას“[103]. მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ის, „რაც უხილავია შენში, - მარადიული ძალა და ღვთაებრიობა შენი, - სამყაროს შექმნიდან შენსავე ქმნილებებში ცნაურდება“[104]. და როცა იმაზე ვფიქრობდი, თუ ვინ მომცა იმის უნარი, რომ შემეფასებინა ციურ თუ მიწიერ სხეულთა მშვენიერება, საღად და სწრაფად მემსჯელა ცვალებად საგანთა შესახებ და მეთქვა: ეს ასე უნდა იყოს და არა ისეო, - დიახ, როცა იმაზე ვფიქრობდი, თუ ვინ მომცა ამნაირი განსჯის უნარი, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემს ცვალებად აზრზე მაღლა დგას უცვლელი, ნამდვილი და მარადიული ჭეშმარიტება.

ასე თანდათანობით გადავდიოდი სხეულიდან სულზე, რომელიც სხეულის მეშვეობით გრძნობს, სულიდან - იმ შინაგან ძალაზე, გრძნობებით რომ აღიქვამს გარე სამყაროს (ესაა ცხოველური ცნობიერების ზღვარი)[105], იქიდან კი - განსჯის უნარზე, რომელიც აყალიბებს მსჯელობას იმის შესახებ, რასაც ხორციელი გრძნობებით აღვიქვამთ. მაგრამ როცა ეს უნარი შეიცნობს თავის ცვალებადობას, ის თვითშემეცნებამდე მაღლდება, ყოველივე ჩვეულს განარიდებს აზრს, ერთმანეთში ალუფხული ურთიერთსაპირისპირო ფანტასმებისაგან

[103] სირბძნე სოლომ. IX, 15.

[104] რომ. I, 20.

[105] ესაა ე.წ. „შინაგანი გრძნობა“, რომელიც, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ერთმანეთს უთანხმებს გარეგან გრძნობათა (მზერა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება) ქმედითობის შედეგად გამოწვეულ შთაბეჭდილებებს და, იმავდროულად, გარკვეულ თანაფარდობას ამყარებს აღქმულსა და აღმქმელს შორის (იხ. პროფ. ი.ვ.პოპოვი, დასახ. ნაშრ. ტ.I, ნაწ.II, გვ.24-26).

თავისუფლდება და ცდილობს გაიგოს, მაინც რა ნათელი მოეფინა. ხოლო როცა ღრმად დარწმუნებული წამოიძახებს, რომ უცვლელი უნდა გვერჩიოს ცვალებადს, რომლის მეშვეობითაც ჩასწვდა თვით ამ უცვლელს (რაღაცნაირად რომ არ ჩასწვდომოდა, ვერასდიდებით ვერ შესძლებდა ცვლადზე მაღლა დაეყენებინა უცვლელი), - მაშინ ანაზდეული ნათელფენა[106] უშუალოდ მიიყვანს მასთან, ვინც არის[107], და ვისაც მხოლოდ წამითა ჭვრეტს მოცახცახე მზერა.

სწორედ აქ ავიქვი „შენი უხილავი არსი, ხილულ ქმნილებათა მეოხებით რომ ცნაურდება“[108], მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევძელი თვალი გამესწორებინა მისთვის. ჩემი უმწეობის გამო უკუგდებული კვლავ ჩემს ძველ ყოფას მივუბრუნდი, ხოლო წამით ხილულისაგან აღარაფერი შემრჩა, გარდა სანუკვარი მოგონებისა; რაღა ამნაირი მოგონება და რაღა სანუკვარი კერძის სურნელი, კერძისა, რომლისთვისაც ჯერ კიდევ ვერ შევძელი გემო გამესინჯა.

XVIII

24. მე ვეძებდი გზას, რომელიც ძალას მომაკრებინებდა, რათა შენით დავმტკბარიყავი, მაგრამ ვერსად ვიპოვე იგი, ვიდრე არ ჩავეჭიდე „შუამდგომელს ღმერთსა და კაცთა შორის, კაცს იესო ქრისტეს“[109], რომელიც არის „ღმერთი, ყველაზე ამაღლებული, კურთხეული უკუნისამდე“[110], ვინც გვიხმობს და გვეუბნება: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“[111]; ის საზრდოც, რომლის საგემებლადაც ძალა არ მეყო, და რომელიც ხორცს შეურია უფალმა, რადგანაც „სიტყვა ხორცად იქცა“[112], რათა შენი სიბრძნე, რომლითაც შეჰქმენ ყოველი, ჩვენი სიყრმის რძედ ქცეულიყო.

მე, თვითონ თვინიერებისგან განძარცვულს, არ შემეძლო მეღიარებინა თვინიერი იესო, უფალი ჩემი, და არ მესმოდა, რას გვასწავლის მისი თვინიერება. რადგანაც შენი სიტყვა, მარადიული ჭეშმარიტება, უზენაესი შენს უკეთეს ქმნილებათა შორის, თავის უზანაეს არსამდე აამაღლებს მორჩილთა და თვინიერთ[113], მაშინ როდესაც ქმნილების უმდაბლეს საფეხურზე ჩვენი ტალახისაგან აიგო თავისი მდაბალი სადგომი, რათა საკუთარი თავისაგან განეშორებინა ისინი, ვინც უნდა დაემორჩილებინა და თავისკენ გადაებირებინა იმ მიზნით, რომ ქედმაღლობისაგან განეკურნა და სიყვარული შთაენერგა მათთვის. მას სურდა მზვაობართათვის ხელი შეეშალა იმაში, რომ უფრო შორს შეეტოპათ თავიანთი თვითრწმენით,

[106] იგულისხმება ნეოპლატონიკოსთა „მისსტიკური ინტუიცია“.
[107] იგულისხმება ღმერთი.
[108] რომ. I, 20.
[109] I ტიმ. II, 5.
[110] რომ. IX, 5.
[111] იოანე, XIV, 6.
[112] იოანე, I, 14.
[113] შდრ. მათე V, 5: „ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ მიწას“.

რათა უკეთ ეგრძნოთ საკუთარი უმწეობა, როცა თავიანთ ფერხთით იხილავდნენ ღვთაებას, დაუძლურებულს იმის შედეგად, რომ შეიმოსა ჩვენი ხორციელი გარსი, - და დაღლილ-დაქანცულნი მის წინაშე დამხობილიყვნენ, რათა თავისი აღდგომით აღედგინა ისინი.

XIX

25. მე კი სხვანაირად ვფიქრობდი და ქრისტე, ჩემი უფალი, მხოლოდ უჩვეულო ბრძენკაცად მიმაჩნდა, რომელსაც ვერავინ შეედრებოდა, მით უმეტეს, რომ სასწაულებრივად იშვა ქალწულისაგან, რათა ნიმუში ყოფილიყო იმისა, თუ როგორ შეიძლება უგულებელყო წარმავალი სიკეთე უკვდავების გულისთვის. მე მეგონა, რომ ჩვენს მიმართ სწორედ ამ ღვთაებრივი ზრუნვის წყალობით შეიძინა მისმა მოძღვრებამ ესოდენ დიდი მნიშვნელობა. მაგრამ წარმოდგენაც არ მქონდა იმაზე, თუ რა საიდუმლოს იმარხავენ სიტყვები: „და სიტყვა ხორცად იქცა“[114]. იმ წიგნებიდან, რომლებშიაც მისი ცხოვრება იყო აღწერილი, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ქრისტე ჩვენსავით ჭამდა, სვამდა, ეძინა, დადიოდა, ხარობდა, წუხდა, საუბრობდა; ვიცოდი ისიც, რომ ეს სხეული ვერ შეერწყმოდა შენს სიტყვას ადამიანური სულისა და გონების გარეშე. ეს იცოდა ყველამ, ვისთვისაც ცნობილი იყო შენი სიტყვის უცვლელობა, და, შეძლებისდაგვარად, ვიცოდი მეც; ამ მხრივ, არავითარი ეჭვი არ მეპარებოდა. და მართლაც, საკუთარი ნება-სურვილით ამოძავებდე სხეულის ასოებს, ან სულაც არ ამოძრავებდე მათ, განიცდიდე ან არ განიცდიდე რაიმეს, სიტყვებით გადმოსცემდე გონივრულ აზრს ან მდუმარედ იყო, - ყოველივე ეს ცვალებადი სულისა და გონების ნიშან-თვისებებია. თუკი ამ თვისებებს ზემოაღნიშნული წიგნები მცდარად მიაწერენ მას, მაშინ ყველა დანარჩენ წიგნსაც ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ, ასე რომ, მათში აღარ დარჩება აღარაფერი, რასაც შეეძლო რწმენით ეხსნა და გადაერჩინა კაცთა მოდგმა. მაგრამ რაკი ის, რაც მასზე დაწერილა, სრული სიმართლეა, მეც სრულ კაცად მიმაჩნდა ქრისტე, რომელსაც არა მარტო კაცის სხეული ჰქონდა, ანდა სხეულთან ერთად - სულიც, გონების გარეშე, არამედ ნამდვილაც კაცად, და არა ხორცშესხმულ ჭეშმარიტებად. ამიტომაც, ჩემის აზრით, ის უნდა დაგვეყენებინა ყველა ადამიანზე მაღლა, რადგანაც მისი კაცური ბუნება განუზომლად აღემატებოდა ყოველი კაცის ბუნებას, და სიბრძნესაც ყველაზე სრულად იყო ნაზიარები[115].

ალიპიუსი კი ფიქრობდა, რომ კათოლიკე სარწმუნოების თანახმად, ღმერთმა თვითონ შეისხა ხორცი, ასე რომ, ქრისტე სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთი და ხორცი, რომელსაც კაცის სული უდგას და გონებას ვერ მივაწერთ. რაკიღა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქრისტეს საქმენი, რომელთა ხსოვნაც შემოგვინახა საღმრთო წერილმა, შეიძლებოდა აღესრულებინა მხოლოდ სიცოცხლითა და გონიერებით მოსილ ქმნილებას, ამიტომ ზანტად

[114] იოანე, I, 14.

[115] ნათლისღებამდე ნეტარ ავგუსტინეს მხოლოდ ბრძენკაცად თუ „სრულ კაცად“, ე.ი. სხეულის, სულისა და გონების მქომედ მიაჩნდა იესო ქრისტე.

და ზოზინით უახლოვდებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. მაგრამ შემდეგ, როცა შეიცნო მთელი ცთომილება აპოლინარიუსის მიმდევართა ამ მწვალებლობისა[116], ეკლესიის წიაღს შეუერთდა და სიხარულით აღიარა ჭეშმარიტი სარწმუნოება.

მე კი, მართალი გითხრათ, ცოტა უფრო გვიან მივხვდი, თუ როგორ ემიჯნება კათოლიკე ჭეშმარიტება სიტყვებით - „და სიტყვა ხორცად იქცა“[117], - ფოტინუსის სიცრუეს[118]. მწვალებელთა გმობა და უარყოფა კიდევ უფრო მეტ ნათელს ჰფენს შენი ეკლესიის ჭეშმარიტ აზრსა და მისი წმინდა მოძღვრების მთელ შინაარსს, „რადგან მწვალებლობაც საჭიროა, რათა გამოცდილნი გამოჩნდნენ“[119] უძღურთა შორის.

XX

26. პლატონიკოსთა თხზულებების კითხვამ აღმიძრა აზრი უსხეულმყოფელი ჭეშმარიტება მეძია: მე თვალი ვკიდე „უხილავს შენსას, ქმნილის მეოხებით რომ ცნაურდება“[120], და ამ უხილავისაგან უკუგდებულმა ვიგრძენი, რომ ჩემი სულიერი სიბნელის გამო არ შემეძლო მისი ჭვრეტა. დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ არსებობ და უსასრულო ხარ, მაგრამ სასრულ ან უსასრულო სამყაროში როდი ხარ განფენილი; რომ ჭეშმარიტად ისა ხარ, ვინც მარად ერთი და იგივეა, ყოვლად უცვლელი, ვისი შეცვლაც არაფერს ძალუძს. ყველაფერი შენგან იღებს დასაბამს, რისი ერთადერთი და სარწმუნო საბუთიც ისაა, რომ ყველაფერი არსებობს. დარწმუნებული ვიყავი ამაში, მაგრამ საიმისო ძალა კი არ შემწევდა, რომ შენით მეცოცხლა.

ისე ვყბედობდი, თითქოს დიდი მცოდნე ვყოფილიყავი, მაგრამ „ქრისტეში, ჩვენს მაცხოვარში“[121] რომ არ მეძია გზა ხსნისა, მცოდნე კი არა დასაღუპად განწირული ვიქნებოდი. დიდი სურვილი მქონდა, ნამდვილი ბრძენი ვგონებოდი ხალხს, - ეს იყო ჩემი შეჩვენების მთელი სისრულე, - და კი არ დავტიროდი ჩემს შეცდომებს, არამედ თავიც კი მომქონდა ცოდნით. სად იყო ის სიყვარული, სიმდაბლის საძირკველს რომ ეფუძნება[122], ესე იგი, იესო

[116] იგულისხმება ლაოდიკიის ეპისკოპოსის აპოლინარიუსისა (გარდ. 382 წ.) და მისი მიმდევრების - „აპოლინარისტების“ ერეტიკული მოძღვრება, რომლის თანახმადაც, განკაცებისას (ინკარნაცია) ღვთაებრივი სიტყვა (ლოგოსი) ადამიანის სულს კი არ შერწყმია, არამედ - უშუალოდ მის სხეულს; ხოლო ეს სხეული, აპოლინარისტთა მტკიცებით, პირწმინდად ციური და ზეგარდამო ჩამოსული იყო, ასე რომ, ჯვარცმისას ქრისტე მხოლოდ მოჩვენებითად ევნო. აპოლინარიუსის მწვალებლობა თითქოს არიანიზმის ერთგვარ ანტითეზას წარმოადგენდა, რადგანაც ეს უკანასკნელი ზღუდავდა ქრისტეს ღვთაებრიობას, პირველი კი - მის ადამიანურ ბუნებას. აპოლინარიუსის ერესი დაგმობილი იქნა კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე (381 წ.).

[117] იოანე, I, 14.

[118] იგულისხმება სირმიუზის (პანონია) ეპისკოპოსის (დაახლ. 340 წ.) ფოტინიუსის ერეტიკული მოძღვრება, რომლის თანახმადაც, ქრისტე მხოლოდ ადამიანი იყო, დანარჩენ მოკვდავთაგან მარტოოდენ თავისი სასწაულებრივი დაბადებით, მასზე გადმოსული მადლის სავსებითა და ზნეობრივი სრულქმნილებით გამორჩეული. ფოტინუსის მოძღვრება დაგმობილ იქნა ანტიოქიის (345 წ.), მილანის (346 წ.) და ბოლოს, სირმიუმის (351 წ.) საეკლესიო კრებებზე, ხოლო თვით ფოტინუს მეტსახელად „სკოტინუსი“ („ბნელი“) შეარქვეს.

[119] I კორ. XI, 19.

[120] რომ. I, 20.

[121] ტიტ. I, 4.

[122] შდრ. I კორ. VIII, 1.

ქრისტეს?[123] მასწავლეს კია ეს სიყვარული ჩემს მიერ წაკითხულმა წიგნებმა? მე მწამს, რომ სწორედ შენ ინებე, უმალ ისინი ჩამვარდნოდნენ ხელში, ვიდრე შენს წმინდა წერილს გავეცნობოდი, რათა ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილიყო მათგან მიღებული შთაბეჭდილება, ხოლო შემდეგ, როცა შენი წმინდა წიგნები მოინადირებდნენ ჩემს გულს და შენი მოწყალე თითებით განკურნავდი ჩემს წყლულებს, თვალნათლივ დამენახა, რა დიდი ზღვარი ძევს თვითგანდიდებასა და თვინიერებას შორის, ან რა განასხვავებს ერთმანეთისაგან იმას, ვინც ხედავს ჭეშმარიტ გზას და მის ვემხედველს; გზას, რომელსაც ჩვენს კურთხეულ სამშობლოში მივყავართ, რათა არა მარტო ვიცილოთ, დავიმკვიდროთ კიდევაც იგი.

ჩემს აღზრდას იმთავითვე შენი საღმრთო წერილი რომ სდებოდა საფუძვლად, იმთავითვე რომ შემეტკბე მისი მეშვეობით, და მხოლოდ შემდეგ გადავყროდი პლატონიკოსთა თხზულებებს, იქნებ მათ კიდეც შეერყიათ ჩემი ღვთისმოსაობის მყარი საფუძველი, ანდა, თუ შევძლებდი შემენარჩუნებინა სულის ის ნათელი განწყობილება, რომლის კეთილისმყოფელ გავლენასაც მთელი ჩემი არსება მოეცვა, ვინ იცის, იქნებ ისიც მეფიქრა, რომ ამ წიგნებს შეიძლებოდა არანაკლები სარგებლობა მოეტანა ჩემთვის, მათ გარდა არაფერიც რომ არ გვესწავლა[124].

XXI

27. ამრიგად, მე ხარბად დავეწაფე ამ სათაყვანებელ წიგნებს, რომლებიც შენი სულითაა ნაკარნახევი, უწინარეს ყოვლისა კი - პავლე მოციქულის ეპისტოლეებს. და გაქრა ყველა გაუგებრობა[125], რაც მაცბუნებდა მათი კითხვისას, როცა მეგონა, თითქოს მოციქული თავის თავს ეწინააღმდეგებოდა და არც სჯულსა და წინასწარმეტყველთ ეთანხმებოდა თავისი ქადაგებით: ჩემთვის ნათელი შეიქნა ამ წმიდა გამონათქვამთა ერთობა და ისიც ვისწავლე, თუ როგორ უნდა „ვმსახურებდეთ უფალს შიშით და ვუგალობდეთ ძრწოლით“[126]. მე დავიწყე კითხვა და დავრწმუნდი, რომ ყოველივე ჭეშმარიტი, რაც ფილოსოფოსთა წიგნებში ამომეკითხა, შენს წმინდა წერილშიცაა ნათქვამი შენივე მადლის მეოხებით[127], რათა არავინ იქადოდეს, თითქოს შენგან არ მიეღოს არა მარტო ის, რასაც ხედავს, არამედ თვით ხედვის უნარიც (თუმცა რა აქვს კაცს ისეთი, რაც შენგან არ მიუღია?)[128] და შეიგნოს, რომ არა მარტო

[123] შდრ. I კორ. III, 11.

[124] „ავგუსტინე ასახელებს ორ საფრთხეს, რომელიც ემუქრებოდა, მარტოოდენ ნეოპლატონიკოსთა თხზულებების კითხვით რომ შემოფარგლულიყო: 1) შეიძლებოდა განდგომოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას; 2) ერწმუნა, რომ ფილოსოფიას შეეძლო იგივე მიეცა სულისათვის, რასაც მას საღმრთო წერილი აძლევს“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ.246.

[125] „პავლე მოციქულის გავლენის შესახებ ჰარნაკი წერდა: „მარკიოსი მოციქულთა სწორ მამათა შემდეგ; ირინეოსი, კლიმენტი და ორიგენე აპოლოგეტთა შემდეგ; ავგუსტინე ბერძენ მამათა შემდეგ; შუა საუკუნეების დიდი რეფორმატორები შუასაუკუნეობრივი ეკლესიის წიაღში აგობარდიდან ვესელამდე; ლუთერი სქოლასტიკოსთა შემდეგ; იანხენიზმი ტრიდენტის საეკლესიო კრების შემდეგ - ყველა მათგანში მოქმედებდა და რეფორმაციისკენ წარმართავდა პავლე“ („დოგმატთა ისტორია“, I, 136). - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ.246.

[126] ფსალმ. 2, 11.

[127] პასკალი (ზოგჯერ) უფრო რადიკალი იყო: „იმას, რისი შეცნობაც მხოლოდ ყველაზე დიდმა ხალხმა - მეცნიერების ყველა უშრეტმა ლამპარმა შესძლო, ჩვენი სარწმუნოება თავის ბავშვებს ასწავლის“ (ბლეზ პასკალი, აზრები, თბ. 1981, გვ.291).

[128] შდრ. I კორ. IV, 7.

გიხილავს შენ, რომელიც მარად ერთი და იგივე ხარ, არამედ კიდეც განიკურნება, რათა შენგან განუყრელი იყოს. ხოლო ვისაც შორიდან შენი ხილვა არ შეუძლია, დაე, ისიც შენსკენ მომავალ გზას დაადგეს, რათა მოგეახლოს, გიხილოს და სამუდამოდ შენთან დარჩეს. რადგან თუ ვინმე „შინაგანი კაცისამებრ, მხოლოდ ღმრთის სჯულით ტკბება“[129], მაშინ რაღას უზამს სხვა სჯულს, „რომელიც ეურჩება მისი გონების სჯულს, და იმ ცოდვილი სჯულის ტყვედ აქცევს, რომელიც არის მის ასოებში“[130]. რადგან „მართალი ხარ“[131], უფალო, ჩვენ კი „ვცოდეთ და უსამართლობას ვიქმოდით“[132], უკეთური იყო ჩვენი გზა და „დამძიმდა შენი ხელი ჩვენზე“[133]; სამართლიანად ჩაგვყარე ძველი ცოდვილის, სიკვდილის მთავრის[134] ხელში, რადგანაც მან დაარწმუნა ჩვენი ნება მის ნებას დამსგავსებოდა, რომელიც „ვერ დამკვიდრდა ჭეშმარიტებაში“[135]. რა უნდა ქნას „ბედკრულმა კაცმა? ვინ დაიხსნის სიკვდილის ამ სხეულისაგან“[136], თუ არა შენი მადლი, იესო ქრისტეს, უფლის ჩვენის მეოხებით, რომელიც დაჰბადე „უწინარეს ყოველი საუკუნისა“ და „შენი ყოველი გზის დასაბამიდან“?[137] და რომელშიაც „ამა ქვეყნის მთავარმა“[138] ვერა ჰპოვა რა სიკვდილის ღირსი[139], თუმცაღა მაინც მოაკვდინა იგი; და, ამრიგად, „წარხოცა ჩვენს გამო შეთხზული ხელწერილი, რომელიც იყო ჩვენს წინააღმდეგ“[140].

აი, ეს არ იყო ფილოსოფოსთა წიგნებში; ვერსად ნახავდით მათ ფურცლებზე ამ ღვთისმოსაობის სახეს, ცრემლებს აღსარებისას, „შენდამი შემოწირულ მსხვერპლს - სულს შემუსვრილს, გულს შემუსვრილს და დამდაბლებულს“[141]. ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები ხალხის ხსნა, არც „ქალაქი სასძლოსავით შემკული“[142], არც „წინდი სული წმიდისა“[143], არც ჩვენი გამომხსნელი და გამომსყიდველი სასმისი. არავინ უგალობს იქ უფალს: „მხოლოდ ღვთისადმია მდუმარება ჩემი სულისა, მხოლოდ მისგანაა ჩემი ხსნა, რადგანაც იგია ჩემი ღმერთი და მაცხოვარი, საყრდენი ჩემი: აღარ შევირყევი ამიერიდან“[144]. არავინ უსმენს იქ მხმობელს: „მოდით ჩემთან მაშვრალნი და ტვირთმძიმენი“[145]. ისინი ზიზღით აქცევენ ზურგს

[129] რომ. VII, 22.
[130] რომ. VII, 23.
[131] დას. III, 27.
[132] დას. III, 29.
[133] ფსალმ. 31,4.
[134] იგულისხმება ეშმაკი. ებრ. II, 14.
[135] იოანე, VIII, 44.
[136] რომ. VII, 44.
[137] იგავნი სოლომ. VIII, 22.
[138] იოანე, XIV, 30.
[139] იხ. ლუკა, XXIII, 4; 14-15.
[140] კოლ. II, 14.
[141] ფსალმ. 50, 19.
[142] აპოკ. XXI, 2.
[143] II კორ. V, 5.
[144] ფსალმ. 61, 2-3.
[145] მათე, XI, 28.

მის სწავლას, ვინც „მშვიდია და გულით მდაბალი“[146], რადგანაც „ბრძენთა და გონიერთ დაუფარე ეს და გაუცხადე ჩვილ ბალღებს“[147].

ერთია - ტყით დაბურული მთის თხემიდან ხედავდე მშვიდობის სამკვიდრებელს, მაგრამ ვერ პოულობდე მისკენ მიმავალ გზას და ამაოდ ცდილობდე, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე, თავი დააღწიო ათასნაირ საფრთხეს თუ მახეს, ლტოლვილ მოღალატეებს რომ დაუგიათ ლომისა და დრაკონის წინამძღოლობით[148]; და სულ სხვაა - მისკენ მიმავალ გზას ადგე, ზეციური მთავრის ზრუნვითა და მფარველობი გარემოსილი; იქ, სადაც არ ავაზაკობენ ზეციური მხედრობის მოღალატენი; რომელნიც ისე გაურბიან ამ ციურ ლაშქარს, როგორც საშინელ ტანჯვა-წამებას.

ეს აზრები სასწაულებრივად იდგამდნენ ფესვს ჩემში, როცა ვკითხულობდი „უმცირესს შენს მოციქულთა შორის“[149]; შენს ნამოქმედარს ვჭვრეტთი და შევძრწუნდი.

[146] მათე, XI, 29.
[147] მათე, XI, 25.
[148] იხ. ფსალმ. 90, 13.
[149] I კორ. XV, 9.

წიგნი მერვე

I

1. ღმერთო ჩემო, მინდა გავიხსენო შენი გულმოწყალება, ჩემზე ზეცით გადმოვლენილი, გავიხსენო და მადლი მოგაგო. დაე, აღივსოს შენდამი სიყვარულით „ყოველი ძვალი ჩემი“[1]; დაე, შეგღაღადონ: „უფალო, ვინ არის შენი მსგავსი? შენ შემუსრე ჩემი საკვრელი; შენ შემოგწირავ მსხვერპლს ქებისას“[2]. ვიტყვი, თუ ვით შემუსრე ჩემი საკვრელი, რათა ყველამ, ვინც თაყვანს გცემს, წამოიძახოს: „კურთხეულია უფალი ცაშიაც და მიწაზედაც; დიდია და საკვირველი მისი სახელი“[3].

ჩემი გულის სიღრმეში ცოცხლობდნენ შენი სიტყვები; ტყვედ გყავდი მე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მარადისია შენი სიცოცხლე, მაგრამ ეს მარადისობა გამოცანად რჩებოდა ჩემთვის, რადგან „პირისპირ“ კი არ ვხედავდი, არამედ თითქოს „სარკით და სახით“[4]. იოტის ოდენა ეჭვიც აღარა მქონდა შენი უხრწნელი არსისა და იმის თაობაზე, რომ ის იყო ყოველი არსის წყარო. ის კი არ მინდოდა, რომ უფრო მეტი მცოდნოდა შენზე, არამედ - ის, რომ უფრო მტკიცედ დავმკვიდრებულიყავი შენში[5]. ჩემს წარმავალ ცხოვრებაში არაფერი არ იყო მყარი და აუცილებლად უნდა გამეწმინდა გული ძველი დვრიტისაგან[6]. მე მომწონდა გზა - თვით მაცხოვარი[7], მაგრამ მიმძიმდა ამ ვიწრო გზით სიარული[8]. და შენ ჩამაგონე სიმპლიციანუსისთვის[9] მიმემართა, რაც, ჩემი აზრით, მართლაც კეთილი რჩევა იყო, რადგანაც სიმპლიციანუსი შენს ერთგულ მსახურად მიმაჩნდა, ვის სულშიაც ნათლის სვეტად ჩამდგარიყო შენი მადლი. გაგონილი მქონდა, რომ სიჭაბუკიდანვე მოწიწებით გმსახურებდა. იმხანად უკვე მხცოვანი იყო და, ჩემი აზრით, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც განუხრელად მისდევდა შენს გზას, ბევრი რამ უნდა განეცადა და შეეცნო კიდეც. არც შევმცდარვარ. მე მინდოდა გამენდო მისთვის ჩემი მუდმივი მშფოთვარების

[1] ფსალმ. 34, 10.
[2] ფსალმ. 115, 7-8.
[3] ფსალმ. 8, 2; 75, 2.
[4] I კორ. XIII, 12.
[5] შდრ. ბლეზ პასკალი: „რა დიდი ზღვარი ძევს ღმერთის შემეცნებასა და ღმრთისმოყვარეობას შორის“ („აზრები“, თბ. 1981, გვ. 253). შდრ. აგრეთვე მორის მეტერლისკი: „საკმარისი არ არის, რომ ჩვენ ვფლობდეთ ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება თვით უნდა გვფლობდეს ჩვენ“ („Le Trésor des Humbles“, Paris, 1915. p.239).
[6] შდრ. I კორ. V, 7.
[7] შდრ. იოანე, XIV, 6: „უთხრა მას იესომ: მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“...
[8] შდრ. მათე, VII, 14: „ვინაიდან ვიწროა ბჭე და ძნელია გზა, რომელსაც მივყავართ სიცოცხლისაკენ, და მცირედნი ჰპოვებენ მას“.
[9] სიმპლიციანუსი (გარდ. დაახლ. 401 წ.) - წმ. ამბროსი მედიოლანელის (იხ. პირველი წიგნის შენ. 4) სულიერი მოძღვარი და მისი მემკვიდრე საეპისკოპოსო კათედრაზე. ავგუსტინემ 386 წელს გაიცნო იგი. წმ. ამბროსი ახასიათებდა სიმპლიციანუსს როგორც გამჭრიახი გონების კაცს, რომელის ამხილებდა „ჭეშმარიტებისაგან გამდგარ ფილოსოფიურ მოძღვრებებს“ (წერილები, 65,1). ნეტარმა ავგუსტინემ მას მიუძღვნა ერთი თხზულება: „სხვადასხვა საკითხთათვის, სიმპლიციანუსისადმი“ („De diversibus Quaestionibus ad Simplicianum“, - Patrologia Latina, t. XL, p. 101-148).

ELIBRARY.SOU.EDU.GE

ამბავი: იქნებ ერჩია, როგორ მოვქცეულიყავი ჩემს იმჟამინდელ მდგომარეობაში, რათა შენს გზას დავდგომოდი[10].

2. მე ვხედავდი, რომ შენი ეკლესია სავსეა, მაგრამ ზოგს ერთი გზა აერჩია, ზოგს კი მეორე[11]. ჩემთვის უკვე აუტანელი იყო ჩემი საერო ცხოვრება, მძიმე ტვირთად რომ მაწვა მხრებზე. უწინდებურად აღარა მწვავდა სიმდიდრისა და პატივის მოხვეჭის დაუოკებელი სურვილი, რომელიც მაიძულებდა გამეძლო ესოდენ მძიმე უღლისათვის. ყოველივე ეს აღარც მახარებდა და აღარც მატკბობდა, რადგანაც „შევიყვარე მშვენება შენი სახლისა“[12]. მაგრამ ჯერ კიდევ მაცთური ქალის ტყვეობაში ვიყავი; მოციქული არ მიკრძალავდა ქორწინებას, თუმცა კი გვირჩევდა უკეთესი ხვედრი გვერჩია. რადგანაც ყველაზე მეტად ის სურდა, რომ ყველანი „მისნაირნი ვყოფილიყავით“[13]. მე უმწეომ უფრო საამო რამ ვირჩიე. სწორედ ეს იყო ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ დანარჩენშიაც მორჩილად მივყვებოდი დინებას. ათასგვარი საზრუნავისაგან თანდათანობით ვილეოდი და ვჭკნებოდი, რადგანაც ცოლქმრული ცხოვრების უღელი, რომელში შებმასაც ვაპირებდი, მაიძულებდა ამეტანა თვით ისიც კი, რისი ატანაც უკვე აღარა მსურდა.

ჭეშმარიტების ბაგეთაგან მსმენოდა: „არიან საჭურისნი, რომელთაც თავად დაისაჭურისეს თავი ცათა სასუფევლის გულისთვის“[14]; და „ვისაც წვდომის თავი აქვს, ჩასწვდეს“[15]. „ამაოა ღმერთის უმეცარი ყოველი კაცი, რომელმაც ხილულ სიკეთეთა მიხედვით ვერ შესძლო შეცნობა მისი, ვინც არის“[16]. მე უკვე დავძლიე ეს ამაოება და ავმაღლდი მასზე: ყოველი ქმნილება თვალნათლივ მიმოწმებდა შენს არსებობას[17], და მე გიპოვე შენ, ჩვენი შემოქმედი და შენი სიტყვა, შენში და შენთან მყოფი[18], ერთი ღმერთი, ვისი მეშვეობითაც შეჰქმენ ყოველი[19].

თუმცა არიან სხვა ჯურის მკრეხელნიც, რომელთაც „შეიცნეს ღმერთი, მაგრამ არ ადიდეს იგი, როგორც ღმერთი, და არც მადლი შესწირეს მას“[20]. სწორედ მათ შორის აღმოვჩნდი, მაგრამ „შენმა მარჯვენამ აღმიტაცა“[21] და იქ დამადგინა, სადაც შემეძლო განმეკურნა თავი, რადგანაც შენ უთხარი კაცს: „ღვთისმოსაობაა სიბრძნე“[22], და „ბრძენად ნუ იტყვი თავს“[23],

---

[10] შდრ. ფსალმ. 127,1.

[11] შდრ. აპოკ. I, 11; II, 1-22, სადაც მაცხოვარი უბრძანებს იოანეს წერილები დაუგზავნოს ასიის ეკლესიებს: ეფესში, სმირნაში, პერგამონში, თიატირაში, სარდეში, ფილადელფიასა და ლაოდიკეაში. სადაც აღნუსხული იქნება როგორც მათი კეთილი, ისე უკეთური საქმენი. ნეტარი ავგუსტინეს დროს საეკლესიო ცხოვრება არანაკლები სიჭრელით გამოირჩეოდა, თუ მეტით არა.

[12] ფსალმ. 25, 8.

[13] იხ. I კორ. VII, 25-40.

[14] მათე XIX, 12.

[15] მათე, იქვე.

[16] სიბრძნე სოლომ. XIII, 1.

[17] შდრ. სიბრძნე სოლომ. XIII, 5: „რადგან ქმნილებათა სიდიადისა და მშვენების მიხედვით, მათი შემოქმედიც შეიცნობა“.

[18] იხ. იოანე I, 1.

[19] იოანე I, 2.

[20] რომ. I, 21.

[21] ფსალმ. 17, 36.

[22] იობი, XXVIII, 28.

[23] იგავნი სოლომ. XXVI, 5.

რადგანაც ვისაც „ბრძენკაცებად მოჰქონდათ თავი, შლეგებად იქცნენ“[24]. მე უკვე ნაპოვნი მქონდა ძვირფასი მარგალიტი, რომლის შესაძენადაც უნდა „გამეყიდა ყველაფერი, რაც მებადა, და მეყიდა იგი“[25], მაგრამ ჯერ კიდევ ვყოყმანობდი.

II

3. ამრიგად, მე გავემგზავრე სიმპლიციანუსთან, რომელიც შენი მადლის მეოხებით ეპისკოპოს ამბორისის სულიერი მამა იყო, და ამბროსისაც ჭეშმარიტად მამასავით უყვარდა იგი. ვუამბე ჩემი უთავბოლო ბორიალი ცთომილების გზით და ისიც ვახსენე, პლატონიკოსთა თხზულებები წამიკითხავს-მეთქი, ლათინურად რომ ეთარგმნა ვიქტორინუსს[26], ომელიც ოდესღაც მჭევრმეტყველების მასწავლებელი იყო რომში და, როგორც გავიგე, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული აღესრულა. სიმპლიციანუსმა მომილოცა და მითხრა, ბედი შენი, რომ სხვა ფილოსოფოსთა წიგნები არ ჩაგივარდა ხელშიო; წიგნები, რომლებიც სავსე არიან სიცრუითა და საცთურით „ქვეყნის საწყისთამებრ“[27]. პლატონიკოსთა თხზულებებში კი, მართალია, სულ სხვადასხვა სახით, მაგრამ გამუდმებით შეიძლებოდა ზიარებოდი ღმერთსა და მის სიტყვას. მერე, როცა შემაგონებდა ქედი მომედრიკა ქრისტეს წინაშე, რაც „დაფარულია ბრძენთათვის და გამოცხადებულია - ჩვილთათვის“[28], სიმპლიციანუსმა გაიხსენა თვით ვიქტორინუსი, რომელსაც, მისი რომში ყოფნის დროს, ძალიან კარგად იცნობდა. დუმილით ვერ ავუვლი გვერდს მის ნაამბობს, რადანაც ხმამაღლა უნდა ვაქებდეთ და ვადიდებდეთ შენს მონყალებას. სიმპლიციანუსის მონმობით, ეს იყო ნამდვილი მხცოვარნი ბრძენი, ღრმად განსწავლული თავისუფალ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში, ურიცხვი ფილოსოფიური თხზულების მკითხველი და განმმარტებელი, მრავალი სახელგანთქმული სენატორის მოძღვარი, ვისთვისაც საგანმანათლებლო სარბიელზე ესოდენ სასახელო მოღვაწეობის გამო ძეგლიც კი დაედგათ ფორუმზე[29], რასაც ამ ქვეყნის მოქალაქენი ყველაზე დიდ პატივად თვლიან; და სწორედ ეს ვიქტორინუსი სიბერემდე თაყვანსა სცემდა კერპებს და ღვთისმგმობლურ მისტერიებში მონაწილეობდა, თუმცა ასევე იქცეოდა რომის მთელი

[24] რომ. I, 22.

[25] მათე XIII, 45.

[26] იგულისხმება ცნობილი სწავლული და რიტორი მარიუს ვიქტორინუსი. დაიბადა დაახ. 330 წ. პროკონსულარულ აფრიკაში. დაახლ. 340 წ. რიტორიკის შესასწავლად ჩავიდა რომში, სადაც თავგამოდებით უპირისპირდებოდა ქრისტიანიზმს. მათივე იარაღით რომ ებრძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ, საფუძვლიანად შეისწავლა საღმრთო წერილი, რამაც შემდგომ გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინა მისი მსოფლმხედველობის განვითარებაზე: 355 წელს ქრისტეს სჯულზე მოიქცა. გარდაიცვალა დაახლ. 363 წ. ვიქტორინუსის მრავალრიცხოვანი შრომებიდან მხოლოდ ნაწილმა მოაღწია ჩვენს დრომდე - დაკარგულია პლოტინის „ენნეადების“ მისეული თარგმანი, რომლითაც ნეტარი ავგუსტინე გაეცნო დიდი ნეოპლატონიკოსის მოძღვრებას; დაკარგულია მისი გრამატიკული, დიალექტიკური, რიტორიკული და ეგზეგეტიკური თხზულებები. შემოგვრჩა ვიქტორინუსის ორი თეოლოგიური ტრაქტატი: „ღვთაებრივი სიტყვის დაბადებისათვის“ და „არიუსის წინააღმდეგ“, აგრეთვე პავლე მოციქულის სამი ეპისტოლეს (გალატელთა მიმართ, ფილიპელთა მიმართ, ეფესელთა მიმართ) მისეული კომენტარები (იხ. Etienne Gilson, La Phylosophie au Moyen Age, Paris, 1962, p.121-125).

[27] კოლ. II, 8.

[28] მათე XI, 25. შდრ. მეშვიდე წიგნის შენ. 130.

[29] რომში არსებობდა ე.წ. „ძველი ფორუმი“, იულიუს კეისრის ფორუმი. ავგუსტუსის ფორუმი, ვესპასიანე - ხერვას ფორუმი (ე.წ. „გასასვლელი ფორუმი“ – Forum Transmitivum), ტრაიანეს ფორუმი. ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ვიქტორინუსის ქანდაკება ტრაიანეს ფორუმზე უნდა დაედგათ.

მაშინდელი არისტოკრატია, რომელიც ხალხს თავს ახვევდა ოსირისის კულტს[30]; გამარჯვებული რომი თაყვანს სცემდა მის მიერ ძლეულთა ღმერთებს:

„ათასგვარ ურჩულს, თვით ანუბისს, ძაღლივით მყეფარს,
მათ, ვინც ოდესღაც თავხედურად უტევდა შუბით
ნეპტუნს, ვენერას და დიდ მინერვას“[31].

ყოველივე ამას ამდენი ხნის მანძილზე მგრგვინავი სიტყვით იცავდა მხცოვანი ვიქტორინუსი; და მაინც, მან არ ითაკილა ქრისტეს მონა გამხდარიყო, ყრმა შენი ცხოველმყოფელი წყაროსი[32], რადგანაც თვინიერების უღელი დაიდგა ქედზე[33] და „სირცხვილით მოსილი“ ჯვრის წინაშე დადრიკა შუბლი.

4. უფალო, უფალო, რომელმაც „მოდრიკე ცანი და გადმოდი, შეეხე მთებს და აკვამლდნენ“[34], რანაირად შემოაღწიე ჩემს გულში?

სიმპლიციანუსის სიტყვებით, ვიქტორინუსი საღმრთო წერილს კითხულობდა თურმე, ხარბად ეძებდა ქრისტიანულ წიგნებს, გულმოდგინედ იკვლევდა მათ და აშკარად კი არა, მალულად, როგორც გულითად მეგობარს, ეუბნებოდა სიმპლიციანუსს, მე უკვე ქრისტიანი ვარო; ის კი მიუგებდა, ვერ ვირწმუნებ მაგას, და ვერც ქრისტიანებს მიგათვლი, ვიდრე ქრისტეს ეკლესიაში არ გიხილავო. ვიქტორინუსი იცინოდა: „მაშ, კაცს კედლები აქცევენ ქრისტიანად?“ დაჟინებით იმეორებდა, ქრისტიანი ვარო, სიმპლიცინუსი კი მიავე სიტყვებით პასუხობდა, რასაც მოსდევდა ვიქტორინუსის დამცინავი შენიშვნა კედლების თაობაზე, ქრისტიანად რომ აქცევენ კაცს. თავისი მეგობრების შეურაცხყობას უფრთხოდა, დემონთა ამ ქედმაღალი მსახურებისას, რადგანაც ეგონა, რომ ისინი თავიანთი ბაბილონური დიდების[35] სიმაღლიდან, როგორც ლიბანურ კედართა კენწეროდან, რომელნიც ჯერ კიდევ არ შეემუსრა უფალს[36], - თავიანთ სიძულვილს დაატეხდნენ თავზე. მაგრამ კვლავაც ეწაფებოდა ქრისტიანულ წიგნებს და ისე ხარბად ისრუტავდა წაკითხულს, რომ ურყევი სიმტკიცით განიმსჭვალა, რადგანაც ეშინოდა, ვაითუ ქრისტემ უარმყოსო „წმიდა ანგელოსთა წინაშე“[37], თუკი თვითონ გამბედაობა

[30] ოსირისი - ძველი ეგვიპტური ღვთაება, ბუნებისა და მკვდართა სამეფოს უფალი. ოსირისის კულტმა ფართო გავრცელება ჰპოვა ეგვიპტეში, და არა მარტო ეგვიპტეში. ბერძნები მას დიონისესთან, პლუტონთან, ჰელიოსთან, ოკეანოსთან და თვით ეროსთანაც კი აიგივებდნენ.

[31] ვერგილიუსი, „ენეიდა“, VIII, 698 და შმდ... ანუბის - ძველი ეგვიპტური ღვთაება, საიქიოს უფალი, რომელსაც შავი ძაღლისა თუ ტურის სახით გამოსახავდნენ, ან კიდევ კაცის ტანითა და ტურის თავით. ანუბისს თაყვანს სცემდნენ კინოპოლისში, მემფისში, აბიდოსა და დენდერში. ბერძნული წყაროები მას ზოგჯერ კრონოსთან აიგივებდნენ. ნეპტუნი (ბერძენთა პოსეიდონი) - ზღვებისა და მდინარეების ღმერთი. ვენერა (ბერძნ. აფროდიტე) - სიყვარულის ქალღმერთი. მინერვა (ბერძნ. ათენა) - სიბრძნის ქალღმერთი.

[32] იგულისხმება ახლად ნათელღებული.

[33] შდრ. მათე XI, 29.

[34] ფსალმ. 143, 5.

[35] ბაბილონის შესახებ იხ. მეორე წიგნის შენ. 20.

[36] შდრ. ფსალმ. 28, 5.

[37] ლუკა XII, 9; მარკ. VII, 38.

არ ეყოფოდა „კაცთა წინაშე ეღიარებინა იგი“[38]. ნამდვილ დამნაშავედ მიაჩნდა თავი, რაკიღა რცხვენოდა ერთგულება შეეფიცა შენი სიტყვისთვის, როდესაც სირცხვილის გარეშე მკრეხელურად მსახურებდა მზვაობარ დემონებს და, ამრიგად, თვითონაც მათსავით მზვაობარი ხდებოდა. ბოლოს, ისე შერცხვა მთელი ამ ამაოებისა, ისეთნაირად არცხვინა ჭეშმარიტებამ, რომ თურმე სრულიად მოულოდნელად განუცხადა სიმპლიციანუსს: წავიდეთ ეკლესიაში, ქრისტიანი მინდა გავხდეო. სიხარულით ფრთაშესხმული სიმპლიციანუსიც დაუყოვნებლივ გაჰყოლია მას. რაკიღა რწმენის პირველსაწყისთ ეზიარა, მალე ისიც ისურვა, რომ ხელახლა შობილიყო ნათლისღებით[39]. რომი განცვიფრებული იყო, ეკლესია ზეიმობდა. მზვაობარნი ხედავდნენ ამას და დრტვინავდნენ, კბილებს აღრჭიალებდნენ და ბოღმით დნებოდნენ[40]; ხოლო შენს მონას უფალი ღმერთი ეგულებოდა „სასოებად და არას დაგიდევდათ კაცნიერთა და სიცრუის ტრფიალთ“[41].

5. ბოლოს სარწმუნოების აღსარების ჟამმაც მოაღწია. ყველას, ვინც ნათლისღების მადლს უნდა ზიარებოდა, ბექობზე შემდგარს მთელი ქრისტიანული რომის წინაშე საჯაროდ უნდა წარმოეთქვა ზუსტი სიტყვებით ჩამოყალიბებული და დაზეპირებული ფორმულა - რწმენის სიმბოლო[42]. სიმპლიციანუსის გადმოცემით, მღვდელთმსახურებს ვიქტორინუ-სისათვის შეუთავაზებიათ საჯაროდ კი არა, ფარულად წარმოეთქვა იგი (ჩვეულებრივ, ამას სთავაზობდნენ იმ ხალხს, ვინც შეიძლებოდა შემკრთალიყო და შიშს აეტანა), მაგრამ ვიქტორინუსმა არჩია საჯაროდ განეცხადებინა მორწმუნეთა ბრბოის წინაშე, სულის ხსნის გზას უნდა დავადგეო. განა სხნა ერქვა იმას, რასაც ის ასწავლიდა რიტორთა სკოლაში? მაგრამ მალულად როდი ასწავლიდა! ვინც თამამად ქადაგებდა თავის მრწამსს უგუნურთა ბრბოის წინაშე[43], რატომ უნდა შეეკრთო იმას, რომ შენი სიტყვები ექადაგა შენივე თვინიერი სამწყსოსათვის? და როცა ბექობზე შედგა აღსარების წარმოსათქმელად, ნაცნობთა ბრბოს სიოსავით დაუარა აღტაცების ჩუმმა ჩურჩულმა. ცნობით კი ვინღა არ იცნობდა! სიხარულით ფრთაშესხმულ ხალხში ყველას პირზე ეკერა მისი სახელი: „ვიქტორინუს! ვიქტორინუს!“ მის გამოჩენას აღტაცემის ყიჟინით შეეგება ბრბო, შემდეგ კი სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა: ყველას სურდა მოემინა მისი სიტყვები. ვიქტორინუსმა განსაცვიფრებელი სიმტკიცით აღიარა

[38] ლუკა, იქვე.

[39] „როცა წარმართი დააპირებდა ქრისტიანობა მიეღო, მის მიმართ გარკვეულ წესს ასრულებდნენ: მღვდელი ჯვარს გადასახავდა, ხელთ დაასხამდა, ერთ მწიკვ მარილს მისცემდა და ეტყოდა: მიიღე სიბრძნის მარილი, მშვიდობით რომ შეგიყვანს საუკუნო ცხოვრებაშიო. ამის შემდეგ ის უვკე „კატეხუმენი“ იყო (ბერძნული ზმნიდან „კატეხეო“ – „ზეპირად ვმოძღვრავ“). თუ შემდეგ კატეხუმენი მონათვლასაც მოისურვებდა, ის „თავის სახელს იძლეოდა“, რომელიც დიდმარხვის დამდეგს ნათლისღების მსურველთა სიაში შეჰქონდათ. ნათლისღებას აღდგომის კვირას ასრულებდნენ“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ. 247.

[40] ფსალმ. III, 10.

[41] ფსალმ. 39, 5.

[42] „აი, ეს „ნათლისღების ფორმულა“, რწმენის ძველი სიმბოლო: „მწამს მამა ღმერთის ყოვლისმძლეობა და იესო ქრისტე, მისი მხოლოდშობილი ძე, მაცხოვარი ჩვენი, სული წმიდისა და ქალწული მარიამის მიერ შობილი. პილატე პონტოელის დროს ჯვარცმული და საფლავად დადებული. ის აღდგა მკვდრეთით მესამე დღეს, ზეცად ამაღლდა და მამის მარჯვნივ ზის: ის მოვა, რათა განიკითხოს ცოცხალნი და მკვდარნი, და სული წმიდა; წმიდა ეკლესია; ცოდვათა მიტევება და ხორცის აღდგომა მკვდრეთით“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ. 247.

[43] იგულისხმებიან ვიქტორინუსის მოწაფეები რიტორიკულ სკოლაში.

ჭეშმარიტი სარწმუნოება. ბრბოს სურდა გულში ჩაეკრა ივი; მისკენ გაწვდილი ხელები ყველაზე უკეთ გამოხატავდა ხალხის სიყვარულს და სიხარულს.

III

6. ღმერთო დიდებულო, რატომაა, რომ უფრო მეტად უხარიათ სასომიხდილთ და საზარელი განსაცდელისაგან თავდაღწეულთ სულის ხსნა, ვიდრე იმისა, ვისგანაც მარად განუყრელი იყო სასოება და არც საზარელი განსაცდელი დამუქრებია ოდესმე? აკი შენც, მოწყალეო მამავ ჩვენო, უფრო მეტად შეჰხარი „ერთ მონანულ ცოდვილს, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტ მართალს, რომელთაც არ სჭირდებათ სინანული“[44]. და ჩვენც დიდი სიამოვნებით ვისმენთ, რა სიხარულით მოიგდო მწყემსმა მხრებზე თავისი დაკარგული ცხვარი, ან როგორ ხარობდნენ მეზობლები, როდესაც ქალმა შენს საგანძურს დაუბრუნა მის მიერ ნაპოვნი დრაქმა[45]. და როცა „შენს სახლში“[46] კითხულობენ უმრწემესი ძის ამბავს, სიხარულით ცრემლები გვდის თვალებიდან, რადგანაც ივი „მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“[47]. დიახ, შენ ხარობ ჩვენში და შენს ანგელოსთა შორის, რომელნიც კურთხეულნი არიან შენი წმიდა სიყვარულით. შენ ხომ მარად უცვლელი ხარ და უკუნითი უკუნისამდე უცვლელადვე შეიცნობ ყოველივე იმას, რაც ცვალებადია და წარმავალი[48].

7. რატომ უხარია სულს უფრო მეტად დაკარგული ნივთის პოვნა, რომელიც მას უყვარდა, ვიდრე მისი მუდმივი ფლობა? ვინ მოსთვლის, რამდენი მაგალითი გვიმოწმებს ამას, რამდენი რამ გვიდასტურებს, რომ ეს ასეა. გამარჯვებული იმპერატორი ტრიუმფსა[49] მართავს. რომ არ ებრძოლა, ვერ გაიმარჯვებდა, და რაც უფრო დიდი განსაცდელი ემუქრებოდა ბრძოლის ველზე, მით უფრო საამოა ტრიუმფი. გრიგალი თავის ნებაზე ათამაშებს მეზღვაურებს და ზღვაში დანთქმას უქადის ხომალდს; შიშისაგან ფერმიხდილნი გულის კანკალით ელიან სიკვდილს, მაგრამ ანაზდეულად ცხრება ქარი, მშვიდდება ზღვა და ხალხი ცას ეწევა სიხარულდთ, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო საზარელი იყო შიში. თქვენი ახლობელი ავადაა; მისი მაჯისცემა სასიკვეთოს არას გიქადით; ჭირისუფლებს ისე მწარედ უკვნესის გული, რომ თვითონაც სნეულსა ჰგვანან; მაგრამ, აი, ავადმყოფმა მოიკეთა და სააქაოსაკენ იბრუნა პირი, თუმცა ჯერ კიდევ არ შეუძლია სიარული; მიუხედავად ამისა, ყველა გულშემატკივარს უფრო დიდი სიხარული ეუფლება, ვიდრე ხარობდნენ მაშინ, როცა ის არხეინად დასეირნობდა, ჯანმრთელი და საღსალამათი. თუმცა მარტოოდენ ანაზდეული და

[44] ლუკა XV, 4; 7.
[45] ლუკა XV, 8-9.
[46] ფსალმ. 25, 8.
[47] ლუკა XV, II, 32.
[48] შდრ. „აღსარებანი“, წიგნი მეცამეტე, XVI, 19.
[49] ტრიუმფი - ზეიმი, რომელსაც მადლიერი რომი უმართავდა ბრძოლის ველზე გამარჯვებულ მხედართმთავარს, - ჩვეულებრივ, დიქტატორს, კონსულსა და პრეტორს, იმპერიის ეპოქაში კი - იმპერატორს.

ჩვენდა უნებურად თავს დატეხილი უბედურებანი როდი გვაგრძნობინებენ, რაოდენ საამოა ამქვეყნიური სიკეთით ტკბობა: ხალხი ზოგჯერ განზრახ იკლებს სიამოვნებას, რათა ამ გზით უკეთ შეიტკბოს, რაც საამოა. რა სიამოვნებას მოგვანიჭებს სასმელ-საჭმელი, თუკი არც შიმშილით აგვწვია კუჭი და არც წყურვილი განგვიცდია? ლოთები ხარბად შეექცევიან მლაშე შეჭამანდს, რათა უფრო მეტად მოსწყურდეთ და შემდეგ ღვინის სმით დაიცხრონ წყურვილი. დანიშნულ სასძლოსაც მაშინვე როდი გააგანენ საქმროს, რადგანაც მას უბადრუკ ძღვნად მოეჩვენება თავისი საგრფო, თუკი მასზე მეოცნებეს დიდხანს არ უოხრია და არც თეთრად უთენებია ღამეები.

8. იგივე ითქმის ბილწსა თუ ამაზრზენ, ნებადართულსა და სჯულიერ სიხარულზე, წმინდა თუ უანგარო მეგობრობასა და იმის თაობაზედ, ვინც „მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“[50]: დიდ სიხარულს ყოველთვის წინ უსწრებს კიდევ უფრო დიდი მწუხარება.

რაგომაა ასე, უფალო ღმერთო ჩემო? შენ ხომ შენივე თავისთვის მარადიული სიხარული ხარ, და ისინიც, ვინც გარს გახვევიან[51], მარადის ხარობენ შენში. რაგომ ენაცვლებიან ერთმანეთს ამ საწუთროში სიდუხჭირე და სიჭარბე, თანხმობა და უთანხმოება? ან იქნებ ესაა გრძნობადი სამყაროს კანონი, რომელიც შენ დაუდგინე მას, როცა ზესკნელიდან ქვესკნელამდე, ჟამთა დასაბამიდან დასასრულამდე, ანგელოსიდან მატლამდე, პირველი მოძრაობიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, შენი მართალი საქმით ყველა ქმნილებას მიუჩინე მისი ადგილი, მიუზომე მისი დრო, არგუნე მისი კუთვნილი სიკეთე და მიაგე მისი წილი პატივი. ოჰ, რარიგ მაღალი ხარ „მაღალთა შინა“ და როადენ ღრმა - უფსკრულთ სიღრმეში! არსად მიდიხარ, და მაინც რა გაჭირვებით გიბრუნდებით!

IV

9. მაშ, აღიძარ, უფალო, გაგვაღვიძე და გვიხმე, დაგვდაგე და აგვიტაცე, აგვაგიზგიზე და შენი სიტკბოება გვაკმიე, რათა შეგიყვაროთ და შეგივრდეთ. განა ცოტანი გიბრუნდებიან, ვიქტორინუსის მსგავსად, ჯოჯოხეთური ქვესკნელის უკუნეთიდან? გიახლოვდებიან და გარს ეფინებათ ნათელი[52], რომლის წყალობითაც „იძენენ ხელმწიფებას ღმრთის შვილებად იწოდებოდნენ“[53]. მაგრამ თუ ნაკლებად ცნობილნი არიან, ვინც კარგად იცნობს მათ, ნაკლებად ხარობს მათი ნაცნობობით. ხოლო როცა მრავალნი ხარობენ ერთად, თვითოეულის სიხარული გაცილებით უფრო სრულია: რადგანაც ერთი მეორეს აღანთებს და ააბრიალებს. ეგეც არ იყოს, მრავალთათვიც ცნობილნი არა მარტო მწედ და მეოხად

[50] ლუკა XV, 32.
[51] იგულისხმებიან ანგელოსები.
[52] შდრ. იოანე I, 9
[53] იოანე I, 12.

ევლინებიან თავიანთ მიმდევართ, არამედ წინაც მიუძღვიან მათ ხსნისაკენ მიმავალ გზაზე. აი, რატომაა, რომ უფრო მეტად ხარობენ თვით მათი წინამორბედნი, რადგანაც მარტოოდენ მათ გამო როდი ხარობენ.

ნუმც მოვსწრებივარ, რომ შენს სასუფეველში მდიდრებს უმალ იღებდნენ, ვიდრე ღარიბებს[54], ხოლო კეთილშობილებს - მდაბიორებზე უწინარეს, რადგანაც შენ „გამოარჩიე შლეგნი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვინო ბრძენნი, და უძლურნი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვინო ძლიერნი“[55]. და მაინც, ამ „უმცირესმა შენს მოციქულთა შორის“[56], ვისი პირითაც გახმიანდა შენი სიტყვები, არჩია სავლედ კი არ წოდებულიყო, როგორც უწინ, არამედ პავლედ, დიადი გამარჯვების აღსანიშნავად: ამ მეომარმა სძლია პროკონსულ პავლეს ამპარტავნება, ქრისტეს მსუბუქი უღელი დაადგა ქედზე და, ამრიგად, დიადი მეფის ქვეშევრდომად აქცია იგი[57]. მტერი უფრო სასტიკად მარცხდება მის მიერ, ვინც უფრო მტკიცედ ეპყრა ხელთ, და ვისი მეშვეობითაც ეპყრა მრავალი. მას უფრო მტკცედ უპყრია ხელთ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მათი დიდგვაროვნების მეოხებით, და ასევე უპყრია ხელთ მრავალნი ძლიერთა გავლენის წყალობით[58]. რარიგ მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ მორწმუნენი ვიქტორინუსისა, ვის გულსაც, როგორც შეუვალ ციხე-სიმაგრეს, ფლობდა ეშმაკი[59], და ვისი ენაც, როგორც ბასრი მახვილი, უწყალოდ მუსრავდა მრავალს. სავსებით სამართლიანად ხარობდნენ შენი ძენი, რადგანაც მეუფემ ჩვენმა შებოჭა ძლიერი; მტრის ხელიდან იქნა გამოგლეჯილი, ხოლო შემდეგ - შენს სადიდებლად გამზადებული, მისი ჭურჭელი, „უფლის-ათვის კეთილსასურველი, და ყოველი კეთილი საქმისათვის სახმარი“[60].

V

10. როცა სიმპლიციანუსმა, შენმა მსახურმა, ეს მიამბო ვიქტორინუსზე, მისი მიბაძვის სურვილით აღვნითე: სიმპლიციანუსის მიზანიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს იყო. იქვე დასძინა, რომ იმპერატორ იუალიანეს დროს გამოქვეყნებული კანონი გრამატიკის და რიტორიკის სწავლებას უკრძალავდა ქრისტიანებს[61]; როცა ზემოხსენებული კანონი მასაც შეეხო, ვიქტორინუსმა ამჯობინა საბოლოოდ მიეტოვებინა ფუჭსიტყვაობის ეს სკოლა, და არა შენი

[54] შდრ. იაკ. II, 1-9.

[55] I კორ. I, 27-28.

[56] I კორ. XV, 9. იგულისხმება პავლე მოციქული.

[57] იხ. მოციქ. საქმენი, XIII, 7-12.

[58] „ეს მოსაზრებანი გვიჩვენებენ, რომ ქრისტიანობამ ძალიან ადრე მიმართა თავისი პროზელიტიზმი მაღალი წოდებისაკენ. ქრისტეს სჯულზე ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში მოიქცა მრავალი არისტოკრატი, მაგრამ მათმა რიცხვმა განსაკუთრებით იმატა იმპერატორ კომოდუსის (180-192 წ.) დროს. თვით იმპერატორის სასახლეშიც კი შეხვდებოდით გაქრისტიანებულ კარისკაცებს. ფაქტებს თავი მოუყარა პარნაკმა („Die Mission und Ausbreitung des Christianismus“, 1915, T.II, S.30-47). - პიერ დე ლაბრიოლის შენიშვნა; იხ. დასახ. გამოც. ტ.I, გვ.183.

[59] დედანში - diabolus: წარმართული ღმერთები ქრისტიანობის მიერ ეშმაკებთან იქნენ გაიგივებულნი.

[60] II ტიმ. II, 21.

[61] იგულისხმება იმპერატორი იულიანე განდგომილი (აპოსტატა; 361-363 წ.), რომელმაც უარყო ქრისტიანობა და კვლავ აღადგინა წარმართობა... ხსენებული კანონი 362 წელს გამოქვეყნდა.

სიტყვა, რომელიც „მჭევრმეტყველების უნარს ანიჭებს ჩვილთა ენას“[62]. ამიტომაც იყო, რომ მე უფრო ბედნიერ კაცად მომეჩვენა იგი, ვიდრე მამაკაცად, რაკიღა ხელსაყრელი შემთხვევა ჰპოვა შენთვის მოეძღვნა მთელი სიცოცხლე. მეც ხომ ამისთვის ვგმინავდი, ჩემივე საკუთარი ნების ბორკილით გათანგული. ჩემი ნება მტერს ეპყრა ხელთ, რომელმაც მისგან გამოჭედა ჯაჭვი და ქედზე დამადო. უკეთური ნებისაგან დასაბამს იღებს ბილწი გულისთქმა; გულისთქმის მონა კი ჩვეულებად აქცევს მას. ხოლო ჩვეულების მონობით ჩვეულება აუცილებლობად იქცევა[63]. ამ ურთიერთგადაჭდობილი რგოლებით ვიყავი შეკრული ჩემი სასტიკი მონობის[64] მიერ (ამიტომაც ვახსენე წეღან ჯაჭვი). ხოლო ახალი ნება, რომელიც ის-ის იყო ისახებოდა ჩემში და რომელსაც სურდა, უფალო, შენივე გულისთვის თაყვანი მეცა შენთვის და მხოლოდ შენით ვყოფილიყავ ნუგეშცემული, - ჯერ კიდევ უმწეო იყო საიმისოდ, რომ დაეთრგუნა ძველი ნება, ძვალ-რბილში რომ მქონდა გამჯდარი. ასე რომ, ჩემი ორი ნება - ძველი და ახალი, ხორციელი და სულიერი - ერთმანეთს ებრძოდა და ამ ბრძოლაში ირღვეოდა მთლიანობა ჩემი სულისა[65].

11. მე მესმოდა, რომ თვითონვე ვმოწმობდი იმას, რაზედაც წამეკითხა: „ხორცს სულის საპირისპიროდ სურს, და სულს - ხორცის საპირისპიროდ“[66]. მე ერთითაც ვცხოვრობდი და მეორითაც, მაგრამ უფრო იმით ვცხოვრობდი, რაც მოსაწონად მიმაჩნდა ჩემში, ვიდრე იმით, რაც არ მომწონდა. ამ მხრივ, მე არც კი ვიყავი მე, რადგანაც უმეტესწილად იძულებით ვითმენდი იმას, რაც არ მომწონდა, ვიდრე ჩემი საკუთარი ნება-სურვილით. და მაინც, ჩემს არსებაში ღრმად ფესვგადგმული ჩვეულება გადაულახავ დაბრკოლებად მეღობებოდა წინ, რაკიღა ჩემივე ნებით მივედი იქ, სადაც არ მინდოდა მისვლა[67]. ვის შეუძლია, ან ვისა აქვს იმის უფლება, რომ წინ აღუდგეს სამართლიან მსჯავრს, რომელიც თავს ატყდება ცოდვილს?

---

[62] სიბრძნე სოლომ. X, 21.

[63] ეს სხარტი და ექსპრესული ფორმულა ადამიანის ფსიქიკაში ავტორის ღრმა წვდომაზე მეტყველებს.

[64] ასეთია ცოდვასა და ბოროტ ჩვეულებას დამონებული ადამიანის მდგომარეობა. „სასტიკ მონობას“ უპირისპირდება „თავისუფალი მონობა“, როცა „მსახურებას აუცილებლობა კი არ გვაიძულებს, არამედ სიყვარული“ („ფსალმუნებისათვის“, 99,18).

[65] შდრ. პასკალი, „ცოდვილის მოქცევისათვის“: „პირველი, რასაც ღმერთი შთააგონებს სულს, რომელსაც იმის ღირსად მიიჩნევს, რომ თავისი დაფარული არსის გამოცხადებით შესძრას, ესაა ყოვლად უჩვეულო შემეცნება და უჩვეულო ხედვა, რომლითაც სული სრულიად ახლებურად ჭვრეტს საგნებს.

ეს ახლად მოვლენილი ნათელი აძრწუნებს და უცნაური ძალით აშფოთებს მთელს მის არსებას; და ეს ძრწოლა, ეს შეშფოთება აშკარად ჩრდილავს იმ სიმშვიდეს და აუმღვრევლობას, რასაც აქამდე ანიჭებდა მისთვის ესოდენ სანუკვარი საგნების ჭვრეტა.

მას აღარ ძალუძს მშვიდად დატკბეს ყოველივე იმით, რაც აქამდე ასე ხიბლავდა. მუდმივი ეჭვი ამღვრევს ამ ტკბობას, და ეს შინაგანი ხედვა მთლიანად აქარწყლებს მისთვის ჩვეულ სიტკბოებას, მოგვრილს იმ სანუკვარი საგნების ჭვრეტით, რომლებშიაც ესოდენი თავდავიწყებით ინთქმებოდა და ესოდენ სრულად ითქვიფებოდა მისი გულის მთელი სინაზე.

მაგრამ ის ღვთისმოსაობაში კიდევ უფრო მეტ სიმწარეს ხედავს, ვიდრე ამა სოფლის ამაოებაში. ერთის მხრივ, ხილულ საგანთა ხიბლი უფრო მეტად სძრავს და აღელვებს, ვიდრე სასოება უხილავ საგანთა მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, უხილავ საგანთა უცვლელობა უფრო გულისშემძვრელად მოქმედებს მასზე, ვიდრე ხილულთა ამაოება. და ასე, ამ ორი გრძნობის ჭიდილი იწვევს მის გულაყრილობას და გულაცრუებას, რაც დასაბამს აძლევს სრულ ქაოსს და უწესრიგობას; ესაა მის არსებაში ღრმად ფესვგადგმული ძველი შთაბეჭდილებების, ძველი გრძნობებისა და ახალ განცდათა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შედეგი“ (ბლეზ პასკალი, აზრები, ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურტო ბ.ბრეგვაძემ, თბ. 1981, გვ.21).

[66] გალ. V, 17.

[67] შდრ. რომ. VII, 19-20.

მე უკვე ვეღარ ვიმართლებდი თავს იმით, რასაც ადრე ფარივით ვიშველიებდი: „თუ ამ ქვეყანას არ განვუდგები, რათა შენ გემსახურო, მხოლოდ იმიტომ, რომ ჭეშმარიტება ჯერ კიდევ არ შემიცვნია-მეთქი“, - რადგანაც უკვე ნათელი წარმოდგენა მქონდა მასზე. მიწას მიჯაჭვული უარვყოფდი იმას, რომ შენი მხედარი გავმხდარიყავი, და ისევე ვუფრთხოდი ყოველგვარი ტვირთისაგან განთავისუფლებას, როგორც თვით ტვირთის სიმძიმისა უნდა შშინებოდა[68].

12. საერო ცხოვრების ტვირთი ისეთი მსუბუქი იყო, რომ სიზმარში მეგონა თავი. შენზე ფიქრი იმ კაცის მცდელობას ჰყავდა, გამოღვიძება რომ სურს, მაგრამ ღრმა ძილით ძლეული ხელახლა ინთქმება მასში. ვინ იქნება, სულ მუდამ ძილი რომ სურდეს? - საყოველთაო და საღი განსჯით, ღვიძილი უმჯობესია, - მაგრამ კაცი მაინც ძნელად ელევა ძილს: ასოები დამძიმებია, ძილიც საამო როდია მისთვის, მაგრამ მაინც განაგრძობს თვლემას, თუმცა დიდი ხანია ადგომის დროა. მეც ასევე დაბეჯითებით ვიცოდი, რომ უმჯობესია შენი სიყვარულისთვის მიმეძღვნა თავი, ვიდრე კვლავაც ჩემი გულისთქმის მონა-მორჩილი ვყოფილიყავი. პირველი მხიბლავდა და მატყვევებდა, მეორე კი მიყვარდა და ხელ-ფეხს მიკრავდა. ვერაფერს ვიტყოდი შენი სიტყვების პასუხად: „გაიღვიძე, მძინარევ; აღსდეგ მკვდრეთით, და ქრისტე ნათელს გფენს შენ“[69]. ყველგან თვალნათლივ მივლენდი შენი სიტყვების ჭეშმარიტებას, მაგრამ ამ ჭეშმარიტებით ძლეულს საპასუხო არა მქონდა რა, და მხოლოდ უმწეოდ ვლუღლუღებდი: „ახლავე“, „ამ წუთას“, „ცოტაც მაცალე“, მაგრამ ეს „ახლავე“ და „ამ წუთას“ სულაც არ ნიშნავდა რაიმე განსაზღვრულ ჟამს, ხოლოდ „ცოტაც მაცალე“ უსაშველოდ აჭიანურებდა დროს. ამაოდ ვტკბებოდი „შენი სჯულით, შინაგანი კაცისამებრ“[70], მაშინ როდესაც „ჩემს ასოებში სხვა სჯულს ვხედავდი, რომელიც ეურჩებოდა ჩემი გონების სჯულს, და იმ ცოდვილი სჯულის ტყვედ მხდიდა, რომელიც იყო ჩემს ასოებში“[71]. ხოლო ეს „ცოდვილი სჯული“ ძალაა და მეუფება ჩვეულებისა, რომელსაც მტკიცედ უპყრია ხელთ და თავის ნებაზე ათამაშებს სულს, თვით მისდა უნებურად; ახია მასზე, რაკიღა თავისი ნებით იქცა ამ ჩვეულების ნადავლად. ვინღა დამიხსნის უბედურს „სიკვდილის ამ სხეულისაგან“[72], თუ არა შენი მადლი, რომელსაც გვანიჭებ უფლის ჩვენის - იესო ქრისტეს მეოხებით?

VI

13. აღსარებას გეუბნები, უფალო, მწევ ჩემო და მხსნელო ჩემო; აღსარებას გეუბნები და იმასაც ვიტყვი, თუ როგორ დამიხსენ ხორციელ გულისთქმათა დამთრგუნველი ხუნდებისა და ამქვეყნიურ საქმეთა მონობისაგან.

[68] შდრ. ტიმ. II, 4.
[69] ეფეს. V, 14.
[70] რომ. VII, 22.
[71] რომ. VII, 23.
[72] რომ. VII, 24.

მე კვლავ ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემი მღელვარება კვლავაც იზრდებოდა. დღენიადაგ ვჭმუნავდი შენს გამო და შენს ეკლესიაშიც დავდიოდი, რამდენადაც ამის საშუალებას მაძლევდნენ ჩემი საქმენი, რომელთა სიმძიმითაც ქანცგაწყვეტილი ვგმინავდი. ჩემთან იყო ალიპიუსი, რომელიც უკვე აღარ ასრულებდა იურისკონსულის მოვალეობას, რასაც თავი დააღწია მას შემდეგ, რაც უკვე მესამედ იყო ასესორად[73]. მოთმინებით უცდიდა მუშტარს, ვისთვისაც შეეძლო მიეყიდა თავისი რჩევა, როგორც მე ვყიდიდი მჭევრმეტყველების ხელოვნებას (თუკი დავუშვებთ, რომ შეიძლება ვინმეს ასწავლო იგი). ნებრიდიუსიც დაჰყვა ჩვენს მეგობრულ თხოვნას და თანაშემწედ დაუდგა ჩვენს გულითად მეგობარს, მედიოლანელ ვერეკუნდუსს, რომელიც გრამატიკოსი იყო და გულით უნდოდა ერთ-ერთი ჩვენგანი აეყვანა ერთგულ თანაშემწედ, რომელიც ძალიან სჭირდებოდა და, რაკი ჩვენი მეგობარი იყო, უფლებაც ჰქონდა ჩვენთვის მოეთხოვა იგი. ნებრიდიუსი გამორჩენის სურვილმა როდი მიიყვანა მასთან (გაცილებით მეტს მიაღწევდა, დამოუკიდებლად რომ დაეწყო მასწავლებლობა): არა, ამ უსათნოესმა და უსათუთესმა მეგობარმა კეთილმოსურნეობის გამო ვალდებულად ჩათვალა თავი და არ უგულებელყო ჩვენი თხოვნა. ახალ ადგილას ძალზე კეთილგონივრულად იქცეოდა: თავს არიდებდა სახელის მოხვეჭას „ამა ქვეყნის ძლიერთა“ შორის და, ამრიგად, გაურბოდა სულის ყოველგვარ მღელვარებას; ის მხოლოდ სულიერ თავისუფლებას მიელტვოდა და ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დრო გამოენახა კვლევა-ძიებისა თუ წიგნების კითხვისათვის და ბრძნული საუბრის მოსასმენად.

14. ერთ მშვენიერ დღეს - ახლა ვეღარ ვიხსენებ, რატომ არ იყო ნებრიდიუსი ჩვენთან, - მე და ალიპიუსს ვინმე პონტიციანუსი გვეწვია, ჩვენი თანამემამულე, რადგანაც ისიც აფრიკელი იყო, ხოლო ამჟამად დიდი გავლენით სარგებლობდა სასახლის კარზე. არ მხსოვს, რა საქმე ჰქონდა ჩვენთან. სასაუბროდ დავსხედით. შემთხვევით თვალი მოჰკრა წიგნს, რომელიც ჩვენს წინ მდგარ სათამაშო მაგიდაზე იდო; აიღო, გადაფურცლა და პავლე მოციქულის ეპისტოლენი შერჩა ხელში, თუმცა, ალბათ, ეგონა, რომ მჭევრმეტყველების სახელმძღვანელო იქნებოდა, რომელიც უკვე ყელში მქონდა ამოსული. გაიღიმა, გაოცებულმა შემომხედა და მომილოცა, რო სხვა კი არა, სწორედ ეს წიგნი მედო მაგიდაზე. ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და მრავალგზის განრთხმულა შენს წინაშე, ღმერთო ჩვენო, როცა ხშირად დიდხანს ლოცულობდა ეკლესიაში.

როცა ვუთხარი, ამჟამად ყველაზე ხშირად საღმრთო წერილს ვკითხულობ-მეთქი, ანტონზე, ამ ეგვიპტელ ბერზე, ჩამოგვიგდო სიტყვა, ვისი სახელიც სიწმინდის შარავანდედით იყო მოსილი შენს მსახურთა თვალში, ჩვენთვის კი მხოლოდ იმ წუთას გახდა ცნობილი[74]. ეს რომ გაიგო, პონტიციანუსმა კვლავ ანტონ ეგვიპტელზე განაგრძო საუბარი; გატაცებით

[73] ასესორი - იურისკონსული, ოფიციალური პირების თანაშემწე იურიდიულ საკითხებში.
[74] იგულისხმება წმ. ანტონი დიდი (251-356 წ.), სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელი.

გვაცნობდა ამ საოცარ კაცს, რომელიც სრულიად უცნობი იყო ჩვენთვის, და უკვირდა, რომ დღემდე არაფერი გვსმენოდა მასზე. გაოგნებული დავრჩით: თურმე ნუ იტყვით და, აგერ აქვე, თითქმის ჩვენს დროში, ეჭვშეურევლად დადასტურებულა შენი მრავალი სასწაული, უფალო, ჭეშმარიტი რწმენით აღსრულებული კათოლიკე ეკლესიაში. ყველას გვიკვირდა: ჩვენ - სიდიადე ამ უჩვეულო ამბებისა, პონტიციანუსს კი - ის, რომ პირველად ვისმენდით ამას.

15. ამის შემდეგ მონასტერთა სიმრავლესა და ბერ-მონაზონთა ზნე-ჩვეულებებზე ჩამოაგდო სიტყვა, ზნე-ჩვეულებებზე, შენს კეთილსურნელებას რომ აფრქვევენ; ილაპარაკა განდეგილებით სავსე უდაბნოებზედაც, რომელთა შესახებაც დღემდე არაფერი ვიცოდით. თვით მედიოლანუმშიც, ქალაქის გალავანს გარეთ ყოფილა მონასტერი, სავსე კეთილ ძმათა კრებულით[75], რომელთაც ამბროსი მფარველობდა თურმე (ესეც პირველად გავიგეთ). პონტიციანუსი განაგრძობდა ლაპარაკს, ჩვენ კი, სმენად ქცეულნი, ვდუმდით. მერე სხვა ამბავიც მოგვიყვა: ერთხელ ტრევერიში[76], ნაშუადღევს, როცა იმპერატორი საცირკო სანახაობის ყურებით იყო გართული, სამ ამხანაგთან ერთად ქალაქგარეთ მდებარე ბაღში გასულა სასეირნოდ. ისა და მისი ერთ-ერთი ამხანაგი დანარჩენ ორს დაშორებიან: ერთი ერთ მხარეს წასულა, ორიც - მეორეს. სეირნობისას ეს მეორე წყვილი ერთ ქოხს წასწყდომია, სადაც შენი მსახურნი ცხოვრობდნენ, - „გლახაკნი სულითა“, რომელთაც უნდა დაიმკვიდრონ „ცათა სასუფეველი“[77]. იქ უნახავთ წიგნი, რომელშიაც წმინდა ანტონის ცხოვრება ყოფილა აღწერილი[78]. ერთ მათგანს გადაუშლია წიგნი და კითხვას შესდგომია: კითხულობდა, უკვირდა და უჩვეულოდ აღგზნებულს თანდათანობით ეუფლებოდა იმის სურვილი, რომ თვითონაც ამნაირი ცხოვრებით ეცხოვრა, მიეტოვებინა საერო სამსახური და შენი მსახური გამხდარიყო, უფალო. ორივენი ხომ იმპერატორის მცველები იყვნენ. და, აი, ანაზდად, წმინდა სიყვარულით აღსავსემ, საღვთისმოსაო კრძალვით აღძრულმა და თავის თავზე განრისხებულმა მეგობარს მიაპყრო მზერა და წამოიძახა: „მითხარი, გეთაყვა, რას მოველით ჩვენი ამდენი შრომის სანაცვლოდ? ანდა რას ვეძებთ? რისთვის ვმსახურობთ? რისი იმედი უნდა გვქონდეს სასახლის კარზე? მხოლოდ იმისა, რომ „იმპერატორის მეგობრებად“[79] ვიწოდებოდეთ? მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიაც კი რამდენი ხიფათი და განსაცდელი გველის! ამდენი ფათერაკი გამოვლო და უფრო დიდ ფათერაკში ჩაიგდო თავი?! ან კი როდის

[75] „მე მინახავს წმიდათა სავანე მედიოლანუმში; ისინი ცოტანი როდი იყვნენ, ხოლო მათ სათავეში იდგა ერთადერთი მღვდელი, კაცი სწავლული და წარჩინებული“ (ნეტარი ავგუსტინე, „კათოლიკე ეკლესიის სხვაობისათვის“, 32-33).

[76] ტრევერი (დღევანდელი პრუსიის ქალაქი ტრირი) - რომისა და ბიზანტიის იმპერატორების ადგილსამყოფელი გერმანიაში, იმპერატორებისა, რომლებიც რაინის არმიას სარდლობდნენ (სხვადასხვა დროს აქ ყოფილან იულიუს კეისარი, ავგუსტუსი, მაქსიმიანე, კონსტანტინე ქლორუს, კონსტანტინე I, კონსტანტინე I, ვალენტინიანე I, ვალენტი, გრაციანე, ვალენტინიანე II, მაქსიმე, თეოდოსი). ამ გარემოებამ განაპირობა ტრევერის სწრაფი ზრდა და აყვავება. პოეტი დეციმუს მაგნიუს ავზონიუსი (გარდ. დაახლ. 295 წ.), იმპერატორ გრაციანეს მასწავლებელი, რომელიც ერთხანს ცხოვრობდა ტრევერიში, მას „იმპერიის მეორე სატახტო ქალაქს“ უწოდებდა. რომის იმპერიის დამხობის შემდეგ ტრევერი პირწმინდად გაძარცვეს და დაანგრიეს ბარბაროსებმა (ალამასები, ფრანკები, ვანდალები, ჰუნები).

[77] მათე V, 3.

[78] წმ. ანტონის (იხ. აქვე, შენ. 74) ცხოვრება დიდი მეუდაბნოის სიკვდილიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ (357 წ.) დაუწერია წმ. ათანასეს, ვისი თხზულებაც მეოთხედი საუკუნის შემდეგ ლათინურად უთარგმნია ევაგრე ანტიოქიელს.

[79] იგულისხმება იმპერატორთან დაახლოებულ სენატორთა თუ მხედართა წოდების წარმომადგენელთა ვიწრო წრე; ეს იყო ერთგვარი „მრჩეველთა საბჭო“, რომლის სხდომებზეც განიხილავდნენ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხებს.

მივაღწევთ ამნარი მდგომარეობას? ღვთის მეგობარი კი, თუ მოვინდომებ, შემიძლია ამ წამსვე გავხდე“.

ესა თქვა და ახალ ცხოვრებაში დაბადების ტკივილებით გაწამებულმა კვლავ წიგნში ჩარგო თავი: კითხულობდა და უჩვეულო ცვლილებას განიცდიდა მისი გული, რასაც მხოლოდ შენ ხედავდი, უფალო; ცდილობდა განდგომოდა საწუთროს, რაც მალე გამჟღავნდა კიდეც. წიგნის კითხვაში ჩაფლულმა და უჩვეულო მღელვარებით მოცულმა საბოლოოდ განსაზღვრა და გადაწყვიტა, რა იყო უკეთესი; ის უკვე შენი გახდა, უფალო, და თავის მეგობარს უთხრა: „ამიერიდან სამუდამოდ ვივიწყებ ჩვენს უწინდელ იმედს; აი, ამ წუთს და ამ ადგილას გადავწყვიტე ღმერთს ვემსახურო. თუ არ მომბაძავ, ხელს მაინც ნუ შემიშლი“. მანაც მიუგო: ამნაირი საზღაურისა და სამსახურისთვის შენი ერთული მეგობარი ვიქნებიო. ისინი უკვე შენ გეკუთვნოდნენ და ოცნებაში მათთვის ხელსაყრელ ფასად აგებდნენ სულის ხსნის კოშკს; მიატოვეს ყველაფერი, რომ შენს კეთილ კვალს შესდგომოდნენ[80].

ამასობაში კი პონტიციანუსი თავის თანმხლებთან ერთად ბაღის მეორე მხარეს დასეირნობდა. თავიანთი ამხანაგების ძებნაში იმავე ქოხს მიადგნენ, სადაც ნახეს ისინი და უთხრეს, უკან დაბრუნების დროაო, რადგანაც დღე იწურებოდა. ამხანაგებმა თავიანთი გადაწყვეტილება გაანდეს და ისიც აუწყეს, თუ რამ აღუძრათ და განუმტკიცათ ამის სურვილი; თანაც სთხოვეს, თუ არ შემოგვიერთდებით, ჩვენსას მაინც ნუ გადაგვათქმევინებთო. პონტიციანუსმა და მისმა თანმხლებმა არ გაიზიარეს თავიანთი ამხანაგის გადაწყვეტილება, თუმცა თავიანთი თავი კი გამოიტირეს. მოწიწებით მიულოცეს მეგობრებს ახალი ცხოვრების დაწყება და მათ ლოცვა-ვედრებას მიანდეს თავი. შემდეგ ამქვეყნიური საზრუნავით გულდამძიმებულებმა სასახლისაკენ გასწიეს, ის ორნი კი, ზეცის მიმართ მოდრეკილი გულით, ქოხში დარჩნენ. თუმცა ორივე დანიშნული იყო: თავიანთი საქმროების გადაწყვეტილება რომ გაიგეს, უფალო, საპატარძლოებმაც მოგიძღვნეს თავიანთი ქალწულება.

VII

16. ამას გვიყვებოდა პონტიციანუსი, შენ კი, უფალო, ვიდრე ის ლაპრაკობდა, ჩემი თავისკენ მიმაქცევინე მზერა, მაიძულე, საკუთარ ზურგს ამოფარებულს მიმეტოვებინა ჩემი სამალავი, სადაც მშვიდად მოვკალათებულიყავი და ვერ ვბედავდი ჩემი თავისთვის გამესწორებინა თვალი. შენ დამაყენე საკუთარი თავის პირისპირ, რათა დამენახა ჩემი სიმახინჯე და სიბილწე, ჩემი უბადრუკობა, ჩემი მწიკლოვანება და წყლულება. მეც დავინახე და შევძრწუნდი, მაგრამ გასაქცევი გზა მოჭრილი მქონდა. ვცდილობდი თვალი ამერიდებინა ჩემი თავისთვის, მაგრამ პონტიციანუსი იქვე იყო თავისი ნაამბობითურთ, ასე რომ, კვლავ ჩემივე თავის პირისპირ მაყენებდი, უფალო, და მაიძულებდი თვალმოუშორებლივ მეცქირა

[80] შდრ. ლუკა XIV, 28.

მისთვის: „შეხედე შენს უსამართლობას და შეიზიზღე იგი“. მე რა ხანია ვიცოდი ჩემი უკეთურება, მაგრამ განზრახ ვხუჭავდი თვალს და ვცდილობდი დამევიწყებინა იგი[81].

17. რაც უფრო გულმხურვალედ მიყვარდა ისინი, ვისზედაც მსმენოდა, რომ ცხოველმყოფელი გზნებით აღძრულთ მთლიანად მოგიძღვნეს თავი განსაკურნავად, მით უფრო მძაფრად მძულდა, მათთან შედარებით, ჩემი თავი. რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ (თორმეტი წელი მაინც იქნება), რაც ციცერონის „ჰორტენზიუსმა“ ცხრამეტი წლის ჭაბუკს სიბრძნის სიყვარული აღმიგზნო გულში[82], მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შევიძულე ამქვეყნიური ბედნიერება და ვცდილობდი სამერმისოდ გადამედო ძიება იმ სიკეთისა, რომლის არა მარტო მიკვლევა, მარტოოდენ ძიებაც კი ათასწილ სჯობს ამა ქვეყნის ყველა საუნჯეს, ყველა სამეფოს თუ სიტკბოებას, რომელიც თითქოს მზადაა ყოველ წამს მიგვცეს ხორციელი განცხრომის ზვირთებს. ოჰ, რა უბადრუკი ვიყავი სიჭაბუკისას, მეტადრე სიჭაბუკის გარიჟრაჟზე, უმანკოებასაც კი გთხოვდი და გევედრებოდი: მომეც უმანკოება და კრძალულება, მაგრამ არა ახლავე-მეთქი. თითქოს მეშინოდა, მაშინვე არ შეგესმინა ჩემი ვედრება და არ განგეკურნა უკეთური გულისთქმა ჩემი[83]: მერჩია კი არ ჩამეხშო, არამედ დამეცხრო იგი. ასე ვიდოდი მკრეხელური ცრურწმენის „ძრუდე გზებით“[84], მაგრამ იმიტომ კი არა, რომ დარწმუნებული ვიყავი მის სისწორეში: მე მას თითქოს ვამჯობინებდი სხვა მოძღვრებებს, მაგრამ ქედმოდრეკით კი არ ვიკვლევდი ამ უკანასკნელთ, არამედ მტერივით ვებრძნოდი მათ[85].

18. რაკი დღეები დღეებს მისდევდა, მე კი ვერასდიდებით ვერ ველეოდი ფუჭ იმედებს, რათა მხოლოდ შენს კვალს შევდგომოდი, ამის მიზეზი კი ის მეგონა, რომ ვერას ვხედავდი ცხადს და გარკვეულს, რათა მისკენ წარმემართა ჩემი ნაბიჯი. მაგრამ, აი, მოვიდა დღე, როცა შიშველ-ტიტველი წარვსდექი ჩემივე თავის წინაშე და ჩემმა სინდისმა შემომღაღადა: „სად არის შენი სიტყვა? აკი ამბობდი, იმიტომ ვერ ვიცილებ ამაოების უღელს, რომ ჭეშმარიტება დაფარულია ჩემთვისო? მაგრამ შენთვის უკვე ნათელია ჭეშმარიტება, ის კი კვლავ დამთრგუნველად მოქმედებს შენზე. უფრო თავისუფალ მხრებს უკვე ფრთები გამოესხა: არც ამდენი ძიებით გაწამებულან და არც ათი თუ მეტი წელი გაუტარებიათ გამუდმებულ ფიქრსა და ტვინის ჭყლეტაში“.

ასე ვიტანჯებოდი შერცხვენილი; სინდისი მქენჯნიდა პონტიციანუსის ლაპარაკისას. ბოლოს საუბარი დასრულდა და ისიც გავიგეთ, თუ რამ მოიყვანა ჩვენსას. პონტიციანუსი შინ წავიდა, მე კი ჩემსავე თავს ჩავუღრმავდი. რაღა არ ვაკადრე საკუთარ თავს! რანაირი აზრების მათრახი აღარ ვუცხუნე ჩემს სულს, რათა ნებას დამყოლოდა და შენს კვალს დასდგომოდა.

[81] შდრ. ფსალმ. 35, 3.
[82] იხ. მესამე წიგნის შენ. 14.
[83] შდრ. სიბრძნე ზირაქ. II, 15.
[84] შდრ. სიბრძნე სოლომ. II, 16.
[85] ნეტარი ავგუსტინე კვლავ თავის მანიქეისტურ წარსულს იხსენებს.

მაგრამ უწინდებურად მეურჩებოდა, კვლავ თავის აზრზე იდგა და დანაშაულში გამოტეხას არ აპირებდა. ამოიწურა და უარყოფილ იქნა ყველა მისი საბუთი, მაგრამ დარჩა უტყვი მშფოთვარება: სიკვდილივით უფრთხოდა იმას, ვაითუ ცხოვრების ჩვეული კალაპოტიდან ამომაგდონო, კალაპოტიდან, რომელშიაც ისე ჩამყაყებულიყო, რომ ხრწნილებას აღარაფერი უკლდა.

VIII

19. იმ დიდ შფოთსა და აყალმაყალში, ჩემს შინაგან სამკვიდრებელში, კერძოდ, მის ყველაზე მყუდრო ადგილას - ჩემს გულში რომ ავუტეხე საკუთარ სულს, სახეშეშლილი მივვარდი ალიპიუსს და შლეგივით შევბღავლე: „რა ამბავია ჩვენს თავს?! გაიგონე? აღიძვრიან უმეცარნი და მიიტაცებენ ცათა სასუფეველს[86], ჩვენ კი, ამ ჩვენი უსულო მეცნიერებით, კვლავაც ხორციელ მწვირეში ვგორავთ! რაკიღა ჩვენზე წინ არიან, გვეთაკილება მათ გზას გავყვეთ, ხოლო ის ამბავი, რომ ერთი ნაბიჯიც არ გადავდგათ ამ გზაზე, სულაც არ გვეჩვენება სათაკილოდ?“[87]

არ ვიცი, ამას რა მოვაყოლე; გაშმაგებული გავეცალე ალიპიუსს, გაოგნებული უსიტყვოდ რომ შემომცქეროდა. ამნაირი რამ არასოდეს სმენოდა ჩემგან. ჩემს მაშინდელ სულიერ მდგომარეობას ჩემი შუბლი, ღაწვები, თვალები, სახის ფერი და ხმის ჟღერადობა უკეთ გამოხატავდნენ, ვიდრე ჩემივე სიტყვები.

ჩვენი სახლი პატარა ბაღში იდგა, რომლითაც ისევე ვსარგებლობდით, როგორც მთელი სახლით, რადგანაც ჩვენი მასპინძელი, რომელმაც შეგვიფარა, აქ არ ცხოვრობდა. აღელვებულმა სწორედ ამ ბაღს მივაშურე, სადაც არავინ შემიშლიდა ხელს იმაში, რომ ბოლომდე მიმეყვანა ეს სასტიკი ბრძოლა, რომელიც ჩემს თავს გავუმართე, მაგრამ რანაირი იქნებოდა ეს ბოლო, მე კი არა, მხოლოდ შენ იცოდი, უფალო: გონებამიხდილი ვიყავი, რათა გონს მოვსულიყავი; ვკვდებოდი, რათა მეცოცხლა; ვიცოდი, რა ბოროტებაშიაც ვიყავი დანთქმულიმ, მაგრამ არ ვიცოდი, რანაირი სიკეთე მელოდა სულ მალე.

ამრიგად, ბაღს მივაშურე; ალიპიუსი კვალდაკვალ მომყვა. მის სიახლოვეს სულაც არ დაურღვევია ჩემი მარტოობა. მას კი რა ექნა: ამ დღეში ხომ ვერ მიმატოვებდა?

სახლიდან მოშორებით დავსხედით. სული ყრუდ შემომკვნესოდა, საშინლად აღშფოთებული იმის გამო, რომ ამდენ ხანს ვაყოვნებდი შენსკენ ნაბიჯის გადმოდგმას, ხოლო ამ ნაბიჯის გადმოდგმა რომ საჭირო იყო, ამას ღაღადებდა „ყოველი ძვალი ჩემი“[88], და ეს ღაღადისი

[86] იხ. მათე XI, 12.

[87] ძალზე მნიშვნელოვანი სიტყვებია, რომლებიც გარკვეულწილად გვიმჟღავნებენ ქრისტეს სჯულზე ნეტარი ავგუსტინეს მოქცევის ჭეშმარიტ მოტივს, რასაც უშუალოდ ერწყმის ერთგვარი ირრაციონალური იმპულსი, რომლის გაშიფვრაც ინტელექტუალური მკითხველისათვის მიგვინდია.

[88] ფსალმ. 34, 10.

შენს ქებად და დიდებად უწევდა ზეცას. შენთან მოსაახლებლად კი სულაც არ არის საჭირო ხომალდზე თუ ოთხთვალა ეტლზე ახვიდე, ანდა ფეხით დაადგე გზას[89]: მანძილი იმაზე მეტი როდია, რაც ჩვენს სახლსა და ამ ადგილს შორის, სადაც ვისხედით. შენ მხოლოდ ფეხის მოცვლა ისურვე და არა მარტო უკვე გზაში ხარ, არამედ მიზანთანაც, მაგრამ ეს შენი სურვილი მეტისმეტად ძლიერი უნდა იყოს, მთელის არსებით უნდა ისწრაფოდე ღმერთისკენ, და არა ისე, წინსვლას რომ აპირებ და ფეხი უკან გრჩება, რადგანაც მეტის თავი არა აქვს ნახევრად დაჭრილ ნებას[90], სადაც ერთი სურვილი მეორეს ებრძვის, და თუ ერთი ზეცისკენ ილტვის, მეორე მიწას განარცხებს.

20. ამ ყოყმანში, ბორგვასა და ბობოქრობაში ისეთ უცნაურ მოძრაობებს ვასრულებდი, რომელთა შესრულება იქნებ კიდევაც უნდოდეს ზოგიერთს, მაგრამ არასდიდებით არ შეუძლია, ან იმიტომ, რომ სხეულის შესაბამისი ასოები აკლია, ან დაღლილ-დაქანცულს განძრევის თავი არა აქვს, ან რაღაცა ამდაგვარი უშლის ხელს. თუ თმებს ვიგლეჯდი, შუბლში ვირტყამდი ხელს, ან ჰაერში ვიქნევდი გადაჭდობილ თითებში მომწყვდეულ მუხლს, - მხოლოდ იმიტომ, რომ ასე მსურდა. თუმცა შეიძლება სურვილი კი მქონოდა, მაგრამ მისი შესრულება არ შემძლებოდა, ჩემივე ასოები რომ არ დამმორჩილებოდნენ. ამრიგად, მე ვასრულებდი ბევრ ისეთ რამეს, სადაც „ნდომა“ და „შეძლება“ ერთმანეთის ტოლფარდი როდია. მაგრამ არ ვაკეთებდი იმას, რაც გაცილებით უფრო სასურველი იყო ჩემთვის, და რისი გაკეთებაც სულ თავისუფლად შემეძლო, ოღონდაც მენებებინა, ხოლო ის კი ნამდვილად მსურდა, რო მესურვა. აქ ხომ კეთების უნარი და კეთების სურვილი ტოლფარდია: გსურდეს - ეს უკვე სურვილის ასრულებას ნიშნავს. და მაინც არაფერი გამომდიოდა: ჩემი სხეული უფრო ადვილად ემორჩილებოდა სულის ყველაზე უბადრუკ სურვილს, რის შედეგადაც ამა თუ იმ ასოს ვამოძრავებდი, ვიდრე სული - საკუთარ თავს, როცა მისი ყველაზე სანუკვარი სურვილის ასრულებას ეხებოდა საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ მის ნებაზე იყო დამოკიდებული.

[89] ეს სიტყვები პლოტინისგანაა ნასესხები, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ დაშორდა სული თავის ჭეშმარიტ სამშობლოს - ზეცას, და როგორ უნდა დაუბრუნდეს მშობელს თვისას - ღმერთს: „ამიტომ ის იქნება უკეთესი მრჩეველი, და კეთილისმყოფელი ჩვენი, ვინც გვირჩევს, გავიქცეთო ჩვენს სამშობლოში. მაგრამ რას ნიშნავს ეს „გავიქცეთ“? როგორ გავიქცეთ? როგორც ოდისევსი, რომელიც გრძნეულ კირკეს გაექცა და გრძნეულ კალიფსოს, მიუხედავად მთელი სილამაზისა, რასაც ისინი მის მზერას აღუთქვამდნენ და ფიანდაზად უშლიდნენ ფეხქვეშ. ჩვენი სამშობლო კი იქაა, საიდანაც მოვსულვართ, და იქვეა მშობელი ჩვენი. უნდა გავიქცეთ! მაგრამ არა ფეხთა სისწრაფით, რომელთაც მიწის ერთი კუთხიდან მეორეში გადავყავართ მხოლოდ, ან ეტლითა თუ კეთილმავალი ნავით; არა, უნდა დავხუჭოთ თვალი, სხვა რამით შევცვალოთ ხორციელი მზერა, და გავაღვიძოთ ის ფარული უნარი, რომელიც ყველა ჩვენგანში თვლემს, მაგრამ რომელსაც ცოტანი იყენებენ მხოლოდ“ („ენნ.“ I, VI, 8; ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ.ბრეგვაძემ, ჟურნ. „მნათობი“, 1966, №9, გვ.188).

[90] დედანში ზუსტად ასეა: voluntas semisaucia. „ნახევრად დაჭრილი“ (სემისაუცია) ნეტარი ავგუსტინეს მიერ შექმნილი კომპოზიტია.

IX

21. საიდან იღებს დასაბამს ეს უცნაური მოვლენა? რა არის ამის მიზეზი? დაე, ნათელი მომფინოს შენმა გულმოწყალებამ და ნება მიბოძე ვიკითხო, იქნებ პასუხი გამცეს კაცთა მოდგმის თავს მოწეულმა სასჯელმა და წყვდიადში დანთქმულ ადამის ძეთა ტანჯვა-ვაებამ[91]. დიახ, საიდან იღებს დასაბამს ეს უცნაური მოვლენა, ან რა არის ამის მიზეზი? სული უბრძანებს სხეულს, და ისიც მყისვე ემორჩილება; სული უბრძანებს საკუთარ თავს, და მხოლოდ წინააღმდეგობას აწყდება. სული უბრძანებს ხელს ამოძრავდეს, და ისიც ისე ადვილად და დაუყოვნებლივ ემორჩილება, რომ შეუძლებელიც კია იმ შუალედის შემჩნევა, რომელიც ძევს ბრძანების გაცემასა და მის შესრულებას შორის. მაგრამ სული სულია, ხელი კი - სხეული. სული უბრძანებს სულს ისურვოს, ესე იგი, თავის თავსვე უბრძანებს, მაგრამ თვითონვე არ ასრულებს მის მიერ გაცემულ ბრძანებას. საიდან იღებს დასაბამს ეს უცნაური მოვლენა, ან რა არის ამის მიზეზი? ის თავის თავს უბრძანებს სურდეს, მაგრამ ამას არ ბრძანებდა, რომ არა სურდეს, თუმცა მისი ბრძანება არ სრულდება.

ალბათ, იმიტომ, რომ მთელის არსებით როდი სურს, და არც მთელის არსებით გასცემს ბრძანებს. მხოლოდ იმდენად ბრძანებს, რამდენადაც სურს, და იმდენად არ ასრულებს ამ ბრძანებას, რამდენადაც არა სურს. რადგანაც ნება უბრძანებს ნებას ნებავდეს, დიახ, თავის თავს უბრძანებს, და არა სხვას. მაშასადამე, მთელი თავისი სავსებით როდი უბრძანებს და ამიტომაც არ სრულდება მისი ბრძანება. რადგანაც მთელი სავსებით რომ ბრძანებდეს, ბრძანების გაცემაც აღარ იქნება საჭირო: ყველაფერი ისედაც შესრულდებოდა. ასე რომ, გსურდეს და, იმავდროულად, არცა გსურდეს, ეს უცნაური მოვლენა კი არ არის, სნეულებაა სულისა. სულს არ შეუძლია მთლიანად აღზევდეს: ჭეშმარიტება აღაზევებს, ჩვეულება კი ქვე ეზიდება. ამიტომცაა ადამიანში ორი ნება, ორი სურვილი, რომელთაგანაც არც ერთი არ არის სრული: ერთშია ის, რაც მეორეს აკლია[92].

---

[91] ამ მხრივ, საინტერესოა ნებელობის აქტის ანტიკური და ქრისტიანული კონცეფციების შედარება; პირველის მაგალითად მოვიხმოთ სტოიცისტური ფილოსოფია, რომელიც რაციონალისტური თვალსაზრისით ცდილობდა პრობლემის გადაწყვეტას. სტოიციზმის მიხედვით, ნებელობა მხოლოდ ჩვენი შინაგანი განსჯითაა განპირობებული: „ადამიანი ყოველთვის ცდილობს იმოქმედოს ისე, როგორც თვითონ ეპრიანება, საკუთარი განსჯის თანახმად, მაგრამ ყოველთვის როდი ახერხებს გააკეთოს ის, რაც სურს, თუნდაც აკეთებდეს იმას, რისი ქმნაც გადაწყვიტა. ამით აიხსნება საერთო აზრის პროტესტი სოკრატული ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ნებელობა განსჯითაა განსაზღვრული; ასე მართლდება პავლეს სიტყვები: მე ჩემდა უნებურად ვჰყოფო ბოროტს. ეს პარადოქსი ნებელობისა, რომელიც თავის თავს ეწინააღმდეგება, და რომელიც თავისდაუნებურად ახდენს არჩევანს..., ნების აბსოლუტისტურ მისწრაფებასა და მის პრაქტიკულარულ დეტერმინაციათა შორის არსებული დისპროპორციის შედეგია... ნება, რომელიც აბსოლუტურად მიელტვის სიკეთეს, მხოლოდ პარტიკულარული წარმოდგენებითაა დეტერმინირებული, წარმოდგენებით, რომელთაგან არც ერთი არ შეიცავს აბსოლუტურ სიკეთეს მთელი თავისი სიცხადით. აქედან - ნების ესოდენი ხშირი ცთომილება, მაგრამ ეს ცთომილება ნანდაური როდია“ (ჟან მორო, ეპიქტეტე, პარიზი, 1964, გვ. 35-36). ნებელობის აქტის ქრისტიანულ ინტერპრეტაციას კი პირწმინდად რელიგიური თვალსაზრისი უდევს საფუძვლად, თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ნების ცთომილება, მისი სისუსტე ადამიანის ცოდვითდაცემის შედეგია (იხ. მეშვიდე წიგნის შენ. 16).

[92] შდრ. პასკალი: „გონებისა და ვნებების გაშმაგებული ბრძოლა ადამიანში. მარტო გონება რომ ჰქონდეს და არა ვნებები... მარტო ვნებები რომ ჰქონდეს და არა გონება... მაგრამ რაკი ერთიცა აქვს და მეორეც, ამიტომ გამუდმებით ეომება საკუთარ თავს, რადგან გონებას მხოლოდ მაშინ უზავდება, როცა ვნებებს ებრძვის, ანდა პირუკუ. ამრიგად, ის ყოველთვის გაორებულია, გათიშული, შინაგანი წინააღმდეგობებით გაწამებული“ (ბლეზ პასკალი, აზრები, თბ. 1981, გვ.278).

X

22. „დე, წარწყმდნენ შენი პირისაგან“[93], უფალო, როგორც წარწყმდებიან „ამაოების მეტყველნი“[94] და „გონით მაცთურნი“[95], რომელნიც ადამიანში ამ ორი ნების არსებობის მიხედვით ასკვნიან, რომ ჩვენ ორი სხვადასხვა ბუნება და ორი სული გვაქვს[96]: ერთი კეთილი, ხოლო მეორე ბოროტი. სინამდვილეში კი თვითონვე არიან ბოროტნი, რადგანაც ბოროტია მათი აზრები, მაგრამ თვით მათაც კი შეუძლიათ კეთილნი გახდნენ, თუკი ჩასწვდებიან ჭეშმარიტებას და მასვე შეუწონიან თავიანთ ზრახვას, ასე რომ, შეიძლება მათაც მიესადაგოს შენი მოციქულის სიტყვები: „ოდესღაც ბნელი იყავით, ხოლო ან ნათელი ხართ უფალში“[97].

მაგრამ მათ ის კი არ უნდათ, რომ უფალში იყვნენ ნათელი, არამედ - თავიანთ თავში, და რაკი ჰგონიათ, რომ სულის ბუნება იგივეა, რაც ღმერთი, სიბნელედ კი არა, უკუნეთად იქცნენ და თავიანთი საშინელი კადნიერების შედეგად უფრო მეტად დაგშორდნენ შენ, ჭეშმარიტ ნათელს, „რომელიც გაანათლებ ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად“[98]. დაუკვირდით, რას ამბობთ, გრცხვენოდეთ და „მიეახლეთ მას“, რათა „განათლდეთ და სირცხვილმა არ აგილეწოთ სახე“[99].

თვითონ მეც, როცა ვფიქრობდი, თუ რანაირად მემსახურა უფლის ჩემის მიმართ (რაც დიდი ხანია გადაწყვეტილი მქონდა), სწორედ მე ვიყავი ამის მსურველიც და არამსურველიც; არც მთელის არსებით მსურდა და არც მთელის არსებით არ მსურხა. ამიტომაც ვებრძოდი ჩემსავე თავს, გათიშულ-გაორებული, მაგრამ ეს გაორება, რაც ჩემი ნების საპირისპიროდ ხდებოდა, ორი სხვადასხვა ბუნების არსებობას კი არ მოწმობდა ჩემში, არამედ იმას, რომ დასჯილი იყო ჩემი საკუთარი ბუნება[100]; თუმცა მე კი არ ვიყავი ამის მიზეზი, არამედ „ჩემში დამკვიდრებული ცოდვა“[101], როგორც სასჯელი თავისუფალი ნებით ჩადენილი შეცოდებისა: მეც ხომ ადამის ძე გახლდით.

23. ურთიერთსაპირისპირო, მტრული ბუნება იმდენივე რომ იყოს, რამდენიც ურთიერთ-საპირისპირო ნებაა, მაშინ ორი ბუნება კი არ იქნებოდა, არამედ მრავალი. ვთქვათ, კაცი ყოყმანობს და ვერ გადაუწყვეტია, მანიქეველთა თავყრილობაზე წავიდეს თუ თეატრში, და,

---

[93] ფსალმ. 67, 3.
[94] ტიტ. I, 10.
[95] ტიტ. იქვე.
[96] შდრ. პასკალი: „ადამიანის ბუნების გაორება იმდენად აშკარაა, რომ ზოგიერთი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, თითქოს ჩვენ ორი სული გვაქვს. მათი აზრით, მარტივი და ერთგვაროვანი ბუნება შეუძლებელია განიცდიდეს განწყობილებათა ასე მძაფრსა და ანაზდეულ ცვალებადობას - წარმოუდგენელი ქედმაღლობიდან გულისამყინავ ძრწოლამდე“ (ბლეზ პასკალი, აზრები, თბ. 1981, გვ.280).
[97] ეფეს. V, 8.
[98] იოანე I, 9.
[99] ფსალმ. 33, 6.
[100] შდრ. პასკალი: „ადამიანმა არ იცის, ვის მიაკუთვნოს თავი. ის გრძნობს, რომ დაიკარგა, დაეცა, დაივიწყა ჭეშმარიტი სამშობლო და ვეღარ აგნებს უკან დასაბრუნებელ გზას, თუმცაღა მთელი სიცოცხლე ბრმასავით დაბორიალობს განუჭვრეტელ უკუნეთში და - სასოწარკვეთილი - ალალბედზე, ხელის ფათურით დაეძებს მას“ (ბლეზ პასკალი, აზრები, თბ. 1981, გვ.282).
[101] რომ. VII, 17.

აი, ისინი ერთხმად გაჰყვირიან: „აჰა, ორი ბუნება, რომელთაგანაც ერთს - კეთილს, ჩვენთან მოჰყავს იგი, ხოლო მეორეს - ბოროტს - პირიქით, ჩვენგან მიჰყავს, თორემ რა უნდა იყოს ამ ორ ურთიერთსაპირისპირო სურვილს შორის ყოყმანისა და რყევის მიზეზი?“ მე კი ვამტკიცებ, რომ ორივე ნება-სურვილი ბოროტია: ისიც, მანიქეველთა თავყრილობისკენ რომ მიუძღვის და ისიც, თეატრში წასასვლელად რომ აღძრავს კაცს[102]. მანიქეველებს კეთილი ჰგონიათ ის ნება, მათკენ რომ მიუძღვის კაცს. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ხომ შეიძლება რომელიმე ჩვენგანში ორი სურვილი ებრძოდეს ერთმანეთს და მასაც ვერ გადაეწყვიტოს, სად წავიდეს - მანიქეველთა თავყრილობაზე თუ ჩვენს ეკლესიაში?ხომ არ გაუჭირდებოდათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა? ისინი იძულებულნი იქნებოდნენ ეღიარებინათ ის, რისი აღიარებაც არ უნდათ: ჩვენს ეკლესიაში მოდიან კეთილი ნების მორჩილნი, როგორც მოდიან მის საიდუმლოს ზიარებულნი და მასშივე დამკვიდრებულნი, - ან არა და, ემტკიცებინათ, რომ ერთსა და იმავე კაცში ერთმანეთს ებრძვის ორი ბოროტი ბუნება და ორი ბოროტი სული: მაშინ სიცრუედ უნდა მივვეჩნია მათი ჩვეული მტკიცება იმის თაობაზე, რომ არსებობს ორი სხვადასხვა ნება - კეთილი და ბოროტი, ანდა ჭეშმარიტების გზას დასდგომოდნენ და აღარ ეცადათ იმის უარყოფა, რომ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას ერთსა და იმავე სულს შეიძლება ორი სხვადასხვა სურვილი ამოძრავებდეს.

24. ამიტომ, როცა ხედავენ, როგორ ებრძვის ერთმანეთს ორი ნება ერთ კაცსი, დე, ნუ იტყვიან, რომ მასში ერთმანეთს ერკინება ორი ურთიერთმოქიშპე სული: ერთი კეთილი, ხოლო მეორე ბოროტი, რომლებიც ორი მტრული სუბსტანციისა და ორი საპირისპირო საწყისისაგან იღებენ დასამაბს[103]. რადგან შენ, ღმერთო ჭეშმარიტო[104], უარყოფ, ამხილებ და აბათილებ მათ. დავუშვათ ორი ბოროტი ნების არსებობა ადამიანში, რომელიც კაცის მოკვლას აპირებს მახვილითა და საწამლავით; ან კიდევ ფიქრობს, რომელი მამული მიიტაცოს - ესა თუ ის (რადგან ორივეს მიტაცება არ შეუძლია); განცხრომას გადააგოს თავისი ავლადიდება თუ ძუნწივით გადამალოს ფული; ცირკში წავიდეს თუ თეატრში, თუკი იმ დღეს ორივე ღიაა. მე შემიძლია მესამე სურვილიც დავუმატო ამას: თუ დრო იხელთა, ხომ არ გაქურდოს სხვისი სახლი? ანდა მეოთხე: ხომ არ იმრუშოს, თუკი ამის საშუალება მიეცა? მაგრამ თუ ყველა ეს სურვილი ერთდროულად აღიძვრის და, თანაც ყველა თანაბრად მძაფრია? მაშინ ხომ შეუძლებელი იქნება ერთდროულად აისრულოს ისინი? ასე რომ, ამ ოთხი ურთიერთსაპირისპირო ნების ჭიდილმა შეიძლება ნაფლეთებად აქციოს სული. თუმცა ნება ოთხი კი არა, შეიძლება მეტიც იყოს: სურვილის საგანი ხომ უამრავია[105]. და მაინც, მანიქეველები არაფერს ამბობენ სხვადასხვა სუბსტანციის ასეთსავე სიმრავლეზე.

[102] იხ. მეოთხე წიგნის შენ. 90.

[103] ნეტარი ავგუსტინე კვლავ გადაჭრით უპირისპირდება მანიქეველთა დუალიზმს.

[104] შდრ. იოანე III, 33.

[105] ვერ ვიტყვით, რომ ეს მსჯელობა უზადო იყოს ლოგიკური სიზუსტის თვალსაზრისით.

ივივე ითქმის კეთილი ნების მიმართაც. სასიკეთოა თუ არა - ვეკითხები მანიქეველებს, - მოციქულის კითხვითა თუ ფსალმუნთა კეთილხმოვანებით ტკბობა? სასიკეთოა თუ არა სახარების განმარტება? პასუხად მესმის: სასიკეთოაო. კი მაგრამ, თუკი ყოველივე ეს არა მარტო ერთდროულად, არამედ ერთნაირადაც გვატკბობს, ხომ არ გვიფლეთს სულს ეს ოთხი სხვადასხვა ნება, როდესაც ვცდილობთ იმის გარკვევას, თუ რომელი უნდა ვარჩიოთ? ყოველი მათგანი კეთილია, მაგრამ ერთმანეთს კი ებრძვიან, ვიდრე ერთ-ერთზე არ შეჩერდება არჩევანი, რაც აცხრობს და ამთლიანებს ადამიანის ნებას, მანამდე განწილულს და დანაწევრებულს.

ზუსტად ასევე, რაკი მარადისობა უზენაეს ნეტარებას აღგვიქვამს, წარმავალი სიკეთით ტკბობის სურვილი კი მიწას გვაჯაჭვავს, ერთი და ივივე სული ერთიანი, განუყოფელი ნებით როდი მიელტვის ერთსაც და მეორესაც. აქედან მისი სალმობა და ტანჯვა-ვაება: ჭეშმარიტება აიძულებს პირველი ამჯობინოს, ჩვეულება კი მეორის მიმართ მიაქცევს.

XI

25. ასე ვწუხდი, ვშფოთავდი და ვიტანჯებოდი, უწინდელზე უფრო მწარედ ვყვედრიდი ჩემსავე თავს, გამწარებული ვბორგავდი და ვცდილობდი ერთიანად დამეგლიჯა ჩემი ხუნდები, რომლებსაც უკვე აღარ შერჩენოდათ ძველი ძალა, თუმცა ჯერ კიდევ მათი მარწუხების ტყვე ვიყავი. შენ კი თავს მადექ, უფალო, ჩემს გულისგულში და შენი მკაცრი გულმოწყალებით დაუნდობლად მამათრახებდი შიშისა და სირცხვილის ორმაგი შოლტით, რათა კვლავინ-დებურად აღარ დამეხია უკან და საბოლოოდ გამეწყვიტა ის გაცვეთილ-გახეხილი თოკი, ჯერ კიდევ მჭიდროდ რომ მეკვროდა გარს, თორემ შეიძლებოდა კვლავაც შეეძინა სიმკვრივე და უწინდელზე მაგრა გავეთანგე.

ასე ვესაუბრებოდი საკუთარ თავს: „ახლა კი დროამ ბარემ მოვრჩეთ და მოვათავოთ!“ ასეთი იყო ჩემი სიტყვიერი გადაწყვეტილება, მაგრამ სიტყვის საქმედ ქცევას კი ვერ ვახერხებდი, თუმცა ვეღარც უწინდელი ცხოვრება მითრევდა თავის მორევში: ზედ მორევის პირას მივასვამდი ფეხს, რომ სული მომეთქვა და კვლავ განმეახლებინა ჩემი მცდელობა; თანდათანობით ვუახლოვდებოდი მიზანს და ის იყო, უნდა მომეხელთებინა კიდეც, მაგრამ ირკვეოდა, რომ სულაც არ მივახლებივარ და, ცხადია, ვერც მის მოხელთებას ვახერხებდი, ასე რომ, კვლავაც ვყოყმანობდი და ვერ გადამეტყვიტა, სიკვდილით მოვმკვდარიყავი თუ სიცოცხლით მეცოცხლა. უსურვაზივით ჩამწვნოდა უკეთურება, სიკეთე კი ვერასდიდებით ვერ შემესისხლხორცებინა. და რაც უფრო ახლოვდებოდა ის წამი, როცა სხვად უნდა ვქცეულ-იყავი, მით მეტად მიპყრობდა შიში, მაგრამ არც უკან ვიხევდი და არც გზიდან გადახვევას ვაპირებდი: გახევებული ვიდექი ერთ ადგილას.

26. მაინც რა იყო, რომ მბოჭავდა და გასაქანს არ მაძლევდა? - უბადრუკობათა უბადრუკობა და ამაოებათა ამაოება[106], ჩემი ცხოვრების ეს განუყრელი თანამგზავრნი, ჩემს ხორციელ გარსს რომ ჩაჰფრენოდნენ და ჩამჩურჩულებდნენ: „მაშ, აღარ იშლი, გვტოვებ? იცოდე, ამ წამიდან ჩვენს მიგატოვებთ! ამიერიდან ესა და ეს სამუდამოდ აკრძალული იქნება შენთვის!“ „ესა და ეს“ - ვლუღლუღებდი მე; სინამდვილეში კი თურმე რას მთავაზობდნენ ისინი, უფალო ღმერთო ჩემო, რას მთავაზობდნენ? მოწყალება მოიღე და აშორე ყოველივე ეს შენი მორჩილი ნორის სულს! რანაირ სიბილწეს მთავაზობდნენ, რა სიმახინჯეს! თუმცა მე მხოლოდ ცალი ყურით ვუსმენდი მათ, და ისინიც ძველებური თავდაჯერებით კი ვეღარ მიღობავდნენ გზას, არამედ თითქოს ჩემს ზურგს უკან მიმალულიყვნენ, მიჩურჩულებდნენ და მალულად მჩქმეტდნენ მიმავალს, რათა უკან მოვებრუნებინეთ. თუმცა მაინც მიჭერდნენ და წინსვლას მიშლიდნენ, მე კი ვაყოვნებდი ხელიდან დავსხლტომოდი მათ, თავიდან მომეშორებინა წყეულნი და ფრთაშესხმული გავჭრილიყავი იქით, საიდანაც მიხმობდა მბრძანებლური ხმა. ყოვლისმძლე ჩვეულება კი მაცთურივით ჩამძახოდა ყურში: „შენ გგონია, რომ მათ გარეშეც გაძლებ?!“

27. მაგრამ მის სიტყვებში უკვე აღარ იგრძნობოდა ძველებური რიხი, რადგანაც გაღმა მხარეს, საითკენაც რახანია მექცია პირი და ცხროიანივით ვცახცახებდი გადასვლის მოლოდინში, მთელი თავისი სიწმინდით, თავისი შეუმღვრეველი სიხარულის მთელი სიცხადით და სიმშვიდით მიღიმოდა თავდაჭერილობის ღირსეული და კეთილშობილური ხატება; გულითადი და ალერსიანი იყო მისი მიპატიჟება; დაეჭვება აღარ შეიძლებოდა. წმინდა იყო ჩემსკენ გამოწვდილი ხელი, რომ ავეტაცე და გულში ჩავეკარი; წმინდა და სიკეთის ურიცხვი ნიმუშით სავსე. ვინს მოსთვლის, რამდენ ყრმას, რამდენ ქალწულს თუ ჭაბუკს, სხვადასხვა ასაკის რამდენ ხალხს, რამდენ ღირსეულ ქვრივს თუ ქალწულებაში დაბერებულ მანდილოსანს მოეყარა აქ თავი. ყველას თავდაჭერილობის სიწმინდე გადაჰფენოდა, მაგრამ ეს არ იყო უნაყოფო სიწმინდე, არამედ ბედნიერი დედა ურიცხვი უმანკო შვილისა[107], შენ რომ გეჩუქებინა მისთვის, უფალო, შენ - მის მეუღლეს.

დამცინავად მიღიმოდა[108], მაგრამ ამ დაცინვით თითქოს კიდევაც მამხნევებდა და მეუბნებოდა: „ნუთუ გგონია, რომ მართლა ვერ შესძლებ იმას, რაც ამ ხალხმა შესძლო? თუმცა განა მათაც თავისით შესძლეს ეს, და არა ღვთის ძალით? უფალმა ღმერთმა მე მომანდო

[106] შდრ. ეკლესიასტე 1, 2.

[107] შდრ. ფსალმ. 112, 9.

[108] იგულისხმება პერსონიფიცირებული თავდაჭერილობა (Continentia). „აბსტრაქტულ ცნებათა პერსონიფიკაცია უცხო არ ყოფილა ბერძნული მწერლობისათვის (იხ. Egger. Essai sur l'Histoire de la critique chez les Crees, Paris, 1886, p.41); რომაულმა გემოვნებამაც ადრევე აღიარა და შეითვისა ეს ხერხი. გაიხსენეთ განღმრთობილი აბსტრაქტციები, რაც ესოდენ ხშირია რომაულ რელიგიებში; „ფუფუნებისა“ და „სიღატაკის“ დიალოგი პლავტუსის „ტრინუმუსის“ პროლოგში; ვერგილიუსისეული ჯოჯოხეთის „mala gaudia mentis“ („სულის უკეთური სიხარული“), ვენერას წალკოტის აღწერა კლავდიანეს „ჰონორიუსისა და მარიამის ქორწინებაში“, სადაც პერსონაჟებად გვევლინებიან „ფერმიხდილობა“ (Pallor), მრისხანება (Irae), „თავნებობა“ (Licentia), „ორგულობა“ (Perjuria), „ვნება“ (Voluptas), „ცრემლები“ (Lacrimae), აგრეთვე ქრისტიანულ მწერლობაში - „მოთმინების“ პორტრეტი, როგორც მას გვიხატავს ტერტულიანე („De Patientia“ - „მოთმინებისათვის“, XV) და ამავე ჟანრის ურიცხვი ტრანსპოზიცია (წმ. კიპრიანე, „De Mortalitate“ - „მოკვდავობისათვის“, IV; ძენონ ევრონელი, I, XIV, 5 ap. Migne, Patrol. lat. XI, 361 და ა.შ. და ა.შ.)“. - პიერ დე ლაბრიოლის შენიშვნა, იხ. დასახ. გამოც. გვ.198.

ისინი. რას მიყრდნობიხარ შენსავე თავს? კაცი როდია საკუთარი თავის საყრდენი. ნუ გეშინია, თამამად მიჰმართე ღმერთს: ის შეგივრდომებს და განგკურნავს". სირცხვილი მწვავდა, რადგან ჯერ კიდევ ყურს ვუგდებდი ამაოებათა ამაოების ჩურჩულს, ვყოყმანობდი და საბოლოო ნაბიჯის გადადგმა ვერ გადამეწყვიტა. და კვლავ ჩამესმა ხმა ყურში, რომელიც მეუბნებოდა: „ყურს ნუ ათხოვებ შენი უწმინდური სხეულის ხმას ამქვეყნად, ყურს ნუ ათხოვებ და ისიც მოკვდება. განცხრომასა და სიტკბოებას აღვითქვამს იგი, მაგრამ არა იმ სჯულისამებრ, რომელიც დააწესა უფალმა ღმერთმა შენმა". ჩემს გულში იყო ეს ბრძოლა: ჩემს გამო და ჩემს წინააღმდეგ. მთელი ამ ხნის განმავლობაში გვერდიდან არ მომცილებია ალიპიუსი, უსიტყვოდ რომ ელოდა, თუ რითი დამთავრდებოდა ეს ჩემი უჩვეულო მღელვარება.

XII

28. ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შედეგად იდუმალი სიღრმიდან ამოიზიდა და გონების თვალწინ დამიდგა მთელი ჩემი უბადრუკობა. საშინელი ქარიშხალი, ჩემს სულში რომ მძვინვარებდა, ალბათ სულ მალე საავდრო ღრუბლებს შეჰყრიდა და მდუღარე ცრემლებად გადმოიღვრებოდა თვალებიდან. სიტყვებით რომ ჩამეხშო ეს მძვინვარება, წამოვდექი და ალიპიუსს გავეცალე: ჩემს მაშინდელ მდგომარეობას მარტოობა უფრო შეეფერებოდა, რათა სრული გასაქანი მიმეცა ცრემლებისათვის. და მეგობარმაც გამიგო: ეტყობა, რაღაც ვუთხარი და ჩემმა მთრთოლავმა ხმამ ვეღარ შესძლო მოგუდული ქვითინის ჩახშობა. დიახ, მე წამოვდექი და გავეცალე, გაოგნებული ალიპიუსი კი იმავე ადგილას დარჩა, სადაც ვისხედით. აღარ მახსოვს, როგორ დავემხე რომელიღაც ლეღვის ხის ძირას და მწარედ ავტირდი: თვალებიდან ღვარად მდიოდა ცრემლი - შენი სანუკვარი მსხვერპლი, უფალო. იქნებ ამ სიტყვებით არც კი მოგმართავდი მაშინ, მაგრამ ჩემი სათქმელი, აი, ეს იყო: „როდემდის, უფალო, როდემდის შენი რისხვა? ნუ მოიხსენებ ძველ ცოდვებს ჩვენსას!"[109] მაგრამ ვგრძნობდი, რომ მათი ტყვე ვიყავი, და საწყალობლად ვგოდებდი: „როდემდის, როდემდის, სულ „ხვალ" და „ხვალ"?[110] კი მაგრამ, რატომ ახლავე არა? რატომ ამწამსვე არ მოვუღებ ბოლოს ამ ჩემს სიბილწეს?"

29. ამას ვამბობდი და მწარედ ვტიროდი, გულით ურვილი. და უცებ მეზობლის სახლიდან მომესმა ხმა, არ ვიცი, პატარა ბიჭისა თუ გოგონასი, რომელიც თითქოს ღიღინით იმეორებდა: „აიღე და წაიკითხე! აიღე და წაიკითხე!" მყისვე მეცვალა სახის ფერი და სულგანაბულმა მივაყურადე: ვცდილობდი გამეხსენებინა, რომელიმე თამაშში ხომ არ ღიღინებდნენ ამ სიტყვებს, მაგრამ ამის მსგავსი არასდროს არაფერი მსმენია. ცრემლი

[109] ფსალმ. 6, 4 - ფსალმ. 78, 5; 8.

[110] თავის „ქადაგებებში" (82, 11, 14) ცოდვილის ყოყმანს („ხვალ - ხვალ": „cras-cras") ნეტარი ავგუსტინე ხშირად ადარებს ყვავის ჩხავილს („ყვა-ყვა"): „აჰა, გეუბნები შენ: ვიდრე ასე ყვავივით ჩხავიხარ, წარწყმდები კიდეც".

შევიშრე და წამოვდექი, რადგანაც ეს სიტყვები ღვთის ბრძანებად მივიჩნიე; გადამეფურცლა საღმრთო წერილი და წამეკითხა პირველივე თავი, რომელზედაც წიგნი გადაიშლებოდა. აკი ანტონზედაც[111] მსმენოდა, რომ მის მოქცევას სახარების ერთმა ადგილმა შეუწყო ხელი, რომელსაც შემთხვევით წააწყდა თურმე: „წადი, გაყიდე, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ, და გექნება საუნჯე ცაში; და მოდი და გამომყევ მე“[112]. ამ სიტყვებმა დაუყოვნებლივ მოაქციეს იგი შენს მიმართ.

სასწრაფოდ დავბრუნდი იმ ადგილას, სადაც იჯდა ალიპიუსი. წამოსვლისას მოციქულის ეპისტოლე დავტოვე იქ. ავიღე, გადავფურცლე და ჩუმად წავიკითხე პირველი თავი, რომელზედაც წიგნი გადაიშალა: „არა ღორმუცელობითა და სიმთვრალით, არა სიძრუშითა და სიბილწით, არა შუღლითა და შურით, არამედ შეიმოსეთ უფალი იესო ქრისტე და ხორცისათვის ზრუნვას ნუ აქცევთ ავხორცობად“[113]. კითხვის გაგრძელება აღარ ვისურვე, თუმცა არც იყო საჭირო: გულში ნათელი ჩამიდგა და სიმშვიდემ დაისადგურა; განქარდა ჩემი ეჭვის წყვდიადი.

ფრჩხილით თუ რაღაც სხვა ნიშნით ჩავინიშნე ეს ადგილი, წიგნი დავხურე და სავსებით მშვიდად ავუხსენი ყველაფერი ალიპიუსს. მან კი, თავის მხრივ, ასევე მშვიდად გამიმჟღავნა, რა ამბავიც იყო მის თავს. პირველად მესმოდა ეს. მითხრა, მიჩვენე, რაც წაიკითხეო. მეც ვუჩვენე და მან განაგრძო კითხვა. ჩემთვის უცნობი იყო ეს გაგრძელება: „შეინყნარეთ რწმენით უძლურნი“[114]. ალიპიუსმა თავის თავზე მიიღო ეს სიტყვები და კიდევაც გამანდო თავისი ვარაუდი. ამნაირი შეგონებით განმტკიცებულმა ყოველგვარი მღელვარებისა და ყოყმანის გარეშე მიიღო სასიკეთო გადაწყვეტილება, მისი ზნეობრივი სიფაქიზის შესაბამისად, ხოლო ამ მხრივ ის რა ხანია გაცილებით მაღლა იდგა ჩემზე.

დაუყოვნებლივ მივედით დედაჩემთან და ყველაფერი ვაუწყეთ. საბრალო ქალი ცას ენია სიხარულით. ვუამბეთ, როგორ მოხდა ეს. დედაჩემს სამოთხის კარი გაეღო და გულმხურვალე მადლი გიძღვნა, უფალო ჩემო, „ვისაც განუზომლად მეტის ქმნა ძალგიძს, ვიდრე ჩვენ გთხოვთ, ანდა ვიაზრებთ“[115]. მან დაინახა, რომ ჩემი სახით გაცილებით მეტი მიიღო, ვიდრე თვითონვე ელოდა, როცა მწარე გმინვითა და ცრემლების ფრქვევით შეგთხოვდა ჩემს შეწყალებას. შენს მიმართ მიმაქციე, უფალო: აღარც ცოლის შერთვა მინდოდა და აღარც რისიმე იმედი მქონდა ამ ქვეყნად. მტკიცედ დავადექი იმ რწმენას, რომლითაც მოსილი დიდი ხნის წინათ უჩვენე მას ჩემი თავი და „სიხარულად უქციე გლოვა“[116], გაცილებით უფრო დიდ სიხარულად, ვიდრე ამის იმედი ჰქონდა; დიახ, ეს იყო

[111] იგულისხმება წმ. ანტონი დიდი ეგვიპტელი, - იხ. ქვე, შენ. 74.
[112] მათე XIX, 21.
[113] რომ. XIII, 13-14.
[114] რომ. XIV, 1.
[115] ეფეს. III, 20.
[116] ფსალმ. 29, 12.

უფრო წმინდა და უმანკო სიხარული, ვიდრე ის მოელოდა თავისი შვილიშვილების - ჩემი ხორციელი შვილებისაგან.

წიგნი მეცხრე

I

1. ო, უფალო, მე ვარ მონა შენი, დიახ, მონა შენი და ძე შენი მხევლისა. შენ შემუსრე ჩემი ბორკილი. შენ შემოგწირავ მსხვერპლს ქებისას“[1]. დაე, გაქოს გულმა ჩემმა და ენამ ჩემმა, „დაე, თქვას ყოველმა ძვალმა ჩემმა: „უფალო, ვინ არის შენი მსგავსი?“[2] დაე, თქვას, შენ კი მიპასუხე და „მიუგე ჩემს სულს: მე ვარ ხსნა შენი“[3].

ვინ ვიყავი, ან რა ვიყავი? რანაირ პრობლემას არ იტევდა ჩემი საქმე? საქმე თუ არა, სიტყვა; სიტყვა თუ არა, ნება მაინც? მაგრამ შენ, უფალო, მოწყალეო და სახიერო, ჩახედე ჩემი სიკვდილის უფსკრულს და ჩემი გულის სიღრმიდან შენი მარჯვენით ამოძირკვე უწმინდურების შმაბნარი. ხოლო ეს იმას მოასწავებდა, რომ ამიერიდან მთელის არსებით ის კი აღარ უნდა მესურვა, რაც თვითონ მსურდა, არამედ ის, რაც გსურდა შენ[4].

მაგრამ სად იყო ამდენი ხნის მანძილზე ჩემი თავისუფალი ნება, ან რომელი უძირო და ფარული უფსკრულიდან გამოიხმე იგი ერთ წამში[5], უცებ რაოდენ საამური შეიქნა ჩემთვის დამხშოდა ყველა მიწიერი სიამის კარი! რაც უფრო მეტად მაშინებდა ის წამი, მით მეტ სიხარულს მგვრიდა ახლა.[6]

შენ განდევნე ჩემგან ამქვეყნიურ სიამეთა ყველა სურვილი, ო, ჭეშმარიტო და უზენაესო სიტკბოებავ[7]; დიახ, შენ განდევნე ისინი, რათა თვითონ დაგეკავებინა მათი ადგილი, ყოველგვარ სიტკბოებაზე უტკბესო[8], მაგრამ არა სისხლისა და ხორცისათვის; ყოველგვარ ნათელზე უნათლესო, მაგრამ ყოველგვარ იდუმალებაზე უიდუმალესო; ყოველგვარ პატივზე

---

[1] ფსალმ. 115, 7-8.

[2] ფსალმ. 34, 10.

[3] ფსალმ. 34, 3.

[4] შდრ. მათე, XXVI, 39.

[5] ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, მადლი კი არ აუქმებს თავისუფალ ნებას, არამედ აღადგენს მას: „მადლი კურნავს ნებას“ („სულისა და ასოსათვის“, 30, 52).

[6] იხ. მათე XI, 30.

[7] ფსალმ. 18, 15... ესაა ერთადერთი ადგილი, სადაც ნეტარი ავგუსტინე უშუალოდ მიმართავს ქრისტეს.

[8] სიყვარული წარმავლის მიმართ შეიძლება სძლიო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ივემებ მარადისობის სიტკბოებას“ (ნეტარი ავგუსტინე, „მუსიკისათვის“, 6,16)... შდრ. პასკალი, ვისი აზრითაც, ჩვენში, ყოველმხრივ სასრულსა და მსწრაფლწარმავალ არსებებში, არის რაღაც უსასრულო, კერძოდ, ბედნიერების შმაგი წყურვილი, და არ არსებობს ამ ქვეყნად ძალა, რომელიც შესძლებს ეს სურვილი ჩაახშოშ ჩვენში, ისევე, როგორც არ არსებობს ამქვეყნიურ სინამდვილეში მისი დაცხრომის არავითარი საშუალება: „მაგრამ რას მოწმობს ბედნიერების ეს შმაგი წყურვილი და მისი დაცხრომის შეუძლებლობა, თუ არა იმას, რომ ადამიანი ოდესღაც ჭეშმარიტად ბედნიერი იყო, და რომ ამ ბედნიერების სახსოვრად მას დარჩა მხოლოდ ლიტონი სურვილი, აღუვსებელი საწყაული, რომლის ავსებასაც ამაოდ ცდილობს ყოველივე იმით, რაზედაც ხელი მიუწვდება, რაც გარს არტყია, მაგრამ რაკი ხელმისაწვდომი არ აკმაყოფილებს, რაკი მიღწეულით ვერ იკლავს წყურვილს, ხარბად მიელტვის მიუღწეველს თუ მიუწდომელს, და კვლავ უშედეგოდ, და კვლავ ამაოდ, ვინაიდან უსასრულო სიცარიელის ავსება შეიძლება მხოლოდ რაღაც უსასრულოთი და უცვლელით, ესე იგი, ღმერთით.

მხოლოდ მასშია ჩვენი ჭეშმარიტი სიკეთე, მაგრამ ვაი რომ დავკარგეთ ის, და მას მერე ამაოდ ვეძებთ მის მაგიერს, ამაოდ ვცდილობთ რაიმეთი შევცვალოთ იგი... ჭეშმარიტი სიკეთის დაკარგვი შემდეგ ადამიანს შეიძლება ყველაფერი სიკეთედ მოეჩვენოს, ასე განსაჯეთ, საკუთარი თვითმოსპობაც და თვითგანადგურებაც, თუმცა არაფერი ასერიგად არ ეწინააღმდეგება ღმერთს, გონებას, სამყაროს, ბუნებას“ (ბლეზ პასკალი, აზრები, თბ. 1981, გვ. 281-282).

უზენაესო, მაგრამ არა პატივმოყვარეთა და მზვაობართათვის. ჩემი სული უკვე თავისუფალი იყო ურიცხვი მტანჯველი საზრუნავისგან: აღარც პატივმოყვარეობა, აღარც ანგარება, აღარც სამარცხვინო თავდამცირება ბილწ გულისთქმათა დასაკმაყოფილებლად. მე მხოლოდ შენ გესიტყვებოდი, ნათელო ჩემო, სიუხვეო ჩემო, ხსნავ ჩემო, უფალო ღმერთო ჩემო.

II

2. მე გადავწყვიტე, შენი მზერის წინაშე, ერთბაშად კი არ მიმენებებინა თავი სამსახურისთვის, არამედ თანდათანობით ჩამოვშორებოდი ამ სალაყბოს, ლაქლაქის ხელოვნების ამ ნამდვილ ბაზარს[9], რადგან არ მინდოდა, რომ ჭაბუკებს, რომლებიც არას დაგიდევენ არც შენს სჯულსა და არც შენს მშვიდობას, არამედ სიშმაგით ცნობამიხდილთ ფორუმის ბრძოლებზე ელევათ სული, კვლავინდებურად ეყიდათ ჩემგან თავიანთი სიშლეგის საჭურველი[10].

საბედნიეროდ, საშემოდგომო არდადეგებამდე[11] სულ ცოტა დროღა იყო დარჩენილი; მე გადავწყვიტე ამ ცოტასთვისაც გამეძლო და ჩვეულებრივ გავსულიყავი შვებულებაში, მაგრამ გასაყიდი მონასავით აღარასოდეს დავბრუნებულიყავი უკან: მე ხომ შენს მიერ ვიყავი გამოხსნილი და გამოსყიდული.

ჩვენი გადაწყვეტილება მხოლოდ შენ გაუწყეთ, უფალო, კაცთაგან კი არავის გავნდობივართ, გარდა ჩვენი გულითადი მეგობრებისა. ერთმანეთს სიტყვა მივეცით, კრინტიც არ დაგვეძრა ამაზე, თუმცაღა „გოდების ტაფობიდან“[12] მომავალთ „აღსავლის საგალობლი“[13] გალობით შენ გვიბოძე „ბასრი ისრები და მღვივანი ნაკვერცხლები“[14] „ცრუ ბაგეთა და მზაკვარი ენის“[15] დასაშანთავად, ენსია, ჯიუტად რომ ეურჩება კეთილს და ვითომ სიკეთის სიყვარულით ისე ნთქამს იმავ სიკეთეს, როგორც ჩვეულ საზრდოს.

3. შენ განწონე ჩვენი გული შენი სიყვარულის ისრით და შიგ ჩარჩა შენი სიტყვები, რომლებიც ავსებდნენ მთელ ჩვენ არსებას. ჩვენ შევკრიბეთ ყველა მისაბაძი ნიმუში, რომლებსაც გვთავაზობდნენ შენი მსახურნი[16], სიბნელიდან სინათლედ რომ მოგექცია და სიკვდილიდან სიცოცხლედ, - და მათზე ფიქრით ვათენ-ვაღამებდით. მათი მაგალითი გვწვავდა, გვდაღავდა, ახლობდა ჩვენი უგრძნობლობის ყინულს, რომლის სიმძიმესაც შეეძლო სიმდაბლის უფსრულში გადავეჩეხეთ, და ისეთნაირად აღგვაგზნებდა, რომ „მზაკვარი

[9] ნეტარი ავგუსტინე რიტორიკულ სკოლას გულისხმობს.
[10] ე.ი. მჭევრმეტყველების ხელოვნება.
[11] ეს არდადეგები 15 აგვისტოდან 22 ოქტომბრამდე გრძელდებოდა.
[12] ფსალმ. 83, 7.
[13] ასე იწოდება ფსალმ. 119-133.
[14] ფსალმ. 119, 4.
[15] ფსალმ. 119, 2.
[16] ზოგიერთი მათგანის შესახებ იხ. მეშვიდე წიგნის შენ. 77.

ენის“[17] რაგრაგით აგეხილი სიურჩის ქარი კი ვერ აქრობდა, პირიქით, უფრო ამძაფრებდა ჩვენს სურვილს.

მაგრამ რაკი შენი სახელი ნათლის ელვარებად მოჰფენოდა ქვეყნიერებას, ჩვენს ზრახვასა და აღთქმას შეიძლებოდა მათი მაქებარნიც გამოსჩენოდა. მე კი უკადრისად მიმაჩნდა არ დავლოდებოდი კარს მომდგარ არდადეგებს და ნაუცბათევად მიმეტოვებინა ჩემი ადგილი, რომელიც ყველას თვანლინა ჰქონდა. რას იტყოდა ხალხი? - იმიტომ დაასწრო რთვლობას[18], რომ საყოველთაო ყურადღების მიპყრობა და თავის განდიდება სურსო. რას მარგებდა, ხალხი რომ ასე აყაყანებულიყო, ჩემს სულში დაეწყო ქექვა და „ეგმო ჩემი სიკეთე?“[19].

4. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ იმ ზაფხულს, სკოლაში დაძაბული მუშაობისაგან ფილტვები დამიავადდა. სუნთქვა მიჭირდა, ხოლო ტკივილები მკერდის არესი იმას მოწმობდა, რომ შიგ სენი ჩაბუდებულიყო; ხმა ყრუ და ჩახლიჩილი გამიხდა[20]. თავდაპირველად ამ ამბავმა ძალზე შემაშფოთა: ცოტაც და, იძულებული ვიქნებოდი ხელი ამეღო მასწავლე-ბლობაზე, ან დროებით მაინც შემეწყვიტა ეს საქმიანობა, ვიდრე მოვმჯობინდებოდი. მაგრამ როგორც კი ჩემს სულში თავი იჩინა და მტკიცედ დამეუფლა იმის სურვილი, რომ „გავთავისუ-ფლებულიყავი და მეხილა, რადგანაც შენ უფალი ხარ“[21], - მართალი გითხრა, ღმერთო ჩემო, სიხარულიც კი ვიგრძენი, რომ ესოდენ საპატიო მიზეზი მომეცა თავის გასამარ-თლებლად, რასაც უნდა შეერბილებინა მშობლების წყენა, რომლებიც, თავიანთი შვილების გამო, არასდიდებით არ დამრთავდნენ სკოლიდან წასვლის ნებას.

ამ სიხარულით აღსავსემ გადავწყვიტე ცოტაც გამეძლო - არდადეგებამდე სულ ოციოდე დღე თუღა რჩებოდა, - მაგრამ ვაი ამ გაძლებას: ჩემში უკვე აღარ იყო ის მონდომება, რისი წყალობითაც თავს ვართმევდი ამ ჭაპანწყვეტას, და მოთმინებას რომ არ შეეცვალა იგი, ეს მძიმე ტვირთი ნამდვილად წელში გამწყვეტდა.

შესაძლოა, რომელიმე შენმა მსახურმა, ერთ-ერთმა ჩემმა ძმათაგანმა თქვას, რომ ვცოდე, რაკიღა თუნდაც ერთი საათით დავრჩი სიცრუის ამ კათედრაზე, მაშინ როდესაც ჩემი გული სავსე იყო შენი მსახურების სურვილით. არაფერს ვიტყვი პასუხად. მაგრამ განა შენ, გულმოწყალე უფალო ჩემო, სხვა, უფრო მძიმე და მომაკვდინებელ ცოდვებთან ერთად არ მომიტევე ეს შეცოდებაც, შენი წმინდა წყლით რომ განმბანე?![22]

---

[17] იხ. აქვე შენ. 15.

[18] რთვლობა სწორედ ზემოხსენებულ არდადეგებს ემთხვეოდა (იხ. აქვე, შენ. 11).

[19] რომ. XIV, 16.

[20] „ექიმმა ლეგევიმ სცადა დაედგინა ავგუსტინეს ავადმყოფობა. მისი აზრით, ეს არამც და არამც არ შეიძლებოდა ფილტვებისა თუ ყელის ტუბერკულოზი ყოფილიყო, არამედ, უმალ, ქრონიკული ბრონქიტი, ლარიგიტითა თუ ტრაქეიტით გართულებული (B.Legewie. Die Korperbiche Konstitution und die Krankheiten Augustins. Miscelanea Agostiniana. Roma. 1931, t.II, p.19-20)“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ. 250.

[21] ფსალმ. 45, 11.

[22] იგულისხმება ნათლისღება.

III

5. ჩვენი ბედნიერების შემყურე ვერეკუნდუსი ჭმუნავდა და იტანჯებოდა, რადგანაც ხედავდა, რომ ამქვეყნიური ცხოვრების ბორკილი, რომელსაც მაგრად გაეთანგა იგი, სულ მალე აიძულებდა ჩვენს ჯგუფს ჩამოშორებოდა: თვითონ ქრისტიანი არ იყო, მაგრამ ქრისტიანი ქალი შეირთო ცოლად და ყველაზე მეტად სწორედ ეს უშლიდა ხელს ჩვენს გზას დასდგომოდა, რადგანაც ქრისტეს სჯულზე მოქცევა მხოლოდ იმ პირობით სურდა, რისი შესრულებაც შეუძლებელი იყო[23].

და მაინც, კეთილმოსურნედ შემოგვთავაზა, რამდენსაც მოვისურვებდით, იმდენი ხანი დაგვეყო მის მამულში. შენ მიაგებ კუთვნილს, უფალო, როცა მოაწევს მართალთა აღდგომის ჟამი; თუმცა უკვე მიაგე მას, რადგანაც, მართალია, ჩვენი წამოსვლის შემდეგ (როცა უკვე რომში ვიყავით), მძიმე ავადმყოფობისას ქრისტეს სჯული მიიღო და ასე დაუტევა ეს ქვეყანა. ამით მარტო ის კი არა, ჩვენც შეგვიწყალე, რაკიღა აუტანელ ტკივილს აღარ მოგვაყენებს იმის შეგნება, რომ თავისი უჩვეულო სიკეთით გამორჩეულ ამ ჩვენს მეგობარს ადგილი არა აქვს შენს სამწყსოში.

მადლობას გწირავთ, ღმერთო ჩვემო. შენი ვართ ჩვენ. ამას მოწმობს შენი შეგონება და შენი ნუგეში. შენივე აღთქმის ერთგულმა კასიციაკუმში[24] მდებარე მისი პატარა მამულის სანაცვლოდ, სადაც იმ ზათხულს შენს წიაღში განვერიდეთ ამა სოფლის ყველა საზრუნავს, მარად მოღაღანე სამოთხის - ამ უკვდავი მამულის მშვენიერება უბოძე მას, რაკიღა შეუნდე მიწიერი ცოდვები „ამ პოხიერ მთაზე, შენს მთაზე, სიუხვის მთაზე“[25].

6. მაგრამ მაშინ ის სევდას შეეპყრო, ნებრიდიუსი კი ჩვენთან ერთად ხარობდა. მართალია, ჯერ არც ის იყო ქრისტიანი და ოდესღაც ყველაზე საშინელი ცთომილების ხაროში ჩავარდნილიყო (შენი ძის ჭეშმარიტ სხეულს ფანტასმად თვლიდა[26]), მაგრამ უკვე თავი დაეღწია მისთვის, და თუმცა ჯერ კიდევ არ ზიარებოდა შენი ეკლესიის საიდუმლოებებს, მაინც გულმხურვალედ დაეძებდა ჭეშმარიტებას, ჩვენი მოქცევისა და შენი ნათლისღებით ჩვენივე ხელახლა შობის შემდეგ სულ მალე განუტევე მისი სული სხეულისაგან, ამ დროისათვის ის უკვე ჭეშმარიტი კათოლიკე იყო და სრული სიწმინდითა და კრძალულებით გემსახურებოდა თავის მშობლიურ აფრიკაში; და ნებრიდიუსის მთელი სახლეულიც მისი მეოხებით მიიქცა ქრისტეს მიმართ.

---

[23] ვერეკუნდუსს არ შეეძლო თავის ქრისტიან მეუღლეს გაჰყროდა, ქრისტიანობის მიღება კი, ცოლიანს, შეუძლებლად ეჩვენებოდა. ასეთი იყო ნეტარი ავგუსტინეს ეპოქის ასკეტური იდეალის ერთი კერძო ასპექტი.

[24] ვერეკუნდუსის მამულს - კასიციაკუმს დიდხანს ეძებდნენ მილანის შემოგარენში. ფრანგი მეცნიერი ლუი ბერტრანი მას მილანიდან 33 კმ-ით დაშორებულ სოფელთან კასაგო დი ბრიანცასთან აიგივებს, ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი ეს უნდა იყოს ლომბარდიის სოფელი კაშაზო, რომელიც მილანიდან 65 კმ-ითაა დაშორებული.

[25] ფსალმ. 67, 16-17.

[26] ე.ი. მანიქეველთა მოძღვრებას იზიარებდა.

ახლა კი განისვენებს იგი „წიაღსა შინა აბრაამისა“, რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვაში? მაინც რას ნიშნავს ეს „წიაღი“?[27] იქ ცხოვრობს ჩვენი ნებრიდიუსი, უძვირფასესი მეგობარი ჩემი, ოდესღაც აზატყოფილი[28], ხოლო აწ შენი შვილობილი; დიახ, ახლა იქ ცხოვრობს იგი. ან კი სხვაგან სად უნდა იყოს ამბაირი სულის სავანე? იქ ცხოვრობს, ამ სანუკვარ ადგილას, რომელზედაც ამდენს მეკითხებოდა უბადურკ უვიცს. ახლა ჩემს ბაგეს როდი მოაპყრობს ყურს, არამედ თავისი სულიერი ბაგით დასწაფებია შენს მინდა წყაროს და უსასრულო ნეტარებაში დანთქმული სვამს იმდენს, რამდენიც შეუძლია, შენი ღვთაებრივი სიბრძნის სიტკბოს. არა მგონია, იმდენად გაებრუებინოს ამ ნეტარებას, რომ საბოლოოდ დავევიწყებინე: შენ ხომ გახსოვარ, უფალო, წყურვილს რომ უკლავ მას.

ასე ვცხოვრობდით და ვანუგეშებდით ჩვენი მოქცევით დამწუხრებულ, მაგრამ კვლავაც მეგობრობის ერთგულ ვერეკუნდუსს; შევაგონებდით, იმდენად მაინც მიეღო ჭეშმარიტი რწმენის ნათელი, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევდა მისი იმჟამინდელი მდგომარეობა, ესე იგი, ცოლქმრული ცხოვრება. იმავდროულად, მოთმინებით ველოდით იმ წუთს, როცა ნებრიდიუსიც ჩვენს გზას დაადგებოდა. საამისოდ ისიც მზად იყო, მაგრამ ამასობაში არდადეგების დღეებიც მიიწურა. უსაშველოდ გაიჭიმა და გაჭიანურდა ჩემთვის ეს დრო; მე კი თავისუფლება და მოცალეობა მწყუროდა, რათა მთელის არსებით მეგალობა შენთვის: „შენ გეუბნება ჩემი გული: შენს სახეს ვეძებდი, და კვლავაც მოვძებნი, უფალო“[29].

IV

7. და აი, დადგა დღე, როცა საბოლოოდ გავთავისუფლდი რიტორიკის მასწავლებლობისაგან, რისგანაც უკვე დიდი ხანია თავისუფალი ვიყავი ჩემი ზრახვით. შენ განაშორე ჩემი ენა იმას, რასაც მანამდე უკვე განშორებოდა ჩემი გული. მადლს გწირავდი და მიხაროდა, რომ ჩემიანებთან ერთად[30] მივემგზავრებოდი სოფელში.

იქ კვლავ წერას მივყავი ხელი: მართალია, ჩემი წიგნებით შენ გემსახურებოდი, უფალო, მაგრამ მათში ჯერ კიდევ იგრძნობოდა სკოლის მასწავლებლისათვის ნიშნეული ამპარტავნება, - ასე სუნთქავენ მორბენლები, როცა სულის მოსათქმელად შეჩერდებიან ხოლმე, - რაც ნათლად ჩანს ჩემს დიალოგებში[31], სადაც გვერდით მყოფ მეგობრებს

[27] ნეტარი ავგუსტინეს წერილები (164, 7-8, 187, 6 და სხვ.) გვიჩვენებენ, როგორ ყოყმანობდა იგი ამ გამოთქმის ჭეშმარიტი აზრის დადგენისას. ასეა თუ ისე, მისი განმარტებით, ესაა მართალთა ნეტარების ადგილი, სადაც სული ქრისტეს პირისპირ ჭვრეტით ხარობს.

[28] ე.ი. მანიქეველთა ერესისაგან თავდახსნილი.

[29] ფსალმ. 26, 8.

[30] ესენი იყვნენ - ნეტარი ავგუსტინეს დედა მონიკა, ძმა ნავიგიუსი, ვაჟიშვილი ადეოდატუსი, ბიძაშვილები - ლანტიდიანე და რუსტიკუსი, მეგობარი ალიპისუი, მოწაფეები - ლიცენციუსი, რომანიანეს (იხ. მეოთხე წიგნის შენ. 43) ძე და თაგასტელი ტრიგეციუსი.

[31] იგულისხმება ვერეკუნდუსის მომხიბლავ მამულში გასიციაკუმში 386 წელს (ე.ი. ნათლისღებამდე ერთი წლით ადრე) დაწერილი დიალოგები: „აკადემიკოსთა წინააღმდეგ“ („Contra academicos“), „ნეტარი ცხოვრებისათვის“ („De vita beata“), „წესრიგისათვის (De ordine„“), რომლებშიაც, ნეტარი ავგუსტინეს შემოქმედების მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, გაცილებით უფრო ძალუმად იგრძნობა ანტიკური ფილოსოფის გავლენა (პლატონი, ნეოპლატონიკოსები, ციცერონი), ვიდრე ქრისტიანული სულისკვეთება.

ვეპაექრები, ისევე, როგორც ჩემსავე საუბრებში საკუთარ თავთან[32], რისი მოწმეც შენ ხარ, უფალო, და ნებრიდისუსისათვის გაგზავნილ წერილებშიაც[33].

მეყოფა კია დრო საიმისოდ, რომ გავიხსენო ყოველივე ის, რაც უშურველად მიწყალობე იმხანად? მე ხომ ერთი სული მაქვს, კიდევ უფრო მთავარსა და არსებითზე გადავიდე. მოგონება ჩემს თავსვე გამომახმობინებს წარსულიდან, და არა არის რა ჩემთვის იმაზე უტკბესი, ვიდრე ვაღიარო, რა ფარული საწერტლით მოდრკიე ჩემი სული, რანაირად დაამ-დაბლე ჩემი ზრახვების ყოველი „მთა და ბორცვი", „გაასწორე მრუდი" და ვაკედ აქციე ფლატე[34], ან როგორ დაუმორჩილე ჩემი გულისმიერი ძმა ალიპიუსი შენი მხოლოდშობილი ძის - „ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს"[35] სახელს, რომელსაც უწინ ზიზღით უარყოფდა იგი და ჩვენს ნაწერებში მისი ხსენებაც არ უნდოდა, რადგანაც ერჩია უფლის მიერ დამხობილ სასკოლო კედართა[36] სურნელით ყოფილიყვნენ ისინი გაჟღენთილნი, ვიდრე საეკლესიო ბალახთა ნელსურნელებით, გველის ნაკბენისაგან რომ კურნავენ კაცს[37].

8. ასე გიხმობდი, ღმერთო ჩემო, დავითის ფსალმუნების, რწმენის ამ საგალობლების კითხვისას, ღვთისმოსაობით რომ არიან აღსავსენი და სიახლოვეს არ იკარებენ ზვაობის სულს! მე, ახალბედა შენს წმიდა სიყვარულში, კატეხუმენი, ასევე კატეხუმენ ალიპიუსთან ერთად, სოფელში ვისვენებდი. ჩვენთან იყო დედაჩემი, ვის სულშიაც ერთმანეთს ერწყმოდა ქალური სათნოება და მამაკაცური რწმენა, სიბერისათვის ნიშნეული სიცხადე და დედობრივი სიყვარული, ისევე, როგორც ქრისტიანული ღვთისმოშიშება.

როგორ გიხმობდი ამ ფსალმუნებით! რანაირ სიყვარულს აღაგზნებდნენ ისინი ჩემში! როგორი სურვილი მწვავდა, თუკი შევძლებდი, მთელი ქვეყნიერებისათვის წამეკითხა ისინი, რათა ამრიგად შემემუსრა კაცთა მოდგმის ამპარტავნება![38] მაგრამ აკი მათ მთელი დედამიწის ზურგზე გალობენ კიდეც, და „ვერავინ ემალება შენს მცხუნვარებას"[39].

---

[32] იგულისხმება ნეტარი აგვუსტინეს „საუბრები საკუთარ თავთან", ანუ „მონოლოგები" („Soliloquia", 387 წ.), სადაც, ისევე როგორც ზემოხსენებულ დიალოგებში, იმდენად მკვეთრია კონტრასტი, ერთის მხრივ, ამ თხზულებების მკაფიოდ გამოკვეთილ პლატონიზმსა და, მეორეს მხრივ, „აღსარებათა" ქრისტიანულ რიგორიზმს შორის, რომ გასული საუკუნის ცნობილი ფრანგი მეცნიერი გასტონ ბუასიე თავის გამოკვლევაში „წარმართობის დამხობა" პირდაპირ სვამს კითხვას: მაინც რომელია ნამდვილი ავგუსტინე - „აღსარებათა" მონანიე ცოდვილი თუ დიალოგების პლატონისტი ფილოსოფოსი? ბუასიეს მტკიცებით, - ერთიცა და მეორეც, მაგრამ დიალოგებში ის თავის თავს გვიჩვენებს როგორც ფილოსოფოსს, მაშინ როდესაც „აღსარებებში" გულმხურვალე მორწმუნედ წარმოგვიჩნდება.

[33] ნებრიდიუსთან ვრცელი მიმოწერიდან უმნიშვნელო ნაშთიღა შემოგვრჩა („წერილები", 5, 6, 8).

[34] ლუკა, III, 5; ესაია, XL, 4.

[35] II პეტრე, III, 18.

[36] ფსალმ. 28, 5.

[37] „სამედიცინო მეტაფორათა სიუხვე ნიშნეულია პირველი საუკუნეების ქრისტიანული მწერლობის სტილისათვი. იხ. Harnack, Medicinisches aus der aeltesten Kirchengaschichte, - Txte und Untersuchungen, VII, 4 (1892). Stanley Pearse, - Harvard Studies in Classical Philology, t. XXV (1914), p. 73-86; Monccaux, - Comptes-rendus de l'acad. des Inscr. 1920, p. 75". - პიერ დე ლაბროილის შენიშვნა; იხ. დასახ. გამოც. გვ. 215.

[38] ნეტარ ავგუსტინეს მთელი სიცოცხლის მანძილზე თან გაჰყვა ფსალმუნების გულმხურვალე სიყვარული, რასაც თვალნათლივ გვიმოწმებს „აღსარებათა" ტექსტი, სადაც დავითის საგალობლები უფრო ხშირადაა ციტირებული, ვიდრე ნებისმიერი სხვა ძეგლი, „ახალი აღთქმის" გამოკლებით. ამასვე მოწმობს ფსალმუნების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებები („Ennarationes in Psalmos"), 391 წლიდან სიცოცხლის დამლევამდე რომ წერდა იგი.

[39] ფსალმ. 18, 7.

რა მწვავე და მძაფრი ტკივილი მიპყრობდა ხოლმე მანიქეველების გახსენებისას, თუმცა კვლავინდებურად მებრალებოდნენ ისინი, რადგანაც არ იციან ჩვენი საიდუმლონი, ეს უებარი წამლები[40], თავიანთი უგუნურებით უარყოფენ მათ და არ სურთ განიწმინდონ გონება. ნეტავი აქ სადმე გვერდით მყოლოდნენ, მე კი არ მცოდნოდა, რომ გვერდითა მყვანან: დაე, სახეში შემოეხედათ და მოესმინათ ჩემი ღაღადისი, როცა მოცალეობისას მეთოხე ფსალმუნს ვკითხულობდი: „მე გიხნე და შენც მისმინე, ჩემი სიმართლის ღმერთო; ვიტანჯებოდი და მომიფონე. შემიწყალე, უფალო, და შეისმინე ჩემი ვედრება“[41]; დაე, მოესმინათ, მე კი აზრადაც არ მომსვლოდა, რომ ვინმე მისმენს, რათა არ ჰგონებოდათ, მე კი აზრადაც არ მომსვლოდა, რომ ვინმე მისმენს, რათა არ ჰგონებოდათ, თითქოს მათი გულისთვის ვამბობდი იმას, რასაც ამ სიტყვებში ვგულისხმობდი. და მართლაც, ვერც ამას ვიტყოდი და ვერც ასე შევძლებდი თქმას, თუკი მეცოდინებოდა, რომ ისინი მხედავდნენ და მისმენდნენ მე, თუმცა, კიდევაც რომ მეთქვა, ვერასდიდებით ისე ვერ აღიქვამდნენ ჩემს სიტყვებს, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ვეცდებოდი ჩემით, ჩემთვისვე და შენი სახის წინაშე ჭეშმარიტი სიყვარულით გადამეშალა გული.

9. შიშით ვთრთოდი და, იმავდროულად, შენი მოწყალების სასოებითაც ვხარობდი[42], აღტაცებული ამის გამო, მამაო ჩემო. და ყოველივე ამას ამჟღავნედნენ ჩემი ხმა და ჩემი თვალები, როცა შენი კეთილი სული, ჩვენდამი მოქცეული, გვეუბნებოდა: „ძენო კაცთანო, რატომა ხართ გულფიცხელნი? რად გიყვართ ამაოება და ეძებთ სიცრუეს?“[43] მე კი მიყვარდა ამაოება და ვეძებდი სიცრუეს. ხოლო შენ, უფალო, უკვე „განადიდე შენი წმიდა“[44], „მკვდრეთით აღადგინე იგი, და მხარმაჯვნივ დაისვი ზეცას“[45], რათა აღესრულებინა თავისი აღთქმა და ზეცით მოევლინა „ნუგეშისმცემელი, ჭეშმარიტების სული“[46]. და მოაცლინა კიდევაც იგი, მაგრამ მე არ ვიცოდი ეს. დიახ, მოავლინა კიდევაც იგი, რადგანაც უკვე განდიდებულ იქნა, მკვდრეთით აღმდგარი და ზეცად ამაღლებული. ხოლო მანამდე „არ იყო მოცემული სული წმიდა, რადგანაც ჯერ კიდევ არ განდიდებულიყო იესო“.[47] და წინასწარმეტყველი ღაღადებს: „როდემდის იქნებით გულიფიცხელნი? რად გიყვართ ამაოება და ეძებთ სიცრუეს? მაშ, იცოდეთ, რომ უფალმა განადიდა თავისი წმიდა“[48]. ის ღაღადებს: „როდემდის?“ ღაღადებს: „იცოდეთ“, მე კი იმდენხანს ვიყავი უმეცარი, იმდენ ხანს მიყვარდა ამაოება და ვეძებდი სიცრუეს. ამიტომაც ვისმენდი და ვძრწოდი: ეს სიტყვები იმ ხალხის მიმართ იყო ნათქვამი, ვის რიცხვსაც, როგორც მახსოვს, მეც ვეკუთვნოდი. მოჩვენებებში, მე რომ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა, ამაოებაც იყო და სიცრუეც. მტკივნეული იყო ჩემთვის ამის გახსენება,

[40] შდრ. აქვე, შენ. 37.
[41] ფსალმ. 4, 2.
[42] შდრ. ფსალმ. 30, 8.
[43] ფსალმ. 4, 3.
[44] ფსალმ. 4, 4.
[45] ეფეს. I, 20.
[46] იოანე XIV, 16-17.
[47] იოანე VII, 39.
[48] ფსალმ. 4, 3 და შმდ.

და მეც ხმამაღალ, მწარედ ვჩიოდი. ოჰ, ნეტა ჩემი ჩივილი სმენოდა იმათ, ვისაც დღემდე უყვარს ამაოება და სიცრუე. იქნებ თვითონაც შემკრთალიყვნენ, უკუეგდოთ თავიანთი ცთომილებანი, და შენც, უფალო, შეგესმინა მათი ღაღადი, რადგანაც ქრისტე ჭეშმარიტი ხორციელი სიკვდილით მოკვდა ჩვენთვის, და იგია „ჩვენი მეოხი“[49].

10. მე ვკითხულობდი: „რისხვით აღივსეთ და ნუღარა სცოდავთ“[50]. როგორ მაღელვებდნენ ეს სიტყვები, ღმერთო ჩემო! უკვე ვრისხავდი ჩემსავე თავს საკუთარი წარსულის გამო, რათა მომავალშიაც აღარ შემეცოდა, და სამართლიანიც იყო ეს მრისხანეაბ, რადგანაც წყვდიადის ნაშიერი უცხო ბუნება როდი სცოდავდა ჩემში, როგორც ამტკიცებს ის, ვინც არ მრისხანებს საკუთარ თავზე და „თვითონვე იუნჯებს მრისხანებას რისხვისა და ღმერთის მართალი მსჯავრის გამოცხადების დღისათვის“[51]. ჩემს გარეთ როდიღა იყო ჩემი სიკეთე, და არც ხორციელი თვალით, სხივოსანი მზის სინათლეზე ვეძებდი მას. ვინც გარეგანს შეჰხარის, მალე დაჭკნება, რასაც ხილულსა და წარმავალს შეალევს თავის მთელ ძალას[52], და თავისი დამშეული წარმოსახვით არარსებულ საზრდოს დაუწყებს ლოღნას[53]. ო, ნეტა დაუძლურებულიყო შიმშილით და ეთქვა: „ვინ მაჩვენებს სიკეთეს?[54]“ პასუხად ვეტყოდი და ნეტა ესმინა: „აღბეჭდილია ჩვენში შენი სახის ნათელი, უფალო“[55]. რადგან ჩვენ თვითონ როდი ვართ ეს ნათელი, „რომელიც გაანათლებს ყველა კაცს“[56], არამედ შენითა ვართ განათლებულნი, ვინაიდან „ოდესღაც ბნელი ვიყავით, ხოლო ან ნათელი ვართ შენში“[57]. რა იქნენოდა, დაენახა ეს წარუვალი ნათელი, რომელიც ვიგემე მე და სიმწრით ვაღრჭიალებდი კბილებს, რადგანაც არ შემეძლო სხივსთვისაც მეჩვენებინა იგი. ნეტა მოსულიყო ჩემთან შენგან მიქცეული და გარესკნელისაკენ მიდრეკილი გულით, მოსულიყო და ეთქვა: „ვინ მიჩვენებს სიკეთეს?“[58] სიკეთე კი იქაა, სადაც მე ვმრისხანებდი საკუთარ თავზე, ჩემივე გულის სიღრმეში, სადაც მოვკალი და მსხვერპლად შემოგწირე ძველი კაცი; სადაც შენი იმედით გავემზადე განახლებისთვის; სადაც შეგიტკბე და „სიხარული მოეცი ჩემს გულს“[59]. ასე ვღაღადებდი, როცა გულით შევიცნობდი წიგნში წაკითხულს. არა, არ მინდოდა, დროის მომკვლელსა და დროისგან მოკლულს, მტვერივით მიმოვფანტულიყავი, მინიერ სიკეთეთა

[49] რომ. VIII, 34... ეს პასაჟი მიმართულია მანიქეველთა წინააღმდეგ, რომელნიც უარყოფდნენ ქრისტეს ადამიანურ ბუნებას და, მაშასადამე, მის სიკვდილსაც.

[50] ფსალმ. 4, 5... ნეტარი ავგუსტინე შემდეგნაირად განმარტავს დამოწმებული ფსალმუნის ამ მუხლს: ა) თუ მრისხანებთ, დაე, თქვენმა გონებამ მაინც ჰგმოს ეს განუსჯელი მოქმედება; ბ) „შერისხეთ თქვენი თავი თქვენივე უწინდელი ცოდვების გამო და აწი მაინც ნუღარა სცოდავთ“ („irascimini vobis ipsis de praeteritis peccatis et ulterius peccare desinite“).

[51] რომ. II, 5.

[52] „დედამიწა გვთავაზობს იმას, რაც უნდა გვიყვარდეს; დრო გვტაცებს იმას, რაც გვიყვარს, და სულში აჩრდილთა გუნდსღა გვიტოვებს, რომელნიც აქეზებენ მას ვნებიანად მიელტვოდეს ხან ერთსა და ხან მეორეს. ამიტომაც შფოთავს მწუხარე სული, რაკიღა ამაოდ ცდილობს შეინარჩუნოს ის, რისი წყალობითაც ინარჩუნებს საკუთარ თავს“ (ნეტარი ავგუსტინე, „ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის“, 35).

[53] დედანში ზუსტად ასეა: lambivit.

[54] ფსალმ. 4, 7.

[55] შდრ. ფსალმ. 4, 7.

[56] იოანე I, 9.

[57] ეფეს. V, 8.

[58] ფსალმ. 4, 7.

[59] ფსალმ. 4, 8.

შორის განწილული, რადგანაც შენს მარადიულ სიმარტოვეში იყო ჩემთვის „სულ სხვა პური, ღვინო და ზეთი“[60].

11. ხოლო მომდევნო ლექსის კითხვისას ხმამაღალი ყვირილი აღმომხდებოდა გულის სიღრმიდან: „ო, სიმშვიდეში!“[61] ო, თვით მასშივე!“ რას ნიშნავს მისი სიტყვებ: „დავიძინებ და ვეზიარები სიმშვიდეს?“[62] ვინ აღგვიდგება წინ, როცა აღსრულდება წერილი: „დაინთქა სიკვდილი ძლევით?“[63] რადგან შენა ხარ ჭეშმარიტად უცვლელი არსი[64]; შენშია სიმშვიდე და დავიწყება ყოველგვარი საზრუნავისა; არც არავინაა შენთან, შენსავე გარდა[65], და იმისთვის როდი „დამამკვიდრე, უფალო, სასოებით“[66], რომ ურიცხვ ამქვეყნიურ სიკეთეს გამოვდევნებოდი.

ვკითხულობდი, ვიწვოდი და არ ვიცოდი, რანაირად მეშველა ამ ყრუ მკვდართათვის, რომელთაც ვეკუთვნოდი უწინ თავადაც[67], მე უღირსი და უბადრუკი, უსინათლო და ურიცხვი ქოფაკი, გაშმაგებით რომ უყეფდა შენს სიტყვებს, ზეციური თაფლით დათაფლულთა და შენი ნათლით ნათელფენილთ. და მე ჭირის ოფლი მდიოდა, როცა შენი წმიდა წერილის მტრებზე ვფიქრობდი[68].

12. როდისღა მოვიგონებ მოცლილობის იმ ნეტარ დღეებს? მაგრამ არ დამვიწყნია და არც დუმილით ავუვლი გვერდს, თუ რა სასტიკად მამათრახებდი და რაოდენ საკვირველი იყო შენი წყალობა, ესოდენ სწრაფად რომ მეწია.

ერთხელ კბილის საშინელი ტკივილი მტანჯავდა, და როცა ტანჯვა იმდენად აუტანელი გახდა, რომ ლაპარაკიც აღარ შემეძლო, გადავწყვიტე მეთხოვა ყველასათვის, ვინც გარს მეხვია, ჩემი თავი შეევედრებინათ შენთვის, ყოვლის მკურნალო ღმერთო[69]. ჩემი თხოვნა პატარა დაფაზე დავწერე და წასაკითხად მივეცი მათ. და როცა სალოცავად მოვიყარეთ მუხლი, ტკივილიც გაქრა; მერედა, რანაირი ტკივილი, ან როგორ გაქრა! ვაღიარებ: თავზარი დამეცა, უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო: რაც თავი მახსოვს, ამისი მსგავსი არაფერი განმეცადა.

მაშინ კი გულის სიღრმემდე გავიმსჭვალე შენი ძალმოსილების შეგნებით, და სიხარულით აღსავსე გულმხურვალე რწმენით ვადიდებდი შენს სახელს. მაგრამ იგივე რწმენა

[60] ფსალმ. 4, 8.
[61] ფსალმ. 4, 9
[62] ფსალმ. 4, 9
[63] I კორ. XV, 54.
[64] იხ. მეშვიდე წიგნის შენ. 13.
[65] მეორე სჯ. IV, 35; ესაია XLV, 5.
[66] შდრ. ფსალმ. 4, 9.
[67] იგულისხმებიან მანიქეველები.
[68] შდრ. ფსალმ. 138, 21.
[69] შდრ. ფსალმ. 37, 23.

მოსვენებას არ მაძლევდა ჩემი ძველი ცოდვების გამო, რომლებიც ჯერ კიდევ არ მოგეტევებინა ჩემთვის შენი ნათლისღებით.

V

13. დამთავრდა არდადეგები და მე უარი ვთქვი ჩემს ადგილზე. დაე, მედიოლანელებს სხვა სიტყვით მოვაჭრე ეძებნათ თავიანთი შეგირდებისთვის. მე შენს სამსახურში გავემწესე და, ეგეც არ იყოს, მასწავლებლობა იმიტომაც აღარ შემეძლო, რომ სუნთქვა მიჭირდა და მკერდის არეში ყრუ ტკივილს ვგრძნობდი.

შენს მსახურს, მეუფე ამბროსის, ამ წმიდა და ღვთისმოსავ კაცს წერილობით ვაუწყე როგორც ჩემი ძველი ცოდვები, ისე ახლანდელი აღთქმაც და ვთხოვე ერჩია, შენი საღმრთო წერილის რომელი წიგნი წამეკითხა უპირველესად, რათა ესოდენ დიდი მადლის მისაღებად შემემზადებინა თავი. მან მიბრძანა, ესაია წინასწარმეტყველის წიგნი წამეკითხა, ალბათ, იმიტომ, რომ ყველაზე ცხადად გვაუწყებს სახარებისა და წარმართთა მოწოდების ამბავს. მაგრამ რაკი პირველივე თავი გაუგებარი დარჩა ჩემთვის, ვიფიქრე, მთელი წიგნიც ასევე გაუგებარი იქნება-მეთქი და გადავწყვიტე სამერმისოდ გადამედო მისი ხელმეორედ წაკითხვა[70], ვიდრე არ შევეჩვეოდი და შევითვისებდი საღმრთო წერილის ენას.

VI

14. და, აი, დადგა დრო, როცა მოსანათლად უნდა ჩავწერილიყავი[71]. დატვოვეთ სოფელი და მედიოლანუმში დავბრუნდით.

ალიპიუსს სურდა ჩემთან ერთად ხელახლა შობილიყო შენში; უკვე შეეძოსა ის სიმდაბლე, რაც შენს საიდუმლოებებს შეშვენის. ხორცის დაურვებისას ისეთ სიმტკიცეს იჩენდა, რომ ფეხშიშველაც კი დადიოდა იტალიის გაყინულ მიწაზე, რაც მის არნახულ შეუპოვრობას მოწმობს.

ჩვენ თან გვახლდა ადეოდატუსიც, ჩემი ხორციელი ცოდვის შვილი. ეს იყო შენი მშვენიერი ქმნილება. თხუთმეტი წლისა უკვე მრავალ დარბაისელ სწავლულს აღემატებოდა გონებით. ვაღიარებ შენს მადლს და წყალობას, უფალო ღმერთო ჩემო, ყოვლის შემოქმედო, მშვენიერებად რომ გარდაქმნი ჩვენს სიმახინჯეს: ჩემი არა ეცხო რა ყმანწვილს, თუ არ

[70] „მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ნეტარი ავგუსტინე ამჯობინებდა საღმრთო წერილის იმ წიგნებს, ადამიანის შინაგან ცხოვრებას რომ ეხებიან, ე.ი. ფსალმუნებს და პავლე მოციქულის ეპისტოლეებს. წინასწარმეტყველნი ისეთ სიამოვნებას როდი ჰგვრიდნენ მას, როგორც იერონიმეს“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ. 251.

[71] იხ. მერვე წიგნის შენ. 39.

ჩავთვლით ჩემსავე ცოდვას. ხოლო შენი მოძღვრებით რომ აღვზარდეთ იგი, ეს სხვა ვინმემ კი არა, შენ შთაგვაგონე: ვაღიარებ წყალობას შენსას.

ერთ ჩემს წიგნში, რომლის სათაურია „მოძღვარი“, ჩემი და მისი საუბარია გადმოცემული[72]. შენ ხომ იცი, რომ ყველა აზრი, რომელიც ჩემს თანამოსაუბრეს მიეწერება, სინამდვილეშიც მასვე - ჩემი თექვსმეტი წლის ვაჟს ეკუთვნის. ვინ მოსთვლის, რამდენი საოცრება აღმომიჩენია მასში. მაშინებდა კიდეც მისი უჩვეულო ნიჭიერება. შენ თუ არა, ვინ, რომელი ხელოსანი იქნებოდა ამ საკვირველების შემოქმედი?

ნაადრევად მოუსწრაფე სიცოცხლე და ახლა უფრო მშვიდადა ვარ მის გამო: აღარც მისი სიყრმისთვის ვშფოთავ, აღარც მისი სიჭაბუკისა და აღარც მთელი მისი სიცოცხლისათვის. ჩვენ დავიამხანაგეთ იგი, ჩვენივე ტოლი შენს მადლთან ზიარების წყალობით, რათა შენი მოძღვრებით გაგვეწაფა. ჩვენ მოვინათლეთ და ჩამოგვცილდა უწინდელი ცხოვრების ყველა საზრუნავი. მე ვერ ვძღებოდი მაშინ იმ საკვირველი სიტკბოებით, რომლითაც ვჭვრეტდი სიღრმეს შენი ზრახვისას - გეხსნა კაცთა მოდგმა. რამდენჯერ მიღვრია მდუღარე ცრემლი, როცა ვისმენდი შენს ჰიმნებსა და საგალობლებს, მომნუსხველად რომ ჟღერდნენ შენს ეკლესიაში, საამოდ ჩამოსმოდნენ ყურში, სმენას მიტკბობდნენ და ჭეშმარიტების ნაჟურად იწურებოდნენ სულის სიღრმეში[73]. ღვთისმოსაობით აღტყინებულს ნეტარების ცრემლი მდიოდა. ოჰ, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ.

VII

15. არც ისე დიდი ხნის წინათ, მედიოლანუმის ეკლესიაში ჩვევად იქცა დაემოძღვრათ და განემტკიცებინათ მორწმუნენი ერთობლივი გალობით, სადაც ერთმანეთს ერწყმოდა ქრისტესმიერ ძმათა გზნება, მათი ხმები და გულები. ერთი წლისა თუ ცოტა მეტი ხნის წინათ, დედოფალმა იუსტინამ, მცირეწლოვანი იმპერატორის ვალენტინიანეს დედამ, თავიანთი მწვალებლობით რომ აცთუნეს არიანელებმა, დევნა დაიწყო შენს ღირსეულ მსახურ ამბროსის. ღვთისმოსავთა ბრბო ეკლესიაში ათენებდა და აღამებდა: მზად იყო თავი დაედო ეპისკოპოს ამბროსისათან - შენს მონასთან ერთად. ღამისმთეველთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო დედაჩემი, შენი მხევალი, რომელიც ლოცვა-ვედრებითღა სულდგმულობდა ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვფენოდა მხურვალება შენი სულისა, მაგრამ მაინც ვბორგავდით და ვბობოქრობდით;

[72] ნეტარი ავგუსტინეს ეს. თხზულება („De magistro“) მამა-შვილის საუბრით იწყება: ადეოდატუსი ვერგილიუსის ლექსსა და ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობას განმარტავს. დიალოგი ფილოსოფიურ-რელიგიური შეგონებით მთავრდება: ყური მივუგდოთ ჩვენი გულის სიღრმეში დამკვიდრებულ ჭეშმარიტებას და ერთადერთ მოძღვრად მიგვაჩნდეს იესო ქრისტე.
[73] იხ. აქვე, შენ. 38.

ქალაქო შეოთსა და არეულობას მოეცვა[74]. სწორედ მაშინ შემოიღეს წესად, აღმოსავლური ეკლესიის ჩვეულებისამებრ, გალობით წარმოეთქვათ ჰიმნები და ფსალმუნები, რათა მორწმუნენი სევდასა და მწუხარებას არ დაეთრგუნა. მას აქეთ ეს ჩვეულება უცვლელად დარჩა და მრავალმა შეითვისა კიდეც, თითქმის ყველა შენმა სამწყსომ, მთელ მსოფლიოში.

16. მაშინ ზემოხსენებულ წინამდგომეს შენსას[75] ჩვენებით ეუწყა ის ადგილი, სადაც დამარხული იყო წმიდა მოწამეთა - პროტასისა და გერვასის ცხედრები[76], რომლებსაც ამდენ ხანს ფარულად ინახავდი უხრწნელად, რათა თავის დროს გამოგვესვენებინა იქიდან მძვინვარე დედოფლის დასათრგუნავად[77]. როცა მათ მიაგნეს და ამოთხარეს, სათანადო პატივით გადაასვენეს ამბროსის ბაზილიკაში. დიდი იყო მათი ძალა: არა მარტო უკეთური სულებით შეპყრობილნი იკურნებოდნენ (თვით დემონებიც აღიარებდნენ თავიანთ დამარცხებას), არამედ მრავალი სხვანიც. მთელს ქალაქში კარგად ცნობილმა ერთმა მედიოლანელმა მოქალაქემ, რომელსაც დიდი ხნის წინათ დაშრეტოდა თვალის ჩინი, იკითხა, რა არის ამ ზარზეიმის მიზეზიო, და როცა უთხრეს, რაშიც იყო საქმე, წამოხტა და თავის

---

[74] „ამბროსის ეპისკოპოსობის პირველი ცხრა წლის მანძილზე დასავლეთ რომის იმპერიის იმპერატორი იყო გრაციანე, სიქველით მოსილი კათოლიკე, მაგრამ უდარდელი და გულარხეინი კაცი. გრაციანეს თავდავიწყებით უყვარდა ნადირობა, რისი გულისთვისაც საერთოდ ხელი აეღო სახელმწიფოს მართვაზე. ბოლოს, ის მოკლეს. დასავლეთ რომის იმპერიის უმეტესი ნაწილის მბრძანებელი გახდა უზურპატორი მაქსიმე, მაგრამ საკუთრივ იტალიაში იმპერატორის ტიტული მიიღო გრაციანეს უმცროსმა ძმამ ვალენტინიანე II-მ, რომელიც ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო. ამიტომ პირველ ხანებში საიმპერატორო ძალაუფლება ხელთ ეპყრა დედამისს იუსტინას, იმპერატორ ვალენტინიანე I-ის ქვრივს, მაგრამ ის არიანელი ყიო, რაც გარდაუვალს ხდიდა შეჯახებას მასა და წმ. ამბროსის შორის...

საბაბმაც მალე იჩინა თავი. დედოფალმა მოითხოვა არიანელებისათვის დაეთმოთ მილანის ერთ-ერთი ეკლესაი, რაზედაც ამბროსიმ ცივი უარი განაცხადა. მოსახლეობა ეპისკოპოსს მიემხრო და ბაზილიკაში უზარმაზარმა ბრბომ მოიყარა თავი. გოთი ჯარისკაცები, რომლებცი არაიანელები იყვნენ, ბაზილიკის დასაკავებლად გაგზავნეს, მაგრამ ისინი მოქალაქეებს დაუძმობილდნენ. „დიდებულები და ტრიბუნები - გადმოგვცემს ამბროსი დისადმი მიწერილ მღელვარე წერილში, - ჩემთან მოვიდნენ, რომ ვეიძულებინეთ, ბრძანება გამეცა სასწრაფოდ ჩაებარებინათ ბაზილიკა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმპერატორი თავის უფლებას ახორციელებდა, რადგანაც არა არის რა ისეთი, მის ძალაუფლებას რომ არ ექვემდებარებოდეს. ამაზე მე მივუგე, ჩემთვის რომ მოეთხოვა ის, რასაც ჩემი ჰქვია, ჩემი მიწა-წყალი, ჩემი ფული და სხვა მისთანანი, რაც პირადად მე მეკუთვნის, არაფერს დავუკავებდი-მეთქი, თუმცა ყველაფერი, რაც მე მეკუთვნოდა, უპოვართა კუთვნილებაა (წმ. ამბროსი მდიდარი კაცი იყო; მღვდლად რომ ეკურთხა, ქრისტეს მცნებისამებრ, ღარიბ-ღატაკებს დაურიგა მთელი თავისი ავლადიდება, - ბ.ბ.). მაგრამ ის, რაც ეკუთვნის ღმერთს, იმპერატორის ძალაუფლებას არ ექვემდებარება. მე ვთქვი: „ჩემი ქონება გნებავთ? - ინებეთ. ჩემი სხეული? - ჩემივე ნებით წამოგყვები. გინდათ ბორკილები დამადოთ და სიკვდილით დამსაჯოთ? - ნეტარებად მივითვლი ამას. თავის დასაცავად არ ვუხმობ ბრბოს, არც საკურთხეველს ჩავებღაუჭები და არც ვედრებას დაგიწყებთ, სიცოცხლე მაჩუქეთ-მეთქი, არამედ სიხარულით შევეგებები სიკვდილს საკურთხევლის გულისთვის“. თავზარი დამეცა, გავშრი, გავქვავდი, როცა გავიგე, რომ შეიარაღებული ხალხი გამოუგზავნიათ ბაზილიკის მისატაცებლად; მეშინოდა, ვაითუ ბაზილიკის დასაცავად მოსული ხალხის სისხლი დაიღვაროს-მეთქი, რაც აამტუტებდა მთელ ქალაქს. ღმერთს შევევედრე, ჩვენი დიდებული ქალაქისა და, შესაძლოა, მთელი იტალიის დაღუპვას ნუ მომასრებ-მეთქი“ (წერილი XX).

ეს შიში გადაჭარბებული არ ყოფიალ, რადგანაც აღვირახსნილ გოთებს ყოველ წამს შეეძლოთ ქვა ქვაზე აღარ დაეტოვებინათ, როგორც ეს მოხდა ოცდახუთი წლის შემდეგ, რომის დარბევისას.

ამბროსის ძალა ის იყო, რომ მას მხარს უჭერდა მოსახლეობა. ეპისკოპოსს ბრალად დასდეს, მოქალაქეებს აქეზებსო, რაზედაც მან მიუგო: „მე არ შემიძლია ხალხის წაქეზება, მაგრამ მისი დაშოშმინება უფლის ხელთაა“. ვერცერთმა არიანელმა, აცხადებს ამბროსი, ფეხი ვერ წადგა წინ, რადგანაც მოქალაქეთა შორის არ ყოფილა არცერთი არიანელი. ამბროსიმ მიიღო ოფიციალური განკარგულება, დაუყოვნებლივ ჩაებარებინა ბაზილიკა, ჯარისკაცებს კი ებრძანათ, თუ საჭირო იქნებოდა, ძალა გამოეყენებინათ. მაგრამ უკანასკნელ წამს მათ უარი თქვეს ძალის გამოყენებაზე, ასე რომ, იმპერატორი იძულებული შეიქნა უკან დაეხია. ეს კი მოასწავებდა დიად გამარჯვებას ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამბროსიმ ცხადყო, რომ ზოგიერთ საკითხში სახელმწიფომ ქედი უნდა მოიხაროს ეკლესიის ნების წინაშე, და ამით დაამკვიდრა ახალი პრინციპი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას“ (Бертран Россел, История западной философий, Мю 1959, стрю 351-354).

[75] ეპისკოპოსი ამბროსი იგულისხმება.

[76] გადმოცემით, წმ. მოწამენი - პროტასი და გერვასი იმპერატორ ნერონის (54-68 წ.) დროს აწამეს.

[77] იგულისხმება დედოფალი იუსტინა (იხ. აქვე, შენ. 74).

გამყოლს სთხოვა, წმიდანთა ნეშტთან მიმიყვანეო. ბაზილიკაში შესულმა ნება ითხოვა, მიახლოვებოდა და ხელსახოცით შეხებოდა ტახტრევანს, რომელზედაც ესვენა იმათი ნეშტი, ვისთვისაც ითქვა: „ძვირფასია შენს წინაშე წმიდათა შენთა სიკვდილი“[78]; მერე თვალებთან მიიტანა ხელსახოცი და მაშინვე აეხილა თვალი[79]. მთელს ქალაქს მოედო ეს ამბავი; გულმხურვალედ გადიდებდნენ მრავალნი და სიხარულით გაბრწყინვებულნი გიძღვნიდნენ ქებას. ამიტომაც იყო, რომ წინააღმდეგომი შენი, დედოფალი იუსტინა, მართალია, ჯერ კიდევ ვერ მიიქცა ჭეშმარიტი რწმენის მიმართ, მაგრამ იმდენი მაინც შესძლო, რომ დაეურვებინა თავისი მძვინვარება, რომლითაც სდევნიდა მორწმუნეთ.

მადლობას გწირავ, ღმერთო ჩემო! საიდან გამოიხმე და საით წარმართე ჩემი მოგონებები, რათა აღსარება მეთქვა შენთვის და მეღიარებინა, რომ ლამიზ დამავიწყდა ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენები. თვით მაშინაც კი, როცა „ეგზომ საამო სურნელს აკმევდი“[80], არ მოგეახლეთ, რათა შეგვრდომოდით[81]. ამიტომაც ვტიროდი ასე გულმდუღარედ, როცა შენს საგალობლებს ვისმენდი; რა ხანია სულთქმით გიგონებდი და, ბოლოს, შევისუნთქე კიდეც ქროლვა შენგან მონაბერი ქარისა, რამდენადაც მან შემოაღწია ამ „თივის ქოხში“[82].

VIII

17. „შენ, ვინც ერთ ჭერქვეშ ამკვიდრებ ერთსულოვანთ“[83], ჩვენს ჯგუფში შემოიყვანე ჭაბუკი ევოდიუსი[84], რომელიც წარმოშობით ჩვენივე მუნიციპიუმიდან[85] იყო. ადრე საიდუმლო პოლიციაში მსახურობდა, მაგრამ თავი დაანება საერო სამსახურს, მოინათლა და შენდა სამსახურად აღიჭურვა. ერთად ვიყავით და ერთადვე ვაპირებდით განგვეხორცი-ელებინა ჩვენი წმინდა გადაწყვეტილება. დიდხანს ვეძებდით ადგილს, სადაც უკეთ შევძლებდით შენს მსახურებას. ერთხმად გადავწყვიტეთ აფრიკაში დავბრუნებულიყავით, და როცა ტიბერისის ოსტიაში[86] ვიყავით, დედაჩემი გარდაიცვალა.

ბევრ რამეს დუმილით ვუვლი გვერდს, რადგანაც ძალიან ვჩქარობ. მიიღე ჩემი აღსარება და მადლიერება, თუნდაც უსიტყვო, შენი ურიცხვი სიკეთისთვის შემოწირული,

---

[78] ფსალმ. 115, 6.

[79] ნეტარი ავგუსტინე ამ სასწაულს იხსენიებს „ღვთის ქალაქში“ (22, 8, 2) და „ქადაგებებშიც“ (286, 4). ამბროსის მდივანი პავლიუსი გადმოგვცემს, რომ ეს ბრმადყოფილი „დღესაც მსახურებს იმ ბაზილიკაში, ამბროსის ბაზილიკად რომ იწოდება, სადაც გდაასვენებს წმიდანთა ნეშტი“ („ამბროსის ცხოვრება“, 14).

[80] ქებათა-ქება, 1, 3.

[81] ზემოხსენებულმა სასწაულმა, ეტყობა, მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ნეტარ ავგუსტინეზე.

[82] ესაია, XL, 6... „თივის ქოხი“ - იგულისხმება სხეული.

[83] ფსალმ. 67, 7.

[84] ეს ევოდიუსი შემდეგ უზალის ეპისკოპოსი გახდა. შემორჩენილია მისი მიმოწერა ნეტარ ავგუსტინესთან.

[85] თვითმმართველობის მქონე ქალაქი, რომლის მცხოვრებნიც რომის მოქალაქეთა უფლებებით სარგებლობდნენ.

[86] ოსტია - დიდი სავაჭრო და სამხედრო ნავსადგური მდინარე ტიბერისის შესართავთან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენში დაკვიდრებული „ტიბრი“ (რუსიციზმი) და „ტიბროსი“ (არარსეული გრეციზმი) უხეში შეცდომაა.

რომელთა ჩამოთვლასაც აქ არ მოვყვები. მაგრამ იმას კი ვიტყვი, თუ რა განცდები იშვა ჩემს სულში ამ შენი მხევლის მიმართ, რომელმაც ხორციელად მშვა მე ამ საწუთროსათვის, სულიერად კი - საუკუნო სოფლისათვის. მის ღირსებებს კი არ ჩამოვთვლი, არამედ იმას, რაც უწყალობე. თვითონ როდი შეუქმნია, და არც თვითონ აღუზრდია თავისი თავი: შენ შეჰქმენი იგი, ასე რომ, არც დედამ და არც მამამ არ იცოდა, ვინ იცნქბოდა და რა იქნებოდა მათი ნაშიერი. შენი ქრისტეს წკეპლებმა შთაუნერგეს შენდამი შიში, შენმა მხოლოდშობილმა ძემ წარმართთა წრფელი გზით მისი ნაბიჯი იმ ღვთისმორწმუნე ოჯახში, რომელიც შენი ეკლესიის კეთილი წევრი იყო.

თავის ღირსეულ აღზრდას იმდენად დედას როდი უმადლოდა იგი, რამდენადაც ერთ მოხუც მოახლეს, რომელიც პატარაობისას ჯერ კიდევ მამამისს დაატარებდა ხელით, როგორც დაატარებენ ახლად წამოჩიტული გოგონები ხელში ატატებულ უმწეო ყრმებს. ამიტომაც იყო, რომ ბატონები დიდ პატივს სცემდნენ მის მხცოვანებას და უმწიკვლოებას. თუმცა არა მარტო დიდი პატივისცემით სარგებლობდა ამ ქრისტიანულ ოჯახში, არამედ უფრო მეტი უფლებ-ბითაც, ვიდრე სხვა მსახურები. სწორედ მას ჰქონდა მინდობილი ბატონის ქალიშვილების აღზრდა, და ისიც გულმოდგინედ ასრულებდა თავის მოვალეობას. საკმაოდ მკაცრი და ულმობელი იყო ბავშვების დასჯისას, როცა ეს აუცილებელი ხდებოდა, რჩევა-დარიგებისას კი დიდ კეთილმოსურნეობასა და წინდახედულებას იჩენდა.

ასე მაგალითად, გოგონებს, რომლებიც მშობლებთან ერთად უსხდნენ ღარიბულ სუფრას, წყურვილითაც რომ გაშრობოდათ პირი, ზოგჯერ იმის ნებასაც კი არ აძლევდა, რომ ორიოდე ყლუპი წყალი მოესვათ. გონივრული სიტყვით აფრთხილებდა მათ, უკეთურ ჩვევას არ დამონებოდნენ: „დღეს წყალს დალევთ, რადგანაც ღვინის სმის უფლება არა გაქვთ, ხოლო როცა გათხოვდებით და მეუღლის სახლში სარდაფისა და საკუჭნაოს მნენი გახდებით, წყალი შეიძლება მოგყირჭდეთ, სმის ჩვევა კი კვლავაც ჩვევადვე დარჩება“. ასე, გონივრული რჩევითა და მბრძანებლური კარნახით ცდილობდა იგი სიხარბე აღეკვეთა ნორჩებისათვის და თვით წყურვილის მოკვლის ნებასაც მხოლოდ იმდენად აძლევდა მათ, რომ ზომიერების ფარგებს არ გასცდენოდა: არ უნდა გაცთუნოთ იმან, რაც არ შეშვენის ადამიანის ღირსებასაო, - ეუბნებოდა იგი პატარებს.

18. და მაინც დედაჩემს (როგორც თვითონ მიყვებოდა მე - მის ვაჟს - შენი მხევალი) მალულად ეპარებოდა ღვინის სიყვარული. მშობლები, ჩვეულებრივ, მას ავალებდნენ, როგორც თავდაჭერილ გოგონას, სარდაფში ჩასულიყო და ღვინო ჩამოესხა კასრიდან. ისიც, როცა შეავსებდა დოქს, ვიდრე ბოთლებში ჩასცლიდა მას, ცოტას მოწრუპავდა ზედაშეს, რათა წვეთიც არ დაღვროდა გალიცლიცებული ჭურჭლიდან. მეტის დალევა კი არ შეეძლო, რადგანაც ღვინო არ სიამოვნებდა. მაგრამ ამას სიმთვრალის სიყვარულით კი არ სჩადიოდა, არამედ ძალთა სიჭარბის გამო, რაც გამოსავალს წამიერ სიანცეში ეძებდა, და რასაც ყრმების სულში უფროსებისადმი რიდი და კრძალვა თრგუნავს ხოლმე.

ასე რომ ღვინის ყლუპს დღითიდღე ემატებოდა ყლუპი, ჩვენ კი ვიცით, რომ „ვინც უგულებელყოფს მცირედს, მცირე ხნის შემდეგ დაეცემა“[87], და მალე იმ ზომამდის მივიდა, რომ ხარბად ეწაფებოდა ამ წმინდა, წყლით გაუზავებელ ღვინოს და ყოველდღე ლამის სავსე თასს სცლიდა.

სად იყო მაშინ მისი გულთამხილავი გამზრდელი მთელი თავისი სიმკაცრით? განა სადმე მოიძებნება ჩვენი ფარული სნეულების ქმედითი წამალი, თუკი შენ, უფალო, არ ფხიზლობ ჩვენს განსაკურნავად? შეიძლება შორს იყვნენ დედ-მამა და აღმზრდელები, მაგრამ შენ ყოველთვის ჩვენს გვერდითა ხარ, შენ, ვინც დაგვბადე, ვინც გვიხმობ და სიკეთის ქმნად იყენებ ადამიანებს, რათა იხსნა ჩვენი სულები. რა ქენი მაშინ, ღმერთო ჩემო? რითი განკურნე? როგორ დაუბრუნე ჯანმრთელობა? სხვისი პირით ხომ არ ჰგმე იგი, მკაცრი და სასტიკი სიტყვით, როგორც მკურნალის პირბასრი დანით, ხომ არ გაკვეთე მისი წყლული, დანით, შენი ფარული საცავიდან რომ ამოიღე, რათა ერთი დაკვრით ამოგეძირკვა ხრწნილება?

მოახლემ, რომელიც ყოველთვის თან ახლდა თავის პატარა ქალბატონს, ღვინო რომ ამოჰქონდა სარდაფიდან, დაუნდობლად ამხილა იგი და პირში მიახალა, ნამდვილი ლოთი[88] ხარო. დედაჩემი მწარედ მოსწყლა ამ მქირდავმა სიტყვამ; ახლაღა დაინახა, რაოდენ მავნე იყო მისი ჩვევა და შეძრწუნებულმა ხელი აიღო მასზე.

ასეა ხოლმე: მეგობრები თავიანთი პირფერობით გვრყვნიან, მტრები კი გმობითა და ლანძღვა-გინებით ჩვენს გამოსწორებას უწყობენ ხელს. თუმცა შენ, უფალო, ერთთაც და მეორეთაც იმისთვის კი არ მიაგებ სანაცვლოს, რასაც მათი მეშვეობით იქმ, არამედ მათი განზრახვისათვის. დედაჩემის განაწყენებულ მოახლეს ის კი არ სურდა, რომ განეკურნა თავისი პატარა ქალბატონი, არამედ ის, რომ მოთმინებიდან გამოეყვანა იგი: მალულად, როცა დრო იხელთა და სათანადო ადგილიც შეურჩია, ან იქნებ, იმიტომაც, რომ თავიდან აეცილებინა ბატონების რისხვა ნაგვიანევი დაბეზღებისთვის.

ხოლო შენ, უფალო, რომელიც განაგებ ყოველს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ვისაც ძალგიძს შენივე ზრახვით აღმა ადინო მდინარენი და შენს ნებას დაუმორჩილო დროის ბობოქარი დინება, - ერთი სულის სიშლეგით განკურნე მეორე[89]. თუ ვინმეს თავისი სიტყვით გამოუსწორებია ის, ვისი გამოსწორებაც სურდა, დაე, ჩემი ნაამბობის წაკითხვის შემდეგ თავის თავს ნუ მიაწერს ამ ძალას.

---

[87] შდრ. სიბრძნე ზირაქ. XIX, 1.

[88] დედანში - meribibula: „გაუზავებელი ღვინის მსმელი“. ძველი ბერძნები და რომაელები წყლით გაზავებულ ღვინოსა სვამდნენ. გაუზავებელი ღვინის სმა ბარბაროსულ ჩვეულებად ითვლებოდა. აღსანისნავია, რმო „მერიბიბულა“, როგორც ლექსიკოლოგები მოწმობენ, „აღსარებათა“ ამ პასაჟის გარდა, მთელს უზარმაზარ ლათინურ მწერლობაში სხვაგან არსადა გვხვდება.

[89] „რამდენ რამეს სჩადიან ბოროტნი ღვთის ნების საპირისპიროდ, მაგრამ ისეთი მისი სიბრძნე და ძალი, რომ ყველაფერი, რაც თითქოს ღვთის ნებას ეურჩებოდა, კეთილსა და სამართლიან დასასრულს ჰპოვებს, წინასწარ დადგენილს მის მიერ“ („ღვთის ქალაქისათვის“, 22, 2).

IX

19. უმანკოებითა და კრძალვით აღზრდილი, მშობლების გამგონე და დამჯერი, უმალ შენდამი, ვიდრე მათდამი მორჩილების გამო, - საქორწინო ასაკისა რომ მოიყარა, დედაჩემი ქმარს ჩააბარეს, რომელსაც სიკვდილამდე ერთგულად ემსახურებოდა და ცდილობდა შენთვის შეეძინა იგი[90]. შენზე ელაპარაკებოდა ქმარს მთელი მისი სულიერი სიფაქიზე, ესოდენ მომხიბლავს, სიყვარულისა და პატივისცემის ღირსს რომ ხდიდა და განცვიფრების საგნად აქცევდა ცოლს. დედაჩემი უდრტვინველად იტანდა ქმრის ღალატს და ამის გამო მეუღლესთან არასოდეს მოსვლია უთანხმება. სულ იმის მოლოდინში იყო, რომ შენ, უფალო, მონყალებას მოიღებდი მის მიმართ, რის შედეგადაც რწმენასა და კრძალულებას ჩაუნერგავდი.

ისიც უნდა ითქვას, რომ მამაჩემი უსაზღვროთ კეთილი კაცი იყო, თუმცა ძალზე გულფიცხი გახლდათ. დედაჩემმაც კარგად იცოდა, რომ არამცთუ საქმით, სიტყვითაც არ უნდა აღდგომოდა წინ განრისხებულ ქმარს. როდესაც დარწმუნდებოდა, რომ სიშმაგემ გაუარა და დამშვიდდა, მაშინღა უხსნიდა, რაოდენ უსამართლო იყო მისი საქციელი, რაკიღა უმიზეზოდ შმაგობდა ხოლმე. ბევრ ქალს, ვისაც გაცილებით უფრო მშვიდი და თვინიერ ქმარი ჰყავდა, მთელი სახე დალილავებული ჰქონდა ცემისგან. ამიტომაც ერთმანეთს შესჩიოდნენ ხოლმე თავიანთ სვედავსილობას, დედაჩემი კი მათ ჭარტალა ენას ადანაშაულებდა, და თითქოს ხუმრობით, დაბრაისლურ რჩევას აძლევდათ: იმ წუთიდანვე, როცა საქორწინო ხელშეკრულება წაგიკითხეს[91], ის თქვენთვის უნდა იყოს სიგელი, რომლებიც ქმრების მხევლებად გაქცევთ და გამუდმებით შეგახსენებთ თქვენს მდგომარეობას, რათა არასოდეს აიმაღლოთ ხმა თქვენი ბატონების წინაშეო[92]. ვინც იცოდა, რა მძვინვარე ქმრის გვერდით უწევდა ცხოვრება, განცვიფრებული იყო: არასოდეს სმენოდა და არც ენახა ვინმეს, რომ პატრიციუსს ცოლი ეცემა, ან თუნდაც ერთი დღით რაიმე უსიამოვნება მოსვლოდა მასთან. ნაცნობი ქალები ცდილობდნენ გაეგოთ, რა იყო ამის მიზეზი; დედაჩემი კი თავის საიდუმლოს უმხელდა მათ, რაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ვინც კი ისმენდა მის რჩევას, სამუდამოდ მისი მადლიერი რჩებოდა, ხოლო ვინც არ ისმენდა, თვითონვე იყო თავისი თავის მტერი.

20. უზნეო მოახლეთა ენატანიობამ რძალს თავდაპირველად აუმხედრა დედამთილი, მაგრამ დედაჩემმა თავისი თვინიერებით, მოთმინებითა და სიმშვიდით ისე განაიარაღა იგი, რომ დედამთილმა თვითონვე შესჩივლა თავის ვაჟს მოახლეთა უკეთური საქციელი, რამაც უთანხმება ჩამოაგდო რძალ-დედამთილს შორის და დაარღვია ოჯახური მყუდროება;

[90] ე.ი. ქრისტეს სჯულზე მოექცია.

[91] „კითხულობენ საქორწინო ხელშეკრულებას; კითხულობენ ყველა მოწმის თანდასწრებით; კითხულობენ მშობლების წინაშე სწორედ იმ დროს, როცა ისინი საქმროს აბარებენ თავიანთ ქალს“ („ქადაგებანი“, 51, 22).

[92] შდრ. ეფეს. V, 22-24: „ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს; ვინაიდან ქმარია ცოლის თავი, როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა, და თვითვეა სხეულის მხსნელი. მაგრამ როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც - თავიანთ ქმრებს ყველაფერში“.

შესჩივლა და თავგასულთა დასჯაც მოითხოვა. შვილმაც ყურად იღო დედის თხოვნა და რაკიღა სურდა ჭკუა ესწავლებინა მსახურთათვის და კვლავ აღედგინა თანხმობა, მთხოვნელის ნება-სურვილისამებრ გააწკეპლინა დამნაშავენი. დედამთილი დაეუმქრა ყველას, ვაი იმას, ვინც ეცდება, ჩემდა საამებლად, რძალი გამილანძღოსო. მას აქეთ ვერავინ ბედავდა დედაჩემის ძვირი ეთქვა და ოჯახშიც სიამტკბილობამ დაისადგურა.

21. „მონყალეო უფალო ჩემო!“[93] სწორედ შენ მიეც ამ კეთილ მოახლეს შენსას, ვის წიაღშიაც შემქმენი მე, კიდევ ერთი ნათელი ნიჭი: თუ სადმე ჩხუბი და აყალმაყალი იყო, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, მშვიდობისმყოფელად გვევლინებოდა. მოთმინებით ისმენდა ორივე მხარის ურიცხვსა და მწარე ყვედრებას, რასაც ამოათხევს ხოლმე რისხვით ცნობამიხდილი სული. და როცა წყრობით აღვსილი ესა თუ ის ნაცნობი ქალი მის წინაშე უდიერი სიტყვით ლანძღავდა თავის მტერს, დედაჩემი მხოლოდ იმას გადასცემდა ამ უკანასკნელს, რაც მათ შერიგებას უწყობდა ხელს.

ამ ღირსებას არც ისე დიდ მნიშვნელობას მივანიჭებდი, საკუთარი მწარე გამოცდილებით რომ არ ვიცოდე, რამდენი ჩვენი მოყვასი არა მარტო თავისი გაშმაგებული მტრის სიტყვებს გადასცემს კაცს, არამედ თავის მხრივაც უმატებს რაღაც ისეთს, რაც საერთოდ არ თქმულა (ეტყობა, რაღაც საზარელი, საქვეყნოდ გავრცელებული ცოდვის ჭირი მოქმედებს აქ). არადა, კაცური კაცი უკეთური სიტყვით არ აღაგზნებს, არ გააჩაღებს მტრობის ხანძარს; პირიქით, ეცდება კეთილი სიტყვით ჩააქროს იგი.

ასეთი იყო დედაჩემი. შენ ასწავლიდი ამას მისი გულის ფარულ სკოლაში.

22. ბოლოს და ბოლოს, მისი სიცხოცხლის დამლევს, როგორც იქნა, შეგძინა ქმარი, და ქრისტეს სჯულზე მოქცეული უკვე აღარ აღვრევინებდა ცრემლს იმაზე, რასაც დასტიროდა დედაჩემი, როცა მისი ქმარი ჯერ კიდევ არ დასდგომოდა ჭეშმარიტ გზას. ის იყო მსახური ყველა შენი მსახურისა. ვინც კი იცნობდა, აქებდა, პატივს სცემდა და უყავრა იგი, რადგანაც გრძნობდა, რომ მისი გული იყო შენი სავანე, რასაც თვალნათლივ მოწმობდა მისი წმინდა ცხოვრება: ის იყო „ერთი ქმრის ცოლი, მშობლების პატივისმცემელი, სახლეულის მართლად გამრიგე და გულმოდგინე კეთილ საქმეში“[94].

სათუთად ზრდიდა შვილებს და, როგორც მათი შობისას, ისე იტანჯებოდა ყოველთვის[95], როცა ხედავდა, რომ ისინი ჭეშმარიტების გზას ასცდნენ.

და ბოლოს, რაკი შენი მონყალებით ნებასა გვრთავ შენს მსახურებად ვიწოდებოდეთ, მიძინებამდე ისე ზრუნავდა ყველა ჩვენგანზე, ვისაც მეგობრები გვერქვა და ვინც შენი

[93] ფსალმ. 58, 18.
[94] შდრ. I ტიმ. V, 9, 4, 10.
[95] შდრ. გალატ. IV, 19.

ნათლიდღეების მადლს ვეზიარეთ, თითქოს ყველანი მისი ნაშიერნი ვყოფილიყავით და, იმავდროულად, ისე გვემსახურებოდა, როგორც საკუთარ მშობლებს.

X

23. მაგრამ მოახლოვდა ამ ქვეყნით მისი გასვლის დღე, რომელიც შენ იცი, უფალო, ჩვენ კი არ ვიცით იგი. მოხდა ისე, რომ მე და დედაჩემი მარტონი დავრჩით (ხოლო ამაშიც მე შენს ფარულ წინასწარგანჩინებასა ვხედავ). ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილნი გავყურებდით იმ სახლის ბაღს, სადაც ვცხოვრობდით ოსტიაში[96] ყოფნისას. ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილ-დაქანცულნი, როგორც იქნა, განვმარტოვდით და ძალას ვიკრებდით გასამგზავრებლად. ტკბილად ვსაუბრობდით „წარსულის მავიწყარნი და იმისკენ მსწრაფნი, რაც წინ გველოდა“[97]; ერთმანეთს ვეკითხებოდით ჭეშმარიტების წინაშე - ხოლო ესა ხარ შენ, - რანაირი უნდა ყოფილიყო წმიდათა საუკუნო ცხოვრება, „რაც არ უნახავს თვალს, არ სმენია ყურს, და არ გაუვლია კაცს გულში“[98], არამედ ვცდილობდით გულის ბაგეებით დავწაფებოდით შენს ზეციურ წყაროს, „სიცოცხლის წყაროს, რომელიც არიან შენთან“[99], რათა გვსხურებოდა მისი წყალი და შეძლებისდაგვარად ჩავწვდომოდით მის სიდიადეს.

24. საუბრისას იმ დასკვნამდე მივედით, რომ გრძნობებით განცდილი ნებისმიერი სიამოვნება, რანაირი მიწიერი ნათლითაც არ უნდა იყოს იგი მოსილი, არამცთუ ვერ შეედრება საუკუნო ცხოვრების ნეტარებას, არამედ მასთან ხსენების ღირსიც კი არ არის. და მაშინ, გულმხურვალე სწრაფვით, „თვით მის“[100] სიდიადემდე ავმაღლდით, თანდათანობით უკან მოვიტოვეთ მისი ყოველი ქმნილება და ცის თავანს მივაღწიეთ, საიდანაც ნათელს ჰფენენ დედამიწას მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ასე მივიწევდით სულ უფრო და უფრო მაღლა, შენს ქმნილებებზე ვფიქრობდით, ვსაუბრობდით და განცვიფრებულნი ვიყავით მათი სრულყოფილებით. ბოლოს, ჩვენს სულსაც ვუწიეთ და უკან მოვიტოვეთ ისიც, რათა მივწვდომოდით ულევი სისავსის მხარეს[101], სადაც მარადის ასაზრდოებ ისრაელს ჭეშმარიტების საზრდოთი[102], სადაც ცხოვრება ის სიბრძნეა, რომელიც დასაბამს აძლევს ყოველივე იმას, რაც არის, იყო, ანდა იქნება. თვითონ კი დაუსაბამოა და ყოველთვის ისეთია, როგორიც არის, იყო და იქნება, ან, უფრო სწორად, მასზე არ შეიძლება ითქვას „იყო“, ან „იქნება“, არამედ მხოლოდ „არის“, რადგანაც წარუვალია, ხოლო წარუვალისათვის უცხოა

[96] იხ. აქვე, შენ. 86.
[97] შდრ. ფილიპ. III, 13.
[98] I კორ. II, 9.
[99] ფსალმ. 35, 10.
[100] ფსალმ. 4, 9.
[101] ეს გზა - გრძნობად-კონკრეტულ საგანთა თუ მოვლენათა მშვენიერების ჭვრეტა, საკუთარ სულში ჩაღრმავება, შინაგანი კათარსისი, თვითგანწმენდა, თვითდავიწყება და წმინდა ინტიუციით თვითმყოფი „ერთის“, ანუ ღმერთის ჭვრეტამდე ამაღლება - ღმერთის მისტიურ შემეცნების გზაა, ერთხელ და სამუდამოდ მონიშნული პლატონისა და პლოტინის მიერ. შდრ. მეშვიდე წიგნის შენ. 82.
[102] შდრ. ეზეკ. XXXIV, 14.

წარსულიც და მომავალიც[103]. მარადიული სიბრძნის ამ საუკუნო სავანეზე საუბრისას, ხარბად რომ ვილტვოდით მისკენ, მთრთოლვარე გულით ლამის კიდევაც მივწვდით მას. ამოვიკვნესეთ და იქ დავტოვეთ „პირველნაყოფი სულისა“[104], რათა კვლავ დავბრუნებოდით ამქვეყნიურ ფუჭსიტყვაობას, სიტყვებს, წამში რომ ჩნდებიდან და მყისვე ქრებიან. რა შეედრება შენს სიტყვას, ჩვენს უფალსა და მეუფეს, თავის თავშივე დავანებულს, მარადის უბერებელსა და ყოვლის განმაახლებელს![105]

25. ჩვენ ვამბობდით: „თუკი ვინმეში დაცხრება ხორცის ბობოქრობა, დაიშრიტება მიწის, წყლისა თუ ჰაერის წარმოდგენა, დადუმდება ცა და იყუჩებს სულიც[106], თავის თავს განუდგება და აღარც საკუთარ თავზე იფიქრებს, უტყვი გახდება სიზმარეული ჩვენება თუ წარმოსახვისეული გამოცხადება, დამუნჯდება ყოველი ენა, ყოველი ნიშანი და ყოველივე ის, რაც იბადება და ქრება, მოკლედ, თუ სრული მდუმარება დაისადგურებს, - რადგან, ყური რომ ვუგდოთ, ყველაფერი ამას ღაღადებს: „ჩვენ როდი შეგვიქმნია ჩვენივე თავი; არა, ჩვენ შეგვქმნა იმან, ვინც წარუვალია უკუნისამდე“[107], - თუკი ამის მთქმელნიც ხმას გაკმენდენ, ყურს მიაპყრობენ თავიანთ შემოქმედს და მხოლოდ ის ამეტყველდება, არა მათი მეშვეობით, არამედ უშუალოდ და თავისთავად, რათა ვისმინოთ მისი სიტყვა, არა ხორციელი ბაგეებით, არა ანგელოსთა ხმით, არა მეხთატეხით, არა იგავებით თუ ნართაული მინიშნებებით წარმოთქმული, არამედ თვითონ მის მიერ, ვინც გვიყვარს მისსავე ქმნილებებში; დიახ, თვითონ მის მიერ, ყოველგვარი ქმნილების გარეშე, როგორც ახლახან, როცა დავუტევეთ ჩვენივე თავი[108] და ფრთამალი აზრით მივეახლეთ ყოვლის უმაღლესსა და უზენაესს, უხრწნელსა და წარუვალ სიბრძნეს, და თანაც სულის ამნაირი მდგომარეობა რომ დიდხანს გაგრძელე-ბულიყო, ხოლო დაბალი ხატებანი განქიქებულიყვნენ, ასე რომ, მარტოოდენ მას, მარტოოდენ წარუვალ სიბრძნეს აღეტაცებინა, შთაენთქა და უსაზღვრო სიხარულით წაელეკა მისი მჭვრეტელნი, - და თუკი საუკუნო სიცოცხლე იმნაირია, რანაირიც იყო ნათელხილვისა და სანეტარო წვდომის ეს წამი, რის გამოც ასე ვჭმუნავდით, - განა სწორედ ეს არ არის ის,

[103] იხ. პირველი წიგნის შენ. 29.

[104] რომ. VIII, 23.

[105] შდრ. სიბრძნე სოლომ. VII, 27.

[106] პირწმინდად პლოტინისეული პასაჟია: „დაე, დაცხრეს არა მარტო სულის ყოველგვარი მღელვარება, სხეულისგან რომ იღებს დასაბამს, არამედ ყველაფერი, რაც გარს არტყია: დამშვიდდეს მიწა, ზღვა, ჰაერი და თვით ყოვლის უმჯობესი ზეცა“ („ენნ.“ V, 1, 2).

[107] ფსალმ. 99, 3, 5.

[108] აქაც აშკარად იგრძნობა პლოტინის გავლენა: იმისი წვდომა, რაც ამქვეყნიურ ფარგლებს სცილდება, ე.ი. ინტელიგიბილური სამყაროს მეტაფიზიკური ერთობისა, ადამიანურ გონებას ჩვეულებრივი ქმედითობით - განსჯისა და მსჯელობის გზით არ შეუძლია; ამისთვის ის თითქოს უნდა განუდგეს საკუთარ თავს: „რანაირი შთაბეჭდილებით შეგვიძლია იმისი აღქმა, რაც ჩვენი გონების ბუნებას აღემატება? შეძლებისდაგვარად ვცადოთ ამისი ახსნა: იმით, რაც ჩვენში ამ საწყისს (ე.ი. ინტელიგიბილურ სამყაროს, - ბ.ბ.) ენათესავება, - ვიტყვით პასუხად. რადგანაც არის ჩვენში რაღაც მისეული, ან, უფრო სწორად, არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც ის არ იყოს, ცხადია, იმ არსთათვის, რომელნიც წილნაყარნი არიან მასთან, და რაკი ის ყველგანაა, არ მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც ჩვენ ვერ შევძლებდით რაღაცა მიგვეღო მისგან, იმის წყალობით, რასაც ჩვენში შეუძლია მისი აღქმა. ის თითქოს ზარის წკრიალია, რომელიც ავსებს სივრცის მდუმარებას. ყველა კაცს, ვინც ყურს მიუგდებს მას, შეუძლია მთლიანად აღიქვას იგი, თუმცა, სხვა აზრით, მთლიანად როდი აღვიქვამთ მას. მაშ, რას აღვიქვამთ, როცა გონებას მისკენ მივმართავთ? - უწინარეს ყოვლისა, გონება უნდა უკუიქცეს, თავისი ორადობის მიუხედავად, განუდგეს, განესხვისოს საკუთარ თავს, და აღარ იყოს მთლიანად გონება, თუკი სურს იხილოს ეს უზენაესი საწყისი“ („ენნ.“ III, VIII, 9).

რაზედაც ითქვა: „შემოვედ უფლის შენის სიხარულში?“[109] როდისღა ახდება ეს? იქნებ მაშინ, როცა „ყველანი აღვდგებით, მაგრამ ყველანი როდი შევიცვლებით?“[110]

26. აი, ამას ვამბობდი მე, იქნებ არც მთლად ასე და არც ზუსტად ამ სიტყვებით, მაგრამ შენ იცი, უფალო, რომ იმ დღეს, როცა მე და დედაჩემი ვსაუბრობდით, ეს ქვეყანა ისეთი უბადრუკი და ზიზღის ღირსი გვეჩვენა, მთელი მისი სიამითა და სიტკბოებითურთ, რომ დედაჩემმა მითხრა: შვილო, მე უკვე აღარაფერი მიხარია ამ ქვეყნად. აღარც კი ვიცი რა უნდა ვაკეთო აქ, ან რისთვისღა ვიყო? არაფრის იმედი აღარა მაქვს. მხოლოდ ერთი რამ მაკავებდა ამ ცოდვილ დედამიწაზე: არ მინდოდა ისე მოვმკვდარიყავი, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანად არ მეხილე. ღმერთმა უშურველად ამისრულა ეს საწადელი: მის მსახურად და მიწიერი ბედნიერების მოძულედ მაჩვენა შენი თავი. მაშ, რაღა დამრჩენია აქ?“

XI

27. აღარ მახსოვს, რა ვუპასუხე, მაგრამ ხუთიოდე დღის შემდეგ ციებამ დარია ხელი და ლოგინად ჩაგვდო. ავადმყოფობისას ერთხელ გონი დაჰკარგა და ცოტა ხასნ გულწასული იყო. ყველანი მივცვივდით, მაგრამ მალე მოეგო გონს, დაგვინახა მე და ჩემი ძმა, თავს რომ ვადექით, და - „სად ვიყავიო?“ - ისე თქვა, თითქოს რაღაცას ეძებსო. შემდეგ მწუხარეთ გარინდებულთ გვითხრა: „აი, აქ დამარხავთ დედათქვენს“. მე ვდუმდი და ძლივს ვიკავებდი ცრემლებს. ჩემმა ძმამ სანუგეშოდ წაილუღლუღა, ღმერთმა გვარიდოს ეს სიმწარე, რომ სამშობლოდან ასე შორს, უცხო მხარეში დაიმარხოო. ამის გაგონებაზე, ცოტა არ იყოს, შეკრთა, ყვედრებით შეხედა მას, მერე ჩემზე გადმოიტანა მზერა და მითხრა: „გესმის, რას ამბობს?“ შემდეგ კი ორივეს მოგვმართა: „სულერთია, სად დაასვენებთ ამ სხეულს. ერთსა გთხოვთ მხოლოდ: სადაც არ უნდა იყოთ, უფლის საკურთხეველთან მოიხსენიეთ დედათქვენი“. ძლივსძლივობით წარმოსთქვა ეს სიტყვები და მიყუჩდა, სნეულებით განაძე-ბული.

28. მე კი, ღმერთო უხილავო, ვფიქრობდი ყველა იმ ნიჭზე, შენს ერთგულთ რომ უნერგავ გულში, სადაც საკვირველ ნაყოფს გვაძლევენ; მიხაროდა და მადლს გწირავდი[111]: აკი ვიცოდი, რარიგ ღელავდა ყოველთვის თავისი დაკრძალვის თაობაზე, წინასწარ იჭერდა თადარიგს და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ქმრის გვერდით დამარხულიყო. ტკბილი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ და დედაჩემს სურდა ეს ბედნიერება კვლავაც გაგრძელებულიყო (ადამიანის სულს არასდიდებით არ ეთმობა საწუთრო), რათა ხალხს ეთქვა: აი, ხომ ხედავთ, ზღვის იქით იყო და დაბრუნდა, რათა ქმრის გვერდით ეპოვა საუკუნო განსასვენიო.

---

[109] მათე, XXV, 21.
[110] 1 კორ. XV, 51.
[111] შდრ. კოლ. 1, 3.

ELIBRARY.SOU.EDU.GE

არ ვიცი, როდის ჩაქრა მის გულში, შენი უსაზღვრო მადლის წყალობით, ეს ფუჭი სურვილი. ამიტომაც მიხაროდა და მიკვირდა მისი უცნაური ფერისცვალება, თუმცა სარკმელთან საუბრისას, როცა მითხრა, რაღა დამრჩენია ამ ქვეყნადო, მის სიტყვებში უკვე აღარ იგრძნობოდა, რომ მშობლიურ მხარეში ნატრობდა სიკვდილს. როგორც უფრო გვიან გავიგე, ოსტიაში ყოფნისას დედობრივი გულახდილობით გაუნდვია ჩემი მეგობრებისთვის, რარიგ შესძულდა ეს საწუთრო და რა სასოებით ელოდა სიკვდილს. მე ამ საუბარს არ ვესწრებოდი, ჩემი მეგობრები კი განცვიფრებულნი დარჩენილან ქალის ამნაირი გამბედაობით (ესეც შენ უწყალობე, უფალო) და უკითხავთ, ნუთუ არ გეშინია, მშობლიური კუთხიდან ასე შორს დასტოვო შენი სხეულიო? „ღმერთისთვის არაფერია შორს, - უთქვამს დედაჩემს, - და არც ისაა საშიში, რომ ქვეყნის დასასრულს ვერ გაიხსენებს, სად აღმადგინოს“.

ამრიგად, ავადმყოფობის მეცხრე დღეს, თავისი სიცოცხლის ორმოცდამეთექვსმეტე წელსა და ჩემი ამქვეყნიური არსებობის ოცდამეცამეტე წელს განეშორა სხეულს ეს კეთილმორწმუნე და ღვთისმოშიში სული.

XII

29. თვალები დავუხუჭე და უსაზღვრო მწუხარებამ შეიპყრო ჩემი გული, რათა ცრემლების ნაკადულად გადმოღვრილიყო. სულის მძაფრი ძალისხმევით ვაიძულე თვალები, სადინარი არ მიეცათა ამ ნაკადისთვის და სრულიად მშრალნი დარჩენილიყვნენ. ოჰ, რა მტანჯველი იყო ეს ძალისხმევა! როცა დედაჩემმა სული დალია, ყმაწვილი ადეოდატუსი სანყალობლად ატირდა, მაგრამ ჩვენ ვაიძულეთ გაჩუმებულიყო. რაღაც ბალღური ასევე ითხოვდა ჩემშიც ცრემლებითა და ქვითინით ჩამეხში სიმწარე, მაგრამ ისიც დავთრგუნე და ჩავიკალ გულში. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ამნაირ აღსასრულს არ შეჰფეროდა ცრემლის ღვრა და მოთქმა-გოდება. ასე ხომ იმათ მწარე ხვედრს დასტირიან, ვისაც ჰგონია, რომ სიკვდილით ყველაფერი მთავრდება. დედაჩემისთვის კი სიკვდილი სულაც არ იყო მწარე ხვედრი; მეტიც, ის საერთოდ არ არსებობდა მისთვის[112], რასაც ნათლად მოწმობდა მისი ზნეობა და „უპირფერო რწმენა“[113].

30. მაშ, რა იყო ის, რაც ასე მწვავედ მტკიოდა შიგნით? ახალი ჭრილობა, რომელიც ამ ჩვეული, ესოდენ ტკბილი და საამური, ერთობლივი ცხოვრების უეცარმა შეწყვეტამ მომაყენა? შვებას მგვრიდა იმის შეგნება, რომ ამ უკანასკნელი სნეულების ჟამს, როცა თავს ვადექი, ალერსით მიხდიდა მადლობას, თავის კეთილ შვილს მეძახდა და ენითუთქმელი სიყვარულით იხსენებდა, რომ არასოდეს სმენია ჩემგან როყიოდ წამოსროლილი ან უხამსი სიტყვა.

---

[112] შდრ. I თესალ. IV, 13-14: „მაგრამ არა გვნებავს, ძმანო, რომ არა იცოდეთ რა განსვენებულთა, რათა არ სწუხდეთ დანარჩენთა მსგავსად, რომელთაც არა აქვთ სასოება. რადგანაც, თუ გვწამს, რომ იესო მოკვდა და აღდგა, მაშინ ღმერთი იესოში განსვენებულთა მოიყვანს მასთან ერთად“.

[113] 1 ტიმ. I, 5.

კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, ჩვენო შემოქმედო, სად ჩემი მოკრძალებული სამსახური მისდამი და სად მისი ამაგი ჩემზე? დიდი ნუგეშისმცემელი დავკარგე მისი სახით; მოწყლული იყო ჩემი სული, თითქოს შუაზე გაწყდაო ერთ მთელად ქცეული სიცოცხლე ჩვენი.

31. მაშ, ასე, ტირილი დავუშალეთ ბიჭუნას; ევოდიუსმა დავითნი აიღო და ფსალმუნის გალობას შეუდგა, რასაც მთელი სახლეული აჰყვა: „გულმოწყალებას და სამართალს შენსას ვუგალობ, უფალო“[114]. როცა გაიგეს, რა მოხდა, მრავალმა ძმამ და მორწმუნე ქალმა მოიყარა თავის. ვისაც მართებდა, გვამის გაპატიოსნებას შეუდგა; მე კი ოდნავ მოშორებით ვიდექი, სადაც შემეძლო, ვითარების შესაბამისად, მესაუბრა იმ ხალხთან, ვინც გადაწყვიტა არ მივეტოვებინე, მესაუბრა იმაზე, რაც საჭირო იყო ამ დროს. ჭეშმარიტების წამლით მსურდა შემემსუბუქებინა ტანჯვა, რაც შენ იცოდი, ჩემმა თანამოსაუბრეებმა კი არ იცოდნენ, უფალო: ასე ეგონათ, არავითარ ტკივილს არ განვიცდიდი. მხოლოდ შენს გასაგონად - სხვას არავის ესმოდა, - ვუკიჟინებდი და სისუსტეს ვაყვედრიდი ჩემს თავს, ვცდილობდი როგორმე დამეოკებინა მწუხარების ნიაღვარი, და ისიც თითქოს მემორჩილებოდა, მაგრამ მალე კვლავ მიტაცებდა მისი ბობოქარი დინება, თუმცა იმდენს კი ვახერხებდი, რომ არც ცრემლი გადმომეგდო და არც სახის გამომეტყველება შემცვლოდა. მაგრამ კარგად ვიცოდი, რასაც ვიკვლევდი გულში. და რაკი საშინლად მთრგუნავდა იმის შეგნება, რომ იმ ზომამადე შემძრა კაცთათვის გარდუვალმა სიკვდილმა, რომელსაც ვერვინ გაექცევა, ვერავინ დააღწევს თავს, - ტკივილის ტკივილი ემატებოდა და ორმაგად მიმძაფრდებოდა ურვა.

32. ცხედარი გამოასვენეს, ჩვენც გავყევით და უცრემლოდვე დავბრუნდით უკან. ლოცვის დროს, შენდამი რომ აღვავლინეთ, ვიდრე გამოსახსნელ მსხვერპლს გწირავდით მისთვის და, იქაურთა ჩვეულებისამებრ, სხეული კუბოში ჩასვენებამდე მის ახლოს ესვენა, დიახ, თვით ლოცვის დროსაც კი არ გადმომვარდნია ცრემლი. მთელი დღის განმავლობაში საშინლად ვიტანჯებოდი, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია, და ამ სულიერი სალმობის ჟამს შეძლებისდაგვარად გევედრებოდი, ტკივილისაგან მიხსენი-მეთქი. შენ კი არ შეისმინე ჩემი ვედრება, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემს გონებაში სამუდამოდ აღგებეჭდა, თუ რა მტკიცეა ჩვეულების ბორკილები თვით იმ სულისთვისაც კი, რომელიც უკვე უტყუარი სიტყვით საზრდოობს.

და მაშინ აბანოში წასვლა გადავწყვიტე (გაგონილი მქონდა, რომ აბანოს ბერძნულად „ბალანეიონი“ ჰქვია: ვითომცდა სულიდან მწუხარების განდევნას უწყობს ხელსაო[115]). გულახდილად ვაღიარებ ამას შენს წინაშე, ობოლთა მამაო: წავედი და განვიბანრე კიდეც, მაგრამ ისეთივე მწუხარე დავრჩი, როგორც განბანამდე ვიყავი. არასდიდებით არ ამოირეცხა ჩემი გულიდან სიმწრის ნაღველი. მერე ჩამეძინა და როცა გამოვიღვიძე, ჩემი მწუხარება

[114] ფსალმ. 100, 1.

[115] ეტიმოლოგია მცდარია: ნეტარი ავგუსტინეს აზრით, „ბალანეიონ“ („აბანო“) წარმოდგება გამოთქმიდან: „ბალეინ ანიან“ - „მწუხარების განდევნა“.

მიყუჩებულიყო. სარეცელზე მარტო მწოლარეს გამახსენდა შენი ამბროსის მართალი სიტყვები[116]:

„ღმერთო, ყოვლის შემოქმედო,
ცისა და მიწის გამრიგევ,
დღის ნათელო სხივოსანო,
სანუკვარო შვებავ ღამის,
რომ სხეულმა დაქანცულმა
კვლავაც იგრძნოს ძველი სიმხნე,
მოეფონოს წამებულ სულს,
საზარელი დაცხრეს ურვა“[117].

33. მერე კი თანდათანობით დამიბრუნდა უწინდელი გრძნობა: გამახსენდა შენი მხევალი, მისი ღვთისმოსაობა, დედობრივი ალერსი და გულმოწყალება; გამახსენდა, ვინც ასე უეცრად გამომეცალა ხელიდან, და კვლავ მომინდა ტირილით მეჯერა გული შენს წინაშე. მინდოდა მეტირა მასზე და მისთვის, ჩემზე და ჩემთვის. და მე გზა მივეცი ცრემლებს, აქამდე რომ ვიკავებდი: დაე, თავისუფლად ედინათ. თითქოს რბილ სარეცელზე მოისვენაო, ისე დამშვიდდა ამ ცრემლის ღვრით ჩემი გული, რადგანაც შენ გესმოდა ჩემი ტირილი, რომელსაც ვერ გაიგებდა ვერავინ, ვისაც შეეძლო მცდარად განემარტა მისი მიზეზი.

და, აი, ახლა აღსარებას გეუბნები, უფალო, და შენს წინაშე ვაღიარებ ამას ჩემს წიგნში. დაე, წაიკითხოს, ვისაც სურს, და ისე განმარტოს, როგორც სურს. თუ ვინმეს მოეჩვენება, რომ ვცოდე, რაკიღა ასე ცოტა ხანს დავტიროდი დედაჩემს, რომელიც დროებით მოკვდა ჩემს თვალში, და ამდენ ხანს კი დამტიროდა, რათა მეცოცხლა შენს თვალსი, - დაე, დამცინოს; მაგრამ თუ ჭეშმარიტად გულმოწყალეა, დაე, შენს წინაშე დაიტიროს ჩემი ცოდვები, ყველა ქრისტესმიერი ძმის მამაო.

XIII

34. მას შემდეგ, რაც ჩემი გული განიკურნა ამ ჭრლობისგან (რის გამოც ვამხილოთ კაცთა ხორციელი სისუსტე), მე უკვე სულ სხვა ცრემლებს ვღვრიდი შენს წინაშე, ღმერთო ჩემო, ამ შენი სათნო მხევლებისთვის: ცრემლებს, რომელთაც აფრქვევს სული იმ საფრთხის

[116] წმ. ამბროსი მედიოლანელის სახელით ჩვენამდე მოაღწია თორმეტმა საგალობელმა. აქედან კრიტიკა მხოლოდ ოთხს მიიჩნევს ავთენტიკურად.
[117] იხ. Migne, Patrol. lat. XVI, 409.

წარმოდგენაზე, რაც მოელის უკლებლივ ყველას, ვინც კვდება ადამის მიერ[118]. და თუმცა შენი მხევალი, ჯერ კიდევ ხორცშესხმული, ქრისტეს მიერ კვლავ ეზიარა სიცოცხლეს და ისე ცხოვრობდა, რომ თავისი რწმენითა და ზნეობით განადიდებდა შენს სახელს, მაინც ვერ ვბედავ იმის თქმას, თითქოს მას შემდეგ, რაც ხელახლა იშვა ნათლისღებით, დედაჩემის ბაგეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია შენი მცნებების წინააღმდეგ[119]. აკი თვით ჭეშმარიტების, ანუ შენი ძის მიერ ითქვა: „ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს“[120]. და ვაი იმ კაცს, სანაქებო ცხოვრებითაც რომ ეცხოვროს, ვისაც გულმოწყალების გარეშე განსჯი და განიკითხავ! მაშ, რა გვასულდგმულებს იმის მოიმედეთ, რომ თუნდაც სულ მცირე ადგილს მოვიპოვებთ შენს გვერდით? მხოლოდ ის, რომ მთელი სიმკაცრით არ იძიებ ჩვენს შეცოდებებს. რადგანაც ვინც დაწვრილებით ჩამოგითვლის ყველა თავის დამსახურებას, სხვას რას ჩამოთვლის, თუ არა შენს მადლსა და ნიჭს? ოჰ, ნეტა კაცი შეიგნებდეს, რომ მხოლოდ კაცია, „ხოლო ვინც იქადის, უფლით იქადოდეს“[121].

35. ამრიგად, „დიდებავ და ცხოვრებავ ჩემო“[122], „ღმერთო ჩემი გულისა“[123], მცირე ხნით დავივიწყებ დედაჩემის კეთილ საქმეებს, რომელთათვისაც სიხარულით გწირავ მადლობას, და ახლა გევედრები, მიუტევო მისი ცოდვები: შეისმინე ჩემი ლოცვა მისი სახელით, ვინც განკურნა ჩვენი წყლულები და ჩვენთვისვე ჯვარცმული „ჩვენდა მეოხად“[124] დაჯდა შენს მარჯვნივ.

ვიცი, რაოდენ მოწყალე იყო და მთელი გულით მიუტევებდა „თავის მოვალეთ“[125]; შენც მიუტევე მისი ცოდვები, თუკი რამ შეუცოდავს ამდენი წლის განმავლობაში ნათლისღების შემდეგ. მიუტევე, უფალო, გევედრები, მიუტევე და „ნუ შეხვალ სამსჯავროში მასთან“[126], არამედ „მოწყალებამ იმძლავროს მსჯავრზე“[127], რადგანაც ჭეშმარიტია შენი სიტყვა, შეწყალება რომ აღუთქვი მოწყალეთ. ხოლო ვინც მოწყალეა, შენი წყალობითაა მოწყალე, რაკიღა „შეიწყალებ შესაწყალებელს და გებრალება, ვინც უნდა გებრალებოდეს“[128].

36. მე მგონია, რომ უკვე ამისრულე თხოვნა, მაგრამ „შეიწყნარე, უფალო, ნებსითი მსხვერპლი ჩემი პირისა“[129]. სიკვდილის წინა დღეს განა მდიდრულ განსვენებაზე ფიქრობდა, ან მოითხოვდა კეთილსურნელოვანი საცხებელი ეცხოთ და დიდებული ძეგლი აეგოთ მისთვის, ანდა მშობლიურ მხარეში დაემარხათ? არა, ეს როდი დაუბარებია, მხოლოდ ის

[118] იგულისხმება პირველი ცოდვა. შდრ. I კორ. XV, 22: „და როგორც ადამში კვდებიან ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა“.
[119] შდრ. მათე XII, 36: „ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ყოველი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს“.
[120] მათე V, 22.
[121] II კორ. X, 17.
[122] შდრ. ფსალმ. 117, 14.
[123] შდრ. ფსალმ. 72, 26.
[124] რომ. VIII, 34.
[125] მათე VI, 12.
[126] ფსალმ. 142, 2.
[127] იაკ. II, 13.
[128] რომ. IX, 15.
[129] ფსალმ. 118, 108.

გვთხოვა, შენს წმიდა საკურთხეველთან მოგვეხსენიებინა, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რადგანაც იცოდა, რომ მასზე შეიწირება წმიდა მსხვერპლი, რომლითაც „წარიხოცება ჩვენს გამო შეთხზული ხელწერილი, მიმართული ჩვენს წინააღმდეგ“[130] და მარცხდება ჩვენი მტერი, რომელიც ეძებს იმის საბაბს, რომ ბრალი დაგვდოს[131], მაგრამ ვერაფერს პოულობს მასში, ვისი მეოხებითაც ვიმარჯვებთ. ვინ დაუბრუნებს უმანკოდ დათხეულ სისხლს? ვინ გადაუხდის იმის საფასურს, რითაც გამოგვისყიდა ჩვენი მტრისაგან?

გამოსყიდვის ამ საიდუმლოს ჩაეწნა სული შენი მხევლისა რწმენის საკვრელით. დაე, ვეღარავინ მოსწყვიტოს იგი შენს წიაღს. დაე, ვერც ლომმა და ვერც მგელმა ვერ შესძლონ მასში შეღწევა ძალითა თუ ცბიერებით[132]: სული არ ეტყვის მათ, რომ არაფერი არ მართებს მათი, იმისი შიშით, ვაითუ მამხილოს და მიმიტაცოს მაცთურმა ბრალმდებელმაო, არამედ პასუხად მიუგებს, რომ მიეტევა ცოდვები მის მიერ, ვისაც ვერავინ მიაგებს იმას, რაც მან მოგვავო, თუმცა არაფერი მართებდა ჩვენი.

37. დაე, მშვიდობა მისცეს ღმერთმა მეუღლესთან ერთად, ვის გარდა სხვა ქმარი არ ჰყოლია, არც მანამდე და არც მისი სიკვდილის შემდეგ; ვისაც ემსახურებოდა და „ნყოფიც გამოჰქონდა მოთმინებით“[133], რათა შენთვის შეგეძინა იგი[134]. მაშ, ჩააგონე ყველა შენს მსახურსა და ჩემს ძმას, ყველა შენს შვილსა და ჩემს მოძღვარს, რომელთაც ვემსახურები სიტყვით, გულით და კალმით, რომ არ სტრიქონების კითხვისას შენს წმიდა საკურთხეველთან მოიხსენიონ მონიკა, შენი მხევალი, და პატრიციუსი, ოდესღაც მისი მეუღლე, რომელთა ხორცის მეოხებითაც გამომიხმე ამ ქვეყნად, მაგრამ როგორ, ეს კი არ ვიცი. დაე, სიყვარულით მოიხსენიონ ჩემი მშობლები ამ წუთისოფლად, შენმიერი და-ძმა ჩემი შენში[135], მამაო, და ჩვენს დედა ეკლესიაში, ჩემი თანამოქალაქეები ზეციურ იერუსალიმში, რომლისთვისაც თავის ხეტიალში დასაბამიდან დასასრულამდე გამუდმებით ჭმუნავს შენი ერი. დაე, მარავალი მოყვასის ლოცვით უფრო სრულად აღსრულდეს მისი უკანასკნელი თხოვნა ჩემდამი, - და მარტო ჩემი ლოცვა-ვედრებით, არამედ ჩემი აღსარებითაც.

[130] კოლ. II, 14.
[131] შდრ. აპოკ. XII, 10.
[132] შდრ. ფსალმ. 90, 13.
[133] შდრ. ლუკა VIII, 14.
[134] შდრ. I პეტრე III, 1.
[135] მონიკა და პატრიციუსი - ნეტარი ავგუსტინეს დედ-მამა ამ ქვეყნად, საუკუნო ცხოვრებაში კი - მისი ქრისტესმიერ და-ძმა.

წიგნი მეათე

I

1. „შეგიცნობ შენ“, ჩემო შემცნობო, „შეგიცნობ შენ, როგორც შენგან შევიმეცნები“[1]. ძალაო ჩემი სულისა, შემოდი ჩემსავე სულში და მიისადაგე იგი, რათა იყოს შენი სამკვიდრო, „მწიკვლისა თუ ზადის გარეშე“[2]. ესაა სასოება ცემი, ამიტომაც ამას ვამბობ[3] და ამ სასოებით ვხარობ[4], თუკი ჭეშმარიტია ეს ჩემი სიხარული. ამა სოფლის სხვა სიკეთენი მით უფრო ნაკლებ ღირსნი არიან ცრემლების ღვრისა, რაც უფრო მწარედ დასტირიან მათ, და მით უფრო მეტად იმსახურებენ ცრემლებს, რააც უფრო ნაკლებ გოდებენ მათ გამო. „და აჰა, შენ შეიყვარე ჭეშმარიტება“[5], რადგანაც „ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისკენ მიდის“[6]. მეც მინდა ჩემს გულში აღვასრულო ჭეშმარიტება შენს წინაშე ჩემივე აღსარებით და, იმავდროულად, ჩემი ქმნილებითაც მრავალი მოწმის წინაშე.

II

2. მაგრამ აღსარებაც რომ არ მეთქვა შენთვის, უფალო, განა რაიმე დაემალებოდა შენს თვალს, რომლისთვისაც „არა არის რა დაფარული, არამედ ყოველივე გაშიშვლებულია და გამოაშკარავებული“[7], თვით უფსკრულიც კი ადამიანის სინიდისისა?[8] შენ შეიძლება დაფარული იყო ჩემთვის, მე კი ვერსად დაგემალები. და ახლა, როცა ჩემი გმინვა თვალნა-თლივ მოწმობს, რომ აღარად მიმაჩნია ჩემივე თავი, ათასწილ უფრო მეტად ბრწყინავ, სიტკბოებავ და სინათლევ ჩემო, რათა მიყვარდე და დაუოკებლად ვილტვოდე შენსკენ; რათა სირცხვილმა დამწვას, უარვყო ჩემი თავი და მის სანაცვლოდ შენ აგირჩიო, რომ მხოლოდ შენით მომწონდეს თავი და მოსაწონი ვიყო შენთვიაც.

როგორიც უნდა ვიყო, უფალო, მთლიანად შენს წინაშე ვდგავარ; უკვე გითხარი, რა ნაყოფსაც მოველი ამ ჩემი აღსარებიდან, რომელსაც ხორციელი ხმითა და სიტყვებით როდი გეუბნები, არამედ სულის სიტყვებითა და ფიქრთა ღაღადისით, რასაც აღიქვამს შენი სასმენელი. როდესაც უკეთურება მომჭარბდება, მთელი ჩემი აღსარება შენდამი ისაა, რომ თვითონვე არ მომწონს ჩემივე თავი, ხოლო როცა სიკეთე მძლავრობს ჩემში, აი, ჩემი

[1] I კორ. XIII, 12.
[2] ეფეს. V, 27.
[3] „არასრულყოფილია იმისი რწმენა, ვისაც არ სურს ილაპარაკონ იმაზე, რაც სწამს: რწმენა ხომ ნიშნავს ირწმუნო ისიც, რაც თქმულა: ვაღიარებ მას ღვთის ანგელოსთა წინაშე“ (ნეტარი ავგუსტინე, „ფსალმუნებისათვის“, 115, 2).
[4] შდრ. რომ. XII, 12.
[5] ფსალმ. 50, 8.
[6] იოანე III, 21.
[7] ებრ. IV, 13.
[8] შდრ. სიბრძნე ზირაქ. XLII, 18, 20.

აღსარება შენდამი: ჩემს თავს როდი მივაწერ ამას, რადგანაც „შენ აკურთხებ მართალს, უფალო“[9], მაგრამ მანამდე „შენვე უჩვენებ სიმართლის გზას იმას“[10], ვინც ადრე ცოდვილი იყო. ჩემი აღსარება შენს წინაშე მდუმარეცაა და დაუდუმებელიც. დუმს ენა, მაგრამ ღაღადებს გული. არ არსებობს ისეთი წრფელი სიტყვა, ხალხს რომ ვუთხრა და უმალ შენ არ ისმინო, და არც რა გსმენია ჩემგან ისეთი, უმალ შენ რომ არ გეთქვას ჩემთვის.

III

3. მაშ, რა მესაქმება ხალხთან, ან რატომ უნდა ისმინონ ჩემი აღსარება, თითქოს შეეძლოთ „ყოველი ჩემი სნეულების“[11] განკურნვა? ეს მოდგმა მხოლოდ სხვისი ცხოვრების ჩხრეკაში იჩენს გულმოდგინებას, მაგრამ თითსაც არ გაანძრევს იმისთვის, რომ გამოასწოროს თავისი საკუთარი ცხოვრება. რატომ ცდილობენ ჩემგან გაიგონ, ვინ ვარ და რა ვარ? რატომ ცდილობენ ამას ისინი, ვსაც არ სურს შენგან გაიგოს, რანი არიან თავად? თუმცა ვინც ჩემგან ისმენს ჩემსავე ამბავს, რანაირად გაიგებს, მართალს ვამბობ თუ არა, ვინაიდან არცერთმა კაცმა არ იცის „რა ხდება კაცში, თუ არა კაცის სულმა, რომელიც არის მასში“[12]. ხოლო თუ შენგან გაიგებს, რა არის თავად, ვეღარ იტყვის, უფალი ცრუობსო. ვინც ისმენს, რას ამბობ მასზე, განა ამით არ შეიცნობს საკუთარ თავს? ან ვის შეუძლია, თავისი თავი შეიცნოს და თქვას, ეს სიცრუეაო? მაგრამ რაკი „სიყვარულს ყველაფერი სწამს“[13], ყოველ შემთხვევაში, მათ შორის მაინც, ვინც ერთარსად შეუსისხლხორცებია, ამიტომ მეც აღსარებას გეუბნები, უფალო, რათა გაიგონოს ამ ხალხმა, რომელსაც ვერ დავუმტკიცებ, მართალია თუ არა ეს ჩემი აღსარება; მაგრამ იმათ მაინც სწამთ ჩემი, ვისაც ყურნი სიყვარულმა განუხვნა ჩემი სიტყვებისათვის.

4. მაშ, განმიმარტე, ჩემი სულის მკურნალო, რისთვის ვიქმ ამას. უწინდელ ცოდვათა აღიარება, რომელნიც უკვე წარხოცე და მომიტევე, რათა ბედნიერი ვყოფილიყავი შენში, და რწმენითა თუ იდუმალებით შეცვალე ჩემი სული[14], დიახ, ამნაირი აღიარება აფხიზლებს მისი მკითხველისა თუ მსმენელის სულს, ნებას არ აძლევს მას სასოწარკვეთილებას მიეცეს და მწარეს ამოიგმინოს, აღარ შემიძლიაო, აიძულებს იფხიზლოს შენი მოწყალებისა და უტკბესი მადლის იმედით, მოწყალებისა, ძალას რომ ანიჭებს უძლურს, რომელიც მისი მეოხებით შეიცნობს თავის უძლურებას[15]. კეთილი კაცი სიამოვნებით ისმენს სხვის მიერ ოდესღაც

[9] ფსალმ. 5, 13.
[10] რომ. IV, 5.
[11] ფსალმ. 102, 3.
[12] I კორ. II, 11.
[13] I კორ. III, 7.
[14] შდრ. ფსალმ. 31, 1-2.
[15] შდრ. II კორ. XII, 10.

განცდილი უბედურების ამბავს, მაგრამ თვით უბედურება კი არ ანიჭებს სიამოვნებას, არამედ ის, რომ უბედურება უკან დარჩა.

მას, რას მოველი, ღმერთო ჩემო, ვისაც ჩემი სინდისი ყოველდღე მოგმართავს აღსარებით, სინდისი, რომელსაც შენი გულმოწყალების იმედი უფრო აქვს, ვიდრე თავისი უმანკოებისა? გეკითხები, რას მოველი-მეთქი, ამ ჩემი აღსარებით რომ ვდგავარ როგორც შენს წინაშე, უფალო, ასევე კაცთა წინაშეც, და იმას კი არ გაუწყებთ, თუ როგორი ვიყავი უწინ, არამედ იმას, თუ როგორი ვარ ახლა. რა ნაყოფი გამოაქვს გარდასულ შეცოდებათა აღიარებას, ეს დავინახე და აღვნიშნე კიდეც. მაგრამ ვინ მოსთვლის, რამდენს უნდა გაიგოს, რანაირი ვარ მე ახლა, როცა ამ ჩემს აღსარებასა ვწერ; ზოგი მიცნობს, ზოგი კი არა, მაგრამ რაღაცა გაუგია ჩემგან ან ჩემზე. ვაი რომ ყურს ვერ მიადებენ ჩემს გულს, თორემ მაშინ კი მიხვდებოდნენ, ვინცა ვარ. ამიტომაც სურთ მოისმინონ ჩემი აღსარება იმის თაობაზე, ვინ ვარ და რა ვარ შინაგანად, რაც მიუწვდომელია როგორც მათი თვალისთვის, ისე ყურისა თუ გონებისთვისაც. მათ სურთ ირწმუნონ ჩემი სიტყვები, თორემ რა გზით შემიცნობენ სხვანაირად? სიყვარული, რომელიც აკეთილშობილებს მათ სულს, არწმუნებს მათ, რომ არ ვიცრუებ ჩემს აღსარებაში, და თვით ამ სიყვარულს მათსას სჯერა ჩემი.

IV

5. მაგრამ ან ისინი რა ნაყოფს მოელიან აქედან? იქნებ სურთ მომილოცონ, როცა გაიგებენ რამდენად მოგიახლოვდი შენი წყალობით, და ილოცონ ჩემთვის, როცა გაიცხადებენ, რარიგად შემაფერხა ჩემივე ტვირთის სიმძიმემ? თავს გავუმჟღავნებ ამნაირთ. მცირედი როდია ნაყოფი, უფალო ღმერტო ჩემო, როცა „შენს მიმართ მრავალნი აღავლენენ მადლს ჩვენთვის“[16] და მრავალნი შეგავედრებენ ჩვენს თავს. დაე, შეიყვაროს მოყვასის სულმა ჩემში ის, რის სიყვარულსაც გვასწავლი, და დაიტიროს ის, რაც სატირლად გიჩანს.

დაე, იგრძნოს უცხომ კი არა, მოყვასის სულმა, არა იმათმა, „ვისი ბაგენიც ტყუილს იტყვიან და ვისი მარჯვენაც უსამართლობის მარჯვენაა“[17], არამედ ძმის სულმა, რომელიც, თუ მიწონებს, ხარობს ჩემს გამო, ხოლო თუ მგმობს, ჩემთვისვე წუხს, რადგან მიწონებს თუ მიწუნებს, მაინც ერთნაირად ვუყვარვარ. თავს გავუმჟღავნებ ამნაირთ: დაე, უხაროდეთ ყოველივე კარგი, რაც არის ჩემში, და წუხდნენ ცუდის გამო. რაც კარგია ჩემში, შენმიერია, ცუდი კი ჩემი ცოდვებისგან იღებს დასაბამს, რომელთაც შენ ჰგმობ. დაე, სიხარულით უმზერდნენ პირველს და წუხდნენ მეორის გამო. დაე, ჩემი ძმების გულიდან, როგორც სასაკმევლედან, ამოიკმეს შენდამი საგალობელიც და გოდებაც. შენ კი, ვინც ტკბები შენივე ტაძრის კეთილსურნელებით, „შემიწყალე შენი უსაზღვრო გულმოწყალებით“[18], და რაკი

[16] II კორ. I, 11.
[17] ფსალმ. 143, 8.
[18] ფსალმ. 50, 3.

არასოდეს დაუბოლოვებლად არ ტოვებ შენს საქმეს, ბოლომდე წარხოცე არასრულ-ქმნილებაც ჩემი.

6. აი, ჩემი აღსარების ნაყოფი: იმის გადმოცემა კ არა, თუ როგორი ვიყავი უწინ, არამედ იმისა, თუ როგორი ვარ ამჟამად. მე მინდა ვაღიარო ეს არა მარტო შენს წინაშე, იდუმალი „შიშით და ძრწოლით“[19], იდუმალი ჭმუნვით და სასოებით, არამედ ადამის კეთილმორწმუნე ძეთა წინაშეც, რომელნიც იზიარებენ ჩემს სიხარულს და ინაწილებენ ჩემს მწარე ხვედრსაც - მოკვდავობას. ისინი ჩემი თანამოქალაქენი არიან და ჩემივე თანამგზავრნი ამქვეყნიური ცხოვრების ორომტრიალში, მიუხედავად იმისა, წინ მისწრებდნენ, უკან მომდევენ თუ ჩემს მხარდამხარ მოდიან: შენი მსახურნი და ჩემი ძმები, შენი შვილები და ჩემი უფალნი, რომელთა მსახურებაც მიბრძანე, თუკი ვისურვებდი შენითა და შენთვის მეცოცხლა. შენს ძეს რომ მხოლოდ სიტყვებით დავემოძღვრეთ, ეს არ იქნებოდა საკმარისი, მაგრამ მან თავისი საქმით გვიჩვენა გზა, და მეც ამ გზას მივსდევ: სიტყვით თუ საქმით ვემსახურები ჩემსავე მოყვასთ, „შენი ფრთების ჩრდილს შეფარებული“[20], რადგანაც საშინელი განსაცდელი მემუქრებოდა, შენს ფრთებს რომ არ შეხიზვნოდა ჩემი სული, და არა გცოდნოდა ჩემი უძლურება. მე ვარ უმწეო ყრმა, მაგრამ უკვდავია მამა ჩემი და ყოვლისმძლეა მფარველი ჩემი. მან დამბადა და მმფარველობს კიდეც. შენა ხარ მთელი ჩემი სიკეთე, მძლეთამძლეო; ყოველთვის ჩემთან იყავი, თვით მაშინაც კი, ვიდრე მე მოვიდოდი შენთან. ამიტომაც ვაუწყებ იმ ხალხს, ვისი მსახურებაც მიბრძანე, არა იმას, თუ რა ვიყავი, არამედ იმას, თუ ვინა ვარ და რა ვარ ახლა. მაგრამ „მე თვითონ როდი განვიკითხავ ჩემსავე თავს“[21]; დაე, ახსოვდეთ ეს ჩემს მსმენელებს.

V

7. შენ განმიკითხავ, უფალო, რადგანაც არავინ იცის „რა ხდება კაცში, თუ არა კაცის სულმა, რომელიც არის მასში“[22]. მაგრამ არის კაცში რაღაც ისეთი, რაც არ იცის თვით კაცის სულმა, რომელიც არის მასში, ხოლო შენ, უფალო, ჭეშმარიტად იცი ყოველი, რაც არის კაცში, რადგანაც შენ შეჰქმენი იგი. ისე კი, მართალია, უბადრუკი ვარ შენს წინაშე და „მტვრად და ფერფლად“[23] მიმაჩნია ჩემივე თავი, მაგრამ ვიცი შენზე რაღაც ისეთი, რაც თვით ჩემზედაც არ ვიცი. რა თქმა უნდა, „ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში“ და არა „პირისპირ“[24], ამიტომ შენგან განშორებული და უცხო მხარეს მოხეტიალე[25] ჩემს თავთან უფრო ახლოსა ვარ, ვიდრე შენთან, მაგრამ ის მაინც ვიცი, რომ ვერავინ დაგატანს ძალას, ხოლო რანაირ საცთურს შემიძლია აღვუდგე წინ და რანაირს - არა, ეს კი არ ვიცი. მხოლოდ იმის იმედი

[19] ფსალმ. 2, 11.
[20] ფსალმ. 16, 8; 35, 8.
[21] I კორ. IV, 3.
[22] I კორ. II, 11.
[23] იობი XLII, 6.
[24] I კორ. XIII, 12.
[25] შდრ. II კორ. V, 6.

მაქვს, რომ „სარწმუნო ხარ“ და „არ განგვაცდევინებ იმას, რისი თმენაც ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც გაპოვნინებ, რათა შევიძლოთ დათმენა“[26].

ამრიგად, აღსარების გეუბნები და ვაღიარებ არა მარტო იმას, რაც ჩემსავე თავზე ვიცი, არამედ იმასაც, რაც არ ვიცი. რადგან ის, რაც ჩემსავე თავზე ვიცი, შენგან ნათელფენილმა ვიცი, ხოლო რაც არ ვიცი, მანამდე არ მეცოდინება, სანამ ჩემი „წყვდიადი“ „შუადღესავით არ გაბრწყინდება“[27] შენი სხივოსანი სახის წინაშე.

VI

8. ცხადად შევიგრძნე, რომ მიყვარხარ, უფალო: აქ არაფერია საეჭვო. შენი სიტყვით განწონე ჩემი გული და მეც შეგიყვარე. ცაც, მიწაც და ყოველივე ისიც, რითაც კი სავსობენ ისინი, ყოველი მხრიდან მიხმობენ, გიყვარდესო შენი უფალი, და ამასვე გამუდმებით ჩააგონებენ ყველას, რათა ვერავინ „შეიძლოს თავის მართლება“[28]. უფრო სრული იქნება შენი წყალობა იმის მიმართ, ვისაც სწყალობდი, და უფრო გულმოწყალე იქნები მისდამი, ვისაც გულმოწყალებით ემსჭვალვოდი[29]. ასე რომ არ იყოს, ცა და მიწა ყრუებს თუ უქადაგებდნენ დიდებას შენსას.

მაგრამ რა მიყვარს, როცა მიყვარხარ შენ? არა ხორციელი სილამაზე, არა წარმავალი მშვენიერება, არა თვალთათვის ესოდენ საამო ბრწყინვალება, აი, ამ ნათლისა, არც კეთილხმოვანება სიმღერებისა თუ საგალობლებისა, არც ყვავილთა, საკმეველთა თუ ნელსაცხებელთა ამო სურნელი, არც ზეციური მანანა თუ თაფლი, არც ქალის სავსე სხეული, ესოდენ სასურველი ხვევნა-კოცნისათვის: არა, ყოველივე ეს როდი მიყვარს, როცა მიყვარს ღმერთი ჩემი. ეს ნათელიც, ეს ხმაც, ეს სურნელებაც, საზრდოც და ხვევნაც „შინაგანი კაცისა“, რომელიც არის ჩემში, იქ, სადაც ჩემს სულს აცისკროვნებს სივრცით გარშემოუწერელი უცხო ნათელი; სადაც ჟღერს ის ხმა, რომელსაც დრო ვერ დაადუმებს; სადაც იკმევა სურნელება, რომელსაც ქარი ვერ განაქარვებს; სადაც საზრდოს ვერ მოგვაყირჭებს ნაყროვანება და სადაც ხვევნის ნეტარებას ვერ გვაბეზრებს ტკბობის სისავსე. აი, რა მიყვარს, როცა მიყვარს ღმერთი ჩემი.

9. კი მაგრამ, მაინც რა არის ღმერთი? ვკითხე მიწას, და მან მომიგო: „მე არა ვარ ღმერთი“; და მიწის ყოველმა მკვიდრმაც იგივე აღიარა[30]. ვკითხე ზღვას, უფსკრულს და მასში მობინადრე ქვეწარმავალთაც; მათაც მომიგეს: „ჩვენ არა ვართ ღმერთი; ეძიე ჩვენს ზემოთ“.

---

[26] I კორ. X, 13.
[27] ესაია LVIII, 10.
[28] რომ. I, 20.
[29] შდრ. რომ. IX, 15.
[30] შდრ. პლოტინი: „ჩვენ განცვიფრებით ვუმზერთ ამ გრძნობადი სამყაროს სიდიადეს, მის მშვენიერებას და მარადიული მოძრაობის წესრიგს... მაგრამ, დაე, ავმაღლდეთ მისი პირველნიმუშის („to arqetipon“), უფრო ჭეშმარიტი სინამდვილის ჭვრეტად, ... რათა ვიხილოთ წმინდა გონება, სასწაულებრივი სიბრძნე და ჭეშმარიტი სიცოცხლე („ენნ.“ V, 1, 4).

ვკითხე ბობოქარ ქარებს და მთელმა ჰაეროვანმა სივრცემ, თავისი ბინადრებითურთ, პასუხად მითხრა: „ანაქსიმენე[31] ცდება: მე არა ვარ ღმერთი“. ვკითხე ცას, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს: „არა ვართ ღმერთი, რომელსაც ეძებ“, - იყო პასუხი. მაშინ დავეკითხე ყველაფერს, რაც გარს არტყია ჩემს სხეულს: „მითხარით რამე ჩემს ღმერთზე, - თქვენ ხომ არა ხართ იგი, - რამე მაინც მითხარით მასზე“. და მათაც შემომღაღადეს: „ჩვენ კი არა, ჩვენი შემოქმედი, - აი, ვინ არის ღმერთი“[32]. ჩემი ჭვრეტა იყო ჩემი შეკითხვა, ხოლო მათი პასუხი - მათივე მშვენიერება.

მაშინ ჩემსავე თავს მივუბრუნდი და ვკითხე: „ვინა ხარ შენ?“ და მან მომიგო: „ადამიანი“. აჰა, ჩემი ხორცი და ჩემი სული, ჩემდა სამსახრად გამზადებულნი, ერთს გარეგან გარსს რომ ვუწოდებთ, ხოლო მეორეს - შინაგან არსს. ამ ორთაგან რომელსა ვკითხო, ვინ არის ჩემი ღმერთი-მეთქი, ვისაც ამდენ ხანს ვეძებდი, მიწიდან მოყოლებული ვიდრე ზეცამდე, სადამდისაც კი შემეძლო მიმეწვდინა ჩემი თვალის სხივები? რა თქმა უნდა, უმჯობესია ჩემს შინაგან არსს ვკითხო. ყველა ხორციელმა მაცნემ უკვე აუწყა ჩემს სულს, ჰეგემონსა და მსაჯულს, როგორც ცისა და მიწის, ისე ყოველივე ზეციურის თუ მიწიერის პასუხი: „არა, ჩვენ კი არა, ჩვენი შემოქმედი, - აი, ვინ არის ღმერთი“. შინაგან კაცს გარეგანმა აუწყა ის, რომელიც არის მისი მსახური. ჩემმა სულმა, ანუ ჩემმა შინაგანმა „მე“-მ ხორციელი გრძნობების მეშვეობით შეიტყო თავისი კითხვის პასუხი. ვკითხე მთელ სამყაროს ჩემი ღმერთის ამბავი, და მანაც პასუხად მითხრა: „არა, მე კი არა, ჩემი შემოქმედი, - აი, ვინ არის ღმერთი“.

10. მერედა, ნუთუ ყველას, ვისი ხორციელი გრძნობებიც საღია, ერთნაირად არ წარმოუჩნდება სამყაროს ეს მშვენიერება? მაშ, რატომ არ ეუბნება იგი ყველას ერთსა და იმავეს? როგორც პაწაწკინტელა, ისე ვეება ცხოველებიც ხედავენ მას, მაგრამ არ შეუძლიათ რაიმე ჰკითხონ, რადგანაც მათ არა ჰყავთ სულის მაცნე გრძნობების ფხიზელი მსაჯული - განმსჯელი გონი. ადამიანებს კი შეუძლიათ ჰკითხონ, რათა „ის, რაც უხილავია ღმერთში, საცნაური და ხილული გახდეს“[33]. მაგრამ შექმნილი სამყაროს სიყვარულით თვალდავსილნი კიდევაც ემონებიან მას, დამონებულთ კი აღარ შესწევთ განსჯის უნარი. ხოლო შექმნილი სამყარო შეკითხვაზე მხოლოდ იმას მიუგებს, ვისაც განსჯის უნარი აქვს: ის არ იცვლის ხმას, ანუ თავის მშვენიერებას, და სხვადასხვა სახით არ წარმოუჩნდება არც იმას, ვინც მხოლოდ ხედავს და არც იმას, ვინც ხედავს და კიდეც ეკითხება. თუმცა ერთნაირი სახით რომ ევლინება ორივეს, პირველის მიმართ მუნჯია, მეორეს კი პასუხს მიუგებს, მაგრამ მისი ხმა გასაგებია მხოლოდ მისთვის, ვინც ამ ხმის გაგონებისას იმ ჭეშმარიტებას ადარებს მას,

[31] ანაქსიმენე (დაახლ. 585-525 ძვ.წ.ა) - სახელგანთქმული ბერძენი მოაზროვნე, თალესსა და ანაქსიმანდრესთან ერთად იონიური ნატურფილოსოფიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი. ანაქსიმენე ჰაერს მიიჩნევდა საგანთა პირველსაწყისად, რომელიც გაუხშოებისას დასაბამს აძლევს ცეცხლს, შემკვრივებისას კი - ქარს, ღრუბლებს, წყალს, მიწას, ქვებს.

[32] შდრ. ფსალმ. 99, 3.

[33] რომ. I, 20.

რომელიც მკვიდრობს ჩვენს სულში“[34]. ეს ჭეშმარიტება კი, აი, რას მეუბნება მე: „შენი ღმერთი არც ცაა, არც მიწა და არც ესა თუ ის სხეული“. თვით მათი ბუნება ცხადყოფს ამას. მხედველობისთვის ყოველი სხეულის ნაწილი ნაკლებია მის მთელ მასაზე. ამიტომაც უკეთესი ხარ, შენ გეუბნები, სულო, რადგანაც შენ ასულდგმულებ სხეულის მთელ მასას, რომელშიაც მკვიდრობ, და სიცოცხლეს ანიჭებ მას, მაშინ როდესაც ვერცერთი სხეული სიცოცხლეს ვერ მიანიჭებს მეორე სხეულს[35]. ხოლო შენი ღმერთი უფრო მეტია: იგია შენი სიცოცხლის სიცოცხლე.

VII

11. კი მაგრამ, მაინც რა მიყვარს, როცა მიყვარს ღმერთი ჩემი? ვინ არის იგი, ჩემს სულზე უმაღლესი და უზენაესი? ამ ჩემი სულით ავმაღლდები მის სიდიადემდე. თავს მოვევლები იმ ძალას, რომელიც მაკავშირებს სხეულთან და სიცოცხლით აღავსებს მას. ეს ძალა როდი მაპოვნინებს ღმერთს, თორემ მაშინ მის პოვნას „უგონო ცხენიცა და ჯორიც“[36] შესძლებდნენ. მაგრამ მათაც აქვთ სწორედ ეს ძალა, რომელიც სიცოცხლეს ანიჭებს მათ სხეულს.

არის სხვა ძალაც, რომლითაც არა მარტო სიცოცხლეს ვანიჭებ ჩემს სხეულს, არამედ მგრძნობელობასაც. ეს ძალა შეჰქმნა ღმერთმა, რომელმაც თვალს დაუწესა, კი არ ისმენდეს, არამედ ხედავდეს, ხოლო ყურს - კი არ ხედავდეს, არამედ ისმენდეს, და ასე, თვითეულ გრძნობას თავისი ადგილი და დანიშნულება მიუჩინა. სწორედ მათი მეშვეობით ვასრულებ სხვადასხვა დანიშნულებას და იმავდროულად ვინარჩუნებ ჩემს სულიერ ერთიანობას. უკან მოვიტოვებ ამ ძალასაც; ის ცხენსაცა აქვს და ჯორსაც, რადგან მათთვისაც ნიშნეულია სხეულებრივი გრძნობები[37].

---

[34] შდრ. ნეტარი ავგუსტინე, „ქადაგებანი“ (197, 1): „შენ ყურადღებით აკვირდები პოხიერ მიწას, აკვირდები ზღვას, ცოცხალი არსებებით სავსეს, აკვირდები ჰაერს, ფრთოსნებით სავსეს, აკვირდები ცას, ვარსკვლავების ციმციმს რომ გვაფრქვევს, მაგრამ არ ეძებ ესოდენ დიადი ქმნილების შემოქმედს? ნაცვლად ამისა მეუბნები: ყოველივე ამას ვხედავ, თვითონ მას კი ვერა ვედავო. ყოველივე ეს რომ დაინახო, საამისოდ მან ხორციელი თვალი მოგცა, ხოლო თვითონ მის დასანახად გონი გიბოძა. აკი შენ სულსაც ვერ ხედავ, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ მოძრაობს და წარიმართება სხეული, შენ შეიცნობ სულს, რომელსაც ვერ ხედავ. ზუსტად ასევე, იმის მიხედვით, თუ როგორ იმართვის სამყარო და წარიმართება თვით სული, შეიცან შემოქმედი“.

[35] თვით მზეც კი, ამქვეყნიური არსებობის ყველაზე დიდი ფაქტორი, უშუალოდ ვერ ქმნის სიცოცხლეს.

[36] ფსალმ. 31, 9.

[37] ეს მოულოდნელი გადასვლა ხორციელი გრძნობებიდან მეხსიერებაზე გაუგებარი დარჩება მკითხველისათვის, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნეტარი ავგუსტინე აქ მთლიანად იზიარებს პლოტინის ფსიქოლოგიზმს (რაც, თავის მხრივ, პლატონისგან იღებს დასაბამს), რომლის თანახმადაც, ერთმანეთისაგან უნდა ვასხვავებდეთ ხულის ქმედითობის ორ ასპექტს - უდაბლესსა და უმაღლესს. ამრიგად, ნეტარი ავგუსტინე გვერდს უვლის ხორციელ გრძნობებს, რომლებიც, მისივე სიტყვით, უგონო ცხოველებსაც ახასიათებთ, და უშუალოდ გადადის სულის უფრო მაღალ ფუნქციაზე - მეხსიერებაზე, რაც მხოლოდ ადამიანებისთვისაა ნიშნეული.

VIII

12. ამრიგად, უკან ვიტოვებ ჩემი ბუნების ამ ძალასაც, რათა თანდათანობით ავმაღლდე მის სიდიადემდე, ვინც შემქმნა. და, აი, მე ვუახლოვდები მეხსიერების ვრცელ ველსა და სრასასახლეს[38], ამ უზარმაზარ განძთსაცავს, სადაც თავმოყრილია გრძნობებით აღქმულ საგანთა ურიცხვი ხატებანი. აქაა დაცული ყველაფერი, რაც დავიწყებას არ შთაუნთქავს და დაუსამარებია; ყველაფერი, რასაც ვაყალიბებთ, ვზრდით ან ვაკნინებთ, ვცვლით და ამა თუ იმ სახეს ვანიჭებთ.

როცა იქა ვარ, მე შემიძლია გამოვიხმო ის ხატებანი, რომელნიც მინდა. ზოგი მაშინვე წარმომიჩნდება, ზოგს კი დიდხანს უნდა ელოდო, თითქოს თავიანთი საკნიდან გამოსვლა ეზარებათ; ზოგიც ჯგროდ გამოეფინება, ნაცვლად იმისა, რასაც ვეძებ და ვთხოულობ, და თითქოს მეუბნება, ჩვენ ხომ არ გვიხმეო? მე გონების ხელს ვუქნევ ამ აბეზრებს, ძალით ვიცილებ თავიდან, და ბოლოს ის, რაც მსურდა, თითქოს ღრუბლებიდან გამოანათაო, ზლაზვნით გამოდის თავისი სამალავიდან; ზოგიც ძალდაუტანებლად მევლინება და მწყობრი წესრიგით ჩამივლის გონების თვალწინ, სწორედ ისე, როგორც მე მსურდა: წინამორბედი მომდევნოს უთმობს ადგილს, თვითონ კი უჩინარდება, რათა შემდეგ, ჩემი მოთხოვნისთანავე, ხელახლა გამომეცხადოს. ასე ხდება, როცა რაიმეს ვიგონებ და ვუყვები ვინმეს[39].

13. აქ ცალ-ცალკე, სახეობებისდა მიხედვით ჯგუფდება და ინახება ყველაფერი, რაც გრძნობებს შეუტანიათ შიგ, თვითეულს - თავისი გზით: სინათლე, ყოველი სხეულის ფერი თუ ფორმა - თვალებს; ბგერათა ურიცხვი სიმრავლე - ყურებს; ათასგვარი სურნელი - ნესტოებს; ათასნაირი გემო - პირს; ყოველივე ის, რაც მკვრივია თუ რბილი, ცხელი თუ ცივი, მქისე თუ გლუვი, მძიმე თუ მსუბუქი, შინაგანი თუ გარეგანი, - მთელ სხეულს თავისი გრძნობელობით. ყოველივე ამას მეხსიერება მიირქმევს თავის უსასრულო საცავში, თავის ფარულსა და იდუმალ სენაკებში, ურიცხვ ცხრაკლიტულსა თუ უღრმესსა და უშინაგანეს კუთხე-კუნჭულში, რათა სათანადოდ გადაამუშაოს და, თუ საჭიროება მოითხოვს, კიდეც გამოიხმოს იქიდან. ყველაფერს თავისი შესასვლელი აქვს და ამ საცავში გროვდება.

---

[38] პროფ. ი.ვ.პოპოვი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ნეტარი ავგუსტინეს პიროვნება და მოძღვრება“ (სერგიევ პოსადი, 1916, ტ.I, ნაწ.II, გვ.49) შენიშნავს: „ნეტარი ავგუსტინეს მოძღვრება მეხსიერების ბუნების შესახებ, საერთოდ, პლოტინს მისდევს და მისგან მხოლოდ ბერძენი ფილოსოფოსის თეზისთა უფრო დეტალური დამუშავებით, ცოცხალ ფსიქოლოგიურ დაკვირვებათა სიუხვითა და კერძო მომენტთა ზოგიერთი არსებითი ცვლილებით ამოირჩევა“. პროფ. პოპოვი უმეტესწილად ძალზე ზუსტად და ამომწურავად ახასიათებს პლოტინის გავლენას ნეტარი ავგუსტინეს მეტაფიზიკურ დოქტრინაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ცდება: როგორც ვხედავთ, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, მეხსიერება გრძნობებით აღქმულ საგანთა ხატების უზარმაზარი საცივია, მაშინ როდესაც პლოტინი მკვეთრად უპირისპირდება ამ თვალსაზრისს: მეხსიერება შთაბეჭდილებათა შენახვის უნარი კი არაა. რამედ სულის ენერგია. ქმედითი ძალა (იხ. П.Блоиский. Философия Плотина. М., 1918, стр. 166).

[39] როგორც ვხედავთ, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, მოგონებისა თუ გახსენებების აქტი გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს; ამ მხრივ, ის პლოტინის აზრს იმეორებს, მაგრამ პლოტინს სულ სხვანაირი დასკვნა გამოაქვს ამ ფაქტიდან (იხ. М.Владиславлев, Философия Плотина, С-Пб., 1868, стр. 175-178).

მაგრამ შედიან არა საკუთრივ საგნები, არამედ მათი ხატებანი, დაუყოვნებლივ რომ ამოტივტივდებიან მისი გონების თვალწინ, ვინც მათ იგონებს. ვინ იცის, როგორ ჩამოყალიბდნენ, თუმცა ის კი ნათელია, რომელმა გრძნობამ მოიხელთა და მოათავსა სულის სიღრმეში.

განუჭვრეტელ უკუნეთსა და მდუმარებაშიც რომ ვცხოვრობდე, თუ მოვინდომებ, მაინც შემიძლია მეხსიერებაში გამოვიხმო ფერები, ერთმანეთისაგან განვასხვავო თეთრი და შავი, ან, თუ გნებავთ, ნებისმიერი სხვა ფერი. იქვეა ბგერების სავანეც, მაგრამ ისინი არ ცდილობენ თავიანთი ხმოვანებით შემოიჭრან და აამღვრიონ ჩემს მიერ გამოხმობილი ხატებანი: ისინი თითქოს ცალკე სენაკებში არიან მიყუჟულნი. მე შემიძლია, თუკი მომეპრიანება, ბგერებიც გამოვიხმო იქიდან, და ისინიც არ დაახანებენ, წამსვე ამოიშლებიან: ენა უტყვია, ჩემი ყელი დუმს, მე კი ვმღერი, ან ვღიღინებ, რაც მსურს. ხოლო ფერების ხატებანი, რომელნიც იქვე არიან, არაფერში არ ერევიან და ხელს არ მიშლიან, ვიდრე ჩემი მეხსიერების სულ სხვა საგანძურს ვჩხრეკ, ჩემივე სმენის მიერ დაგროვილს და დახვავებულს. ასევე ვიხსენებ, როცა კი მომესურვება, ყოველივე იმას, რაც ჩემს გრძნობებს შეუკრებიათ და შემოუტანიათ ამ საცავში. ასე მაგალითად, მშვენივრად ვასხვავებ ერთმანეთისაგან იისა და შროშანის სურნელს, თუმცა ამ დროს არც ერთს ვყნოავ და არც მეორეს[40], ხოლო მაჭარს თაფლს ვამჯობინებ, რბილს კი - მაგარს, თუმცა არც რას გემოს ვუსინჯავ და არც რას ვეხები, არამედ მხოლოდ ვიგონებ.

14. ყოველივე ეს ხდება ჩემში, ჩემი მეხსიერების ვრცელ დარბაზებში. აქ ჩემს განკარგულებაშია ცაც, მიწაც, ზღვაც და ყველაფერი, რაც კი გრძნობებით აღმიქვამს; ყველაფერი, გარდა იმისა, რაც დამავიწყდა. აქვე ვხვდები ჩემსავე თავს, როცა ვიხსენებ, რას ვაკეთებდი, ან იმ დროსა თუ ადგილს, როცა ამას და ამას ვაკეთებდი, და იმ გრძნობებსაც, რასაც განვიცდიდი მისი კეთებისას[41]. აქაა ყველაფერი, რაც - კარგად მახსოვს, - საკუთარი

---

[40] „ყნოსვითი ხატებანი“, ჩვეულებრივ, უფრო მქრქალნი არიან, ვიდრე სულში ხედვისა თუ სმენის ქმედითობის წყარლობით აღბეჭდილი ხატებანი. ნეტარ ავგუსტინეს, ეტყობა, ძალზე ფაქიზი ყნოსვა და ყნოსვით აღქმულ სურნელთა შენახვის არანაკლებ დახვეწილი უნარი ჰქონდა... შდრ. პოლ ვალერი: „ბგერები და სურნელებანი. - ასოციაციები. ჩვენ არ შეგვიძლია და, მაშასადამე, არ ვიცით, სურნელთა ურთიერთდაკავშირება. რომ შეგვეძლოს და ვიცოდეთ, ოჰ, რა მუსიკა შეიქმნებოდა!

ყური ადვილად აღიქვამს ვარიაციებს, - ამიტომაც იბადება ურთიერთკავშირი, შესაძლო გაგრძელება და განვითარება, - მუსიკა.

სურნელთა თანმიმდევრული მწკრივი მხოლოდ აზრების თანმიმდევრულ მწკრივს იწვევს (უკეთეს შემთხვევაში). მაგრამ ბგერების თანმიმდევრული მწკრივი შეიძლება აღნიშნავდეს რაიმე ახალ არსს, ვინაიდან შეიძლება შეესატყვისებოდეს ამა თუ იმ რთულ მოქმედებას.

განკერძოებული ბგერა უფრო მეტად არარაა (საერთოდ), ვიდრე განკერძოებული სურნელი“ (იხ. პოლ ვალერი, სულის კრიზისი, ფრანგულიდან თარგმნა ბ.ბრეგვაძემ, თბ. 1994, გვ.61).

[41] ნეტარი ავგუსტინე ყოველთვის ცხოველ ინტერესს იჩენდა იმის მიმართ, თუ რანაირად ინახავს მეხსიერება სულიერ მღელვარებათა ნაკვალევს. მეხსიერება რომ არ ინახავდეს წარმოდგენას ოდესღაც განცდილი შიშის, ტკივილის, მწუხარებისა თუ ვნების შესახებ, შეუძლებელი იქნებდოა მათზე ლაპარაკი. და მაინც, ისინი იმ სახით როდი ინახებიან სულში, რა სახითაც განცდილ იქნენ. ვნებათაღელვის მოგონებას აკლია გრძნობის ის სიმძაფრე, რომელიც ოდესღაც თან ახლდა მას. უწინდელ სიხარულს ხშირად უსიხარულოდ იგონებენ, გარდასულ მწუხარებას კი ისე, რომ ამ გრძნობას არ განიცდიან. შეიძლება გულგრილად, ვნების გარეშე გაიხსენო უწინდელი ვნებათაღელვა. ზოგჯერ სულის მდგომარეობა მოგონების საპირისპიროც კია. ხანდახან სიხარულით აღგზნებულნი ვიგონებთ დამთრგუნველ მწუხარებას, გულმწუხარენი კი - სიხარულს. თუ განცდილი მღელვარებანი უკვე აღარ არსებობენ, ცხადია, თვით ისინი კი არ ინახებიან მეხსიერებაში, არამედ მხოლოდ მათი ხატებანი“. - პროფ. ი.ვ.პოპოვი, დასახ. ნაშრ. გვ.51.

გამოცდილებით შემიძენია, ან სხვისგან შემითვისებია. სწორედ ამ საგანძურს ვიყენებ, როცა ყოველივე იმის მიხედვით, რაც საკუთარი გამოცდილებით მაქვს შეძენილი, ან სხვისგან შეთვისებული, ისევე, როგორც მათთან მსგავსების საფუძველზე ვქმნი ხან ერთსა და ხან მეორე ხატებას, რომლებსაც ვაქსოვ ნამყოში და მათი მეშვეობით ვქსოვ მყოობადსაც; ურიცხვი ქცევა, ვითარება თუ სასოება, - ყოველივე ამას ხელახლა ვიაზრებ როგორც აწმყოს. „მე გავაკეთებ ამას და ამას“, - აი, რას ვეუბნები საკუთარ თავს ჩემი სულის ამ უზარმაზარ საცავში, რომელიც ესოდენ ურიცხვსა და დიად ხატებას აღუვსია, - რასაც მოსდევს ხან ერთი და ხან მეორე დასკვნა: „ოჰ, ნეტა ასე და ასე მოხდეს!“ ან „ღმერთმა გვაშოროს ეს!“ აი, რას ვეუბნები ჩემსავე თავს და მაშინვე წარმომიჩნდებიან იმათი ხატებანი, რაზედაც ვლაპარაკობ, მეხსიერების იმავე საცავიდან გამოხმობილნი. იქ რომ არ ყოფილიყვნენ, ვერაფრის თქმასაც ვერ შევძლებდი[42].

---

[42] მეხსიერების პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრობლემათაგანია ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფიურსა და ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში. „აღსარებათა“ გარდა, მეხსიერების ცალკეული ასპექტები საფუძვლიანადაა განხილული მის თხზულებებში: „სამებისათვის“, „სულის არამატერიალურობისათვის“, „მუსიკისათვის“, „ნების თავისუფლებისათვის“, „წერილებში“ და სხვ. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია ზოგადად მაინც მიმოვიხილოთ მეხსიერების ავგუსტინესეული კონცეფციის ძირითადი მომენატები.

აი, როგორია მეხსიერების ნახევრად სერიოზული, ან, თუ გნებავთ, „სომატური“ განმარტება, რომელსაც ცოტა ქვემოთ (X, 21-22) გვთავაზობს „აღსარებათა“ ავტორი: „მეხსიერება თითქოს სტომაქია სულისა, ხოლო სიხარული და მწუხარება - ტკბილი თუ მწარე საჭმელი; როცა მეხსიერებას გადავცემთ მათ, თითქოს სტომაქში გადავუძახეთო, ისინი დიდხანს ინახებიან იქ, მაგრამ გემოს კი ვეღარ ინარჩუნებენ... შესაძლოა, როგორც ცოხნისას ამოიზიდება საზრდო პირუტყვის ფაშვიდან, გახსნებაც ასევე გამოიხმობს ამ გრძნობებს მეხსიერებიდან... კი მაგრამ, ვინც მათზე მსჯელობს, ესე იგი, იხსენებს მათ, რატომღა ვერ გრძნობს ვერც სიხარულის სიტკბოს და ვერც მწუხარების სიმწარეს? იქნებ ეს ორი რამ სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ მათ შორის გამორიცხულია სრული მსგავსება? ვინ ჩამოაგდებდა სიტყვას მათზე, თუკი შიშისა და მწუხარების ყოველ ხსენებაზე ეს განცდები ხელახლა დაეუფლებოდნენ მას?..“

მეხსიერება, უწინარეს ყოვლისა, აღმქმელობითი უნარია. ესაა სულის ერთგვარი საკუჭნაო, უზარმაზარი საცავი, რომლის ცალკეულ სენაკებშიაც ინახება მთელი მისი შიგთავსი თუ შინაარსი. ნეტარი აგვუსტინე ერთმანეთისაგან განასხვავებს მეხსიერების ორ სახეს: ხსოვნას „წარმავალისას“, რომელიც ხორციელი გრძნობებით (მზერა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება) აღქმულ საგანთა ხატებებთანაა დაკავშირებული, და ხსოვნას „წარუვალისას“, რომელსაც ამნაირი ხატებანი არა სჭირდება. მეხსიერების პირველი სახის შინაარსია, ჯერ ერთი, გრძნობებით აღქმულ საგანთა ხატებანი, სხვადასხვა გზით რომ შემოდიან ჩვენში და მეხსიერების ინტიმურ „სენაკებში“ ინახებიან, რათა მოგონებისას ხელახლა ამოტივტივდნენ სულის სიღრმეში; მეორეც, ჩვენივე უწინდელი სულიერი მდგომარეობანი - შიში, ტკივილი, სიხარული, მწუხარება, ვნება და სხვა მისთანანი (იხ. აქვე, შენ. 41); და ბოლოს, დავიწყება: ამ სიტყვის გაგონებისას ჩვენ ვხვდებით, რასაც ეხება საქმე და, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მეხსიერებაში ინახება ან თვით დავიწყება, ან კიდევ მისი ხატება. როდესაც მეხსიერებაზე ჩამოვარდება სიტყვა, თვალწინ გვიდგება საკუთრივ მეხსიერება ყოველგვარი ხატების გარეშე, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით დავიწყებაზედაც. დავიწყება შეუძლებელია მეხსიერებაში ინახებოდეს, რაკიღა მთლიანად გამორიცხავს მას. მაგრამ ჩვენი დავიწყება რომ სრული იყოს, აღარაფერი გვემახსოვრებოდა მის შესახებ და, მაშასადამე, ვერც რას გავიგებდით, როცა მასზე გველაპარაკებიან. ამიტომ თუ მეხსიერებაში მაინც არის ის, რაც გამორიცხავს საკუთრივ მეხსიერებას, ცხადია, რეალურად კი არ არის იქ, არამედ როგორც ხატება („აღსარებანი“, X, 24).

მეხსიერების მეორე სახის შინაარსია ყოველივე ის, რასაც ხატება და სივრცული გარშემოწერილობა თუ კონკრეტული თვისებრივი განსაზღვრულობა არ გააჩნია. ასე მაგალითად, მარადისობის ცნება ყოველთვისაა ჩვენს სულში, ისე, რომ მისი შემცვლელი ხატება არა სჭირდება. რათა მოგონების საგნად იქცეს. ჩვენი გონებრივი ქმედითობის ყველა უწინდელი ნაყოფი - განყენებული ცნებები თუ იდეები, აზროვნების ურყევ პრინციპებზე დაფუძნებული თეორიული დასკვნები, მეცნიერებათა შესწავლის შედეგად მიკვლეული ჭეშმარიტებანი, მათემატიკის აქსიომატური დებულებები („მეხსიერება შეიცავს აგრეთვე რიცხვებისა და განზომილებების ათასნაირ თანაფარდობას, მათი ურთიერთმიმართების ურიცხვ წესსა თუ კანონს, რომლებსაც ვერცერთი ხორციელი გრძნობა ვერ აღბეჭდავდა ჩვენს სულში, რადგან მათ არც ფერი აქვთ, არც სუნი, არც გემო, არც ხმიანებენ და არც ხელშესახებნი არიან. მათზე მსჯელობისას მე მესმის ბგერები, რომლებიც აღნიშნავენ იმ სიტყვებს, მსჯელობისას რომ იყენებენ, მაგრამ სხვაა ეს სიტყვები და სულ სხვა - მსჯელობის საგანი. სიტყვები სხვადასხვანაირად ჟღერენ ბერძნულად და ლათინურად, მაშინ როდესაც ამ სიტყვებით გამოხატული ცნებები დამოუკიდებელნი არიან ბერძნული, ლათინური თუ ნებისმიერი სხვა ენისაგან, - „აღსარებანი“, X, 19, - აი, რა განსაზღვრავს, ერთის მხრივ, მეხსიერების მეორე სახის შინაარსს; მეორეს მხრივ კი, ამ შინაარსის განუყოფელ ნაწილად გვევლინებიან არა მარტო ინტელიგიბილურ რეალობათა აბსტრაქტული ცნებები, არამედ საკუთრივ ეს ინტელიგიბილური რეალობებიც, სუბსტანციურად რომ არიან სულში, ისევე, როგორც ყველგან მყოფი და მარადის მყოფი ღმერთი (ჩვენამდე მოღწეულ მზისა თუ ვარსკვლავის სხივს, თავისი პირველწყაროსაგან უზარმაზარი სიშორის

მიუხედავად, მაინც შეუძლია გარკვეული ინფორმაცია მოგვაწოდოს თავისი ციური საწყისის თუ წყაროს შესახებ; ზუსტად ასევე, განსხეულებული სულისთვისაც ინჰერენტულია მისი დასაბამიერი სამშობლოს - ინტელიგიბილური სინამდვილის ელემენტები).

მეხსიერების პირველ სახეს ნეტარი ავგუსტინე გრძნობად მეხსიერებას უწოდებს, მეორეს კი - ინტელექტუალურს. შეგრძნებების შემდეგ სულში ჩარჩენილ ხატებებთან დაკავშირებული მეხსიერება ცხოველებისთვისაცაა ნიშნეული: მერცხლები თავიანთ ბუდეებს უბრუნდებიან, საქონელი - ბოსელს თუ თავლას; მხეცები - ბუნაგს; ძაღლები ძილში წკმუტუნებენ და ყმუიან, ესე იგი, სიზმრებს ხედავენ, რაც შეუძლებელი იქნებოდა, მათ სულში არომ არ რჩებოდნენ ყოველივე იმის ხატებანი, რასაც გრძნობებით აღიქვამენ. მაგრამ ამით ამოიწურება უტყვ ცხოველთა მეხსიერება, რაკიღა მათთვის მიუწვდომელნი არიან უზენაესი იდეები, შეუძლებელია ინტელექტუალური მეხსიერება, თავიანთი გრძნობებისა თუ მეხსიერების ხსოვნა ჰქონდეთ, რადგანაც მოკლებულნი არიან იმის უნარს, რომ გაიაზრონ თავიანთი სულის მოძრაობანი და ერთმანეთისაგან განასხვავონ ისინი („თავისუფალი ნებისათვის“, II, 9). მაგრამ ცხოველთა მეხსიერება ადამიანთა გრძნობად მეხსიერებასაც ვერ შეედრება. მათ არ შეუძლიათ სათანადო ნიშნებით აღნიშნონ თავიანთ მეხსიერებაში დაცული ხატებანი, თვითნებურად გაამდიდრონ საკუთარი მეხსიერება და განაახლონ მასში ის, რასაც დავიწყება ემუქრება, სპონტანურად შეცვალოს ან ნაირ-ნაირი კომბინაციებით დაუკავშიროს ერთმანეთს რეალურ საგანთა ხატებანი, ხოლო ამ უკანასკნელთა შორის ერთმანეთისაგან გაარჩიონ ჭეშმარიტნი და ყალბნი („სამებისათვის“, XII,2).

მეხსიერების ფუნქციებია: დამახსოვრება, გახსენება (მოგონება) და წარმოსახვა. პირველი შინაარსით ავსებს მეხსიერებას, მეორე მეხსიერებაში დაცული ხატებისა თუ აბსტრაქტული ჭეშმარიტების ზუსტ რეპროდუცირებას ახდენს, ხოლო მესამე თვითნებურად ცვლის რეალურ საგანთა ხატებებს, რომელთაგანაც ჩვენი ფანტაზია ზოგჯერ მართლაც რომ ფანტასტიურ სურათებს ქმნის.

მეხსიერების მთელი შინაარსი მარტოოდენ დამახსოვრების გზით როდი ექცევა მასში. თუ მეხსიერებაში დაცულია სული, გონება, ნება და თვით მეხსიერება, შეუძლებელია დავასახელოთ მომენტი, როცა ყოველივე ეს აღქმულ იქნა მის მიერ. ადამიანის სული მისი განსხეულების მომენტიდანვე იმარხავს ღმერთს. ეს მომენტები ქრონოლოგიურად განურჩეველნი არიან. აქ თანაარსებობასთან გვაქვს საქმე. დამახსოვრებასთან დაკავშირებულია მხოლოდ წარმავლის ხსოვნა. დამახსოვრების აქტს, რისი წყალობითაც შეგრძნებაში მოცემული საგნის ხატება თუ ახლად შეძენილი განყენებული იდეა მეხსიერების კუთვნილებად იქცევა, მატერიის, ფორმისა და მათი შემაერთებელი ნების ურთიერთმოქმედება განაპირობებს. აქ მატერია მეხსიერებაა, რომელიც თავისთავად ისევე განუსაზღვრელია და უშინაარსო, როგორც ჩვენი მზერა, როცა ამ უკანასკნელს მის მიერ აღქმული საგნისაგან დამოუკიდებლად განვიხილავთ. ფორმა საგნის ფსიქოფიზიკური ხატებაა, რომელიც აღქმაში გვეძლევა. ნეტარი ავგუსტინე მეორეულ ფორმას უწოდებს მას („სამებისათვის“, XI,16). ნება, მეხსიერების მიერ გარეშე შთაბეჭდილებათა შეთვისებისას, განსაზღვრავს შეგრძნებას და ურთიერთკავშირს ამყარებს გრძნობის ორგანოებსა და შეგრძნების საგანთა შორის. საგნის მიმართ თავისი სურვიელი ლტოლვისას ის თითქოს ერთმანეთს ამსგავსებს ამ საგანსა და მის აღმქმელ ორგანოს (შდრ. პლოტინი: „განა თვალი ოდესმე იხილავდა მზეს, მზეს რომ არ დამსგავსებოდა თავად? ვერც სული იხილავდა მშვენიერს, მშვენიერება რომ არ შეემოსა მასაც. დაე, თავდაპირველად ღმერთს ემსგავსოს, დაე, თავდაპირველად მშვენიერი გახდეს ყველა, ვისაც სურს იხილოს ღვთაებრივი და მშვენიერი გახდეს ყველა, ვისაც სურს იხილოს ღვთაებრივი და მშვენიერი“, - „ენნ.“ I,VI,9). დამახსოვრებისას ნება ერთმანეთთან აერთებს მეხსიერებასა და შეგრძნებაში მოცემულ გარეშე საგნის ხატებას, რის შედეგადაც ხდება მეხსიერების ინფორმირება და მასში მყარად აღიბეჭდება საგნის ხატება. ნება შეგრძნებისაკენ მიმართავს მეხსიერებას, როგორც თვალს - მზერით აღსაქმელი საგნის მიმართ, რასაც ემპირიულად გვიდასტურებს ყოველდღიური ცდის არა ერთი და ორი ფაქტი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ შეგრძნებამ შეიძლება არც კი დატოვოს თავისი კვალი მეხსიერებაში. ასე მაგალითად, დაბნეულობისა თუ უყურადღებობისას, ჩვენ ვერ აღვიქვამთ თანამოსაუბრის სიტყვებს, შეიძლება წიგნის მთელი გვერდი ჩავიკითხოთ ისე, რომ ვერავითარი აზრი ვერ გამოვიტანოთ მისგან, ან კიდევ ისე ჩავუაროთ გვერდი სახლს, საითკენაც მივდიოდით, რომ ვერც კი შევნიშნოთ, და სულ სხვა ადგილას ამოვყოთ თავი. ყველა ამ შემთხვევაში, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, გრძნობის ქმედითობა, შეგრძნება უწყვეტი იყო, თორემ კითხვისას ვერც სიტყვას მივაყოლებდით სიტყვას და ვერც თამმად ვივლიდით ჩვენთვის უცნობი მიმართულებით. ასე რომ, დაბნეულობისას თუ უყურადღებობისას, ჩვენ ხედვით კი ვხედავთ და სმენითაც გვესმის, მაგრამ დანახულს და მოსმენილს ვერ ვიმახსოვრებთ, რადგანაც ნება ერთმანეთთან არ აერთებს მეხსიერებასა და შეგრძნებაში მოცემული საგნის ხატებას („სამებისათვის“, XI,15; „მუსიკისათვის“, VI,21).

გახსენება (მოგონება) მეხსიერებაში დაცული საგნის ხატების რეპროდუცირებას ახდენს. თუ ის ჯერ კიდევ არ წაშლილა მახსოვრობაში, ანდა შეძლებისდაგვარად აღადგენს მას, თუკი ის ნაწილობრივ დავიწყების ნადავლად იქცა. დავიწყება ერთბაშად კი არ ნთქამს მეხსიერების შინაარსს, არამედ თანდათანობით („მუსიკისათვის“, VI,6). გახსენების (მოგონების) პროცესი ისევ და ისევ შეგრძნების ანალოგიით, ესე იგი, მატერიის, ფორმისა და მათი შემაერთებელი ნების ურთიერთქმედებით აიხსნება. მდგომარეობას, როცა ჩვენი სული მოგონებასა თუ ოცნებას ეძლევა, ნეტარი აგვუსტინე სულიერ ჭვრეტას უწოდებს, რადგანაც აქ ჭვრეტის ობიექტებად საგნები კი არა, მათი უსხეულო მსგავსებანი გვევლინებიან. მატერიალური საგნის ფორმას, რომელიც შეგრძნებაში აისახება, მოგონებისას თუ გახსენებისას იმავე საგნის არამატერიალური ხატება შეესაბამება, რომელიც მეხსიერებაშია დაცული. ეს ხატება შეიძლება არც კი იქცეს მოგონების საგნად, ისევე, როგორც მატერიალური საგანი შეიძლება მზერით აღუქმელი დარჩეს, თუკი მეხსიერება და მზერა სხვა რამისკენაა მიმართული.

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, მატერიალურ საგანთა ჭვრეტისას სული გუგებიდან ემანირებული სინათლის სხივებით, როგორც ერთგვარი საცეცებით, მოსინჯავს საგანს, რომლის დანახვაც სურს. ამ „საცეცებს“ ის „სინათლის ისრებსა თუ თვალთა სხივებს“ („acies luminis vel radii oculorum“, - „ფსალმუნებისათვის“, XVI,8) უწოდებს. მოგონების უნარი, მისი აზრით, ასევე ყოვლისგანმწონი სხივია, ანუ „ისარი სულისა, რომელიც ფიქრობს თუ იგონებს“ („acies cogitantis vel recordantis animi“, - „სამებისათვის“, XI,6,11). ეს არამატერიალური სხივი სულისა, რომელიც რაღაცას იხსენებს თუ იგონებს, თავისთავად ყოველგვარ განსაზღვრულობას მოკლებულია და მხოლოდ მაშინ იძენს გარკვეულ ფორმას, როცა მეხსიერებაში დაცული საგნის ხატებას აშუქებს, და აშუქებს მანამ, სანამ სხვა ხატებაზე არ გადაინაცვლებს. ნება,

ისევე როგორც მხედველობითი შეგრძნებისას, მეხსიერების ბნელი სენაკისკენ მიმართავს ამ სხივს, რათა მისი მეშვეობით მოსინჯოს შიგთავსი.

მოგონება შეიძლება თვითნებური აქტი იყოს. არცთუ იშვიათად, ნება შეგნებულად დაეძებს დავიწყებულს, რათა შინაგანი, სულიერი მზერით იპოვოს იგი, ამ თვალსაზრისით მოგონება (გახსენება) ძალიანა ჰგავს დაკარგული ნივთის ძიებას. ქალმა დაკარგა დრაქმა და სანთლით დაუწყო ძებნა (ლუკა XV,8). საერთოდ რომ არ ხსომებოდა, რაც დაკარგა, ვერასდიდებით ვერ შესძლებდა მის ძიებას, ხოლო შემთხვევით რომ ენახა, ვერც კი იცნობდა. მაგრამ დრაქმა მთლიანად როდი დაკარგულა: ქალს სულში ჩარჩა მისი ხატება. მონეტის ძებნისას სწორედ ამ ხატებას ადარებდა ყველა ნივთსა თუ საგანს, რასაც კი წააწყდებოდა, და, ამრიგად, რწმუნდებოდა, რომ ეს მისი დრაქმა არ იყო. რაღაც ამგვარი ხდება ჩვენს სულშიაც, როცა რაღაცის გახსენებსა ვცდილობთ. მეხსიერებაში ვეძებთ იმას, რაც მოვისაკლისეთ, მაშასადამე, გვახსოვს, რა დაგვავიწყდა. დავიწყებისას, რომელიც ბუნდოვანი გახსენების შესაძლებლობას მაინც გვიტოვებს, ყველაფერი კი არ ეძლევა დავიწყებას, არამედ მხოლოდ ჩვენთვის ჩვეული მთელის ნაწილი. სწორედ ამ დავიწყებულ ნაწილს ვეძებთ იმის მეშვეობით, რაც ჯერ კიდევ არ წაშლილა მეხსიერებაში („აღსარებანი“, X,27). როდესაც ნაცნობს ვხვდებით და მისი სახელის გახსენებას ვცდილობთ, ვინ მოსთვლის, რამდენ სახელს გადავთვლით და ერთიმეორის მიყოლებით უარვყოფთ ყველას, თუკი მათ ამ ადამიანს ვერ ვუკავშირებთ; ხოლო როცა ცნობიერებაში ნამდვილი სახელი ამოტივტივდება, მაშინვე ვამჩნევთ ჩვეულ კავშირს და ვმშვიდდებით („აღსარებანი“, X,28). მაგრამ თუ დაავიწყებამ მთლიანად შთანთქა ხატება თუ ხატებათ წყება, გახსენების სურვილიც კი არ აღგვეძვრის („სამებისათვის“, XI,22).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხედველობითი აღქმისას ნება თითქოს აღსაქმელ საგანს ამსგავსებს თვალს. გახსენებისას თუ მოგონებისას იგივე ნება ხელს უწყობს საგნის ფსიქიკური ხატების რეპროდუცირებას. ის გრძნობად აღქმათა პლასტიკურობასა და საგნობრიობას ანიჭებს რეპროდუცირებულ ხატებებს, როგორც, მაგალითად, სიზმარში, როცა გარეშე შთაბეჭდილებათა ნაკადი წყდება, რის შედეგადაც ჩვენ ისე აღვიქვამთ საკუთარ ჩვენებებს, როგორც ცხადში რეალურ საგნებსა ვხედავთ, და მხოლოდ გამოფხიზლებისას ვრწმუნდებით მათ ილუზორულობაში. იგივე ითქმის სნეულთა ბოდვასა თუ ცნობიერების ექსტატიკურ მდგომარეობებზედაც. შინაგან ხატებათა ამ უჩვეულო სიცხადის მიზეზი ისაა, რომ სულიც და ნებაც მთლიანად მათზეა კონცენტრირებული. გრძნობის გარეგან ორგანოთა ქმედითობისას სულის ყურადრება, რაც აუცილებელია როგორც შეგრძნების, ისე გახსენებისთვისაც, ამ ორ აქტს შორის ნაწილდება, ასე რომ, ნებას აღარ ძალუძს ისეთივე სიცხადე მიანიჭოს შინაგან ხატებებს, რაც ახასიათებს რეალურ აღქმას. მაგრამ თუ სულის ენერგია გრძნობის ორგანოთა მოძრაობისათვის არ იხარჯება, მაშინ ის განსაკუთრებული ინტენსივობით მოქმედებს ფსიქიკურ განცდათა სფეროში. ამ დროს სული განეყენება გრძნობებს და ფსიქიკურ თუ ფიზიკურ მიზეზთა ძალით თავის თავშივე კონცენტრირდება („სამებისათვის“, XI,7).

რაც შეეხება მეხსიერების მესამე ფუნქციას, ე.ი. წარმოსახვას, ის მოგონებისა თუ გახსენებისაგან განსხვავდება იმით, რომ არა მარტო სინამდვილეში არსებულ საგანთა ხატებების რეპროდუცირებას ახდენს, არამედ რაოდენობრივად თუ თვისობრივადაც ცვლის მათ. წარმოსახვის ქმედითობა უჩვეულო თავისუფლებითა და თვითნებურობით გამოირჩევა. საკმარისია გონების თვალი გადავავლოთ პოეტებისა თუ მითების მთხზველთა მიერ შექმნილ ფანტასტიკურ სახეებს, რომელთა განხილვაც გვარწმუნებს, რომ მათ არაფერი შეესაბამება სინამდვილეში. მაგრამ წარმოსახვისეული თავისუფლება უსაზღვრო და უსასრულო როდია: მას არ შეუძლია რაიმე შექმნას არაფრისაგან. რაგინდ შორსაც უნდა იდგნენ რეალობისაგან მისი ქმნილებები, მათში ყოველთვის შეიძლება აღმოვაჩინოთ ნამდვილ აღქმათა ელემენტები. ხოლო როცა ამ უკანასკნელთა ნატამალიც არსადაა, ნების ვერავითარი ძალისხმევა ვერ გამოიწვევს სულში შესაბამის ხატებას („მუსიკისათვის“, VI,32). ბრმადშობილს არავითარი წარმოდგენა არა აქვს სინათლესა და ფერებზე. ამიტომაცაა, რომ წარმოსახვას არ შეუძლია კვალდაკვალ მისდიოს განყენებულ აზრს. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ წრე რადიუსთა უსასრულო სიმრავლით, რომელნიც მხოლოდ ცენტრში იყრიან თავს. გონებას დიახაც შეუძლია უსასრულოდ გააგრძელოს სხეულის თვით უმცირეს ნაწილაკთა დაყოფა-დანაწევრება, მაგრამ წარმოსახვა მაშინვე ტოვებს მას, როგორც კი დაყოდა მზერისთვის მისაწვდომ თუ გასარჩევ ზღვარს გადალახავს („სამებისათვის“, XI,17). ამრიგად, წარმოსახვისათვის აუცილებელია მასალა, ანუ მეხსიერებაში დაცული რეალურ საგანთა ხატებანი. სამაგიეროდ მას შეუძლია სულ თავისუფლად შეცვალოს, დაჯგუფოს, დაანაწევროს, გაამრავლოს, შეკვეცოს, შეამციროს, მწყობრი წესრიგით დაალაგოს ან უწესრიგოდ არიგ-დარიოს და ერთმანეთში ალუფხოს ისინი. აიღოს ერთი ხატების ნაწილი და მეორეს მიუსადაგოს, ანდა პირიქით.

მეხსიერება დიდ როლს ასრულებს შემეცნების პროცესში. ავიღოთ ასეთი მაგალითი: სივრცეში მდებარე პატარა საგანი შეიძლება მთლიანად აღქმულ იქნეს ერთი შეხედვით, მაგრამ დიდი მოცულობის მქონე საგანი რომ მთლიანად აღვიქვათ, ნაწილ-ნაწილ უნდა დავათვალიეროთ, ან გარს შემოვუაროთ მას, რის შედეგადაც მხედველობითი აღქმა რამდენიმე თანმიმდევრულ მომენტად ნაწევრდება, რომელთაგანაც საგნის მთლიანი ხატება მხოლოდ მეხსიერების წყალობით ითხზვის, მეხსიერებისა, ყველა ამ მომენტს რომ ინახავს და ინარჩუნებს („სამებისათვის“, VIII,9).

მეხსიერების მნიშვნელობა კიდევ უფრო არსებითია სმენითი აღქმისას. მასში რომ ბგერების ნაკვალევი არა რჩებოდეს, ვერცერთ სიტყვას ვერ გავიგებდით. ეს უკანასკნელი მხოლოდ მთლიანად თუ შეიძლება იყოს ცნების ნიშანი ან ურთიერთობის საშუალება. მაგრამ ყოველი სიტყვა მარცვლებად იშლება, ხოლო მარცვლები - ბგერებად. თვით ორმარცვლიან სიტყვასაც კი ვერ აღვიქვამთ ერთდროულად, რადგანაც მისი მეორე მარცვალი მხოლოდ მაშინ ახმიანდება, როცა მიჩუმდება პირველი, ხოლო ის, რაც ერთდროულად არ ხმიანებს, ვერც სმენით აღიქმება ერთბაშად. დროის უსასრულო დაყოფადობის გამო არა მარტო მთელი სიტყვა, არამედ მისი ყოველი მარცვალიც ავსებს დროის იმ შუალედს, რომელშიაც სიტყვისა თუ მარცვლის დასაწყისი არ თანხვდება მის დასასრულს. ამიტომ ვერცერთ სიტყვას ვერ მოვისმენდით, - იმ დროს, როცა მისი დასასრული გაიხმიანებს, მეხსიერებაში რომ არ ინახებოდეს დასაწყისის კვალი, დასაწყისისა, რომელიც უკვე წარსულის კუთვნილებად იქცა („მუსიკისათვის“, VI,21).

15. დიდია ძალა მეხსიერებისა, ღმერთო ჩემო, უსაზღვროდ დიდი! ესაა წმიდა ტაძარი, უსასრულო და გონებამიუწვდომელი. ვის შეუძლია შეღწევა მასში? და მაინც, ესაა ჩემი საკუთარი გონების ძალა, ის ნიშნეულია ჩემი ბუნებისათვის, მაგრამ მე არ შემიძლია მთლიანად დავიტიო ჩემივე თავი. ნუთუ სული მეტისმეტად ვიწროა საიმისოდ, რომ თავისი თავი მოიცვას? მაშ, სადღაა ის, რასაც ვერ იტევს? ნუთუ მის გარეთაა და არა თვით მასში? კი მაგრამ, როგორც ვერ იტევს? ყოველივე ეს გამაოგნებლად მოქმედებს ჩემზე და ენითუთქმელი განცვიფრებით მავსებს.

ადამიანები განცვიფრებით უყურებენ მთის მწვერვალებს, ზღვის ბობოქარ ტალღებს, ვეება მდინარეებს, მთელი ხმელეთის გარემომცველ უსაზღვრო და უკიდეგანო ოკეანეს თუ ვარსკვლავთა წრებრუნვას ცის თაღზე, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ თავიანთი თავი. არც ის უკვირთ, რომ მე შემიძლია ვილაპარაკო ყოველივე ამის შესახებ, თუმცა თვალწინ როდი მიდგანან ისინი, მაგრამ ერთ სიტყვასაც ვერ ვიტყოდი მათზე, ამ მთებს თუ ტალღებს, ამ მდინარეებს თუ ვარსკვლავებს, რომლებიც მე თვითონ მინახავს, ან ამ ოკეანეს, რომლის უსაზღვროების ამბავიც მხოლოდ სხვებისგან მსმენია, ჩემი მეხსიერების სიღრმეში რომ არ ვხედვდე მთელი მათი სიდიადით, თანაც ისე ცხადად და მკაფიოდ, თითქმის ამ წუთში სწორედ მათ მივჩერებოდე. მაგრამ თვალებით როდი შემისრუტავს ისინი და არც თვითონვე არიან ჩემში, არამედ მხოლოდ მათი ხატებანი, და მე ვიცი, რა აღიბეჭდა, ან გრძნობის რომელი ორგანოთი აღიბეჭდა ჩემს სულში.

IX

16. მაგრამ მარტოოდენ ამას როდი შეიცავს ჩემი მეხსიერების უზარმაზარი საცავი. იქვეა თავმოყრილი ყოველივე ის, რაც თავისუფალ მეცნიერებათა შესწავლისას შემიძენია და აქამდე არ დამვიწყნია. მთელი შესწავლილი მასალა მეხსიერების რომელიღაც შორეულ კუნჭულშია დაცული, სულის სიღრმეში მიჩქმალულ ადგილას, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, ვერც კი ვუწოდებთ ადგილს. აქ მე შესწავლილ საგანთა უბრალო ხატებას კი არ ვინახავ, არამედ მათი შესწავლით შეძენილ ცოდნას. ჩემი ცოდნა გრამატიკის, დიალექტიკისა თუ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის საკითხებისა მეხსიერებაშია მოქცეული, მაგრამ არა როგორც საგნის ხატება, არამედ როგორც საკუთრივ საგანი[43]. ეს იმას როდი ჰგავს, ბგერა რომ გაიხმიანებს და გაქრება, თუმცა ყურში თავის კვალს ტოვებს, რისი წყალობითაც თითქოს კვლავ ხმიანებს იგივე ბგერა, რომელიც უკვე მიჩუმდა; ვერც სურნელს შევადარებთ ამას, ჰაერში რომ ტრიალებს და, ვიდრე განქარდებოდეს, ჩემს ყნოსვაზე ახდენს ზემოქმედებას, რის შედეგადაც თავის ხატებას უტოვებს მეხსიერებას, მოგონებისას რომ ცოცხლდება ჩვენში; არც საზრდოსა ჰყავს ეს, რომელიც კუჭში, რა თქმა უნდა, მთლიანად ჰკარგავს თავის გემოს,

[43] ესაა ე.წ. „ინტელექტუალური მეხსიერების“ შინაარსი (იხ. წინა შენიშვნა).

მაგრამ მეხსიერებაში კვლავინდებურად გემრიელია; არც რაღაც ისეთს, რაც შეიძლება შეხებით შეიგრძნო, და რისი წარმოდგენა ჩვენს მეხსიერებას მაშინაც კი შეუძლია, როცა ის შორსაა ჩვენგან. არა, ამნაირ საგნებს როდი შეუძლიათ ჩვენს მეხსიერებაში შეღწევა, რომელიც საოცარი სისწრაფით „იხელთებს“ მხოლოდ მათი ხატებებს და არანაკლებ საოცარ საცავებში ათავსებს მათ, საიდანაც ისინი უკანვე ამოიზიდებიან ასევე საოცარი მოგონების მიერ.

X

17. და მართლაც, როცა მესმის ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი კითხვა: არსებობს თუ არა ესა და ეს საგანი, რას წარმოადგენს თავისთავად და რანაირია მისი თვისება[44], - ჩემში რჩებიან მხოლოდ იმ ბგერათა ხატებანი, რომელთაგანაც შედგებიან ეს სიტყვები; ისიც ვიცი, რომ იგივე ბგერები ჰაერში გაიხმიანებენ და გაქრებია. ხოლო მათი მეშვეობით გამოხატულ აზრებს ვერც ჩემი გრძნობებით აღვიქვამდი და ვერც ვერსად ვპოვებდი, თუ არა ჩემსავ გონებაში. ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდა არა ამ აზრების ხატებანი, არამედ საკუთრივ აზრები[45].

კი მაგრამ, რა გზით შემოაღწიეს მათ ჩემში? კეთილ-ინებონ და მითხრან, თუ შეუძლიათ. გარს ვუვლი ჩემი სხეულის ყველა ბჭეს და ვრწმუნდები, რომ ვერცერთიდან ვერ შემოვიდოდნენ. თვალები ამბობენ: „თუ მათ ფერი აქვთ, მაშინ ჩვენ გაუწყეთ ისინი“. ყურები ამბობენ: „თუ ისინი ხმიანებენ, მაშინ ჩვენ ვყოფილვართ მათი მაცნენი“. ნესტოები ამბობენ: „თუ ისინი სურნელს აფრქვევენ, მაშინ ჩვენი მეშვეობით შემოუღწევიათ შენში“. გემოვნება ამბობს: „თუ მათ გემო არა აქვთ, მაშინ მე რაღას მეკითხები?“ შეხება ამბობს: „თუ ისინი უსხეულონი არიან, მათ ვერ შეეხები, ხოლო თუ ვერ შეეხები, რანაირად უნდა მეუწყებინა ისინი შენთვის?“

მაშ, საიდან, რა გზით შემოვიდნენ ჩემს მეხსიერებაში? არ ვიცი. რადგან მათი შეცნობისას სხვის მოწმობას კი არ ვნდობივარ, არამედ ჩემს საკუთარ გონებას ვენდე, და სწორად ვცანი ისინი; ამიტომაც გონებასვე გადავეცი შესანახად, რათა უკანვე გამომეხმო, როცა კი მოვისურვებდი. მაშასადამე, მათ შეცნობამდეც იქ იყვნენ, მაგრამ არა ჩემს მეხსიერებასი? მაშ, სადღა იყვნენ, ან როგორ მოხდა, რომ როგორც კი მათზე ჩამომიგდეს სიტყვა, მაშინვე ვიცანი ისინი და ვთქვი: სწორია, ასეა-მეთქი? ერთადერთი ახსნა ისაა, რომ ისინი უკვე იყვნენ ჩემე მეხსიერებაში, მაგრამ მის იდუმალ სიღრმეში დაფლულნი და მიჩქმალულნი, ასე რომ,

[44] ზოგიერთი მკლევარის ვარაუდით, ამ თანმიმდევრობით ისმებოდა კითხვები რიტორიკულ სკოლაში.
[45] იხ. აქვე, შენ. 43.

ალბათ, აზრადაც არ მომივიდოდა მათი არსებობა, თუკი ვინმე არ აღმძრავდა საიმისოდ, რომ გამომეჩხრიკა ისინი[46].

[46] აქ ნეტარი ავგუსტინე მთლიანად იზიარებს პლატონისეულ კონცეფციას თანდაყოლილი იდეებისა და ცოდნის, როგორც მოგონების შესახებ. პლატონის მიხედვით, ზოგადი ცნებები, რომლებსაც აღქმების საფუძველზე აყალიბებს ჩვენი გონება, თავიანთი არსით და გენეზისით ძირეულად განსხვავდებიან ამ აღქმებისაგან და არ გამოიყვანებიან მათგან. ეს თვალსაზრისი თანაბრად ვრცელდება როგორც დედუქციით გამოყვანილ, ისე ინდუქციის გზით მიღებულ ცნებებზედაც. და მართლაც, პლატონმა აღმოაჩინა, რომ ინდუქციის გზით ცნებების ფორმირებისას აღქმები მხოლოდ ამ ცნებათა გამომწვევი საბაბის როლს ასრულებენ და არა მათი წყაროსას; რომ აღქმები ჩამოყალიბებული და დასრულებული სახით როდი იმარხავენ ცნებათა შინაარსს, და რომ გონება დამოუკიდებლად პოულობს მას. ცნებათა ფორმირების პროცესი, პლატონის აზრით, კონკრეტულ აღქმათა დანაწევრებასა და ამ გზით მათში ზოგადის აღმოჩენას კი არ გულისხმობს, არამედ ერთდროულად, სინოპტიკურ ინტუიციას, რომელიც უშუალოდ იცხადებს იმ ზოგადს, რაც კონკრეტულ ერთეულთა სიმრავლეს აერთებს. არისტოტელესაგან განსხვავებით, რომელიც ზოგადს კონკრეტულ ერთეულთა სიმრავლეში ეძებს და ცნებათა ანალიტიკური დანაწევრების გზით პოულობს მას („მეტაფიზიკა“, I,9,990 b 6), პლატონს იგივე ზოგადი ამ სიმრავლის გარეთ გამოაქვს და სინპტიკური ინტუიციით ცდილობს მის აღმოჩენას („ფედროსი“, 265 d; „სახელმწიფო“, VII 537 d). არსებითად, ესაა ზოგადი ლოგიკური ცნებების, გვარეობითი ცნებების ჰიპოსტასირება, მათი ონტოლოგიზაცია. აქ „ეიდოსი“ „იდეაში“ გადადის, „იდეაში“ გადაიზრდება.

მაგრამ რას ნიშნავს გვარეობითი ცნებების ონტოლოგიზაცია? რას მოასწავებს „ეიდოსის“ „იდეად“ ქცევა? დავუკვირდეთ სიტყვა „იდეის“, იგივე „ეიდოსის“, ორმაგ მნიშვნელობას: მართალია, პლატონი უმეტესწილად ერთი და იგივე აზრით ხმარობს სიტყვებს „eidos“ და „idea“, („სახე“, „ხატი“; „eidos“ წარმოსდგება ზმნიდან „eido“ - „ვხედავ“, „ვჭვრეტ“, ხოლო „“ ამავე ზმნის ინფ. აორ. 2-ის ფორმიდან - „idein“), მაგრამ მათი ექვივალენტურობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ პლატონის მსოფლმხედველობის ქრონოლოგიური ევოლუციის თვალსაზრისით, პირველადი უნდა იყოს „ეიდოსი“, როგორც ლოგიკური ზოგადობის გამომხატველი გვარეობითი ცნება. თუ კვლავ წინ წამოვწევთ ამ სინონიმური სიტყვების განმასხვავებელ ნიშნებს, ჩვენ ვნახავთ, რომ „ეიდოსი“ წინასწარი აუცილებლობით გულისხმობს „იდეას“, ურომლისოდაც ის წარმოუდგენელია, მაშინ როდესაც „იდეა“ წინასარ არ გულისხმობს „ეიდოსს“. „ეიდოსი“ გვარეობითი ცნებაა, „იდეა“ კი საგნის თავისთავადი არსი. ჩვენ ვფლობთ მშვენიერების იდეას (სუბიექტური აზრით), როგორც გვარეობით ცნებას, მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს მისი საგანი - მშვენიერების იდეა (ობიექტური აზრით), „მშვენიერი თავისთავად“ („auto to kalon“), აბსტოლუტური რეალობა, ჭეშმარიტი სინამდვილის ფორმა.

და მართლაც, თუკი ცნებები იმარხავენ ისეთ ცოდნას, რომელიც, მართალია, აღქმებითაა გამოწვეული, მაგრამ აღქმებიდან როდი გამოიყვანება და არსებითად განსხვავდება მათგან, ამიტომ იდეები, რომლებიც ცნებათა ობიექტებად გვევლინებიან, ისევე რეალურად უნდა არსებობდნენ, როგორც აღქმათა ობიექტები. მეტიც, მხოლოდ ესაა თვითმყოფი სინამდვილე, მხოლოდ ესაა ჭეშმარიტი რეალობა, ვინაიდან აქ არსება (essentia) მთლიანად მოიცავს, მთლიანად ფარავს არსებობას (existentia). ასე ემიჯნება იდეალიზმი მატერიალიზმს, ასე ორდება მთელი სამყარო, ასე უპირისპირდება გრძნობად-კონკრეტულ საგანთა ხილულსა და სხეულებრივ სინამდვილეს ინტელიგიბელურ არსთა უხილავი და უსხეულმყოფელი სამყარო.

სავსებით სამართლიანად შენიშნავს ფილოსოფიის ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ვ.ვინდელბანდი: „თუ ცნების შინაარსი განსხვავებულია მისი შესატყვისი აღქმების შინაარსისაგან და მოცემული არ არის მათში, მაშასადამე, პლატონის თანახმად, ის მოცემული და აღქმული უნდა იყოს შემმეცნებელი სულის მიერ რაიმე სხვა გზით. თუ გონივრულ აზროვნებას არ შეუძლია თავისი ცნებების შინაარსის ფორმირება აღქმებისაგან, მაშასადამე, ეს შინაარსი რომელიღაც სხვა წყაროდან უნდა ეძლეოდეს მას: ცნება გამოხატავს ისეთი შინაარსის „მოგონებას“, რომელსაც სული დასაბამიდან, ე.ი. აღქმის ყოველგვარი აქტისაგან დამოუკიდებლად ფლობდა. ამ მოტივებიდან მეცნიერულად ყალიბდება პლატონის შემეცნების თეორიისათვის ყველაზე დამახასიათებელი დოქტრინა, რომლის მიხედვითაც, ცნებებით გამოხატული ყოველგვარი ცოდნა „ანამნესისია“ - მოგონებაა.

ამ ძირითადი დოქტრინის ფსიქოლოგიური ახსნის მიზნით, პლატონი იყენებს („ნადიმსა“ და, განსაკუთრებით, „ფედონში“) მსგავსებისმიერი ასოციაციის მკაფიოდ გამოხატულ კანონს. თუ ცნებათა სინოპტიკური ფორმირების დროს აღქმებს იდეამდე მივყავართ, რომელიც, თავისთავად, მოცემული არ არის მათში, ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ შემმეცნებელი ცნობიერება მის მიერ მიღებული აღქმების საფუძველზე იგონებს ამ აღქმათა მსგავს გარკვეულ ცნებას, რომელიც მათ პროტოტიპად გვევლინება. მაგრამ ამისთვის აუცილებელია, რომ ეს პირველადი ცნება მის გამომწვევ აღქმებზე ადრე არსებობდეს სულში, არსებობდეს თუნდაც გაუცნობიერებლად, როგორც ყოველივე ის, რასაც მეხსიერება იმარხავს. მაგრამ ამნაირი ფარული არსებობა შესაძლებელია - როგორც ყოველგვარი ემპირიული მოგონების დროს - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ცნება ადრე ერთხელ მაინც ყოფილა სულში ცნობიერი წარმოდგენის სახით. ამიტომ ცნებებით გამოხატული ცოდნა შესაძლებელია მხოლოდ იმის გამო, რომ იდეა შეცნობილი იყო სულის მიერ ჯერ კიდევ მანამ, სანამ სული სხეულთან შერწყმის წყალობით აღქმის უნარს შეიძენდა, და რომ ამჟამად, მსგავსებისმიერი ასოციაციის საფუძველზე, აღქმები ცნობიერებაში იწვევენ მათ მსგავს იდეას... მაშასადამე, ცნებებით გამოხატული ყოველი ცოდნა მოგონებაა, როგორც დასაბამიერი, ყოველგვარ აღქმამდე შეძენილი კუთვნილება სულისა, ის ცნობიერდება, როგორც კი იდეა მისი მსგავსი აღქმებით იქნება გამოწვეული“ (იხ. В.Виндельбанд, Платон, С-Пб., 1900; стр.78-79).

XI

18. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ შემდეგს: შეიცნო ის, რასაც ხატებათა მეშვეობით კი არ ვცნობთ, გრძნობის ორგანოები რომ გვაწვდიან, არამედ ხატებათა გარეშე, შინაგანი ჭვრეტის გზით, თავისი საკუთარი სახით რომ წარმოგვიჩენს იმას, რასაც ვჭვრეტთ, - ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ აზრით შეკრიბო და შეაგროვო ის, რაც მეხსიერებაში მიჩქმალული თუ უთავბოლოდ მიმოფანტული იყო, და ისე განალაგო, რომ ადვილი ხელმისაწვდომი შეიქნეს გონების ჩვეული ძალისხმევისთვის[47].

რამდენ ამნაირ რასმე ინახავს ჩემი მეხსიერება, უკვე ცნობილსა და, როგორც უკვე აღვნიშნე, ხელმისაწვდომს, რაზედაც შეიძლება ითქვას: „ჩვენ ეს შევისწავლეთ და ვიცითო“. თუკი მე, თუნდაც დროის ხანმოკლე შუალედებში, ერთიმეორის მიყოლებით არ გამოვიხმობ მათ, ისინი კვლავ დაინთქმებიან მეხსიერების სიღრმეში, თითქოს მას იდუმალ სენაკებში მიიყუჟენო. მაშინ მოგვიწევს გონების ქმედითობით კვლავ გამოვიხმოთ ისინი, თითქოს რაღაც ახალს მივაკვლიეთო, გამოვიხმოთ სწორედ ამ იდუმალი სენაკებიდან, - რადგანაც სხვაგან არსად არიან, - რათა კვლავ ერთად შევკრიბოთ მიმობნეულ-მიმოფანტული და, ამრიგად, შევიცნოთ ისინი. სწორედ აქედან იღებს დასაბამს სიტყვა cogitare (ფიქრი). cogo (ვკრებ) და cogito (ვფიქრობ) ისე მიემართებიან ერთმანეთს, როგორც ago (ვამოძრავებ) და agito (ვძრავ)[48], facio (ვაკეთებ) და factito (ვიქმ). გონებამ გაითავისა ეს ზმნა, როგორც უშუალოდ მისი კუთვნილი, ვინაიდან სადმე სხვაგან კი რა, მხოლოდ გონებაშ მიმდინარეობს ეს შეკრება (colligitur), ანუ თავმოყრა (cogitur), და სწორედ ეს იწოდება „მოაზრებად“ (cogitare).

XII

19. მეხსიერება შეიცავს აგრეთვე რიცხვებისა და განზომილებების ათასნაირ თანაფარდობას, მათი ურთიერთმიმართების ურიცხვ წესსა თუ კანონს, რომლებსაც ვერცერთი ხორციელი გრძნობა ვერ აღბეჭდავდა ჩვენს სულში, რადგან მათ არც ფერი აქვთ, არც სუნი, არც გემო, არც ხმიანებენ და არც ხელშესახებნი რიან. მათზე მსჯელობისას მე მესმის ბგერები, რომლებიც აღნიშნავენ იმ სიტყვებს, მსჯელობისას რომ იყენებენ, მაგრამ სხვაა ეს სიტყვები და სულ სხვა - მსჯელობის საგანი. სიტყვები სხვადასხვანაირად ჟღერენ ბერძნულად და ლათინურად, მაშინ როდესაც ამ სიტყვებით გამოხატული ცნებები დამოუკიდებელნი არიან ბერძნული, ლათინური თუ ნებისმიერი სხვა ენისაგან.

---

[47] სწორედ ესაა პლატონისეული „სინოპტიკური ინტუიცია“ (იხ. წინა შენიშვნა).

[48] მართლაც, cogo-ც და cogito-ც ერთი და იმავე ზმნისაგან - ago („ვამოძრავებ“) იღებენ დასაბამს: cogo (co+ago), cogito (co+agito: agito ე.წ. ინტენსივუმია ago-სი). შდრ. ვარონი, „ლათინური ენისათვის“ („De lingua latina“, 6,43): „cogitare“ წარმოსდგება cogendo-დან („შეკრება“, „შეგროვება“): „გონება ერთად უყრის თავს მრავალს, რის შედეგადაც არჩევის შესაძლებლობას იღებს“.

მე მინახავს ოსტატთა ხელით გავლებული ხაზები, აბლაბუდასავით წვრილი და ნატიფი, მაგრამ ჩემს სულში გავლებული ხაზები სულ სხვა ხაზებია, რომლებსაც იმათ ხატებად ვერ მივიჩნევთ, ჩემმა ხორციელმა მზერამ რომ აღმაქმევინა. მათ ისე სცნობ, რომ არავითარ სხეულს არ უკავშირებ: საკმარისია შენსავე თავს ჩაუღრმავდე, რათა საკუთარ სულში აღმოაჩინო ისინი. ხორციელი გრძნობებით მე აღვიქვამ ეგრეთწოდებულ „აღრიცხვად რიცხვებს“, მაგრამ სულ სხვანი არიან „აღმრიცხველი რიცხვები“[49], რომლებიც პირველთა ხატებებად როდი გვევლინებიან და ამიტომაც ჭეშმარიტად არსებობენ. დაე, დამცინოს, ვინც ამას ვერ ხედავს, მე კი შევიბრალებ ჩემს დამცინავს.

XIII

20. ყოველივე ამას მეხსიერებაში ვინახავ და მასშივე მაქვს დაცული, როგორ ვისწავლე ყოველივე ეს. ბევრი მცდარი მოსაზრება მსმენია ამ ჩემი აზრის საპირისპიროდ, მაგრამ მეხსიერებაში ვინახავ მათაც, თუმცარა ეჭვიც არ მეპარება მათ მცდარობაში. მე ერთმანეთისაგან გავმიჯნე და განვასხვავე სწორი და ის, რაც მცდარად უპირისპირდება სისწორეს. ესეც მახსოვს, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ერთია მათი განსხვავება და მეორე - ხსოვნა იმისა, თუ რამდენჯერ განმისხვავებია ისინი მათზე ფიქრისას. ხოლო თუ ახლაც ვფიქრობ, ვასხვავებ და მესმის, რომ ვასხვავებ, ჩემს მეხსიერებას ვანდობ ამას, რათა შემდეგ გამახსენდეს, რაც ახლა მესმის. მაშასადამე, მე მახსოვს, რომ მახსოვდა, და თუ შემდეგ გავიხსენებ, რისი გახსენებაც დღეს შევძელი, რა თქმა უნდა, ჩემს მეხსიერებას უნდა ვუმადლოდე ამას.

XIV

21. ივივე მეხსიერება ინახავს ჩემს სულიერ მდგომარეობებსაც, მაგრამ არა იმ სახით, რა სახითაც განუცდია ოდესღაც სულს, არამედ ძალზე განსხვავებულად, რაც მეხსიერების ძალაზეა დამოკიდებული.

ვთქვათ, გამახსენდა, რომ ოდესღაც მიხაროდა, მაგრამ ამ გახსენებისას უკვე აღარ განვიცდი სიხარულს; ასე, მწუხარების გარეშე ვიხსენებ გარდასულ მწუხარებასაცლ არც შიშს განვიცდი, როცა მახსენდება, თუ როგორ ვძრწოდი ოდესღაც, და აღარც ვნება მამღვრევს გარდასული ვნების გახსენებისას. ზოგჯერ კი პირიქითაც ხდება: გარდასულ მწუხარებას სიხარულით ვიგონებ, სიხარულის გახსენებაზე კი მწუხარება მეუფლება[50].

---

[49] პლატონისა და ნეოპლატონიკოსების კვალდაკვალ, ნეტარი ავგუსტინე განასხვავებს რიცხვთა ორ სახეს: „numeri numerati“ („აღრიცხვადი“, ან „აღრიცხული რიცხვები“), თვლისა თუ ანგარიშისას რომ გამოიყენებიან და „numeri numerantes“ („აღმრიცხველი რიცხვები“) - ყოველგვარი საგნობრიობისაგან განყენებული ინტელიგიბილური რიცხვები.

[50] იხ. აქვე, შენ. 46.

საქმე რომ სხეულს ეხებოდეს, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ სული ხომ სხვაა და სხეული - სულ სხვა. თუ მხიარულად ვიხსენებ გარდასულ ხორციელ ტკივილს, ეს არც ისე საკვირველია, მაგრამ მეხსიერება ხომ გონებაა და სული. როცა რაიმეს ვავალებთ ვინმეს და გვინდა, რომ ჩვენი დავალება არ დაავიწყდეს, ამ სიტვებით ვაფრთხილებთ მას: „აბა, შენ იცი, კარგად ჩაიბეჭდე გონებაშიო“. დავიწყებისას კი ვამბობთ: „სულ აღარ მომგონებია“, ან „გონებიდან ამომივარდაო“. მაშასადამე, მეხსიერებას სულსა თუ გონებას ვუკავშირებთ.

ხოლო თუ მართლა ასეა, რას ნიშნავს ეს? როცა სიხარულით ვიხსენებ გარდასულ მწუხარებას, ჩემს სულში სიხარული ცოცხლობს, მეხსიერებაში კი წუხილი? თუ ჩემი სული მხიარულია, - ეს იმიტომ რომ სიხარულითაა სავსე, მეხსიერება კი სულაც არ წუხს იმის გამო, რომ მწუხარებას მოუცავს? თუ მეხსიერება დამოუკიდებელია სულისაგან? ვინ იცის?

არა, მეხსიერება თითქოს სტომაქია სულისა, ხოლო სიხარული და მწუხარება - ტკბილი თუ მწარე საჭმელი; როცა მეხსიერებას გადავცემთ მათ, თითქოს სტომაქში გადავუძახეთო, ისინი დიდხანს ინახებიან იქ, მაგრამ გემოს კი ვეღარ ინარჩუნებენ.

ეს შედარება შეიძლება სასაცილოდაც არ გეყოთ, მაგრამ ერთგვარი მსგავსება აქ უთუოდ არის.

22. და, აი, ჩემი მეხსიერებიდან გამომყავს დასკვნა, რომლის თანახმადაც არსებობს სული ამმღვრევი ოთხი ვნება: სურვილი, სიხარული, შიში, მწუხარება[51]. მთელ ჩემს მსჯელობას მათ შესახებ, როცა თვითეულს მის საკუთარ სახეებად ვყოფ, ან გვარის მიხედვით განვსაზღვრავ, ჩემს მეხსიერებაში ვპოულობ და იქიდანვე გამომყავს ყველაფერი, რასაც აქ ვამბობ. და მაინც, სულის ამმღვრევი ამ ოთხი ვნებიდან ვერცერთი ვერ ამამღვრევს მათი გახსენებისას. ვიდრე მათ გავიხსენებდი, ისინი უკვე იყვნენ ჩემი მეხსიერების სიღრმეში, და სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი გახსენებით გამომეხმო ისინი.

შესაძლოა, როგორც ცოხნისას ამოიზიდება საზრდო პირუტყვის ფაშვიდან, გახსენებაც ასევე გამოიხმობს ამ გრძნობებს მეხსიერებიდან. კი მაგრამ, ვინც მათზე მსჯელობს, ესე იგი, იხსენებს მათ, რატომღა ვერ გრძნობს ვერც სიხარულის სიტკბოს და ვერც მწუხარების სიმწარეს? იქნებ ეს ორი რამ სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ მათ შორის გამორიცხულია სრული მსგავსება? ვინ ჩამოაგდებდა თავისი ნებით სიტყვას მათზე, თუკი შიშისა და მწუხარების ყოველ ხსენებაზე ეს განცდები ხელახლა დაეუფლებოდნენ მას?

და მაინც, ჩვენ ვერ შევძლებდით გველაპარაკა მათზე, თუკი მეხსიერებაში ვერ ვპოვებდით არა მარტო იმ სახელწოდებებს, ხორციელი გრძნობების მეშვეობით ჩვენს სულში აღბეჭდილ ხატებებს რომ შეესაბამებიან, არამედ თვით იმ საგანთა ცნებებსაც, რომელნიც ვერანაირი ხორციელი ბჭით ვერ შემოაღწევდნენ ჩვენში: სულმა პირადი ცდით შეიცნო თავისი

[51] სულის ამმღვრევ ვნებათა ეს ნუსხა სტოელებისაგან იღებს დასაბამს. ის გვხვდება ციცერონთანაც - „ტუსკულუმური საუბრები“ (4,6,11).

საკუთარი ვნებანი და ამის შედეგად ჩამოყალიბებული ცნებები გადასცა მეხსიერებას, ან იქნებ ისინი ყოველგვარი გადაცემის გარეშეც აღიბეჭდნენ მასში.

XV

23. ხატებათა მეშვეობით თუ მათ გარეშე? ვინ იცის?!

მე წარმოვთქვამ ქვისა თუ მზის სახელს, თუმცაღა არც ერთია ჩემს წიანშე და არც მეორე, მაგრამ მათი ხატებანი, რა თქმა უნდა, აქაა, ჩემს მეხსიერებაში. მე ვასახელებ ხორციელ სნეულებას, თუმცა სნეული არა ვარ: არაფერი არ მტკივა. მაგრამ სნეულების ხატება რომ არ იყოს ჩემს მეხსიერებაში, არ მეცოდინებოდა, რა მეთქვა, და ვერ შევძლებდი მსჯელობისას ზღვარი გამევლო ტკივილსა და შვებას შორის. მე ვლაპარაკობ ჯანმრთელობაზე, და თვითონაც ჯანმრთელი ვარ; ეს ჩემი თვისებაა, მაგრამ მისი ხატება რომ არ ყოფილიყო ჩემს მეხსიერებაში, ვერასდიდებით ვერ გავიხსენებდი, რას ნიშნავს ეს სახელწოდება. არც სნეულებს ეცოდინებოდათ, რას ნიშნავს სიტყვა „ჯანმრთელობა“, მეხსიერებაში რომ არ ჰქონდეთ მისი ხატება, თუმცაღა თვით ჯანმრთელობა უცხოა მათთვის.

მე ვასახელებ იმ რიცხვებს, რომელთა მეშვეობითაც ვანგარიშობთ, და ისინი ჩემს მეხსიერებაში არიან: მათი ხატებანი კი არა, არამედ თვითონ რიცხვები. მე ვასახელებ მზის ხატებას, და ისიც ჩემს მეხსიერებაშია: არა ხატების ხატება, არამედ თვითონ ხატება, რომელიც წარმომიჩნდება მისი ხსენებისას. „მეხსიერებაო“ - ვამბობ, და ვიცი, რასაც ვამბობ. კი მაგრამ, სად შეიძლება რაიმე მსგავსი გამეგო მასზე, თუ არა თვით მეხსიერების წიაღში? ნუთუ ისიც ხატების მეშვეობით აღიქვამს თავის თავს, და არა უშუალოდ?

XVI

24. ან კიდევ, როცა ვამბობ „დავიწყებაო“[52], და ვიცი, რასაც ვამბობ, საიდან მეცოდინებოდა, თუკი არ მეხსომებოდა იგი? მე ხომ თვით ამ სახელწოდებას კი არ ვგულისხმობ, არამედ მის შინაარსს. რომ დამვიწყნოდა, ვერც მის შინაარსს გავიხსენებდი. როდესაც მეხსიერებას ვიხსენებ, თვით მეხსიერების მეოხებით წარმომიჩნდება მეხსიერება, მაგრამ როცა დავიწყება მახსენდება, ორივე თავის ადგილზეა: მეხსიერებაც და დავიწყებაც: მეხსიერება, რომლის მეშვეობითაც ვიხსნეებ, და დავიწყება, რომელიც მახსენდება. მაშ, რა არის დავიწყება, თუ არა მახსოვრობის დაკარგვა? მაშ, როგორღა ვიხსენებ იმას, რისი არსებობაც ჩემს სულში საერთოდ ხელს უშლის გახსენებას? მაგრამ თუ ჩვენ მეხსიერებაში ვინახავთ იმას, რასაც ვიხსენებთ, ამიტომ დავიწყება რომ არ გვახსოვდეს, ამ სიტყვის გამოგონებისას ვერასდიდებით ვერ შევძლებდი მისი მნიშვნელობის გაგებას. მაშასადამე,

[52] დავიწყების შესახებ იხ. შენ. 46.

დავიწყებასაც მეხსიერება ინახავს: მისი არსებობა აუცილებელია საიმისოდ, რომ არ დაგვავიწყდეს, მაგრამ სწორედ ეს არსებობაა დავიწყების მიზეზი.

ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ საკუთრივ დავიწყება კი არაა მეხსიერებაში, არამედ მისი ხატება, როდესაც მასვე ვიხსენებთ? რადგანაც თვითონ რომ იყოს იქ, გახსენების მიზეზი კი არ იქნებოდა, არამედ დავიწყებისა.

ვინ ჩასწვდება ამ საიდუმლოს? ვინ აგვიხსნის, რანაირად ხდება ეს?

25. დიახ, უფალო, მე ამისთვის და, მაშასადამე, ჩემივე თავისთვისაც ვიღწვი: თვითონვე ვიქეც საკუთარი თავისთვის მიწად, ქანცგამწყვეტ შრომასა და გამუდმებულ ოფლის ღვრას რომ მოითხოვს[53]. რადგან ჩვენ ახლა ციურ სივრცეთა უსასრულობას როდი ვიკვლევთ, არც ვარსკვლავთა შორის მანძილსა ვზომავთ და არც იმას ვკითხულობთ, თუ რა განაპირობებს დედამიწის წონასწორობას: მე ვარ, ჩემსავე თავს რომ ვიხსენებ, მე, ანუ სული. რა გასაკვირია, რომ ჩემგან შორსაა ის, რაც ჩემს გარეთაა, მაგრამ რა არის ჩემთან ჩემს თავზე უფრო ახლოს? და, აი, მე არ მესმის ჩემი მეხსიერების ძალა, თუმცა მის გარეშე საკუთარი სახელის წარმოთქმასაც ვერ შევძლებდი. რა მეთქმის, თუკი დარწმუნებული ვარ, რომ ჩემივე მავიწყობა მახსოვს? ნუთუ ვიტყვი, რომ ჩემს მეხსიერებაში არ არის ის, რაც მახსოვს? ან იქნებ დავიჩემებ, რომ მავიწყობა ჩემს მეხსიერებაშია, რათა დამავიწყდეს? ყოვლად უაზროა როგორც ერთი, ისე მეორე ვარაუდი.

კი მაგრამ, არსებობს მესამენაირი ახსნა? თუ შემიძლია ვთქვა, რომ დავიწყების გახსენებისას თვით დავიწყებას კი არა, მხოლოდ მის ხატებას ინარჩუნებს ჩემი მეხსიერება? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ყოველთვის, როცა რაღაცი ხატება აღიბეჭდება მეხსიერებაში, ამ „რაღაცას“ მანამდე უნდა ეარსება იქ, ვიდრე მისი ხატება აღიბეჭდებოდა? ასე მაგალითად, მე მახსოვს კართაგენი, მახსოვს მისი ყოველი კუთხე-კუნჭული, სადაც კი ოდესმე ვყოფილვარ; მახსოვს იმ ხალხის სახე, ვისაც ვიცნობდი; მახსოვს ყველაფერი, რასაც მაუწყებდნენ ჩემი გრძნობები; მახსოვს ჩემი ჯანმრთელობა თუ ტკივილი. კართაგენში ჩემი ყოფნისას აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში მათი ხატებანი, რომელნიც შემიძლია ჩემი ნება-სურვიილთ გამოვიხმო (ისინი ხომ ყოველთვის ჩემთან არიან), რათა მათი მეშვეობით კვლავ თვალწინ დამიდგეს ყოველივე ის, რასაც ოდესღაც პირისპირ ვჭვრეტდი.

მაშასადამე, თუ მეხსიერება საკუთრივ დავიწყებას კი არ ინარჩუნებს, არამედ მხოლოდ მის ხატებას, ამ უკანასკნელის „მოსახელთებლად“ ის უთუოდ უნდა არსებობდეს ჩემს სულში. ხოლო თუ არსებობს, რანაირადღა შესძლო ჩემს მეხსიერებაში აღებეჭდა თავისი ხატება? რადგან თვით იმასაც კი, რაც უკვე აღბეჭდილია მეხსიერებაში, უკვალოდ შლის დავიწყების არსებობა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს სრულიად გაუგებარია და

[53] ნართაულად იგულისხმება „დაბადების“ ერთი პასაჟი - III, 17-19.

გონებამიუწვდომელი, დაბეჯითებით ვიცი, რომ ვიხსენებ თვთ დავიწყებას, რომელიც ასამარებს ყველაფერს, რაც კი გვახსოვს.

XVII

26. დიდია მეხსიერების ძალა; არ ვიცი, უფალო, მაგრამ რაღაცნაირად შიშის მომგვრელი კია მისი სიღრმე და უსასრულო მრავალფეროვნება. და ესაა ჩემი სული, ესა ვარ მე თვითონ. კი მაგრამ, ვინა ვარ, ღმერთო ჩემო? რანაირია ჩემი ბუნება? უთვალავ ფერად მოცემული, მრავალსახოვანი სიცოცხლე, გამაოგნებელი და განუზომელი.

აჰა, ჩემი მეხსიერების თვალუწვდენეი ველ-მინდვრები, ურიცხვი მღვიმეები და უკიდეგანო ხეობები, უსასრულო მრავალფეროვნებით სავსენი: აჰა, ათასნაირ სხეულთა ხატებანი; აჰა, ხელოვნებათა თუ მეცნიერებათა გასაოცარი სიმრავლე; აჰა, აურაცხელი ნიშნები თუ მინიშნებები, - სულიერ მდგომარეობათა აღნაბეჭდები, რომელთაც უკვე აღარ განიცდის სული, მაგრამ მათ ნაკვალევს მეხსიერება ინახავს, რადგანაც სულში არა არის რა ისეთი, მეხსიერებაში რომ არ იყოს. ყოველივე ამას დავივლი, მთელ ამ მრავალფეროვნებას შემოვირბენ და, შეძლებისდაგვარად, უღრმეს მღვიმეებშიც შევაღწევ, მაგრამ არსად არა ჩანს ზღვარი; ასეთია მეხსიერების ძალმოსილება, ასეთია სასიცოცხლო ძალაც კაცისა, მხოლოდ სიკვდილისთვის რომ ცოცხლობს.

მაშ, რა ვქნა, ღმერთო ჩემო, ჭეშმარიტო სიცოცხლევ ჩემო? უკან მოვიტოვებ ამ ჩემს ძალას, მეხსიერება რომ ჰქვია, უკან მოვიტოვებ მას, რათა ვისწრაფო შენსკენ, უტკბესო ნათელო ჩემო. მაინც რას მეტყვი? აჰა, ვეცდები ავმაღლდე და მოგწვდე სულით, - შენი სამკვიდრო ხომ ჩემს ზემოთაა; - თავს მოვევლები ამ ძალას, მეხსიერება რომ ჰქვია სახელად, რათა მოგეახლო იქ, სადაც შეიძლება მოგეახლონ, და დაგეწაფო იქ, სადაც შეიძლება შენი დაწაფება. მეხსიერება ცხოველებსაც აქვთ და ფრინველებსაც, თორემ ვერც თავიანთ ბუნაგებს მიაგნებდნენ, ვერც ბუდეებს და ვერც სხვა რამეს, რაც ჩვეულია მათთვის, ჩვეულებას კი მხოლოდ მეხსიერების წყალობით იძენენ. უკან მოვიტოვებ ჩემს მეხსიერებას, რათა მოგეახლო შენ, ვინც ოთხფეხთაგან გამაცალკევე და ცის ფრინველებზე მეტი სიბრძნე მომეცი. უკან მოვიტოვებ ჩემს მეხსიერებას, რათა მოგაკვლიო შენ. კი მაგრამ, სად? ჭეშმარიტად კეთილო, ჩემო შვებავ და სასოებავ, მაინც სად გპოვო? თუ ჩემს მეხსიერებაში ვერ გიპოვე, მაშასადამე, არ მხსომებიხარ. მაგრამ როგორღა გიპოვო, თუ არ მახსოვხარ?

XVIII

27. ქალმა დაკარგა დრაქმა და სანთლით დაუწყო ძებნა[54]; რომ არ ხსომებოდა, ვერ იპოვიდა. ანკი როგორ მიხვდებოდა, როცა იპოვა, რომ ეს სწორედ მისი დრაქმაა, თუკი საერთოდ აღარ ეხსომებოდა? მახსოვს, როგორ ვეძებდი და ვპოულობდი დაკარგულ ნივთებს. ძებნისას მეკითხებოდნენ, ეს ხომ არაა, ან ისო? არა-მეთქი, ვამბობდი მანამ, სანამ სწორედ იმ ნივთს არ მაჩვენებდნენ, მე რომ დავკარგე. რომ არ მხსომებოდა, ვერ ვიპოვიდი, ვინაიდან, კიდევაც რომ ეჩვენებინათ, მაინც ვერ ვიცნობდი მას. ასეა ყოველთვის, როცა ვეძებთ და ვპოულობთ კიდეც დანაკარგს. თუ რომელიმე საგანი თვალთახედვის არიდან გაქრა, მაგრამ არა მეხსიერებიდან (მე ვგულისხმობ ნებისმიერ ხილულსა და ნივთიერ საგანს), ჩვენს ხსოვნაში მაინც რჩება მისი ხატება, და მანამდე ვეძებთ მას, სანამ ჩვენს მზერას ხელახლა არ წარმოუჩნდება. ნაპოვნი იმ ხატებით იცნობა, რომელიც ჩარჩა ჩვენს სულში. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დაკარგული ვიპოვეთ, თუკი ვერ ვიცანით იგი, ცნობი კი ნამდვილად ვერ ვიცნობთ, თუ აღარ გვახსოვს. რაც თვალისთვი გაუჩინარდა, მეხსიერებამ შემოინახა.

XIX

28. კი მაგრამ, როცა თვით მეხსიერება კარგავს რაიმეს, ანუ როცა გვავიწყდება რაღაცა და მის გახსენებას ვცდილობთ, მაშინ სად ვეძებთ დანაკარგს, თუ არა თვით მეხსიერებაში? და თუ ეს უკანასკნელი რაღაც სხვას გვიჩვენებს, დაუყოვნებლივ უკუვაგდებთ მას, ვიდრე არ წარმოგვიჩნდება სწორედ ის, რასაც ვეძებთ; ხოლო როგორც კი წარმოგვიჩნდება, ჩვენ ვამბობთ: „აი, ეს არის!“ მაგრამ ამას არ ვიტყოდით, რომ არ გვეცნო ის, რასაც ვეძებდით, და ვერ ვიცნობდით, რომ არ გვხსომებოდა. მართალია, დაგვავიწყდა, მაგრამ განა მთლიანად ამოგვივარდა მეხსიერებიდან? არა, ნაწილობრივ მაინც ჩარჩა შიგ, და ამ ნაწილმა შეიძლებ გვაპოვნინოს მთელი. მეხსიერება ხომ თვითონვე გრძნობს, რომ აღარ შეუძლია მთლიანი სახით წარმოგვიჩინოს ის, რასაც, ჩვეულებრივ, მთლიანად გადმოგვიშლიდა, ასე რომ ჩვეულებამოშილი და თითქოს ფრთაშეკვეცილი უმწეოდ ფრთხიალებს და, რაღა თქმა უნდა, ცდილობს კვლავინდებურად გაშალოს ფრთა და ლაღარ გაინავარდოს.

როდესაც ნაცნობს ვხედავთ, ან მასზე ვფიქრობთ, და ვცდილობთ გავიხსენოთ მისი სახელი, რომელიც დაგვავიწყნია, მაშინ ნებისმიერი სახელი, პირველად რომ მოგვივა თავში, როდი დაუკავშირდება ამ ადამიანს, რადგანაც ჩვენს სულს ჩვევად არ ჰქონდა, აზრით გაეერთიანებინა ისინი. უკუგდებულ იქნება ყველა სახელი, გარდა იმ ერთისა, რომელზედაც, ბოლოს და ბოლოს, შეჩერდება დამცხრალი და დაშოშმინებული მეხსიერება. კი მაგრამ, სად იყო ეს სახელი, თუ არა ჩვენსავე მეხსიერებაში? თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ვიღაცის

[54] იხ. ლუკა, XV, 8.

დახმარებით ვიხსენებთ მას, ის მაინც იქ იყო. რადგან ის ჩვენთვის რაღაც ახალი კი არ არის, რაც სხვისი სიტყვით უნდა ვირწმუნოთ, არამედ ჩვენი მეხსიერება გვიდასტურებს, რომ სწორედ ესაა, რასაც ვეძებდით. ხოლო თუ ის პირწმინდად ამოიშალა ჩვენი მეხსიერებიდან, ვერავითარი შეხსენება ვეღარ გვიშველის. მაგრამ დავიწყება მაინც არ არის სრული: ის მაინც გვახსოვს, რომ დაგვავიწყდა. ვინ დაუწყებდა ძებნას დაკარგულ ნივთს, მისი დაკარგვის ამბავიც რომ დავიწყნოდა?[55]

XX

29. როგორღა გეძებო, უფალო? როცა შენ გეძებ, ღმერთო ჩემო, ბედნიერ ცხოვრებას ვეძებ. არ მოვეშვები შენს ძებნას, რათა ცოცხლობდეს ჩემი სული! ჩემი სული აცოცხლებს სხეულს, ხოლო ჩემს სულს აცოცხლებ შენ. როგორღა ვეძებო ბედნიერი ცხოვრება? ვერ ვეღირსები, ვიდრე არ ვიტყვი: „კმარა; აი, ისიც!“ მაშინ კი უნდა ვთქვა, როგორ ვეძებდი: მოგონებით, თითქოს დამვიწყნოდეს, მაგრამ ის კი მახსოვდეს, რომ დამავიწყდა? თუ სრულიად უცნობი ცხოვრებისკენ სწრაფვის სურვილით, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდი, ანდა ისე დამავიწყდა, რომ აღარც კი მახსოვს, თუ დამავწყდა? კი მაგრამ, განა ყველას არ სურს ბედნიერი ცხოვრება? თუ მოიძებნება თუნდაც ერთი კაცი, რომელსაც არ სურდეს ეს? მერედა, საიდან გაიგეს, რომ არსებობს ამნაირი ცხოვრება, რაკიღა ასე ძალიან სურთ? ან სად უნახავთ, რომ ასე შეუყვარდათ? არ ვიცი, მაგრამ გარკვეულწილად ჩვენ უკვე ბედნიერები ვართ, თუმცა გააჩნია, ვისთვის რა არის ბედნიერება: ერთი ბედნიერია, როცა უკვე ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობს, მეორისთვის კი საკმარისია იმედიც - ოდესმე მაინც ვიქნები ბედნიერიო, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებ ბედნიერია, ვიდრე პირველი, მაგრამ მისი ყოფა მაინც სჯობს იმისას, ვისაც არც ერთი აქვს და არც მეორე - არც ბედნიერი ცხოვრება და არც ბედნიერი მომავლის იმედი. და მაინც, თვით ამ იმედგადაწყვეტილთაც კი ასე თუ ისე რომ არ სცოდნოდათ, რა არის ბედნიერება, მაშინ მათთვის სრულიად უცხო იქნებოდა ბედნიერების დაუოკებელი სურვილი, უშრეტი ძალით რომ ღვივის მათ გულში, რაშიაც შეუძებელია ეჭვის შეტანა. არ ვიცი, რანაირად გაიგეს, რა არის ბედნიერება, ან რა წარმოდგენა აქვთ მასზე. მეც ამ კითხვაზე ვიმტვრევ თავს: თუ ეს წარმოდგენა მოგონების წყალობით შეექმნათ, მაშინ ოდესღაც ყველანი ბედნიერები ვყოფილვართ: ან თვითეული ცალ-ცალკე, ან ყველანი ერთად იმ კაცში, რომელმაც პირველად სცოდა, რომელშიაც ყველანი მოვკვდით[56] და რომლისგანაც ყველანი ვიშვით მწუხარებით; თუმცა ამას კი არ ვიძიებ, არამედ მინდა ვიკითხო: ხომ არ ცოცხლობს ბედნიერი ცხოვრების მოგონება ჩვენს მეხსიერებაში?[57] არავითარი წარმოდგენა რომ არა გვქონოდა მასზე, მაშინ არც გვეყვარებოდა. საკმარისია ყური მოვკრათ ამ სიტყვებს - „ბედნიერი ცხოვრებაო“, და მაშინვე

[55] იხ. აქვე, შენ. 46.
[56] იგულისხმება ადამი. შდრ. I კორ. XV, 22.
[57] შდრ. ბლეზ პასკალის ზემოთ უკვე ციტირებული სიტყვები: იხ. მეცხრე წიგნის შენ. 8.

ვაღიარებთ, რომ სწორედ ესაა, რასაც ვესწრაფვით. რა თქმა უნდა, ამ სიტყვების ხმოვანება როდი გვანიჭებს სიამოვნებას. თუკი მათ ლათინურად მოისმენს ბერძენი, ისინი ვერანაირ სიამოვნებას ვერ მიანიჭებენ მას, რადგანაც ვერ გაიგებს მათ მნიშვნელობას, ჩვენ კი დიახაც მოგვანიჭებენ, ისევე, როგორც ბერძენსაც, თუ მათ ბერძნულად მოისმენს: ბედნიერი ცხოვრება არც საბერძნეთთანაა დაკავშირებული და არც რომთან, მაგრამ მას ხარბად მიელტვიან ბერძნებით, რომაელნიც და უცხოელებიც, სხვადასხვა ენებზე რომ მეტყევლებენ. მაშასადამე, ბედნიერება ცნობილია ყველა ხალხისთვის და ერთდროულად რომ გვეკითხა მათთვის, გსურთ თუ არა ბედნიერები იყოთო, ყველანი ერთხმად გვიპასუხებდნენ, ცხადია, გვსურსო. მაგრამ პასუხი ასე ერთსულოვანი არ იქნებოდა, ყველას რომ არ შემორჩენოდა იმისი ხსოვნა, თუ რას ნიშნავს „ბედნიერება“.

XXI

30. მაგრამ განა ეს ხსოვნა იგივეა, რაც ხსოვნა კართაგენისა, რომელიც თვითონ მინახავს? არა, ბედნიერებას თვალით ვერ დაინახავ, რადგან ის სხეული როდია.

მაშ, იქნებ იგივე ხსოვნაა, რა ხსოვნითაც გვახსოვს რიცხვები? არა, რიცხვების მცოდნე არ მიელტვის მათ ფლობას. ჩვენ კი, ვინც ვიცით, რა არის ბედნიერი ცხოვრება და ამიტომაც გვიყვარს იგი, იმავდროულად ისიც გვსურს, რომ ვეუფლოთ მას და ამრიგად ვეზიაროთ ბედნიერებას.

ან იქნებ ისე გვახსოვს იგი, როგორც მჭევრმეტყველება? არა, არც ასე, თუმცა ამ სიტყვის გახსენებისას თვით იმათაც კი ახსენდებათ რას ნიშნავს მჭევრმეტყველება, ვისთვისაც მჭევრმეტყველების ნიჭი არ მიუცია ღმერთს, და მაინც, ვინ მოსთვლის, რამდენს სურს დეუფლოს მჭევრმეტყველების ხელოვნებას, რაც თვალნათლივ მოწმობს, რომ გარკვეული წარმოდგენა აქვთ მასზე: ხორციელ გრძნობათა მეშვეობით გაიცნეს მჭევრმეტყველნი, მოიხიბლნენ მათი ხელოვნებით და თვითონაც მოინდომეს მათსავით ენამჭევრნი გამხდარიყვნენ. ისინი ვერ მიიღებდნენ ვერავითარ სიამოვნებას, საერთოდ რომ არ სცოდნოდათ, რა არის მჭევრმეტყველება, და არც იმას ისურვებდნენ, ნეტავი მჭევრმეტყველების ნიჭი მოგვცაო, არავითარი სიამოვნება რომ არ მიეღოთ ენამჭევრთაგან. ცხადია, მათი სურვილი ერთგვარი შინაგანი ცდისა და ცოდნისაგან იღებს დასაბამს. მაგრამ რა არის ბედნიერი ცხოვრება, ამას ვერცერთი ხორციელი გრძნობა ვერ გვაუწყებს.

იქნებ ეს ისეთივე ხსოვნაა, როგორც ვიხსენებთ სიხარულს? ალბათ ასეა, რადგან ოდინდელ სიხარულს მაშინაც კი ვიხსენებ ხოლმე, როცა მწუხარე ვარ, ისევე, როგორც შავ დღეში მყოფს მახსენდება ბედნიერება. ეს ჩემი სიხარული არასოდეს აღმიქვამს ამა თუ იმ ხორციელი გრძნობით: არც მინახავს, არც მსმენია, არც გემო გამისინჯავს, არც ყნოსვითა თუ შეხებით შემიგრძვნია. ჩემივე სულით განვიცადე იგი, როცა მიხაროდა, ხოლო შემდეგ

მეხსიერებაში აღიბეჭდა იგივე განცდა. ასე რომ, მე შემიძლია კვლავ გავიხსენო ოდინდელი სიხარული, ხან ზიზღით და ხან სინანულით, იმის მიხედვით, თუ რა მიხაროდა ოდესღაც. რადგან ზოგჯერ უღირსი საქმის გამოც ავუტაცნივარ სიხარულს, რაც დღეს არ შემიძლია ზიზღის გარეშე გავიხსენო, ზოგჯერ კი სიკეთის გამო შევუპყრივარ იმავე გრძნობას, რასაც სინანულით ვიხსენებ დღეს, რაკიღა წარსულში დარჩა: აი, რა მამწუხრებს ხოლმე გარდასული სიხარულის გახსენებისას.

31. კი მაგრამ, სად და როდის შევიცან ბედნიერება, რათა ამჟამადაც მახსოვდეს, მიყვარდეს და მსურდეს? და არა მარტო მე, ან რამდენიმემ, არამედ უკლებლივ ყველამ, რაკიღა ყველას სურს ბედნიერი იყოს. დაბეჯითებით რომ არ ვიცოდეთ, რა არის ბედნიერება, ასე დაბეჯითებითაც აღარ ვინატრებდით. მაინც რა არის ეს? ორ კაცს რომ ვკითხოთ, ჯარისკაცობა თუ გსურთო, ერთმა შეიძლება დადებითად გვიპასუხოს, მეორემ კი „არაო“ გვითხრას. მაგრამ კითხვა რომ შევუბრუნოთ, ბედნიერება თუ გსურთო, ორივე ერთხმად მოგვიგებს, რა თქმა უნდაო. ერთ მათგანს სწორედ ბედნიერების გულისთვის სურს ჯარისკაცობა და მეორეც სწორედ ამიტომ აცხადებს უარს. იქნებ იმიტომ, რომ ზოგს ერთი რამე ანიჭებს სიხარულს, ზოგს კი - სულ სხვა რამ. მაგრამ ერთნიც და მეორენიც უყოყმანოდ აღიარებენ, რომ ყველას სურს ბედნიერი იყოს, და თუ ჰკითხავ, რა არის საერთო მათ შორის, ერთხმად გიპასუხებენ - რა და, ის, რომ ყველას სიხარული გვსურსო, დ სწორედ ამ სიხარულს უწოდებენ ისინი ბედნიერებას. თუმცა ზოგი რას მიელტვის და ზოგი - რას, მაგრამ მიზანი ყველას ერთი აქვს: სიხარული. მაგრამ რაკი პირადი ცდის გარეშე არავინ იცის, რა არის ეს, ამიტომ როცა გვესმის სიტყვა „ბედნიერება“, მხოლოდ ჩვენს მეხსიერებაში ვპოულობთ მის შინაარსს.

XXII

32. შორს ჩემგან, შორს შენი მსახურის გულიდან, აღსარებას რომ გეუბნება, უფალო, დიახ, შორს იყოს აზრი, თითქოს შეიძლება ბედნიერად ვსახავდე თავს, მიუხედავად იმისა, თუ რანაირი სიხარულით ვხარობ! რადგანაც არსებობს სიხარული, რომელსაც ვერ ეღირსება უკეთური[58], არამედ მხოლოდ ის, ვინც უანგაროდ გცემს თაყვანს: მისი სიხარული შენა ხარ თვითონ. რა არის ბედნიერება, თუ არა ის, რომ შენით, შენს გამო და შენთვის ხარობდე? მხოლოდ ამას თუ ეთქმის ჭეშმარიტი ბედნიერება, მხოლოდ ამას. ვისაც სხვა რამე ჰგონია ბედნიერება, სულ სხვა სიხარულს მიელტვის და არა ჭეშმარიტს. მაგრამ მასაც თავისებური წარმოდგენა აქვს სიხარულზე, რომელსაც გამუდმებით ესწრაფის მისი ნება.

[58] შდრ. ესაია, XLVIII, 22: „არ არის მშვიდობა, ამბობს უფალი, ბოროტეულთათვის“.

XXIII

33. მაშასადამე, ვერ ვიტყვით, რომ ყველას სურს ბედნიერი იყოს, რადგანაც იმას, ვისაც არ სურს ხარობდეს შენში (ხოლო ესაა ჭეშმარიტი ბედნიერება), როგორც ჩანს, არ სურს ბედნიერი ცხოვრება. თუ ყველას სწყურია ეს, მაგრამ „ხორცს სულის საპირისპიროდ სურს, და სულს - ხორცის საპირისპიროდ, რათა ვერ იქმოდნენ იმას, რაც სურთ?“[59] ამიტომაც ინთქმებიან იმაში, რაც შეუძლიათ და ამას სჯერდებიან, რადგანაც არა სურთ ის, რაც არ შეუძლიათ, არა სურთ ისე ძალუმად, რომ ძალა მოიცენ.

მე რომ ავდგე და ყველას ვკითხო, რა გირჩევნიათ განიჭებდეთ სიხარულს - ჭეშმარიტება თუ სიცრუე-მეთქი, ყველანი უყოყმანოდ მიპასუხებენ - ჭეშმარიტებაო, ისევე, როგორც უყოყმანოდ მომიგებენ, რომ ბედნიერება სურთ. მაგრამ ბედნიერება ხომ ჭეშმარიტება, ანუ შენს მიერ მონიჭებული სიხარულია, უფალო, რადგანაც „შენა ხარ ჭეშმარიტება, სინათლე ჩემი, ხსნა ჩემი სახისა, ღმერთი ჩემი“[60]. დიახ, ყველა სურს ეს ბედნიერება, ეს ბედნიერი ცხოვრება, რომელსაც ერთდერთს ეთქმის ნეტარი, ყველას სურს ჭეშმარიტებით მონიჭებული სიხარული.

რამდენ კაცს ვიცნობ, სხვების მოტყუება რომ სურთ, მაგრამ ის კი აღარ უნდათ, რომ სხვებისგან მოტყუებულნი დარჩნენ. სადღა გაიგეს, რომ არსებობს ეს ბედნიერი ცხოვრება, თუ არა იქ, სასდაც შეიცნეს ჭეშმარიტება? მათი ჭეშმარიტებაც უყვართ, რადგანაც არ სურთ მოტყუებლნი დარჩნენ, მაგრამ, ცხადია, იმიტომ უყვართ, რომ უყვართ ბედნიერი ცხოვრება, რომელიც სხვა რა არის რა, თუ არა ჭეშმარიტებით მონიჭებული სიხარული. თუმცა ჭეშმარიტება არ ეყვარებოდათ, მეხსიერებაში რომ არ ჰქონდეთ ჩარჩენილი მისი თუნდაც მქრქალი ნაკვალევი.

კი მაგრამ, რატომ არ შეჰხარის მას? რატომ არ არისნ ბედნიერნი? იმიტომ, რომ სხვა რამე უფრო ძალუმად დაეუფლა მათ სულს[61], რაც უმალ მოუტანთ უბედურებას, ვიდრე გააბედნიერებთ ესოდენ სუსტი ხსოვნა იმისა, რასაც შეეძლო ბედნიერება მოეტანა მათთვის. „სულ ცოტაღაა ნათელი კაცთა შორის“; მაშ, „იარონ, სანამ უნათებთ, რათა არ მოიცვათ ბნელმა“[62].

34. მაშ, რატომაა, რომ „ჭეშმარიტება ბადებს სიძულვილს“[63], ან რატომ იქცა მათთვის მტრად კაცი, რომელიც შენი სახელით ქადაგებდა ჭეშმარიტებას?[64] აკი ბედნიერი ცხოვრება

---

[59] გალატ. V, 17.

[60] იოანე, XIV, 6; ფსალმ. 26, 1; 41, 12.

[61] „გასაკვირი არ არის, რომ უბედურთათვის მიუღწეველი რჩება ის, რაც სურთ, ე.ი. ბედნიერი ცხოვრება: ის, რაც მარად თან ახლავს ბედნიერებას, რის გარეშეც არავინაა ბედნიერების ღირსი, - სახელდობრ, წრფელი ცხოვრება, - ამნაირსავე სურვილს არ იწვევს მათში“ („თავისუფალი ნებისათვის“, I, 14, 30).

[62] იოანე XII, 35.

[63] ტერენციუსი, „ანდროსელი ქალიშვილი“, 68.

[64] შდრ. იოანე VIII, 40.

უყვართ, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ჭეშმარიტებით მონიჭებული სიხარული? რა უნდა იყოს ამის მიზეზი? იქნებ ის, რომ ადამიანებს მთელის არსებით უყვართ ჭეშმარიტება, და ამიტომ, როცა სხვა რამე უყვართ, დაჟინებით სურთ, ისიც ჭეშმარიტება იყოს, რაც უყვართ? და რაკი არ სურთ მოტყუებულნი დარჩნენ, არც ის უნდათ, რომ ვინმემ შენიშნოს მათი შცრომა. ამრიგად, მათ სძულთ ჭეშმარიტება, სძულთ იმის გამო, რომ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ იმას, რაც უყვართ. მათ უყვართ ჭეშმარიტების ნათელი, მაგრამ სძულთ მისი ყვედრება[65]. რაკიღა სურთ სხვები მოატყუონ და თვითონ კი არ უნდათ მოტყუვდნენ, ამიტომ ჭეშმარიტებაც მაშინ უყვართ, როცა თვითონვე ევლინება მათ, და არა მაშინ, როცა მათ მანკიერებას ავლენს, რისთვისაც მიეგებათ კიდეც კუთვნილი: რაც უფრო მეტად სურთ არ გამჟღავნდეს მათი უკეთურება, ჭეშმარიტება მით უფრო დაუნდობლად გამოამჟღავნებს და გამოააშკარავეს მათ, თვითონ კი დაფარული დარჩება მათთვის.

დიახ, დიახ, ასეთია ადამიანის სული: ბრმა, უნიათო ბილწი, უღირსი. ამიტომაც სურს დაიმალოს, მაგრამ ის კი აღარ უნდა, რომ მისთვისაც რამე დარჩეს დამალული. მიტომაც მიეგება პირუკუ: ჭეშმარიტებას ვერ დაემალება, ჭეშმარიტება კი დაემალება მას. და მაინც, თავის სიგლახაკესა და სიმწირეშიც კი, მას ურჩევნია ჭეშმარიტებით ხარობდეს და არა სიცრუით. ბედნიერებას კი მხოლოდ მაშინ თუ ეღირსება, როცა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დატკბება უზენაესი ჭეშმარიტებით, რომლისგანაც წარმოსდგება ყველა სხვა ჭეშმარიტება.

XXIV

35. აი, რამდენს დავბორიალობდი შენს ძებნისას, უფალო, ჩემი მეხსიერების სიღრმეში, და ვერსად გპოვე მის გარეთ. ვერც სხვა რამ შენეული ვპოვე, რომ არ მახსოვდეს მას აქეთ, რაც შენ გიცანი, და აღარც დამვიწყნიხარ მას მერე. სადაც მივაკვლიე ჭეშმარიტებას, იქვე ვპოვე ჩემი ღმერთიც, რომელიც თვითონვეა ჭეშმარიტება, და მისი შეცნობის დღიდან აღარასოდეს დამვიწყნია იგი. მას აქეთ, რაც მოგაკვლიე, ცემს მეხსიერებაში მკვიდრობ, უფალო, და იქვე გპოვებ ყოველთვის, როცა გახსენებ და შენში ვხარობ. ესაა ჩემი წმიდა სიტკბოება, გულმოწყალედ რომ მომმადლე, როცა მოხედე სიგლახაკეს ჩემსას.

[65] შდრ. იოანე V, 35; III, 20.

XXV

36. მაგრამ სად მკვიდრობ, უფალო, ჩემი მეხსიერების რომელ კუნჭულში? როგორი სამყოფელი აიგე? რანაირი ტაძარი აღმართე შენთვის? პატივი დამდე და დაემკვიდრე ჩემს მეხსიერებაში, მაგრამ მის რომელ სენაკშია შენი სავანე? შენს ძებნაში სათითაოდ დავიარე მეხსიერების ყველა ნაწილი, რომლებიც ცხოველებსაც მოეძევებათ, მაგრამ ვერ გპოვე იქ, სხეულებრივ საგანთა ხატებებს შორის. მერე იმ ნაწილებსაც მივადექი, რომლებსაც ჩემი სულიერი მდგომარეობანი მივანდე, მაგრამ ვერც იქ მოგკარი თვალი. ბოლოს ჩემი სულის სენაკს მივაშურე, რომელიც მას აქვს მეხსიერებაში, ვინაიდან სული თავის თავსაც იხსენებს ხოლმე, მაგრამ შენ არც იქ იყავი: აკი არც სხეულებრივი ხატება ხარ, არც სულიერი მდგომარეობანი - სიხარული თუ წუხილი, სურვილი თუ შიში, გახსენება თუ დავიწყება და ა.შ. არც თვით სული ხარ, რადგანაც ჩემი სულის უფალი ღმერთი ბრძანდები. ყოველივე ეს ცვალებადია, შენ კი მარად უცვლელი ხარ, ყველაფერზე ამაღლებული, თუმცა პატივი დასდე ჩემს მეხსიერებას და შენს სამკვიდროდ აირჩიე, მას აქეთ, რაც პირველად გიცანი.

ან რას გეკითხები, სად, რა ადგილას მკვიდრობ-მეთქი? თითქოს იქ მართლაც იყოს ადგილი! და მაინც, ეჭვს გარეშეა, რომ ჩემში მკვიდრობ, რადგანაც იმ დღიდან, როცა გიცანი, ჩემში გპოულობ ყოველთვის, როცა გიხსენებ.

XXVI

37. მაშ, სადღა გიპოვე, რომ გამეცანი? რადგანაც ჩემს მეხსიერებაში არ ყოფილხარ მანამ, სანამ გაგიცნობდი. კი მაგრამ, მაინც სად გიპოვე, რომ გამეცანი, თუ არა შენშივე, ჩემს ზემოთ?[66] არა, სივრცეს როდი ვგულისხმობ: სივრცე როდი გვყოფს, როცა გშორდებით, და არც სივრცის გავლით გიახლოვდებით[67]. შენა ხარ ჭეშმარიტება, ყველგან მყოფი, და ერთდროულად მიუგებ ყველას, ვინც გეკითხება, თუმცა სულ სხვადასხვაა კითხვები მათი. ასევე ცხადად მიუგებ ყველას, მაგრამ ყველას ცხადად როდი ესმის. ყველა იმას გეკითხება, რაც სურს, მაგრამ შენი პასუხი სასურველი როდია ყველასათვის. შენი უკეთესი მსახური ისაა, ვინც შენგან სასურველ პასუხს კი არ მოელის, არამედ ვისთვისაც სასურველია ის, რასაც შენგან მოისმენს.

[66] „ეჭვს გარეშეა, რომ არსება, რომელიც არ ექვემდებარება ცვალებადობას და გონიერ სულზე მაღლა დგას, არის ღმერთი“ („ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის“, 31, 57).

[67] შდრ. იობი, XXIII, 8: „აჰა, წინ მივდივარ და არა ჩანს, უკან მივდივარ და ვერ ვაგნებ“.

XXVII

38. გვიან შეგიყვარე, მშვენიერებავ, უძველესო და უახლესო, გვიან შეგიყვარე! შენ ჩემში იყავ, მე კი გარე-გარე გეძებდი: შენს მიერ შექმნილი სამყაროს მომნუსხველ წიაღში ვცდილობდი შეჭრას მე უმსგავსი და უსახური. ჩემთან იყავი, მე კი არ ვიყავი შენთან. შენს თავს მაშორებდა სამყარო, რომელიც საერთოდ არ იარსებებდა, შენში რომ არ არსებულიყო. შენ მიხმე და შენმა ძახილმა შემუსრა ჩემი სიყრუე; გაიელვე და თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებით განდევნე ჩემი სიბრმავე; თავბრუდამხვევი სურნელება შემომაფრქვიე, მე შევიყნოსე და ახლა სულს მიხუთავს სენი სიშორე; მე ვიგემე და ახლა მხოლოდ შენი მადლი მსურს და მწყურია; შემხე და სახმილივით შემომენთო გზნება, შენმიერი მშვიდობის მწველი სურვილით დადაგულს.

XXVIII

39. როცა შეგერწყმი მთელის არსებით, სამუდამოდ განქარდება ჩემი ტკივილი თუ ტანჯვა-წამება, და შენით აღსავსე სიცოცხლე ჩემი ნამდვილ სიცოცხლედ იქცევა. მხოლოდ იმას ულხინს, ვისაც მთლიანად ავსებ, მე კი შენით არა ვარ სავსე და მიტომაც მიმძიმს ჩემივე თავის გაძლება. ჩემი სიხარული, რის გამოც ტირილი უფრო მმართებს, გამუდმებით ებრძვის ჩემსავ ვაებას, რის გამოც, პირიქით, უნდა ვხარობდე, და მე არ ვიცი, რომელს დარჩება გამარჯვება.

ვაიმე, ვაი, შემიწყალე, უფალო![68] უკეთური ვაება ჩემი ერკინება კეთილ სიხარულს ჩემსას, და არც ის ვიცი, რომელი სძლევს, საით გადაიხრება გამარჯვების სასწორი. აი, ჩემი წყლულები, - როდი გიმალავ. შენ მკურნალი ხარ, მე კი სნეული; შენ მოწყალე ხარ, მე - საწყალობელი. „რა არის კაცის ცხოვრება ამ ქვეყნად, თუ არა ცთუნება?“[69] ვინ ისურვებდა სიმძიმილს და შეჭირვებას? შენ მათ სიყვარულს კი არ გვიბრძანებ, არამედ თმენას. ვის უყვარს, რასაც ითმენს, კიდევაც რომ უყვარდეს თმენა? იქნებ თავიც კი მოსწონდეს, რამდენის მოთმენა შემიძლიაო, მაგრამ მაინც ამჯობინებდა, არაფერი ჰქონოდა მოსათმენი.

უბედურებაში ბედნიერებას ვნატრობთ, ბედნიერებაში კი უბედურებას ვუფრთხით. ნეტა თუ მოიძებნება ამ ორ უკიდურესობას შორის ისეთი შუალედი, სადაც კაცის ცხოვრება არ იქნებოდა ცთუნება? ვაი ამქვეყნიურ ბედნიერებას, ვაი და უი, რადგანაც განუყრელად თან ახლავს უბედურების შიში, შხამივით რომ გვიწამლავს ჩვენ მწირ სიხარულს. ვაი ამქვეყნიურ უბედურებასაც, არამცთუ ორგზის, არამედ სამგზისაც ვაი და უი: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სულ მუდამ ბედნიერებას ნატრობს; მეორეც იმიტომ, რომ თავისთავადაა საზარელი და სასტიკი,

[68] შდრ. ფსალმ. 30, 10.
[69] შდრ. იობი VII, 1.

და მესამეც, იმიტომ, რომ ზედ ემსხვრევა ჩვენი მოთმინება! მაშ, რა არის ჩვენი ცხოვრება ამ ქვეყნად, თუ არა უწყვეტი და გამუდმებული ცთუნება?

XXIX

40. მთელი ჩემი სასოება შენი დიადი გულმოწყალებაა, უფალო. მომეცი, რასაც მიბრძანებ, და მიბრძანე, რაც გსურს. შენ გვიბრძანებ თავშეკავებას. „მაგრამ მე ვიცი, - უთქვამს ვიღაცას, - რომ არავის შეუძლია თავშეკავება, თუკი ღმერთი არ მისცემს ამის ნიჭს; სიბრძნე კი სწორედ იმის ცოდნაა, თუ ვისგან არის ეს ნიჭი“[70]. მხოლოდ თავშეკავება გვკრებს და კვლავ ერთის მიმართ მიგვაქცევს სიმრავლედ განწილულთა და აქეთ-იქით მიმოფანტულთ. ნაკლებად უყვარხარ იმას, ვისავ შენს გარდა სხვა რამეც უყვარს, ანდა შენს გამო როდი უყვარს[71]. ო, სიყვარულო, მუდამ რომ იწვი, და მაინც უშრეტი ხარ; ო, მოწყალებავ, ღმერთო ჩემო, ამანთე და ამაბრიალე! თავშეკავებას გვიბრძანებ? მომეცი, რასაც მიბრძანებ, და მიბრძანე, რაც გსურს.

XXX

41. შენ, რა თქმა უნდა, გვიბრძანებ თავი შევიკავოთ ყოველივე იმისგან, რასაც ჰქვია „სიხარბე ხორცის, სიხარბე თვალის და ქედმაღლობა არსებობისა“[72]. შენ გვიკრძალავ უქორწინოდ ცხოვრებას ქალთან, და თუმცა ქორწინების ნებას კი გვრთავ, მაგრამ იმასაც გვირჩევ, რომ უცოლობა უმჯობესია[73]. ეს უკანასკნელი გზა უფრო უმალ ამარჩევინე, ვიდრე შენს საიდუმლოთა აღსრულებას შევუდგებოდი. მაგრამ ჩემს მეხსიერებაში, რომელზედაც ამდენი ვილაპარაკე, დღემდე ცოცხლობენ სასიყვარულო განცხრომათა ხატებანი, ჩვეულებას რომ ამოუტვიფრავს მასში. ისინი დღემდე მიტევენ მღვიძარს, თუმცა ძალაგამოცლილნი სიფხიზლეში ვერას მაკლებენ, მაგრამ ძილში არა მარტო ხორციელი ტკბობის მაცთურ გრძნობას აღმიძრავენ, არამედ ლამის იმაზედაც დამიყოლიონ, რომ ამ ცთუნებას ავყვე. ეს ილუზორული ხატებანი იმნაირ ზემოქმედებას ახდენენ ჩემს სულსა და სხეულზედაც, რომ მძინარეს თითქმის მარწმუნებენ იმაში, რაშიაც ვერასდიდებით დამარწმუნებდნენ მღვიძარს. ნუთუ მე მაშინ სხვა ვარ, უფალო ღმერთო ჩემო? რამხელა განსხვავებაა ჩემს ორ „მე“-ს შორის: სხვა ვარ, როცა მღვიძარს ძილი მერევა, და სულ სხვა, როცა ძილს კვლავ ღვიძილი ცვლის[74]. სადაა ამ დროს ჩემი გონება, რომლის წყალობითაც სიფხიზლეში არაფრად ვაგდებ

[70] შდრ. სიბრძნე სოლომ. VIII, 21.

[71] „ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არ უნდა გვიყვარდეს ქმნილება; მაგრამ თუ ეს სიყვარული შემოქმედისკენაა მიმართული, მასში უკვე აღარ არის ვნება; ვნება მაშინ აღიძვრის, როცა ქმნილება თვით მისი გულისთვის უყვართ“ („სამებისათვის“, 9,8,13).

[72] I იოანე II, 16.

[73] I კორ. 1-7, 27, 38.

[74] შდრ. მარკუს ავერლიუსი: „რას ვახმარ ამჟამად ჩემს სულს? აი, რა უნდა ჰკითხო ხოლმე შენსავე თავს და მერე იკვლიო, რა მოსდის შენი არსების იმ ნაწილს, რომელსაც წარმმართველს უწოდებენ მართებულად. ვისი სული მაქვს მე ახლა? ჩვილის, ჭაბუკის, სუსტი დიაცის, ტირანის, პირუტყვის თუ მკსინვარე მხეცის?“ („ფიქრები“, V,11).

ამ მაცთურ ხატებათა შემპარავ ჩურჩულს და ურყევად ვდგავარ ნამდვილი საცთურის წინაშე? იქნებ ისიც თვალებთან ერთად იხუჭება და ხორციელ გრძნობებთან ერთად იძინებს? ან რატომაა, რომ ძილშიც ხშირად ვუძალიანდებით საცთურს, რადგანაც კარგად გვახსოვს ჩვენი გადაწყვეტილება და ბოლომდე მისი ერთგულნი ვრჩებით? და მაინც, სხვაობა ისე აშკარაა, რომ თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჩვენს გადაწყვეტილებას ვღალატობთ, გამოღვიძებისას კვლავ მშვიდდება ჩვენი სინდისი; ივივე სხვაობა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ როდი ჩაგვიდენია ის, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, მაინც მოხდა ძილში.

42. ნუთუ შენს ხელს, ყოველისმძლე ღმერთო, არ შეუძლია განკურნოს ყოველგვარი სნეულება ჩემი სულისა და მადლის სიჭარბით ჩაახშოს ცემი სიზმების ავხორცული ბორგვა? შენ დღითიდღე გაამრავლებ შენს მადლსა და წყალობას ჩემს მიმართ, რათა ჩემს კვალდაკვალ მოგაშუროს ავხორცობის ჭაობიდან თავდახსნილმა ჩემსავე სულმა; რათა აღარ აუჯანყდეს საკუთარ თავს და თვით ძილშიაც კი აღარ დაემორჩილოს ამ ცხოველურ ხატებათა ზემოქმედებას, სიბილწის მორევში რომ ითრევენ ხორცს, არამედ სამუდამოდ დათრგუნოს ისინი. მომეცი ძალა იმისა, რომ ვერავითარმა ბილწმა საცთურმა, თუნდაც იმდენად უსუსურმა, რომ უმანკო ძილით მძინარის ნებას უმცირესი ძალისხმევითაც კი შეეძლოს მიი გაქარწყლება, - ვერც ამჟამად და ვერც მომავალში ვერ აღმიძრას ესოდენ უმსგავსი წადილი. განა ეს ძნელია შენთვის, ყოვლისმძლეო, „ვისაც განუზომლად მეტის ქმნა ძალგიძს, ვიდრე ჩვენ გთხოვთ, ანდა ვიაზრებთ?“[75] ჯერჯერობით კი - ვაღიარებ, უფალო ჩემო, სიკეთევ ჩემო, - კვლავაც ამ ბოროტებაში ვარ დანთქმული და „ძრწოლით შევხარი“[76] იმას, რაც მიწყალობე, დავტირი არასრულქმნილებას ჩემსას და იმედი მაქვს, რომ სრულყოფ შენს მოწყალებას ჩემს მიმართ, ვიდრე სრულ მშვიდობამდე, რომლესაც ეზიარება შენში მთელი ჩემი არსება, შინაგანიც და გარეგანიც, როცა „დაინთქმება სიკვდილი ძლევით“[77].

XXXI

43. არის სხვა „ბოროტებაც დღისა“[78]; ნეტა ღმერთს ენებებინა, რომ ის ერთადერთი იყოს. ჩვენ სმა-ჭამით აღვიდგენთ ყოველდღიურად რღვევად სხეულს, და ასე იქნება მანამ, სანამ შენ „არ მოსპობ საჭმელსაც და სტომაქსაც“[79], სასწაულებრივი სიმაძღრით არ დააცხრობ შიმშილს, და „ამ ხრწნად სხეულს არ შემოსავ მარადიული უხრწნელებით“[80]. დღესდღეობით კი სიამოვნებად მიჩანს ეს აუცილებლობა, და მე ვებრძვი ამ სიტკბოებას, რათა მისი ტყვე არ გავხდე; ესაა ყოველდღიური ბრძოლა მარხულობითა და „ხორცის

[75] ეფეს. III, 20.
[76] შდრ. ფსალმ. 2, 11.
[77] I კორ. XV, 54.
[78] მათე VI, 34.
[79] შდრ. I კორ. VI, 13.
[80] I კორ. XV, 53.

დათრგუნვით“[81]. თუმცა სალმობას მაინც სიამოვნების მეოხებით ვაძევებ, რადგანაც შიშშილი და წყურვილი სალმობაა, ციებ-ცხელებასავით რომ გწვავს და გაკვდინებს, თუკი სასმელ-საჭმეილთ არ უმკურნალებ. მაგრამ რაკი წამალი ყოველთვის ხელთა გვაქვს, იმის წყალობით, რომ უშურველად გვიძღვნი შენს მადლს, რის შედეგადაც შეეწევიან ჩვენს უმწეობას მიწაც, წყალიც და ცაც, ამიტომ უბედურებას სიამოვნებად მიიჩნევენ კაცნი.

44. შენ მასწავლე წამალივით მივიღო საზრდო, მაგრამ ვიდრე მტანჯველი შიშშილისაგან გადავდივარ სასიამოვნო სიმაძღრეზე, სწორედ აქაა დაგებული ჩემთვის ღორმუცელობისა თუ სიხარბის მახე. თვით ეს გადასვლა სიამოვნებაა, და ვერანაირი სხვა გზით ვერ გადავალთ იქ, სადაც გვერეკება აუცილებლობა. ჭამაც და სმაც ჯანმრთელობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად, მაგრამ ამას თან ახლავს სახიფათო თანამგზავრი - სიამოვნება, რომელიც არცთუ იშვიათად ცდილობს წინ გაუსწროს აუცილებლობას, რათა გვაიძულოს მხოლოდ მისი გულისთვის ვჭამდეთ და ვსვამდეთ, თუმცა ეს, ჩვენივე სიტყვით და ნება-სურვილით, მარტოოდენ ჯანმრთელობის შენარჩუნებას ემსახურება.

თუმცა ორივეს ერთი და იმავე საზომით ვერ მივუდგებით: ის, რაც საკმარისია ჯანმრთელობისთვის, სიამოვნებას ეცოტავება. და ხშირად ვერც კი ვარჩევთ, რა არის ეს: აუცილებელი ზრუნვა სხეულის სიმრთელისათვის, რაც ჩვენს მსახურებას მოითხოვს, თუ მაცთური სიამოვნებისაკენ სწრაფვა, განცხრომის მონებად რომ გვაქცევს. სწორედ ეს გაურკვევლობაა ჩვენი საბრალო სულის ერთგვარი შვება, რადგანაც მასში ხედავს თავის გამართლების საშუალებას და თავსაც მისი წყალობით იცავს, რადგანაც გაურკვეველია, მაინც რა არის აუცილებელი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, და სწორედ ამ გაურკვევლობით ამართლებს ღორმუცელობას. მე ყოველდღე ვებრძვი ამ საცთურს, და შენს მარჯვენას ვთხოვ შემწეობას: დამიხსენ ამ ორჭოფობისაგან, რადგანაც ამ მხრივ დღემდე ვერაფერი გამირკვევია.

45. მესმის ხმა ჩემი ღმერთისა, რომელიც ბრძანებს: „ნუ დაიმძიმებთ თქვენს გულს სიმთვრალით და ნაყროვანებით“[82]. სიმთვრალე შორსაა ჩემგან: ღმერთო, მარიდე მისი სიახლოვე. მაგრამ, აი, ნაყროვანება კი მეძალება ხოლმე: მოწყალება მოიღე და განმარიდე. რადგანაც, „არავის შეუძლია თავშეკავება, თუკი შენ არ მისცემ ამის ნიჭს“[83]. რამდენ რასმე გვიწყალობებ ჩვენი ლოცვებისათვის; იმ სიკეთესაც, მანამ რომ ვიღებთ, სანამა გთხოვდეთ, შენგანვე ვიღებთ[84], და ისიც შენი წყალობაა, მხოლოდ შემდეგ რომ ვიგებთ ამას. მემთვრალე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ვიცნობდი მემთვრალეებს, შენ რომ შეაძულე სიმთვრალე.

[81] შდრ. I კორ. IX, 27; II კორ. XI, 27.
[82] ლუკა XXI, 34.
[83] შდრ. სიბრძნე სოლომ. VIII, 21.
[84] შდრ. მათე, VI, 8.

შენივე ნამოქმედარია, რომ ზოგი არასოდეს არ ხდება ის, რაც არასდროს ყოფილა, ზოგი კი უკვე აღარ არის ის, რაც იყო.

სხვა სიტყვაც მსმენია შენგან: „ნუ აჰყვები შენს გულისთქმას, და სურვილისგან მოიზღუდე თავი“[85]. შენი წყალობით მსმენია სხვა შეგონებაც, რომელიც გამორჩევით მიყვარს: „ჭამით არაფერი გვემატება, და უჭმელობითაც არა გვაკლდება რა“[86]. ანუ, რაც იგივეა, ერთი არ გამამდიდრებს, ხოლო მეორე არ დამაქცევს. სხვაც გამიგია: „მე ვისწავლე კმაყოფილი ვიყო იმით, რაცა მაქვს; გაჭირვენის თმენაც ძალმიძს და ხელგაშლილობაც; ყველაფერი შემიძლია ჩემი განმამტკიცებლის მიერ“[87].

აჰა, მხედარი ზეციური ბანაკისა! ჩვენსავით მტვერი როდია. მაგრამ გაიხსენე, უფალო, რომ „ჩვენა ვართ მტვერი“[88], და რომ მტვრისაგან შეჰქმენი კაცი[89], რომელიც „დაკარგული იყო და გამოჩნდა“[90]. მაგრამ თვით ამ მხედარსაც[91] არაფერი შეეძლო თავისთავად, რადგანაც, ჩვენი არ იყოს, ისიც მტვრისაგან იყო ნაზელი, ვისი სიტყვებიც ასე შევიყვარე, შენმა სულმა რომ შთააგონა: „ყველაფერი შემიძლია ჩემი განმამტკიცებლის მიერ“[92]. მაშ, განმამტკიცე, რათა შევიძლო; მომეცი,რ ასაც მიბრძანებ, და მიბრძანე, რაც გსურს. პავლე აღიარებს, რომ ყველაფერი შენგან მიიღო, რა „რასაც იქადის, უფლის მიერ იქადის“[93]. სხვა ლოცვაც მსმენია: „განმარიდე მუცელღმერთობა“[94]. ყოველივე ეს ცხადყოფს, წმიდაო ღმერთო, რომ მხოლოდ შენი წყალობით სრულდება ის, რისი ასრულებაც გნებავს.

46. შენ მასწავლე, ღმერთო სახიერო, რომ „წმიდათათვის ყველაფერი წმიდაა, მაგრამ ბოროტებაა კაცისთვის, რომელიც საცთუნებლად ჭამს; კეთილია შენი ყოველი ქმნილება და არ არის უარსაყოფი, თუკი მადლიერებით მიიღება; საჭმელი როდი გვაახლოებს ღმერთთან; მაშ, ნურავინ განგსჯით საჭმლისა თუ სასმელის გამო; ვინცა ჭამს, ნუ შეურაცხყოფს მას, ვინც არა ჭამს, ხოლო ვინც არა ჭამს, ნუ გასნჯის მჭამელს“[95]. შენი წყალობით შევიმეცნე ეს და მადლობას გწირავ, ღმერთო ჩემო, მოძღვარო ჩემო, შენი სიტყვებით რომ მიტკბობ სმენას და ნათელს ჰფენ ჩემს გულს. გამარიდე ყოველგვარი საცთურს. უწმინდური საჭმელი როდი მაშინებს, არამედ უწმინდური ვნება. ვიცი, რომ ნოეს უფლება ჰქონდა ეჭამა ყოველნაირი ხორცი, რისი ჭამაც კი შეიძლება[96]; რომ ელიამ ხორცით აღიდგინა ძალა[97]; რომ იოანე, ეს

[85] სიბრძნე ზირაქ. XVIII, 30.
[86] I კორ. VIII, 8.
[87] ფილიპ. IV, 11-12.
[88] ფსალმ. 102, 14.
[89] შდრ. დაბად. III, 19.
[90] ლუკა XV, 24, 32.
[91] იგულისხმება პავლე მოციქული.
[92] იხ. აქვე, შენ. 87.
[93] I კორ. I, 31.
[94] სიბრძნე ზირაქ. XXIII, 6.
[95] ტიტ. I, 15; რომ. XIV, 20; I ტიმ. IV, 4; I კორ. VIII, 8; კოლ. II, 16; რომ. XIV, 3.
[96] იხ. დაბად. IX, 3.
[97] იხ. III მეფეთა XVII, 6.

საოცარი მმარხველი, სულაც არ შეუბილწავს იმას, რომ კალიებს ჭამდა[98]. მაგრან ნე ისიც ვიცი, რომ ესავი ცერცვის შეჭამანდმა აცთუნა[99]; რომ დავითმა თავისი თავი ჰგმო, როცა წყლის დალევა მოუნდა[100]; რომ ჩვენს მეუფეს ხორცით კი არ აცთუნებდა მაცთური, არამედ პურით[101], და ხალხმაც იმისთვის როდი დაიმსახურა ღვთის ყვედრება უდაბნოში, რომ ხორცი მოუნდა, არამედ იმიტომ, რომ უფლის წინააღმდეგ დაიწყო დრტვინვა[102].

47. ამ საცთურში დანთქმული ყოველდღე ვებრძვი ნაყროვანებას, რადგანაც შეუძლებელია ისევე დათრგუნო იგი, როგორც დავთრგუნე ავხორცული ვნება, ერთხელ და სამუდამოდ რმო აღვიკვეთე და აღრსოდეს მივბრუნებივარ. პირს ისე უნდა ამოსდო ლაგამი, რომ არც ძალუმად მოვზიდოთ და არც სულ მივუშვათ სადავე. კი მაგრამ, თუ მოიძებნება, უფალო, კაცი, ხანდახან მაინც რომ არ გადასცდეს აუცილებლობის ზღვარს? ვინც უნდა იყოს, დიდია და, დაე, ადიდოს შენი სახელი. ვაი რომ ჩემს თავზე ვერ ვიტყვი ამას, რადგანაც ცოდვილი ვარ. მაგრამ მეც ვადიდებ შენს სახელს, რათა მან, ვინც „სძლია ქვეყანა“[103], „მითავმდებოს შენს წინაშე ჩემი ცოდვებისთვის“[104], რაკიღა თავისი სხეულის უმწეო ასოთა შორის მიმთვლის, ვინაიდან „სენს თვალებს უხილავთ არასრულქმნილება ჩემი, და ყოველივე ჩაიწერება შენს წიგნში“[105].

XXXII

48. სურნელების საცთური კი არ მაშფოთებს. როცა შორსაა, არ ვეძებ, ხოლო როცა ახლოსაა, არ გავურბივარ; მე შემიძლია მთელი სიცოცხლე სურნელების გარეშე გავძლო, თუმცა შესაძლოა ვცდები. აი, საკვალალო სიბნელე ჩემი, რომლის წიაღშიაც დაფარულია ბევრი ჩემი უნარი, ასე რომ, როცა ჩემი სული თავის თავსვე ეკითხება, რა ძალის პატრონი ვარო, დარწმუნებული არ არის, რომ სწორ პასუხს მიიღებს: რასაც მისი სიღრმე იმარხავს, მეტწილად დაფარულია, და მხოლოდ ცდა თუ გამოავლენს. ამ ცხოვრებაში, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა „უწყვეტი ცთუნება“[106], არავის შეუძლია დამშვიდებული იყოს თავისი თავის გამო: თუ ვინმე ცუდი იყო და კარგი გახდა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სულ კარგი იქნება და შეუძლებელია კვლაც ცუდი გახდეს. ერთადერთი იმედი, ერთადერთი რწმენა, ერთადერთი უტყუარი აღთქმა, უფალო, ესაა შენი გულმოწყალება!

---

[98] იხ. მათე III, 4.
[99] იხ. დაბად. XXV, 30-34.
[100] იხ. II მეფეთა XXIII, 15-17.
[101] იხ. მათე IV, 3.
[102] იხ. რიცხვთა XI, 4-6.
[103] იოანე XVI, 33.
[104] შდრ. რომ. VIII, 34.
[105] ფსალმ. 138, 16. ამ ფსალმუნის განმარტებისას ნეტარი ავგუსტინე წერდა: „შენს წიგნში ჩაიწერებიან ყველანი: არა მარტო სრულქმნილნი, არამედ არასრულქმნილნიც. დაე, ნუ შეკრთებიან არასრულქმნილნი, დაე, იმოქმედონ, ყოველდღე რაღაცა მიიმატონ და თანდათან მოგიახლოვდნენ; დაე, განეშორებიან სხეულს უფლისას“...
[106] იობი VIII, 1.

ELIBRARY.SOU.EDU.GE

XXXIII

49. სმენის სიამემ უფრო მაგრად შემბორკა და დამიმონა, მაგრამ შენ ამხსენ ბორკილი და თავისუფლება მომანიჭე. ვაღიარებ, თვით დღესაც სიამოვნებით ვისმენ ხოლმე შენი ცხოველმყოფელი სიტყვით შთაგონებულ საგალობლებს, მომნუსხველი ხმით აჟღერებულნი საამოდ რომ ელამუნებიან სმენას; ვისმენ და ვისვენებ, მაგრამ ბოლომდე როდი ვენდობი მათ უჩვეულო ხიბლს: როცა მომეპრიანება, შემიძლია ავდგე და წავიდე. თუმცა იმ ცხოველყოფელ სიტყვებთან ერთად, მათ რომ აცოცხლებენ და ასრულიერებე, ისინიც ღირსეულ ადგილს მოითხოვენ ჩემს გულში, და მე მეეჭვება, შემიძლია თუ არა იმნაირი სამყოფელი მივუჩინო მათ, რასაც ისინი იმსახურებენ. ხანდახან კი, ასე მგონია, რაც ეკუთვნით, იმაზე მეტ პატივს მივაგებ მათ: მე ვგრძნობ, რომ შენი წმიდა სიტყვებით ახმიანებული საგალობლები უფრო მეტი ღვთისმოსაობით აღაგზნებენ ჩვენს სულს, როცა მათ სრულყოფილად ასრულებენ, მაშინ როდესაც არასრულყოფილი შესრულება ასეთსავე განცდას ვერ აღძრავს ჩვენში. ხომ ურიცხვია ჩვენი სულის იდუმალი მოძრაობანი, და თვითეული მათგანი თავისებური, მხოლოდ მისთვის ნიშნეული თრთოლვით ვლინდება მოლაპარაკისა თუ მომღერლის ხმაში, რომელიც, ღმერთმა იცის, რა შინაგანი სიახლოვისა თუ ნათესაობის წყალობით, მსმენელის სულსაც გადასცემს ამ მთრთოლვარებას. მაგრამ რა ხშირად მატყუებს ხორციელი სიამოვნების გრძნობა, რომელსაც კაცმა არ უნდა დააძაბუნებინოს სული: გრძნობა, რომელიც თან ახლავს გონებას, მორჩილად კი არ მიჰყვება უკან, - თუმცა ეს ადგილიც გონების წყალობითა აქვს მოპოვებული, - არამედ ცდილობს წინ გაუსწროს და წინამძღვრად ექცეს. ასე, ჩემდა შეუმჩნევლად ვცოდავ ხოლმე, და მხოლოდ შემდეგ ვამჩნევ ჩემს შეცოდებას[107].

50. ზოგჯერ კი, ამ ცთუნების თავიდან ასაცილებლად, შეცდომას ვუშვებ და მეტისმეტ სიმკაცრეს ვიჩენ: ძალიან მინდა ხოლმე ჩემს სმენასაც გავრიდო და თვით ეკლესიასაც ეს მომნუსხველი ჰანგები, რომელთა თანხლებითაც ასრულებენ დავითის ფსალმუნებს. მე მგონია, სწორად იქცეოდა ალექსანდიელი ეპისკოპოსი ათანასე[108], რომელიც - მახსოვს, ხშირად მეუბნებოდნენ, - მეფსალმუნეებს აიძულებდა ხმის ისეთი უმნიშვნელო მოდულაციებით წარმოეთქვათ ფსალმუნები, რომ ეს კითხვას უფრო ჰგავდა, ვიდრე გალობას.

და მაინც, მახსოვს ნეტარების ცრემლები, რომლებსაც მაღვრევინებდა საეკლესიო გალობის სმენა, როცა პირველად ვეზიარე რწმენის ნათელს. და ახლაც, - მართალია, იმდენად გალობა როდი მაღელვებს, რამდენადაც ის, რაც იგალობება, როცა მგალობლის

[107] ნეტარი ავგუსტინე მკრეხელობად მიიჩნევს იმას, რომ საგალობელთა მოსმენით მოგვრილმა ტკბობამ დაჩრდილოს მსმენელის საღვთისმოსაო გზნება.

[108] ათანასე (295-373 წ.) - ალექსანდრიელი ეპისკოპოსი, არიანობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი, პოლემიკური საღვთისმეტყველო თხზულებებისა და „წმ. ანტონის ცხოვრების“ ავტორი.

ხმა სუფთაა, თბილი და საამოდ მჟღერი, - ხელახლა ვაღიარებ, რაოდენ სასარგებლოა ეს უძველესი ჩვეულება.

ასე ვირყევი ამ ორ განცდას შორის: თუ, ერთის მხრივ, ტკბობა სახიფათოა, მეორეს მხრივ, გალობის ცხოველმყოფელი ზემოქმედება ცდითაა დადასტურებული. ამიტომაც თავს ვიკავებ იმნაირი დასკვნისაგან, საპირისპირო აზრს რომ ვერ იტანს, და მაინც ვიწონებ საეკლესიო გალობის ოდინდელ ჩვეულებას, რათა რწმენის თავბრუდამხვევმა ნეტარებამ ღვთისმოსაობის მიმართ მიაქციოს ჯერ კიდევ უმწეო სული. ხოლო როცა მე თვითონ ვგრძნობ, რომ გალობა უფრო მაღელვებს, ვიდრე ის, რაც იგალობება, ვაღიარებ, ესაა სინანულის ღირსი შეცდომა, და მე ვამჯობინებდი, სულაც არ მსმენოდა მგალობლის ხმა.

აი, ვინ ვარ და რა ვარ! იტირეთ ჩემთან ერთად და მიტირეთ ყველამ, ვინც კი სიკეთისათვის იღწვით გულში, საიდანაც იღებს დასაბამს ყოველი ქცევა. ხოლო ის, ვინც სიკეთისათვის არ იღწვის, ცხადია, არ შეიძვრის გულით. შენ კი, „უფალო ღმერთო ჩემო, მისმინე და მომხედე“[109], „შემიწყალე და განმკურნე მე“[110]. შენს თვალში ჩემივე თავისთვის გამოცანად ვიქეცი, და სწორედ ესაა ჩემი სნეულება.

XXXIV

51. და ბოლოს, რჩება ხორციელ თვალთაგან მონიჭებული სიამოვნება; სწორედ მას ეხება ჩემი აღსარება, რომელსაც ისმენს ყური შენი ეკლესიისა[111], თანამოძმეთა და ღვთისმოსავთა ყური. ამით დავასრულებთ საუბარს ხორციელ სიამეთა საცთურის შესახებ, დღემდე რომ ცდილობენ ჩემს მკვნესარე გულში შემოჭრას, და მე, მჭმუნვარეს, „მსურს შევიმოსო ზეციური სავანე ჩემი“[112].

თვალს უყვარს ლამაზი და მრავალფეროვანი ფორმები, ნათელი და სასიამოვნო ფერები. დაე, ნუ დაეუფლებიან ისინი ჩემს სულს, არამედ დაეუფლოს მას ღმერთი, რომელმაც შექმნა ეს მომხიბლავი ფერებიცა და ფორმებიც, მაგრამ ისინი კი არა, ღმერთია ჩემი სიკეთე. ლამაზი საგნები, გარს რომ მარტყიან, მთელი დღის მანძილზე არ მაძლევენ მოსვენებას მღვიძარს, იმ წკრიალა ხმებისა და, საერთოდ, ყოველგვარი ჩქამისა არ იყოს, მყუდროებას რომ მირღვევენ. თვით ფერების დედოფალი, ნათელი მზისა, ყოველივე ხილულს რომ ეფინება, სადაც უნდა ვიყო, მთელი დღის მანძილზე ელამუნება ჩემს მზერას, თუნდაც საქმეში თავჩარგული არავითარ ყურადრებას არ ვაქცევდე მას; და ისე უჩუმრად, შემპარავად

[109] ფსალმ. 12, 4.
[110] ფსალმ. 6, 3.
[111] შდრ. II კორ. VI, 16: „რადგანაც ცოცხალი ღმერთის ტაძარი ხართ“...
[112] II კორ. V, 2.

შემომჩვევია, რომ თუ უეცრად მიეფარა თვალს, სევდით შეპყრობილი დავეძებ, ხოლო თუ დიდხანს არ გამოჩნდა, სიბნელე ისადგურებს ჩემს სულში.

52. ო, ნათელო, რომელსაც ხედავდა თვალზე ლიბრგადაკრული ტობითი[113], ცხოვრების გზას რომ უჩვენებდა თავის ძეს და წაუბორძიკებლად უძღოდა წინ სიყვარულის ფეხებით[114]; ნათელი, რომელსაც ჭვრეტდა ხანდაზმული, ქუთუთოებდამძიმებული და თვალდაშრეტილი ისააკი, რომელმაც ისე აკურთხა შვილები, რომ არ უცვნია, რისთვისაც ის დაიმსახურა, რომ კურთხევის შემდეგ ეცნო ისინი[115]; ნათელი, რომელსაც ხედავდა წელთა სიმრავლით თვალდავსილი აიკობიც, გულში ჩამდგარი ნათელით რომ გაანათა წინასწარ უწყებული ტომები მომავალი ერისა, და იდუმალი ძალით გადაჯვარედინებული ხელები დაადო თავის შვილიშვილებს, იოსების მემკვიდრეთ, და ასე აკურთხა ისინი; იოსები, ხორციელი თვალებით რომ ხედავდა ამას, შეეცადა გამოესწორებინა მამის შეცდომა, მაგრამ ეს შეცდომა როდი იყო: იაკობი შინაგანი მზერის კარნახით მოქმედებდა[116]. აი, ჭეშმარიტი ნათელი: ერთი, ერთარსი და თავისი ერთობით ყველა მოკვდავის გამაერთიანებელი, ვინც კი ჭვრეტს მას და უყვარს იგი.

ხოლო ეს მიწიერი ნათელი, რომელზედაც ვლაპარაკობდი, თავისი მაცთური და სახიფათო ხიბლით ამ ცრუ საწუთროს ულამაზებს მის ბრმა მოყვარეთ. ვისაც შეუძლია ამ ნათლისათვის გადიდოს შენ, „ღმერთო, ყოვლის შემოქმედო“[117], მის სიტყვებს ჩააქსოვს და ჩააქარგავს შენს საგალობლებს, თვითონ კი არ ჩაიკარგება მასში, მთვლემარე და რულმორეული. მეც ამნაირი მინდა ვიყო. წინ აღვუდგები თვალების საცთურს, რათა ფეხი არ შემიკრას შენსკენ მომავალს; შენ მოგაპყრობ უხიალვ თვალს, რათა „მახიდან გამოხსნა ჩემი ფეხი“[118]. აკი გამუდმებით მიხსნი მზაკვრულად დაგებული მახიდან, რადგანაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვებმები შიგ. „შენ კი არ ჩასთვლემ და არ დაიძინებ, მფარველო ისრაელისა“[119].

53. მაგრამ რამდენი რამ მიუმატეს ადამიანებმა თვალის საცთურს: სხვადასხვა ხელოვნებათა თუ ხელობათა ქმნილებები - ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჭურჭელი, დგამ-ავეჯი, სამკაულები, სურათები, ქანდაკებები და სხვა მისთანანი, - ყოველივე ეს უკვე შორს სცილდება აუცილებლობისა და ზომიერების ფარგლებს, როგორც საერო, ისე საეკლესიო ცხოვრებაშიც. მთლიანად გარე სამყაროში დანთქმულნი და საკუთარ ქმნილებათ ყურმოჭრილ მონებად ქცეულნი თავიანთ გულშიც ხელს იღებენ იმაზე, ვისი ქმნილებებიც არიან თვითონ, და ამრიგად ანგრევენ იმას, რაც შემოქმედს ჩაუნერგავს მათში[120].

---

[113] იხ. ტობ. IV, 2 და შმდ.
[114] დედანში: pede caritatis.
[115] იხ. დაბად. XXVIII.
[116] იხ. დაბად. XLVIII-XLIX.
[117] ამბროსი მედიოლანელის ჰიმნის პირველი სტრიქონი; იხ. „აღსარებანი“, წიგნი მეცხრე, XII, 32.
[118] ფსალმ. 24, 15.
[119] ფსალმ. 120, 4.
[120] მატერიალურ საგანთა სიყვარული ანგრევს და ანადგურებს ადამიანის უზენაეს „მე“-ს.

მე კი, ღმერთო ჩემო და სიქადულო ჩემო, აქაც იმის საბაბს ვპოულობ, რომ საგალობელი აღვავლინო შენს სადიდებლად და ქების მსხვერპლად გიძღვნა შენ, ვინც თავი მოგიძღვენ მსხვერპლად. რადგნაც ის მშვენიერება, ხელოვანის სულიდან მისი გაწაფული ხელების მეშვეობით რომ გადადის მასალაში, დასაბამს იღებს იმ მშვენებიდან, რომელიც ჩვენს სულებზე უზენაესია[121], და რომლისთვისაც დღედაღამ ჭმუნავს ჩემი სული. მშვენიერ საგანთა ყველა შემქმნელმა და მოყვარულმა სწორედ მისგან მიიღეს ამ საგანთა შეფასების საზომი[122], მაგრამ მათი მართებულად ხმარების საზომი კი არ მიუღიათ. ის კი აქვეა, მათ გვერდით[123], მაგრამ ვაი რომ ვერ ხედავენ მას. შორს წასვლა სულაც არაა საჭირო: „დაე, შენთვის შეინახონ ძალა“[124] და სულის გამომფიტველ სიამოვნებას ნუ შეალევენ მას..

თვით მეც კი, ამას რომ ვამბობ, და მესმის კიდეც, რასაც ვამბობ, დიახ, თვით მეც კი, თითქოს ფეხებზე ბორკილები დამადესო, მონუსხულივით ვდგავარ ამ მიწიერი მშვენიერების წინაშე. მაგრამ შენ შემხსნი ამ ბორკილებს, რადგანაც „ჩემს თვალწინაა შენი წყალობა“[125]. მე საწყალობლად ვებმები მახეში და შენ მოწყალედ მათავისუფლებ. ხანდახან ვერც კი ვგრძნობ ამას, ისე სუსტად ვუპყრივარ მახეს, ზოგჯერ კი ისე მაგრა ჩამიჭერს, რომ სუნთქვა მეკვრის და სული მეხუთება.

XXXV

54. ამას ზედ ერთვის სხვა ცთომილებაც, ბევრად უფრო სახიფათო და საზარელი. ხორციელი გულისთქმის გარდა, რაც ყველა ჩვენი გრძნობის ტკბობასა და განცხრომით თრობას მოითხოვს, გულისთქმისა, რომელსაც ემონება ყველა, ვინც შენ გშორდება, უფალო, რაც გარდუვალ დაღუპვას უქადის მათ, - სულისთვის ნიშნეულია სულ სხვანაირი გულისთქმაც, რომელიც დანარჩენი გრძნობების ბუნებისაა, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ხორციელ ტკბობას კი არ მიელტვის, არამედ კვლევა-ძიებას, რის იარაღადაც იგივე ხორცი გვევლინება: ეს ფუჭი და უცნაური ცნობისწადილი ცოდნისა და მეცნიერების გარსში ეხვევა[126]. მისი არსია ყოვლის შეცნობის დაუოკებელი წყურვილი, და რაკი ჩვენს გრძნობებს შორის ყველაზე მეტ მასალას მზერა გვაწვდის შემეცნებისთვის, ამიტომაცაა, რომ ამ გულისთქმას საღმრთო წერილში „თვალთა გულისთქმა“[127] ჰქვია.

---

[121] შდრ. პლოტინი: „ყოველივე მშვენიერი მასზე („ერთზე“, ანუ „ღმერთზე“, - ბ.ბ.) უდაბლესია, მაგრამ მისგან იღებს დასაბამს, როგორც დღის ნათელი - მზისგან“ („ენნ.“ VI,IX,4).

[122] იგულისხმება ის შინაგანი გრძნობა, რომლის წყალობითაც მშვენიერ საგნებში ღვთაებრიობის გამოვლენას ვჭვრეტთ.

[123] „შენს მიმართ ზურგშექცეულნი თავიანთ ხორციელ საქმეებში, როგორც საკუთარ ჩრდილში, ინთქმებიან, მაგრამ თვით იმაშიც კი, რითაც ტკბებიან, ბრწყინავს გარშემო განფენილი შენი ნათელი“ („ნების თავისუფლებისათვის“, II,16,43).

[124] ფსალმ. 58, 10.

[125] ფსალმ. 25,3.

[126] შდრ. წიგნი მეხუთე, III, 3, 4. იხ. აგრეთვე ამავე წიგნის შენ. 17.

[127] იოანე II, 16.

თვალის ძირითადი დანიშნულება ხედვაა, მაგრამ ჩვენ სხვა გრძნობებსაც ვუკავშირდებთ ხოლმე ამ სიტყვას, როცა მათი მეშვეობით რამეს შევიცნობთ. ჩვენ ხომ არ ვამბობთ, მაგალითად: „ყური უგდე, როგორა ბზინავს“, ან „უყნოსე, რა წითლად ღუის“, „გემო გაუსინჯე, როგორ ციმციმებს“, ანდა „ხელი შეახე, როგორა ელავს“. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ ვიყენებთ სიტყვას „ყურება“: მარტო იმას ხომ არ ვამბობთ, „უყურე რა ნათელიაო“, რაც შეიძლება მხოლოდ მზერამ შეიგრძნოს, არამედ ესეც ბუნებრივი გვიჩვენება: „უყურე, როგორ ჟღერს“, „უყურე, როგორი სუნი აქვს“, „უყურე, რა გემრიელია“, ან „უყურე, რა მკვრივია“[128].

ამიტომ, როგორც მოგახსენეთ, ყოველგვარ ცოდნას, რასაც გრძნობები გვაწვდიან, „თვალთა გულისთქმა“ ეწოდება. თვალის ძირითად დანიშნულებას - „ხედვას“ სხვა გრძნობებიც ითვისებენ, როცა რაღაცის შეცნობის მიზნით იწყებენ მის კვლევა-ძიებას.

55. ამის შედეგად უფრო ადვილი გასარჩევია, რა სჭირდება გრძნობებს ტკბობისათვის, და რა - ცნობისმოყვარეობის დასაკმაოფილებლად. ტკბობა მიელტვის იმას, რაც მშვენიერია, კეთილხმიერი, საამო, ნუგბარი, მსუბუქი, ცნობისმოყვარეობის სურვილი ლტოლვის საგანი კი, პირიქით, უპირისპირდება ყოველივე ამას, მაგრამ არა საგვემად და სატანჯველად, არამედ საკვლევად და შესამეცნებლად.

განა შეიძლება ტკბობა დაფლეთილი და სულშემზარავი გვამის ყურებით? და მაინც, სადმე რომ ეგდოს, ხელად შექუჩდება ხალხი სავალალოდ და სავიშვიშოდ, თუ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. სიზმარშიაც არ ისურვებდნენ ამ საზარელი სურათის ნახვას, ცხადში კი ისე მიიჩქარიან, თითქოს ვინმე მიერეკებათ, ან რაღაც მშვენიერისა და თვალწარმტაცის ნახვის იმედი აქვთო.

ივივე ითქმის სხვა გრძნობებზედაც, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ცნობისმოყვარეობის იმავე სენის შედეგია, სახანაობათა გამმართავნი ათასნაირ უცნაურობას რომ უჩვენებენ ხალხს. აქედანვე იღებს დასაბამს ბუნების საიდუმლოებათა ჩხრეკის სურვილიც; მათი ცოდნა სრულიად უსარგებლოა, მაგრამ ადამიანებს მხოლოდ ცოდნის გულისთვის სურთ შეიძინონ ცოდნა[129]. იმავე მიზანს - გაუკუღმართებული მეცნიერების მოთხოვნებს ემსახურება მაგიის მეშვეობით ცოდნის მიღწევა. აქედანვე წარმოსდგება რელიგიაშიც იმის სურვილი, რომ გამოსცადო ღმერთი და ნიშები თუ სასწაულები მოსთხოვო მას, მაგრამ არა სულის ხსნისათვის, არამედ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად[130].

---

[128] შდრ. ბოსიუე, „ტრაქტატი გულისთქმის შესახებ“, VIII: „ცდით შემოწმებისა და შეცნობის ამ სურვილს თვალთა გულისთქმა ჰქვია, რადგანაც გრძნობის ყველა ორგანოს შორის სწორედ თვალია შემეცნების მთავარი წყარო. გარკვეული აზრით, მზერა მოიცავს ყველა სხვა გრძნობას. და მართლაც, ასე ხომ არ ამბობენ მხოლოდ: „უყურე, რა მშვენიერია“, არამედ: „უყურე, რა მშვენიერი ყვავილია, რა ადვილი მოსახმარია, რა სასიამოვნო მუსიკაა“.

[129] თუმცა ნეტარი ავგუსტინე აღიარებდა და სათანადოდაც აფასებდა საერო მეცნიერებას („ღვთის ქალაქისათვის“, 19,18), მხოლოდ იმ პირობით, რომ მისგან განუყრელად უნდა ყოფილიყო თვინიერება და სიკეთე („წერილები“, 39,55; „იოანეს სახარებისათვის“, 27,5; „ფსალმუნებისათვის“, 142,5).

[130] შდრ. მათე IV, 7: „იესომ მიუგო: ესეც დაწერილია: არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი“.

56. ამ უკიდეგანო და უსიერ ტევრში, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე მახეა დაგებული და ურიცხვი განსაცდელი ემუქრება კაცს, შენი წყალობით, უკვე მრავალი მახე დავლეწე და მივყარ-მოვყარე. შენ მომეცი ამისი ძალა, ჩემო მხსნელო და მფარველო. მაგრამ განა გავბედავ და ვიტყვი, როცა უთვალავი საგანი ზათქით და გრიალით იჭრება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, დიახ, განა გავბედავ და ვიტყვი, არცერთ ამ საგანთაგანს არ შეუძლია მიიპყროს ჩემი ყურადღება, მიიტაცოს ჩემი მზერა და ფუჭი ცნობისმოყვარეობა აღმიძრას-მეთქი?

რა თქმა უნდა, თეატრი უკვე აღარ მიზიდავს[131], და არც მნათობთა მიმოქცევას ვიკვლევ[132]; ჩემს სულს არასოდეს მიუმართავს კითხვით აჩრდილთა სამყაროსათვის: მძულს და მეზიზღება ყოველგვარი მკრეხელური წეს-ჩვეულება[133], მაგრამ რა ცბიერებას აღარ მიმართავს მტერი, რაღას აღარ ჩამჩურჩულებს ყურში, რათა სასწაული მოგთხოვო ზეციოთ[134], უფალო ღმერთო ჩემო, ვისაც მორჩილებითა და სიმდაბლით უნდა გმსახურებდე. გევედრები, ჩვენი მეუფისა და ჩვენი წმინდა, ჩვენი უმწიკვლო საძმობლოს - ზეციური იერუსალიმის გულისთვის: როგორც დღესაა შორს ჩემგან ამნაირი აზრი, დაე, ასევე შორს იყოს მომავალშიც! დაე, სულ უფრო და უფრო გამშორდეს! ხოლო თუ გულმხურვალედ გთხოვ ვისიმე ხსნას, სულ სხვა რამ იქნება ამ ჩემი დაჟინებული თხოვნა-ვედრების მიზანი; და რაკი ყოველთვის იმას იქმ, რაც გსურს, როგორც დღემდე მაძლევდი, კვლავაც მომცემ იმის ძალას, რომ უყოყმანოდ აღვასრულო შენი ნება.

57. ვინ მოსთვლის, ყოველდღე რამდენი ფუჭი და უბადრუკი წვრილმანი ევლინება საცთურად ჩვენს ცნობისწადილს! ვინც აღნუსხოს, რამდენჯერ ვეცემით! რამდენი შემთხვევა გვახსოვს, თავდაპირველად თითქოს თავს რომ ვაიძულებთ მოთმინებით ვისმინოთ ყოვლად უაზრო ლაყბობა, რათა ჩვენს საბრალო თანამოსაუბრეს არ ვაწყენინოთ, შემდეგ კი ვამჩნევთ, რომ თურმე ხალისითა და სიამოვნებით ვუგდებთ ყურს. როცა ცირკში ვარ, საერთოდ არ ვუყურებმ როგორ მისდევს მწევარი კურდღელს, მაგრამ შემთხვევით მინდვრად რომ გავხდე კურდღელზე ნადირობის მოწმე, ამან შეიძლება ღრმა ფიქრში წასულიც კი გამომარკვიოს, და თუ ცხენს არ გადავახვევინებ გზიდან, თვალს მაინც გავაყოლებ გაქცეულს. და თუ შენ, ანაზდად რომ მიჩვენე მთელი ჩემი უმტკიცობა, დაუყოვნებლივ არ ჩამიხშობ სეირის ყურების უღირს სურვილს, რათა ამ ფუჭი სანახაობიდანაც კი გამოვიტანო ჩემთვის სასარგებლო დასკვნა და ამრიგად შენსკენ მოვიქცე, ან თვალი მაინც ავარიდო ამას და ჩემს გზას ვეწიო, - ვერასდიდებით თავს ვერ დავაღწევ ამ ჩემს უაზრო ცნობისწადილს.

[131] შდრ. „აღსარებანი“, წიგნი მესამე, II, 2.
[132] შდრ. „აღსარებანი“, წიგნი მეოთხე, III, 4; წიგნი მეშვიდე, V, 7.
[133] შდრ. „აღსარებანი“, წიგნი მეოთხე, II, 3.
[134] შდრ. მათე XII, 39: „ხოლო მან პასუხად თქვა: უკეთური და მემრუშე მოდგმა სასწაულს ეძებს; მაგრამ სასწაული არ მიეცემა მას“...

ხოლო როცა ჩემს კარ-მიდამოში ვსეირნობ, განა ჩემს ყურადღებას ხშირად არ იპყრობს ხვლიკი, ბუზებს რომ ეპარება დასაჭერად, ანდა ობობა, აბლაბუდას რომ აბამს მათთვის?[135] მერე რა, რომ ასეთი პაწაწინები არიან, განა ეს რამეს ცვლის? მალე კვლავ შენს ქებას ვიწყებ, საოცრებათა შემოქმედო, ყოვლის გარიგევ, მაგრამ განა ეს იყო ჩემი მიზანი, როცა ამ ხვლიკს, ობობას და ბუზებს ვუყურებდი? ერთია - მალე წამოდგე, და მეორე - საერთოდ არ დაეცე.

მთელი ჩემი სიცოცხლე ამ უბადრუკი წვრილმანებითაა სავსე, და მხოლოდ შენი უსაზღვრო გულმოწყალების იმედი მასულდგმულებს. ჩვენი გული სხვა არა არის რა, თუ არა ამნაირ წვრილმანთა შესაკრებელი, სადაც ერთმანეთში ალუფხულა ურიცხვი სიბრიყვე და სისულელე[136], ესოდენ ხშირად რაომ ამღვრევენ და არღვევენ ჩვენს ლოცვებს. და როცა შენს წინაშე მდგარნი ვცდილობთ როგორმე მოგაწვდინოთ ჩვენი გულის ხმა, სწორედ ამ დროს, არ ვიცი, საიდან გამოტყვრება მთელი ეს ამაოება და ესოდენ მნიშვნელოვან საქმეს გვაწყვეტინებს[137].

XXXVI

58. ნუთუ ამასაც უბადრუ წვრილმანად უნდა ვთვლიდეთ? ნუთუ შეიძლება სხვა რამის იმედი გვქონდეს, გარდა ჩვენთვის უკვე ცნობილი შენი უსაზღვრო გულმოწყალებისა, რაკიღა უკვე დაიწყე ჩვენი გარდაქმნა? შენ იცი, როგორც შემცვალე. უწინარეს ყოვლისა, თავის მართლების სურვილისაგან განმკურნე, „რათა შეგეწყალებინა დანარჩენი უსჯულოებანი ჩემი, გეწამლა ჩემი სნეულებისთვის, ხრწნილებისაგან გეხსნა ჩემი სიცოცხლე, წყალობის გვირგვინი დაგედგა ჩემთვის თავზე და სიკეთით დაგეცხრო ჩემი სურვილი“[138]. შენდამი შიშით დათრგუნე ჩემი ამპარტავნება და შენი უღელი დამადგი ქედზე[139]. და ახლა მე ვეწევი მას, და მსუბუქია იგი ჩემთვის. შენ აღმითქვი და კიდევაც აღასრულე ეს: ყოველთვის ასეთი მსუბუქი იყო, მაგრამ მე არ ვიცოდი, და მეშინოდა ქედს მედვა.

59. ნუთუ უფალო, ერთო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო, ვისთვისაც უცხოა ამპარტავნება, რადგანაც შენა ხარ ჭეშმარიტი მეუფე, და არ არის მეუფე შენზე უზენაესი, - ნუთუ ამ მესამე საცთურისაგან დავიხსენ თავი, თუ ამქვეყნიურ სიცოცხლეში არ მიწერია მისგან ხსნა? კერძოდ, იმის სურვილისაგან, რომ ხალხს ვუყვარდე და ეშინოდეს ჩემი, მხოლოდ იმიტომ, რომ თითქოს ესაა სიხარულის წყარო, თუმცა განა შეიძლება ჭეშმარიტი სიხარული

[135] „ნეტარ ავგუსტინეში ყოველთვის ცხოველ ინტერესს იწვევდა ბუნების მოვლენები. ის ყურადღებით აკვირდებოდა, თუ როგორ დახოხავს გველი („სამებისათვის“, 17,11,16); როგორ იკლაკნება შუაზე გაწყვეტილი ჭიაყელა თუ უნასი („სულის თვისებებისათვის“, 31, 62); როგორ იქცევიან ჩხუბის შემდეგ მამლები - გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც („წესრიგისათვის“, 1,8,25); როგორი ხელოვნებით იშენებენ ფრინველები ბუდეს. ის განცვიფრებული იყო თევზების მეხსიერებით და ტკბებოდა ბულბულის გალობით („ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის“, 42,79)“. - რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ. 255.

[136] შდრ. ბლეზ პასკალი: „რა ცარიელია ადამიანის გული და რამდენი სიბილწეა ამ სიცარიელეში“ („აზრები“, თბ. 1981, 225).

[137] შდრ. ბლეზ პასკალი: „როდესაც გვსურს ღმერთზე ვიფიქროთ, ხომ არის რაღაც, რაც ხელს გვიშლის და სხვა რამისკენ მიაქცევს ჩვენს აზრს? ყოველივე ეს ბოროტებაა, - თანდაყოლილი, ჩვენთან შობილი“ (იქვე, გვ. 296).

[138] ფსალმ. 102, 3-4.

[139] შდრ. მათე XI, 29-30.

ეწოდოს ამას? რა უბადრუკია ამნაირი სიცოცხლე, და რაოდენ ბილწი - ამნაირი ცუდმედიდობა! უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს აქარწყლებს შენს სიყვარულს და საღმრთო შიშსაც შენდამი, რადგანაც „ქედმაღალთ მუსრავ, მდაბალთ კი მადლით მოსავ“[140]; გრგვინვით ატყდები თავს ამქვეყნიურ ამაოებას, რისგანაც „ირყევა დედამიწა და ძრწიან საფუძველნი მთათანი“[141].

რაკიღა ზოგიერთი საზოგადოებრივი მოვალეობის აღსრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ადამიანს, თუკი უყვართ და ეშინიათ მისი, ამიტომ ჩვენი ჭეშმარიტი ბედნიერების მტერიც - ეშმაკი - სწორედ აქ გვიტევს და ყოველი ფეხის ნაბიჯზე სატყუარად წინ გვიფენს მზაკვრულ საცთურს - ქება-დიდებას, რასაც ესოდენ ხარბად მიველტვით და წინდაუხედვად ვებმებით ხოლმე ამ ვერაგულად დაგებულ მახეში; ამიტომაცაა, რომ შენი ჭეშმარიტებისაგან ვაცალკევებთ ჩვენს სიხარულს და ადამიანურ სიცრუეს ვუკავშირებთ მას. ჩვენ გვსიამოვნებს, რომ შენი გულისთვის კი არ ვუყვარვართ და ეშინიათ ჩვენი, არამედ შენს ნაცვლად. ამ გზით რომ გვიმსგავსებს, მტერი თავის თანამდგომებად გვაქცევს, მაგრამ არა სიყვარულისმიერი თანხმობისათვის, არამედ იმ მიზნით, რომ თავისი შეჩვენების თანამოზიარეებად გვაქციოს. სწორედ მან გადაწყვიტა „თავისი ტახტი დაედგა ჩრდილოეთით“[142], რათა მას, უკუღმართად და უგვანად მბაძავს შენსას, მსახურებდნენ წყვდიადითა და ყინვით მოცულნი.

ჩვენ კი, უფალო, აჰა, შენი „პატარა სამწყსო“[143]: მაშ, გვმწყემსე და გვიპატრონე. გაშალე ფრთები და შეგვიფარე. იყავ დიდება ჩვენი: აშინებდეთ ჩვენში! ვისაც სურს, რომ კაცნი შენ კი არა, მას ადიდებდნენ, შენმიერი განკითხვს დღეს ვერ დაიცავენ და ვერც შენი სასჯელისაგან დაიხსანიან ისინი. მაგრამ „ცოდვილს როდი აქებენ მის გულისთქმის გამო“, და არც „უღმერთოს აკურთხებენ უსჯულოებანი მისნი“[144], არამედ შენს მიერ ბოძებული ნიჭისათვის აქებენ კაცს, მაგრამ თუ ის ქებას უფრო შეჰხარის, ვიდრე შენგან ბოძებულ ნიჭს, რისთვისაც აქებენ და ადიდებენ, მაშინ შენ ჰკიცხავ და ჰგმობ მას. მაქებარი უკეთესია იმაზე, ვისაც აქებენ. პირველი ღვთის ნიჭს ატარებს კაცში, მეორეს კი კაცისაგან ბოძებული ნიჭი ურჩევნია ღვთისაგან ბოძებულს.

[140] I პეტრე V, 5; იაკ. IV, 6.
[141] ფსალმ. 17, 14; 8.
[142] ესაია XIV, 13-14.
[143] ლუკა XII, 32.
[144] ფსალმ. 9, 24.

XXXVII

60. ყოველდღიურად გვაცთუნებენ ეს საცთურნი, უფალო, განუწყვეტლივ და დაუსრულებლივ. კაცის ენა სხვა არა არის რა, თუ არა მუდმივად საცდელი ბრძმედი[145]. შენ აქაც გვიბრძანებ, ჩვენი თავის ბატონ-პატრონნი ვიყოთ: მოგვეცი, რასაც გვიბრძანებ, და გვიბრძანე, რაც გსურს. შენ გსმენია მწარე გმინვა ჩემი გულისა[146] და გიხილავს ჩემი თვალებიდან ღაპაღუპით ჩამონადენი ცრემლის მდინარენი. მიჭირს, ბოლომდე წარმოვიდგინო, რამდენად განვიწმინდე ამ ხრწნილებისგან, და მაძრწუნებს ის, რაც დაფარულია ჩემში[147]; რასაც ნათლად ჭვრეტს შენი თვალი, ჩემი კი - ვერა. როცა ნებისმიერ სხვა ცთუნებას ეხება საქმე, მე შემიძლია ასე თუ ისე მაინც შევამოწმო ჩემივე თავი, აქ კი ჩემი გამჭრიახობა თითქმის ვერასა მშველის. რაც შეეხება ხორციელ განცხრომასა თუ ფუჭ ცნობისწადილს, მე ნათლად ვხედავ, რამდენად შევძელი დამეურვებინა ჩემი სული, საკუთარი ნების ძალისხმევითა თუ იმის წყალობით, რომ ორივე ეს საცთური უცხო იყო ჩემთვის: ხომ შემიძლია ჩემს თავსა ვკითხო, რამდენად გამეძლება ან ერთის, ან მეორის გარეშე.

ახლა, თუ სიმდიდრეს იკითხავთ, რომელსაც იმის გამო მიელტვიან, რომ დაიკმაყოფილონ ამ სამ ვნებათაგან ერთ-ერთი, ან კიდევ ორი, ანდა სამივე ერთად, - თუკი სიმდიდრის მფლობელ სულს ვერ გაურკვევია, სძულს თუ არა იგი, მაშინ დიახაც შეუძლია თავის გამოსაცდელად უარი თქვას მასზე. მაგრამ როცა ქება-დიდება გვაკლდება? როგორღა შევამოწმოთ, რანაირად იმოქმედებს ეს ჩვენზე? ნუთუ იმდენად უკეთური, უგვანი და ცხოველური ცხოვრებით უდნა ვიცხოვროთ, რომ ყველა ნაცნობს შევძულდეთ? ამაზე დიდ უაზრობას ვერც იტყვის და ვერც წარმოიდგენს კაცი. თუ ქება ღირსეული ცხოვრებისა და კეთილი საქმის განუყრელი თანამგზავრია, ნურც ამნაირ თანამგზავრზე ვიტყვით უარს და ნურც ღირსეული ცხოვრებაზე. ხოლი გამიჭირდება თუ არა ამ სიკეთის გარეშე გაძლება, ამას მხოლოდ მაშინ გავიგებ, როცა აღარ მექნება ის, რაზედაც ვლაპარაკობდი.

61. მაშ, რაღას ვაღიარებ შენს წინაშე, უფალო, როცა ამ ცთუნებებზე გესაუბრები? იმას, რომ დიდ სიამოვნებას მანიჭებს ქება?[148] მაგრამ ქებას ათასწილ მიჯობს ჭეშმარიტება. რადგანაც ჩემთვის რომ ეკითხათ, რა გირჩევნია - რეგვენი იყო, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ცდებოდე, მაგრამ ყველანი გაქებდნენ და გადიდებდნენ, თუ გონიერსა და ჭეშმარიტების ქედუხრელ დამცველს საყოველთაო გმობა და ლანძღვა-გინება გატყდებოდეს თავსო, - მე ვიცოდი, რასაც ავირჩევდი. მხოლოდ იმას კი არ ვისურვებდი, რომ სხვის ქებას გაეზარდა

[145] შდრ. იგავნი სოლომ. XXVII, 21.
[146] შდრ. ფსალმ. 37, 9.
[147] შდრ. ფსალმ. 18, 13; 89, 8.
[148] „ნეტარი ავგუსტინეს ოცდამეორე წერილში კართაგენის ეპისკოპოს ავრელიუსისადმი გადმოცემულია მოკლე მსჯელობა ქება-დიდების სიყვარულისა და იმ საფრთხის შესახებ, რასაც ეს სიყვარული უქადის ეკლესიის მსახურთ. ნეტარი ავგუსტინე აღიარებს, რომ მას თვითონაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს ქება-დიდება“. - პიერ დე ლაბრიოლის შენიშვნა. იხ. „აღსარებათა“ დასახ. გამოც. გვ. 286.

ჩემი სიხარული იმ მცირეოდენი სიკეთის გამო, რაც არის ჩემში; არადა, ნამდვილად ზრდის, გმობა კი, პირიქით, ამცირებს.

და სწორედ მაშინ, ჩემი სიმწირითა და უბადრუკობით შემკრთალს მომეძალება ხოლმე თავის მართლების სურვილი. შენ კარგად იცი, უფალო, ამისი ფასი, მაგრამ მე კი დიდად მაცბუნებს. აკი გვიბრძანე, რომ არა მარტო თავშეკავება გვმართებს, რაც გვავალებს გულში ჩავიკლათ ზოგ-ზოგი რამის სიყვარული, - არამედ სამართლიანობაც, რათა ვიცოდეთ, რისკენ მივმართოთ იგი. თავად ინებე, რომ არა მარტო შენ გვყვარებოდი, არამედ ჩვენი მოყვასიც. ამიტომ როცა გონიერი და გულისხმიერი კაცის ქებას ვისმენ და ამ ქებით ვტკბები, ასე მგონია, მოყვასის ზრდითა თუ მისი ზრდის იმედით ვხარობ, და პირიქით, მისი მანკიერება მაწუხებს, როცა ის ჰგმობს ან იმას, რაც არ ესმის, ან იმას, რაც კარგია.

ზოგჯერ კი ის ქებაც მაწუხებს, მე რომ მიძღვნიან, თუკი იმას აქებენ ჩემში, რაც მე თვითონ არ მომწონს, ან უფრო მეტ ფასს სდებენ ჩემს რომელიმე თვისებას, ვიდრე იმსახურებს. მაგრამ ვინ მეტყვის, რა იწვევს ჩემში ამ გრძნობას? იქნებ მე არ მსურს, რომ ჩემი მაქებარი სხვა აზრისა იყოს ჩემზე, ვიდრე თვითონ მე ვარ, - და ნაკლებად ვზრუნავ მასზე: ჩემი კეთილი თვისება, რომელიც თვითონვე მომწონს, ჩემთვის უფრო სასიამოვნო ხდება, თუკი ის სხვისთვისაც მოსაწონია. ხოლო თუ იმას, რასაც ჩემსავე თავზე ვფიქრობ, ქების ღირსად არ თვლიან, მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ არც მე მაქებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში ან იმას მიქებენ, რაც თავად არ მომწონს, ან უფრო მეტად მიქებენ იმას, რაც ნაკლებად მოსაწონად მიმაჩნია ჩემში. მართლა გამოცანა ხომ არა ვარ ჩემივე თავისათვის?

62. და აი, ჭეშმარიტებავ, როგორც ჩანს, ჩემი გულისთვის კი არა, მოყვასის სასიკეთოდ უნდა მძრავდეს და მაღელვებდეს ქება-დიდება, მე რომ მიძღვნიან. მაგრამ მართლა ასეა ეს? არ ვიცი. ამ მხრივ, საკუთარ თავს უფრო ნაკლებ ვიცნობ, ვიდრე შენ[149]. გევედრები, ღმერთო ჩემო, მიჩვენე ჩემივე თავი, რომ ჩემი წყლულების შემყურემ აღსარება ვუთხრა ჩემს მოყვასთ, რათა მათ ილოცონ ჩემთვის. მომეცი ძალა, უფრო ღრმად გამოვიძიო ჩემივე თავი. თუ მაშინ, როცა მაქებენ, მხოლოდ მოყვასის სიკეთეზე ვზრუნავ, მხოლოდ მისი ბედი მაღელვებს, მაშინ რატომაა, რომ გაცილებით უფრო ნაკლებ ვღელავ, როცა ჩემდამი კი არა, მოყვასისადმი მიმართულ დაუმსახურებელ გმობასა და ყვედრებას ვისმენ? რატომაა, რომ უფრო მეტ ტკივილს მაყენებს პირადი შეურაცხყოფა, ვიდრე მოყვასისა, რომელსაც ჩემი თანდასწრებით ასევე უსამართლოდ შეურაცხყოფენ? ნუთუ ესეც არ ვიცი? მაშ, რაღა დამრჩენია, გარდა იმისა, რომ „თავი მოვიტყუო“[150] და გეცრუო ენით თუ გულით? განმარიდე ეს უგუნურება, უფალო, „ნუ მისდრეკ ჩემს გულს უკეთურ სიტყვათა მიმართ, და ნუ სცხებ ჩემს თავს ცოდვილის ზეთს“[151].

---

[149] შდრ. ამავე (მეათე) წიგნის ერთი პასაჟი (V, 7); „...ვიცი შენზე რაღაც ისეთი, რაც თვით ჩემზედაც არ ვიცი“.
[150] შდრ. გალატ. VI, 3.
[151] ფსალმ. 140, 5.

XXXVIII

63. „მწირი ვარ და უპოვარი“[152], მაგრამ უკეთესი მაშინა ვარ, როცა ჩემივე თავის მოძულე ფარული გმინვით დავეძებ შენს მოწყალებას, რათა აღივსოს ნაკლოვანება ჩემი და ვეზიარო სიმშვიდეს, რომელიც უცხოა ქედმაღალთა თვალისათვის. მაგრამ ბაგეთაგან გამომავალი სიტყვანი და კაცთათვის ცნობილი საქმენი ყველაზე სახიფათო საცთურით გვაცთუნებენ[153]: ქება-დიდების წყურვილით, მათხოვარივით ხელგაწვდილი რომ თხოულობს ხოტბას, რათა ამრიგად აგვამაღლოს მოყვასის თვალში. ეს ვნება მაშინაც კი მაცთუნებს ხოლმე, როცა ის მხილებას ვცდილობ, და მაცთუნებს თვით იმით, რომ მსურს მხილებით დავთრგუნო: ფუჭი დიდების სიძულვილით არცთუ იშვიათად ინიღბება მასზე გაცილებით უფრო ფუჭი სიქადული. ნურავინ იტყვის, დიდება მძულსო, თუ თავი მოაქვს მისი სიძულ-ვილით.

XXXIX

64. ჩვენს არსებაში ღრმად გაუდგამს ფესვი კიდევ ერთ ამნაირ ცთუნებას, რომელსაც შეუძლია გამოფიტოს იმისი სული, ვისაც მოსწონს თავისი თავი, თუმცა სხვებს არამცთუ მოსწონთ, სძულთ კიდეც იგი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება არც კი ცდილობდეს თავი მოაწონოს მათ. თავმომწონე საძულველი ხდება შენთვის, არა მარტო იმიტომ, რომ სიკეთედ მიაჩნია უკეთურება, არამედ იმიტომაც, რომ შენს კეთილ საქმეს ითვისებს, ხოლო თუ მაინც შენეულად სახავს, რატომღაც ჰგონია, რომ მისი წყალობით აღსრულდა იგი. შენც რომ მოგაწერდეს ამ კეთილ საქმეს, სხვებთან ერთად როდი ხარობს ამით, არამედ შურით ივსება მათ მიმართ, ვისაც საშუალება აქვს ისარგებლოს ამ სიკეთით. აი, რანაირ განსაცდელსა და გასაჭირში ჭვრეტ ჩემი გულის თრთოლას, და მე ვგრძნობ, რომ მოწყალედ განმკურნავ წყლყულებისაგან, მაგრამ, ამასთანავე, კვლავ და კვლავ მომწყლავ.

XL

65. სადღა არ ყოფილხარ ჩემთან ერთად, ჭეშმარიტებავ, რათა დაგემოძღვრე, რისი ძებნა მმართებდა და რას უნდა მოვრიდებოდი, როცა ქედმოდრეკით გიზიარებდი ჩემს მწირ ზრახვებს და რჩევას გთხოვდი. შეძლებისდაგვარად მოვიხიბლე ჩემი გრძნობებით გარე სამყარო, მცდელი თვალით ჩავხედე ცხოვრებას, სიცოცხლეს რომ ანიჭებს ჩემს სხეულს, და თვით ჩემს ხორციელ გრძნობებსაც. შემდეგ კი ჩემი მეხსიერების - ამ ვრცელი და მრავალფე-როვანი საცავის იდუმალ სიღრმეშიც - ამ ვრცელი და მრავალფეროვანი საცავის იდუმალ

[152] ფსალმ. 108, 22.
[153] შდრ. მათე XV, 18-20.

სიღრმეშიც შევაღწიე, რომელიც სავსეა ურიცხვი განძით; განცვიფრებული ვაკვირდებოდი ამ სიმდიდრეს და ვძრწოდი: უშენოდ, ალბათ, ვერაფერსაც ვერ გავარჩევდი, მაგრამ შენ როდი იყავი ყოველივე ეს.

მე თვითონ როდი შევძლებდი ყოველივე ამის მიკვლევას, თუმცა ყველგან შევაღწიე და ვცადე ღირსებისამებრ შემეფასებინა ყოველი: ზოგი რამ შემმავე გრძნობებმა მაუწყეს, ზოგიც - ისეთი განცდა მქონდა, - თითქოს შემზრდოდა და შემსისხლხორცებოდა, ასე რომ, სხვაგან აღარ მჭირდებოდა მათი ძიება, თვითონვე ვარჩევდი ამ ჩემს მაცნეებს და თავ-თავის ადგილას მივუჩენდი თვითეულ მათგანს, ჩემი მდიდარი საგანძურიდან ვიღებდი, ვაჯგუფებდი, ვახარისხებდი, ზოგს ვჩქმალავდი, ზოგი კი, პირიქით, დღის სინათლეზე გამოქონდა. მე ვიძიებდი, მე ვიკვლევდი ყველაფერს, - მე, ანუ ჩემივე ძალა, - მაგრამ ეს არ იყავი შენ. რადგანაც შენა ხარ მარადიული ნათელი[154], რომელსაც ვეკითხებოდი სხვადასხვა საგანთა არსის, თვისებისა თუ ღირებულების ჭეშმარიტ ხარისხს და უყოყმანოდ ვიზიარებდი შენს რჩევასა თუ ბრძანებას. ასე ვიქცეოდი და ვიქცევი დღესაც: ესაა ჩემი სიხარული, ჩემი მყუდრო თავშესაფარი, რომელსაც ვეხიზნები ყოველთვის, როცა ამის საშუალებას მაძლევენ, გადაუდებელი საქმენი. ყოველივე იმაში, რასაც მიმოვიხილავ და რის თაობაზეც ვეკითხები რჩევას, მხოლოდ ერთ უშფოთველ სადგურს ვპოულობ ჩემი სულისთვის: ესა ხარ შენ, რადგანაც მხოლოდ შენში გროვდება, შენში იყრის თავს ჩემი გაფანტული აზრები, და არაფერი ჩემეული აღარა გშორდება შენ. ხანდახან სულის სიღრმეში იმდენად უჩვეულო და უნეტარეს განცდას აღმიძრავ, რომ თუ მას სრული გასაქანი მიეცემოდა, ამქვეყნიურ ცხოვრებაში ნამდვილად ვერაფერს შევადარებდი. მაგრამ მალე კვლავ ვუბრუნდები მიწიერი სინამდვილის უბადრუკობას ჩემი მწარე ხვედრის სიმძიმით ქვედადრეკილი. რაც უფრო მწარედ ვგმინავ და თავგანწირული ძალისხმევით ვცდილობ თავი დავაღწიო ჩემი ძველი ჩვეულებების ტყვეობას; მით უფრო ღრმად ვეფლობი მათ ჭაობში. აი, რაოდენ მძიმეა და წელში გამწყვეტი ჩვეულებების ტვირთი! აქ ყოფნა შემიძლია, მაგრამ არა მსურს, იქ ყოფნის ძალი არ შემწევს, მაგრამ მხოლოდ ეს მწადია: აი, ორმაგი სისაწყლე ჩემი.

[154] შდრ. I იოანე I, 5: „ეს არის აღთქმა, რომელიც ვისმინე მისგან, და გაუწყებთ თქვენ, რომ ღმერთი არის ნათელი და არ არის მასში არავითარი ბნელი“. შდრ. აგრეთვე იაკ. I, 17.

XLI

66. აი, რატომ განვიხილე ჩემი ცოდვები, რომელთა გამოც ვემონები სამმაგ გულისთქმას[155], და შენს მარჯვენას ვუხმე[156] ჩემდა სახსნელად. გულმოწყლულმა ვიხილე შენი ნათელი, და მისი ბრწყინვალებით თვალდავსილმა ვთქვი: ვინ გაუძლებს ამას? „მოწყვეტილი ვარ შენს თვალთაგან“[157]. შენა ხარ ჭეშმარიტება, ყოვლის მეუფე, და მე, ჩემი სიხარბის გამო, არ მინდოდა შენი დაკარგვა, მაგრამ, ამასთანავე, ისიც მსურდა, რომ შენთან ერთად სიცრუის მფლობელიც ვყოფილიყავი. რადგანაც ისე ვინ ემონება სიცრუეს, რომ თვითონაც არ იცოდეს, რა არის ჭეშმარიტება. აი, ასე დაგკარგე, რადგანაც შენს თავს არ აღირსებ იმას, ვისაც სურს შენთან ერთად სიცრუესაც ფლობდეს.

XLII

67. ვინ მოვძებნო, რომ შემარიგოს შენთან? ანგელოსებს მივმართო? კი მაგრამ, რანაირი ლოცვით? რანაირი მსხვერპლშეწირვით? რამდენს უცდია დაგბრუნებოდა, მაგრამ ძალა არა ჰყოფნია საამისოდ; ამიტომ, როგორც მსმენია, ამნაირი საშუალებისათვის მიუმართავთ: უჩვეულო ხილვებს მიელტვოდნენ, რის გამოც, სავსებით სამართლიანად, თავიანთი ილუზიების მსხვერპლნი შეიქნენ. ფუჭი მეცნიერებით გალაღებულნი გეძებდნენ შენ, ამაყად თავაღერილნი, ნაცვლად იმისა, რომ მდაბლად მოედრიკათ ქედი[158]. სულიერი სიახლოვისა და ნათესაობის წყალობით, თავიანთი სიამაყის თანამდგომებად აქციეს „ჰაერის ხელმწიფენი“[159], რომელთაც მაგიის ძალით აცთუნეს ისინი. დაუცხრომლად ეძებდნენ შუამავალს, რომელიც განწმენდდა მათ, მაგრამ ვერსად იპოვეს იგი: იყო მხოლოდ „სატანა, სინათლის ანგელოსის სახის მიმღები“[160]. მათ ხორციელ სიამაყეს ყველაზე მეტად ის აცთუნებდა, რომ ამ უკეთურ სულს არ ჰქონდა ხორციელი სხეული.

ისინი იყვნენ მოკვდავნი და ცოდვილნი. შენ კი, უფალო, ვისთანაც შერიგების გზას ეძებდნენ, უკვდავი ხარ და უცოდველი. ამიტომ ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი რაღაცით უნდა მგვანებოდა ღმერთს, რაღაცით კი - ადამიანებს[161]. ყოველმხრივ ადამიანების მსგავსი რომ ყოფილიყო, მაშინ შორს იქნებოდა ღმერთისაგან, ხოლო ყოველმხრივ რომ მგვანებოდა ღმერთს, ასევე შორს იქნებოდა კაცთაგან, და ვეღარ შესძლებდა შეესრულებინა შუამავლის მოვალეობა. მაგრამ ამ ცრუ შუამავალს[162], რომელსაც შენი იდუმალი

[155] იგულისხმება „გულისთქმა ხორცის, გულისთქმა თვალის და სიამაყე არსებობისა“ (I იოანე II, 16).
[156] ფსალმ. 17, 36.
[157] ფსალმ. 30, 23.
[158] შდრ. „აღსარებანი“, წიგნი მეოთხე, III, 4.
[159] ეფეს. II, 2.
[160] II კორ. XI, 14.
[161] იგულისხმება იესო ქრისტე. შდრ. I ტიმ. II, 5.
[162] იგულისხმება ანტიქრისტე.

მიზანდასახულობა საშუალებას აძლევს შეარცხვინოს ამპარტავანნი, ადამიანებთან მხოლოდ ერთი რომ აქვს საერთო, სახელდობრ, ცოდვა. მაგრამ მას სურს თავი ისე მოაჩვენოს ხალხს, თითქოს ღმერთთანაც ჰქონდეს რაღაც საერთო: რაკი მოკვდავი სხეული არ მოსავს, ამიტომაც თავი მოაქვს უკვდავებით. მაგრამ რაკი „ცოდვის საზღაური არის სიკვდილი“[163], ადამიანებთან ის აქვს საერთო, რომ მათთან ერთად განწირულია სიკვდილისათვის.

XLII

68. ხოლო ჭეშმარიტი შუამავალი, რომელიც შენი იდუმალი გულმოწყალებით მოუვლინე და გამოუცხადე ადამიანებს, რათა მისი მაგალითით ესწავლათ თვინიერება, „შუამავალი ღმერთსა და კაცთა შორის, კაცი იესო ქრისტე“[164] მოკვდავ ცოდვილთა და უკვდავი მართლის შუამდგომელი გახდა: მოკვდავი, როგორც კაცნი, და მართალი, როგორც ღმერთი. და რაკი სიმართლის საზღაური სიცოცხლეა და მშვიდობა, თავისი სიმართლით, ღმერთთან რომ აერთებს მას, ცოდვილთა გასამართლებლად დათრგუნა სიკვდილი, რაკიღა ისურვა მათსავით მომკვდარიყო. ძველ წმიდანებსაც მოუვლინე იგი, რათა მისი მომავალი ვნებებისადმი რწმენით გეხსნა და გეცხოვნა ისინი, როგორც ჩვენ გვაცხოვნებ მისი წარსული ვნებებისადმი რწმენით. როგორც კაცი, ის შუამავალია, როგორც სიტყვა კი - არა, რადგანაც სწორია ღმერთისა, ღმერთია ღმერთთან და თვითონვეა ერთი ღმერთი[165].

69. როგორ შეგვიყვარე, მამაო სახიერო, რომ არ დაინდე შენი მხოლოდშობილი ძეც და ჩვენებრ უკეთურთა სახსნელად მიეცი იგი?![166] როგორ შეგვიყვარე, რომ მან, ვისაც „ნაძარცვად არ შეურაცხავს შენს სწორად ყოფნა, თავი დაიმდაბლა და მორჩილი გახდა ვიდრე თვით ჯვარზე სიკვდილამდე“[167], „ერთადერთმა თავისუფალმა მკვდართა შორის“[168], რომელსაც ჰქონდა „ხელმწიფება დაედო და კვლავ დაეუბრუნებინა სული თვისი“[169]. იგია შენს წინაშე მძლეველიცა და მსხვერპლიც; მსხვერპლი რომაა, სწორედ იმიტომაა მძლეველი. იგია შენს წინაშე ჩვენი მღვდელმთავარიცა და შემონაწირიც; შემონაწირი რომაა, სწორედ

[163] რომ. VI, 23.

[164] I ტიმ. II, 5.

[165] შდრ. „ღვთის ქალაქისათვის“, IX, 15: „თუ ყველა კაცი უცილობლად უბედურია, რაკიღა სასიკვდილოდაა განწირული, უნდა ვეძებოთ შუამდგომელი, რომელიც მარტოოდენ კაცი კი არ იქნება, არამედ ღმერთიც, რათა მისმა კურთხეულმა მოკვდავობამ მათი მოკვდავი სისაწყლიდან რომ იხსნის ადამიანებს, კურთხეული უკვდავების მიმართ მიაქციოს ისინი. ეს შუამდგომელი მოკვდავი გახდა, ისე, რომ არ დაუკნინებია სიტყვის ღვთაებრიობა, არამედ მხოლოდ ხორცის უჩლურება შეიმოსა. აუცილებელი იყო, რომ მასში ერთმანეთს შერწყმოდა წარმავალი მოკვდავობა და წარუდინებელი ნეტარება, რათა იმისდა კვალად, რაც წარმავალია, სასიკვდილოდ განწირულთ დამსგავსებოდა და სიკვდილის წიაღიდან მარადისობის საუფლოში შეეყვანა ისინი“.

[166] შდრ. რომ. VIII, 32.

[167] ფილიპ. II, 6-8.

[168] შდრ. ფსალმ. 87, 6. „თავისუდალი მკვდართა შორის“: „ამ სიტყვებში სავსებით ნათელია სახე უფლისა. ვინ შეიძლება თავისუფალი იყოს მკვდართა შორის, გარდა იმისა, ვინც ცოდვილთა შორის ერთადერთია უცოდველი?.. მკვდართა შორის ისაა თავისუფალი, ვისაც ჰქონდა ხელმწიფება მიეცა სული თვისი და კვლავ დაებრუნებინა იგი“ („ფსალმუნებისათვის“, 87).

[169] იოანე X, 18.

იმიტომაა მღვდელმთავარი. მონები ვიყავით და შენს შვილებად გვაქცია; შენგან შობილი ჩვენს მონად და მსახურად იქცა.

ამიტომაც უფლება მაქვს, მისი იმედით მედგას სული: შენ განკურნავ ყოველგვარ სნეულებას ჩემსას მისი მეოხები[170], ვინც მარჯვნივ გიზის და ჩვენი მეოხია შენს წინაშე[171]; ასე რომ არა, ვისი იმედითთა უნდა მეცოცხლა? ურიცხვია და უმწარესი სნება და სატკივარი ჩემი; ურიცხვია და უმწარესი, მაგრამ შენი მკურნალობა უმეტესია. შეიძლებოდა გვეფიქრა, თითქოს შენი სიტყვა იმდენად შორსაა კაცისაგან, რომ შეუძლებელია მას შეუერთდეს, და ამაზე ფიქრი სასოს მიგვხდიდა, მაგრამ შენი „სიტყვა ხორცად იქცა, და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით სავსე“[172].

70. ჩემი ცოდვებით შეძრწუნებულმა და ჩემი სიგლახაკით დათრგუნვილმა უდაბნოში გაქცევა გადავწყვიტე, მაგრამ შენ აღმიდექი წინ და ამ სიტყვებით განმამტკიცე: „ქრისტე იმიტომ მოვკდა ყველასთვის, რომ ცოცხალნი თავისთვის კი აღარ ცოცხლობდნენ, არამედ მისთვის, ვინც მათთვის მოკვდა“[173]. და აჰა, უფალო, „შენ მოგანდობ ჩემს საზრუნავს“[174], რათა ვცხონდე და „ვიხილო საოცრებანი შენი სჯულისა“[175]. შენ იცი უმეცრება და უმწეობა ჩემი: მასწავლე და განმკურნე მე[176]. შენმა მხოლოდშობილმა ძემ, „რომელშიაც დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის მთელი საუნჯე“[177], თავისი სისხლით გამომისყიდა. მაშ, ცილს ნუ მწამებენ მზვაობარნი, რადგანაც ვიცი ჩემი გამოსასყიდის ფასი, როცა ვჭამ, ვსვამ და მოყვასთაც ვუწილადებ წმიდათა-წმიდა მსხვერპლს; ღარიბ-ღატაკსა და უპოვარს მსურს გავძღე მათთან ერთად, ვისაც შია და ძღება: „და ადიდებენ უფალს მაძიებელნი მისნი“[178].

[170] შდრ. მათე IV, 23.
[171] რომ. VIII, 34.
[172] იოანე I, 14.
[173] II კორ. V, 15.
[174] ფსალმ. 54, 23.
[175] ფსალმ. 118, 18.
[176] ფსალმ. 6, 3.
[177] კოლ. II, 3.
[178] ფსალმ. 21, 27.

წიგნი მეთერთმეტე

I

1. ნუთუ, უფალო, ვისი ხვედრიცაა მარადისობა, არ იცი, რასაც გეუბნები? ან იქნებ იმას, რაც დროში ხდება, მხოლოდ დროშივე ჭვრეტ? კი მაგრამ, მაშინ ასე დაწვრილებით რატომღა გიყვები ამას? რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ჩემგან გაიგო ყოველივე ეს, არამედ იმიტომ, რომ შენდამი სიყვარული აღვძრა ჩემშიაც და ჩემი მკითხველების გულშიაც, რათა ყველამ თქვას: „დიდი ხარ, უფალო, და ღირსი იმისა, რომ ყველა გაქებდეს“[1]. ზემოთ უკვე ვთქვი და კვლავაც ვიტყვი[2]. ამას იმიტომ ჩავდივარ, რომ შენი სიყვარული მიყვარს. ჩვენ ხომ ვლოცულობთ, თუმცა ჭეშმარიტება გვეუბნება: „მამამ თქვენმა, ვიდრე სთხოვდეთ, მანამდეც იცის, თუ რა გჭირდებათ“[3]. ამრიგად, ჩვენს გრძნობებს მაშინ გიმჟღავნებთ, როცა აღსარებას გეუბნებით და ჩვენს უბედურებასა და ჩვენდამი შენს გუმოწყალებას ვაღიარებთ; მაშ, დაასრულე ჩვენი განთავისუფლება, რაც უკვე დაგიწყია, რათა უბედურნი კი არ ვიყოთ ჩვენდა თავად, არამედ ბედნიერნი - შენში. აკი მოგვიწოდე, ვყოფილიყავით სულით გლახაკნი, მშვიდნი, მგლოვიარენი, სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი, გულით უმანკონი და მშვიდობისმყოფელნი[4].

ამიტომაც გაგანდე ამდენი რამე, როგორც შემეძლო და რაც მსურდა. აკი პირველმა თვითონ ისურვე, აღსარება მეთქვა შენთვის, უფალო ღმერთო ჩემო, „რადგანაც კეთილი ხარ და უკუნისამდეა წყალობა შენი“[5].

II

2. მაგრამ იკმარებს კია ჩემი კალამი[6] საიმისოდ, რომ გადმოსცეს შენი ყოველი შეგონება, შენი ყოველი მუქარა, ყოველი ნუგეში თუ შთაგონება, რომელთა მეოხებითაც იქამდე მიმიყვანე, რომ შენი სიტყვა მექადაგა და შენივე საიდუმლოებანი გამენდო შენი ერისთვის?[7] თუმცა კიდევაც რომ იკმაროს ყოველივე ამის დალაგებით და მწყობრი წესრიგით გადმოსაცემად, ჩემთვის მაინც ფასდაუდებელია და ძვირად მიღირს დროის ყოველი წამი[8].

---

[1] ფსალმ. 95, 4.
[2] იხ. „აღსარებანი“, I, 1.
[3] მათე VI, 8.
[4] იხ. მათე V, 3-9.
[5] ფსალმ. 117, 1.
[6] დედანში „lingua calami“ - „კალმის ენა“.
[7] 397 წლიდან ნეტარი ავგუსტინე ეპისკოპოსი იყო ჰიპონში.
[8] დედანში: „stilla temporum“ - „დროის წვეთი“. ნეტარი ავგუსტინე წყლის საათს (კლეპსიდრა) გულისხმობს.

რა ხანია მწვავს იმის სურვილი, რომ შენს სჯულზე ვიფიქრო, რათა ამ გზით ვაღიარო ჩემი ცოდნაც და უმეცრებაც, შენი სინათლის პირველი გამონაკრთომიც და ჩემში შთენილი ჩრდილიც ბნელისა, ვიდრე შენი ძალმოსილება არ შთანთქავს ჩემს უძლურებას. არ მინდა სხვა რამეს მოვახმარო ის დრო, რომელიც მრჩება მას შემდეგ, რაც ჩემს თავზე აუცილებელ ზრუნვას, გონებრივ შრომასა და კაცთა მიმართ სამსახურს მოვრჩები, რომელიც ზოგჯერ აუცილებელია, ზოგჯერ კი არა, მაგრამ მე მაინც ვერ ვეშვები მას.

3. უფალო ღმერთო ჩემო, შეისმინე ჩემი ლოცვა[9]; შენი წყალობით ყურად იღე ჩემი სურვილი, რომელიც მარტოოდენ ჩემთვის როდი ბობოქრობს ჩემში; მისი მეოხებით მინდა რაიმე ვარგო ჩემს მოყვასთ. აკი ხედავ, გულთამხილავო, რომ ეს ასეა. ნება მიბოძე მსხვერპლად შემოგწირო ჩემი სიტყვაც და აზრიც. მომეცი, რაც უნდა გიძღვნა, „რადგანაც ღარიბ-ღატაკი ვარ“[10], „შენ კი გულუხვი ბრძანდები ყველა შენი მხმობელის მიმართ“[11]. ყოველგვარი საზრუნავისაგან თავისუფალი ჩვენზე ზრუნავ. მაშ, წარხოცე ყოველგვარი უგუნურება და სიცრუე ჩემშიაც და ჩემს გარეთაც; დე, ნუ დასცდება იგი ჩემს ბაგეს, რათა წმიდა სიხარულად მექცეს შენი საღმრთო წერილი, რომ თავი ავარიდოთ საცთურს და არც თვითონ გავხდე სხვისი ცთუნების მიზეზი. მისმინე, უფალო[12], და შემიწყალე, უფალო ღმერთო ჩემო, უსინათლოთა ნათელო და უძლურთა ძალავ, მარადჟამ ნათელო მხედველთა და ძლიერთა ძალმოსილებავ; ისმინე ღაღადისი ჩემი სულისა, უფსკრულიდან რომ გიხმობს[13]. მაგრამ თუ ყურს არ მოაპყრობ ამ უფსკრულს, სადღა წავიდეთ? ვის შევღაღადოთ?

„შენია დღე და შენია ღამე“[14], შენი ნებით მიჰქრიან წამნი. უშურველად მომმადლე დრო, რათა გამუდმებით ვიფიქრო იმაზე, რაც დაფარულია შენს სჯულში; ნუ დახშავ კარს მის წინაშე, ვინც გიკაკუნებს. განა ამაოდ უკარნახე წინასწარმეტყველთ უღრმესი საიდუმლოს შემცველი ამდენი გვერდი? განა ამ უსიერ ტევრში არ ბინადრობენ ირმები, რომლებიც იმისთვის მოდიან აქ, რომ თავი შეაფარონ ჩრდილს, ან იხტუნონ, იკუნტრუშონ, ძოვონ, მოისვენონ და იცოხნონ?[15] ო, უფალო, გამინათლე გონება და გამიმჟღავნე საღმრთო წერილის საიდუმლო. შენი ხმა ჩემი სიხარულია, ყოველნაირ სიტკბოებაზე უტკბესი. მომეცი, რც მიყვარს: მე ხომ ნამდვილად მიყვარს. და სიყვარულიც შენ მომეცი. ნუ მომაკლებ შენს მოწყალებას, ნუ ააღებ ხელს შენს უმწეო ბალახს, შენი იმედით რომ ცოცხლობს და ცდილობს ხარბად შეისრუტოს ცით მოვლენილი ცვარ-ნამი. მინდა აღსარება გითხრა და ვაღიარო

[9] ფსალმ. 60, 2.
[10] ფსალმ. 85, 1.
[11] რომ. X, 12.
[12] იერ. XVIII, 19.
[13] ფსალმ. 129, 1.
[14] ფსალმ. 73, 16.
[15] ნართაული მინიშნება ოცდამერვე ფსალმუნის მეცხრე მუხლზე. „უფლის ხმა - შენიშნავს ნეტარი ავგუსტინე ამ ფსალმუნის განმარტებისას (Migne, XXXVI, 214), - უწინარეს ყოვლისა, სრულქმნილებისაკენ მიუძღვის ყველას, ვისაც ძალი შესწევს დასძლიოს და დათრგუნოს მოწამული ენის სიტყვები. ის მათ წინაშე გადაშლის საღმრთო წერილის ბუნდოვანებას, მის უღრმეს საიდუმლოთა უსიერ ტევრს, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფლად ძოვონ“.

ყველაფერი, რასაც საღმრთო წერილში ვპოვებ, რათა „ვისმინო ხმა ქებისა“[16], დაგეწაფო და განვიცადო „შენი სჯულის საოცრებანი“[17], დასაბამიდან მოყოლებული, როცა შეჰქმენი ცა და მიწა, საუკუნო სასუფევლით დამთავრებული, რომელსაც შენთან ერთად იზიარებს შენივე წმიდა ქალაქი.

4. უფალო, შემინყალე და შეისმინე ჩემი სურვილი[18]. არაფერი ამქვეყნიური არა მსურს: არც ოქრო-ვერცხლი, არც პატიოსანი თვლები, არც სასალუქო სამოსი, არც სახელი და დიდება, არც ძალაუფლება, არც ხორციელი განცხრომა, არც ის, რაც აუცილებელია ჩვენი სხეულისათვის ამქვეყნიური ცხოვრების გზაზე, ვინაიდან „ყოველივე ეს მოგვეცემა, ვინც ვეძიებთ უპირველესად უფლის სასუფეველსა და მის სიმართლეს“[19].

იხილე, ღმერთო ჩემო, საიდან იღებს დასაბამს ჩემი სურვილი. „მიამბეს უკეთურებმა თავიანთი ტკბობის ამბავი, მაგრამ არა შენი სჯულისამებრ, უფალო“[20]. აი, საიდან წარმოსდგება ჩემი სურვილი. მომხედე, მამაო, მიხილე და შემინყნარე, რათა ვპოვო წყალობა შენი მოწყალების წინაშე, და გაიღოს ჩემს კაკუნზე შენს სიტყვებში დაფარული იდუმალების კარი. გემუდარები ჩვენი უფლის - იესო ქრისტეს სახელით, მარჯვნივ რომ გიზის, კაცის ძის სახელით[21], რომელიც დაადგინე შუამავლად შენსა და ჩვენს შორის, ვისი მეოხებითაც გვეძებდი შენს არმძებნელთ; მიტომ გვეძებდი, რომ ჩვენ გვეძებნე. გემუდარები შენი სიტყვის სახელით, რომლის მეოხებითაც შეჰქმენ ყოველი, და მათ შორის მეც; შენი მხოლოდშობილი ძის სახელით, ვისი მეოხებითაც იშვილე მორწმუნენი, და მათ შორის მეც; გემუდარები მისი სახელით, ვინც შენს მარჯვნივ ზის, სახელით ჩვენი მეოხისა, „რომელშიაც დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის მთელი საუნჯე“[22], რასაც ვეძებ შენს საღმრთო წერილში. მოსე წერდა ამის თაობაზე; თვითონვე ამბობს; ჭეშმარიტება ამბობს ამას.

III

5. მომეცი ძალა, უფალო, ვისმინო და მივხვდე, როგორ „შეჰქმენი თავდაპირველად ცა და მიწა“[23]. მოსემ დაწერა ეს; დაწერა და გაუჩინარდა: შენგან მოსული შენვე დაგიბრუნდა. ასე რომ, დღეს ჩემს წინაშე აღარ არის. აქ რომ იყოს, ხელს ჩავავლებდი, ყველაფერს დაწვრილებით გამოვკითხავდი და შენს სახელს დავაფიცებდი, ჩემთვისაც გაემჟღავნებინა ეს საიდუმლო; სულგანაბული მივუგდებდი ყურს მის ბაგეთაგან გამოსულ სიტყვებს. თუ ებრაულად დამიწყებდა ლაპარაკს, მისი ხმა ამაოდ მისწვდებოდა ჩემს სასმენელს, ხოლო თუ

[16] ფსალმ. 25, 7.
[17] ფსალმ. 118, 18.
[18] ფსალმ. 26, 7.
[19] მათე VI, 33.
[20] ფსალმ. 118, 85.
[21] შდრ. ფსალმ. 79, 18.
[22] კოლ. II, 3.
[23] დაბად. I, 1.

ლათინურად გამცემდა პასუხს, მის ნათქვამს კი გავიგებდი, მაგრამ ვინ მეტყოდა, რომ მართალს ამბობს? თუმცა კიდევაც რომ მცოდნოდა ეს, განა მისი წყალობით მეცოდინებოდა? არა, თვით ჩემში, ჩემივე აზრის სავანეში მეტყოდა ამას ჭეშმარიტება, რომელსაც არც ებრაული სჭირდება, არც ბერძნული, არც ლათინური და არც ბარბაროსთან ენა; ენითა და ბაგეებით კი არა, ჩუმად და უხმოდ მეტყოდა, მართალს ამბობსო[24], და მეც, სავსებით დარწმუნებული, დაუყოვნებლივ ვეტყოდი შენს კაცს[25], მართალს ამბობ-მეთქი.

მაგრამ რაკი არ შემიძლია მას ვკითხო, ამიტომ შენ გეკითხები, ჭეშმარიტებავ, რადგან სწორედ შენ შთააგონებდი სიმართლეს; დიახ, შენ გევედრები, ღმერთო ჩემო, მომიტევე ჩემი ცოდვები[26], და როგორც ამ სიტყვების წარმოთქმის ძალი მიჰმადლე შენს მსახურს, მეც მიბოძე მათი გაგების უნარი.

IV

6. აჰა, ცა და მიწა, რომელნიც ღაღადებენ, შექმნილნი ვართო; რადგანაც იცვლებიან და სხვადასხვაა მათი იერი. ხოლო იმაში, რაც შეუქმნელია, მაგრამ მაინც არსებობს, არა არის რა ისეთი, ადრე რომ არ ყოფილიყო, ესე იგი, შეუქმნელთათვის უცხოა ცვალებადობა და სხვაობა.

თუმცა ისინიც ღაღადებენ, თვითონვე როდი შეგვიქმნია ჩვენი თავიო: „იმიტომ ვარსებობთ, რომ შექმნილნი ვართ: აკი არ ვყოფილვართ, სანამ გავჩნდებოდით; მაგრამ ჩვენდა თავად ხომ არ შეგვეძლო გაჩენა“. და თვით სიცხადე ადასტურებს მათ ღაღადისს.

ამრიგად, უფალო, შენ შეჰქმენ ისინი. მშვენიერი ხარ, და ისინიც მშვენიერნი არიან; კეთილი ხარ, და ისინიც კეთილნი არიან; არსი ხარ, და ისინიც არსებობენ; მაგრამ ისინი მშვენიერნი და კეთილნი როდი არიან, და არც ისე არსებობენ, როგორც შენ, მათი შემოქმედი. შენთან შედარებით ისინი არც მშვენიერნი არიან, არც კეთილნი და არც არსებულნი[27].

ვიცით ეს და ამიტომაც გწირავთ მადლს; მაგრამ ჩვენი ცოდნა უმეცრებაა შენს ცოდნასთან შედარებით[28].

---

[24] იგულისხმება ის უტყუარი კრიტერიუმი, ნეოპლატონიკოსთა მიხედვით, უზენაესა გონებამ რომ უბოძა თვითეულ ჩვენგანს.

[25] ე.ი. მოსეს.

[26] შდრ. იობი XIV, 16.

[27] შდრ. ბლეზ პასკალი: „ბუნებაში არსებობს სრულქმნილება, რაც გვიჩვენებს, რომ ის ღმერთის მსგავსებაა, და არსებობს ნაკლოვანება, რაც გვიჩვენებს, რომ ის მხოლოდ მსგავსებაა მისი“ („აზრები რელიგიის შესახებ“, XVI, 67).

[28] შდრ. ჰერაკლიტე ეფესელი: „კაცთაგან ყველაზე ბრძენი ღმერთთან შედარებით მაიმუნი გეგონება სიბრძნის, სიმშვენიერისა და სხვა მისთანათა მხრივ“ (დილსი, ფრაგმ. 83). ჰერაკლიტეს ეს სიტყვები ციტირებულია პლატონის „დიდ ჰიპიაში“ (იხ. პლატონი, იონი. დიდი ჰიპია. მენონი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და შენიშვნები დაურთო ბ.ბრეგვაძემ, თბ. 1974, გვ. 65).

ELIBRARY.SOU.EDU.GE

V

7. მაშ, რანაირად შეჰქმენი ცა და მიწა, ან რა იარაღს იყენებდი შენი დიადი შრომისას? განა ისე მოქმედებდა, როგორც ოსტატი, ერთი საგნის მეშვეობით რომ აკეთებს მეორეს? მის სულს, საკუთარი ნება-სურვილით, შეუძლია იმნაირი სახე მისცეს თავის ნახელავს, რა სახითაც მას თავის თავშივე ჭვრეტს გონების თვალით. კი მაგრამ, რისი წყალობით შეუძლია? იმის წყალობით, რომ შენ შეჰქმენი, და ისიც გარკვეულ ფორმას ანიჭებს მასალას, რომელიც უკვე არსებობს ამა თუ იმ სახით, ვთქვათ, მიწას, ხეს, ოქროს და სხვა მისთანათ. შენ რომ არ შეგექმნა ყოველივე ეს, საიდან მიიღებდა დასაბამს? ოსტატს შენ მიეც სხეულიცა და სულიც, რომელიც წარმართავს მის ასოებს; შენვე უბოძე მასალაც, რომელიც შეიძლება დაამუშავოს; ნიჭიც, რომლის წყალობითაც შეითვისა თავისი ხელოვნება, და გონების თვალითა ხედავს, რას აკეთებენ მისი ხელები; ხორციელი გრძნობებიც, რომელთა მეშვეობითაც მისი სული მასალას გადასცემს იმას, რისი შექმნაც სურს, ხოლო სულს ეუწყება, თუ რა შეიქმნა, რათა ჭეშმარიტებამ, რომლის სავანეც სულშია, შეაფასოს ნაკეთობის ავ-კარგი.

და ყოველივე ეს გადიდებს შენ, ყოვლის შემოქმედს. მაგრამ რანაირად ქმნი ამას? რანაირად შეჰქმენი, ღმერთო, ცა და მიწა? რა თქმა უნდა, არც ცაში და არც მიწაზე არ შეგიქმნია ისინი; არც ჰაერში თუ წყალში, რადგანაც ეს უკანასკნელნი ცასა და მიწას ეკუთვნიან. არც სამყაროში შეგიქმნია სამყარო, რადგანაც არსად იყო ადგილი, სადაც შეიძლებდოა წარმოქმნილიყო, ვიდრე არ წარმოიქმნა, რათა არსებობა დაეწყო. არც არა გქონდა რა ხელთ, რისგანაც შეიძლებოდა შეგექმნა ცა და მიწა. ან კი ვინ მოგცემდა მასალას, თუ უფრო უმალ არ შექმნიდი მას, რათა შემდეგ მისგან შეგექმნა ყოველი? ყველაფერი, რაც კი არსებობს, მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ შენ არსებობ. ამრიგად, შენ თქვი და „იქმნა“[29]; ყველაფერი შენი სიტყვით შეიქმნა[30], უფალო.

VI

8. მაგრამ როგორ თქვი? ისე ხომ არა, როგორც მაშინ, როცა ღრუბლებიდან გაისმა შენი ხმა: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი?“[31] ეს ხმა გაისმა და მიყუჩდა; გაიხმიანა და მიწყდა. ბგერებმა გაიჟღერეს და გაქრნენ: პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე და ასე შემდეგ, უკანასკნელ ბგერამდე, რომლის შემდეგაც სიჩუმემ დაისადგურა. აქედან აშკარაა, რომ ისინი თავისი მოძრაობით წარმოშვა შენმა წარმავალმა ქმნილებამ[32], შენი წარუვალი ნების მსახურმა. და დროის მოკლე შუალედში წარმოთქმული ეს შენი სიტყვები გარეგანმა სმენამ

[29] შდრ. ფსალმ. 32, 9; 6.
[30] შდრ. იოანე I, 3.
[31] მათე III, 17.
[32] როგორც ჩანს, ნეტარი ავგუსტინე აქ გულისხმობს ჰაერს და იმ როლს, რასაც, ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა მოძღვრებით, ის ასრულებს ბგერის გადაცემისას.

აუწყა გონებას, შინაგანი სმენით რომ აყურადებს შენს წარუვალ სიტყვას. და როცა ერთმანეთს შეუდარა ეს ორი სიტყვა: დროის მოკლე შუალედში წარმოთქმული და წარუვალი, მარადიულ დუმილში დავანებული, - გონებამ თქვა: „არა, ეს სხვაა, სულ სხვა; ეს სიტყვები ჩემზე უკნინესნი არიან, ისინი საერთოდ არ არსებობენ, რაკიღა გაიხმიანებენ და გაქრებიან; სიტყვა ჩემი ღმერთისა კი ჩემზე უზენაესია და წარუვალი“[33].

ამრიგად, თუ შენ წამით გახმიანებული და გამქრალი სიტყვით უბრძანე არსებობა ცასა და მიწას, თუ ამნაირად შეჰქმენი ისინი, მაშასადამე, ცასა და მიწაზე უწინარეს უნდა არსებულიყო ერთგვარი სხეულებრივი ქმნილება, რომლის ხანმოკლე რხევებსაც უნდა გადაეცათ ეს ხმა, ასევე მოკლე დროში რომ გაისმა. მაგრამ არავითარი სხეული არ არსებობდა ცასა და მიწაზე უმალ, ანდა, თუ არსებობდა, მსწრაფლწარმავალი ხმით როდი შექმნიდი მას, რათა წარმოეთქვა ეს წარმავალი სიტყვა, რომლითაც არსებობს უბრძანებდი ცასა და მიწას. კი მაგრამ, რას შეეძლო გამოეცა ამნარი ხმა, თუ არა შენსავ ქმნილებას? მას, რა სიტყვა წარმოსთქვი იმის შესაქმნელად, რასაც შეეძლო ეს სიტყვები წარმოეთქვა?

VII

9. ასე მოგვიწოდებ შევიცნოთ სიტყვა - ღმერთი, რომელიც არის ღმერთთან[34]; სიტყვა, რომელიც მარადჟამ წარმოითქმის და ყოველივე მის მიერ წარმოითქვა უკუნისიდან. რაც მის მიერ წარმოითქვა, არასოდეს გადავა, არ განქარდება. ყოვლის წარმოსათქმელად სულაც არაა აუცილებელი თანმიმდევრულად, ერთიმეორის მიყოლებით თქვა, რასაც ამბობ: ყველაფერი მარადიულია და ერთდროული. ასე რომ არ იყოს, წარმავლობაც იქნებოდა და ცვალებადობაც, მაგრამ არა ჭეშმარიტი წარუვალობა და ჭეშმარიტი უკვდავება.

მე ვიცი ეს, ღმერთო ჩემო, ვიცი და მადლობას გწირავ[35]; მე ვიცი, შენს წინაშე ვაღიარებ, უფალო, და ჩემთან ერთად იცის და გაკურთხებს ყველა, ვინც უმადურობას არ იჩენს მას შემდეგ, რაც შეიცნო ეჭვშეუვალი ჭეშმარიტება. ჩვენ ვიცით, უფალო, დიახ, ვიცით, რომ აღარ ვიყოთ ის, რაც ვიყავით, ან ვიქეცით იმად, რაც არ ვყოფილვართ, სხვა არა არის რა, თუ არა სიკვდილი და დაბადება. შენს სიტყვაში კი არაფერი არ ქრება, არაფერი არ იცვლება, არაფერი არ იკავებს წინამორბედის ადგილს: ყველაფერი უკვდავია და წარუვალი. ამიტომაცაა, რომ შენი მარადიული სიტყვით ერთდროულად და სამარადისოდ წარმოსთქვამ ყველაფერს, რასაც წარმოსთქვამ; არსებობად მოქცევა ყოველი, რასაც უბრძანებ იარსებოს.

[33] შდრ. ესაია XL, 8.
[34] შდრ. იოანე I, 1.
[35] შდრ. I კორ. I, 4.

და მაინც, ყოველივე ის, რასაც შენი სიტყვითა ქმნი, არც ერთდროულად იღებს დასაბამს და არც უკუნისიდან.

VIII

10. მაგრამ რას გეკითხები, უფალო ღმერთო ჩემო? მე თითქოს ვხვდები ამას, მაგრამ არ ვიცი, როგორ გამოვხატო. იქნებ ყველაფერი, რაც იწყებს ან წყვეტს არსებობას, მაშინ იწყებს და წყვეტს, როცა უნდა დაიწყოს და შეწყვიტოს იგი, რაც ცნობილია წარუვალი გონებისათვის. სწორედ ეს გონებაა შენი სიტყვა, ანუ „დასაბამი“[36], როგორც გვეუწყა. ამას თვითონვე ამბობს სახარებაში თავისი ხორციელი ხმით. ეს სიტყვა გარე სამყაროში გახმიანდა კაცთა სასმენად, რათა ერწმუნათ, თავიანთ გულში დაეწყოთ ძებნა და მარადიულ ჭეშმარიტებაში ეპოვნათ, სადაც ერთადერთი და კეთილი მოძღვარი[37] მოძღვრავს თავის მოწაფეებს[38].

იქ მესმის შენი ხმა, უფალო, რომელიც მესიტყვება, რადგანაც თვით ის გველაპარაკება, ვინც გვმოძღვრავს; ხოლო ვინც არ გვმოძღვრავს, კიდევაც რომ ლაპარაკობდეს, ჩვენთვის როდი ლაპარაკობს[39]. მაგრამ გვყავს კია სხვა მოძღვარი, ურყევი ჭეშმარიტების გარდა? თვით მაშინაც კი, როცა მერყევი არსება გვასწავლის, ცვალებადობას რომ ექვემდებარება, მას მაინც უცვლელ ჭეშმარიტებამდე მივყავართ, და სწორედ ესაა ნამდვილი სწავლა: ვდგავართ, ვუსმენთ და „სიხარულით ვხარობ სიძის ხმის გაგონებისას“[40], იქ რომ გვაბრუნებს, საიდანაც მოვსულვართ. ამიტომაცაა ის „დასაბამი“: ურყევად რომ არ იდგეს, ვიდრე ჩვენ ვწრიალებთ და აქეთ-იქით ვაწყდებით, მაშინ სადღა დავბრუნდებოდით?[41] როცა ცთომილებისგან თავდაღწეულნი ვბრუნდებთ, ცხადია, იმიტომ ვბრუნდებით, რომ ჩვენი ცთომილება შევიცნეთ, ხოლო მის შეცნობაში ისევ ის გვშველის, ვინც „დასაბამია“ და ჩვენი მოძღვარი.

---

[36] შდრ. იოანე, VIII, 25: „უთხრეს მას: ვინა ხარ შენ? და უთხრა მათ იესომ: დასაბამად რას გეუბნებით?“

[37] იგულიხსმება იესო ქრისტე.

[38] შდრ. მათე XXIII, 8.

[39] იოანეს სახარების ზემოთ უკვე ციტირებული მუხლის - VIII, 25 - განმარტებისას ნეტარი ავგუსტინე ამბობს, რომ ქრისტემ აუწყა მოციქულებს ჭეშმარიტება. მარადიული სიტყვა გაუგებარი დარჩებოდა მათთვის, მაგრამ ღმერთი განკაცდა და ჩვენს უძლურებამდე დაიმდაბლა თავი: „მაშ, ირწმუნეთ, რომ მე ვარ დასაბამი, რადგანაც, ეს რომ ირწმუნოთ, მე არა მარტო ვარ, არამედ კიდეც გელაპარაკებით“.

[40] იოანე III, 29.

[41] „საით მიიქცეს ადამიანი, რომ კეთილი გახდეს, თუ არა იმ სიკეთისაკენ, რომელიც უყვარს, რომელსაც მიელტვის, რომელსაც ეძებს?“ („სამებისათვის“, 8, 3).

IX

11. ამ „დასაბამით“ - შენი სიტყვით, შენი ძით, შენი ძალით, სიბრძნითა და ჭეშმარიტებით შეჰქმენი, ღმერთო, ცა და მიწა, სასწაულებრივ მეტყველმა და სასწულებრივ მოქმედმა. ვინ ჩასწვდება, ან ვინ აგვიხსნის ამ სასწაულს? რა არის ეს, შორით რომ კიაფობს და განწონის ჩემს გულს, მაგრამ ისე კი, რომ არას ავნებს? შეძრწუნებული ვთრთი და სიყვარულის სახმილით ვიწვი: ვძრწი იმდენად, რამდენადაც შენ არა გგავარ; სიყვარულის სახმილით კი ვიწვი იმდენად, რამდენადაც შენი მსგავსი ვარ. სიბრძნე კიაფობს, თვით სიბრძნის ნათელი მინათებს ღრუბლებიდან, რომლებიც კვლავ გარს მახვევიან, ჩემი გაუძლისი წამებით სასომიხდილსა და სვედავსილობის სიბნელით გარემოცულს. ისე „დაუძლურდა ჩემი ძალა სალმობით“[42], რომ აღარ შემიძლია ვიტვირთო თვით ჩემი სიკეთე, ვიდრე შენ, უფალო, „მონყალევ და შემნდობო ყველა ჩემი შეცოდებისა“, არ „განკურნავ ჩემს სნეულებებს“[43]. მაშინღა იხსნი ჩემს ცხოვრებას ხრწნილებისაგან, შენი წყალობით და შეწყნარებით გვირგვინოსანმყოფ და „სიკეთით აღავსებ ჩემს სურვილს“, რადგანაც „განახლდება ჩემი სიჭაბუკე, როგორც ორბისა“[44]. „სასოებით ვცხონდებით“[45] და „მოთმინებით მოველით“[46], როდის აღასრულებ შენს აღთქმას.

დაე, ვისაც შეუძლია, გონების ყური მიაპყროს შენს სიტყვებს. მე კი, შენს წინასწარმეტყველებას მინდობილი, შემოგღაღადებ: „რარიგ დიდებულნი არიან, უფალო, შენი საქმენი; ყველაფერი სიბრძნით შეჰქმენი“[47] სწორედ შენი სიბრძნეა დასაბამი და ამ დასაბამით შეჰქმენი ცა და მიწა.

X

12. აჰა, სიბერის სიბრმავეში[48] დანთქმულა მათი გონება, ვინც გვეკითხება: „კი მაგრამ, რას აკეთებდა ღმერთი ცისა და მიწის შექმნამდე? თუკი არაფერსაც არ აკეთებდა უქმად მყოფი, რატომ სამუდამოდ არ დარჩა ასევე უქმად, როგორც უკუნისიდან იყო? ხოლო თუ ღმერთში თავს იჩენს ახალი ნება-სურვილი იმის შექმნისა, რაც მანამდე არასოდეს არ შეუქმნია, მაშინ რაღა მარადიულობა ეთქმის იმას, რაშიაც მანამდე არარსებული სურვილი ჩნდებდა? და მართლაც, ნება ღმერთის ქმნილება კი არა, ყოველგვარ ქმნილებაზე

[42] ფსალმ. 30, 11.
[43] ფსალმ. 102, 3.
[44] ფსალმ. 102, 5.
[45] რომ. VIII, 24.
[46] რომ. VIII, 25.
[47] ფსალმ. 103, 24.
[48] „თავის ქადაგებაში (267, 2) სახარების იგავის განმარტებისას, რომლის მიხედვითაც ახალი ღვინო (მაჭარი) ძველ ტიკში არ უნდა ჩაისხას, ნეტარი ავგუსტინე ხორციელ კაცთან აიგივებს ძველ („ბებერ“) კაცს“. - პიერ დე ლაბრიოლის შენიშვნა. იხ. „აღსარებათა“ დასახ. გამოც. გვ. 304.

უწინარესია, რადგანაც შეუძლებელი იქნებოდა რისიმე შექმნა, შემოქმედის ნება შექმნილზე ადრე რომ არა არსებულიყო. ამრიგად, ღმერთის ნება განუყოფელია თვით მისი სუბსტანციისაგან. ხოლო თუ ღვთაებრივ სუბსტანციაში თავს იჩენს ის, რაც მანამდე არ ყოფილა მასში, ამნაირ სუბსტანციას მარადიულს ვერ ვუწოდებთ, და ცამდე მართალნიც ვიქნებით. თუკი მარადიული იყო სამყაროს შექმნის ღვთაებრივი ნება-სურვილი, მაშინ რატომ არ არის მარადიული მისი ქმნილება?"[49].

XI

13. ამის მთქმელთ ჯერ კიდევ არ ესმოდათ ღვთაებრივი სიბრძნე, რომელიც გაანათლებს კაცთა გონებას; ჯერ კიდევ არ ესმით ყოველივე ის, რაც შენით და შენში წარმოიქმნა, უფალო. ისინი ცდილობენ, ჩასწვდნენ მარადისობის არსს, მაგრამ დროის ნაკადი კვლავინდებურად მიაქანებს მათ გულს, რომელიც დღემდე ამაოებითაა სავსე.

ვინ შეაჩერებს და გასაქანს არ მისცემს მას, რათა თუნდაც წამით შემდგარმა აღიქვას მარად უძრავი მარადისობის სხივოსანი ათინათი და დროის უწყვეტ დინებას შეადაროს იგი? დაე, დარწმუნდეს, რომ ისინი არათანაზომადნი არიან; დაე, შეიგნოს, რომ დროის ხანგრძლივობას ურიცხვი მსწრაფლწარმავალი წამის სიმრავლე განაპირობებს, გამუდმებით რომ ენაცვლებიან ერთმანეთს. მარადისობაში არა არის რა წარმავალი, არამედ მარადი აწმყოა, მთელი თავისი სისავსით. დრო კი ვერასოდეს ვერ იქნება პირქმინდად აწმყო; დაე, მიხვდეს, რომ მთელ წარსულს მომავალი მიერეკება, რომ მთელი მომავალი წარსულს მისდევს, ხოლო ერთიცა და მეორეც იმისგან იღებს დასაბამს, იმისგან მომდინარეობს, რასაც მარადი აწმყო ჰქვია[50]. ვინ შეაჩერებს კაცის გულს, რათა უძრავად შემდგარმა იხილოს, თუ როგორ განაპიროებებს წარსულსაც და მომავალსაც მარად უძრავი მარადისობა, რომლისთვისაც უცხოა წარსულიც და მომავალიც.

შესწევს კი ჩემს ხელს ამდენი ძალა? ან ენას ჩემსას თუ შეუძლია სიტყვით გადმოსცეს ეს სასწაული?

[49] თავის გრანდიოზულ თხზულებაში „ღვთის ქალაქისათვის" (XII, 12 და შმდ.) ნეტარი ავგუსტინე უფრო დაწვრილებით ჩერდება ამ პრობლემაზე, თუმცა იქვე აღიარებს, რომ მისი გადაჭრა ადამიანური გონების შესაძლებლობას აღემატება.
[50] იხ. პირველი წიგნის შენ. 29.

XII

14. აი, ჩემი პასუხი იმას, ვინც მეკითხება: კი მაგრამ, რას აკეთებდა ღმერთი სამყაროს შექმნამდეო?

ისე როდი მივუგებ, როგორც, გადმოცემით, მიუგია ვიღაცას, რათა ხუმრობით აერიდებინა თავი დაჟინებული კითხვისათვის: რას აკეთებდა და გეენის ცეცხლს უმზადებდა უზენაესი საიდუმლოს მჩხრეკელთათვის. მაგრამ ერთია ნათლად ხედვა, და მეორე - მასხრად აგდება. არა, ასე კი არ მივუგებდი, არამედ ვარჩევდი მეთქვა: რაც არ ვიცი, არ ვიცი-მეთქი, მაგრამ მასხრად კი არ ავიგდებდი იმას, ვინც უზენაესი საიდუმლოების თაობაზე მეკითხება რამეს, ანდა შევაქებდი კაცს, სიცრუით რომ პასუხობს ამნაირ კითხვას.

მე შენ ყოველი ქმნილების შემოქმედს გიწოდებ, ღმერთო ჩემო, და თუ „ცად და მიწად“ ყოველი ქმნილება იგულისხმება, თამამად ვიტყვი: ცისა და მიწის შექმნამდე ღმერთი არაფერსაც არ აკეთებდა; რაღაცის კეთება მისთვის ხომ შექმნას ნიშნავდა? ო, ნეტა ყველაფერი, რაც მინდა ჩემდა სასიკეთოდ ვიცოდე, ისევე კარგად ვიცოდე, როგორც ის, რომ არავითარი ქმნილება არ ყოფილა მანამ, სანამ შეიქმნებოდა.

XIII

15. ხოლო თუ ვინმე თავქარიანი გარდასულ დროთა ხატებებს შორის დაეხეტება და კითხულობს, რატომაა, რომ შენ, უფალო, ყოვლისმძლეო და ყოვლისმპყრობელო, ცისა და მიწის შემოქმედო, - უთვალავი საუკუნის მანძილზე არ შესდგომიხარ შენს დიად საქმეს, დაე, გამოიღვიძოს და მიხვდეს, რაოდენ ფუჭია და ამაო მისი განცვიფრება.

რანაირად უნდა გაევლო უთვალავ საუკუნეს, თუკი ისინი ჯერ კიდევ არ შეგექმნა საუკუნეთა შემოქმედსა და დასაბამიერ მიზეზს? განა შეიძლება არასებობდეს დრო, შენ რომ არ იყო მისი დასაბამი? ან რანაირად შეიძლებოდა გაევლო, თუკი ჯერ კიდევ არ არსებობდა?

და რაკი შენა ხარ ყოველი დროის შემოქმედი[51], ამიტომ, თუკი ცისა და მიწის შექმნამდე შეიძლება წარმოვიდგინოთ გარკვეული დროის არსებობდა, რა უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, თითქოს უქმად და უმოქმედოდ იყავი?[52] თვით ეს დრო სწორედ შენ შეჰქმენი, და, რა თქმა უნდა, ვერავითარი დრო ვერ გავიდოდა, ვიდრე შენ არ შეჰქმნიდი მას. ხოლო თუ ცასა და მიწაზე უწინარეს საერთოდ არ იყო დრო, რაღად ვკითხულობთ, რა იყო „მაშინ“? როცა არ იყო დრო, არ იყო არც „მაშინ“.

[51] დედანშია არა „creator“, არამედ სრულიად მოულოდნელი „operator“.
[52] შდრ. დაბად. II, 3.

16. არა, დროში როდი იყავი დროთა უადრეს, თორემ მაშინ ვერ იქნებოდაი ყველა დროზე უწინარესი. შენ წინ უსწრებდი მთელ წარსულს, მარადისობის წარუვალი აწმყოს თხემზე დავანებული და მთელ მომავალზე უზენაესი, რადგანაც მომავლი მოვა და წავა, „შენ კი მარად იგივე ხარ, და შენი წლები არ დაილევიან“[53]. შენი წლები არც მოდიან და არც მიდიან. შენი წლები უძრავნი არიან და ერთდროულნი: ისინი დგანან. მომავალნი როდი განდევნიან მიმავალთ, რადგან ისინი საერთოდ არ გადიან. ჩვენი წლები კი მაშინ გასრულდებიან, როცა ყველანი წარსულად იქცევიან. „შენი წლები როგორც ერთი დღე“[54], ხოლო ეს დღე ყოველდღიურად როდი ახლდება, არამედ ყოველდღე ერთი და იგივეა, რადგანაც შენი დღევანდელი დღე ადგილს არ უთმობს ხვალინდელს და არც ცვლის გუშინდელს[55]. შენი დღევანდელი დღე მარადისობაა, ამიტომაც შენი თანამარადისია[56] შენი ძე, რომელსაც უთხარი: „დღეს გშობე შენ“[57]. ყველა დრო შენ შეჰქმენი და ყველა დროზე უწინარესი ხარ, რადგანაც არ არსებულა ისეთი დრო, როცა დრო სულ არ იყო.

XIV

17. არ არსებულა ისეთი დრო, როცა შენ არ შეგექმნას რამე; აკი შენა ხარ თვით დროის მოქმედი. არ არსებობს დრო, შენი თანამარადისი რომ იყოს, რადგანაც შენ წარუვალი ხარ, ხოლო დრო რომ წარუვალი იყოს, დროც აღარ იქნებოდა იგი.

რა არის დრო?[58] ვინ განმარტოს ეს მარტივად და სხარტად? ვინ ჩასწვდეს ამას გონებით, რათა შემდეგ აგვიხსნას ცხადად? მაგრამ რა არის ჩვენთვის უფრო ჩვეულებრივი და

---

[53] ფსალმ. 101, 28.

[54] II პეტრე III, 8.

[55] შდრ. წიგნი I, VI, 10: „განა შეიძლება სხვაგან დიოდეს წყარო, საიდანაც ჩუხჩუხით იღვრება ჩვენში არსება და სიცოცხლე? არა, შენა გვქმნი, უფალო, ვისთვიასაც ერთია არსებობა და სიცოცხლე, რადგანაც შენა ხარ უზენაესი არსებობა და უზენაესი სიცოცხლე. დიახ, უზენაესი ხარ და უცვლელი, დღევანდელი დღე არასოდეს მთავრდება შენში, თუმცა არა, მაინც მთავრდება, რადგანაც ყოველი დღე შენშია; და ვერც ერთი დღე ვერ გაიკვლევდა გზას, შენში რომ არ ყოფილიყო. ხოლო რაკი „შენი წლები წარუვალნი არიან“, სწორედ ეს წლებია დღევანდელი დღე. ვინ მოსთვლის, ჩვენი წინაპრების რამდენ დღესა და წელს გაუვლია შენი დღევანდელი დღის გავლით, რომლისგანაც შეუძენიათ ელფერი და ზიარებიან არსებობას, ანდა რამდენი გაივლის კიდევაც, რომდენი შეიძენს იმავე ელფერს და ეზიარება იმავე არსებობას. „შენ კი ერთი და იგივე ხარ“: ყოველივე ხვალინდელს „დღევანდლად“ აქცევ, როგორც აქამდე გიქცევია“...

[56] დედანში ზუსტად ასეა: „coaeternus“

[57] ფსალმ. 2, 7; ებრ. V, 5.

[58] „რა არის დრო?“ - ამ კითხვით ჩვენ მივადგებით „აღსარებათა“ და, საერთოდ, ნეტარი ავგუსტინეს მოძღვრების ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას, რომლის გადაჭრითაც უფრო ადრე ცდილობდა ანტიკური სიბრძნისმეტყველება, უფრო გვიან კი შუა საუკუნეების, რენესანსისა თუ ახალი დროის ევროპული კულტურის წიაღში აღმოცენებული თითქმის ყველა უნივერსალური ფილოსოფიური სისტემა.

მკითხველს ალბათ ახსოვს დიდი გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის თომას მანის სიტყვები, რომლებითაც იწყება „ჯადოსნური მთის“ მეექვსე თავი და რომლებშიაც გარკვეულწილად შეჯამებულია ზემოხსენებული მცდელობის არა ერთი და ორი მომენტი:

„რა არის დრო? მისტერია! დრო ყოვლისშემძლეა, თუმცა საკუთარი რეალობა არ გააჩნია; ესაა მოვლენათა სამყაროს პირობა, ესაა მოძრაობა, სივრცეში სხეულთა არსებობასთან და თვით სივრცის მოძრაობასთან შერწყმული და შეერთებული. მაგრამ იქნებოდა დრო, რომ არ ყოფილიყო მოძრაობა? იქნებოდა მოძრაობა, რომ არ ყოფილიყო დრო? ფუჭი კითხვაა! იქნებ დრო სივრცის ფუნქციაა? თუ პირიქით? ორივე ერთი და იგივეა? ფუჭია განვაგრძოთ კითხვა! დრო აქტიურია, ქმნის. მაინც რასა ქმნის? ცვალებადობას. „ახლა“ არ არის „მაშინ“, „აქ“ არ არის „იქ“, რაკიღა მათ შორის ყოველთვის არსებობს მოძრაობა. მაგრამ რაკი მოძრაობა, რომლითაც იზომება დრო, წრიულია, თავის თავშივე იკეტება, ეს მოძრაობა და ეს ცვალებადობა შეიძლება სრულად კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სიმშვიდე და უძრაობა. „მაშინ“ განუწყვეტლივ მეორდება „ახლა“-ში, ხოლო „იქ“ - „აქ“-ში. მაგრამ რაკი, მეორეს მხრივ, თავგანწირვული ძალისხმევის მიუხედავად, შეუძლებელი შეიქნა სასრული დროისა და საზღვრული სივრცის წარმოდგენა, გადაწყდა მიეჩნიათ, რომ

დროცა და სივრცეც მარადიულია და უსასრულო, იმის იმედით, რომ ცოტა უფრო სრულყოფილი დეფინიციისათვის მიეღწიათ. მაგრამ მარადიულისა და უსასრულოს პოსტულატის დადგენა ხომ არ აუქმებს ლოგიკურად და მათემატიკურად ყოველივე სასრულს და საზღვრულს? ყველაფერი სულზე ხომ არ დაიყვანება? შესაძლებელია თანმიმდევრობა მარადისობაში? შესაძლებელია ზედდება უსასრულობაში? როგორ შევუთანხმოთ მარადიულსა და უსასრულოს ეს დამხმარე ჰიპოთეზები დისტანციის, მოძრაობის, ცვალებადობის ცნებებს? აღარაფერი რჩება, გარდა საზღვრულ სხეულთა მოძრაობისა სამყაროში? ფუჭი კითხვაა!“

როგორც ვხედავთ, ამ ვრცელ ციტატაში კითხვითი წინადადებები ჭარბობს, ხოლო მათზე გაცემულ თითმის ყველა პასუხს ჰიპოთეზა უფრო ეთქმის, ვიდრე მეცნიერული კვლევა-ძიების საბოლოო შედეგთა კონსტატაცია მაგრამ ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა არის დრო, დღემდე არ გაგვაჩნია დროის ზუსტი და ამომწურავი განსაზღვრა. საქმე ისაა, რომ თვით პირწმინდად ფორმალური თვალსაზრისითაც კი შეუძლებელია დროის დეფინიცია. და მართლაც, ლოგიკურ მსჯელობაში - „დრო არის“... ჩვენ პრედიკატამდეც კი ვერ მივდივართ, რადგანაც ზმნის პირიელი ფორმა „არის“, რომელიც ჩვენს მსჯელობაში კოპულის როლს ასრულებს, ერთმანეთს რომ უნდა დაუკავშირს სუბიექტი („დრო“) და პრედიკატი („X“), გრამატიკული გაგებით თვითონვე გვევლინება დროს. ასე რომ, აქ თავს იჩენს აშკარა ტავტოლოგია, რაც ლოგიკური მსჯელობის გაგრძელების საშუალებას აღარ გვიტოვებს.

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ ანტიკურ სიბრძნისმეტყველებას, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დროის ნეტარი ავგუსტინესეულ კონცეფციას. როდესაც ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსი დროზე ლაპარაკობს, ის, უწინარეს ყოვლისა, დღეებისა და ღამეების, თვეებისა და წლების რეგულირდება და პერიოდულ თანმიმდევრობასა თუ მონაცვლეობაზე ფიქრობს. დრო ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ციურ სხეულთა სადღეღამისო მოძრაობასთან, რომ მას ხშირად ციური სფეროს მოძრაობასთან, ზოგჯერ კი თვით ამ სფეროსთანაც აიგივებენ. რაც შეეხება საკუთრივ დროის გენეზისს, ზოგიერთი ანტიკური კონცეფციის თანახმად, ის დაუსაბამოა, ზოგიერთის მიხედვით კი - დასაბამიერი. ასე მაგალითად, პლატონი ამტკიცებს, რომ სამყაროს შექმნამდე დრო არ არსებობდა: „ცის დაბამდებამდე არც დღეები იყო და არც ღამეები, არც თვეები და წლები, არამედ მათი დასაბამი ციური წესრიგის შექმნასთან ერთად იქნა დასახული“ („ტიმეოსი“, 37 d). და მართლაც, დროსა და სივრცეს თავისთავადი არსებობა არ გააჩნიათ: წარმოუდგენელია სივრცე ყოველგვარი ობიექტის, ყოველგვარი საგნის გარეშე, ისევე, როგორც დრო - მოვლენათა გარეშე. ამიტომ როცა არ არსებობდა სამყარო, არც დრო და სივრცე არსებობდა.

პლატონის კონცეფციით, დრო, ისევე, როგორც მთელი მატერიალური, დროსა და სივრცეში არსებული გრძნობად-კონკრეტული სამყარო იდეათა ზედროული და ზესივრცული, მარად უცვლელი და უძრავი ინტელიგიბილური სინამდვილიდან იღებს დასაბამს. ცის, ანუ სამყაროს შექმნასთან ერთად შემოქმედი (დემიურგოსი) ქმნის დროსაც, რომელსაც „ტიმეოსი“ ახასიათებს როგორც ერთადერთი და უძრავი მარადისობის მოძრავსა და რიცხვთა კანონის მიხედვით მარადმედინ ხატებას. კოსმოსის მოწესრიგებული და ჰარმონიული მოძრაობა, გრძნობად-კონკრეტული სამყაროს დინამიზმი სხვა არა არის რა, თუ არა იდეალური სინამდვილის, მისი უძრაბის პროეცირება ქმნადობის წიაღში. ზუსტად ასევე, დროც - ამქვეყნიურ საგანთა და მოვლენათა არსებობის, მათი მოძრაობისა და ცვალებადობის ფორმა - უცვლელი და უძრავი მარადისობის ანალოგიურ პროექციად გვევლინება. „მარადისობა“ („აიონ“) პლატონისათვის ძირეულად განსხვავდება ამ სიტყვის ჩვენი თანადროული გაგებისაგან. ამ ტერმინით „ტიმეოსში“ აღინიშნება არა ბუნდოვანი, გაურკვეველი და ჯერ კიდევ არარსებული მომავლიდან აწ უკვე აღარ არსებული წარსულისაკენ ცალსახად და უკუმოუქცევლად მედინი „დროის“ („ხრონოს“) უსასრულო ოდენობა, რომელიც წინ უსწრებს, ან მოსდევს აწმყოს, არამედ ერთგვარი ექსტრატემპოლარული (დროის მიღმური, დროის გარეშე არსებული) რეალობა (ჩვენი „უჟამო ჟამი“, ალბათ, ყველაზე სრულად და ამომწურავად გამოხატავს ამ ცნების შინაარსს). დღევანდელი გაგებით, „დრო“ სასრულია „მარადისობა“ კი უსასრულო, მაშინ როდესაც პლატონის აზრით, ამ ორ ცნებას შორის რაოდენობირივი (კვანტიტატური) კი არა, თვისებრივი (კვალიტატური) სხვაობა არსებობს.

„ტიმეოსის“ მარადისობა ინტეგრალური, ცალკეულ მომენტებად (წარსული, აწმყო, მომავალი) განუწილველი დროა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარადიული, წარუვალი აწმყო, რომელიც ხასიათდება ერთადერთი ატრიბუტით - „არის“. და პირიქით, საკუთრივ დრო ცალკეულ მომენტებადაა განწილული. მას თავისი ნაწილები („მერე“) და თავისი სახეები („ეიდე“) აქვს. დროის ნაწილებია დღეები და ღამეები, თვეები და წლები, სახეები კი - „იყო“ და „იქნება“ (ე.ი. წარსული და მომავალი). „არის“, პლატონის მიხედვით, მარტოოდენ მარადისობის ატრიბუტია; რაც შეეხება დროის იმ მომენტს, რომელსაც აწმყოს ვუწოდებთ ჩვენ, ის თითქოს კიდეც არსებობს და არც არსებობს, რაკიღა მხოლოდ და მხოლოდ წარსულისა და მომავლის ერთნაეთისაგან გამმიჯნავ ზღვრად, მსწრაფლწარმავალ წამად თუ დროული ნაკადის ერთგვარ „ატომად“ გვევლინება. შეადარე არისტოტელე: „ამრიგად, რამდენადაც „ახლა“ (არისტოტელეს „ახლა“ იგივეა, რაც პლატონის „არის“, - ბ.ბ.) სხვა არა არის რა, თუ არა ზღვარი, ის არ არის დრო და მხოლოდ თანხვდომითაა ნიშნეული დროისათვის, ვინაიდან ზღვარი ეკუთვნის მხოლოდ იმას, რის ზღვრადაც ის გვევლინება („ფიზიკა“, 220 b 22-24).

აქ არც დროა და არც ადგილი, რათა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ დროისა და მარადისობის პლატონური გაგების ცალკეულ მომენტებზე, და უშუალოდ გადავალთ დროის არისტოტელესეულ ინტერპრეტაციაზე, რომელსაც პლატონის კონცეფცია უდევს საფუძვლად. განსხვავება ისაა, რომ მოწაფე უფრო დეტალურად ამუშავებს და კონსტრუქციული ელემენტებით ამდიდრებს მასწავლებლის მიერ ზოგადად მოხაზულ სქემას; ამასთანავე, მეტაფიზიკური „მოძრაობისაგან“ დამოუკიდებლად განიხილავს რეალურ სამყაროში მედის დროს, სამყაროში, რომელიც, მისი მტკიცებით, დაუსაბამოა, მაშინ როდესაც პლატონის თვალსაზრისით მას დასაბამი აქვს. მაგრამ მოდით, უშუალოდ მოვუსმინოთ არისტოტელეს:

„დრო იმდენად ბუნდოვანი რამ არის, რომ ან საერთოდ არ არსებობს, ამ ძლივსძლივობით თუ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არსებულად, რაც შეიძლება შემდეგზე დაყრდნობით ვივარაუდოთ: მისი ერთი ნაწილი იყო და უკვე აღარ არის, მეორე იქნება და ის ჯერ კიდევ არ არის; ამ ნაწილებისაგან ითხზვის უსასრულო დროცა და გამუდმებით გამოყოფადი დროის თვითეული შუალედიც. ხოლო ის,რ აც არარსებულისაგან ითხზვის, როგორც ჩანს, შეუძლებელია წილნაყარი იყოს არსებობასთან. ამასთანავე, ყოველი დაყოფადი

საგნისათვის, თუკი ის მართლა არსებობს, აუცილებელია, რომ, ვიდრე არსებობს, ყველა, ან ზოგიერთი მისი ნაწილი მაინც არსებობდეს, ხოლო ასევე დაყოფადი დროის ზოგიერთი ნაწილი უკვე იყო, ზოგიერთი იქნება, და არც ერთი არ არის, არ არსებობს. „ახლა“ კი (ე.ი. „აწმყო“ - ბ.ბ.) ნაწილი არ არის, რადგანაც ნაწილით იზომება მთელი, რომელიც ნაწილებისაგან უნდა ითხზვოდეს; დრო კი, ეტყობა, „ახლა“-საგან არ ითხზვის. ეგეც არ იყოს, ადვილი დასადგენი როდია, რჩება თუ არა „ახლა“ (რომელიც, ეტყობა, ერთმანეთისაგან ჰყოფს წარსულსა და მომავალს) მუდამ ერთი და იგივე, თუ ყოველთვის სხვად იქცევა. თუ ის სულ მუდამ სხვადასხვაა და დროში არცერთი ნაწილი არ არის მეორესთან ერთად (გარდა მომცველისა და მოცულისა, როგორც ნაკლებ დროს მოიცავს მეტი), ხოლო ამჟამად არარსებული, მაგრამ უწინ არსებული აუცილებლად ოდესღაც გაქრა, ამიტომ არცერთი „ახლა“ არ იარსებობს მეორე „ახლა“-სთან ერთად, არამედ ადრინდელი ყოველთვის უნდა გაქრეს. თავის თავში ის ვერ გაქრება, რადგანაც სწორედ მაშინაა იგი; ისიც წარმოუდგენელია, რომ ადრინდელი „ახლა“ მეორე „ახლა“-ში გაქრეს, რადგანაც შეუძლებელია დავუშვათ „ახლა“-თა თანმიმდევრობა, როგორც წერტილისა - წერტილის კვალდაკვალ. თუ, ამრიგად, ერთი „ახლა“ მის მომდევნოში კი არა, რომელიღაც სხვა „ახლა“-ში ქრება, მაშინ ის ერთდროულად შუალედურ „ახლა“-თა შორის იქნებოდა, რომელთა რიცხვიც უსასრულოა, ეს კი შეუძლებელია გახლავთ. მაგრამ ისიც შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე „ახლა“ ყოველთვის იყოს, რადგანაც რაღაც დაყოფადსა და საზღვრულს მხოლოდ ერთი ზღვარი როდი აქვს, თუნდაც ის ერთი ან რამდენიმე მხრივ უწყვეტიც იყოს; „ახლა“ კი ზღვარია: ასე რომ, შეიძლება ავიღოთ საზღვრული დრო. გარდა ამისა, თუ ერთდროული - არა ადრინდელი და არა მერმინდელი - არსებობა ერთსა და იმავე „ახლა“-ში არსებობასა ნიშნავს, ამიტომ თუ ამ „ახლა“-ში მოქცეულია ადრინდელიც და მერმინდელიც, მაშინ ერთდროული იქნება ათი ათასი წლის წინანდელი ამბავი და ის, რაც დღეს მოხდა, და არაფერი არ იქნება ერთმანეთზე ადრინდელი ან გვიანდელი“ („ფიზიკა“, IV, 10, 218 a).

არისტოტელეს მთელი შემდგომი მსჯელობა დროის შესახებ ძალზე რთულია, ზოგჯერ კი იმდენად ბნელი და ბუნდოვანი, რომ მრავალრიცხოვან კომენტატორთა თავგამოდებული მცდელობა კიდევ უფრო აბნელებს და აბუნდოვანებს საკითხს, ნაცვლად იმისა, რომ სინათლე მოჰფინოს მას. თუმცა ზოგადი აზრის გამოტანა მაინც ხერხდება: როგორც ზემოთ მოტანილი ფრაგმენტიდან ჩანს, დროის თვით არსებობაც კი სათუოა, რადგანაც ის შემდეგი მომენტებისაგან ითხზვის: ერთის მხრივ, წარსული, რომელიც იყო და აწ უკვე აღარ არის, მეორეს მხრივ კი მომავალი, რომელიც იქნება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის. „ხოლო ის, რაც არარსებულისაგან ითხზვის - არისტოტელეს მართებული შენიშვნით, - შეუძლებელია წილნაყარი იყოს არსებობასთან“. რაც შეეხება აწმყოს („ახლა“), ის მხოლოდ წარსულისა და მომავლის გამყოფი ზღვარია, წამდაუწუმ ცვალებადი ზღვარი, არავითარი გრძლივობა არ გააჩნია და ამიტომ არ შეიძლება დროის მომენტად იქნეს მიჩნეული. დროის ეს პარადოქსული თავისებურებანი უკიდურესად აძნელებს მის გაგებას.

შემდეგ არისტოტელე აანალიზებს იმ სწავლულთა თვალსაზრისს, რომელნიც დროის ციური სფეროს მოძრაობასა და თვით ამ სფეროსთანაც კი აიგივებენ, რის შედეგადაც დასკვნის, რომ „დრო არ არის მოძრაობა, თუმცა მოძრაობის გარეშე კი არ არსებობს“ („ფიზიკა“, IV, 10, 219 a; შდრ. თომას მანის კითხვა: „იქნებოდა დრო, რომ არ ყოფილიყო მოძრაობა? იქნებოდა მოძრაობა, რომ არ ყოფილიყო დრო?“), რადგანაც ჩვენ მხოლოდ მოძრაობის მეშვეობით აღვიქვამთ და ვზომავთ კიდეც დროს (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ბერძნები ძალზე ფართო მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტერმინს „მოძრაობა“: ეს იყო არა მარტო მატერიის სივრცული მოძრაობა, არამედ მისი ყოველგვარი ცვლილებაც, ბუნებრივიც და ხელოვნურიც, ფიზიკურიც და ქიმიურიც, ისევე, როგორც ადამიანის ყველა ფსიქიკური აქტი, მისი შეგრძნებები, აღქმები, აზრები თუ განცდები).

რაკიღა დაადგინა, რომ დრო არ არის მოძრაობა, მაგრამ, ამასთანავე, არ შეიძლება მოძრაობის გარეშე არსებობდეს, არისტოტელე დროის განსაზღვრის საფუძვლად იღებს შემდეგ დებულებას: ესაა დანარჩენთაგან განსხვავებული ორი დროული მომენტის მსგავსების განცდა ჩვენი ცნობიერების მიერ: „ჩვენ შევიცნობთ დროს, როცა ზღვარს ვუდებთ მოძრაობას და ამრიგად განვსაზღვრავთ ადრინდელსა და მერმინდელს; მაშინ ვამბობთ, რომ დრომ განვლო, რაკიღა გრძნობებით აღვიქვამთ არდინდელსა და მერმინდელ მომენტს. ჩვენ იმის მეშვეობით გავმიჯნავთ მათ, რომ ერთხელ ერთს აღვიქვამთ, მეორეჯერ კი - მეორეს, ხოლო მათ შორის - რაღაც ორივესაგან განსხვავებულს. რადგანაც მაშინ ჩვენ ვიაზრებთ ორ კიდურა წერტილს როგორც შუალედურისაგან განსხვავებულს, და სული აღნიშნავს ორ „ახლა“-ს - ადრინდელსა და მერმინდელს; აი, რას ვუწოდებთ დროს, რადგანაც სწორედ მომენტებით შემოსაზღვრული „ახლა“ გვეჩვენება დროდ“ („ფიზიკა“, IV, 10, 219 a 22-30). ბოლოს და ბოლოს, არისტოტელე გვთავაზობს დროის შემდეგ დაფინიციას: „როდესაც არის „უწინ“ და „შემდეგ“, მაშინ ჩვენ ვლაპარაკობთ დროზე, რადგანაც დრო სხვა არა არის რა, თუ არა მოძრაობის რიცხვი ადრინდელსა და მერმინდელთან მიმართებით. ამრიგად, დრო თავისთავად როდია მოძრაობა, არამედ მოძრაობად გვევლინება იმდენად, რამდენადაც მოძრაობა შეიცავს რიცხვს“ (იქვე, 219 a 33 - 219 b 3).

ერთის სიტყვით, არისტოტელეს ორწევრიან ლოგიკურ სტრუქტურაში: მოძრაობა - დრო, დრო - მოძრაობა, ძნელია ხაზი გაუსვა რომელიმე წევრის პრიმატს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი მოძრაობა (ისევე როგორც ყოველგვარი ცვალებადობა) დროში ხდება და დროით იზომება. არც ერთი დაიყვანება მეორეზე და არც მეორე - პირველზე: „ჩვენ არამარტო მოძრაობას ვზომავთ დროით, არამედ დროსაც - მოძრაობით, - იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთს განსაზღვრავენ, რადგანაც დრო განსაზღვრავს მოძრაობას, როგორც მისი რიცხვი, ხოლო მოძრაობა - დროს. და ჩვენ ვლაპარაკობთ დიდსა და მცირე დროზე, როცა მას მოძრაობით ვზომავთ, ისევე, როგორც რიცხვს ვზომავთ საგნებით, რომლებიც თვლას ექვემდებარებიან, ასე მაგალითად, ცხენების რიცხვს - ცხენით. სწორედ რიცხვის მეშვეობით ვგებულობთ ცხენების რაოდენობას და, პირიქით, სათითოად რომ ვითვლით ცხენებს - მათ რიცხვს. იგივე ითქმის დროისა და მოძრაობის მიმართაც: დროით ჩვენ ვზომავთ მოძრაობას, მოძრაობით კი - დროს“ (იქვე, 220b 15-25).

მაგრამ არსებობს მოძრაობის (ცვალებადობის) ურიცხვი სხვადასხვა სახე, და თუ მისი რიცხვი, ანუ ზომა თუ საზომი არის დრო, მაშინ მოძრაობის თვითეულ სახეს მისი სპეციფიკური დრო უნდა შეესაბამებოდეს. არისტოტელე თვითონვე გრძნობს ამას (იქვე, XIV, 223b 1-5), მაგრამ სათანადო დასკვნა კი არ გამომაქვს. სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესის დრო მის ნაბრევში უნიფიცირებულია და სტანდარტიზირებული: ესაა დრო, რომლითაც იზომება ციური სფეროს რეგლუარული და თანაბარზომიერი წრებრუნვა; ამიტომაც გვეჩვენება, თითქოს დრო სწორედ ეს წრებრუნვა იყოს.

თავის მესამე „ენნეადაში“ (7,9) პლოტინი კრიტიკის საგნად აქცევს დროის, როგორც მოძრაობის რიცხვის თუ ზომის არისტოტელესეულ გაგებას: თუკი დრო მართლაც მოძრაობის რიცხვია, მაშინ ის უფრო მეტად როდი უკავშირდება მოძრაობას, ვიდრე რიცხვი „ათი“ ცხენებს თუ ხარებს, რომლებსაც ის აღრიცხავს. მეორეს მხრივ, თუ დრო უშუალოდ უკავშირდება მოძრაობას, რომელსაც ზომავს, რაკიღა მის ზრდასთან ერთად იზრდება, როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისგან საკუთრივ დრო და მისი მეშვეობით გაზომილი მოძრაობა? ხოლო თუ ეს განსხვავება მაინც შესაძლებელია, მაშინ დრო, როგორც მოძრაობის რიცხვი, პირწმინდად ექსტერიორული, პირწმინდად გარეგნულია მოძრაობის მიმართ და, მაშასადამე, ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, უბრალო არითმეტიკულ რიცხვადა რჩება, რომელიც დროის არავითარ გაგებას არ შეიცავს. ეგეც არ იყოს, არისტოტელე დაბეჯითებით ამტკიცებს: „ჩვენ არა მარტო მოძრაობას ვზომავთ დროით, არამედ დროსაც - მოძრაობით, - იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთს განსაზღვრავენ“. კეთილი და პატიოსანი, - შენიშნავს პლოტინი, - მაგრამ აქვე უნდა ვიკითხოთ: ნუთუ იმისათვის, რომ დრო არსებობდეს, აუცილებელი პირობაა მისი გაზომვა? ამასთანავე, რაკიღა დრო უსასრულოა, რომელიც არავითარ განზომილებაში არ თავსდება, საინტერესოა, დროის მაინც რომელ მომენტს მივიჩნევთ ათვლის წერტილად, ანუ ამ უსასრულო დროის მიმართ „შემდგომად“ თუ „უწინარესად“?

საქმე აშკარა აბსურდამდე მიდის. დროის ბუნება იმდენად პარადოქსულია, რომ მისი განმარტებისას ანტიკურობის თვით ყველაზე დიდი ლოგიკოსიც კი ელემენტარულ ლოგიკურ შეცდომას (petitio principii თუ idem per idem) უშვებს. სწორედ ამიტომ - დასძენს პლოტინი, - ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ იმაზე, რომ ფიზიკურ სამყაროს დავუქვემდებაროთ დრო, რაკიღა მისი ნებისმიერი სუბორდინაცია მატერიალური სინამდვილისადმი გარდაუვალ მარცხს გვიქადის და ჩიხში გვამწყვდევს.

აი, რატომაა, რომ პლოტინი კვლავ მიუბრუნდება „მარადისობის“ („აიონ“) პლატონისეულ ცნებას, „მარადისობისა“ რომელსაც თავისი დიდი მასწავლებლის კვალდაკვალ, კოსმიური გონების აზრობრივი და არსობრივი სისავსის, მისი უწყვეტი იდეალური ქმედითობისა თუ აბსოლუტური სიცოცხლის ატრიბუტად სახავს. პლატონისგანვე სესხულობს იგი ძირითად იდეას, რომლის მიხედვითაც დრო სხვა არა არის რა, თუ არა უცვლელი მარადისობის მოძრავი ხატი, და ახალი სტრუქტურული ელემენტით ამდიდრებს მას: დროს, როგორც „სამყაროული მოძრაობის ინტერვალს“, სამყაროს სულის „სასიცოცხლო ინტერვალებთან“ აიგივებს. ასე იკვეთება უნივერსალური სიმეტრია: რა კავშირიცაა მარადისობასა და კოსმიურ გონებას შორის, იმავე კავშირით ერწყმიან ერთმანეთს დროცა და სამყაროს სულიც.

პლოტინის მიხედვით, სამყაროს სული ერთგვარი შუალედური საწყისია იდეალურ სინამდვილესა და გრძნობად-კონკრეტულ სამყაროს შორის. დემიურგოსის პირმშო, კოსმოსის მაცოცხლებელი და მამოძრავებელი ძალა, მისი ერთიანობის წარუვალი პრინციპი; სამყაროს, როგორც ღვთაებრივი ცოცხალი არსის თვითშემეცნება; მათემატიკურ და მუსიკალურ თანაფარდობათა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც იგება ცვლადი და ქმნადი სინამდვილე; კოსმიური სრულქმნილების პირველსაწყისი, რომლის მეოხებითაც იდეები მატერიაში რეალიზდებიან, მატერიაში ისხამენ ხორცს.

დრო - მარადისობის პროექცია გრნობად-კონკრეტულ სინამდვილეში - სამყაროს სულის სიცოცხლეა, მარად მოძრავი და ბობოქარი სიცოცხლე, რომელიც გულისხმობს გამუდმებულ გადასვლას სიცოცხლის გამოვლენის ერთი რომელიმე ფორმიდან მეორეზე (სამყაროული სიცოცხლე - წერს პოლ ვალერი, - „შეიძლება შევადაროთ ბობოქარ ხანძარს, რომელიც გააფთრებით უტევს ყველაფერს, რაზედაც კი „ალი მიუწვდება“; უსასრულოდ ვრცელდება, დრეობით უკან იხევს, ჩერდება, ნაპერწკალს ტყორცნის, რათა გადალახოს სივრცე, დაიპყროს ახალი მიჯნა, ფეხდაფეხ მისდევს თავისსავე თავს, იერიშით იღებს ყველაფერს, რასაც გზად აწყდება და რითაც საზრდოობს, დაუსრულებლად ქმნადი, ცვლადი და თავისი ყოველწამიერი რაობისაგან განსხვავებული, - აი, როგორ აღიქვამდა დამკვირვებელი სიცოცხლის სტიქიურ მთლიანობას და ერთობლიობას, მაორგანიზებელ და მაფორმირებელ ძალას, რომლის „ნადავლიც“ ხდება ყველაფერი, რაც შეიძლება ფორმით ორგანიზებულ იქნეს, ისევე, როგორც დეფორმირდება ყველაფერი, რაც შეიძლება დაიწვას, დაიფერფლოს და დანახშირდეს“. - იხ. პოლ ვალერი, სულის კრიზისი; ფრანგულიდან თარგმნა ბ.ბრეგვაძემ, თბ. 0994, გვ.113).

დრო სულის ქმედითობის მომენტთა თანმიმდევრული მონაცვლეობაა. გრძნობადი სინამდვილე რომ შექმნა, სამყარო სულმა „გაადროულა“. დროის დინებას დაუქვემდებარა იგი. სამყარო არსებობს და მოძრაობს სულში, და რაკი ამ სულის სიცოცხლე ცვალებადია, სწორედ ესა ქმნის დროში განსხვავებასაც. ამრიგად, დრო სამყაროული სულის სიცოცხლის ინტერვალებით იქმნება. სულის სიცოცხლე და ცხოველმყოფელი ქმედითობა რომ არა, დროც გაქრებოდა. სამყარო, როგორც ცოცხალი არსება (შდრ. პლატონის „ტიმეოსი“, 31a), გარემოცულია სულით, რომლის მუდმივი ქმედითობის თანმიმდევრული ინტერვალები განაპირობებენ სამყაროს წრებრუნვა, რაც, თავის მხრივ, ქმნის „იყო“-ს და „იქნება“-ს (პლატონისეული ტერმინებია, - იხ. „ტიმეოსი“, 37e), ანუ წარსულს და მერმისს, ესე იგი, დროს; ხოლო რაკი სამყაროს სულის სიცოცხლე, არსებითად, მისი დაუოკებელი ლტლოვაა კოსმიური გონების მიმართ, ამიტომ დროის ყველაზე არსებით მომენტად მომავალი გვევლინება. დროს, რომელსაც ძველი ბერძნები, უწინარეს ყოვლისა, აღიქვამდნენ როგორც ციური სფეროს წრებრუნვას, პლოტინი იაზრებს ამ წრებრუნვის ჭეშმარიტ მიზეზად - სამყაროული სულის სიცოცხლედ.

აქ ჩვენ ცოტა ხნით მაინც უნდა შევწყვიტოთ დროის ძველი ბერძნული კონცეფციების მიმოხილვა, რათა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ საკმაოდ უცნაურ ფაქტზე: საქმე ისაა, რომ თანამედროვეობის ზოგიერთი თვალსაჩინო ევროპელი ფილოსოფოსი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ძველი ბერძნებიც და რომაელებიც მოკლებულნი იყვნენ დროის რეალური განცდისა თუ შეგრძნების უნარს; რომ მათთვის თითქოს არ არსებობდა არც აწმყო და არც მომავალი და მხოლოდ წარსულით სულდგმულობდნენ. ასე მაგალითად, სახელგანთქმული ესპანელი მოაზროვნე ხოსე ორტეგა ი გასეტი წერს:

„ამბობენ (შპენგლერი და სხვ.), რომ ძველ ბერძნებს და რომაელებს არ გააჩნიათ დროის შეგრძნების უნარი, ისინი თითქოს ვერ გრძნობენ მათი სიცოცხლის განფენილობას დროში. ამიტომაც იყო, რომ მხოლოდ აწმყოში არსებობდნენ. ამნაირი განსაზღვრა მე არასწორი

მგონია, ყოველ შემთხვევაში, ის ერთმანეთში ურევს ორ მოვლენას. ძველი ბერძენი თუ რომაელი გამაოგნებლად ბრმაა მომავლის მიმართ. ის ვერც კი ამჩნევს მას, როგორც დალტონიკოსი ვერ არჩევს წითელ ფერს. ანტიკური ეპოქის ადამიანი წარსულით ცოცხლობს. ვიდრე რაიმეს აღასრულებდეს, ის უკან იხევს ხვლიკივით, თავდასხმას რომ უპირებს მსხვერპლს. წარსულში ის ეძებს მისაბაძ ნიმუშს და წარსულის პრიზმიდანვე ჭვრეტს მთელ სამყაროს, პრიზმიდან, რომელიც ყველაფრის დეფორმაციას ახდენს. ამიტომ მისი ცხოვრება წარსულის განცდაა და გადამღერება. ეს კი ნიშნავს, რომ ძველი ბერძნები და რომაელები არქაისტები იყვნენ, თუმცა ყველა ძველი ხალხი არქაისტია. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მათ არ შეეძლოთ დროის აღქმა. დროის მათეული აღქმა არასრულფასოვანია. მისთვის ნიშნეულია მომავლისადმი ინტერესის უქონლობა და ჰიპერტროფირებული ყურადღება წარსულის მიმართ. ძველი ხალხებისაგან განსხვავებით, ჩვენ, ევროპელები, ყოველთვის მომავალზე ვართ ორიენტირებულნი, რადგანაც გვესმის, რომ სწორედ მომავალია დროის არსებითი განზომილება. ასე რომ, ჩვენთვის დრო თანდებულით - „-მდე“ კი არ იწყება, არამედ ზმნიზედით - „შემდეგ“. ამიტომაც გვეჩვენება, რომ ძველი ბერძნებისა და რომაელების ცხოვრებას დროისმიღმური ხასიათი ჰქონდა“ (ხოსე ორტეგა ის გასეტი, მასების ამბოხი, ესპანურიდან თარგმნა ბ.ბრეგვაძემ, თბ. 1993, გვ.177-178).

მაგრამ ასე დაახასიათო ხალხი, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველმა ჩაუყარა საფუძველი დროისმეტყველებას თუ დროისმცოდნეობას („ქრონოლოგია“), მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დასავლური აზროვნების მთელ შემდგომ განვითარებას მის მიერ დასახული გზით; ამნაირი კვალიფიკაცია მისცე მთელ ცივილიზაციას, რომელიც თავისი ორიათასწლიანი არსებობის დამლევს დროის ყველაზე არსებით განზომილებად სწორედ მომავალს სახავს და, ამრიგად, უსასრულო პერსპექტივას ხსნის ადამიანური ცნობიერებისა და სულის წინაშე, რითაც გადაჭრით ამკვიდრებს მეტაფიზიკურ (და არა მარტო მეტაფიზიკურ) ოპტიმიზმს, - სულ ცოტა, ისტორიული ფაქტის გაყალბებას ნიშნავს. ორტეგა ის გასეტის დიდი თანამედროვე ამბობს: „ჩვენ უკუსვლით შევდივართ მომავალში“ (პოლ ვალერი, სულის კრიზისი, დასახ. გამოც. გვ.16). საინტერესოა, რას იტყოდნენ დღევანდელ ევროპელებზე ორი თუ სამი ათასწლეულის შემდეგ, ანუ ცალმხრივად და ტენდენციურად რომ განემარტათ ეს სიტყვები.

თუმცა კვლავ მივუბრუნდეთ შეწყვეტილ სიტყვას. როგორც თავშივე აღვნიშნეთ, დროის ანტიკური თეორიები საფუძვლად უდევს ნეტარი ავგუსტინესეულ „ქრონოლოგიას“ („დროისმეტყველებას“), ყველაზე სრულად და ამომწურავად ჩამოყალიბებულს „აღსარებათა“ მეთორმეტე წიგნში, სადაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ღმერთმა „არაფრისაგან“ („ex nihilo“) შექმნა სამყარო, რითაც გადაჭრით უპირისპირდება ყველას, ვისი აზრითაც, შეუძლებელია არაფრისაგან რაიმეს შექმნა, და ვინც სკეპტიკურად კითხუობს: „კი მაგრამ, რას აკეთებდა ღმერთი სამყაროს შექმნამდე? (Quid faciebat deus. atnequam faceret caelum et terram?) თუკი არაფერსაც არ აკეთებდა უქმად მყოფი, რატომ სამუდამოდ არ დარჩა ისევე უქმად, როგორც უკუნისიდან იყო? ხოლო თუ ღმერთში თავს იჩენს ახალი ნება-სურვილი იმის შექმნისა, რაც მანამდე არასოდეს არ შეუქმნია, მაშინ რაღა მარადიულობა ეთქმის იმას, რაშიაც მანამდე არარსებული სურვილი ჩნდება? და მართლაც, ნება ღმერთის ქმნილება კი არა, ყოველგვარ ქმნილებაზე უწინარესია, რადგანაც შეუძლებელი იქნებოდა რისიმე შექმნა, შემოქმედის ნება შექმნილზე ადრე რომ არ არსებულიყო. ამრიგად, ღმერთის ნება განუყოფელია თვით მისი სუბსტანციისაგან. ხოლო თუ ღვთაებრივ სუბსტანციაში თავს იჩენს ის, რაც მანამდე არ ყოფილა მასში, ამნაირ სუბსტანციას მარადიულს ვერ ვუწოდებთ, და ცამდე მართალიც ვიქნებით. თუკი მარადიული იყო სამყაროს შექმნის ღვთაებრივი ნება-სურვილი, მაშინ რატომ არ არის მარადიული მისი ქმნილება?“ („აღსარებანი“, XI, 12).

მარადისობა, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, უცვლელობის და უძრაობის, უფრო ზოგადად კი ღვთაებრივი სუბსტანციის და თვით ღმერთის ატრიბუტია. რაც შეეხება მარადისობისა და დროის ურთიერთმიმართების პრობლემას, ამ მხრივ, „აღსარებათა“ ავტორი თითქმის უცვლელად იმეორებს და იზიარებს კიდეც პლატონის აზრს: „ვინ შეაჩერებს და გასაქანს არ მისცემს მას (დროის ნაკადში დანთქმულ გულს, - ბ.ბ.), რათა თუნდაც წამით შემდგარმა აღიქვას მარად უძრავი მარადისობის სხივოსანი ათინათი და დროის უწყვეტ დინებას შეადაროს იგი? დაე, დარწმუნდეს, რომ ისინი არათანაზომადნი არიან; დაე, შეიგნოს, რომ დროის ხანგრძლივობას ურიცხვი მსწრაფლწარმავალი წამის სიმრავლე განაპირობებს, გამუდმებით რომ ენაცვლებიან ერთმანეთს. მარადისობაში არა არის რა წარმავალი, არამედ მუდმივი აწმყოა, მთელი თავისი სისავსით. დრო კი ვერასოდეს ვერ იქნება პირწმინდად აწმყო; დაე, მიხვდეს, რომ მთელ წარსულს მომავალი მიერეკება, რომ მთელი მომავალი წარსულს მოსდევს, ხოლო ერთიცა და მეორეც იმისგან იღებს დასაბამს, იმისგან მომდინარებს, რასაც მარადი აწმყო ჰქვია. ვინ შეაჩერებს კაცის გულს, რათა უძრავად შემდგარმა იხილოს, თუ როგორ განაპირობებს წარსულსაც და მომავალსაც მარად უძრავი მარადისობა, რომლისთვისაც უცხოა წარსულიც და მომავალიც“ (იქვე, XI, 13).

პლატონის გალვენის კვალი არანაკლებ აშკარაა ნეტარი ავგუსტინეს მეორე თხზულებაში - „ღვთის ქალაქისათვის“, სადაც ავტორი, მარადისობისა და დროის ურთიერთგანსხვავებიდან გამომდინარე, ცდილობს ერთმანეთისაგან გამიჯნოს ცნებები - „სამყაროს შექმნა დროში“ და „სამყაროს შექმნა დროსთან ერთად“, რათა გვიჩვენოს, როგორ გადადის უცვლელი და უძრავი მარადისობა წამითი-წამად ცვალებადსა და მოძრავ დროში, როგორ იქმნება გრძნობად-კონკრეტული, განუწყვეტლივ ქმნადი და ცვლადი სამყარო, რომლის დასაბამიც, წარმართი კრეაციონისტის თვალსაზრისით, დემიურგოსია, ხოლო ქრისტიანი თეოლოგის მიხედვით - ბიბლიური ღმერთი:

„თუკი მართებულად განვასხვავებთ მარადისობასა და დროს, კერძოდ, იმას, რომ შეუძლებელია დროის არსებობა რაიმე მოძრავის ცვალებადობის გარეშე, მარადისობისათვის კი უცხოა ყოველგვარი ცვალებადობა, ვინ ვერ შენიშნავს, რომ არ იქნებოდა დრო, თუკი არ იქნებოდა ქმნილება, რომელიც რაღაცნაირი მოძრაობით შეცვლიდა რამეს?.. ვინც იტყვის, რომ სამყაროზე უწინარეს უკვე იყო სხვა რამ ქმნილება, რომლის ცვლილებითაც შეიძლება ედინა დროს? მაგრამ რაკი წმინდა და უჭეშმარიტესი წერილი ამბობ: „თავდაპირველად შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“, რათა არავინ იფიქროს, თითქოს მანამდე შექმნილიყოს სხვა რამე..., ამიტომ ეჭვშეუვალად შეიძლება ითვას, რომ სამყარო შექმნილია არა დროში (in tempore), არამედ დროსთან რთად (cum tempore), ვინაიდან ის, რაც დროში იქმნება, ან ამა თუ იმ დროის შემდეგ, ან ამა თუ იმ დროზე უწინაეეს იქმნება, ესე იგი, წარსულის შემდეგ და მომავალზე უწინარეს. მაგრამ შეუძლებელია წარსული ყოფილიყო სამყაროზე უწინარეს. ვინაიდან არ იყო ქმნილება, რომლის ცვალებადი მოძრაობითაც შეეძლო ედინა დროს, ამიტომ სამყარო დროსთან ერთად შეიქმნა“ („ღვთის ქალაქისათვის“, XI, 6).

ცნობილი? განა საუბრისას სწორედ ასე არ აღვიქვამთ მას? როცა ჩვენ ვლაპარაკობთ დროზე, რა თქმა უნდა, მშვენივრად გვესმის, რა არის ეს, და როცა სხვა ლაპარაკოს მასზე, ასევე მშვენივრად გვესმის ჩვენი თანამოსაუბრის სიტყვებიც.

კეთილი და პატიოსანი; მაგრამ მაინც რა არის დრო? თუ არავინ მეკითხება ამას, დიახაც ვიცი, რა არის დრო, მაგრამ თუ მოვინდომებ შემკითხველს ავუხსნა დროის რაობა, მაშინ კი

მარადისობის - ამ უცვლელი, წარუვალი და ინტეგრალური აწმყოსაგან განსხვავებით, დრო, პლატონის, არისტოტელესა და პლოტინის კვალდაკვალ, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვითაც, სამ მომენტადაა განწილული (წარსული, აწმყო და მომავალი). მაგრამ თუ პლატონი და არისტოტელე მხოლოდ რელატიურ არსებობას ანიჭებენ აწმყოს, ე.ი. ფაქტობრივად უარყოფენ მას, ნეტარი ავგუსტინესათვის, პირიქით, დროის ერთადერთი რეალურად არსებული მომენტი მხოლოდ აწმყოა, რომლითაც ის ზომავს „იყო“-სა და „იქნება“-ს, ე.ი. წარსულისა და მომავლის რეალობის ხარისხს, რის შედეგადაც როგორც ერთი, ისე მეორე დროის ფიქტიურ მომენტებად წარმოგვიდგება, ვინაიდან წარსული (მკვდარი აწმყო) უკვე აღარ არსებობს, ხოლო მომავალს (დაუბადებელ აწმყოს) ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ ფაზისათვის, როცა მასზე შეიძლებოდა გვეთქვა „არის“, ე.ი. ჯერ კიდევ არ ზიარებია არსებობას. ნეტარი ავგუსტინეს აზრით, სული უშუალოდ ჭვრეტს და აღიქვამს მხოლოდ აწმყოს, მაშინ როდესაც წარსულს იგონებს და მომავალს მოელის. ამ სუბიექტივისტური კონცეფციის თანახმად, დროის არსებობა ადამიანის სულითაა განსაზღვრული, სულით, რომელიც მოელის, ჭვრეტს, იგონებს. თუ დროის სამ მომენტზე მაინც შეიძლება მსჯელობა, ისევ და ისევ ამ სუბიექტივისტურ კონტექსტში: „არის სამი დრო - აწმყო წარსულისა, აწმყო აწმყოსი და აწმყო მომავლისა. ეს სამი დრო მხოლოდ ჩვენს სულში არსებობა და სხვაგან ვერსად ვერ ვხედავ მათ: აწმყო წარსულისა მახსოვრობაა; აწმყო აწმყოსი - უშუალო ჭვრეტა; აწმყო მომავლისა კი - მოლოდინი“ („აღსარებანი“, XI, 26).

თუმცა ნეტარი ავგუსტინე იმასაც გრძნობს, რომ აწმყოს არავითარი გრძლივობა არ გააჩნია და, ამ თვალსაზრისით, მართალნი არიან პლატონი და არისტოტელე, რომელთა მტკიცებითაც, აწმყო დროის რეალური მომენტი კი არა, მხოლოდ წარსულისა და მომავლის გამმიჯნავი, გამუდმებით ცვლადი ზღვარია. დროის პარადოქსული ბუნება კიდევ ერთხელ შინაგანი წინააღმდეგობის ჩიში ამწყვდევს ადამიანის მაძიებელ აზრს, რომელიც ამ ჩიხიდან გამოსავალს ისევ და ისევ დროის სუბიექტივისტურ აღქმაში ეძებს:

„...ყურადღებას წარსულში გადააქვს მომავალი; რაც მომავალს აკლდება, წარსულს ემატება; და თუ მომავალი საერთოდ გაქრა, დარჩება მხოლოდ წარსული. კი მაგრამ, რანაირად მცირდება, ან სულაც ქრება მომავალი, როემლიც ჯერ კიდევ არ არსებობს? მხოლოდ იმნაირად, რომ ეს ხდება სულში, რადგანაც მარტოოდენ სულში არსებობს სამი დრო. ის ელის, ყურადღებას აპყრობს და ახსოვს: რასაც ელის, იმ გზით გაივლის, რასაც ყურადღებას აპყრობს, და იქითკენ მიემართება, რაც ახსოვს. ვინ შესძლებს იმის უარყოფას, რომ მომავალი ჯერ კიდევ არ არსებობს? მაგრამ მისი მოლოდინი უკვეა სულში. ანდა ვინ უარყოფს იმას, რომ წარსული უკვე აღარ არსებობს? მაგრამ სულში კვლავაც ცოცხლობს მისი ხსოვნა. და ბოლოს, ვინ გაბედავს უარყოს, რომ აწმყოს ხანგრძლივობა არ გააჩნია? რადგანის მეყსეულად გადის. მაგრამ ხანგრძლივია ჩვენი ყურადღება, რომელსაც დაუყოვნებლივ არყოფნაში გადაჰყავს ყველაფერი, რაც კი თავს იჩენს. მაშასადამე, ხანგრძლივია არა მომავალი დრო, რომელიც არ არსებობს; ხანგრძლივია მხოლოდ მომავლის მოლოდინი. ხანგრძლივია არა წარსული დრო, რომელიც აღარ არსებობს; ხანგრძლივია მხოლოდ წარსულის ხსოვნა“ („აღსარებანი“, XI, 36-37).

დროის პლატონისა და არისტოტელესეული თეორიები საკმაოდ ორჭოფულია: როგორც მასწავლებლის, ისე მოწაფის აზრითაც, დრო არც პირწმინდად სუბიექტურია და არც ობიექტური, ე.ი. არც ადამიანის ცნობიერებითაა განსაზღვრული და არც დამოუკიდებელია მისგან. მათი დრო სადღაც ცნობიერებასა და ობიექტურ რეალობას შორის მიედინება, ასე რომ, არც ერთზე დაიყვანება და არც მეორეზე. ამიტომ ვერც ერთი ახერხებს დროის მკაცრ დეფინიციას და ვერც მეორე. თუმცა ისიც საკითხავია, შესაძლოა კია, საერთოდ, ამნაირი დეფინიცია? შეუძლია კია ადამიანს დროის გონებამიუწვდომელი იდუმალების ზუსტი და ამომწურავი წვდომა?

დროის ნეტარი ავგუსტინესეული კონცეფციის ორიგინალობა პლატონის, არისოტეტელესა და პლოტინის თეორიებთან შედარებით, უწინარეს ყოვლისა, ისაა, რომ ჰიპონელი ეპისკოპოსის თვალსაზრისით, დრო არსებითად სუბიექტივისტურია, ესე იგი, ადამიანის ცნობიერებითაა განსაზღვრული. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ ორიგინალობის შედეგი წინ გადაგმული ნაბიჯი იყოს დროის ენიგმური ბუნების შეცნობის გზაზე. საპირისპირო აზრისაა ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი: „მე პირადად არ ვეთანხმები ავგუსტინეს თეორიას, რომლის მიხედვითაც დრო რაღაც ჩვენს გონებაში არსებულია. მაგრამ ეს უეჭველად ძალზე ჭკვიანური თეორიაა, ღირსი იმისა, რომ სერიოზული განხილვის საგნად იქცეს. მეტსაც გეტყვით: ავგუსტინეს თეორია გაცილებით უფრო წინ გადადგმული ნაბიჯია ყოველივე იმასთან შედარებით, რასაც ამ საკითხის ირგვლივ ბერძნულ ფილოსოფიაში ვპოულობთ. ეს თეორია შეიცავს პრობლემის უფრო უკეთესსა და უფრო ნათელ ფორმულირებას, ვიდრე დროის სუბიექტივისტური თეორია კანტისა, - თეორია, რომელმაც კანტის შემდეგ ფართო აღიარება ჰპოვა ფილოსოფოსთა შორის“ (Б.Рассел, История западной Философии, М., 1959; стр. 370).

მკითხველი, რომელიც ყურადღების გაეცნო, ერთის მხრივ, პლატონის, არისტოტელესა და პლოტინის თეორიებს, ხოლო მეორეს მხრივ, ნეტარი ავგუსტინეს კონცეფციის ამ მოკლე მიმოხილვას, უთუოდ დაგვეთანხმება იმაში, რომ აგვუსტინეს ორიგინალობას უპირატესად ერთი რამ განაპირობებს: დრო, მისი გაგებით, უფრო სუბიექტივისტურია, ვიდრე ბერძენ ფილოსოფოსებსა აქვთ წარმოდგენილი. მაგრამ სწორედ ამ სუბიექტივიზმს არ იზიარებს ბერტრან რასელი. მაშ, რაღაც ემყარება მისი მტკიცება იმის თაობაზე, რომ „ავგუსტინეს თეორია გაცილებით უფრო წინგადადგმული ნაბიჯია ყოველივე იმასთან შედარებით, რასაც ამ საკითხის ირგვლივ ბერძნულ ფილოსოფიას ვპოულობთ?“

არაფერიც არ მესმის. და მაინც, მე შემიძლია დაბეჯითებით ვამტკიცო, რაც ვიცი: არაფერი რომ არ გადიოდეს, არ იქნებოდა წარსული დრო; არაფერი რომ არ მოდიოდეს, ასევე არ იქნებოდა მომავალი; და არაფერი რომ არ იყოს, არ იქნებოდა არწმყოც.

მაგრამ რანაირად შეიძლება იყოს ეს ორი დრო - წარსული და მომავალი, თუკი პირველი უკვე აღარ არის, ხოლო მეორე ჯერ კიდევ არ არის? აწმყოც რომ ყოველთვის აწმყოდ რჩებოდეს და წარსულში არ გადადიოდეს, მაშინ ის დრო კი აღარ იქნებოდა, არამედ მარადისობა; აწმყო მხოლოდ იმდენადაა დრო, რომ წარსულში გადადის. მაშ, როგორღა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ აწმყო არის, თუკი მისი არსებობის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ აღარ იყოს? მაშ, განა ვცდებით, როდესაც ვამბობთ - დრო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ არყოფნისაკენ მიილტვის?

XV

18. და მაინც, ჩვენ დროს ხან მოკლეს ვუწოდებთ, ხანაც კი ხანგრძლივს, თუმცა ამას მხოლოდ წარსულსა და მომავალზე ვამბობთ. ასე მაგალითად, დროის ასწლოვან შუალედს წარსულშიც და მომავალშიაც „ხანგრძლივად“ ვთვლით, ათდღიან შუალედს კი, კვლავ წარსულსა თუ მომავალში, „ხანმოკლედ“ ვსახავთ. მაგრამ რანაირად შეიძლება ხანგრძლივი ან ხანმოკლე იყოს ის, რაც საერთოდ არ არის? მართლაცდა, წარსული უკვე აღარ არის, ხოლო მომავალი ჯერ კიდევ არ არის. მაშ, „ხანგრძლივს“ ნუკიღა ვუწოდებთ დროს, არამედ ვთქვათ - „ხანგრძლივი იყოო“, როცა წარსულს ეხება საქმე, ან „ხანმოკლე იქნებაო“, როცა მომავალზე ჩამოვარდება სიტყვა.

მაგრამ, ღმერთო ჩემო, ნათელო ჩემო[59], აქაც ხომ არ დასცინებს შენი ჭეშმარიტება საბრალო კაცს? ხანგრძლივი წარსული მას შემდეგ გახდა ხანგრძლივი, რაც უკვე განვლო, თუ მანამდე, როცა ჯერ კიდევ აწმყო იყო? მისი ხანგრძლივობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა არსებობდა რაღაც ისეთი, რასაც შეეძლო ხანგრძლივი ყოფილიყო. მაგრამ წარსული ხომ უკვე აღარ არის; მაშ, როგორღა შეიძლება ხანგრძლივი იყოს ის, რაც საერთოდ არ არის?

ამიტომ ნუღარ ვიტყვით, „ხანგრძლივი იყო წარსული დრო“ (რადგანაც ვერაფერს ვპოვებთ ისეთს, ხანგრძლივი რომ ყოფილიყო), არამედ ვთქვათ: „ხანგრძლივი იყო აწმყო დრო“, რადგანაც ის მხოლოდ აწმყოში თუ შეიძლებოდა ყოფილიყო ხანგრძლივი, ვინაიდან ჯერ კიდევ არ გამქრალიყო, არ გაევლო, და ამიტომაც შეეძლო ხანგრძლივი ყოფილიყო; ხოლო როგორც კი განვლო, მაშინვე დასრულდა მისი ხანგრძლივობა, რადგანაც საერთოდ დასრულდა მისი არსებობა.

[59] მიქა VII, 8; I იოანე I, 5.

19. ახლა კი ვნახოთ, სულო კაცისა, შეუძლია თუ არა აწმყო დროს ხანგრძლივი იყოს? აკი შენ მოგეცა დროთა შეგრძნებისა და გაზომვის უნარი. რას მიპასუხებ?

ხანგრძლივია თუ არა აწმყოს ასი წელი? მაგრამ ჯერ იმას დაუკვირდი, შეიძლება თუ არა ასივე წელი ამწყო იყოს? თუ ამ ასიდან პირველი მიმდინარეობს, სწორედ ისაა აწმყო, დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი წელი კი მომავალია, ესე იგი, ჯერ კიდევ არ არის. თუ მეორე წელი დაიწყო, პირველი უკვე წარსულში გადავა, ეს მეორე აწმყო იქნება, დანარჩენი კი მომავალი. მოდით, ამ ასიდან აწმყოდ ვიგულისხმოთ ნებისმიერი წერლი: მისი წინამორბედი ყოველი წელი უკვე წარსული იქნება, მომდევნო კი - მომავალი. ამიტომაც შეუძლებელია ასივე წელი ამწყო იყოს.

მაგრამ განვაგრძოთ განხილვა: შეიძლება თუ არა, რომ მიმდინარე წელი მთლიანად აწმყო იყოს? თუ მისი პირველი თვეა, დანარჩენი თერთმეტი მომავალი იქნება; თუ მეორე თქვე მიმდინარეობს, პირველს უკვე წარსული ეთქმის, დანარჩენს კი - მომავალი. მაშასადამე, ვერც მიმდინარე წელს მივიჩნევთ მთლიანად აწმყოდ. ხოლო თუ ის მთლიანად არ არის აწმყო, რა თქმა უნდა, არ შეიძლება აწმყოდ გვევლინებოდეს; რადგანაც წელიწადში თორმეტი თვეა, და რომელი თვეც ამჟამად დგას, სწორედ ისაა აწმყო. დანარჩენი თერთმეტი კი ან წარსულია, ან მომავალი. თუმცა არც ეს მიმდინარე თვეა აწმყო: აწმყო მხოლოდ ერთი დღეა. თუ ის პირველი დღეა თვისა, ყველა დანარჩენი დღე მომავალი იქნება; თუ უკანასკნელი - ყველა წინამორბედი დღე წარსულს ეკუთვნის; ხოლო თუ ნებისმიერ შუალედ დღეთაგანია, მაშინ წარსულსა და მომავალს შორისაა მოქცეული.

20. და, აი, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ხანგრძლივი მარტოოდენ აწმყოს თუ შეუძლია ეწოდოს, და ისიც მხოლოდ ერთ დღემდე დაყვანილს. თუმცა, მოდი, ისიც დავანაწევროთ, რადგან ერთ დღესაც ვერ მივიჩნევთ მთლიანად აწმყოდ. ის დღისა და ღამის საათებისაგან შედგება, ხოლო დღე-ღამეში ოცდაოთხი საათია. პირველი საათის მიმართ ყველა დანარჩენი საათი მომავალია, უკანასკნელის მიმართ - წარსული, ნებისმიერი შუალედური საათის მიმართ კი ყველა წინამორბედი საათი წარსულად გვევლინება, ხოლო მომდევნო - მერმისად. თვით ეს ერთი საათიც კი მსწრაფლწარმავალი წამებისაგან შედგება: ყველა გაფრენილი წამი უკვე წარსულია, დანარჩენი წამი კი - მომავალი. აწმყო შეიძლება ეწოდოს დროის მხოლოდ იმ მომენტს, რომელიც თვით უმცირეს ნაწილებადაც აღარ იყოფა, მაგრამ ისე სწრაფად კი გადადის მომავლიდან წარსულში, რომ ვერავითარ ხანგრძლივობას მას ვერ მივაწერთ. აწმყო რომ გრძელდებოდეს, მაშინ მასში შეიძლებოდა გამოგვეყო წარსული და მომავალი; მაგრამ აწმყოსთვის უცხოა ყოველგვარი ხანგრძლივობა.

მაშ, სადღაა ის დრო, რომელსაც ხანგრძლივს ვუწოდებთ? იქნებ მომავალში? მაგრამ ჩვენ ხომ არ ვამბობთ, რომ ის „ხანგრძლივია“, რადგან ჯერ კიდევ არ არის ის, რასაც შეიძლება ხანგრძლივი ეწოდოს, არამედ ვიტყვით, რომ ის „ხანგრძლივი იქნება“. კი მაგრამ, როდისღა იქნება? თუ მომავალში, რანაირად იქცევა ხანგრძლივად ის, რაც ჯერ კიდევ არ

არის? ხოლო თუ ის ხანგრძლივად იქცევა მაშინ, როცა მომავლიდან მოიქცევა აწმყოდ და, ამრიგად, მოგვევლინება ამად, რაც შეიძლება ხანგრძლივი გახდეს, განა სწორედ ეს აწმყო ზემოთქმული სიტყვებით არ მოჰყვება ყვირილს, რომ არ შეუძლია ხანგრძლივი იყოს?

XVI

21. და მაინც, ჩვენ გვესმის, უფალო, რა არის დროის შუალედები; ერთმანეთს ვადარებთ მათ და ვამბობთ, რმო ზოგი გრძელია, ზოგი კი მოკლე. იმასაც კი ვზომავთ, რამდენად უფრო გრძელია დროის ერთი შუალედი მეორეზე, ან რამდენად მოკლე, და ვამტკიცებთ, რომ დროის ესა თუ ეს შუალედი ორჯერ თუ სამჯერ გრძელია ან მოკლე მეორე შუალედზე, ანდა რომ ისინი ტოლნი არიან. მაგრამ დროის გაზომვა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა ის მიმდინარეობს, და შეგვიძლია სწროედ იმიტომ, რომ მის მსვლელობას ვგრძნობთ. განა შეიძლება გაზომო წარსული, რომელიც უკვე აღარ არის, ან მომავალი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის? ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ შეიძლება გაზომო არარსებული? ასე რომ, სანამ დრო მიმდინარეობს, ის შეიძლება შეიგრძნო და გაზომო კიდეც; მაგრამ როცა მან განვლო, ეს უკვე შეუძლებელი ხდება, რადგანაც დრო აღარ არის.

XVII

22. მე მხოლოდ ვეძებ, მამაო, როდი ვამტკიცებ. შემეწიე, ღმერთო ჩემო, მე მიწინამძღვრე[60]. ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ ეს სამი დრო - წარსული, აწმყო და მომავალი, - როგორც ვსწავლობდით ბავშვობისას და თვითონაც ვასწავლიდით ბავშვებს, - არ არსებობს? რომ არსებობს მხოლოდ აწმყო, დანარჩენი ორი კი არა? თუ ეს ორიც არსებულად უნდა მიგვაჩნდეს? და დრო, მომავლიდან რმო მოიქცევა აწმყოდ, რომელიღაც ფარული საცავიდან მოედინება, და როცა წარსულად იქცევა, ფარულ საცავშივე გადადის? რადგან სად უნახავს მომავალი იმას, ვინც მერმისს წინასწარმეტყველებს, თუკი ის საერთოდ არ არის? არარსებულს ვერ დაინახავ. და ვინც წარსულის ამბავს გვაუწყებს, ვერაფერს გვეტყოდა მართალს, გონების თვალით რომ არ ხედავდეს მას, თუმცა შეუძლებელია იმის დანახვა, რაც საერთოდ არ არსებობს. მაშასადამე, წარსულიც არსებობს და მომავალიც.

[60] შდრ. ფსალმ. 22, 1; 27, 9.

XVIII

23. ნება მიბოძე, უფალო, სასოებავ ჩემო[61], კვლავ განვაგრძო კვლევა-ძიება. დაე, ნურაფერი აამღვრევს ჩემს ძალისხმევას.

თუ წარსულიც არსებობს და მომავალიც, მინდა ვიცოდე, სად არიან ისინი. თუკი ამის შეცნობა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება, ის მაინც ვიცი, რომ, მიუხედავად იმისა, თუ სად არიან, იქ არც წარსული ეთქმის მათ და არც მომავალი, არამედ მხოლოდ აწმყო. თუ მომავალი იქაც მომავალია, ჯერ კიდევ არ არის იქ, და თუ წარსული იქაც წარსულია, უკვე აღარ არის იქ. ასე რომ, მიუხედავად იმისა, თუ სად არიან და რანი არიან, ისინი მხოლოდ აწმყოს სახით არსებობენ. და ვინც მართლად გადმოგვცემს წარსულს, თვით მოვლენებს როდი გამოიხმობს თავისი მეხსიერებიდან, მოვლენებს, რომლებიც გარდასულან, განქარებულან, არამედ მაი ხატებებით ნაკარნახევ სიტყვებს. გარდასულ მოვლენებს შეუძრავთ ჩვენი გრძნობები და თითქოს თავიანთი ნაკვალევი დაუტოვებიათ ჩვენს სულში. ასე მაგალითად, ჩემი სიყრმე უკვე აღარ არის, წარსულში დარჩა, რომელიც აღარ არსებობს, მაგრამ როცა მასზე ვფიქრობ, ან იმდროინდელ ამბებსა ვყვები, აწმყოში ვხედავ მის ხატებას, რადგანაც ცოცხლად აღბეჭდილა ჩემს მეხსიერებაში.

იქნებ ასევე წინასწარმეტყველებენ მერმისსაც? შესაძლოა, უკვე არსებულ ხატებათა მიხედვით წინასწარ გრძნობენ იმას, რაც ჯერ კიდევ არ არის? ვაღიარებ, ღმერთო ჩემო, არ ვიცი ეს. მაგრამ ის კი დაბეჯითებით ვიცი, რომ ჩვენ უმეტესწილად ვცდილობთ წინასწარ მოვიფიქროთ ჩვენი მომავალი მოქმედებანი. ეს წინასწარი მოფიქრება აწმყოში ხდება, მაშინ როდესაც თვით მოქმედება, წინასარ რომ მოვიფიქრეთ, ჯერ კიდევ არ დაგვიწყია: ის მყოფადშია. ხოლო როცა მის ხორცშესხმას შევუდგებით, მაშინღა იჩენს თავს თვით მოქმედება, რადგან ის მყოფადში კი აღარ არის, არამედ აწმყოში.

24. რანაირად ხორციელდება მომავლის ეს მისტიური წინასწარჭვრეტა? რადგანაც შეიძლება მხოლოდ იმის დანახვა, რაც არის, ხოლო ის, რაც არის, მომავალი კი არარაა, არამედ აწმყო. ამიტომ, როცა ამბობენ მომავლს „ვხედავთო“, სინამდვილეში მას კი არ ხედავენ (რადგანაც მომავალი ჯერ კიდევ არ არის), არამედ, როგორც ჩანს, მის მიზეზებს თუ ნიშნებს, რომლებიც უკვე არსებობენ. ამრიგად წინასწარმხედველი მომავალს კი არ ხედავს, არამედ აწმყოს, რომლის მიხედვითაც იწინასწარმეტყველება სულის მიერ აღქმული თუ წარმოდგენილი მერმისი. ეს წარმოდგენები უკვე არსებობენ და მომავლის წინასწარმჭვრეტნი თავიანთ სულშივე ჭვრეტენ მათ[62].

---

[61] ფსალმ. 70, 5.

[62] „ნეტარი ავგუსტინე აქ მიმართავს რაციონალისტურ ახსნას: მომავალი ივარაუდება იმ ნიშნების მიხედვით, რომლებსაც აწმყო სთავაზობს იმ ხალხს, ვისაც მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციისა უნარი შესწევს“. - პიერ დე ლაბრიოლის შენიშვნა; იხ. „აღსარებათა“ დასახ. გამოც. გვ.313.

ურიცხვი მაგალითიდან სანიმუშოდ მოვიხმობ ერთ-ერთს: მე ვხედავ განთიადს და წინასწარ ვაცხადებ, რომ მალე ამოვა მზე. რასაც მე ვხედავ, აწმყოა, ხოლო რასაც ვაცხადებ, - მომავალი. მომავალში მზე როდია, - ის უკვე არსებობს, - არამედ მისი ამოსვლა, რაც ჯერ კიდევ არ არის. მაგრამ ჩემს სულს რომ ისევე წარმოდგენილი არა ჰქონდეს ეს ამოსვლა, როგორც ამჟამად, როცა მასზე ვლაპარაკობ, ვერც მას ვიწინასწარმეტყველებდი. ხოლო ეს განთიადი, ცის თავანზე რომ ვხედავ, ისევე არ არის მზის ამოსვლა, თუმცაღა წინ კი უსწრებს მას, როგორც ჩემი სულის მიერ წარმოსახული მზის ამოსვლის სურათი, მაგრამ ერთსაც და მეორესაც აწმყოში ვხედავ და წინასწარ ვაცხადებ, რომ მზე ამოვა. მომავალი ჯერ კიდევ არ არის, ხოლო თუ ჯერ კიდევ არ არის, ესე იგი, საერთოდ არ არის, და რაკი საერთოდ არ არის, მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია მისი დანახვა. მაგრამ შეიძლება აწმყოში არსებული ნიშნების მიხედვით ვიწინასწარმეტყველოთ იგი, ნიშნებისა, რომლებიც უკვე არიან და, რა თქმა უნდა, შეგვიძლია კიდევად დავუკვირდეთ მათ.

XIX

25. კი მაგრამ, რანაირად განუმარტავ, შენს მიერ შექმნილ არსთა გამრიგევ, დიახ, რანაირად განუმარტავ სულებს მომავალს? არადა, ხომ განუმარტავდი მას შენს წინასწარმეტყველთ? რანაირად ხსნი მომავალს, უფალო ჩემო, ვისთვისაც არ არსებობს მომავალი? ან იქნებ, უფრო სწორად, აწმყოს მეშვეობით ხსნი მერმისს? ვინაიდან, რაც არ არის, ყოვლად შეუძლებელია იმისი ახსნა. ჩემი მზერა არც ისე მახვილია და გამჭრიახი, რომ შენი მოქმედების გარჩევა შესძლოს. ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება და ჩემდა თავად კი არა[63], მხოლოდ შენი შემწეობით თუ შევძლებ ამას. მაშ, შემეწიე, ჩემი შინაგანი მზერის სულზე უტკბესო ნათელო[64].

XX

26. ახლა კი ერთი რამ მაინც სავსებით ცხადია ჩემთვის: არც წარსული არსებობს და არც მომავალი. ამიტომ სცდებიან, როცა არსებულად მიიჩნევენ სამ დროს - წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა: არის სამი დრო - აწმყო წარსულისა, აწმყო აწმყოსი და აწმყო მომავლისა. ეს რაღაც სამი დრო მხოლოდ ჩვენს სულში არსებობს და სხვაგან ვერსად ვერ ვხედავ მათ: აწმყო წარსულისა - მეხსიერებაა; აწმყო აწმყოსი - უშუალო ჭვრეტა; აწმყო მომავლისა კი - მოლოდინი. თუ ნებას დამრთავენ ასე ვიმსჯელო, მაშინ მე ვხედავ და ვაღიარებ, რომ დრო სამია.

[63] შდრ. ფსალმ. 138, 6.
[64] ფსალმ. 37, 11.

დაე, თუნდაც ჩვეულებისამებრ განაგრძონ (თუმცა ეს აშკარად მცდარია): არსებობს სამი დრო - წარსული, აწმყო და მომავალიო; დაე, კვლავ განაგრძონ ასე. ახლა ეს როდია ჩემი საზრუნავი; არც დავას დავუწყებ და არც შევეკამათები ვინმეს; მხოლოდ იმ პირობით, რომ იცოდნენ, რასაც ამბობენ, და ესმოდეთ, რომ მომავალი ჯერ კიდევ არ არის, წარსული კი უკვე აღარ არის. რადგანაც ამ სიტყვებს იშვიათად თუ ხმარობენ მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობით; უმეტესწილად მცდარი აზრით ვიყენებთ მათ, მაგრამ ჩვენი კი ესმით.

XXI

27. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ჩვენ მაშინ ვზომავთ დროს, როცა ის მიმდინარეობს. ამიტომაც შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დროის ესა და ეს შუალედი ორჯერ უფრო გრძელია მეორეზე, ან მისი ტოლია და, საერთოდ, გარკვეული თანაფარდობა დავამყაროთ დროის იმ ნაწილებს შორის, რომლებსაც ვზომავთ.

ამრიგად, როგორც აღვნიშნე, დროს მისი მსვლელობისას ვზომავთ, და ვინმეს რომ ეკითხა ჩემთვის, კი მაგრამ, რა იცი, მართლა ასეა თუ არაო, პასუხად ვეტყოდი: ვიცი იმიტომ, რომ ჩვენ ვზომავთ დროს; რაც არ არსებობს, მისი გაზომვა შეუძლებელია; წარსული და მომავალი კი არ არსებობს. მაგრამ რანაირად შეგვიძლია გავზომოთ აწმყო, რომელსაც ხანგრძლივობა არ გააჩნია? მისი გაზომვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მიმდინარეობს; როგორც კი გაივლის, ვეღარ გავზომავთ, რადგანაც გასაზომი აღარაფერი გვექნება.

მაგრამ საიდან მოედინება, რა გზით მიდის და საით მიემართება დრო, როდესაც მას ვზომავთ? საიდან, თუ არა მომავლიდან? რა გზით, თუ არა აწმყოს გავლით? საითკენ, თუ არა წარსულისაკენ? მაშასადამე, იქიდან მოედინება, სადაც ჯერ კიდავ არ არის, იმ გზით მიდის, რომელსაც გრძლივობა არ გააჩნია, და იმისკენ მიემართება, რაც უკვე აღარ არის.

მაშ, რაღას ვზომავთ, თუ არა დროის რომელიღაც მონაკვეთს? რადგან როცა დროის შუალედებზე ვმსჯელობთ და ორმაგს, ოთხმაგს, ან ერთმანეთის ტოლფერდს ვუწოდებთ მათ, რას ვგულისხმობთ, თუ არა დროის ვრცელ მონაკვეთს? კი მაგრამ, მაინც რომელ მონაკვეთში იზომება დრო მისი მიმდინარეობისას? იქნებ, მომავალში, საიდანაც მოედინება? მაგრამ რაც ჯერ კიდევ არ არის, მისი გაზომვა შეუძლებელია. აწმყოში, რომლის გავლითაც მიდის? ვერასდიდებით ვერ გავზომავთ იმას, რასაც არავითარი მონაკვეთი არ გააჩნია. წარსულში, საითკენაც მიემართება? მაგრამ რაც უკვე აღარ არის, ასევე შეუძლებელია მისი გაზომვა.

XXII

28. ოჰ, ნეტა ეს გონებამიუწვდომელი ამოცანა ამომახსნევინა. ნუ დამიმალავ, უფალო ღმერთო ჩემო, მამაო სახიერო, გევედრები, ქრისტეს გულისთვის, ნუ დამიმალავ მის პასუხს. მომეცი ძალი ჩავწვდე ამ მოვლენის არსს, ესოდენ ჩვეულებრივსა და, იმავდროულად, ესოდენ საიდუმლოს; ჩავწვდე და შენი გულმოწყალების შუქი მოვფინო. ვის მივმართო ამ კითხვით? ვის წინაშე ვაღიარო, ჩემდა სასიკეთოდ, ეს ჩემი უმეცრება, თუ არა შენს წინაშე, დიდსულოვნად რომ შეიწყნარებ ჩემს მწველ სურვილსა და დაუოკებელ სწრაფვას, რომლის მიზანია საღმრთო წერილის შესწავლა? მომეცი, რაც მიყვარს; სიყვარულით კი ნამდვილად მიყვარს, და ამის ნიჭიც შენ მომმადლე. მომეც, მამაო, შენ ხომ ჭეშმარიტად შეგიძლია „კეთილი მისაცემელი მისცე შენს შვილებს“[65]; მომეცი ძალი იმის შეცნობისა, რისთვისაც ვიღწვი, მაგრამ ეს „ძნელია ჩემს თვალში“[66], ვიდრე შენ არ ამხელ მას. გევედრები, ქრისტეს გულისთვის, წმიდათა-წმიდის სახელით, დაე, ნურავინ აღუდგება წინ ჩემს ძალისხმევას. „მწამს და მიტომაც ვამბობ“[67]. ესაა სასოება ჩემი, რისთვისაც ვცოცხლობ: მინდა „ვიხილო მშვენიერება უფლისა“[68]. „აჰა, რა ხანია მომიზომე დღენი“[69]. და ისინიც მიჰქრიან, მაგრამ არ ვიცი როგორ.

ჩვენ კი ერთავად ეს გვაკერია პირზე: „დრო“, „ჟამნი“, „ხანი“: „რამდენ ხანს ილაპარაკა“; „რა ხანია აკეთებდა“; „რა დრო გასულა მას შემდეგ, რაც არ მინახავს“; „გრძელი მარცვლის წარმოთქმას ორჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მოკლისას“, და სხვა მისთანანი. ჩვენ ვამბობთ ამას და სხვებიც ამასვე გვეუბნებიან; ჩვენც გვესმის მათი და მათაც ესმით ჩვენი. ყოველივე ეს ცხადზე უცხადესია და ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, მაგრამ, ამასთანავე, არაფერია უფრო ბნელი და უფრო ძნელიც, ვიდრე ამ სიტყვების ჭეშმარიტი აზრის გაგება.

XXIII

29. ერთი სწავლულისაგან გამიგონია, რომ დრო სხვა არა არის რა, თუ არა მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მოძრაობა, მაგრამ მე არ ვიზიარებ მის აზრს. თუ ასეა, მაშინ რატომ არ უნდა მიგვაჩნდეს დროდ ყველა სხეულის მოძრაობა? ციური მნათობები რომ შეჩერებულიყვნენ და მხოლოდ მეთუნის ბორბალს ებრუნა, ნუთუ აღარ იქნებოდა დრო, რომლითაც მის ბრუნვებს გავზომავდით? ვითომ იმისდა კვალად, თუ როგორ იბრუნებდა ბორბალი - თანაბარზომიერად, ნელა თუ ჩქარა, - ვერ შევძლებდით გვეთქვა, რომ ერთ შემობრუნებას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მეორეს? და ნუთუ გარკვეული დრო არ

[65] მათე VII, 11.
[66] ფსალმ. 72, 16.
[67] ფსალმ. 115, 1.
[68] ფსალმ. 26, 4.
[69] ფსალმ. 38, 6.

დასჭირდებოდა ამის წარმოთქმას? განა ჩვენს სიტყვებში აღარ იქნებოდა გრძელი და მოკლე მარცვლები? პირველნი ხომ უფრო დიდხანს იხმიანებდნენ, ვიდრე მეორენი.

უფალო, მიეცი ხალხს იმის უნარი, რომ მცირედში შესძლონ იმ არსებით ნიშან-თვისებათა დანახვა, რაც ახასიათებს დიდთაც და პატარათაც. არსებობენ ვარსკვლავები და ციური მნათობები „დღე-ღამის გასაყარად და დრო-ჟამის აღსანიშნავად“[70]; დიახ, არსებობენ, მაგრამ ვერც მე ვიტყვი, ამ პატარა ხის ბორბლის შემობრუნება დღეა-მეთქი, და ვერც ის სწავლული გაბედავს იმის თქმას, რომ იგივე ბორბალი დროში არ არსულებს ბრუნს.

30. მე მსურს გავიგო ბუნება და არსი დროისა, რომლითაც სხეულთა მოძრაობას ვზომავთ და ვამბობთ, რომ, მაგალითად, ესა და ეს მოძრაობა ორჯერ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მეორე. მე მინდა ვიკითხო შემდეგი: როგორც ვიცით, დღედ მარტო ის დრო კი არ იწოდება, რომლის განმავლობაშიც მზე დედამიწას დაჰყურებს (ამით განისაზღვრება განსხვავება დღესა და ღამეს შორის), არამედ ის დროც, რომლის განმავლობაშიც მზე თავის წრიულ მიმოქცევას ასრულებს ერთი აისიდან მეორე აისამდე. სწორედ ამ მიმოქცევათა შესაბამისად ვამბობთ, ამდენი და ამდენი დღე გავიდაო, ხოლო ამ ცნებაში - „დღე“ - ღამეც იგულისხმება, რადგანაც ღამეულ დროს ცალკე როდი აღვრიცხავთ. მაშასადამე, ერთი სრული აისიდან აისამდე მზის წრებრუნვით განისაზღვრება, და მეც სწორედ ამას ვკითხულობ: რა არის დღე, თვით ეს წრებრუნვა, ეს მოძრაობა, თუ დროის შუალედი, რომელშიაც ის სრულდება? ან იქნებ, ორივე ერთად?

პირველ შემთხვევაში „დღედ“ უნდა გვეგულისხმებინა ერთი საათიც, თუკი მზე დროის ამ შუალედში შესძლებდა თავისი გზის გავლას; მეორე შემთხვევაში კი „დღე“ საერთოდ არ იქნებოდა, თუკი მზის ორ ამოსვლას შორის დროის მხოლოდ ეს მცირე შუალედი - ერთი საათი იქნებოდა მოქცეული. ერთი სრული დღის გასასრულებლად მზეს ოცდაოთხჯერ უნდა შეესრულებინა თავისი წრებრუნვა. მესამე შემთხვევაში „დღედ“ ვერც ერთსაათიან შუალედს მივიჩნევდით, რომლის განმავლობაშიც მზე თავის ერთ სრულ მიმოქცევას შეასრულებდა, და ვერც იმ დროს, რომლის მანძილზეც ის ჩვეულებრივ ასრულებს თავის წრებრუნვას განთიადიდან განთიადამდე (თუ შევუშვებდით, რომ მზე საერთოდ გაჩერდა).

ამრიგად, ახლა იმას კი აღარ ვკითხულობ, თუ რა იწოდება დღედ, არამედ იმას, თუ რა არის დრო, რომლითაც მზის მოძრაობას ვზომავთ და ვამბობთ, რომ მზემ დროის ორჯერ უფრო მოკლე შუალედში განვლო თავისი გზა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება, თუკი დავუშვებთ, რომ თორმეტი საათი მოანდომა ერთ სრულ წრებრუნვას. დროის ამ ორი შუალედის შედარებისას ჩვენ ვიტყვით, რომ ერთი ორჯერ უფრო გრძელია მეორეზე, და რომ

[70] **დაბად.** I, 14.

მზე ზოგჯერ ამ ორთაგან ერთერთის განმავლობაში ასრულებს თავის მიმოქცევას აისიდან აისამდე, ზოგჯერ კი ორჯერ მეტ დროს ანდომებს ამას[71].

მაშ, ნუღარავინ მეტყვის, რომ დრო ციურ სხეულთა მოძრაობაა. როცა ერთმა კაცმა ლოცვით შეაჩერა მზე[72], რათა გამარჯვებით დაესრულებინა ბრძოლა, მზე იდგა, დრო კი მიდიოდა. ბრძოლა გრძელდებოდა და თავის დროზე დამთავრდა. ამრიგად, მე ვხედავ, რომ დრო ერთგვარი ვრცეულობაა თუ განფენილობა. მაგრამ მართლა ვხედავ თუ მეჩვენება, რომ ვხედავ? შენ მიჩვენებ ამას, უფალო, ჩემო ნათელო და ჭეშმარიტებავ.

XXIV

31. განა იმას მიბრძანებ, დავადასტურო, რომ დრო სხეულთა მოძრაობაა? არა, ამას როდი მიბრძანებ. კარგად მესმის, რომ სხეულს მხოლოდ დროში შეუძლია იმორაოს. ეს გამიგია შენგან. მაგრამ დრო რომ თვით სხეულთა მოძრაობა იყოს, ეს კი აღარ მესმის და არც გამიგია შენგან[73]. როდესაც სხეული ამოძრავდება, მე დროით ვზომავ, რამდენ ხანს მოძრაობს იგი მოძრაობის დაწყებიდან მის დასასრულამდე. თუ არ დამინახავს, როდის დაიწყო მოძრაობა, მაგრამ განუწყვეტლივ კი მოძრაობდა, და ვერც მოძრაობის დასასრული შევნიშნე, ვერ შევძლებ მისი მოძრაობის ხანგრძლივობა გავზომო, თუ არ ჩავთვლით იმ დროს, რომლის განმავლობაშიც თვალს ვადევნებდი მის მოძრაობას, დასაწყისიდან დასასრულამდე. თუ დიდხანს ვაკვირდებოდი, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, თუმცა ზუსტად კი ვერ განვსაზღვრავ მის ხანგრძლივობას, რადგანაც ხანგრძლივობა შედარებით განისაზღვრება. ასე მაგალითად, ჩვენ ვამბობთ: „ეს იმდენხანს გაგრძელდა, რამდენსაც ის გრძელდებოდა“, ან „მეტი დრო დასჭირდაო“, და ა.შ. ხოლო თუ ჩვენ შეგვილია იმ ორი ადგილის ჩანიშვნა, საიდანაც მოძრაობას იწყებს და ამთავრებს სხეული ან მისი ნაწილი, როცა ისე მოძრაობს, თითქოს წრიულად ბრუნავსო, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რამდენ ხანს გრძელდებოდა სხეულისა თუ მისი ნაწილის მოძრაობა ერთი ადგილიდან მეორემდე.

მაგრამ რაკი სხეულის მოძრაობა ერთია, ხოლო ის, რითაც მის მოძრაობას ვზომავთ, - მეორე, განა აშკარა არ არის, თუ ამ ორი ცნებიდან რომელს უფრო შეიძლება ეწოდოს დრო? სხეული ზოგჯერ თანაბრად მოძრაობს, ზოგჯერ კი სულაც ჩერდება, და ჩვენ სწორედ დროით ვზომავთ არა მარტო მის მოძრაობას, არამედ უძრაობასაც. ამ შემთხვევაშიც ვიტყვით ხოლმე: „იმდენ ხანს იდგა, რამდენსაც მოძრაობდა“, ან - „ორჯერ თუ სამჯერ უფრო მეტ ხანს იდგა,

[71] ნეტარი ავგუსტინე ზაფხულისა და ზამთრის დღეებს გულისხმობს.
[72] იესო ნავ. X, 12-13.
[73] არისტოტელეს მიხედვით (იხ. შენ. 60), დრო და მოძრაობა ერთმანეთს განსაზღვრავენ, ნეტარი ავგუსტინე კი, არსებითად, უარყოფს მათ ურთიერთგანსაზღვრულობას.

ვიდრე მოძრაობდაო“ და ა.შ., იმის მიხედვით, ზუსტია ჩვენი გამოთვლა თუ მიახლოებითი. მაშასადამე, დრო სხეულთა მოძრაობა როდია.

XXV

32. ვაღიარებ, უფალო, დღემდე არ ვიცი, რა არის დრო; მაგრამ სხვა რამესაც ვაღიარებ, ღმერთო ჩემო: ვიცი, რომ დროში წარმოვთქვამ ამ ჩემს სიტყვებს; რომ დიდი ხანია დროზე ვლაპარაკობ, და თვით ეს „დიდი ხანი“ სხვა არა არის რა, თუ არა დროის ერთგვარი შუალედი. მაგრამ რა ვიცი ეს, თუკი არ ვიცი, რა არის დრო? იქნებ, არ ვიცი, რანაირად გადმოვცე ის, რაც არ ვიცი? ვაიმე ბედკრულს! ისიც კი არ ვიცი, თუ რა არ ვიცი. აჰა, შენს წინაშე ვდგავარ, უფალო: არ ვცრუობ; რასაც ვამბობ, იმასვე ვფიქრობ. „მაშ, ამინთე ლამპარი, უფალო ღმერთო ჩემო, სინათლედ მიქციე ბნელი“[74].

XXVI

33. განა წრფელი არ არის აღსარება ჩემი სულისა, რომელიც აღიარებს შენს წინაშე, დროსა ვზომავთ? დიახ, უფალო, ვზომავ, მაგრამ ის კი არ ვიცი, თუ რასა ვზომავ. თვით დროს კი არა, სხეულის მოძრაობას ვზომავ დროით? როცა სხეულის მოძრაობის ხანგრძლივობას ვზომავ, თუ რამდენ ხანს უნდება იგი გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორემდე, სხვა რასა ვზომავ, თუ არა დროს, რომლის განმავლობაშიაც მოძრაობს სხეული?

კი მაგრამ, რითი გავზომო თვით დრო? იქნებ, უფრო ხანმოკლე დროით - უფრო ხანგრძლივი, როგორც ლატანს ვზომავთ ხოლმე წყრთით?[75] ისევე, როგორც გრძელი მარცვლის სიგრძეს ვზომავთ მოკლე მარცვლის გრძლივობით და ვამტკიცებთ, რომ პირველი ორჯერ უფრო გრძელია მეორეზე. აკი ლექსის სიგრძესაც სტრიქონთა რაოდენობით ვზომავთ, სტრიქონებისას - ტერფთა რაოდენობით, ტერფებისას - მარცვალთა რიცხვით, ხოლო გრძელი მარცვლებისას - მოკლე მარცვალთა გრძლივობით? ეს გაზომვა ფურცელზე როდი ხდება (თორემ სივრცის განფენილობას გავზომავდით და არა დროისას); არა, სიტყვების წარმოთქმისდაკვალად ჩვენ ვამბობთ: ეს ლექსი გრძელია; ამდენი და ამდენი სტრიქონისაგან შედგება; ეს სტრიქრონი გრძელია, რადგან ამდენ და ამდენ მარცვალს ითვლის; და ბოლოს, ეს მარცვალიც გრძელია, რადგანაც მისი სიგრძე ორჯერ აღემატება მოკლისას.

მაგრამ დროის ზუსტი საზომი აქ არა გვაქვს; რადგანაც შეიძლება შედარებით მოკლე ლექსი ისე გაჭიანურებულად წარმოითქვას, რომ ამას მეტი დრო დასჭირდეს, ვიდრე უფრო

[74] ფსალმ. 17, 29.
[75] დედანში - cubitus = დაახ. 45 სმ.

გრძელი, მაგრამ სხაპასხუპით წაკითხული ლექსის წარმოთქმას. იგივე შეიძლება ითქვას სტრიქონის, ტერფისა თუ მარცვლის მიმართაც.

ამიტომ, ჩემის აზრით, დრო ერთგვარი განფენილობაა, მაგრამ მისი განფენილობა? - ეს კი არ ვიცი. იქნებ საკუთრივ სულისა?[76] მაშ, რაღას ვზომავ, უფალო, როცა სავარაუდოდ ვამბობ: „ეს დრო იმ დროზე ხანგრძლივია“, ან დაბეჯითებით ვამტკიცებ: „ეს დრო ორჯერ უფრო გრძელია, ვიდრე ის-მეთქი?“ ვიცი, რომ ამით დროს ვზომავ, მაგრამ მომავლის გაზომვა არ შემიძლია, რადგან ის ჯერ კიდევ არ არის; არც აწმყოსი თუ წარსულისა, რადგანაც პირველს ხანგრძლივობა არ გააჩნია, ხოლო მეორე უკვე აღარ არის. მაშ, რაღას ვზომავ? დროს, რომელიც გადის, მაგრამ ჯერ კიდევ არ გასულა? ზემოთ სწორედ ამას ვამბობდი.

XXVII

34. უდრეკი იყავ, სულო ჩემო, უფრო ძალუმად დაძაბე შენი აზრი: „ღმერთია ჩვენი შემწე; მან შეგვქმნა ჩვენ, თვითონ როდი შეგვიქმნია ჩვენივე თავი“[77]. იქით მიაპყარ თვალი, სადაც უკვე კრთის ჭეშმარიტების განთიადი.

წარმოიდგინე, მაგალითად, ადამიანის ხმა; ბგერა თრთის, თრთის და ბოლოს ჩუმდება. მიწყდა და მდუმარებამ დაისადგურა. თვით ხმა კი განქარდა, გაქრა. ვიდრე ახმიანდებოდა, მომავალში იყო, და ამიტომაც ვერ გავზომავდით, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობდა. მაგრამ ვერც ამჟამად გავზომავთ, რადგანაც უკვე აღარ არის. შეიძლებოდა გაგვეზომა მხოლოდ მანამ, სანამ ხმიანებდა, რადგანაც მხოლოდ მაშინ იყო რაღაც ისეთი, რისი გაზომვაც შეიძლებოდა. მაგრამ მაშინაც ხომ არ იყო უძრავად გახევებული: მოდიოდა და მიდიოდა. ამიტომაც შეიძლებოდა მისი გაზომვა? ვიდრე ჰაერში მიირხეოდა, დროის გარკვეულ შუალედში იყო მოქცეული, და სწორედ ამ შუალედით შეიძლებოდა მისი გაზომვა: აწმყოს ხომ ხანგრძლივობა არ გააჩნია.

ასე რომ, თუ შეიძლება მისი გაზომვა, მაშ, დაუფიქრდი: აი, ხმიანობას იწყებს მეორე ბგერა, რომელიც ჯერხნობით კვლავაც უწყვეტად და თანაბრად ხმიანებს. გავზომავთ, სანამ არ მიმწყდარა. თორემ მიწყდება თუ არა, აღარაფერი დაგვრჩება გასაზომი. მაშ, ზუსტად გავზომოთ და ვთქვათ, რანაირია მისი ხანგრძლივობა. მაგრამ ის კვლავაც ხმიანებს და მისი გაზომვა შეიძლება მხოლოდ იმ წამიდან, როცა ახმიანდა, იმ წამამდე, როცა მიწყდება. მაშასადამე, ჩვენ ვზომავთ შუალედს რომელიღაც დასაწყისს და დასასრულს შორის. ესე იგი, ვერ გავზომავთ ბგერას, რომელიც ჯერ კიდევ ჟღერს, და ვერც იმას ვიტყვით, გრძელია ის თუ მოკლე, ან მეორე ბგერის ტოლფარდია, ორჯერ გრძელია მასზე და ა.შ. ხოლო როცა

[76] ნეტარი ავგუსტინე აქ უახლოვდება პლოტინის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, „დროის წვდომა შეუძლებელია სულის გარეშე“ („ენნ.“ III,7,11). მაგრამ პლოტინი, როგორც ვნახეთ (იხ. შენ.60), აქ სამყაროს სულს გულისხმობს, ხოლო ნეტარი ავგუსტინე, რომელიც სუბიექტივისტურად იაზრებს დროს, - ადამიანის სულს.

[77] ფსალმ. 61, 9; 99, 3.

ბგერა მიწყდება, ის უკვე აღარ იქნება. მაშ, როგორღა შეიძლება მისი გაზომვა? და მაინც ჩვენ ვზომავთ დროს; იმ დროს კი არა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის, არც იმას, რომელიც უკვე აღარ არის, არც იმას, რომელიც საერთოდ არ გრძელდება, და არც იმას, ზღვარი რომ არ გააჩნია. მაშასადამე, არც მომავალ დროს ვზომავთ, არც წარსულს, არც აწმყოს და არც მიმდინარეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვზომავთ დროს.

35. Deus creator omnium („ღმერთო, ყოვლის შემოქმედო“)[78] - ეს სტრიქონი რვა ურთიერთმონაცვლე გრძელი და მოკლე მარცვლისაგან შედგება. ამათგან ოთხი მოკლეა: პირველი, მესამე, მეხუთე და მეშვიდე; ისინი ოთხ გრძელ მარცვალს ეწყვილებიან: მეორეს, მეოთხეს, მეექვსესა და მერვეს. ყოველი გრძელი მარცვლის წარმოთქმას ორჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მოკლესას, რასაც მკაფიოდ აღიქვამს ყური, და ეს ასეცაა. როგორც ჩანს, თუ გრძნობადი აღქმის სიზუსტეს ვენდობით, გრძელ მარცვალს მოკლეთი ვზომავ და ვგრძნობ, რომ პირველი ორ უკანასკნელს უდრის. მაგრამ როცა ერთიმეორის მიყოლებით ხმიანებენ, როგორღა „მოვიხელთო“ მოკლე მარცვალი, რათა საზომად მივუსადაგო გრძელს და, ამრიგად, დავადგინო, რომ გრძელი მარცვალი ორი მოკლე მარცვლის ტოლია? გრძელი ხომ მანამდე არ გახმიანდება, ვიდრე არ მიწყდება მოკლე. განა გრძელ მარდცვალს მანამ ვზომავ, სანამ ხმიანებს? არა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება. მაგრამ დასრულე-ბისთანავე ქრება კიდეც. მაშ, რაღას ვზომავ? სადაა ის მოკლე მარცვალი, რომლითაც ვზომავ? ან გრძელი მარცვალი, რომელსაც ვზომავ? ორივემ გაიხმიანა და გაქრა, განქარდა, არცერთი აღარ არის, მე კი ვზომავ და ჩემს სისწორეში დარწმუნებული ვამტკიცებ, - თუკი შეიძლება ერწმუნოთ დახვეწილ სმენას, - რომ გრძელი მარცვალი ორჯერ უფრო გრძელია, ვიდრე მოკლე; რა თქმა უნდა, დროის ხანგრძლივობა იგულისხმება. და ეს მხოლოდ იმიტომ შემიძლია, რომ ორივე მარცვალმა გაიხმიანა და მიჩუმდა. მაშასადამე, თვით მათ როდი ვზომავ, რაკი არცერთი აღარ არის, არამედ მათ ერთგვარ ნაკვალევს, ღრმად რომ აღბეჭდილა ჩემს მეხსიერებაში.

36. ასე რომ, სულო ჩემო, შენში ვზომავ დროს[79]. ნუ შემედავები და შემეკამათები შენი შთაბეჭდილებების ორომტრიალში. გიმეორებ, შენში ვზომავ-მეთქი დროს. ყველაფერი, რაც გვერდით ჩაგივლის, შენში ტოვებს თავის აღნაბეჭდს; სწორედ ამჟამად არსებულ ამ აღნაბეჭდს ვზომავ და არა იმას, რამაც ჩაიარა და შენში თავისი ნაკვალევი დატოვა. დიახ,

[78] ზემოთ (IX, XII, 32) ნეტარ ავგუსტინეს უკვე მოაქვს ამბროსი მედიოლანელის ამ მშვენიერი ჰიმნის პირველი ორი სტროფი.

[79] სახელგანთქმული ფრანგი მეცნიერი პიერ მორის მარი დიუემი თავის გრანდიოზულ, ათტომიან გამოკვლევაში „სამყაროს სისტემა. კოსმოლოგიურ მოძღვრებათა ისტორია პლატონიდან კოპერნიკამდე“, პარიზი, 1913-1959, შემდეგნაირად განმარტავს ამ პასაჟს: „მაშასადამე, დროის არსებობა და ხანგრძლივობა ჩვენი სულის საქმეა, სულისა, რომელსაც შეუძლია ყურადღების ერთი და იმავე, მუდმივი და მყარი ქმედითობით მოიცვას წარსულისა და მომავლის მოვლენები... ყოველივე იმაში, რაც ამჟამად ხდება, ჩვენს სულს შეუძლია გამოყოს თანმიმდევრულ მოვლენათა მთლიანობა, და ამრიგად, ერთი და იმავე, ამწამიერი ყურადღებით „მოიხელთოს“ ყველა ეს მოვლენა. ამის წყალობით ის მათ ანიჭებს მყარსა და პერმანენტულ, ინტელექტისმიერ არსებობას, რასაც ისინი მოკლებულნი არიან გარე სინამდვილეში. სხვადასხვა გრძლივობის გაზომვისას სული ერთმანეთს ადარებს სწორედ ამ ფიქსირებულსა და აწმყოდ ქცეულ მთლიანობებს“ (P.Duhem. Le Systéme de monde, t. II, Paris, 1914, p.476).

ამ უკანასკნელს ვზომავ, როცა დროის გაზომვას ვაპირებ. მაშასადამე, სწორედ ესაა დრო, ანდა საერთოდ არ ვზომავ მას.

მერედა რა? როცა დუმილს ვზომავთ და ვამბობთ, რომ ის იმდენ ხანს გრძელდება, რამდენი ხნის მანძილზეც ხმიანებდა ესა თუ ის ბგერა, განა აზრით არ ვცდილობთ ამ ბგერის გაზომვას, თითქოსდა კვლავაც ხმიანებდეს, რათა, ამრიგად, საშუალება გვქონდეს განვსაზღვროთ დუმილის დროული შუალედი? ზოგჯერ ასევე ჩუმად და უსიტყვოდ წარმოვთქვამთ გულში ლექსს, მის ცალკეულ სტრიქონებსა თუ სიტყვებს, და ისე განვსაზღვრავთ მათ წარმოსათქმელად საჭირო დროის შუალედებსა თუ თანაფარდობებს ამ უკანასკნელთა შორის, თითქოს ხმამაღლა წარმოგვეთქვას ისინი. ვთქვათ, ვინმეს სურს დაუსტვინოს და აზრით განსაზღვროს სტვენის მომავალი ხანგრძლივობა. ცხადია, ჩუმად განსაზღვრავს დროის ამ შუალედს, კარგად დაიმახსოვრებს მას და მხოლოდ შემდეგ დაუსტვენს. სტვენა იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენიც წინასწარ იქნა დადგენილი. ან, უფრო სწორად, სტვენა ისოდა და კვლავაც შეიძლება ისმოდეს: რაც უკვე გაისმა, რა თქმა უნდა, ხმიანდება, რაც ანი უნდა გაისმას, შემდეგ გახმიანდება, და ყველაფერი ასე დასრულდება: ყურადღებას წარსულში გადააქვს მომავალი; რაც მომავალს აკლდება, წარსულს ემატება; და თუ მომავალი საერთოდ გაქრა, დარჩება მხოლოდ წარსული.

XVIII

37. კი მაგრამ, რანაირად მცირდება ან სულაც ქრება მომავალი, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობს? ან რანაირად იზრდება წარსული, რომელიც უკვე აღარ არსებობს? მხოლოდ იმნაირად, რომ ეს ხდება სულში, რადგანაც მარტოოდენ სულში არსებობს სამი დრო. ეს ელის, ყურადღებას აპყრობს და ახსოვს: რასაც ელის, იმ გზით გაივლის, რასაც ყურადღებას აპყრობს, და იქითკენ მიემართება, რაც ახსოვს. ვინ შესძლებს იმის უარყოფას, რომ მომავალი ჯერ კიდევ არ არსებობს? მაგრამ მისი მოლოდინი უკვეა სულში. ანდა ვინ უარყოფს იმას, რომ წარსული უკვე აღარ არსებობს? მაგრამ სულში კვლავაც ცოცხლობს მისი ხსოვნა, და ბოლოს, ვინ გაბედავს უარყოს, რომ აწმყოს ხანგრძლივობა არ გააჩნია? რადგან ის მეყსეულად გადის. მაგრამ ხანგრძლივია ჩვენი ყურადღება, რომელსაც დაუყოვნებლივ არყოფნაში გადაჰყავს ყველაფერი, რაც კი თავს იჩენს. მაშასადამე, ხანგრძლივია არა მომავალიდრო, რომელიც არ არსებობს; ხანგრძლივია მხოლოდ მომავლის მოლოდინი. ხანგრძლივია არა წარსული დრო, რომელიც არ არსებობს; ხანგრძლივია მხოლოდ წარსულის ხსოვნა.

38. ვთქვათ, მსურს წამოვიწყო ნაცნობი სიმღერა: ვიდრე არ დამიწყია, მთელი ჩემი მოლოდინი მისკენაა მიპრყობილი. მაგრამ როგორც კი დავიწყებ, მოლოდინი წყდება, სიმღერის ნაწილი წარსულში გადადის და, ამრიგად, ამდიდრებს ჩემს მეხსიერებას. ჩემი მოქმედების ძალა განწილულია ხსოვნასა და მოლოდინს შორის: ხსოვნაში გადადის, რაც

უკვე ვიმღერე, მოლოდინი კი იმისკენაა მიმართული, რაც ჯერ კიდევ სამღერი დამრჩა. ხოლო ჩემი ყურადღება აწმყოს ეკუთვნის, რომლის გავლითაც მიემართება მომავალი, რათა წარსულად იქცეს. რაც უფრო მეტს ვმღერი, მით უფრო იზღუდება მოლოდინი და ფართოვდება ხსოვნა, ვიდრე მოლოდინი, ბოლოს და ბოლოს, სულ არ გაქრება: სიმღერა დამთავრდა; ახლა ის მთლიანად მეხსიერებაშია გადასული. რაც მთელ სიმღერას მოსდის, იგივე მოსდის მის ყველა ნაწილს, ყველა მარცვალსაც. ჩემი სიმღერა შეიძლება უფრო ვრცელი საგალობლის ნაწილი იყოს, და მაშინ იგივე ითქმის ამ ვრცელი საგალობლის, ისევე, როგორც ადამიანის მთელი ცხოვრების მიმართაც, რომელიც ასევე ცალკეული ნაწილებისა თუ მოქმედებებისაგან ითხზვის. დასაბამიდან მოყოლებული ამავე კანონზომიერებას ექვემდებარება კაცთა მოდგმის მთელი ამქვეყნიური არსებობაც, რომლის ნაწილებადაც ცალკეულ თაობათა თუ კერძო პირთა ცხოვრებანი გვევლინებიან.

XXIX

39. მაგრამ რაკი „შენი წყალობა სიცოცხლეზე უმეტესია“[80], აჰა, ჩემი სიცოცხლე, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა უთავბოლო წრიალი და დაბნეულობა. მაშ, „შემეწიე შენი მარჯვენით“[81], უფლის ჩემის, კაცის ძის მიერ, ვინც არის შუამავალი შენ ერთსა და ჩვენ მრავალს შორის, რომელნიც მრავალში და მრავლითა ვცხოვრობთ. „დაე, ვეწიო, როგორც თვითონ მეწია იგი“[82]; დაე, განვეშორო ჩემს ძველ ყოფას, ხელთ ვიპყრა ჩემივე თავი და შენ ერთს მოგსდიო, რათა დავივიწყო წარსული და თავგზა აღარ ამიბნიოს მერმისსა თუ წარმავალზე ფიქრმა, არამედ ყურადღება მივაპყრო მხოლოდ ჩემს წინაშე მყოფს და მთელის არსებით ვესწრაფო ზეციური ხმობის გვირგვინს[83], რომ „ვისმინო ხმა შენი ქებისა“[84] და „ვიხილო უფლის მშვენება“[85], რომელაც არც დასაბამი აქვს და არც დასასრული.

ახლა კი „გაილია სიცოცხლე ჩემი ნაღველში, და წლები ჩემი - გლოვაში“[86]; მაგრამ შენა ხარ, უფალო, ჩემი ნუგეში, მარადიული მამა ჩემი; მე კი დროში ვარ დანთქმული[87], რომლის წყობისაც არა მესმის რა. ჩემი ფიქრი, ჩემივე სულის უიდუმალესი ნაყოფი, დაფლეთილ-დაქუცმაცებულია ცვალებადობის ბობოქარი დინებით, და ასე იქნება მანამ, სანამ არ შეგერწყმი შენ, განწმენდილი და გამოწრთობილი შენი სიყვარულის ცეცხლში.

---

[80] ფსალმ. 62, 4.
[81] ფსალმ. 17, 36; 62, 9.
[82] ფილიპ. III, 12.
[83] შდრ. ფილიპ. III, 13-14.
[84] ფსალმ. 25, 7.
[85] ფსალმ. 26, 4.
[86] ფსალმ. 30, 11.
[87] პლატონისა და ნეოპლატონიკოსთან მოძღვრების გამოძახილი - ზედროულსა და ზესივრცულ წინამდვილეს მოწყვეტილი სულის მატერიაში, ე.ი. დროისა და სივრცის სამყაროში დანთქმის შესახებ.

XXX

40. მაშინ აღვდგები და ჩემი ნამდვილი სახით დავემკვიდრები შენს ჭეშმარიტებაში. ამიერიდან აღარ მოვითქმენ იმათ შეკითხვებს, რომელთაც ახრჩობთ ავადმყოფური წყურვილი: სურთ იმაზე მეტი დალიონ, რისი მონელების ძლააც შესწევთ. სწორედ ისინი მეკითხებიან: „რას აკეთებდა ღმერთი ცისა და მიწის შექმნამდეო?“ ანდა: „რაში მოეპრიანა რაღაცის შექმნა, თუკი არასდროს არაფერს არ აკეთებდაო?“

შეაგნებინე მათ, უფალო, რას ბოდავენ; გაუმჟღავნე საცოდავებს, რომ იქ, სადაც არ არის დრო, სიტყვას „არასოდეს“ არავითარი აზრი არა აქვს. გინდ ის გითქვამს ვინმეზე, „არასდროს არაფერს არ აკეთებდაო“, და გინდაც ის გიმტკიცებია - „არაფერს აკეთებდა დროშიო“. დაე, დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია დრო იყოს ის, სადაც არ არის ქმნილება[88], და ტყუილად ნუღარ ლაყბობენ[89]. დაე, იმას მიუბრუნდნენ, რაც მათ წინაშეა[90]. დაე, შეიგნონ, რომ ყველა დროზე უწინარეს შენა ხარ - ყოველი დროის მარადიული შემოქმედი. და შენამდე არც დრო ყოფილა და არც რამ ქმნილება, თუნდაც თვით დროზე უზენაესი[91].

XXXI

41. უფალო ღმერთო ჩემო, რა უძირო სიღრმეში მიმალულან შენი საიდუმლონი, და რაოდენ შორსა ვარ მათგან ჩემი ცოდვების გამოისობით. განკურნე ჩემი თვალისჩინი, რათა ვიხარო შენი ნათელით. თუკი არსებობს დიადი სული, ყოვლისმცოდნე და წინასწარჭვრეტის ნიჭით ცხებული, ვისთვისაც ისევე კარგადაა ცნობილი მთელი წარსული და მომავალი, როგორც ჩემთვის - ერთი მარტივი საგალობელი, რომელსაც ყველა გალობს, მაშინ ჭეშმარიტად საკვირველია ეს სული და წმინდა თრთოლვის მომგვრელი: მისთვის ხომ არც ისაა დაფარული, რაც გარდასულა, და არც ის, რასაც ჯერ კიდევ თავიანთ წიაღში მალავენ მომავალი საუკუნენი, ისევე, როგორც ზემოხსენებული საგალობლის გალობისას ცხადია ჩემთვის, თუ რამდენი ვიგალობე უკვე და რამდენი დამრჩა სამღერი.

შორს ჩემგან ის აზრი, თითქოს შენ, არსთა გამრიგე, ყოველი სულისა და სხეულის წარმმართველი, ასევე იცნობ მთელ წარსულსა და მომავალს. არა, შენი ცოდნა გაცილებით უფრო იდუმალია და გონებამიუწვდომელი. საგალობლის მგალობელსაც და მსმენელსაც ხშირად ეცვლებათ განწყობა იმ მუხლის მოლოდინში, რომელიც ანი უნდა შესრულდეს, ან იმის გახსენებისას, რომელიც უკვე შესრულდა, და ამისდა კვალად იცვლებიან მათი

[88] იხ. აქვე, შენ. 60.
[89] შდრ. ფსალმ. 143, 8.
[90] შდრ. ფილიპ. III, 13.
[91] ნეტარი ავგუსტინე მსჯელობდა იმაზე, თუ როდის შეიქმნენ ანგელოსები - დროში თუ „ყველა დროზე უწინარეს“. რაკიღა ისინი ცვალებადობას ექვემდებარებიან, ამიტომაც ნეტარმა ავგუსტინემ დაასკვნა, რომ ანგელოსები „დროის თანადროულნი“ არიან („ღვთის ქალაქისათვის“, XII,16).

გრძნობებიც. შენი ცოდნა, სულთა მარდიულო შემოქმედო, სულ სხვაგვარად საოცარია და სხვაგვარად იდუმალი. და როგორც იცოდი „თავდაპირველად ცა და მიწა“ შენი უცვლელი ცოდნით, ისევე შეჰქმენი „თავდაპირველად ცა და მიწა“[92] შენი ერთიანი მოქმედებით. დაე, გადიდებდეს, ვისაც ეს ესმის, და გადიდებდეს ისიც, ვისაც არ ესმის! ოჰ, რა თვალშეუდგამია შენი სიმაღლე, და მდაბალთა გულია სამკვიდრებელი შენი[93]. „შენ აღადგენ დაცემულთ“[94], და აღარ ეცემიან შენს მიერ აღდგინებულნი.

[92] დაბად. I, 1.
[93] შდრ. ესაია LVII, 15.
[94] ფსალმ. 144, 14.

ELIBRARY.SOU.EDU.GE

წიგნი მეთორმეტე

I

1. ოჰ, როგორ ჭმუნავს ჩემი გული, უფალო, ჩემი ცხოვრების სიგლახაკეში, როცა კარს მიკაკუნებენ შენი საღმრთო წერილის წმიდა სიტყვები. აი, რატომაა, რომ ადამიანური გონების სიმწირე უმეტესწილად მაღალფარდოვანი სიტყვების გარსში ეხვევა. ძიება უფრო სიტყვა-უხვია, ვიდრე მიკვლევა; თხოვნა უფრო გაჭიანურებულია, ვიდრე მისი დაკმაყოფილება; ხელი, რომელიც აკაკუნებს, უფრო მაშვრალია, ვიდრე ხელი, რომელიც იღებს. მაგრამ ჩვენ მოგვეცა აღთქმა: ვინ შესძლებს მის გაქარწყლებას? „თუკი ღმერთი ჩვენს მხარესაა, მაშ, ვინღაა ჩვენს წინააღმდეგ?“[1] „ითხოვდეთ და მოგეცემათ, ეძებეთ და ჰპოვებთ; დააკაკუნეთ და გაგიღებენ. რადგან ყველა მთხოვნელს მიეცემა, მძებნელი ჰპოვებს, და ვინც აკაკუნებს, გაუღებენ“[2]. აი, შენი აღთქმანი, და ვინ შეუკრთება სიცრუეს, როცა თვით ჭეშმარიტება აღგვითქვამს ამას?

II

2. შენს წინაშე ვაღიარებ ჩემი ენის უბადრუკობას, რადგანაც შენ შეჰქმენი ცა და მიწა; ეს ცა, რომელსაც ვუმზერ, და ეს მიწა, რომელსაც ვქელავ; მისი ნაწილია ეს მიწაც, თან რომ დავატარებ[3]. შენა ხარ ყოველივე ამის შემოქმედი.

მაგრამ სადაა, უფალო, „ზეცა ზეცისა“, რომლისთვისაც ითქვა ფსალმუნში: „ზეცა ზეცისა - უფალს, ხოლო ქვეყანა მისცა ადამის ძეთ“[4] სადაა ეს ცა, რომელსაც ვერ ვჭვრეტთ, და რომლის წინაშე ყველაფერი, რასაც კი ვჭვრეტთ, მხოლოდ მიწაა? რადგან ეს სხეულებრივი სამყარო, რომლის ფუძეცაა ჩვენი დედამიწა, მთლიანად როდია შემკული სრულყოფილი მშვენიერებით, მაგრამ თვით მის უკანასკნელ ქმნილებებსაც კი თავისებური ხიბლი მოსავს. თუმცა, რომ ავიღოთ ეს უხილავი ცა, მასთან შედარებით თვით ჩვენი ცაც კი მხოლოდ მიწაა. ასე რომ, ეს ორივე უზარმაზარი სხეული - დედამიწაც და ხილული ცაც, სხვა არა არის რა, თუ არა მიწა, ჩემთვის უცნობსა და უხილავ ცასთან შედარებით, რომელიც უფალს ეკუთვნი და არა ადამის ძეთ[5].

---

[1] რომ. VIII, 31.

[2] მათე VII, 7-8; იოანე XVI, 24.

[3] იგულისხმება მიწისაგან მოზელილი ადამიანის სხეული.

[4] ფსალმ. 113, 24... „ზეცა ზეცისა“ (caelum caeli) - ნეტარი ავგუსტინე სხვადასხვანაირად განმარტავს ამ გამოთმას: 1. ინტელიგიბილურ არსთა სავანე; 2. ამ სავანის მკვიდრ ნათელ სულთა გონება; 3. თვით ღმერთის ადგილ-სამყოფელი; 4. „პირველნაყოფი ქმნილებისა“ - სიბრძნე. „უფალმა იმ სიმაღლემდე აღაზევა ზოგიერთი წმიდანის გონება, რომ მათი დამოძღვრა შეუძლია მხოლოდ ღმერთს, კაცთაგან კი არავის. ამ ცასთან შედარებით ყველაფერი, რასაც ხორციელი თვალი ჭვრეტს, მიწად უნდა იწოდებოდეს“ („ქადაგებანი“, II, 11; შდრ. „ფსალმუნებისათვის“, 113).

[5] იხ. წინა შენიშვნა.

III

3. ხოლო ეს „მიწა უსახო იყო და უდაბური“[6]; არ ვიცი, რა იყო ეს უსასრულო უფსკრული, რომელსაც თავს არ ადგა არავითარი ნათელი; მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სახე, და ამიტომაც დაიწერა შენი ბრძანებით: „ბნელი იდო უფსკრულის თავზე“[7]. მერედა, რას ნიშნავს ეს ბნელი, თუ არა იმას, რომ არ იყო ნათელი?[8] კი მაგრამ, რომ ყოფილიყო, სად იქნებოდა იგი? ალბათ, ყოვლის ზემოთ, ყველაფრის მანათობელი. და რაკი ის ჯერ კიდევ არ იყო, რას მოასწავებს ბნელის არსებობა, თუ არა ნათლის არარსებობას? მაშასადამე, უფსკრულის თავზე ბნელი იდო, რადგან არ სუფევდა ნათელი. ბგერისა არ იყოს: სადაც ის არ ხმიანებს, იქ მდუმარებაა. მაგრამ რას ნიშნავს - „იქ მდუმარებაა“, გარდა იმისა, რომ იქ ჩქამიც არ ისმის?

განა შენ არ დამოძღვრე, უფალო, ეს სული[9], აღსარებას რომ გეუბნება? განა შენ არ შემაგონე, რომ სანამ სახესა და განსაზღვრულობას მიანიჭებდი ამ უსახო მატერიას[10], არაფერი არ იყო - არც ფერი, არც ფიგურა, არც სხეული, არც სული? და მაინც, ეს არ იყო სრული „არარა“" იყო რაღაც უსახო, ყოველგვარი სახეს მოკლებული[11].

IV

4. მაშ, რა სახელი უნდა დარქმეოდა ამ „არარას“, რათა ის გასაგები გამხდარიყო თვით ყველაზე ნაკლებად გამჭრიახი გონებისათვის? რა თქმა უნდა, ძალზე მარტივი და ჩვეულებრივი სახელი. მერედა სად, სამყაროს რომელ ნაწილში შეიძლება მოიძებნოს რამე ისეთი, უფრო მეტად რომ უახლოვდებოდეს სახის ყოველგვარი უქონლობას, ვიდრე მიწა და უფსკრული? რაკიღა ქმნილების უდაბლეს საფეხურზე დგანან, ცხადია, ნაკლებ მშვენიერნი არიან, ვიდრე მათ ზემოთ მდგომი ყველა მნათი და მბრწყინავი სხეული. მაშ, რატომ არ უნდა ვირჩიო იმ უსახო მატერიის აღსანიშნავად, რომელიც შეჰქმენ თავდაპირველად, რათა შემდეგ მისგან შეგექმნა მშვენიერებით შემკული მთელი სამყარო, დიახ, რატომ არ უნდა ვირჩიო მის

---

[6] დაბად. 1, 2... „უსახო“ შეესაბამება სეპტანტისეულ „aoratos“ („უხილავი“), ხოლო „უდაბური“ - „akatasjeuastos“-ს, რომელსაც უფრო ზუსტად გადმოსცემს ძველი ქართული თარგმანი - „განუმზადებელ“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბიბლიური გაგებით „მიწა“ ხშირად გულისხმობს არა მარტო დედამიწას, არამედ მთელ ხილულ ცასაც, როგორც დედამიწის ჰაეროვან სფერულ გარსს. სიტყვებით „უსახო და უდაბური“ გამოხატულია აბსოლუტური ქაოსი, სადაც ერთმანეთში უთავბოლოდაა ალუფხული მომავალი სინათლის, ჰაერის, მიწისა თუ წყლის ელემენტები, აგრეთვე მცენარეული თუ ცხოველური სიცოცხლის ყველა ჩანასახი. შდრ. სიბრძნე სოლომონისა“, XI, 16, რომლის მიხედვითაც, ღმერთი სწორედ „უსახო ნივთიერებისაგან“ ქმნის სამყაროს.

[7] ეს „ბნელი“ ბუნებრივი შედეგია იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა ნათელი, როგორც თვითმყოფი და თავისთავდი სტიქიონი, რომელიც მხოლოდ შემდეგ გამოიყო პირველყოფილი ქაოსიდან შესაქმის პირველ დღეს (დაბადება I, 3-5).

[8] „ამრიგად, - კითხულობს გონება, - ბნელი სამყაროსთან ერთად შეიქმნა? ის ნათელზე უხნესია? მიუხედავად იმისა, რომ თავისი ბუნებით უფრო მდაბალია, მაინც პირველობს? - ბნელი - მივუგებთ ჩვენ, - თავისთავად როდი არსებობს. ეს მოვლენა იმის შედეგია, რომ ჰაერში ჯერ კიდევ არ იყო ნათელი“ (ბასილი დიდი, ექვსთა დღეთათვის, II, 5).

[9] შდრ. ფსალმ. 70, 17.

[10] ნეტარუ ავგუსტინე ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს „სანამ“ სულაც არ ნიშნავს პირველობას დროში, რადგანაც სამყაროს შექმნამდე არავითარი დრო არ არსებობდა.

[11] იგულისხმება ქაოსი.

აღსანიშნავად კაცთათვის ისე კარგად ნაცნობი სიტყვები, როგორიცაა „მიწა უსახო იყო და უდაბური?“[12].

V

5. ხოლო როდესაც აზრი ეძებს, რა შეიძლება „მოიხელთოს“ ამ უსახო მატერიაში, მაშინ ის ასე ესიტყვება საკუთარ თავს: „ეს რაღაც გონით საწვდომი კი არ არის, როგორც სიცოცხლე ან სამართლიანობა, რაკიღა სხეულთა მატერიაა; მაგრამ მას ვერც გრძნობით აღიქვამ, რადგან იმაში, რაც „უსახოა და უდაბური“, არც რამის დანახვა შეიძლება და არც აღქმა“[13]. ასე რომ ესიტყვება საკუთარ თავს, მაშ, რაღას ესწრაფის აზრი კაცისა? იცოდეს ისე, რომ არ ესმოდეს, თუ არ ესმოდეს და ისე იცოდეს?

---

[12] ეს „უსახო და უდაბური მიწა“, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, სხვა არა არის რა, თუ არა უფორმო მატერია, ან, თუ გნებავთ, სამყარო, მის ორგანიზებასა და დიფერენციაციამდე. ნებისმიერ ფორმაზე „უწიანრესი“ მატერია მთალიანად განძარცულია ყოველგვარი თვისებისაგან, მთალიანად მოკლებულია ყოველგვარ განსაზღვრულობას. და მაინც, ის აბსოლუტური „არარა“ კი არა, გარკვეული აზრით, „რაღაცაა“, რაკიღა ფორმით ორგანიზებული სამყაროს შექმნის ერთგვარ პირობად თუ დასაბამიერ „მასალად“ გვევლინება (აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ბერძნული ენის თითქმის ამოუწურავი შესაძლებლობებით რომ სარგებლობს, ავგუსტინეს წარმართი წაინამორბედი - პლატონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ გამოთქმას: „უკ ონ“ და „მე ონ“; ორივე „არმყოფს“, „არარას“, „არარაობას“ ნიშნავს, მაგრამ პირველი - აბსოლუტური, მეორე კი რელატიური აზრით; სწორედ ამ უკანასკნელს - „მე ონ“ - იყენებს პლატონი მატერიის აღსანიშნავად).

[13] როგორც ვხედავთ, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, დასაბამიერი მატერიის აღქმა, მისი წვდომა არც გონებით შეიძლება და არც გრძნობებით. „აღსარებათა“ ავტორი ამ მხრივაც პლატონის ერთგულ მიმდევრად გვევლინება მხოლოდ და მხოლოდ. ჩვენ ვიცით, რომ გრძნობად-კონკრეტული სამყაროს დასაბამიერ საწყისად, დემიურგოსული გონების (ღმერთის) გარდა, პლატონი აღიარებს მატერიასაც, რომელიც დემიურგოსის ქმნილება კი არ არის, არამედ - მთელი მისი ქმნილების უკიდურესი ზღვარი. ამ ორი საწყისის დაპირისპირებულობა პოლარულია. თუ დემიურგოსს ჭეშმარიტი არსებობა მიეწერება, მატერია მისი სრული უარყოფაა: არარსებობა, არარსი (იხ. წინა შენიშვნა). ამ ორ პოლუსს შორისაა მოქცეული მთელი სამყარო, რომელიც ერთდროულად წილნაყარია ორივე პირველსაწყისის ბუნებასთან. მატერია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი სარკეა, რომლის სიღრმეშიც ირეკლება იდეალური სამყარო, თუმცა არეკვლის შედეგად ლანდები კი არა, საგნები იბადებიან. პლატონი მას უწოდებს მიმრქმეს („ჰიპოდოხე“) და ძიძას („ტითუნე“). მიმრქმელს იმდენად, რამდენადაც ის თავის უფორმო და უსახო წიაღში იღებს (მიირქმევს) იდეალური სინამდვილის ფორმებს, და, ამრიგად, დასაბამს აძლევს გრძნობად ფენომენთა სამყაროს; ძიძას იმდენად, რამდენადაც „ასაზრდოებს“ ყოველივე ქმნადსა და ცოცხალს. როგორც ყოვლის მიმრქმელი („პანდეხეს“), მატერია ფლობს მხოლოდ იდეალურ ფორმათა მიღების უნარს, თავისთავად კი არაფერს არ მატებს მათ. ყველაფერი მის წიაღში რეალიზდება, მასში იბადება, იზრდება, კვდება, თვითონ კი სრულიად ინდიფერენტულია ქმნადობის ამ უსასრულო პროცესის მიმართ. გასაგებია რატომაც: პლატონის აზრით, ჭეშმარიტია მხოლოდ ინტელიგიბილური სინამდვილე, მხოლოდ იდეა; მისი ონტოლოგიური სტატუსი იმდენად მაღალია, რომ არავითარ სხვა არსებობას, არავითარ სხვა ყოფიერებას არ საჭიროებს. მატერიას თავის მხრივ რომ რაიმე შეჰქონდეს ქმნადში, ეს უთუოდ დაარღვევდა იდეის, როგორც ყოველგვარი არსებობის ჭეშმარიტი წყაროს ერთადერთობას. ამიტომ პლატონის მატერია არც ნივთიერია და არც სხეულებრივი, ის კი არადა, ყოველგვარი თვისებრივი განსზღვრულობისაგან განძარცულია. იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ის არარაა, ან არაფერი, ვინაიდან „არაფერსაც“ თავისი საკუთარი მნიშვნელობა, საკუთარი აზრი მოეძებნება და მატერიისათვის რომ მიგვეწერა იგი, გარკვეულ ნიშანს არ თვისებას შევძებდით მას. თვით ტერმინი „მატერია“ პირწმინდად ნომინალური, ყოველგვარი შინაარსისაგან დაცლილი ცნებაა, რომელსაც სინამდვილეში არაფერი არ შეესაბამება.

მატერიის ონტოლოგიური სტატუსი განაპირობებს მის გნოსეოლოგიურ სტატუსსაც. პლატონის აზრით, მთელი კოსმოსური სინამდვილე ორი სხვადასხვა შრისა თუ ფენისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისაგან, უწინარეს ყოვლისა, რეალობის სხვადასხვა ხარისხით განირჩევიან: ერთის მხრივ, იდეალურ არსთა სამყაროს ჭეშმარიტი არსებობა („ტო ინოს ონ“), ხოლო მეორე მხრივ, მატერიალურ საგანთა და მოვლენათა რეალატიური სინამდვილე, მათი გამუდმებული ქმნადობა („გენესის“). პირველი რაციონალური აზროვნებისა („დიანოია“) და ჭეშმარიტი ცოდნის („ეპისტემე“) საგანია, მეორე კი გრძნობადი აღქმისა („აისთესის“) და წარმოდგენისა („დოქსა“). მაგრამ პლატონის მატერია, როგორც არარსი, არარა, სინამდვილის არც ერთ სფეროს ეკუთვნის და არც მეორეს. მაშასადამე, არც რაციონალური შემეცნების საგანია და არც გრძნობადი აღქმისა. თუმცა თავისი უცვლელობით ის ერთგვარად ჩამოჰგავს იდეალურ პირველნიმუშს, რომლისგანაც, იმავდროულად, განსხვავდება ურიცხვ ფორმათა მირქმის კონკრეტულ სამყაროს, რომლისგანაც განსხვავდება თავისი წარუვალობით. ამიტომ წვდომა იმისა, რაც იდეალურ პირველნიმუშსაც მოგვაგონებს და გრძნობად-კონკრეტულ სამყაროსაც, მაგრამ სინამდვილეში არც ერთია და არც მეორე და, სწორედ ამიტომ, არც გონით საწვდომია და არც გრძნობადი დიახ, წვდომა ამ უცნაური ფენომენისა მხოლოდ ერთგვარი „უკანონოდ შობილი განსჯით“ („ლოგისმო ტინი ნოთო“, - „ტიმეოსი“, 52b) თუ შეიძლება, რომელიც ჩვენში სიზმრისა თუ ზმანების რემინისცენციას იწვევს.

VI

6. მე კი, უფალო, ნეტა შემეძლოს ბაგით და კალმით ვაღიარო შენს წინაშე ყველაფერი, რაც ამ მატერიის თაობაზე გისწავლებია ჩემთვის! ადრეც გამიგია მისი სახელი, მაგრამ არ მესმოდა მისი არსი, რადგანაც იმ ხალხისაგან გამიგია, ვისაც ასევე არ ესმოდა იგი[14]. ვცდილობდი აზრით წარმომედგინა მისი სხვადასხვა სახის უსასრულო სიმრავლე, და, მაშასადამე, თვით მას როდი წარმოვიდგენდი. ჩემი სული უგზო-უკვლოდ დაბორიალობდა ერთმანეთში უთავბოლოდ ალუფხულ, ამაზრზენ და საზარელ სახეთა შორის; მაგრამ, ასეა თუ ისე, ესენი მაინც სახენი იყვნენ. უსახოს იმას კი არ ვუწოდებდი, რასაც არანაირი სახე არ ჰქონდა, არამედ იმნაირი სახის მქონეს, რომელსაც - თვალნათლივ რომ წარმომჩენოდა, - შემკრთალნი გაერიდეოდნენ ჩემი გრძნობები, როგორც რაღაც უჩვეულოსა და უაზროს, თვითონ კი, ადამიანური სისუსტის გამო, თავგზააბნეული დავრჩებოდი.

ის, რასაც მე წარმოვიდგენდი, სრულიად უსახო კი არ იყო, არამედ მხოლოდ უსახური, სხვა, უფრო ლამაზ ფორმებთან შედარებით. საღი აზრი მკარნახობდა, ყოველგვარი სახის ნატამალიც კი უკუმეგდო, თუკი რაღაც სრულიად უსახოს წარმოდგენას მოვისურვებდი. მაგრამ მე არ შემეძლო ეს[15]. სრულიად უსახოს უმალ არარსებულად მივიჩნევდი, ვიდრე აზრით წარმოვიდგენდი რაღაც საშუალოს „სახესა“ და „არარას“ შორის; ეს არც სახე უნდა ყოფილიყო და არც არარა, ერთგვარი უსახო არსი, თითქის არარა.

---

[14] იგულისხმებიან მანიქეველები.

[15] შდრ. პლატონი, „ტიმეოსი“, 52bc: „არსებობს კიდევ ერთი გვარი, სახელდობრ, სივრცე თუ ადგილი („სივრცე“ და „ადგილი“, პლატონის მიხედვით, „მატერიის“ სინონიმებია, - ბ.ბ.), უხრწნელი და წარუვალი, ყოველივე დაბადებულის საყუდარი, თვითონ კი შეგრძნებებისთვის მიუწვდომელი, უკანონოდ შობილი განსჯით საწვდომი და ძლივს სარწმუნო, რომელსაც თითქოს სიზმარში ვხედავთ, როცა ვამტკიცებთ, რომ ყოველივე არსებული აუცილებლად სადღაც უნდა იყოს, რომელიღაც ადგილას თუ რომელიღაც სივრცეში, ხოლო ის, რაც არსად არ არის, არც მიწაზე და არც ცაში, თითქოს არც არსებობს. აი, ეს არის ამის მონათესავე ყველა სხვა ცნება. ჩვენ თითქოს ზმანებაში დანთქმულთ გადაგვაქვს იმ ბუნებაზეც, რომელიც სიზმარში კი არა, სინამდვილეში გადაგვაქვს იმ ბუნებაზეც, რომელიც სიზმარში კი არა, სინამდვილეში არსებობს, ასე რომ, გამოფხიზლებულთ აღარც ჭეშმარიტების გარჩევის თავი გვაქვს და აღარც მისი მტკიცებისა“...

უფრო გვიან პლოტინი, „ტიმეოსის“ ციტირებულ პასაჟზე დაყრდნობით, მატერიის ამ „სიზმარეულ აღქმას“ უსინათლოდ ხედვასა და აზრის ტოტალურ უარყოფას შეადარებს:

„როგორ წარმოვიდგენთ იმას, რასაც არავითარი ფორმა არ გააჩნია? - ყოველგვარი ფორმის სრული უარყოფით. მატერიას ჩვენ ვუწოდებთ იმას, რაშიაც ვერ ვპოვებთ ფორმის ნატამალს. ამიტომ შინაგანად უნდა აღვიქვატ ფორმის სრული უქონლობა, რისთვისაც ყოველგვარი ფორმისაგან განდგომა და განყენება გვმართებს, თუკი გვსურს ვიხილოთ მატერია. ხოლო მატერიას გონება ხედავს, მაგრამ ნამდვილი კი არა, თავისი თავისაგან განსხვავებული გონება, რადგანაც იძულებით მიიქცევა იმის ხილვად, რაც არ განეკუთვნება მას. მაშინ ის თვალს მოგვაგონებს, რომელიც განუდგება სინათლეს, იმ მიზნით, რომ იხილოს ბნელი, მაგრამ ხედვით კი ვერ ხედავს, რადგანაც მიატოვა სინათლე, რომლითაც შეიძლება იხილო ბნელი. ასე რომ, უსინათლოდ ხედვის უნარი კი არ შესწევს, არამედ - მხოლოდ ვერხედვისა, და თუ საერთოდ შეიძლება ხედვა ვუწოდოთ ამას, სწორედ ესაა სიბნელის ხედვა“ („ენნეადა“ I,VIII,9).

„წარმოდგენა შეიძლება გვქონდეს მასზე (მატერიაზე, - ბ.ბ.)? ან რანაირი შთაბეჭდილება? განა ის თვით განუსაზღვრელობა არ არის? თუ მსგავსი მსგავსით აღიქმება, განუსაზღვრელობა განუსაზღვრელობითვე უნდა აღვიქვათ. დიახაც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ განუსაზღვრელობის სრულიად განსაზღვრული ცნება, მაგრამ განუსაზღვრელობა მაინც განუსაზღვრელობის შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე. მატერიას მხოლოდ აზრითა და გონებით თუ შევიმეცნებთ. შეიძლება გაბმით ვიმსჯელოთ მატერიაზე, მაგრამ თუ მოვისურვებთ აზრით მოვიხელთოთ იგი, ჩვენ მივიღებთ არა რაიმე გარკვეულ აზრს მატერიის შესახებ, არამედ, უმალ, ყოველგვარი აზრის უარყოფას“ („ენნეიდა“ II,IV,10).

მაშინ ჩემი გონება უკვე აღარას ჰკითხავდა ჩემსავე წარმოსახვას, სავსეს სახის მქონე სხეულთა ხატებებით, თვითნებურად რომ ცვლიდა, აჯგუფებდა და ასხვაფერებდა მათ. მთელი ჩემი ყურადღება ახლა უკვე თვით სხეულებზე იყო გადატანილი, უფრო გულმოდგინედ ვაკვირდებოდი მათ ცვალებადობას: ვხედავდი, რომ არცერთი არ რჩებოდა იმად, რაც იყო, და იქცეოდა იმად, რაც არასოდეს ყოფილა. ჩემი ვარაუდით, თვით ეს გადასვლა ერთი სახისა მეორეში რაღაც უსახოს მეშვეობით ხდებოდა[16], და არა სრული არარაობის წყალობით[17]. ამიტომაც მოვისურვე დანამდვილებით გამეგო ეს და არა მხოლოდ მევარაუდა.

მაგრამ ჩემმა ხმამ და კალამმა შენს წინაშე სრულადაც რომ აღიაროს ყველაფერი, რაც ამ საკითხის კვლევისას გამიმჟღავნე და ამისხენი, რომელ ჩემს მკითხველს ეყოფა მოთმინება ბოლომდე მომისმინოს? მაგრამ ჩემი გული კვლავინდებურად მოგაგებს პატივს და გალობით გიძღვნის ქებას იმის გამო, რისი გადმოცემის ძალის არ შესწევს.

ამრიგად, ცვალებადობას თვით თავისი ცვლადობის გამო შეუძლია მიიღოს ყველა ის სახე, რასაც ერთიმეორის მიყოლებით იმოსავენ ცვლადი საგნები[18]. მაგრამ რა არის ეს? სული? სხეული? ან იქნებ, სულისა თუ სხეულის ერთგვარი სახესხვაობა? რომ შეიძლებოდეს მასზე გვეთქვა: „არარაობა, რომელიც არის რაობა“, ანდა „არის ის, რაც არ არის“[19], - მაშინ მე ვიტყოდი ამას. და მაინც, ის რაღაცნაირად უნდა არსებულიყო, რათა, ასე თუ ისე, ხილული და ჩვენთვის ჩვეული სახე მიეღო.

VII

7. მერედა, საიდან იღებს დასაბამს ეს „რაღაცნაირად უნდა არსებულიყო“, თუ არა შენგან, რომლისგანაც წარმოსდგება ყველაფერი, რაც კი არსებობს? მაგრამ რაც უფრო ნაკლებად გგავს შენ, მით უფრო მეტად დაშორებულია შენგან; თუმცა აქ სივრცეს როდი ეხება საქმე.

უფალო, შენ არა ხარ ხან ერთი და ხან მეორე; ვერც იმას ვიტყვით, რომ ხან ასე ხარ და ხან ისე, არამედ უკუნისიდან უკუნისამდე ერთი და იგივე ხარ, ერთი და იგივე, ერთი და იგივე, - წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო[20], შენ, ყოვლად ძლიერმა, შეჰქმენი რაღაც

[16] შდრ. პლოტინი: „ის, რაც იბადება და ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის, მატერიას საჭიროებს“ („ენნ.“ II,IV,2). ეს აზრიც პლატონის „ტიმეოსისაგან“ იღებს დასაბამს, რომლის თანახმადაც, მთელი სამყაროული ქმნადობა სწორედ მატერიის წიაღში ხორციელდება; ყველაფერი მასში განიცდის ცვალებადობას, იბადება, იზრდება, კვდება, ერთიმეორედ გარდაიქმნება, თვითონ კი ისევე ინდიფერენტულია ქმნადობის მთელი ამ უსასრულო პროცესის მიმართ, როგორც, ვთქვათ, დაფა იმ ფორმულებისა თუ ფიგურებისადმი, გამუდმებით რომ ხაზავენ ზედ და ასევე გამუდმებით შლიან.

[17] შდრ. აქვე, შენ. 12.

[18] „ყველა აღიარებს, რომ ის, რასაც მატერია ეწოდება, ფორმათა ერთგვარი საფუძველი და სათავსია“ (პლოტინი, „ენნ.“ II,IV,2). შდრ. პლატონი, „ტიმეოსი“, 51a: „ესაა რაღაც უხილავი და უფორმო, მიუხელთებელი და ყოვლისმიმრქმელი“.

[19] დედანში: „nihil atiquid“ და „est non est“ - ორი ბრწყინვალე ფორმულა მატერიის ბუნების გადმოსაცემად.

[20] შდრ. ესაია VI, 3.

„არარაისგან“[21] იმ „დასაბამით“, რომელიც შენმიერია, შენი სუბსტანციისაგან ნაშობი შენივე სიბრძნით შეჰქმენი.

შენ შეჰქმენი ცა და მიწა[22], მაგრამ შენ საკუთარი სუბსტანციით როდი შეგიქმნია ისინი, თორემ შენი ქმნილება შენი მხოლოდშობილი ძისა და, მაშასადამე, თვით შენი სწორიც იქნებოდა. მაგრამ ყოვლად დაუშვებელია, რომ შენი სწორი იყოს ის, რაც თვით შენგან არ წარმომდგარა. ხოლო შენს გარდა, ღმერთო, ერთარსება სამებავ და სამპიროვანო ერთობავ, არაფერი ყოფილა, რისგანაც შეგეძლო სამყაროს შექმნა. ამიტომა „არარაისგან“ შეჰქმენი ცა და მიწა, რაღაც დიადი და რაღაც მცირე, რადგანაც ყოვლისმძლე ხარ და კეთილი; ამიტომ კეთილადვე შეჰქმენ ყოველი: დიადი ცაც და მცირე მიწაც. დიახ, შენ იყავი და ის „არარა“, რომლისგანაც შეჰქმენი ცა და მიწა: ეს ორი სხეული, რომელთაგანაც ერთი ახლოა შენთან, მეორე კი - „არარასთან“; ერთი, რომელზე უზენაესიც ხარ; მეორე, რომლის უდაბლესი არა არის რა.

VIII

8. შენია, უფალო, „ზეცა ზეცისა“, ხოლო მიწა, რომელიც მიეცი „ადამის ძეთ“[23], და რომელსაც შეიძლება ვხედავდეთ და ვეხებოდეთ კიდეც, ისეთი როდი იყო, როგორსაც დღეს ვხედავთ და ვეხებით. არა, უხილავი იყო და უდაბური, ანუ უფსკრული, რომელსაც თავს არ ედგა ნათელი: „და ბნელი იყო უფსკრულზე“[24], ესე იგი, უფსკრულს ზემოთ უფრო ბნელოდა, ვიდრე თვით უფსკრულში. რადგან აწ უკვე ხილულ წყალთა უფსკრულშიც კი კიაფობს ერთგვარი ნათელი, რომელსაც ასე თუ ისე, შეიგრძნობენ თევზები და ფსკერზე მძრომი ქვეწარმავალნი. მაგრამ მაშინ, პირველქმნის ჟამს, ყველაფერი თითქის მთლიანად „არარა“ იყო, რადგანაც არავითარი სახე არ ჰქონდა, თუმცაღა უკვე შეეძლო გარკვეული სახის მიღება.

ამრიგად, უფალო, უსახო მატერიისაგან შეჰქმენ სამყარო[25]; სრული „არარაისაგან“ შეჰქმენი თითქის „არარა“, რათა შემდეგ ამ უკანასკნელისაგან შეგექმნა ის სიდიადე, რასაც ესოდენ განცვიფრებით ვუცქერით დღეს ადამის ძენი. მართლაც ასე საოცარია ხილული ზეცა,

---

[21] „De nihilo, ანუ ex nihilo...“ - ამ გამოთქმას შევხვდებით ორიგინესთანაც და იოანე ოქროპირთანაც. ნეტარი ავგუსტინე ზუსტ მნიშვნელობას ანიჭებს გამოთმას de nihilo: მასალა სამყაროს შესაქმნელად ღმერთის მიერ შეიქმნა. სამყარო de nihilo (არაფრისგან, არარაისგან) შეიქმნა და არა de Deo (ღმერთისგან). ნეოპლატონიკოსთა მიხედვით, ქმნილება, გარკვეული აზრით, de nihilo (არაფრისგან) იქმნება, ვინაიდან მის მოვლინებამდე არაფერი არ იყო, მაგრამ, იმავდროულად, ex Deo (ღმერთისგანაც), რადგანაც ღვთაებრივ ჰიპოსტასთა სრულქმნილებამ აუცილებლად გამოხატულება უნდა ჰპოვოს ქმნილებაშიც.

ქმნილების წარმომავლობა de nihilo (არაფრისგან) სასრულობისა და ბოროტების დაღს ასვამს მას, მაგრამ რაკიღა ღმერთის მიერ არის შექმნილი, ამის წყალობით ის ონტოლოგიურად კეთილი ხდება. ეს ონტოლოგიური ორადობა ეთიკური თვალსაზრისითაც ორადობის ასპექტს ანიჭებს მას. ქმნილება უმტკიცოა და ცოდვილი, ვინაიდან „არაფრისგან“ წარმოდგება. მისთვის ნიშნეულია deficere - სისუსტე, რომელიც ღმერთს აშორებს, ხოლო ცოდვილობა - ესაა მისი მიდრეკილება nihil-ისაკენ“. რუს. თარგმანის შენ. იხ. დასახ. გამოც. გვ.259.

[22] დაბად. I, 1.

[23] ფსალმ. 113, 16.

[24] დაბად. I, 2.

[25] შდრ. სიბრძნე სოლომ. XI, 16.

ეს მყარი წყალსა და წყალს შორის, რომელსაც ნათლის შექმნიდან მეორე დღეს უბრძანე - „იყავნ“, და იქმნა ასე[26]. ამ მყარს შენ უწოდე ცა[27], მაგრამ ცა მიწის და ზღვისა, რომელნიც შეჰქმენი მესამე დღეს[28], ხილული სახე რომ მიანიჭე უსახო მატერიას, ყველა დღეზე უწინარეს შექმნილს. ცაც ყველა დღეზე უწინარეს შეჰქმენი, მაგრამ მხოლოდ „ზეცა ზეცისა“, რადგანაც თავდაპირველად შენ შეჰქმენი ცა და მიწა.

ხოლო შენს მიერ შექმნილი ეს მწია უსახო მატერია იყო, „უხილავი, უდაბური, და ბნელი იყო უფსკრულის თავზე“. ამ უხილავი, უდაბური და უსახო მიწისაგან, ამ თითქმის „არარაისგან“, შეჰქმენი ყოველივე ის, რაც ამ ცვლად სამყაროს შეადგენს[29], მაგრამ მყარად როდი დგას იგი, ეს განსახიერება ცვალებადობისა; სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას შევიგრძნოთ და აღვრიცხოთ დრო, რადგანაც ეს უკანასკნელი საგანთა ცვალებადობისგან იღებს დასაბამს[30]: მრავალფეროვანია სახეთა დაუსრულებელ ცვალებადობაში ის, რაც ზემოხსენებული უხილავი მიწისაგან წარმოიქმნა.

IX

9. ამიტომ როცა იხსენებს სული, შენი მსახურების მოძღვარი, რომ შენ თავდაპირველად შეჰქმენი ცა და მიწა, დროის თაობაზე დუმს და კრინტსაც არა სძრავს დღეების გამო. და მართლაც, ზეცა ზეცისა, უწინარეს ყოვლისა რომ შეჰქმენი, არსებითად, სულიერი სამყაროა[31], მაგრამ არამც და არამც არ არის შენი თანამარადისი, თუმცა შენს მარადიულობას კია ნაზიარები. უტკბესი განცდა ნეტარებიას, რასაც შენი ჭვრეტა ანიჭებს, ნებას არ აძლევს სახე იცვალოს. დაცემა უცხოა მისთვის; შექმნისთანავე შენთან შერწყმული მარადმედინი დროის მსწრაფლწარმავლობისა და ცვალებადობის მიღმა დგას. ეს რაღაც უსახო, „უხილავი და უდაბური მიწაც“ ასევე დროის მიღმური იყო. სადაც არ არსებობს არავითარი სახე, არავითარი წესრიგი, არც რა მოდის და არც რა მიდის, იქ, რა თქმა უნდა, არც დღეებია და არც დროთა მონაცვლეობა[32].

[26] დაბად. I, 6.
[27] დაბად. I, 8.
[28] დაბად. I, 9-10, 13.
[29] იხ. აქვე, შენ. 6.
[30] იხ. მეთექვსმეტე წიგნის შენ. 60.
[31] იხ. აქვე, შენ. 4.
[32] იხ. მეთერთმეტე წიგნის შენ. 60.

X

10. ო, ჭეშმარიტებავ, ნათელო ჩემი გულისა, დაე, დადუმდეს და ნურაფერს მეტყვის სიბნელე ჩემი! წყვდიადმა შთანმთქა და ბნელმა მომიცვა, მაგრამ თვით იქაც, ღმერთმანი, იქაც კი მიყვარდი. ხელის ფათურით დავბორიალობდი და შენ გიხსენებდი[33]. „უკნიდან მომესმა შენი ხმა“[34], რომელიც მიბრძანებდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ ძლივს გავიგონე ჩემი ვნებების გნიასში. და, აი, ახლა ოფლად გაღვრილი და ქანცგაწყვეტილი ვუბრუნდები შენს წმინდა წყაროს. დაე, ნურავინ დამიშლის შევსვა მისი ანკარა და მაცოცხლებელი წყალი. დაე, ჩემშივე ნუ ვპოვებ სიცოცხლეს ჩემსას: ცუდად ვცხოვრობდი და თვითონვე ვიყავი ჩემი სიკვდილი. ახლა კი შენში უნდა გავცოცხლდე. მელაპარაკე და დამმოძღვრე. მე ვირწმუნე შენი წერილი, მაგრამ მისი სიტყვები კვლავაც დიადი საიდუმლოა ჩემთვის.

XI

11. უკვე ხმამაღლა ჩამძახე ჩემს შინაგან ყურში, უფალო, რომ მარადიული ხარ და „ერთადერთს გაქვს უკვდავება“[35], რადგანაც არაფერი იცვლება შენში, არც სახე და არც მოძრაობა[36]; არც დროთა სხვაობის მიხედვით ცვალებადობს შენი ნება; რადგანაც ნება, რომელიც ხან ერთს მიელტვის და ხან მეორეს, არ შეიძლება უკვდავი იყოს. ეს ნათელია ჩემთვის „შენს წინაშე“[37] და, დაე, კიდევ უფრო ნათელი გახდეს, რათა მფარავდეს შენი ფრთების ჩრდილი ქედმოდრეკით მდგარს გამოცხადების ნათელში.

ასევე ხმამაღლა ჩამძახე ჩემს შინაგან ყურში, უფალო, რომ ყველა ბუნება და ყველა სუბსტანცია, რომელნიც სხვანი არიან და სულ სხვა ხარ შენ, მიუხედავად ამისა, მაინც არსებობენ და შენს მენილებებად გვევლინებიან. შენმიერი არ არის მხოლოდ ის, რაც არ არსებობს. ნების გადახრას შენგან, ანუ ჭეშმარიტი არსისაგან, იმისკენ, რაც ჭეშმარიტი არსი არ არის, ასევე ვერ მივიჩნევთ შენმიერად[38]. ამნაირი გადახრა ცოდვაა და დანაშაული, მაგრამ ვერავითარი ცოდვა ვერას გავნებს და ვერც შენი სამკვიდრებლის წესრიგს დაარღვევს, ვერც ზენა და ვერც ქვენა სოფელში. ეს ნათელია ჩემთვის და, დაე, კიდევ უფრო ნათელი გახდეს, რათა მფარავდეს შენი ფრთების ჩრდილი ქედმოდრეკით მდგარს გამოცხადების ნათელში.

---

[33] შდრ. ფსალმ. 118, 176.

[34] ესაია XXX, 21.

[35] I ტიმ. VI, 16.

[36] დედანში - „specie motuve“. პლოტინი მოძრაობას განსაზღვრავდა როგორც ერთგვარ „გამოღვიძებულ სახეს თუ ფორმას“ („eidos egregoros“), „გახევებული“ და უძრავი ფორმებისაგან განსხვავებით („ენნ.“ VI,III,22).

[37] ფსალმ. 78, 11.

[38] შდრ. წიგნი VII, 16. ბოროტების ბუნების ავგუსტინესეული ინტერპრეტაციის თანახმად, ბოროტი ნება სხვა არა არის რა, თუ არა განდგომა „იმისაგან, რაც არის“, ე.ი. ღმერთისგან, და მიდრეკა იმის მიმართ, „რაც უფრო კნინად არის“.

12. კვლავაც ხმამაღლა ჩამძახე ჩემს შინაგან ყურში, უფალო, რომ შენი თანამარადისი არც ის ქმნილებაა, რომლისთვისაც შენა ხარ ერთადერთი სიხარული, შენითა ტკბება თავისი უმანკო სიწმინდით, მარად უცვლელი და წარუვალი, შენი მუდმივი სიახლოვით გაბრწყინებული, შენს ნათელ არსს სიყვარულით შენამსჭვალები[39]; ის არც მომავალს მოელის და არც წარსულში გადადის მოგონებებით[40].

ნეტარია ეს ქმნილება, თუკი მართლა ასე არსებობს, შენს ნეტარებას ნაზიარები; ნეტარია, რადგანაც მარადიულ მეზობლად ჰყავხარ, შენს მიერ ნათელფენილს. არ ვიცი, რას შეიძლება ვუწოდო უფრო მართებულად უფლის ჩემის „ზეცა ზეცისა“, ვიდრე ამ შენს სამკვიდრებელს, ამ წმიდა გონებას, მარადჟამ რომ ჭვრეტს შენს სიტკბოებას და არავითარ სურვილს არ ამჟღავნებს შენთან განშორებისა, ერთიანსა და წმიდა სულთა თანახმიერს, შენი ქალაქის მოქალაქეებად რომ გვევლინებიან, ქალაქისა, რომელიც არის ამ ჩვენს ცაზე უზენაეს ცაში[41].

13. ახლა კი, დაე, შეიცნოს სულმა, რომელიც ასე შორს შეიტყუა ამქვეყნიური ცხოვრების გზაზე ხეტიალმა, რომ თუკი მხოლოდ შენს სწყურიხარ, თუკი „მისივე ცრემლები პურად ექცნენ, დღედაღამ რომ ეუბნებიან: „სად არის შენი ღმერთი?“[42], თუკი მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: „დაემკვიდროს თავისი უფლის სახლში მისი სიცოცხლის ყოველი დღის მანძილზე“[43] (ხოლო რა არის მისი სიცოცხლე, თუ არა შენ? ან რანი არიან შენი დღენი, თუ არა მარადისობა, ისევე, როგორც „შენი წლები, რომლებიც არ დაილევიან. რადგანაც მარად იგივე ხარ?“)[44], - დიახ, დაე, შეძლებისდაგვარად შეიცნოს სულმა, რამდენად მაღლა დგას შენი მარადისობა ყოველგვარ დროზე, თუკი თვით შენი სავანის მკვიდრნიც, რომელნიც არასოდეს განგშორებიან სამყაროში სახეტიალოდ, თუმცაღა შენი თანამარადისნი როდი არიან, მაგრამ მაინც არ განიცდიან დროთა არავითარ ცვალებადობას, შენს არსებასთან ურყევი და ურღვევი თანაზიარებით შერწყმულნი.

ეს ნათელია ჩემთვის „შენს წინაშე“, და, დაე, კიდევ უფრო ნათელი გახდეს, რათა მფარავდეს შენი ფრთების ჩრდილი ქედმოდრეკით მდგარს გამოცხადების ნათელში.

14. არ ვიცი, რა უსახო მატერია წარმოიქმნება უმდაბლესი და უკანასკნელი რიგის საგანთა ცვლილებისას. ან ვინ გაბედავს მითხრას, თუ არა გულცარიელმა კაცმა, უგზო-უკვლოდ რომ დაბორიალობს თავისივე წარმოსახვის ქმნილებათა შორის, - დიახ, მის გარდა ვინ გაბედავს მითხრას, რომ დროთა ცვალებადობა შესაძლებელია თვით ყოველგვარი სახის გალევისა და სრული გაქრობის დროსაც, როცა რჩება მხოლოდ უსახო მატერია, რომელიც საშუალებას აძლევს ამა თუ იმ სახეს შეიცვალოს და სხვა სახედ გარდაიქმნას? ეს ხომ

[39] იგულისხმება „ზეცა ზეცისა“, იხ. აქვე, შენ. 4.
[40] ე.ი. მარადისობაში - ამ მუდმივ აწმყოში არსებობს. იხ. მეთერთმეტე წიგნის შენ. 60.
[41] იგულისხმება ზეციური იერუსალიმი.
[42] ფსალმ. 41, 3-4.
[43] ფსალმ. 26, 4.
[44] ფსალმ. 101, 28.

სრულიად შეუძლებელია, რადგანაც მოძრაობის მრავალსახეობის გარეშე არ არსებობს დრო, ხოლო იქ, სადაც არ არსებობს არავითარი სახე, რა თქმა უნდა, არც მრავალსახეობა არსებობს.

XII

15. ყოველივე ამის გააზრებისას, რამდენადაც ნებასა მრთავ, ღმერთო ჩემო, შენს კარზე ვაკაკუნებდე, და მოწყალედ მიღებ კიდეც კარს[45], - იმ დასკვნამდე მივედი, რომ შენ შეჰქმენი ორი სამყარო, სადაც არ არსებობს დრო, თუმცაღა არცერთი არ არის შენი სამყარო, სადაც არ არსებობს დრო, თუმცაღა არცერთი არ არის შენი თანამარადისი[46]: ერთი იმდენად სრულყოფილი, რომ მარადჟამ შენს უწყვეტ ჭვრეტაშია დანთქმული, თითქოსდა ცვალებადი, მაგრამ უცვლელი, გამუდმებით რომ ტკბება შენი უცვლელობითა და მარადიულობით; მეორე კი იმდენად უსახო, რომ მასში არა არის რა ისეთი, ერთი სახიდან რომ გადადიოდეს მეორეში, ან მოძრაობიდან - უძრაობაში, რის შედეგადაც მის წიაღში შეიძლებოდა თავი ეჩინა დროს. მაგრამ სამუდამოდ როდი დაგიტოვებია იგი ყოველგვარი სახის გარეშე, რადგანაც, ყოველი დღის უწინარეს, „თავდაპირველად შეჰქმენი ცა და მიწა“[47], - ეს ორი სამყარო, რომლებზედაც ვლაპარაკობდი.

„ხოლო მიწა უხილავი იყო და უდაბური, და ბნელი იყო უფსკრულის თავზე“[48]. უსახოების ცნებას გვკარნახობენ ეს სიტყვები და მათი აზრის თანდათნობით შეცნობის საშუალებას აძლევენ იმ ხალხს, ვისაც ვერ წარმოუდგნია, რომ სრული უსახოებისასაც კი შეიძლება რაღაცა იყოს. სწორედ ამ უსახოებისაგან წარმოიქმნა სხვა ცა და მიწა, ხილული და მოწესრიგებული; წყალიც თავისი მშვენებით, და, საერთოდ, ყველაფერი, რასაც სამყაროს შემდგომი მოწესრიგებისას მოიხსენიებს საღმრთო წეილი დღეების მითითებით: ყოველივე ეს თავისი თავისებებით ექვემდებარება დროის დინებას, მოძრაობისა თუ ფორმის მოწესრიგებულ ცვალებადობათა სახით.

XIII

16. აი, ჯერჯერობით რა არის გასაგები ჩემთვის, როცა შენი საღმრთო წერილის სიტყვებს ვკითხულობ: „თავდაპირველად ღმერთმა შეჰქმნა ცა და მიწა; ხოლო მიწა უხილავი იყო და უდაბური, და ბნელი იდო უფსკრულის თავზე“; ასე რომ, ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები, რომელ დღეს შეჰქმენი ეს. ჯერჯერობით ჩემთვის გასაგებია, რომ აქ საქმე ეხება „ზეცა

[45] შდრ. მათე, VII, 7-8.

[46] იგულისხმება, ერთის მხრივ, „ზეცა ზეცისა“, ხოლო მეორეს მხრივ, „მიწა უსახო და უდაბური, ანუ დასაბამიერი მატერია; ორივე ღმერთის ქმნილებაა, ორივე ზედროულია და, გარკვეული აზრით, მარადიულიც, მაგრამ არა ღმერთის „თანამარადისი“ („coaeternus“).

[47] დაბად. I, 1.

[48] დაბად. I, 2.; იხ. აქვე, შენ. 6.

ზეცისას“, იმ „გონიერ ზეცას“, სადაც გონება ყველაფერს ერთბაშად შეიცნობს, და არა ნაწილობრივ, ცალ-ცალკე[49]; არა „ბუნებრივად“, არა „სარკეში“, არამედ სრულად, გამოცხადებით, „პირისპირ“[50]; ისე კი არა, თითქოს ჯერ ერთს და შემდეგ მეორეს, არამედ, როგორც უკვე ითქვა, ყველაფერს ერთბაშად, დროთა ყოველგვარი მონაცვლეობის გარეშე. ისიც მესმის, რომ აქ იგულისხმება უხილავი და უდაბური მიწა, რომლისთვისაც ასევე უცხოა დროთა ყოველგვარი მონაცვლეობა, რაც განაპირობებს გარკვეულ თანმიმდევრობას - ხან ამას და ხან იმას, რადგან იქ, სადაც არ არსებობს არავითარი სახე, ლაპარაკიც კი ზედმეტია ხან „ამასა“ და ხან „იმაზე“.

ამრიგად, აქ იგულისხმება, ერთის მხრივ, რაღაც დასაბამითვე მოწესრიგებული, ხოლო მეორეს მხრივ, რაღაც სრულიად უსახო. პირველი ზეცაა, მაგრამ „ზეცა ზეცისა“, მეორე კი მიწა, მაგრამ უსახო და უდაბური[51]. ამიტომაცაა, რომ, რამდენადაც მესმის, შენი საღმრთო წერილი დღეების მოუხსენიებლად გვაუწყებს: „თავდაპირველად შექმნა ღმერთმა მიწა და ცა“, ხოლო შემდეგ იქვე აზუსტებს, რანაირი მიწა იგულისხმება. და რაკი ცად წოდებული მყარის შექმნას მეორე დღის საქმედა სახავს, ამით გვიმჟღავნებს, რომელი ცა იგულისხმება უწინ დღეების მოუხსენიებლად.

XIV

17. საოცარია შენი სიტყვების სიღრმე! აი, ჩვენს წინაშეა მათი ზედაპირი, რომელიც თითქოს უღიმის ბალღებს, მაგრამ რა საოცარია მათი სიღრმე, ღმერთო ჩემო, რა საოცარი! თრთოლვით ჩავცქერით მას, გულმხურვალე სიყვარულით და კრძალვით! მთელის არსებით მძულს საღმრთო წერილის მტრები. ნეტა ორლესული მახვილით გაგვევლო მუსრი მათთვის, რათა აღარსად დარჩენილიყვნენ მისი მოძულენი[52]. დიახ, მე მირჩევნია მოკვდნენ ისინი თავიანთი თავისათვის, რათა იცოცხლონ შენთვის!

მაგრამ სხვებსაც მოვუსმინოთ, რომლებიც კი არ გმობენ, პირიქით, აქებენ დაბადების წიგნს: „არა, - ამტკიცებენ ისინი, - ეს სიტყვები იმ აზრით როდი წარმოუთქვამს სულს ღმრთისას თავისი მსახურის მოსეს პირით, რა აზრითაც შენ მათ განმარტავ, არამედ იმ მნიშვნელობით, როგორითაც ჩვენ განვმარტავთ მათ“[53].

შენ გიხმობ მოწმედ, უფალო ჩვენო, და ასე მივუგებ მათ:

---

[49] იხ. აქვე, შე. 4.

[50] შდრ. I კორ. XIII, 12.

[51] იხ. აქვე, შენ. 46.

[52] ნეტარი ავგუსტინე გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, მანიქეველებს, რომლებიც უარყოფდნენ ძველ აღთქმას (იხ. მესამე წიგნის შენ. 25). „ორივე აღთქმა ორლესული მახვილია. ძველი აღთქმა აღგვითქვამს მიწიერს, ახალი - მარადიულს. ორივეში ჭეშმარიტია სიტყვა ღვთისა, როგორც ორლესული მახვილი“ („ფსალმუნებისათვის“, 149,12).

[53] ნეტარი ავგუსტინე ქვემოთ ჩამოთვლის „დაბადების“ მის მიერ განმარტებული პასაჟის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს, რომლებიც არ თანხვდებიან მისეულ გაგებას, და კრიტიკულად მიმოიხილავს მათ.

XV

18. თქვენ, ალბათ, მეტყვით, რომ სიცრუეა ის, რაც ჭეშმარიტებამ ხმამაღლა ჩამძახა ჩემს შინაგან ყურში: ჭეშმარიტად მარადიულია შემოქმედი; მისი სუბსტანცია სრულიად უცვლელია დროში ხოლო მისი ნება მისსავე სუბსტანციასთანაა შერწყმული[54]. ამიტომაცაა, რომ ხან ერთს როდი მიელტვის და ხან მეორეს, არამედ რაც სურს, ერთხელ და სამუდამოდ სურს და არა სხვადასხვაგვარად, ასე თუ ისე: დღეს ერთი, ხვალ კი მეორე, ანდა ჯერ თითქოს ისა სურს, რაც მანამდე არ სურდა, შემდეგ კი აღარ სურს ის, რაც მანამდე სასრუველად უჩნდა. ამნაირი ნება ცვალებადი ნებაა, მაგრამ არავითარი ცვალებადი არა არის მარადიული: „ხოლო ჩვენი ღმერთი უკუნისამდეა და უკუნითი უკუნისამდე“[55].

ალბათ, სიცრუედ მიიჩნევთ იმასაც, რომ ჭეშმარიტებამ ხმამაღლა ჩამძახა ჩემს შინაგან ყურში: მოლოდინი მომავალისა უშუალო ჭვრეტად იქცევა, როდესაც მოვა, ხოლო ეს ჭვრეტა - მოგონებად, როცა წარსულში გადადის ის, რასაც ველოდით. გონებრივი ქმედითობა, რომელიც ესოდენ ნაირგვარია, ცვალებადობას ექვემდებარება, მაგრამ არავითარი ცვალებადი არ არის მარადიული: „ხოლო ჩვენი ღმერთი უკუნისადმეა და უკუნითი უკუნისამდე“.

აი, ამ აზრებს ვუყრი თავს, ვაერთიანებ და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩემმა ღმერთმა, წარუვალმა და მარადიულმა, რაღაც გარედან აღძრული ნება-სურვილით როდი დააფუძნა სამყარო, და რომ მის ცოდნაში არაფერია წარმავალი.

19. მაშ, რაღას იტყვიან ჩემი მოდავენი? ესეც სიცრუეა? „არაო“, - ამბობენ ისინი. - კი მაგრამ, რა? განა მართალი არ არის, რომ მთელი ბუნება, რომელმაც სახე მიიღო, და მთელი მატერია, რომელსაც შეუძლია სახის მიღება, მისი წყალობით ეზიარნენ არსებობას, ვინც მთელი სავსებით კეთილია, რადგანაც მთელი სავსებით არსად გვევლინება? „არც ამას

---

[54] ღმერთის ნება იგივე მისი სუბსტანციაა, სუბსტანცია კი - მისივე ნება, რაც უშუალოდ გამომდინარეობს ღმერთის, როგორც აბსოლუტურად მარტივი არსის აგვისტინესეული გაგებიდან. ღმერთის ყველა თვისება, რომელსაც მას მივაწერთ, მთელი მისი სრულქმნილება - სიკეთე, ნება, გონება, სიბრძნე, სამართლიანობა, ძალმოსილება და სხვა მისთანანი, ერთად და ცალცალკე, იგივეა, რაც თვითონ ღმერთი. ექვსი საუკუნის შემდეგ ღმერთის ბუნების ავგუსტინესეულ ინტერპრეტაციას მთლიანად გაიზიარებს დიდი ქრისტიანი თეოლოგი ანსელმ კენტერბერიელი, ვისი აზრითაც „მთელი სრულყოფილება თავისებრვიად კი არ უნდა მიეწეროს ღმერთს, არამედ არსობრივად. თუ ღმერთი სამართლიანია, სამართლიანობის მეოხებითაა სამართლიანი. სამართლიანობა რომ სხვა იყოს და ღმერთი - სხვა, მაშინ მისი სამართლიანობა მხოლოდ თვისების აღმნიშვნელი იქნებოდა. მაგრამ სამართლიანობა შეუძლებელია სხვა რამე იყოს, გარდა საკუთრივ ღმერთისა, ვინაიდან რაც არის ღმერთი ყოველთვის, მხოლოდ თავისით და თავისთავად არის. ამიტომ სამართლიანობა არსობრივად ეკუთვნის მას. იგივე ითქმის ყევლა სხვა სრულქმნილების მიმართაც. ღმერთი სამართლიანობას კი არა ფლობს, არამედ თვითონაა სამართლიანობა; ის არა მარტო ცოცხალია, არამედ თვითონაა სიცოცხლე; არა მარტო ბრძენია, თვითონვეა სიბრძნე და ა.შ.

ამასთანავე, ღმერთის ცნებიდან მთლიანად გამოირიცხება ყოველგვარი სირთულე, რადგანაც რთული ყოველივე იმას, რაც არის, თავის შემადგენელ ნაწილებს უნდა უმადლოდეს. ასე რომ, ნაწილები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე მათგან შეთხზული არსი, რადგანაც ეს უკანასკნელი მათი მეოხებითაა, რაც არის, და არა ნაწილები - მისი მეოხებით. ამრიგად, ღვთაებრივი არსება რთული რომ იყოს, თუნდაც მხოლოდ ამის შედეგად აღარ იქნებოდა უზენაესი არსი. მაშასადამე, ღმერთი აბსოლუტური სიმარტივეა, და თუ ჩვენ სხვადასხვა თავისებებს მივაწერთ მას, ისინი ღვთაებრივი არსების სხვადასხვა მომენტებს კი არ აღნიშნავენ, არამედ თვითეული მათგანი სრულად გამოხატავს მთელ ღვთაებრივ არსებას“ (ალბერტ შტეკლი, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, - ანსელმ კენტერბერიელი, 7-8).

[55] ფსალმ. 47, 15.

უარვყოფთ“, - იმეორებენ ისინი. - მაშ, რას? იქნებ, იმას, რომ არსებობს უზენაესი ქმნილება, უწმიდესი სიყვარულით შერწყმული ჭეშმარიტსა და ჭეშმარიტად წარუვალ ღმერთთან? მართალია, ღმერთის თანამარადისი როდია, მაგრამ არასოდეს განეშორება მას, და დროთა ათასსახოვანი ცვალებადობის მორევში კი არა, უფლის ერთადერთი და უცვლელი ჭეშმარიტების ჭვრეტაშია დანთქმული, რადგანაც ვისაც ისე უყვარხარ, როგორც შენ მოითხოვ, ღმერთო, სწორედ მას გამოუცხადებ თავს[56], და ეს საკმარისია მისთვის: არც შენგან მიიქცევა, და არც საკუთარი თავისაკენ[57]. ეს არის „ღმერთის სახლი“[58], არა მიწიერი, ანდა ციური სიმყარისაგან შექმნილი, არამედ სულიერი და შენს მარადისობასთან წილნაყარი, სამარადისოდ უმწიკვლო და უბიწო, რადგანაც შენ „დაადგინე იგი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე“[59]; შენვე „დააწესე მისი კანონი“, და „არასოდეს გადავა იგი“[60], თუმცაღა შენი თანამარადისი როდია, რადგანაც დასაბამი აქვს, როგორც შექმნილს.

20. ამ სახლის შექმნამდე ჩვენ ვერ ვპოვებთ დროს, რადგანაც „უწინარეს ყოვლისა შეიქმნა სიბრძნე“[61]; რა თქმა უნდა, ის სიბრძნე კი არა, რომლის მამადაც გსახავენ, ღმერთო ჩვენო; რომელიც შენი თანამარადისია, შენივე სწორი, და რომლისგანაც შეიქმნა ყოველი; „დასაბამი“, რომლითაც „შეჰქმენი ცა და მიწა“, - არამედ ის სიბრძნე, რომელიც შეიქმნა, ანუ გონიერი ბუნება, ნათლის ჭვრეტის შედეგად თვითონვე ქცეულა ნათლად[62]. მართალია, მასაც, თუმცაღა შექმნილს, სიბრძნე ჰქვია, მაგრამ როგორც მანათობელი ნათელი განსხვავდება არეკლილი ნათლისაგან, ასევე შემოქმედი სიბრძნეც განსხვავდება შექმნილი სიბრძნისაგან, ან გამამართლებელი სიმართლე - გამართებული სიმართლისაგან. აკი ჩვენზედაც ითქვა, რომ შენით გავმართლდებით. ერთმა შენმა მსახურმაც ხომ თქვა: „...რათა ღმრთის სიმართლედ ვქცეულიყავით მასში“[63]. ამრიგად, „უწინარეს ყოვლისა შეიქმნა სიბრძნე“[64], ანუ გონიერი სული, „ჩვენი დედის“ - შენი წმიდა ქალაქის მკვიდრი, ქალაქისა, რომელიც ზეცადაა, თავისუფალი და მარადიული[65]. მაგრამ რომელ ზეცად, უფალო, თუ არა „ზეცათა ზეცად“, რომელიც გადიდებს შენ და იწოდება „უფლის ზეცათა ზეცად“? და ამ სიბრძნეზე უწინარეს ჩვენ ვერ ვპოულობთ დროს, რადგანაც ის წინ უსწრებდა დროთა შექმნას, რაკიღა „ყველაზე უმალ შეიქმნა“. თუმცა მასზე უწინარესი იყო მარადიული შემოქმედი, ვისგანაც დაედო დასაბამი, მაგრამ დროში კი არა, - რადგანაც დრო ჯერ კიდევ არ იყო, - არამედ როგორც შექმნილს.

---

[56] შდრ. იოანე XIV, 56.

[57] იგულისხმება „ზეცა ზეცისა“ და მისი მკვიდრნი - ანგელოსები. „უნდა ითქვას, რომ ანგელოსები თავიანთი ბუნებით ცვალებადნი არიან, მაგრამ ისურვეს თავიანთ თავზე მეტად შეეყვარებინათ ღმერთი, და ამიტომ მშვიდად და მყარად დაივანეს მის წიაღში“ („ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის“, 13,26).

[58] დაბად. XXVIII, 17.

[59] ფსალმ. 148, 6.

[60] იმავე ფსალმუნის იგივე მუხლი.

[61] სიბრძნე ზირაქ. I, 4.

[62] შდრ. „ენნეადა“ IV, 3, 17, სადაც პლოტინი ლაპარაკობს სამყაროს სულზე, როგორც „ნათელზე ნათლისაგან“.

[63] II კორ. V, 21.

[64] იხ. აქვე, შენ. 61.

[65] გალატ. IV, 26.

21. ამრიგად, ეს სამყარო შენმიერია, ღმერთო ჩვენო, მაგრამ შენგან თავისი არსით ძირეულად განსხვავებული. და განა მარტო მის შექმნამდე არ არსებულა დრო, არამედ თვით მასშიაც არ არის იგი, რადგანაც შეუძლია მარადის ჭვრეტდეს შენს სახეს და წამითაც არ გაქციოს ზურგი[66]. ამიტომაც არ ექვემდებარება ცვალებადობას და მონაცვლეობას, თუმცაღა ცვალებადობა დიახაც ნიშნეულია მისთვის, რასაც შეეძლო წყვდიადითა და სიცივით მოეცვა იგი, დიადი სიყვარულით რომ არ იყოს შენთან შერწყმული, სიყვარულით, რომელიც შენი წყალობით ბრწყინავს და ბრდღვიალებს, როგორც მარადიული შუადღე.

ო, ნათელფენილო და სხივოსანო სამკვიდრო! „უფალო, შევიყვარე მშვენება შენი სახლისა და სავანე შენი დიდებისა“[67], რადგანაც შენა ხარ ამ სამყოფლის შემოქმედი და მპყრობელი. მის გამო ვჭმუნავ ჩემს ამქვეყნიურ ხეტიალში და ასე მივმართავ მის შემოქმედს: დე, იყოს იქაც ჩემი მფლობელი, რადგან მეც ხომ მან შემქმნა. „დავძრწოდი, როგორც დაკარგული ცხვარი“[68], მაგრამ ჩემი მწყემსი და შენი შემოქმედი თავისი მხრებით მომიყვანს შენთან[69].

22. თქვენ მოგმართავთ, ჩემო მოდავენო, რომელნიც მოსეს უფლის ერთგულ მსახურად, ხოლო მის წიგნებს სულიწმინდის მიერ ნაკარნახევად მაინც აღიარებთ. რას იტყვით? განა ეს ღმერთის სამყოფელი არ არის? მართალია, არა ღმერთივით დაუსაბამო და მისი თანამარადისი, მაგრამ თავისებურად მაინც მარადიული, რომელიც არის ცაში[70], სადაც ამაოდ დაუწყებთ ძებნას დროთა მონაცვლეობას: ვერსად იპოვით, იმდენად მაღალია ეს სამყოფელი, მარადმედინი დროის მთელ ხანგრძლივობასა და მის წრებრუნვაზე უზენაესი, რომლის მთელი სიკეთე ისაა, რომ უშუალოდ ერწყმის ღემრთს[71]. „დიახაც არის“, - მესმის პასუხად. მერედა, ყოველივე იქიდან, რაც „შეჰღაღადა ჩემმა გულმა ღმერთს“[72], მაშინ, როდესაც მთელი ჩემი გულისყური მიპყრობილი იყო უფლის მადიდებელი ხმის მიმართ, - მაინც რას მიიჩნევთ ყალბად? იმ მატერიას, რომელსაც არავითარი სახე არა აქვს და ამდენად სრულიად მოუწესრიგებელია? მაგრამ სადაც არ არსებობს არავითარი წესრიგი, სრულიად შეუძლებელია დროთა ყოველგვარი მონაცვლეობა. და მაინც, ეს თითქმის „არარა“ (რადგანაც სრულ „არარად“ ვერ მივიჩნევთ მას) იმისგანვე იღებს დასაბამს, რაც ყოვლის დასაბამია, რაკიღა ასე თუ ისე მაინც არსებობს. „არც ამას უარვყოფთო“, - მეუბნებიან ისინი.

[66] იგულისხმება „ზეცა ზეცისა“ (იხ. აქვე, შენ. 4). შდრ. მათე XVIII, 10.
[67] ფსალმ. 25, 8.
[68] ფსალმ. 118, 76.
[69] შდრ. ლუკა XV, 4.
[70] იხ. II კორ. V, 1.
[71] შდრ. ფსალმ. 72, 28.
[72] ფსალმ. 17, 7.

XVI

23. მე მინდა შენს წინაშე ზოგიერთ საკითხზედაც გავესაუბრო იმ ხალხს, ვისაც ჭეშმარიტებად მიაჩნია ყოველივე ის, რაც ჩემს სულს გაანდო და გაუმჟღავნა შენმა ჭეშმარიტებამ. უარმყოფელებმა კი, დაე, იყეფონ, რამდენიც ნებავთ, და თვითონვე გამოიყრუონ ყურები. ვეცდები დავაცხრო და დავაშოშმინო ისინი, რათა შენს სიტყვას გზა გაუხსნან და შეაღწევინონ თავიანთ გულში. ხოლო თუ ამას არ ისურვებენ, გემუდარები, ღმერთო ჩემო, „ნუ დადუმდები ჩემთვის“[73]. ჭეშმარიტება აუწყე ჩემს გულს, რადგანაც მხოლოდ შენ შეგიძლია ეს, და მე განვდევნი მათ: დაე, მტვრის ბუქი ააყენონ თავიანთი სუნთქვით, და თვითონვე დაივსონ თვალი[74]. დაე, შევიდე „ჩემს სენაკში“[75] და გიგალობო სიმღერა სიყვარულისა, „უთქმელი ოხვრით“[76] მგმინავმა ჩემს ამქვეყნიურ ხეტიალში. მარად მახსოვდეს იერუსალიმი, რომ გულით ავმაღლდე და მოგეახლო, ო, იერუსალიმ, მამულო ჩემო, იერუსალიმ, დედაო ჩემი[77]; მოგეახლო შენც, მეუფევ და განმანათლებელო ზეციური ქალაქისა, მის მამასა და მეუღლეს, რათა ვეზიარო ზეცის წმიდა და წარუდინებელ სიტკბოებას, მის უხრწნელ სიხარულს, მის ენითუთქმელ სიკეთეს, რადგანაც შენა ხარ ერთადერთი უზენაესი და ჭეშმარიტი სიკეთე! დაე, არასოდეს განგეშორო, ვიდრე არ დამამკვიდრებ ჩვენი ზეციური დედის წმიდა წიაღში, მის შეუმღვრეველ სიმშვიდეში, სადაცა მაქვს „პირველი ნაყოფი ჩემი სულისა“[78], და საიდანაც იღებს დასაბამს მთელი ჩემი სარწმუნო ცოდნა; ვიდრე არ შემკრებ გაბნეულს, სახიერად არ მაქცევ უსახურს და მარადისობაში არ დამამკვიდრებ, ღმერთო ჩემო, წყალობაო ჩემო[79].

ხოლო იმ ხალხს, ვინც სიცრუედ არ მიიჩნევს ყველა ამ ჭეშმარიტებას, პატივს მიაგებს შენს წმიდა წიგნებს, მოსეს, ამ ღვთისმოსავი კაცის დაწერილთ, ყოველგვარ ავტორიტეტზე მაღლა აყენებს და ჩვენთან ერთად მისაბაძ ნიმუშად სახავს მათ, მაგრამ, ამასთანავე, სადავოდ მიიჩნევს ზოგიერთ საკითხს, - აი, რას ვეტყოდი პასუხად. ხოლო შენ, ღმერთო ჩვენო, იყავ მსაჯული ჩემს აღსარებასა და მათ მრწამსს შორის.

[73] ფსალმ. 27, 1.
[74] სულიერი სიბრმავის ექსპრესული მეტაფორა.
[75] მათე VI, 6.
[76] შდრ. რომ. VIII, 23.
[77] გალატ. IV, 26.
[78] რომ. VIII, 23.
[79] შდრ. ფსალმ. 58, 18.

XVII

24. ისინი ამბობენ: „ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამას როდი გულისხმობდა მოსე, როცა სულის გამოცხადებით წერდა: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“[80]. ცის სახელით მას ის სულიერი და გონიერი სამყარო როდი აღუნიშნავს, მარადჟამ რომ ჭვრეტს ღმერთის სახეს, და არც „მიწა“ ნიშნავს უსახო „მატერიას“. - „მაშ, რას?“ - „რასაც ჩვენ ვამბობთ, იმასვე გულისხმობდა ეს დიდი კაციც, და იგივე გამოხატა თავის სიტყვებით“. - „მაინც რა?“ - „ცისა და მიწის სახელით მას სურდა, უწინრეს ყოვლისა, მოკლედ და ზოგადად აღენიშნა ეს ხილული სამყარო, რათა შემდეგ, დღეების მინიშნებისას, თითქოს განეწვალა და დაენაწევრებინა ყოველივე ის, რაც სურდა სულიწმიდის მიერ ასე ეუწყებინა ჩვენთვის. რადგანაც ის ტლანქი, უხეში და ხორციელი ხალხი, ვისაც მიმართავდა მოსე, მისი აზრით, იმდენად გაონებაჩლუნგი იყო, რომ მხოლოდ უფლის ხილული ქმნილებების გარჩევას თუ შესძლებდა“.

თუმცა ისინი ნაწილობრივ მაინც გვეთანხმებიან იმაში, რომ ეს უხილავი და უდაბური მიწა, ეს ბნელი უფსკრული (რომელთაგანაც, როგორც შემდეგ თანმიმდევრულადაა ნაჩვენები, შესაქმის პირველ დღეებში შეიქმნა კიდეც ყოველივე ხილული და საყოველთაოდ ცნობილი), შეიძლება ამ უსახო მატერიადაც მიგვაჩნდეს, ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობა.

25. მერედა რა? ვინმე იტყვის, რომ ამ უსახო და ქაოტურ მატერიას იმიტომ დაერქვა ცისა და მიწის სახელი, რომ ეს ხილული სამყარო (მთელი თავისი ქმნილებებითურთ, რომელთაც სავსებით მკაფიოდ გამოკვეთილი სახე მიუღიათ მასში), ზემოხსენებული უსახო მატერიისაგან შექმნილი და გასრულებული, უმეტესწილად „ცად და მიწად“ იწოდება?

და კიდევ, შეიძლება ვინმემ ისიცა თქვას, რომ „ცა და მიწა“ სავსებით შესაფერისი სახელია როგორც ხილული, ისე უხილავი ბუნებისთვისაც, რადგანაც ეს ორი სიტყვა მოიცავს ყველაფერს, რაც ღმერთმა თავისი სიბრძნით, ანუ დასაბამით შექმნა. თუმცა ყველაფერი თვით ღვთაებრივი სუბსტანციისაგან კი არ არის შექმნილი, არამედ „არარაისგან“, რადგანაც ქმნილების ბუნება სულ სხვანაირია, ვიდრე ღმერთისა, და მისთვის ნიშნეულია ერთგვარი ცვალებადობა, მიუხედავად იმისა, ღმერთის საუკუნო სამკვიდრებლად გვევლინება, თუ ისევე იცვლება, როგორც კაცის სული და სხეული. სწორედ ეს, ყოველი ქმნილების - როგორც ხილულის, ისე უხილავისთვისაც საერთო, ჯერეთ უსახო, მაგრამ სახის მიღების უნარის მქონე მატერია, რომლისგანაც წარმოიქმნა ცა და მიწა, ანუ ის ხილული თუ უხილავი ქმნილებები, უკვე რომ მიუღიათ სახე, - დიახ, სწორედ ეს მატერია აღინიშნება სიტყვებით: „მიწა უსახო და უდაბური, და ბნელი უფსკრულის თავზე“[81] აქ მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ „უსახო და

[80] **დაბად.** I, 1.
[81] **დაბად.** I, 2.

უდაბურ მიწად“ იგულისხმება სხეულებრივი, ჯერ კიდევ გაუფორმებელი მატერია, ხოლო „ბნელად უფსკრულის თავზე“ - სულიერი მატერია, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ ზღვარი დაედებოდა მის უკიდურეს განუსაზღვრებლობას და სიბრძნით განწონილი გაბრწყინდებოდა.

26. თუ ნებავს, სხვას შეუძლია ესეცა თქვას: „როცა ვკითხულობთ, რომ „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“, აქ „ცა და მიწა“ უვკე ფორმირებულსა და დასრულებულ ხილულსა თუ უხილავ ბუნებას კი არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ სამყაროს ამორფულ მონახაზს, უსახო მატერიას, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი სახე მიიღოს და ყოველგვარი ქმნილების მასალად იქცეს, რადგანაც სამყარო უკვე არსებობდა მასში, თუმცაღა ქაოტურად, თავისებრივი თუ ფორმალური განსაზღვრულობის გარეშე[82], ხოლო უკვე განსაზღვრულს და მოწესრიგებულს ცა და მიწა ეწოდება, რომელთაგანაც პირველი სულიერია, მეორე კი სხეულებრივი“[83].

XVIII

27. ყოველივე ამას რომ ვისმენ და ვფიქრობ, არ მინდა „სიტყვებით ჭიდილი დავიწყო, რომელიც არას გვარგია და მსმენელებს კი ჩამოგვაცილებს“[84]. შესაგონებლად არსებობს „კეთილი სჯული, თუკი ვინმე სჯულიერად მოიხმარს მას“[85]; „ხოლო მიზანი მცნებისა არის სიყვარული წმიდა გულით, წრფელი სინიდისითა და უპირფერო რწმენით“[86]. ჩვენმა მოძღვარმა იცოდა, რომელ ორ მცნებამდე დაეყვანა მთელი სჯული და წინასწარმეტყველნი[87]. მეც გულმხურვალედ ვაღიარებ მათ, ღმერთო ჩემო, ნათელო ჩემი თვალისა ბნელში[88]. მაშ, რას დამიშლის ის ამბავი, რომ ეს სიტყვები შეიძლება სხვადასხვანაირად გავიგოთ? მათი ჭეშმარიტება ხომ უეჭველია. ჰოდა, რას მავნებს, თუ სხვებისაგან განსხვავებით გავიგებ ნაწერს? კითხვისას ხომ ყველანი იმის წვდომასა და გაგებას ვცდილობთ, თუ რას გულისხმობდა ის, ვისაც ვკითხულობთ? რაკიღა მისი სიმართლის გვჯერა, იმაზე ფიქრსაც კი ვერ გავბედავთ, რომ ის შეიძლება ცრუობდეს. და რადგან თვითეული ჩვენგანი ცდილობს საღმრთო წერილის კითხვისას თვით მისი დამწერის აზრი შეიცნოს, მაშინ რა სათაკილოა, თუკი იმას დაინახავს მასში, რასაც შენ უჩვენებ ჭეშმარიტებად, ყოველი მართალი სულის ნათელო? თუნდაც მის

[82] შდრ. ანაქსაგორა: „ყველაფერი ერთად იყო, მერე მოვიდა გონება და გაჰყო და მოაწესრიგა ყოველი“ (დილსი, ფრაგმ. 1,4).

[83] განსხვავება ამ უკანასკნელ - მეოთხე - და მეორე ინტერპრეტაციებს შორის ისაა, რომ მეოთხის მიხედვით „ცა და მიწა“ გაგებულია როგორც უკვე შექმნილი, სულიერი და სხეულებრივი სამყარო, მაშინ როდესაც მეორე ინტერპრეტაციის ავტორთა აზრით „ცა და მიწა“ სულიერი და სხეულებრივი სამყაროს მასალადაა მიჩნეული.

[84] II ტიმ. II, 14.

[85] I ტიმ. I, 8.

[86] I ტიმ. I, 5.

[87] იხ. მათე XXII, 35-40: „და ერთმა მათგანმა, სჯულის მცოდნემ, საცთუნებლად ჰკითხა მას: მოძღვარო, რომელია სჯულის მთავარი მცნება? ხოლო იესომ მიუგო მას: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და მთავარი მცნება. და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი სჯული და წინასწარმეტყველნი.

[88] შდრ. ფსალმ. 37, 11.

დამწერს სულ სხვა რამ ეგულისხმა. მასაც ხომ ესმოდა ჭეშმარიტება, თუმცა კი სხვანაირად ესმოდა იგი.

XIX

28. ჭეშმარიტია, უფალო, რომ შენ შეჰქმენი ცა და მიწა; ჭეშმარიტია, რომ შენი სიბრძნე არის „დასაბამი“, რომლითაც „შეჰქმენი ყოველი“[89]; ჭეშმარიტია ისიც, რომ ეს ხილული სამყარო ორი უზარმაზარი ნაწილისაგან შედგება - ცისა და მიწისაგან, და ეს მოკლე სახელწოდება ყველა ქმნილებას მოიცავს; ჭეშმარიტია, რომ ყოველივე ცვალებადი ჩვენს სულშ ერთგვარი უსახოების წარმოდგენას იწვევს, რომელსაც შეუძლია ესა თუ ის სახე მიიღოს, შეიცვალოს და გარდაიქმნას; ჭეშმარიტია, რომ დროთა მონაცვლეობას არ ექვემდებარება ის, რაც იმდენად შერწყმია უცვლელ სახეს თუ ფორმას, რომ თუნდაც ცვალებადი იყოს, მაინც უცვლელი რჩება; ჭეშმარიტია, რომ უსახოებისათვის, რომელიც თითქმის „არარაა“, არ არსებობს დროთა მონაცვლეობა; ჭეშმარიტია, რომ მასალამ, რომლისაგანაც ესა თუ ის საგანი იქმნება, შეიძლება სწორედ ამ საგნისაგან მიიღოს სახელწოდება; ამიტომაცაა, რომ შეიძლება „ცა და მიწა“ ეწოდოს ნებისმიერ უსახო მატერიას, რომლისგანაც შეიქმნა ცა და მიწა; ჭეშმარიტია, რომ ყოველივე იმას შორის, რასაც სახე მიუღია, ყველაზე მეტად მიწა და უფსკრული უახლოვდება უსახოებას; ჭეშმარიტია, რომ შენი ქმნილებაა არა მარტო ის, რაც შექმნილია და სახე მიუღია, არამედ ყოველივე ისიც, რაც შეიძლებოდა შექმნილიყო და სახე მიიღო; დიახ, შენი ქმნილებაა, უფალო, „ვის მიერაც არის ყოველი“[90]; ჭეშმარიტია, რომ ყველაფერი, რასაც უსახოსაგან მიუღია სახე, თავდაპირველად უსახო იყო, და მხოლოდ შემდეგ მიიღო იგი.

XX

29. ყველა იმ ჭეშმარიტებას შორის, რაშიაც ეჭვი არ ეპარება იმათ, ვის შინაგან მზერასაც მათი გარჩევის უნარი უბოძე, და ვისაც ურყევად სწამს, რომ მოსე, შენი მსახური, „ჭეშმარიტების სულით“[91] იტყოდა ამას, - დიახ, ყველა ამ ჭეშმარიტებას შორის ერთი ამოირჩევს სიტყვებს: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“, და შემდეგნაირად განმარტავს მათ: „თავისი დაუსაბამო და მისივე თანამარადისი სიტყვით[92] ღმერთმა შეჰქმნა როგორც გონით მისაწვდომი, ისე გრძნობადი სამყაროც, სულიერი და სხეულებრივი“. მეორეს ასე ესმის სიტყვები - „თავდაპირველად ღმერთმა შეჰქმნა ცა და მიწა“: „თავისი დაუსაბამო და მისივე თანამარადისი სიტყვით ღმერთმა შეჰქმნა ამ სხეულებრივი სამყაროს მთელი

[89] ფსალმ. 103, 24.
[90] I კორ. VIII, 6.
[91] იოანე XIV, 17.
[92] იგულისხმება იესო ქრისტე.

სიდიადე, ჩვენთვის ცნობილი და ჩვეული ყველა ქმნილებითურთ“. მესამის აზრით, „თავდაპირველად ღმერთმა შეჰქმნა ცა და მიწა“ იმას გვიცხადებს, რომ „თავისი დაუსაბამო და მისივე თანამარადისი სიტყვით ღმერთმა შეჰქმნა უსახო მატერია როგორც სულიერი, ისე სხეულებრივი სამყაროსათვის“. მეოთხეს სხვანაირად ესმის სიტყვები - „თავდაპირველად ღმერთმა შეჰქმნა ცა და მიწა“: „ესე იგი, თავისი დაუსაბამო და მისივე თანამარადისი სიტყვით თავდაპირველად ღმერთმა შეჰქმნა უსახო მატერია სხულებრივი სამყაროსათვის, სადაც ჯერ კიდევ ერთმანეთში ალუფხული იყო ცა და მიწა, რომელთაც ახლა, როგორც ჩვენ ვხედავთ, თავიანთი განსხვავებული და განსაზღვრული სახე მიუღიათ ამ უზარმაზარ სამყაროში“. მეხუთის მიხედვით, „თავდაპირველად ღმერთმა შეჰქმნა ცა და მიწა“ იმასა ნიშნავს, რომ „თავისი დაუსაბამო და მისივე თანამარადისი სიტყვით თავდაპირველად ღმერთმა შეჰქმნა უსახო მატერია, რომელიც შეიცავდა ერთმანეთში ალუფხულ ცასა და მიწას, ხოლო შემდეგ როცა თავიანთი სახე მიიღეს, ისინი გამოეყვნენ მას და მოგვევლინენ ყოველივე იმითურთ, რაც კი რამ არის მათში“[93].

XXI

30. იგივე ითქმის მომდევნო სიტყვათა განმარტების მიმართ: „ხოლო მიწა უსახო და უდაბური, და ბნელი იდო უფსკრულის თავზე“. სხვადასხვა სარწმუნო განამრტებას შორის ყველა თავისას ირჩევს. ერთის აზრით, ეს შემდეგს ნიშნავს: „ეს სხეულებრივი მასა, ღმერთმა რომ შეჰქმნა, ჯერ კიდევ უსახო მატერია იყო სხეულებრივ ქმნილებათათვის, მოუწესრიგებელი და ნათელს მოკლებული“. მეორის მტკიცებით, „ხოლო მიწა უსახო და უდაბური, და ბნელი იდო უფსკრულის თავზე“, შემდეგნაირად უნდა გვესმოდეს „ყველაფერი, რაც ცად და მიწად იწოდება, ჯერაც უსახო და ბნელი მატერია იყო, საიდანაც წარმოიქმნა ჩვენი ხილული ცა და მიწა ყოველივე იმასთან ერთად, რასაც ხორციელი გრძნობებით შევიცნობთ“. მესამე სიტყვებს - „ხოლო მიწა უსახო იყო და უდაბური, და ბნელი იდო უფსკრულის თავზე“, - ამგვარად ხსნის: „ყოველივე ის, რაც ცად და მიწად იწოდა, ჯერ კიდევ უსახო და ბნელი მატერია იყო, საიდანაც წარმოიქმნა გონით საწვდომი ცა (როემლიც სხვაგან იწოდება „ზეცად ზეცისა“) და დედამიწა, ესე იგი, მთელი სხეულებრივი ბუნება ამ ჩვენი ხილული ცის ჩათვლით; ანუ,

[93] „როცა საღმრთო წერილის ერთი და იგივე ადგილი დასაშვებს ხდის არა მარტო ერთ, არამედ ორ და მეტ განმარტებას, ისე, რომ შეუძლებელი ხდება დავადგინოთ, მაინც რას გულისხმობდა ავტორი, აქ არაფერია საშიში, თუკი წერილის სხვა ადვილები საშუალებას გვაძლევენ დავადგინოთ, რომ ეს სხვადასხვანაირი განმარტებანი არ ეწინააღმდეგებიან ჭეშმარიტებას. და მაინც, ვისაც სურს ჩასწვდეს ღვთიური სიტყვის სიღრმეს, გამუდმებით უნდა ცდილობდეს მიუახლოვდეს ავტორის აზრს, ავტორისა, ვისი პირითაც სულმა წმიდამ გადმოგვცა საღმრთო წერილის ეს ნაწილი; მიუხედავად იმისა, მართლა მიაკვლევს ამ ჭეშმარიტ აზრს თუ სხვანაირად გაიაზრებს მოცემულ ადგილს, თუკი ეს სხვანაირი გაგება არამც და არამც არ უპირისპირდება რწმენის სიწმინდეს, რის გასარკვევადაც შეიძლება დაეყრდნოს საღმრთო წერილის სხვა მოწმობას. იქნებ ავტორი თავის გამონათქვამებში, რომელთა განმარტებასაც ცდილობენ, თვითონვე ჭვრეტდა იმნაირ აზრს, რა აზრითაც მათ განმარტავენ. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ სულმა ღვთისამ, ვისთვისაც საღმრთო წერილის ავტორი სხვა არა იყო რა, თუ არა იარაღი, წინასწარ განჭვრიტა, რომ ამ ადგილს სწორეს ასე გაიაზრებდა მისი მკითხველი თუ მსმენელი. მეტსაც ვეტყვით, სწორედ ღვთაებრივი წინასწარხედვაა, ამ აზრს რომ ჩააგონებს მკითხველს, რაკიღა ის ჭეშმარიტებაზეა დაფუძნებული“ („ქრისტიანული სარწმუნოებისათვის“, III,27), - ამ სიტყვებით აყალიბებს ნეტარი ავგუსტინე ბიბლიის ინტერპრეტაციისას ლეგიტიმურ განმარტებათა მრავლობითობის თეორიას, რაც შემდგომ თეოლოგთა შორის გაცხარებული პაექრობის საბაბად იქცა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საიდანაც წარმოიქმნა ყველა ხილული თუ უხილავი ქმნილება". კიდევ ერთი განმარტების მიხედვით, - „ხოლო მიწა უსახო იყო და უდაბური, და ბნელი იდო უფსკრულის თავზე", - საღმრთო წერილი აქ ამ უსახო მატერიას როდი უწოდებს ცისა და მიწის სახელს; არა, „უსახო და უდაბურ მიწად და ბნელ უფსკრულად" ის მიიჩნევს რასაც უსახოს, წინასწარ უკვე არსებულს, რომლისგანაც, როგორც წერილში მანამდეა ნათქვამი, ღმერთმა შექმნა ცა და მიწა, ანუ სულიერი და სხეულებრივი სამყარო". არსებობს სხვა განმარტებაც, რომლის თანახმადაც სიტყვები - „ხოლო მიწა უსახო იყო და უდაბური, და ბნეი იდო უფსკრულის თავზე", - იმასა ნიშნავს, რომ უკვე იყო ერთგვარი უსახო მატერია, რომლისგანაც, როგორც მანამდე ამბობს საღმრთო წერილი, ღმერთმა შეჰქმნა ცა და მიწა, ანუ სამყაროს მთელი სხეულებრივი მასა, ორ უზარმაზარ, ზენა და ქვენა ნაწილად გაყოფილი, ყველა იმ ქმნილებასთან ერთად, რომელთაც ისინი მოიცავენ, და რომელნიც ცნობილნი და ჩვეულებრივნი არიან ჩვენთვის"[94].

XXII

31. ამ ორ უკანასკნელ აზრს შეიძლება ასე დაუპირისპირდეს ვინმე: „თუ არა გსურთ „ცა და მიწა" უწოდოთ ამ უსახო მატერიას, მაშასადამე, მანამდე ყოფილა რაღაც, რაც ღმერთს შეუქმნია, რათა შემდეგ მისგან შეექმნა ცა და მიწა. რადგანაც საღმრთო წერილი არაფერს გვამცნობს იმის თაობაზე, რომ ღმერთმა შექმნა ეს მატერია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სიტყვები - „ცა და მიწა", ან მხოლოდ ერთი სიტყვა - „მიწა" - სწორედ ამ მატერიას გულისხმობს; თუმცაღა საღმრთო წერილს კიდევაც რომ ენებებინა და სიტყვებით - „ხოლო მიწა უსახო იყო და უდაბური" - სწორედ ეს უსახო მატერია აღენიშნა, - აქ სხვას ვერაფერს ვიგულისხმებდით, ღვთის მიერ შექმნილი მატერიის გარდა, რომელზედაც ითქვა ზემოთ: „შექმნა ცა და მიწა". იმ ორი, ან თუნდაც ერთ-ერთი მოსაზრების მომხრეებს, სულ ბოლოს რომ მოვიხსენიე, საპასუხოდ შეეძლოთ ეთქვათ: „ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ეს უსახო მატერია ღმერთის მიერაა შექმნილი, ვისგანაც იღებს დასაბამს ყოველივე კეთილი, მაგრამ იმაასც დავსძენთ, რომ გაცილებით უკეთესია ის, რასაც გარკვეული სახე თუ ფორმა ენიჭება შექმნისას, და ნაკლებად კეთილად (თუმცაღა მაინც კეთილად) მივიჩნევთ იმას, რაც შეიძლება შეიქმნას და ესა თუ ის სახე მიიღოს. საღმრთო წერილი არ იხსენიებს, რომ ღმერთმა შეჰქმნა ეს უსახო მატერია, ისევე, როგორც არ იხსენიებს, რომ ღმერთმა შეჰქმნა ეს უსახო მატერია, ისევე, როგორც არ იხსენიებს ბევრ სხვა რამესაც, ვთქვათ, ქერუბიმებს, სერაფიმებს[95] და სხვა დანარჩენთ, რომელთაც ცალ-ცალკე ჩამოთვლის მოციქული: „საყდარნი, უფლებანი,

[94] ნეტარი ავგუსტინე აქ მოკლედ მიმოიხილავს დაბადების პირველი თავის მეორე მუხლის ხუთ სხვადასხვა ინტერპრეტაციას, ისევე, როგორც ზემოთ - პირველი მუხლისას.

[95] ქერუბიმები ნახსენები არიან ბიბლიის შემდეგ წიგნებში: დაბადება III,24; გამოსვლა XXV,22; XXXVII,7; რიცხვნი VII,89 და სხვ. სერაფიმები კი მხოლოდ ესაიაში VI,2,6.

მთავრობანი, ხელმწიფებანი“[96]: ყველა ისინი, რა თქმა უნდა, ღვთის მიერ არიან შექმნილნი. თუ სიტყვები - „შექმნა ცა და მიწა“ ყველაფერს მოიცავს, მაშინ რაღას ვიტყვით წყალთა მიმართ, რომელთა ზემოთაც „იძვროდა სული ღვთისა?“[97] ხოლო თუ სიტყვა „მიწა“ წყალთაც გულისხმობს, როგორღა ვაღიაროთ, რომ იგივე სიტყვა აღნიშნავს უსახო მატერიასაც, როცა ვხედავთ, რარიგ მშვენიერნი არიან წყალნი? მაგრამ კიდევაც რომ ვაღიაროთ, მაშინ რატომღა დაიწერა, რომ სწორედ ამ უსახო მატერიისაგან შეიქმნა მყარი, რომელსაც ცა ეწოდა, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიქმნენ წყალნი. ისინი ხომ არც უსახონი არიან და არც უხილავნი. აკი თვალნათლივ ვხედავთ, რა მშვენიერნი არიან და რარიგ მომხიბლავია მათი დინება. თუ მაშინ ეზიარნენ მშვენიერებას, როცა ღმერთმა თქვა: „შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი“[98], და ამ შეგროვების შედეგად მიიღეს სახე, მაშინ რაღა ვთქვათ იმ წყალთათვის, რომელნიც არიან ცამყარს ზემოთ? უსახონი ვერ ეღირსებოდნენ ესოდენ საპატიო ადგილს, მაგრამ რა სიტყვით მიენიჭათ სახე, ამის თაობაზე საღმრთო წერილში არაფერია ნათქვამი.

შესაქმის წიგნი არაფერს ამბობს ღმერთის ზოგიერთი ქმნილების შესახებ, ხოლო ისინი რომ ღმერთის მიერ არიან შექმნილნი, ამაში დაეჭვებას ვერც ჭეშმარიტი რწმენა გებედავს, ვერც საღი გონება, და ვერც მართალი მოძღვრება დაიჩემებს, რომ ეს წყალნი ღმერთის თანამარადისნი არიან, რაკიღა შესაქმის წიგნი იხსენიებს მათ, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ როდის შეიქმნენ ისინი. მაშ, რატომ არ უნდა მიგვაჩნდეს ეს უსახო მატერია, რომელსაც საღმრთო წერილი „უსახო და უდაბურ მიწასა და ბნელ უფსკრულს“ უწოდებს, ღმერთის მიერ „არარაისაგან“ შექმნილად, მაგრამ არა ღმერთის თანამარადისად, როგორც გვასწავლის ჭეშმარიტება, თუმცაღა საღმრთო წერილი არაფერს გვეუბნება, მაინც როდის შეიქმნა იგი.

XXIII

32. ამ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს რომ ვისმენ, ვცდილობ, ჩემი უმწეობის შესაბამისად, ავწონ-დავწონო ისინი (შენს წინაშე ვაღიარებ ამ უმწეობას, ღმერთო ჩემო, თუმცა ისედაც კარგად იცი ეს) და, აი, რას ვხედავ: რაკი ზოგ რასმე სიმბოლურ ნიშანთა მეშვეობით გვაუწყებენ სანდო მაცნენი, აქ შეიძლება ორგვარმა უთანხმოებამ იჩინოს თავი: ერთის მხრივ, იმან, თუ რამდენად შეესაბამებიან ეს ნიშნები სინამდვილეს; მეორეს მხრივ კი იმან, თუ რისი თქმა სურდა თვით მაცნეს. ერთია ეძიებდე და იკვლევდე, მაინც რა არის ჭეშმარიტი სამყაროს შექმნის ამბავში, და მეორე - რა სურდა მოსეს, შენი სარწმუნოების ამ რჩეულ მსახურს[99],

[96] იხ. კოლოს. I, 16: „რადგანაც მასში შეიქმნა ყოველი: მიწიერიც და ზეციერიც; ხილული თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი; ყველაფერი მის მიერა და მისთვის შეიქმნა“.
[97] დაბად. I, 2.
[98] დაბად. I, 9.
[99] შდრ. ებრ. III, 5.

დიახ, რა სურდა ეთქვა ამ სიტყვებით თავისი მკითხველისა თუ მსმენელისათვის, ან რანაირ გაგებას მოელოდა მათგან.

რაც შეეხება პირველი სახის უთანხმოებას, შორს ჩემგან ყველა, ვისაც ჭეშმარიტებად ესახება სიცრუე! ხოლო რაც შეეხება მეორე სახის უთანხმოებას, შორს ჩემგან ყველა, ვისაც ჰგონია, რომ მოსემ იცრუა! მე მინდა მათთან ერთად ვიყო შენს წიაღში, უფალო, ვისი საზრდოცაა ჭეშმარიტება სიხარულის სისავსით, რათა მათთან ერთად ვხარობდე შენში. დაე, ერთად მივეახლოთ საღმრთო წერილის სიტყვებს, და შენი მსახურის ზრახვის მეშვეობით ვეძიოთ თვით შენი ზრახვა, მსახურისა, ვის კალამსაც მიანდე ამ სიტყვების გადმოცემა.

XXIV

33. მაგრამ ვინ, რომელი ჩვენგანი აღმოაჩენს ამ ზრახვას ესოდენ მრავალ ჭეშმარიტებას შორის, რომელნიც, ამასთანავე, შესაძლებელს ხდიან მათ სხვადასხვანაირ განმარტებას? ვინ იტყვის ისეთივე დაბეჯითებით: „აი, რას ფიქრობდა მოსე, და მას სურს სწორედ ასე გაიგონ მისი სიტყვებიო“, - რანაირი დარწმუნებითაც შეეძლო ეთქვა: „ეს სიტყვები სავსებით სარწმუნოა, მიუხედავად იმისა, ასე ფიქრობდა მოსე თუ არაო“.

აჰა, უფალო, „მე, მონა და მსახური შენი“[100], შენ შემოგწირავ ჩემს აღსარებას და გევედრები, შენი გულმოწყალებით „აღასრულო ჩემი აღთქმანი“[101]. შემიძლია თუ არა ისევე დაბეჯითებით ვთქვა, რომ შენი უცვლელი სიტყვით შეჰქმენი ყველაფერი, ხილულიც და უხილავიც, - როგორც ვამბობ, რომ მოსე სხვას არაფერს გულისხმობდა, გარდა იმისა, როდესაც წერდა: „თავდაპირველად შეჰქმნა ღმერთმა ცა და მიწა?“ და თუ შენი ჭეშმარიტების ნათელი ცხადყოფს ჩემთვის, რომ შენ შეჰქმენი ყოვეილ, ასევე ცხადად როდი ვხედავ მოსეს აზრსაც, რომლითაც დაიწერა მისი სიტყვები.

როცა თქვა „თავდაპირველადო“, მას შეეძლო ეგულისხმა „შესაქმის დასაწყისში“; შეეძლო ისიც ესურვა, რომ „ცა და მიწა“ ამ ადგილას ისე კი არ გაგვეგო, როგორც ბუნება, სულიერი თუ სხეულებრივი, უკვე ფორმირებული და დასრულებული, არამედ როგორც ჯერ კიდევ რაღაც ყოვლად უსახო, ორივე ბუნების ერთგვარი ამორფული საწყისი. ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ ორივე ეს განმარტება შეიძლება სარწმუნო იყოს, მაგრამ მაინც რომელს გულისხმობდა მოსე, ეს უკვე აღარ არის ასევე ცხადი. უეჭველია მხოლოდ ერთ რამ: მიუხედვად იმისა, თუ რა აზრი უტრიალებდა თავში ამ დიდ კაცს, როცა ზემოხსენებულ სიტყვებს წარმოსთქვამდა: მე რომ განვიხილე, თუ ჩემს მიერ განუხილველი, სულერთია, ის მაინც ჭეშმარიტებას ჭვრეტდა და სათანადოდ გვაუწყა კიდეც იგი.

[100] შდრ. ფსალმ. 115, 7.
[101] შდრ. ფსალმ. 21,26.

XXV

34. მაშ, ნურავინ შემაწყენს თავს და ნურც მეტყვის: „მოსე ისე როდი ფიქრობდა, როგორც შენ ამბობ, არამედ ისე, როგორც მე მგონიაო“. ჩემთვის რომ ეკითხათ: „ვინ მოგახსენა, რომ მოსე სწორედ იმას გულისხმობდა, რასაც შენ ამბობ, როცა მის სიტყვებს განმარტავო?“ - ვალდებული ვიქნებოდი მშვიდად მომესმინა ეს შეკითხვა და ისევე მეპასუხა, როგორც ზემოთ, ან, იქნებ, ცოტა უფრო ვრცლადაც, თუკი ჩემი თანამოსაუბრე კვლავაც თვისას დაიჩემებდა. მაგრამ როცა მეუბნებიან: „მოსე ისე კი არ ფიქრობდა, როგორც შენ ამბობ, არამედ როგორც მე მგონიაო“, თუმცა, ამასთან, ჩემი სიტყვების სისწორესაც აღიარებენ, ო, გლახაკთა სიცოცხლევ, ღმერთო ჩემო, ვის წიაღშიაც არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა, წვიმასავით აპკურე ჩემს გულს თვინიერება, რათა შევიძლო ამნაირი ხალხის აგანა![102] რადგანაც ასე იმიტომ კი არა მელაპარაკებიან, რომ ღვთივშთაგონებულთ შენი მსახურის გულში უხილავთ, რასაც ამბობენ, არამედ იმიტომ, რომ მზვაობარნი არიან. არა, მათ არ ესმით მოსეს აზრი და მხოლოდ თავიანთ აზრს ეტრფიან, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს ეს ჭეშმარიტი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ის მათი აზრია. ასე რომ არა, სხვისი ჭეშმარიტებაც ეყვარებოდათ, როგორც მე მიყვარს მათი აზრი, როცა ის ჭეშმარიტია, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ის მათი აზრია, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტია, და რაკი ჭეშმარიტია, მაშასადამე, მარტოოდენ მათი საკუთრება როდი ყოფილა. თვითონაც რომ იმის გამო უყვარდეთ თავიანთი აზრი, რომ ის ჭეშმარიტია, მაშინ ეს აზრი მეც ისევე მეკუთვნის, როგორც მათ, რადგანაც ის საერთო ხდება ყველასათვის, ვისაც კი უყვარს ჭეშმარიტება.

რაც შეეხება მათ მტკიცებას: „მოსე ისე კი არ ფიქრობდა, როგორც შენ ამბობ, არამედ როგორც ჩვენ გვგონიაო“, მე ხელაღებით უარვყოფ მას; ის საძულველია ჩემთვის, ასეც რომ იყოს სინამდვილეში: ეს სითამამე ცოდნისაგან კი არა, კადნიერებისაგან იღებს დასაბამს, და მათი მტკიცების წყაროც ხილვა კი არ არის, არამედ ქედმაღლობა.

ამიტომაც, უფალო, უნდა ვძრწოდეთ შენი მსჯავრის წინაშე: შენი ჭეშმარიტება მე ან სხვა ვინმეს კი არ ეკუთვნის, არამედ ყველას ერთად, ვისაც შენ უხმობ, უშუალოდ ეზიაროს მას, და თანაც მრისხანედ გვაფრთხილებ: ნუ მივითვისებთ შენეულ ჭეშმარიტებას, თორემ შეიძლება სულაც დავკარგოთ შენეულ ჭეშმარიტებას, თორემ შეიძლება სულაც დავკარგოთ ივი. ვინც ცდილობს იმის დასაკუთრებას, რაც ყველას უწყალობე, ვისაც სურს მიიტაცოს ის,

[102] ნეტარი ავგუსტინესთვის ყოველთვის სანუკვარი იყო თვინიერება: „ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ მიწას“, - ბრძანებს მახარებელი (მათე V, 5). ამიტომაც მწარედ ჰყვედრიდა თავს და ხშირად ნანობდა კიდეც, რომ სხვისი ცთომილების მიმართ ულმობელი იყო და დაუნდობელი. შდრ. „მანიქველთა წინააღმდეგ“ (II,2): „დე, მძვინვარებდეს თქვენს წინააღმდეგ ის, ვინც არ იცის, რანაირი ძალისხმევა სჭირდება ჭეშმარიტების მიკვლევას და რა ძნელია თავიდან აიცილო ცთომილება. დაე, მძვინვარებდეს თქვენს წინააღმდეგ ის, ვინც არ იცის, რაოდენ ძნელად და იშვიათად ახერხებს ვინმე ხორციელ ზრახვათა ძლევას ნათელი და წრფელი გონებით. დაე, მძვინვარებდეს თქვენს წინააღმდეგ ის, ვინც არ იცის, რამდენი შრომა სჭირდება იმას, რომ განკურნო შინაგანი კაცის თვალი, რათა მან იხილოს მზე. დაე, მძვინვარებდეს თქვენს წინააღმდეგ ის, ვინც არ იცის, რამდენი გმინვსი და ვაების ფასად გვიჯდება თუნდაც იოტის ოდენად შევიცნოთ ღმერთი. და ბოლოს, დაე, მძვინვარებდეს თქვენს წინაამდეგ ის, ვინც არასდროს დანთქმულა იმ ცთომილების სიცრუეში, რომელშიაც თქვენ ხართ დაფლულნი“.

რაც ყველას ეკუთვნის, დაუნდობლად მოიკვეთება საზოგადო სიკეთისაგან და მხოლოდ საკუთარი სიკეთის ამარა დარცება, ესე იგი, ჭეშმარიტების ნაცვლად სიცრუე შერჩება ხელში, რადგან „ვინც სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს“[103].

35. ყური უგდე, ყოვლად კეთილო მსაჯულო, ღმერთო ჩემო[104], რომელიც თვითონვე ხარ ჭეშმარიტება, ყური უგდე, რას ვეტყვი ჩემს მოდავეს: შენს წინაშე და ჩემი ძმების წინაშე ვამბობ ამას, „სჯულიერად რომ მოიხმარენ სჯულს“[105], რაკიღა სიყვარულით აგვირგვინებენ მას. ყური უგდე და იხილე, სასურველია თუ არა შენთვის, რასაც მას ვეტყვი.

ძმური და მშვიდობისმყოფელი სიტყვით მივმართავ მას: „თუკი ორივენი ვხედავთ, რომ ჭეშმარიტია, რასაც შენ ამბობ, და ასევე ორივენი ვხედავთ, რომ ჭეშმარიტია ჩემი სიტყვებიც, მაშინ მითხარი, გეთაყვა, სად ვხედავთ მას? რა თქმა უნდა, არც მე - შენში, და არც შენ - ჩემში, არამედ იმ უცვლელ ჭეშმარიტებაში, რომელიც მიუწვდომელია ჩვენი გონებისათვის. თუკი არ ვდავობთ იმ ნათლის გამო, რომელიც უფალი ღმერთისაგან იღებს დასაბამს, რატომღა უნდა ვდავობდეთ მოყვასის აზრზე, რომელსაც ვერ ვიხილავთ ისე, როგორც უცვლელ ჭეშმარიტებას ვხედავთ. თვით მოსეც რომ მოგვვლენოდა და ეთქვა - აი, ამას ვფიქრობდიო, - ჩვენ ხომ მის აზრს ვერ დავინახავდით, არამედ მხოლოდ უნდა გვერწმუნა. ამიტომ „არ უნდა ვბრძნობდეთ უფრო მეტს, ვიდრე დაწერილია, და ერთმანეთის წინაშე დიდ ვინმედ არ მოგვქონდეს თავი“[106]. „გვიყვარდეს უფალი ღმერთი ჩვენი მთელი სულით და მთელი ჩვენი გულით და მთელი ჩვენი გონებით“, და „გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი“[107]. თუ არ ვირწმუნებთ, რომ სიყვარულის სწორედ ეს ორი მცნება იყო მოსეს აზრის უპირველესი მიზანი, აზრისა, რომელიც მან ჩააქსოვა თავის წიგნებში, მაშინ იძულებული ვიქნებით ვაღაროთ, რომ უფალმა ჩვენმა იცრუა[108], რაკიღა იმ ზრახვას კი არ მივაწერთ მოსეს, რომელიც ღმერთმა შთააგონა, არამედ სულ სხვას. მაშ, დაუკვირდით, განა უგუნურება არ არის, ჭეშმარიტად ეჭვშეუვალ აზრთა იმ სიუხვეში, რაც შეიძლება ამოვიკითხოთ ზემოხსენებულ წიგნებში, ავდგეთ და უაზროდ ვამტკიცოთ, აი, სწორედ ეს აზრი იყო მოსესათვის უმთავრესიო, და ამ მავნე ცილობით შეურაცხვყოთ თვით სიყვარული, რისთვისაც ითქვა ყველაფერი იმ კაცის მიერ, ვისი სიტყვების ახსნასაც აქ ვცდილობთ.

[103] იოანე VIII, 44.
[104] შდრ. იერემია XVIII, 19.
[105] I ტიმ. I, 8.
[106] I კორ. IV, 6.
[107] მათე XXII, 37-39.
[108] შდრ. I იოანე I, 10; V, 10.

XXVI

36. და მაინც, ღმერთო ჩემო, რომელიც ამამაღლებ დამდაბლებულს, მომიფონებ მაშვრალს, მოთმინებით ისმენ ჩემს აღსარებას და მომიტევებ ჩემს ცოდვებს, - ამასთანავე, მიბრძანებ, მიყვარდეს მოყვასი ჩემი, ვითარცა თავი ჩემი. ამიტომაც ვერ დავიჯერებ, რომ მოსეს, შენს უერთგულეს მსახურს, ნაკლები ნიჭი მიეღოს შენგან, ვიდრე მე ვითხოვდი და ვისრუვებდი მიმეღო, მის დროს რომ დავბადებულიყავი და მის ადგილას დაგეყენებინე, რათა მთელი ჩემი გულით და ჩემი სიტყვით მოყვასთან მსახური ვყოფილიყავ და ეს წიგნები მიმეცა მათთვის, ყოველი ხალხისა და ყოველი საუკუნისათვისმ, მათდა სასიკეთოდ და საკეთილ-დღეოად, რათა თავიანთი ავტორიტეტით ეძლიათ ყველა ცრუ და ზვიადი მოძღვრება.

დიახ, მოსე რომ ვყოფილიყავი, - აკი ყველანი „ერთი ცომისგან ვართ მოზელილნი“[109], და „რა არის კაცი, თუკი შენ არ გაიხსენებ მას“[110], - იმ ხანად მის ადგილას ვდმგარიყავი და ჩემთვის მოგენდო ამ წიგნების დაწერა, მე ვისურვებდი, სიტყვის ისეთი გრძნობა და მისი თხზვის ისეთი ნიჭი გებოძებინა, რომ თვით მათაც კი, ვისაც ჯერ კიდევ არ ესმის, როგორ ქმნის ღმერთი, ვერ უარეყოთ ჩემი სიტყვები, აქაოდა, მათი წვდომა ჩვენი გაგების უარს აღემატებაო. ხოლო ვისაც მათი გაგების ძალი შესწევს, ნებისმიერი სარწმუნო აზრი ეპოვათ შენი მსახურის მოკლე გამონათქვამებში, აზრი, რომელსაც თავიანთი განსჯის წყალობითაც მიაღწევდნენ. ხოლო თუ ვინმეს ჭეშმარიტების შუქზე შენიშნავდა სხვა აზრსაც, დაე, მისი მიკლვევაც შესაძლებელი ყოფილიყო ამ სიტყვებში.

XXVII

37. როგორც დაგუბებული წყარო უფრო წყალუხვია და მისგან გაყვანილი რუებით გაცილებით უფრო დიდ სივრცეს რწყავს, ვიდრე ნებისმიერი ამ რუთაგანი, თავისი კლაკნილი დინებით რომ დაუვლის სარწყავს, ასე შენი სიტყვების მაუწყებლის მიერ გადმოცემული ამბავიც, დასაბამს რომ აძლევს ამდენ სხვადასხვა განმარტებას, მრავალ წვრილ ნაკადად მოაწანწკარებს ჭეშმარიტების წმინდა წყაროდან წარმონადენ ანკარა წყალს, საიდანაც თვითეული შეძლებისდაგვარად ირჩევს ჭეშმარიტების ამა თუ იმ ნაკადს, რათა შემდეგ დიდხანს ატაროს იგი სიტყვიერების უსასრულოდ ხვეული გზებით.

ამ სიტყვებს რომ კითხულობს ან ისმენს, ზოგს ადამიანად თუ ერთგვარ უზარმაზარ, უსასრულო ძალის მქონე სხეულებრივ არსებად წარმოუდგენია ღმერთი, უსასრულო ძალის მქონე სხეულებრივ არსებად წარმოუდგენია ღმერთი, რომელმაც უცაბედი და ანაზდეული გადაწყვეტილების შედეგად თითქოს თავის თავს გარეთ, ან, თუ შეიძლება ასე ითქვას,

[109] შდრ. რომ. IX, 21.
[110] ფსალმ. 8, 5.

გარკვეული დისტანციის მანძილზე შექმნა ცა და მიწა, ეს ორი ვეებერთელა სხეული, რომელთაგანაც ერთი ზემოთ, ხოლო მეორე ქვემოთაა განფენილი და ყოვლისმომცველნი არიან. როცა ამ ხალხს ესმის: „ღმერთმა თქვა - იყოს ასე, და იქმნა ასეო“, მათ ჰგონიათ, რომ ამ სიტყვებს დასაბამი და დასასრული აქვთ, რომლებიც დროში გახმიანდნენ და დროშივე მიწყდნენ, მიჩუმდნენ; მიჩუმდნენ და წარმოიქმნა კიდეც ყველაფერი, რასაც ებრძანა წარმოქმნილიყო. ამასვე ჰგვანან დანარჩენი განმარტებებიც, რაც იმითაა განპირობებული, რომ განმმარტებელთა წარმოსახვა ვერ გასცილებია სხეულებრივი სამყაროს ფარგლებს.

ამ ჯერ კიდევ უსუსურ ბალღებს, მათი უმწეობის გამო, სულ უბრალო ცნებები აკმაყოფილებთ, როგორც ჩვილს - დედის ძუძუ, თუმცა მათ სულშიაც შეიძლება საღი რწმენის შენობა იქნეს აგებული, რაკიღა მტკიცედ სწამთ, რომ ღმერთმა შეჰქმნა მთელი ბუნება, თავისი განსაცვიფრებელი მრავალფეროვნებით, რასაც თავიანთი გრძნობებით აღიქვამენ. მაგრამ თუ რომელიმე მათგანი, ამ თითქოსდა მარტივი აზრებისადმი ზიზღით აღძრული, თავისი უგუნური ქედმაღლობით თავს გამოყოფს ამ მყუდრო ბუდიდან, თავისდა სავალალოდ, ძირს ვარდება, და გევედრები, უფალო, შეიწყალე ეს უბედური[111], ნუ გაათელინებ გამვლელთ ამ ჯერ კიდევ უმწეო და დაუფრთიანებელ ბარტყს[112], მოუვლინე შენი ანგელოსი, რათა აიტაცოს[113] და კვლავ დაუბრუნოს თავის ბუდეს: დაე, იქ იყოს, ვიდრე ფრენას ისწავლიდეს!

XXVIII

38. სხვები კი, ვისთვისაც ეს სიტყვები მყუდრო საბუდარი კი არ არის, არამედ ჩრდილუხვი ბაღი, მხიარული ჟივილ-ხივილით დაფრთხიალებენ შიგ, ფოთლებში მიმალულ ნაყოფს ეძებენ და ხარბად კენკავენ თავიანთი ნისკარტებით. ამ სიტყვებს რომ კითხულობენ ან ისმენენ, ისინი ხედავენ, რომ ღმერთის უძრავსა და მარადიულ არსებობაში დაძლეულია მთელი წარსული და მომავალი, მაგრამ, ამასთანავე, არ არსებობს არცერთი წარმავალი არსი, ღვთის მიერ რომ არ იყოს შექმნილი. დიახ, ისინი ხედავენ, რომ შენი ნების, ანუ თვით შენთვის, უფალო, უცხოა ცვალებადობა, და ყველაფერი ანაზდეულად აღძრული, მანამდე არარსებული ნება-სურვილით როდი შეჰქმენი. შენგანვე როდი შეგიქმნია შენი მსგავსება, ყოველივე არსის ხატი, არამედ „არარაისაგან“ შეჰქმენი უსახო მატერია, რომელიც არაფრით არა გგავს, მაგრამ შეუძლია სახე მიიღოს და, ამრიგად, შენს ხატად და მსგავსად იქცეს, შენ - ერთს - დაგიბრუნდეს, თანახმად იმ უნარისა, წინასწარ რომ განუსაზღვრე თვითეულ არსს მის საკუთარ გვარში. ყველაფერი „ძალზე კარგია“[114], ისიც, რაც შენს მახლობლად სუფევს,

[111] შდრ. ფსალმ. 50, 3
[112] შდრ. იობი XXXIX, 14-15.
[113] შდრ. II მაკაბ. XV, 23; მათე XI, 40.
[114] დაბად. I, 31.

და ისიც, რაც დროსა თუ სივრცეში თანდათანობით გშორდება, რათა სამყაროს ცვალებადობისა და დიდმშვენიერი მრავალფეროვნების თანამონაწილედ იქცეს.

ისინი ხედავენ ყოველივე ამას, უფალო, და ხარობენ შენი ჭეშმარიტების ნათლით, რამდენადაც საამისო ძალი შესწევთ.

39. ამ სიტყვების განხილვისას - „თავდაპირველად შეჰქმნა ღმერთმა ცა და მიწა“, - ზოგიერთი მათგანი ამ „თავდაპირველად“-ად თუ „დასაბამად“ სიბრძნეს მიიჩნევს, რადგანაც იგი თვით გვეტყვის ჩვენ[115]. ზოგიც, ამავე სიტყვების კვლევისას, „დასაბამად“ სახავს ქმნილების პირველ დაბადებას[116], რადგანაც სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს - „თავდაპირველად შეჰქმნა“.

იმათ შორის, ვისი აზრითაც „დასაბამი“ სიბრძნეა, რომლითაც „შენ შეჰქმენი ცა და მიწა“, ერთი „ცას და მიწას“ იმ მატერიის აღმნიშვნელად მიიჩნევს, რომლისგანაც შეიძლებოდა შექმნილიყო ცა და მიწა, და მათი სახელი რქმეოდა. მეორის მიხედვით, ეს უკვე ფორმირებული ქმნილებებია, სხვადასხვა სახე რომ მიუღიათ. მესამე ამტკიცებს, რომ „ცა“ გულისხმობს უკვე ფორმირებულსა და სულიერ მატერიას, „მიწად“ კი სრულიად უსახო და სხეულებრივი მატერია უნდა მიგვაჩნდეს.

თვით ისინიც კი, ვისაც ჰგონია, რომ „ცა და მიწა“ აღნიშნავენ ჯერ კიდევ უსახო მატერიას, რომლისგანაც შემდეგ იქმნება ცა და მიწა, სხვადასხვა აზრისანი არიან: ზოგის მიხედვით, ამ უსახო მატერიისაგან შეიქმნენ გონიერი და გრძნობადი არსებები; ზოგის მტკიცებით კი, იმავე მატერიამ დასაბამი დაუდო მხოლოდ იმ სხეულებრივსა და გრძნობად მასას, რომელიც თავის ვეება წიაღში შეიცავს ყველა ხილულსა და გრძნობებით აღქმად არსებას.

აზრთა ასეთივე სხვადასხვაობა არსებობს იმათ შორისაც ვისაც ჰგონია, რომ „ცისა და მიწის“ სახელით იწოდება უკვე სავსებით ფორმირებული და მოწესრიგებული სამყარო: ზოგი აქ ხილულ სამყაროსაც გულისხმობს და უხილავსაც, ზოგი კი - მხოლოდ ხილულს: ნათელ ზეცას და ბნელ მიწას, ყოველივე ზეციურითა და მიწიერითურთ.

---

[115] იოანეს სახარების ერთი პასაჟის მიხედვით (VIII, 25), იესო ქრისტე თავის თავს თვითონვე სახავს დასაბამად: „უთხრეს მას: ვინა ხარ შენ? და უთხრა მათ იესომ: დასაბამად რას გეუბნებით?“

[116] „დასაბამად“ („თავდაპირველად“) - როგორც წმინდა მამების თხზულებებში, ისე მთელს შემდგომდროინდელ განმარტებითს ლიტერატურაში არსებობს მოცემული სიტვის ორი მთავარი, ტიპიური ინტერპრეტაცია. ზოგიერთთა დომინანტური აზრით, ეს მხოლოდ ქრონოლოგიურად მიგვანიშნებს „ხილულ საგანთა შექმნის დასაბამს“ (ეფრემ ასური), ესე იგი, ყოველივე იმისას, რისი ფორმირების ისტორიაც უშუალოდ შემდეგაა გადმოცემული. ხოლო მეორეთა ალეგორიული ინტერპრეტაციის თანახმად (თეოფ. ანტიოქიელი, ორიგენე, ამბროსი, ავგუსტინე და სხვ.), სიტყვას „დასაბამად“ აქ ინდივიდუალური აზრი აქვს, რომელიც შეიცავს ფარულ მინიშნებას მამის მიერ წმიდა სამების მეორე ჰიპოსტასის - ღმერთის ძის ზედროული დაბადების შესახებ, ღმერთის ძისა, რომელშიაც და რომლის მეშვეობითაც აღსრულდა მთელი შესაქმე (იოანე I, 3; კოლ. I,16). ამის შესატყვისი ბიბლიური პარალელები უფლებას გვაძლევენ გავაერთიანოთ ორივე ეს განმარტება, ესე იგი, აქ დავინახოთ მინიშნება როგორც მამის თანამარადისი ძის დაბადებასა და მასში სამყაროს იდეალურ შექმნაზე (იოანე I, 1-3; 10; VII, 25; ფსალმ. 83, 3; I პეტრე I, 20; კოლ I, 16; გამოცხ. III, 14), ისე კიდევ უფრო მეტი უფლებამოსილებით - პირდაპირი მითითებაც ღვთაებრივი სამყაროს შექმნის ზედროული გეგმის ხორცშესხმაზე დროის დასაბამს, ან, უფრო ზუსტად, თვით ამ დროსთან ერთად (ფსალმ. 101, 26; ებრ. I, 10; ფსალმ. 83, 12-13; 135, 5-6; 145, 6; იგავნი, VIII, 22-23; ესაია LXIV, 4; XLI, 4; სიბრძნე ზირაქ. XVIII, 1 და სხვ.)“. - Толковая Библия; или комментарии на все книги Св. Писания Ветхого и Нового Завета, изд. преемников А.П. Лопухина. П., 1904-1907; I, срт.3.

XXIX

40. ხოლო ის, ვისაც „თავდაპირველად შეჰქმნა“ პირველქმნადობის მნიშვნელობით ესმის, ვერასდიდებით ვერ შესძლებს სწორად გაიგოს, რა არის „ცა და მიწა“, თუკი ამ სიტყვებში არ იგულისხმებს ცისა და მიწის, ანუ მთელი გონივრული და სხეულებრივი ბუნების მასალას თუ მატერიას. მაგრამ თუ ამ სიტყვებით ის აღნიშნავს იმ სამყაროს, რომელსაც უკვე მიუღია სახე, მაშინ მართებული იქნებოდა ასეთი კითხვა დაგვესვა მისთვის: „თუკი ღმერთმა ეს შეჰქმნა პირველად, შემდეგ რაღას იქმოდა იგი?“ მაგრამ რაკი სამყარო უკვე შექმნილია, ვერაფერს მოგვიგებს ჩვენს შეკითხვაზე და იძულებული იქნება კიდევ ერთი უსიამოვნო კითხვა მოისმინოს: „მაშ, რაღას ნიშნავს „პირველად“, თუკი ამას არაფერი არ მოსდევს „შემდეგ“?

თუ გვიპასუხებს, რომ პირველად შეიქმნა უსახო მატერია, რომელმაც შემდეგ მიიღო სახე, მისი პასუხი უაზრო როდი იქნება, თუკი იმის უნარი შესწევს, რომ გაარჩიოს, მაინც რას ეკუთვნის პირველობა მარადისობის, დროის, ღირებულებისა თუ წარმომავლობის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, მარადისობის თვალსაზრისით, ღმერთია ყველაფერზე უწინარესი; დროის თვალსაზრისით, ნაყოფი ყვავილზე უმჯობესია, წარმომავლობის მხრივ კი ბგერა უადრესია სიმღერაზე.

ჩემს მიერ დასახელებული პირველობის ოთხი სახიდან ძალიან ძნელი გასაგებია პირველი და უკანასკნელი, დანარჩენი ორი კი პირიქით, - ძალიან ადვილი. იშვიათად და ძალზე ძნელად თუ შესძლებს ვინმე, უფალო, შენი მარადისობის უშუალო განცდას და ხილვას, მარადისობისა, რომელიც თავისი უცვლელობით ქმნის ცვალებადს და ამიტომაცაა უპირველესი. ვისა აქვს ისე გამჭრიახი გონება, რომ დიდი გაჭირვების გარეშე მიხვდეს რანაირადაა ბგერა სიმღერაზე უწინარესი? სიმღერა ხომ ფორმირებული ბგერაა; ფორმისა თუ სახის გარეშე დიახაც შეიძლება არსებობდეს რამე, მაგრამ რანაირად მიიღებს ფორმას ის, რაც საერთოდ არ არის? მატერია პირველადია მხოლოდ იმასთან მიმართებით, რაც მისგან წარმოიქმნება; ის იმიტომ როდია პირველადი, რომ „ქმნის“, რადგანაც თვითონვეა „შექმნილი“, და არც დროის მიხედვითაა პირველი: ჩვენ ხომ იმით არ ვიწყებთ, რომ არაფორმირებულ ბგერებს წარმოვთქვამთ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გვევლინებიან სიმღერად, და მხოლოდ შემდეგ ვუსადაგებთ მათ სიმღერას, ანდა ისე ვამუშავებთ, როგორც ხეს - სკივრის, ან კიდევ ვერცხლს - ჭურჭლის დასამზადებლად. ამნაირი მასალა დროის მიხედვითაც წინ უსწრებს მისგან დამზადებულ საგნებს. მაგრამ იგივე როდი ითქმის სიმღერაზედაც. სიმღერისას ჩვენ გვესმის ბგერა, მაგრამ ის ჯერაც უფორმო როდია, რათა სიმღერის დროს შეიძინოს ფორმა. არანაირადაც უნდა გაიხმიანოს, ბგერა მაინც გაქრება, და ჩვენ ვეღარას ვპოვებთ ისეთს, რომ მისი დაბრუნება შევძლოთ, რათა ხმაშეწყობილ სიმღერად გარდავქმნათ იგი. სიმღერა მთლიანად ბგერებისაგან ითხზვის: ბგერები მისი მასალაა,

რომელსაც ფორმას ანიჭებენ, რათა ის სიმღერად იქცეს. ამიტომ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბგერა, ანუ მატერია, პირველადია სიმღერის, ესე იგი, ფორმირებული ბგერის მიმართ, მაგრამ ეს პირველადობა „ქმნის“ უნარით როდია განსაზღვრული. ბგერა კი არ ქმნის სიმღერას, არამედ, ხორციელი ორგანოს მიერ გამოცემული, მომღერლის სულს ემორჩილება, რათა სიმღერად იქცეს. ბგერა არც დროის მიხედვითაა პირველადი, რადგანაც ის და სიმღერა ერთდროულნი არიან. ივივე ითქმის ღირებულების მიმართაც: ბგერა სიმღერაზე უკეთესი როდია, რადგანაც სიმღერა არა მარტო ბგერაა, არამედ მშვენიერი ბგერაც. ასე რომ, ბგერა მხოლოდ წარმომავლობითაა პირველადი, რადგანაც სიმღერა კი არ იძენს ფორმას, რომ ბგერად გარდაიქმნას, პირიქით, ბგერა იძენს ფორმას, რომ სიმღერად იქცეს.

დაე, ამ მაგალითით გაიგოს ყველამ, ვისაც ამის უნარი შესწევს, რომ „თავდაპირველად“ შეიქმნა გრძნობად საგანთა მატერია, რომელსაც „ცა და მიწა“ ეწოდა, რადგანაც სწორედ მისგან წარმოიქმნა ცა და მიწა. მაგრამ მას დროის მიხედვით როდი ეთქმის „თავდაპირველად“ შექმნილი, რადგანაც დრო მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა უკვე ყველაფერი სახეს თუ ფორმას იღებს, ეს პირველქმნილი მატერია კი უსახო იყო და მხოლოდ დროში და დროსთან ერთად იჩინა თავი. მასზე სხვას ვერაფერს იტყვი, გარდა იმისა, რომ თავისებურად პირველადია დროსთან მიმართებით, თუმცაღა უფრო დაბალ საფეხურზე დგას, რადგანაც ყველაფერი, რასაც სახე აქვს, უსახოზე უკეთესია. მას წინ უსწრებს მარადიულობა შემოქმედისა, რომელმაც „არარაისაგან“ შექმნა ის, რათა მისგან შექმნილიყო რაიმე.

XXX

41. მართებულ აზრთა ამნაირ მრავალფეროვნებაში, დაე, თვით ჭეშმარიტებამ დაამყაროს თანხმობა და ერთსულოვნება; დაე, შეგვიწყალოს უფალმა ჩვენმა, რათა „სჯულიერად მოვიხმაროთ სჯული“[117] მისი საბოლოო მიზნის - წმინდა სიყვარულისთვის.

ამიტომ, თუ ვინმე მკითხავს, რას ფიქრობდა აქ მოსე, შენი დიდი მსახურიო, ჩემს აღსარებას აღსარება აღარ ეთქმოდა, თუ შენს წინაშე არ ვაღიარებდი, არ ვიცი-მეთქი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მისი აზრები სარწმუნოა და ჭეშმარიტი, გარდა იმ აზრებისა, ხორცს რომ ეხება, და მე უკვე ვთქვი, თუ რას ვფიქრობდი მასზე. ხოლო ყრმებს, კეთილი იმედით ფრთაშესხმულნი რომ მიიწევენ წინ რწმენის გზაზე, ვერ შეაცბუნებს შენი საღმრთო წერილის სიტყვები, ესოდენ ამაღლებულნი თავიანთი სიმდაბლით და ესოდენ მდიდარნი თავიანთი სიმწირით.

მაშ, შევიყვაროთ ერთმანეთი ყველამ, ვისთვისაც ჭეშმარიტნი არიან ეს სიტყვები, და ვინც აღიარებს ამას. ასევე გვიყვარდეს ჩვენი ღმერთი[118], ჭეშმარიტების უშრეტი წყარო, თუკი თვით

[117] I ტიმ. I, 8; 5.
[118] შდრ. მათე XXII, 37; 39.

ჭეშმარიტებას მიველტვით და არა ამაოებას. პატივი მივაგოთ შენს მსახურს, ვინც დაწერა ეს წიგნები, შენივე სულით შთაგონებულმა, პატივი მივაგოთ და გვწამდეს, რომ მათი წერისას, შენი გამოცხადების წყალობით, საგანგებო ყურადღებას აქცევდა იმას, რაც სავსებით ჭეშმარიტია და დიდად სასარგებლო ჩვენთვის.

XXXI

42. ამიტომ, როცა ერთი იტყვის - მოსე ჩემსავით ფიქრობდაო, ხოლო მეორე - არა, შენსავით კი არა, ჩემსავითო, მე მგონია, მათზე უფრო ღვთისმოსავი ვიქნებოდი, თუკი ვიტყოდი: კი მაგრამ, იქნებ ორივესავით ფიქრობდა, რაკიღა ორივენი მართალს ამბობთ-მეთქი. ხოლო თუ ამ სიტყვებში მესამენაირი, მეოთხენაირი და ა.შ. აზრიც შეიძლება აღმოვაჩინოთ, რატომ არ უნდა გვწამდეს, რომ ყველას ერთად გულისხმობდა მოსე, ვისაც ღმერთმა მიანდო ისე შეედგინა ეს წმიდა წიგნები, რომ ურიცხვ მკითხველს სხვადასხვა სახით დაენახა მათში გადმოცემული ჭეშმარიტება?

პირადად მე თამამად შემიძლია განვაცხადო გულის სიღრმიდან: თვითონვე რომ ვწერდე უზენაესი ავტორიტეტის მქონე წიგნს, ვერჩევდი ისე დამეწერა, რომ ყველას ეპოვა შიგ იმ ჭეშმარიტების გამოძახილი, რომელიც მისაწვდომია მისთვის, და საერთოდ არ ჩამოედი მასში ერთიანი და მკაფიოდ გამოკვეთილი აზრი, მთლიანად რომ გამორიცხავდა ყველა სხვა აზრს, რომელთა მცდარობაც ვერ შემაკრთობდა და შემაცბუნებდა. არ მინდა იმდენად უგუნური ვიყო, რომ არა მწამდეს, თითქოს მოსეს, ამ დიდ კაცს, შენგან არ მიეღოს ეს მადლი. ამ სიტყვების წერისას მარტო იმაზე კი არ ფიქრობდა, თუ რანაირი ჭეშმარიტებისათვის შეგვეძლო მიგვეკვლია მათში, არამედ იმაზეც, თუ რა არ შეგვეძლო, ან ჯერ კიდევ არ შეგვეძლო და რისი პოვნაც, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლებოდა მის წიგნებში.

XXXII

43. და ბოლოს, უფალო, სისხლი და ხორცი კი არა ხარ, არამედ ღმერთი, და თუ ადამიანი ვერ ხედავს ყველაფერს, ნუთუ შენს კეთილ სულს, რომელიც „მიმიყვანს სიმართლის მხარეში“[119], შეიძლებოდა გამოჰპარვოდა ის, რასაც მომავალ მკითხველებს თვითონვე უმჟღავნებ შენი სიტყვებით, თუნდაც იმას, ვის მიერაც ითქვა ისინი, მრავალ სარწმუნო აზრთაგან მხოლოდ ერთი ჰქონოდა ნაგულისხმევი? და თუ ასეა, სწორედ ეს აზრი იქნებოდა ყველაზე უფრო მაღალი. შენ კი, უფალო, ინებებ თუ არა გაგვიმჟღავნო ივი, ან რომელიმე სხვა ჭეშმარიტება; გაგვანდობ იმასვე, რაც გაანდე შენს მსახურს, თუ სხვა აზრს გაგვიმხელ,

[119] ფსალმ. 142, 10.

იმავე სიტყვებში ჩადებულს, - სულერთია, თვითონვე გვიბოძე და გვიწყალობე სულიერი საზრდო, რათა ცთომილების სათამაშონი არ გავხდეთ.

აჰა, უფალო ღმერთო ჩემო, რამდენი რამ ვთქვით ამ ორიოდე სიტყვაზე, რამდენი რამ! მაშ, რამდენი დრო დაგვეხარჯებოდა და რამდენი ოფლის ღვრა მოგვიწევდა, ასევე რომ განგვეხილა ყველა შენი წიგნი.

ნება მიბოძე მოკლედ გითხრა აღსარება მათ თაობაზე და ერთი მართებული განმარტება ამოვირჩიო, ყველაზე სანდო და სარწმუნო, რასაც კი შთამაგონებ, თუმცაღა, ვინ მოსთვლის, რამდენი აზრი შეიძლებოდა მომსვლოდა თავში, სადაც საერთოდ იბადებიან აზრები. მწამს და ვაღიარებ, რომ თუ შენი მსახურის აზრებს გადმოვცემ, ეს უფრო სწორიც იქნება და მართებულიც. ამიტომაც უნდა ვეცადო, რომ სწორედ ასე მოვიქცე[120]. ხოლო თუ ამას ვერ შევძლებ, მაშინ ის მაინც ვთქვა, რისი თქმაც სურდა ჩემთვის შენს ჭეშმარიტებას, უფალო, მესეს სიტყვებით, რომლებითაც მასაც ის უთხრა, რაც თვითონ სურდა.

[120] იხ. აქვე, შენ. 93.

წიგნი მეცამეტე

I

1. შენ გიხმობ, „ღმერთო ჩემო, წყალობაო ჩემო“[1], რომელმაც შემქმენი და არ დაგვიწყნივარ შენი დამვიწყებელი. შენ გიხმობ ჩემს სულში, რომელსაც ამზადებ შენს მისარქმელად. სწორედ შენ ჩაუნერე ამის სურვილი. მაშ, ნუ მიმატოვებ ახლა შენს მხმობელს. აკი თვითონვე დაასწარ ჩემს ხმობას[2], როცა დაჟინებით, ხშირ-ხშირად და სხვადასხვანაირად მესიტყვებოდი, რათა შენსკენ მოქცეულს შორითვე მესმინა შენი ხმა, ჩემი მხმობელი.

შენ წარხოცე, უფალო, ყველა ჩემი ბოროტი საქმე, რათა საქმისამებრ არ მოგეზღა ჩემთვის, საქმისამებრ, დაცემისკენ რომ მიმაქანებდა, და შენვე წინასწარ განსაზღვრე ყველა ჩემი კეთილი საქმე, რათა საქმისამებრ მიგეზღა შენთვის[3], - შენთვის, რომელმაც შემქმენი. შენ ხომ მაშინავ იყავი, როცა მე არ ვარსებობდი, და არც ვიყავი ღირსი იმისა, რომ სიცოცხლე მოგენიჭებინა ჩემთვის. მაგრამ, აი, მე ვარსებობ შენი წყალობით, რომელიც მანამდეც არსებობდი, ვიდრე შემქმნიდი და შეჰქმნიდი იმასაც, რისგანაც შემქმენი. არადა, რაში გჭირდებოდი? მე არა ვარ ის ძალა, უფალო ღმერთო ცემო, რომ რამეში გამოგდგომოდი. ჩემი სამსახური ვერ დაგიხსნის დაღლილობისაგან, რადგანაც არასოდეს იღლები შენი ქმედითობით; ვერც ჩემი მსახურება გაზრდის შენს ძალმოსილებას, ყოვლის მძლეო; ვერც ჩემი თაყვანისცემა შეგმატებს პატივსა და ღირსებას. არა, მე უნდა გმსახურებდე და თაყვანს გცემდე[4], რათა ბედნიერი ვიყო შენში, რადგანაც შენ მიბოძე სიცოცხლეც და იმის უნარიც, რომ ბედნიერად ვიგრძნო თავი.

II

2. შენი სიკეთის საკვებისგან წარმოიშვა ყველა ქმნილება, რომელიც ასევე სიკეთეა, თუმცაღა არას გარგია; შენგან წარმოქმნილი, რა თქმა უნდა, ვერ გიტოლდება, და მაინც, მასაც აქვს არსებობის უფლება, რადგან მისი არსებობა შენმიერია.

რა დამსახურება მიუძღვით შენს წინაშე შენსავე მიერ „თავდაპირველად“ შექმნილ „ცასა და მიწას?“[5] რა დამსახურება მიუძღვით სულიერსა თუ სხეულებრივ არსებებს, რომლებიც „შენი სიბრძნით შეჰქმენი?“[6] განა ისინი სწორედ შენს სიბრძნეზე არ იყვნენ დამოკიდებულნი,

[1] ფსალმ. 58, 18.
[2] შდრ. ფსალმ. 58, 11.
[3] „როცა უფალი აგვირგვინებს ჩვენს საქმეებს, ის აგვირგვინებს თავისსავე საბოძვარს“ („წერილები“, 194, 19). შდრ. ფსალმ. 17,21.
[4] „მას როდი სჭირდება ჩვენი მსახურება, ჩვენ გვჭირდება მისი მეუფება, მისი ქმედება და მფარველობა; ისაა ერთი ღმერთი, ჭეშმარიტი უფალი ჩვენი, რომელსაც ვემსახურებით არა მისი, არამედ ჩვენი ხსნისა და გადარჩენისათვის“ (De Gen. ad litt. 8,11,24).
[5] დაბად. I,1.
[6] ფსალმ. 103, 24.

თვით მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ დაუსრულებელნი და უსახონი უწესრიგობას მიელ-ტვოდნენ, რათა სრულიად განძარცულიყვნენ შენ მსგავსებისაგან? სულიერი ბუნება, თუნდაც უსახო, უფრო მაღლა დგას, ვიდრე სახის მქონე სხეული; ხოლო სხეულებრივი ბუნება, რომელსაც სახე არ გააჩნია, უფრო მაღლა დგას, ვიდრე სრული „არარა“. ყოველივე უსახო უსახოდვე დარჩებოდა შენი სიტყვისამებრ, იმავე სიტყვას რომ არ გამოეხმო, რათა შენს ერთობას შერწყნოდა, და სახე არ მიეცა მისთვის; ასე რომ, რაკიღა შენგან გამოვა, ყველაფერი ყოფილიყო „ძალიან კარგი“[7]. ან თვით უსახოებაც რა დამსახურების გამო მიემადლა ქმნილებას? უშენოდ ესეც არ იქნებოდა.

3. ან რა ისეთი დამსახურება მიუძღვის შენს წინაშე სხეულებრივ მატერიას, რომ თუნდაც „უხილავი და ისახო“ ყოფილიყო? არა, ასეთიც არ იქნებოდა, შენ რომ შე შეგექმნა იგი. და რაკი საერთოდ არ იყო, რითიღა შეეძლო დაემსახურებინა ის, რომ არსებობას ზიარებოდა?

რა დამსახურება მიუძღოდათ შენს წინაშე სულიერ არსებებს, ჯერ მხოლოდ მკრთალად მოხაზულ-მონიშნულნი რომ იყვნენ, ბუნდოვანნი, არამყარნი, პირქუში უფსკრულის მსგავსნი და შენგან განსხვავებულნი? მხოლოდ შენმა სიტყვამ მიაქცია ისინი მათი შემოქმედისკენ, და მის მიერ ნათელფენილნი თვითონაც ნათელნი გახდნენ, მართალია, არა შენებრ ნათელნი, უფალო ჩემო, მაგრამ მაინც შენი ხატების თანამსგავსნი[8].

როგორც სხეულისათვის „იყოს“ იმასვე როდი ნიშნავს, რომ„ მშვენიერი იყოს“, - თორემ მაშინ სიმახინჯე საერთოდ აღარ იარსებებდა, - ასევე შექმნილი სულისთვისაც „სიცოცხლე“ იგივე როდია, რაც „ბრძნული სიცოცხლე“, - ასე რომ არა, ყოველი სული უცვლელად ბრძენი იქნებოდა. „მისი სიკეთეა შენთან სიახლოვე“[9], რათა შენგან განშორებულმა არ დაჰკარგოს ნათელი, შენთან მოახლოებულს რომ მიუღია, და ამრიგად, არ დაინთქას ცხოვრების მწვირეში, რომელიც მსგავსია პირქუში უფსკრულისა.

და ჩვენც, სულდგმულნი, სულიერი არსებები ვართ. შენგან - ჩვენი ნათლისაგან - გარემოქცეულნი ამ ცხოვრებაში „ოდესღაც ბნელნი ვიყავით“[10], და ამჟამადაც ვევნებით ჩვენში ჩარჩენილი ბნელისაგან, ვიდრე „სამართლიანნი არ გავხდებით“ შენს მხოლოდშობილ ძეში[11], როგორც „მთანი უფლისა“[12]; რადგანაც შენი განკითხვით ვიყავით როგორც „საზარელი უფსკრული“[13].

[7] დაბად. I,31.
[8] შდრ. რომ. III, 29.
[9] ფსალმ. 72, 28.
[10] ეფეს. V, 8.
[11] II კორ. 6, 21.
[12] ფსალმ. 35, 7.
[13] „ქრისტეს ეკლესიაში შენ ჰპოვებ უფსკრულს და ჰპოვებ მთებსაც: ნახავ მასში მცირერიცხოვან კეთილთ - მთებიც ხომ ცოტაა, - უფსკრული კი ფართოა: ეს ნიშნავს უკეთურთა სიმრავლეს“ („ფსალმუნებისათვის“, 35, 10).

III

4. სამყაროს შექმნის დასაწყისში შენს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს - „იყოს ნათელი, და იქმნა ნათელი“[14], - მე არცთუ უსაფუძვლოდ მივაკუთვნებ სულიერ არსებებს, რომლებსაც, ასე თუ ისე, უკვე ცოცხალნი ეთქმოდათ, რაკირა შენგან იღებდნენ ნათელს. თუმცა როგორც ამ ჩანასახოვან სიცოცხლეს არ დაუმსახურებია ის, რომ შენს მიერ ნათელფენილი ყოფილიყო, ასევე არ დაუმსახურებია, უკვე ნამდვილ სიცოცხლედ ქცეულს, შენგან მოჰფენოდა ნათელი. მაგრამ შენ არ ინებე, რომ უსახოდ დარჩენილიყო და ამიტომაც უნდა ქცეულიყო ნათლად, თუმცა არა ბუნებით, რამედ მანათობელი ნათლის ჭვრეტითა და მასთან შერწყმის წყალობით. მხოლოდ შენმა მადლმა მისცა საშუალება, სიცოცხლედ და, თანაც, ბედნიერ სიცოცხლედ ქცეულიყო, რაკიღა მიიქცა იმის მიმართ, რაც შეუძლებელია უკეთესი ან უარესი გხდეს, ესე იგი, შენსკენ მოიქცა, ერთო ღმერთო, რომელიც მხოლოდ „ხარ“, და რომლისთვისაც სიცოცხლე იგივეა, რაც ბედნიერი სიცოცხლე, რადგანაც შენი ბედნიერება თვითონ შენა ხარ.

IV

5. რა უნდა გკლებოდა ბედნიერებისათვის, - აკი თვითონვე ხარ შენი ბედნიერება, - საერთოდ რომ არაფერი ყოფილიყო და ყველაფერი უსახოდ დარჩენილიყო? განა იმიტომ შეჰქმენი სამყარო, რომ გჭირდებოდა, არამედ შენი სიკეთის საკვებით[15]. არც შენი ქმნილებებისათვის მიგინიჭებია სახე იმიტომ, რომ უფრო სრული ყოფილყო შენი სიხარული. თავად სრულქმნილს არ გსიამოვნებდა მათი არასრულქმნილება. იმ მიზნით როდი სრულყავი ისინი და სასიამოვნოდ აქციე შენთვის, რომ არასრულქმნილი, მათი სრულყოფის წყალობით, უფრო სრულქმნილი გამხდარიყავი. შენი კეთილი „სული იძვროდ წყალთა ზემოთ“[16]; წყალნი როდი მიაქანებდნენ მას, თითქოს მათზე ყოფილიყოს დავანებული. როცა ამბობენ, რომ შენმა სულმა დაივანა ვინმეზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მან თავის თავში მიანიჭა მას სიმშვიდე. არა, შენი უხრწნელი, უცვლელი და თავიმკმარი ნება იძვროდა შენს მიერვე შექმნილი სიცოცხლის ზემოთ, მაგრამ ცოცხალთათვის სიცოცხლე იგივე როდია, რაც ბედნიერი სიცოცხლე, რადგანაც თავიანთ სიბნელეში დაბორიალობენ. ამიტომ ისღა დარჩენიათ, რომ შენსკენ, ანუ მათი შემოქმედისაკენ მოიქცნენ, რათა სულ უფრო და უფრო

[14] დაბად. I, 3.

[15] შდრ. პლატონი, „ტიმეოსი“, 29e: „მაშინ ვთქვათ, რა მიზეზით გამოიწვია ქმნადობაცა და სამყაროს არსებობაც იმან, ვინც ისინი გამოიწვია. ის კეთილი იყო, ხოლო კეთილმა არასდროს, არცერთ საქმეში არ იცის, რა არის შური. შურისაგან თავისუფალმა მოისურვა, რომ ყველაფერი რაც შეიძლება უფრო მეტად დამსგავსებოდა მას. ყველაზე უფრო მართებული იქნება, თუ ბრძენკაცთა კვალდაკვალ ვაღიარებთ, რომ სწორედ ეს იყო ქმნადობისა და სამყაროს უმთავრესი მიზეზი“. შდრ. აგრეთვე პლოტინი, „ენნ.“ V,4,1.

[16] დაბად. I, 2.

მიუახლოვდნენ სიცოცხლის წყაროს, მის ნათელში ხედავდნენ ნათელს[17] და, ამრიგად, ეზიარებოდნენ სრულყოფილებას, სინათლეს და ბედნიერებას[18].

V

6. და, აი, ანიგმად წარმომიდგება სამება, ესე იგი, შენ, ღმერთო ჩემო, რადგანაც შენა ხარ, მამაო, დასაბამი ჩვენი სიბრძნისა; ესაა შენი სიბრძნე, შენგან შობილი, შენივე სწორი და თანამარადისი, - ესაა შენი ძე, ვისი მეშვეობითაც შეჰქმენი ცა და მიწა. მე უკვე ბევრი რამ ვთქვი ამ „ცათა ცის“, უსახო და უბედური მიწისა თუ ბნელი უფსკრულის, სულიერი უსახოების ამ თავქვე დაქანებული და შმაგად მედინი ნაკადის შესახებ; მაგრამ როგორც კი მიიქცა ყოველგვარი სიცოცხლის შემოქმედისკენ, ნათელფენილი მშვენიერ სიცოცხლედ იქცა და შეიქმნა ცა იმ ზეცისა, რომელიც შემდეგ წყალთა გამყოფად მოგვევლინა.

უკვე ღმერთის სახელში მე შევიცანი მამა, ყოველივე ამის შემოქმედი; დასაბამად კი ძე იწოდა[19], ვისი მეშვეობითაც შეიქმნა ყოველივე ეს. მაგრამ რაკი ჩემი ღმერთის სამპიროვნება მწამდა, ჩემივე რწმენით მის წმიდა წერილში ვეძებდი ამ სამპიროვნებას. და, აი, შენი „სული იძვროდა წყალთა ზემოთ“[20]; აი, წმიდა სამებაც, ღმერთო ჩემო: მამა, ძე და სული წმიდა, შემოქმედი ყოველი ქმნილებისა[21].

VI

7. კი მაგრამ, რა იყო იმის მიზეზი, ო, ნათელო ჭეშმარიტო, - შენ გიახლოვებ ჩემს გულს, რათა ფუჭად არ ჩამიაროს მისმა სწავლამ: გაფანტე მისი წყვდიადი, - დიახ, რა იყო იმის მიზეზი, რომ შენმა საღმრთო წერილმა მხოლოდ მას შემდეგ დაასახელა შენი სული, რაც უკვე მოიხსენია ცა, უსახო და უდაბური მიწა და უფსკრულის თავზე მდებარე ბნელი? იქნებ ის, რომ თავდაპირველად ჩვენთვის უნდა გაეცნო იგი, როგორც „ზემოთ მძვრელი“, რაც

[17] ფსალმ. 35, 10.

[18] იხ. მეშვიდე წიგნის შენ. 86.

[19] იხ. მეთორმეტე წიგნის შენ. 115, 116.

[20] დაბად. I, 2. „ამ სიტყვების განმარტებისას ინტერპრეტატორნი საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ზოგის აზრით, ეს ნიშნავს ჩვეულებრივ ქარს, ღმერთის მიერ წარმოგზავნილს მიწის გასაშრობად (ტერტულიანე, ეფრემ ასური, თეოდორიტე, იბნ-ეზრა, როზენმიულერი); ზოგის მიხედვით - ანგელოსს, იმავე მიზნით მოვლენილს (იოანე ოქროპირი, კაიეტანი და სხვ.); და ბოლოს, მესამენი ფიქრობენ, რომ ესაა ჰიპოსტასური სული ღვთისა (ბასილი დიდი, ათანასე, იერონიმე და დანარჩენ ეგზეგეტთა უმრავლესობა). ეს უკანასკნელი განმარტება სხვებზე სარწმნო და უმჯობესია: ის მიგვანიშნებს, რმო შესაქმეში წმიდა სამების მესამე პირიც - სული ღვთისა მონაწილეობს, ეს ფუძემდებლური-პროვიდენციული ძალა, რომელიც ზოგადბიბლიური აზრის თანახმად, განაპირობებს მთელი სამყაროს (ადამიანის ჩათვლით) წარმოშობას და არსებობას (დაბად. II, 7; ფსალმ. XXXII, 6: იობი XXVII, 3; ესაია XXXIV, 14; საქმ. XVII, 28 და სხვ.). სული წმიდის ზემოქმედება ქაოსზე აქ შედარებულია ბუდეში კვერცხებზე მჯდომი ფრინველის მოქმედებასთან, თავისი სხეულით რომ ათბობს და სიცოცხლეს აღვიძებს ბუნებრივ ძალთა ერთგვარი მოქმედებაც, კვერცხში ჩანასახის თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესს რომ მოგვაგონებს, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც თვით ეს ძალები, ისე მათი ქმედითობის ყველა შედეგიც უშუალოდ ღმერთზე დამოკიდებული ხდება“. – Толковая Библия, დასახ. გამოც. გვ.4.

[21] როგორც ვხედავთ, ნეტარი ავგუსტინე იმ ეგზეგეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც „სულს ღვთისას“ წმიდა სამების დანარჩენ ორ ჰიპოსტასურ პირთან ერთად შესაქმის უშუალო თანამონაწილედ მიიჩნევენ.

მხოლოდ მას შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, როცა იტყოდა, თუ რის ზემოთ იძვროდა შენი სული? ის ხომ არც მამის ზემოთ იძვროდა და არც ძის ქვემოთ, ასე რომ, გამოთმა არაზუსტი იქნებოდა, თუკი თავდაპირველად არ გვეცოდინებოდა, მაინც რის ზემოთ იძვროდა იგი. ამიტომ ჯერ უნდა თქმულიყო, თუ რის ზემოთ იძვროდა, და მხოლოდ შემდეგ გაგვეგო მისი სახელი, რისი მოხსენიებაც მარტოოდენ ამ სიტყვებით თუ შეიძლებოდა: „ზემოთ იძვროდაო“. მაგრამ რატომ არ შეიძლებოდა სხვანაირად გაგვეცნო იგი, და არა როგორც „ზემოთ მძვრელი?“

VII

8. ახლა კი, ვისაც შეუძლია, გონების თვალი მიადევნოს შენს მოციქულს, რომელიც ამბობს: „ღვთის სიყვარული ჩაიღვარა ჩვენს გულებში სული წმიდის მიერ, რომელიც მოგვეცა ჩვენ“[22]; ის გვასწავლის „სულიერ მადლს“[23] და გვიჩვენებს „უზენაეს გზას სიყვარულისას“[24]; მუხლს იდრეკს ჩვენთვის შენს წინაშე[25], რათა შევიცნოთ ის, რაც „ყოველგვარ შემეცნებას აღემატება“[26] - უზენაესი სიყვარული ქრისტესი. ამიტომაც იყო, რომ დასაბამითვე უზენაესი „იძვროდა წყალთა ზემოთ“.

ვის ვუთხრა, ან რა სიტყვებით ვუთხრა, რაოდენ მძიმეა ვნებათა ტვირთი, საზარელ უფსკრულში რომ გვიპირებს დანთქმას? ვის ვუთხრა, რა ტკბილია სიყვარული, რომელიც, პირიქით, გვამაღლებს შენი სულის წყალობით, დასაბამითვე რომ „იძვროდა წყალთა ზემოთ?“ ვის ვუთხრა, ან როგორ ვუთხრა? ვიძირებით და ამოვყვინთავთ? მაგრამ აქ ლაპარაკიც კი ზემდეტია სივრცეზე, სადაც შეიძლება ჩაძირვაც და ამოყვინთვაც. რა ზუსტია ეს შედარება. და, იმავდროულად, რა არა-ზუსტიც! ჩვენი განწყობილება, ჩვენი ვნებები, ჩვენი სულის უწმინდურება დაბლა გვეზიდებიან და დაცემის ზით მიგვაქანებენ; აკი მარტოოდენ უზრუნველობა გვიყვარს. და მხოლოდ შენი სულის სიწმინდე თუ აგვამაღლებს, რათა გულით მივეახლოთ შენს უზენაეს სავანეს, სადაც შენი „სული იძვროდა წყალთა ზემოთ“, - და, ამრიგად, ვეზიაროთ სრულ სიმშვიდეს და აუმღვრევლობას, როცა ჩვენი სული გადალახავს „წინააღუდგომელი წყლის ტალღებს“[27].

[22] რომ. V, 5.
[23] I კორ. XII, 1.
[24] I კორ. XII, 31.
[25] ეფეს. III, 14.
[26] ეფეს. III, 19.
[27] ფსალმ. 123, 5.

VIII

9. დაეცა ანგელოზი, დაეცა სულიც კაცისა, მათი დაცემა გვიჩვენებს, რაოდენ ბნელსა და პირქუშ უფსკრულში იქნებოდა დანთქმული ყველა სულიერი ქმნილება, შენ რომ არ გეთქვა თავდაპირველად: „იყოს ნათელი“ და იქმნა ნათელი“[28], და მორჩილად არ შემოგვრდომოდა ყოველი უმანკო სული - შენი ზეციური ქალაქის მკვიდრი, რათა სიმშვიდე ეპოვა შენს სულში, თავად უცვლელი თავს რომ დასტრიალებს ყოველივე ცვალებადს. ასე რომ არა, ბნელ უფსკრულად იქცეოდა თვით „ცაც ზეცისა“, ახლა კი „ნათელია უფლის მიერ“[29]. დაცემულ ქმნილებათა ამ უბადრუკი შფოთით გვიჩვენებ (შენი ნათლის სამოსი რომ არ მოსავთ და ამიტომაც გვივლენენ თავიანთ სიბნელეს), რარიგ დიადნი არიან შენი გონიერი ქმნილებანი, რომელთაც მხოლოდ შენ შეგიძლია მიანიჭო სიმშვიდე და ბედნიერება[30], და არა სხვას, შენზე მცირეს; ასე რომ, თვითონაც არ შესწევთ ამისი ძალი. ხოლო შენ, ღმერთო ჩვენო, ნათელს გვფენ ჩვენ, „და იქცევა სიბნელე ჩვენი, როგორც შუადღე“[31].

მომეცი შენი თავი, ღმერთო ჩემო, დამიბრუნე იგი: მე ხომ მიყვარხარ. თუ ეს ცოტაა, მომეცი ძალა, უფრო მეტად შეგიყვარო. არ შემიძლია გავზომო და ასე გავიგო, რამდენი მაკლია სრულყოფილ სიყვარულამდე, როცა მოგაშურებ და ჩაგეკონები, რათა აღარასოდეს გაგშორდე, ვიდრე მთლიანად არ „დამფარავ შენი სახის საფარველქვეშ“[32]. მხოლოდ ის ვიცი, რომ მიჭირს უშენობა, არა მარტო ჩემს გარეთ, არამედ ჩემშიაც, და სიღატაკეა ჩემთვის ყოველგვარი სიდიდრე, რომელიც არ არის ჩემი ღმერთი.

IX

10. კი მაგრამ, განა მამა და ძე არ იძვროდნენ წყალთა ზემოთ? თუ მათ ისე წარმოვიდგენთ, როგორც სივრცეში მოძრავ სხეულებს, ამასვე ვერ ვიტყვით სულიწმიდაზე. ხოლო თუ ეს სიტყვები წარმოგვიჩენენ მარადჟამ უცვლელ ღვთაებრივ სიდიადეს, ყოველივე ცვალებადზე უზენაესს, მაშინ მამაც, ძეც და სული წმიდაც „იძვროდნენ წყალთა ზემოთ“[33].

სიყვარული აგვიტაცებს ამ სავანემდე და შენი კეთილი სული აგვამაღლებს ჩვენ, მდაბალთ, რათა განვერიდოთ სიკვდილის ბჭეს. ჩვენი სიმშვიდეა კეთილი ნება[34]. ყოველი

---

[28] დაბად. I, 3.

[29] ეფეს. V, 8.

[30] „როგორც სიბრმავე არის მანკი, რომელიც მოწმობს, რომ თვალი იმიათვის არის შექმნილი, რათა იხილოს ნათელი... ასევე ბუნების დიდებულ წესრიგსაც მოწმობს მისივე ნაკლი, ბუნებისა, რომელსაც სურს ცოცხლობდეს ღმერთში: ის უბედურია იმიტომ, რომ არ ცოცხლობს ღმერთში“ („ღვთის ქალაქისათვის“, 22,1).

[31] ფსალმ. 17, 29.

[32] ფსალმ. 30, 21.

[33] იხ. აქვე, შენ. 21.

[34] „თუ ჩვენ ყველაზე მაღლა ვაყენებთ კეთილ ნებას, მაშინ ღვთის ნება სრულდება ჩვენში... და ვერავითარი განსაცდელი ვერ შემუსრავს ჩვენს ბედნიერებას, ეს კი სიმშვიდეა“ („საკვირაო ქადაგებანი“, 2,6,11).

სხეული საკუთარი სიმძიმის გამო თავისი ადგილისკენ ისწრაფვის. მისი წონა მხოლოდ ქვევით როდი ეწევა, არამედ მისი ბუნებრივი ადგილისკენაც. ცეცხლი ზევით მიილტვის, ქვა კი - ქვევით. თავიანთი წონით აღძრულნი საკუთარ ადგილს ეძებენ. წყალში ჩასხმული ზეთი თავზე ექცევა მას, ზეთში ჩასხმული წყალი კი ქვევით მიიწევს: თავიანთი სიმძიმის ზემოქმედებით, ისინი საკუთარ ადგილს ეძებენ[35]. სადაც წესრიგი არ არის, იქ მშფოთვარეობაა. ყველაფერი, რაც წესრიგდება, კიდეც მშვიდდება. ჩემი სიმძიმე ჩემივე სიყვარულია: ის მამოძრავებს ყოველთვის, მიუხედავად იმისა, თუ საით ვისწრაფვი. შენ მოგვმადლე ნიჭი წვისა და ზევით სწრაფვისა: ჩვენც ვიცვით და ზევით ვისწრაფვით ჩვენივე გულის საფეხურებით ვმაღლდებით, აღმა მივიწევთ, და „აღსავლის გალობას“[36] ვგალობთ. შენი ცეცხლით, შენი კეთილი ცეცხლით ვიწვით და ზეციური იერუსალიმის სიმშვიდისაკენ მივილტვით. „გავიხარე, როდესაც მითხრეს, უფლის სახლში შევიდეთო“[37]. იქ დაგვამკვიდრებს კეთილი ნება, და სხვა აღარაფერი გვსურს, გარდა იმისა, რომ იქვე ვიყოთ უკუნისამდე.

X

11. ნეტა იმ არსებებს, რომელთაც არ იციან სხვანაირი მდგომარეობა. ისინი სულ სხვანაირნი იქნებოდნენ, იმავ წამს, როგორც კი შეიქმნენ, შენს მადლს, ყოველივე ცვალებადზე უზენაესს, რომ არ აემაღლებინა შენივე ქმნილებანი ამ მოწოდებით: „იყოს ნათელი, და იქმნა ნათელი“[38]. ჩვენ ერთმანეთისაგან ვასხვავებთ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ბნელი ვიყავით, და იმას, როცა ნათლად ვიქეცით[39]. ზეციურ ქმნილებებზე მხოლოდ ისაა ნათქვამი, თუ რანი იქნებოდნენ ისინი, ნათელი რომ არ ჰფენოდათ; ამ სიტყვებით საღმრთო წერილი თითქოს გვიჩვენებს მათ მერყევსა და ბნელ ბუნებას, რათა უფრო ნათლად აგვიხსნას, რატომ შეიცვალნენ ისინი: უშრეტი ნათლისკენ მიქცეულნი თვითონაც ნათლად იქცნენ[40]. ვისაც შეუძლია, გაიგოს, ან შენ გთხოვოს, რომ გააგებინო. მე კი ნუ შემაწყენენ თავს: განა მე ვარ ის ნათელი, „რომელიც გაანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად?“[41]

[35] როგორც ჩანს, ნეტარი ავგუსტინე აქ იზიარებს არისტოტელეს კონცეფციას ოთხი ძირითადი ფიზიკური ელემენტის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) ე.წ. „ბუნებრივ ადგილთა“ შესახებ. იხ. Видельбанд, История древней философии, С-Пб., 1908, стр.223.

[36] იგულისხმება თხუთმეტი მომცრო ფსალმუნი (119-133), რომელთაც გალობდნენ იერუსალიმს მიმავალი ებრაელი პილიგრიმები.

[37] ფსალმ. 121, 1.

[38] დაბად. I, 3.

[39] იხ. ეფეს. V, 8.

[40] შდრ. მეთორემეტე წიგნის შენ. 57.

[41] იოანე I, 9.

XI

12. ვის შეუძლია ყოვლად ძლიერი სამების წვდომა? არადა, ვინ აღარ ლაპარაკობს მასზე, თუკი მართლა მასზე ლაპარაკობს? იშვიათია სული, რომელმაც იცოდეს, რას ამბობს, როცა სამებაზე მსჯელობს. დაობენ, კამათობენ, იბრძვიან, მაგრამ ვერავინ იხიალვს ამ ხილვას, თუკი სულის სიმშვიდე უცხოა მისთვის.

მე ვისურვებდი, იმ სამ თვისებას დაჰფიქრებოდნენ კაცნი, რომელიც თვით მათშივეა. ეს სამი, რა თქმა უნდა, სამება როდია. მე მხოლოდ იმას მივანიშნებ ადამიანებს, თუ საით წარმართონ თავიანთი აზრის ძალისხმევა და კვლევა-ძიება, რათა დარწმუნდნენ, რაოდენ შორს არიან როგორც ერთის, ისე მეორის გაგებისაგან.

აი, ეს სამი თვისება: ყოფნა, ცოდნა და ნდომა. მე ვარ, მე ვიცი, მე მნებავს[42]. მე ვარ მცოდნე და ნების მქონე; მე ვიცი, რომ ვარ და მნებავს; მე მნებავს, ვიყო და ვიცოდე.

ეს სამი თვისება განუყოფელ ერთიანობად ერწყმის ერთმანეთს, და ეს ერთიანობაა სიცოცხლე: ერთი სიცოცხლე, ერთი გონება და ერთი არსეი. მიუხედავად ანუსამ თვითეული მათგანი რაღაც თავისთავადია და ერთადერთი. სამივე ერთმანეთისაგან განუყოფელია, მაგრამ, იმავდროულად, განსხვავებულიც. ვისაც შეუძლია, გაიგოს თვითეული ჩვენგანი თავისი თავის წინაშე დგას: დაე, ჩაიხედოს საკუთარ სულში, დაინახოს და მითხრას.

მაგრამ აქ რომ კიდევაც აღმოაჩინოს რამე მსგავსება და ამის გამოხატვაც შესძლოს, ნუ ეგონება, თითქოს შეიცნო მარად უცვლელი და ყველაზე უზენაესი არსი: უცვლელია მისი ყოფნა, უცვლელია ცოდნა, უცვლელია ნება[43]. ამ სამი თვისების ერთიანობა განაპირობებს ღმერთი სამპიროვნებას თუ თვითული პირისათვის ნიშნეულია სამივე თვისება, ასე რომ, სამებად ითქმის ყოველი პირი? ან იქნებ ორსავე შემთხვევაში სამება, სასწაულებრივად

[42] ეს ნეტარი ავგუსტინეს მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი მომენტია: თუ ადამიანი მართლაც ღვთის „ხატად და მსგავსადაა“ შექმნილი, მაშინ მთელი მისი არსება, მისი უკვდავი ხული უშუალოდ უნდა მოწმობდეს ამას. „მე ვარ, მე ვიცი, მე მნებავს“ – „ყოფნა, ცოდნა და ნდომა“ - აი, ის სხარტი ფორმულა, რომელიც, ნეტარი ავგუსტინეს აზრით, ადამიანს ერთარსება და სამპიროვანი ღმერთის მიწიერ ხატად წარმოგვიჩენს. „მე ვარ“ შეესაბამება „მამას“ („მე ვარ, რომელიც ვარ“, - „გამოსვლა“, III, 14); „მე ვიცი“, ანუ ცოდნა თუ სიბრძნე - „ძეს“, ხოლო „მე მნებავს“, ანუ სურვილი და სიყვარული - „სული წმიდას“... „არაერთგზის, უწინარეს ყოვლისა კი თავის თხზულებაში „სამებისათვის“ ნეტარი ავგუსტინე ცდილობს აღიქვას ღმერთის ბუნება მისივე საკუთარი ხატების ანალოგიით, ხატებისა, რომელიც შემოქმედმა ჩატოვა თავის ქმნილებაში, უპირატესად კი - ადამიანის სულში“. - ეტიენ ჟილსონი, დასახ. ნაშრ. გვ. 131.

[43] თვითშემეცნებას ნეტარი ავგუსტინე არა მარტო საკუთარი თავის, არამედ გარკვეულწილად, ღვთაების წვდომის გზადაცა სახავს. მაგრამ თვითშემეცნებასა და ღვთისშემეცნებას შორის გადაულახავი უფსკრული ძევს, რაც ადამიანისა და ღმერთის არათანაზომადობითაა განპირობებული. ერთის მხრივ, მუდმივი ცვალებადობა მოკვდავი და წარმავალი არსებისა, ვისთვიასც ყველაფერი ან წარსულშია, ან მომავალში, ხოლო მეორეს მხრივ, ღმერთის მარად უცვლელი და წარუვალი ყოფიერება: „წლები ღმერთისა მისი მარადისობაა, ხოლო მარადისობა თვით ღმერთის სუბსტანციად გვევლინება, ღმერთისა, რომელშიაც არა არის რა ცვალებადი. არ არის მასში არანაირი წარსული, რაც უკვე იყო; არც მომავალი, რაც ჯერ კიდევ არ დამდგარა. არ არის მასში არაფერი, გარდა იმისა, რასაცა ჰქვია „არის“, არ არის მასში „იყო“ და „იქნება“ (როგორც ვიცით, „არის“, „იყო“ და „იქნება“ პლატონისეული ტერმინებია, აწმყოს, წარსულისა და მომავლის აღმნიშვნელი. - ბ.ბ.), რადგანაც რაც იყო, უკვე აღარ არის, ხოლო რაც იქნება, ჯერ კიდევ არ არის; არა, მასში არა არის რა, გარდა იმისა, რაც „არის“ („ფსალმუნებისათვის“, 101, 10). „უზენაეს ყოფიერებად უნდა ვსახავდეთ იმნაირ ყოფიერებას, რაც ყოველთვის ერთნაირად არსებობს, რაც ყოველთვის თვითიგივეობრივია, რაც არასდიდებით არ შეიძლება განიცდიდეს ხრწნადობას თუ ცვალებადობას, რაც არ ექვემდებარება დროს, რაც შეიძლება ამჟამად სხვა იყოს, ვიდრე უწინ, რადგანაც სწორედ ესაა ყოფიერება ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით“ („მანიქეველთა ზნეობისათვის“, 2, 1).

მარტივი და, იმავდროულად, მრავალფეროვანიც, თავის თავში დასრულებული და თავისივე უსასრულო მიზანი, სწორედ ამიტომ არის, ამიტომ იცის და ამიტომაა უცვლელად თვითმკმარი თავისი ერთობის სიუხვით და სიდიადით? ვინ შესძლებს ამის გაგებას გაუჭირვებლად? ვინ მოახერხებს სიტყვით გადმოგვცეს ეს? ვინ გაბედავს, ასე თუ ისე, აგვიხსნას ეს საიდუმლო?[44]

XII

13. მაშ, განაგრძე შენი აღსარება, ჩემო რწმენავ; უფალ ღმერთს შენსას უთხარი: წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო ღმერთო ჩემო![45] შენი სახელით მოვინათლეთ, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, და ჩვენც ნათელს ვცემთ შენი სახელით, მამაო, ძეო და სულო წმიდაო[46]; რადგან ჩვენს შორისაც თავისი ქრისტეს მეშვეობით „შეჰქმნა ღმერთმა ცა და მიწა“, შენი ეკლესიის სულიერი და ხორციელი წევრნი. და ჩვენი მიწაც[47], ვიდრე მოძღვრებით მიიღებდა სახეს, „უსახო იყო და უდაბური“; ჩვენც უმეცრების ბნელი გვფარავდა, რადგანაც „უსამართლობისათვის მხილებით დასაჯე კაცი“[48], და „მსჯავრი შენი როგორც თვალუწვდენი უფსკრული“[49].

მაგრამ შენი „სული იძვროდა წყალთა ზემოთ“[50], და შენმა გულმოწყალებამ არ მიგვატოვა ჩვენ, უბედურნი. და შენ თქვი: „იყოს ნათელი; მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი[51]. მოინანიეთ; იყოს ნათელი“. და რაკი ბორგავდა ჩვენი სული, შენ გაგიხსენეთ, უფალო, „იორდანის პირას“[52], შენსავით მაღალ მთაზე, რომელიც დადაბლდა ჩვენი გულისთვის. შეგვძულდა ჩვენი სიბნელე; მიტომაც მოვიქეცით შენს მიმართ და „იქმნა ნათელი“. და, აჰა, „ოდესღაც ბნელი ვიყავით, ხოლო აწ ნათელი უფლის მიერ“[53].

---

[44] წმ. ილარიონი თავის თხზულებაში „სამებისათვის“ (I, 19) სასოწარკვეთილი ამცნობდა მკითხველს: ყველა სიტყვა, რომელსაც მე ვხმარობ, ყველა შედარება, მეტაფორა თუ მხატვრული სახე, რომლებსაც მე ვიყენებ წმიდა სამების გონებამიუწვდომელ იდუმალებაზე მსჯელობისას, ისე შორს დგანან ჭეშმარიტებისაგან, როგორც ცა - მიწისაგან, და მათი დანიშნულება მხოლოდ ისაა, რომ იმის მიხედვით, რაც ნაცნობია და ცხადი, მიახლოებით მაინც გვაგრძნობინონ ან განგვაცდევინონ უცნობი და დაფარულიო... აქვე შეიძლება გავიხსენოთ პიერ (პეტრე) აბელიარი, რომელიც გონების არგუმენტებით წმიდა სამების დასაბუთებისას პირწმინდად გარეგნული შედარებებითა თუ ანალოგიებით კმაყოფილდება. თუმცა ვერცერთის მეშვეობით ვერ ახერხებს ღვთაებრივი სამების ზუსტსა და ამომწურავ დახასიათებას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბეჭდის ანალოგია: ბეჭედი ერთია, მაგრამ მასში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სამი მომენტი: მეტალი, რომლისგანაც ისაა ჩამოსხმული, ფორმა, რომელიც მეტალს ბეჭდად აქცევს, და ბოლოს, ამ ორის მთლიანობა, ანუ მტვიფრავი საგანი, თავის ფორმას რომ აღბეჭდავს ცვილზე... თომა აქვინელის მიხედვით, ღმერთის სამპიროვნება იმ ჭეშმარიტებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც გონებას თავისთავად, რწმენის შემწეობის გარეშე, არ შეუძლია შეიმეცნოს და სრულად გაიგოს (იხ. ალბერტ სტეკლი, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, - თომა აქვინელი, IV, 15).

[45] შდრ. ესაია VI, 3.

[46] შდრ. მათე XXVIII, 19.

[47] „ჩვენი მიწაო“, რომ ამბობს, ნეტარი ავგუსტინე გულისხმობს ხორციელ კაცს.

[48] ფსალმ. 38, 12.

[49] ფსალმ. 35, 7.

[50] დაბად. I, 3.

[51] დაბად. I, 31; მათე III, 2.

[52] ფსალმ. 41, 7.

[53] ეფეს. V, 8.

XIII

14. და მაინც, დღემდე მხოლოდ „რწმენით ვიარებით და არა ხედვით“[54]; ვინაიდან „ხსნილნი ვართ სასოებით, ხოლო ხილული სასოება არ არის სასოება“[55]. ჯერ კიდევ „უფსკრული უფსკრულს გასძახის“[56], მაგრამ უკვე „შენი ჩანჩქერების ხმით“[57]. ხოლო მას, ვინც ამბობს: „მე არ შემეძლო მელაპარაკა თქვენთან, როგორც სულიერთა მიმართ, არამედ როგორც ხორციელთა მიმართ ქრისტეში“[58], - თვითონაც არა ჰგონია, რომ ყველაფერს მისწვდა, ამიტომაც „უკანას ივიწყებს და წინას ესწრაფვის“[59], და „სიმძიმილითა გმინავს“[60]. მის სულს სწყურია ცოცხალი ღმერთი და „ისე მიილტვის მისკენ, როგორც ირემი მიელტვის ანკარა წყაროს“[61]. ამიტომაც ღაღადებს: „როდისღა მოვალ?“[62] მას „სურს შეიმოსოს ზეციური სავანე ჩვენი“[63], და „ნუ იქნებით ყრმანი გონებით; ბოროტისათვის ყრმანი იყავით[64], მაგრამ სრულწლოვანნი იყავით გონებით“[65], და კიდევ: „ეჰა, უგონო გალატელნო, ვინ მოგნუსხათ ისე, რომ აღარ ემორჩილებით ჭეშმარიტებას?“[66] ხოლო ეს უკვე მისი ხმა კი აღარაა, არამედ შენი, რადგანაც შენ მოგვივლინე ზეცით შენი სული[67] მისი მეოხებით, ვინც „ამაღლდა ზეცად“[68] და „გზა გაუხსნა თავისი მადლის ჩანჩქერს, რათა სიხარულის მდინარეს წაელეკა შენი ქალაქი“[69].

ამ ქალაქისათვის გმინავს „მეგობარი სიძისა“[70], ვისაც უკვე აქვს „სულის პირველი ნაყოფი“[71], მაგრამ დღემდე კვნესის გული, და „მოელის ღვთის ძედ შერაცხვას და გამოხსნას

---

[54] II კორ. V, 8.

[55] რომ. VIII, 24.

[56] ფსალმ. 41, 8... „მაინც რა არის უფსკრული, რომელიც უფსკრულს უხმობს? თუ უფსკრული რაღაცა ღრმაა, განა ადამიანის გულიც იგივე უფსკრული არ არის? რა შეიძლება იყოს ამ უფსკრულზე უღრმესი? ადამიანებს შეუძლიათ ილაპარაკონ, შეიძლება ხედავდე მათ მოქმედებას, გესმოდეს მათი სიტყვები; მაგრამ ვის აზრს შეიძლება ჩასწვდე? ვის გულს ჩახედო ფსკერამდე? რანაირად მიხვდები, ვის რა აქვს გულში, ვინ რას იზრახავს, რა სურს, რა არ სურს, რას ფიქრობს, ან რას აპირებს? ამიტომ, ალბათ, მართალი ვიქნებით, თუ უფსკრულს ვუწოდებთ ადამიანს. უფსკრული უხმობს უფსკრულს, ადამიანი - ადამიანს. უფსკრულს უხმობენ ღვთის სიტყვის წმიდა მქადაგებელნი. მაგრამ ყოველი მათგანიც განა უფსკრული არ არის? სისუსტის რა საზარელ სიღრმეს იმარხავდა პეტრე! თუმცა თვითონ აზრადაც არ მოსვლია, რა ხდებოდა მასში. როცა აღუთქვა უფალს, შენთან ერთად და შენთვის მოვკვდებიო. ოჰ, რა ღრმა იყო ეს უფსკრული! და მაინც, ის გაშიშვლებული იყო ღმერთკაცის თვალთა წინაშე. ამრიგად, ყოველი კაცი, თუნდაც წმიდა, თუნდაც მართალი, თუნდაც უებრო სიქველით მოსილი, უფსკრულია. და ის უფსკრულსავე უხმობს, როცა საუკუნო ცხოვრებაზე ფიქრით გულშეძრული რწმენასა და ჭეშმარიტებას უქადაგებს ადამიანს. და უფსკრული მხოლოდ მაშინაა სასარგებლო უფსკრულისათვის, რომელსაც უხმობს, როცა შენი ჩანჩქერების ხმით მეტყველებს“ („ფსალმუნებისათვის“, 41,8).

[57] ფსალმ. 41, 8.

[58] I კორ. III, 1.

[59] ფილიპ. III, 13.

[60] II კორ. V, 4.

[61] ფსალმ. 41, 2.

[62] ფსალმ. 41, 3.

[63] II კორ. V, 2.

[64] რომ. XII, 2.

[65] I კორ. XIV, 20.

[66] გალატ. III, 1.

[67] სიბრძნე სოლომ. IX, 17.

[68] ფსალმ. 67, 19.

[69] ფსალმ. 45, 5.

[70] იოანე III, 29. ნეტარი ავგუსტინე პავლე მოციქულს გულისხმობს.

[71] რომ. VIII, 23.

მისი სხეულის“. ის ჭმუნავს ამ ქალაქის გამო, როგორც ქრისტეს სასძლოს - ეკლესიის წევრი, და საღმრთო შურით შურს მისი, როგორც სიძის მეგობარს; დიახ, მისდამი აღეძვრის შური, და არა საკუთარი თავისადმი, რადგანაც თავისი კი არა „შენი ჩანჩქერების“[72] ხმით გასძახის მეორე უფსკრულს, რომლის წინაშეც თავისი შურის გამო ძრწის: „როგორც გველმა თავისი ზაკვით აცთუნა ევა, ვაითუ უმწეო გონებაც ასევე განეშოროს შენს სიწრფელეს“[73], რომელიც არის ჩვენს სიძეში, შენს მხოლოდშობილ ძეში. რა მშვენიერი იქნება ეს ნათელი, როცა შეშრება ჩემი ცრემლები, „პურად რომ მექცნენ თუ ღამით, რადგანაც გამუდმებით მეკითხებოდნენ: „სად არის ღმერთი შენი?“[74]

XIV

15. და მეც ვამბობ: „სადა ხარ, ღმერთო ჩემო? სადა ხარ შენ?“ ცოტა ხანს ვისვემენ შენში[75], როცა სინანულის სიმღერებად იღვრება ჩემი სული[76], ქებას რომ გასხამს ნეტარებით ფრთაშესხმული და აღიარებს შენს სიდიადეს[77]. მაგრამ მალე კვლავინდებურად მწუხრდება იგი, რადგანაც ეცემა და პირქუშ უფსკრულად იქცევა; ან, უფრო სწორად, გრძნობს, რომ დღემდე კვლავ უფსკრულია. სწორედ მას მიმართავს ჩემი რწმენა, გზის მანათობლად რომ აღმინთე ღამის უკუნში: „რად ხარ მწუხარე, ჩემო სულო, რად შემომკვნესა? მიენდე ღმერთს“[78]; „მისი სიტყვა ლამპარია შენს გზაზე“[79]. მიენდე და დაითმინე, ვიდრე არ დასრულდება ღამე, უკეთურთა დედა; ვიდრე არ დასრულდება რისხვა ღვთისა, ვისი შვილებიც ვიყავით ოდესღაც, როდესაც ვიყავით ბნელნი; ამ ბნელის ნაშთს ვატარებთ დღემდე ჩვენი სხეულით, რომელიც მკვდარი იქნება ცოდვის გამო, ვიდრე არ „ირიჟრაჟებს დღე და შეიძვრის ჩრდილი“[80]. „მიენდე ღმერთს[81]; დილით ავდგები მის ჭვრეტად“[82]. მარადჟამ გეტყვი აღსარებას შენ. დილით ავდგები და ვიხილავ ხსნას ჩემი სახისა, ვიხილავ ჩემს ღმერთს, „რომელიც გააცოცხლებს ჩვენს მკვდარ სხეულს, ჩვენშივე დამკვიდრებული სულის გულისთვის“[83], რადგანაც მოწყალედ დასტრიალებდა თავს ჩვენი მერყევი სულის ბნელეთს. მის მიერ მივიღეთ ამქვეყნიურ ხეტიალში წინდი იმისა, რომ ნათლად ვიქცევით[84], ჯერჯერობით კი კვლავ სასოებით

[72] ფსალმ. 41, 8.
[73] II კორ. II, 3.
[74] ფსალმ, 41, 4.
[75] შდრ. იობი XXXII, 20.
[76] შდრ. ფსალმ. 41, 5.
[77] შდრ. ფსალმ. 42, 5.
[78] ფსალმ. 41, 6.
[79] ფსალმ. 118, 105.
[80] ქებათა-ქება II, 17.
[81] ფსალმ. 41, 5.
[82] შდრ. ფსალმ. 5, 4.
[83] რომ. VIII, 11.
[84] II კორ. I, 22.

ვცოცხლობთ, რადგანაც უკვე „ნათლის ძენი ვართ და ძენი დღისა; არა ვართ ღამის და არც ბნელისა“[85].

მხოლოდ შენ ძალგიძს ერთმანეთისაგან განგვახსვავო ჩვენ და ისინი, რადგანაც არასარწმუნოა ჩვენი ცოდნა; მხოლოდ შენ, რომელიც გამოსცდი ჩვენს გულებს[86], და ნათელს დღე უწოდე, ხოლო ბნელს - ღამე[87]; ვინ გაგვარჩევს და განგვასხვავებს ერთმანეთისგან[88], თუ არა შენ? განა გვაქვს რამე ისეთი, შენგან რომ არ მიგვეღო „პატიოსან ჭურჭელთ“, იმავე თიხისაგან მოზელილთ მეთუნის მიერ, რომლითაც მოზელილ იქნენ „უპატიო ჭურჭელნიც?“[89]

XV

16. თუ არა შენ, მაშ, ვინ შექმნა, უფალო, ჩვენს ზემოთ შენი ურყევი ავტორიტეტის მყარი, ანუ შენი საღმრთო წერილი? „ცა შეიგრაგნება გრაგნილივით“[90], ახლა კი ტყავივით გაშლილა ჩვენს ზემოთ[91]. შენი საღმრთო წერილის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა მას შემდეგ, რაც ხორციელი სიკვდილით მოკვდნენ მოკვდავნი, რომელთა მეშვეობითაც მოგვეცი იგი. და შენ, უფალო, იცი, როგორ შემოსე ტყავით ადამის ძენი, როდესაც სცოდეს და მოკვდავნი გახდნენ[92]. ამიტომაცაა, რომ ტყავივით გაშალე მათ ზემოთ შენი წმიდა წერილის მყარი, წერილისა, რომლის სიტყვებიც უცვლელად ეთანხმებიან ერთიმეორეს. სწორედ ისინი დაამკვიდრე ჩვენს ზემოთ, როცა შენს მოკვდავ მსახურთა მეშვეობით მოქმედებდი. თვით თავიანთი სიკვდილით განამტკიცეს მათ ამ სიტყვების ავტორიტეტი, რომლებიც თვითონვე გვაუწყეს, და რომლებიც ცისარტყელასავით გადაირკალნენ ყოველივე იმის თავზე, რაც მათ ქვემოთაა. მანამდე კი ტყავივით როდი გაგეშალა ცა, და არც კიდით-კიდემდე მოგეფინა შენი საღმრთო წერილის დიდება: ეს მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხორციელი სიკვდილით მოკვდნენ შენი მსახურნი[93].

17. მაშ, მომეცი, უფალო, ძალი იმისა, რომ ვიხილო „შენი თითებით შექმნილი ცანი“[94]; გაფანტე ჩემს თვალთაგან ჯანღი, რომლითაც დაჰბურე ისინი. იქაა შენი მონმობა, „სიბრძეს

---

[85] I თეს. V, 5.

[86] შდრ. ფსალმ. 16, 3.

[87] დაბად. I, 5.

[88] შდრ. I კორ. IV, 7.

[89] რომ. IX, 21.

[90] შდრ. ესაია XXXIV, 4: „დალპება ცის მთელი მხედრობა და ცა ეტრატივით დაიგრაგნება“.... გამოცხ. VI, 14: „და გრაგნილივით შეგრაგნილი, შეიკრა ზეცა“...

[91] იხ. ფსალმ. 103, 2... „ღმერთმა ჩვენს ზემოთ განფინა ცა, როგორც ტყავი. „ცად“ უნდა ვგულისხმობდეთ საღმრთო წერილს. მისი ავტორიტეტი ღმერთმა იმთავითვე დაამკვიდრა თავის ეკლესიაში“ („ფსალმუნებისათვის“, 103).

[92] „ტყავი აქ მოკვდავობას ნიშნავს. ამიტომ ის ორნიც (ადამი და ევა), ჩვენი წინაპარნი, ცოდვა რომ დაატეხეს თავს კაცთა მოდგმას, მოკვდავნი გახდნენ და სამოთხიდან გაძევებულ იქნენ; ხოლო ამის ნიშნად ტყავის სამოსით შეიმოსნენ“ („ფსალმუნებისათვის“, 103).

[93] „წინასწარმეტყველნი, როცა ისინი ცოცხალნი იყვნენ, მხოლოდ იუდეას ჰყავდა; მათი სიკვდილის შემდეგ კი - ყველა ხალხს. ვიდრე ცოცხალნი იყვნენ, ჯერ კიდევ არ გაშლილიყო ტყავი, ჯერ კიდევ არ განფენილიყო ზეცა, რათა დაეფარა მთელი სამყარო“ („ფსალმუნებისათვის, 103).

[94] ფსალმ. 8, 4... „ჩვენ გვესმის, რომ „ცანი“ ამ ადგილას იგივეა, რაც ორივე აღთქმის წიგნები“ („ფსალმუნებისათვის“, 8). „ღმერთის თითებიო“, რომ ამბობს, ნეტარი ავგუსტინე ამ წიგნთა ავტორებს გულისხმობს.

რომ ანიჭებს ყრმებს“[95]. სრულყავი, ღმერთო ჩემო, „შენი ქება ყრმათა და ძუძუმწოვარა ჩვილთა ბაგით“[96]. ჩვენ არ ვიცით სხვა წიგნები, ასე რომ მუსრავდნენ ქედმაღლობას, ასე რომ მუსრავდნენ „მტერსა და მცველს“[97], რომელიც ეურჩება შენთან შერიგებას და იცავს თავის ცოდვებს. მე არ ვიცი, უფალო, არ ვიცი სხვა წმიდა სიტყვები, რომლებიც ესოდენ მძაფრად აღგვიძრავდნენ იმის სურვილს, რომ აღსარებას გეუბნებოდეთ, მორჩილად ვიხრიდეთ ქედს შენი უღლის ქვეშ და უანგაროდ გცემდეთ თაყვანს. მომეცი ძალა, მამაო სახიერო, მომეცი ძალა ქედმოდრეკილსა და ქვეგანრთხმულს, შევიცნო შენი სიტყვები, რადგანაც ქვეგანრთხმულთათვის დაამკვიდრე ისინი.

18. მწამს, რომ არიან ამ მყარს ზემოთ სხვა - უკვდავი წყალნი[98], რომელთათვისაც უცხოა მიწიერი ხრწნილება. დაე, ადიდებდნენ ისინი შენს სახელს! დაე, გადიდებდეს ანგელოზთა ეს ზეციური დასი[99]. მათ არ სჭირდებათ ამ მყარს უმზირონ და კითხვით შეიცნონ შენი სიტყვები. ისინი მარადჟამ ხედავენ შენს სახეს[100] და მარცვალ-მარცვალ, დროის განმავლობაში როდი კითხულობენ შენს მარადიულ ნება-სურვილს. ეს ერთდროულად კითხვაცაა, არჩევაც და სიყვარულიც. მარადჟამ კითხულობენ და არასოდეს გადავა ის, რასაც კითხულობენ. შენი უცვლელი რჩევა, - აი, რას კითხულობენ, რას ირჩევენ და რას ემსჭვალვიან სიყვარულით. არ იხურება მათი წიგნი და არ იგრაგნება მათი გრაგნილი[101], რადგანაც შენ თვითონ ხარ მათი წიგნი, მარადიული და წარუვალი; შენ დაადგინე ისინი ამ მყარზე და მიჰმადლე იმისი ძალიც, რომ იხილონ უმწეობა ქვემოთ მდგომი ხალხებისა და შეიცნონ შენი გულმოწყალება, დროში რომ გვიმჟღავნებს შენს თავს, დროის შემოქმედო. რადგანაც „ცაშია, უფალო, შენი გულმოწყალება, და შენი ჭეშმარიტება - ვიდრე ღრუბლებამდე“[102]. ღრუბლები გადაივლიან, ზეცა კი რჩება. ამ წუთისოფლიდან გადიან შენი სიტყვის მქადაგებლები და საუკუნო სოფლად გადავლენ, შენი წერილი კი განფენილია ყველა ხალხს ზემოთ უკუნისამდე. „ცა და მიწ გადავლენ, ხოლო შენი სიტყვები არ გადავლენ“[103]. ტყავი შეიგრაგნება, და ის ბალახიც, რომელზედაც გაშლილი იყო იგი, დაჭკნება და განქარდება მისი მშვენება[104], „შენი სიტყვა კი დგას საუკუნოდ“[105]. ხოლო ამჟამად ისე როდი წარმოგვიდგება, როგორიცაა სინამდვილეში, არამედ როგორც „გამოცანა“, ღრუბლებს მიღმა რომ ვჭვრეტთ „ცის სარკეში“[106]. ვინაიდან თუმცაღა შეგვიყვარა შენმა ძემ, მაინც არ გაცხადებულა, რანი

[95] ფსალმ. 18, 8.
[96] ფსალმ. 8, 3.
[97] შდრ. ეზეკ. XXX, 6.
[98] იგულისხმებიან ანგელოსები, რომლებსაც არ სჭირდებათ დაწერილი სიტყვა.
[99] შდრ. მათე XVIII, 10.
[100] იხ. მეთორმეტე წიგნის შენ. 57.
[101] იხ. აქვე, შენ. 90, 91.
[102] ფსალმ. 35, 6... „რა ღრუბლებია ესენი? ესენი არიან მქადაგებელნი სიტყვისა“ („ფსალმუნებისათვის“), 35.
[103] მათე XXIV, 35.
[104] ესაია XL, 6-7.
[105] ესაია XL, 8... „ყოველი ხორცი ბალახია, და ყოველი ხორციელი მშვენება - როგორც მინდვრის ყვავილი“ („ფსალმუნებისათვის“, 91, 8).
[106] შდრ. I კორ. XIII, 12.

ვიქნებით“[107]. ის თავისი სხეულის გარსიდან გვჭვრეტთა, მოგვეალერსა, სიყვარულით დაგვდაგა და ჩვენ „მივილტვით მისი სურნელებისკენ“[108]. მაგრამ ვიცით, რომ „როდესაც გამოცხადდება, მისივე მსგავსნი ვიქნებით, ვინაიდან ვიხილავთ ისე, როგორიცაა იგი“[109]. „იხილო ისე, როგორიცაა იგი“, - აი, ჩვენი სიკეთე, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეთქმის ჩვენი.

XVI

19. როგორც სრულია შენი ყოფნა, ასევე სრულია შენი ცოდნაც: უცვლელია შენი ყოფნა, უცვლელია შენი ცოდნა და უცვლელია შენი ნება. შენს არსებაში უცვლელია შენი ცოდნა და შენი ნება; შენს ცოდნაში უცვლელია შენი არსება და შენი ნება; შენს ნებაში უცვლელია შენი არსება და შენი ცოდნა. როგორც ჩანს, შენს თვალში უსამართლობა იქნებოდა, თუკი, როგორც უცვლელმა ნათელმა იცის თავისი თავი, ისევე ეცოდინებოდა იგი მის მიერ ნათელფენილ ცვალებად არსებასაც. ამიტომაცაა „ჩემი სული როგორც ურწყული მიწა შენდამი“[110]; როგორც თვითონ ვერ გაინათლებს საკუთარ თავს, ასევე თვითონ ვერ მოიკლავს წყურვილსაც, „რადგანაც შენია ცხოვრების წყარო, და შენი ნათლით ვიხილავთ ნათელს“[111].

XVII

20. ვინ შეკრიბა ერთად მწარე წყალნი?[112] იგივეა მათი მიზანიც: წარმავალი და მიწიერი ბედნიერება, რისი გულისთვისაც იღწვიან ყველანი, თუმცა უსასრულოდ მრავალფეროვანია მათი საზრუნავი. ვინ თქვა, უფაო, თუ არა შენ: „შეგროვდეს ერთგან წყალი“?[113] და გამოჩნდა ხმელეთი, რომელსაც სწყუროდი შენ. „რადგანაც შენია ზღვა, შენ შეჰქმენი იგი, და ხმელეთიც ხელთა შენთა ქმნილებაა“[114]. არა, სურვილთა სიმწარე კი არ იწოდება ზღვად, არამედ წყალთა შესაკრებელი[115]. შენ გასაქანს არ აძლევ კაცთა სიავეს და შენვე უდებ ზღვარს წყალთა განფენას: დაე, თვითონვე დაცხრეს მათი მღელვარება. ასე უმორჩილებ ზღვის ძალას შენს მეუფებას, ყველგან რომ ამყარებს წესრიგს.

---

[107] I იოანე III, 2.
[108] შდრ. ქებათა-ქება, II, 9.
[109] I იოანე III, 2.
[110] ფსალმ. 142, 6.
[111] ფსალმ. 35, 10.
[112] „ზღვა, მწარე - მარილისაგან, ქარიშხლით აზავთებული, ამ წუთისოფლის სიმბოლოა. ადამიანები, უკეთური გულისთქმით აბორგებულნი, თითქოს თევზები არიან, ერთიმეორეს რომ ნთქავენ. და ქრისტე თვით შუაგულ ზღვაშიც რომ არ ყოფილიყო ჩვენი იმედი, თავის მოწაფეებს აღარ ეტყოდა: „კაცთა მებადურებად გაქცევთო“. მაშ, რწმენის ბადით დაჭერილნი ვხარობდეთ, რომ ზღვის ტალღებზე ამ ბადით მივცურავთ. თუმცა გრიგალი მძვინვარებს, მაგრამ ეს ბადე უვნებლად მიგვიყენებს ნაპირს. აქ მთავრდება ზღვა; ჩვენთვის ნაპირზე გამოსვლა ქვეყნიერების დასასრულია. მაშ, კეთილად ვიცხოვროთ, ძმანო, ამ ბადეში; ნურც გავხევთ და ნურც გარეთ გავსხლტებით“ („ფსალმუნებისათვის“, 64, 6).
[113] დაბად. I, 9.
[114] ფსალმ. 94, 5.
[115] იხ. იობი XXXVIII, 10-11.

21. ხოლო სულები, რომლებსაც სწყურიხარ, უფალო, და შენს წინაშე დგანან, სხვა მიზნით განაცალკევე ზღვისაგან; იდუმალი წყაროს ტკბილი წყალითა რწყავ მათ, რათა მიწამ გამოიღოს თავისი ნაყოფი[116], და გამოიღებს კიდეც[117], ასე რომ, თავისი ღმერთის ბრძანებით ზრდის ჩვენი სული გულმოწყალების საქმეს „საკუთარი ბუნებისამებრ“[118]; უყვარს მოყვასი და შეეწევა მას ხორციელი შეჭირვებისას, რადგანაც ახსოვს, რომ მისი მსგავსია: ჩვენივე უმწეობა გვაიძულებს ისევე ვეხმარებოდეთ მოყვასთ, რანაირ დახმარებასაც თვითონვე ვისურვებდით მათგან, ასეთსავე გასაჭირში რომ ჩავვარდნილიყავით: არა უბადრუკსა და მინდვრის ბალახივით უმწეო დახმარებას, არამედ მტკიცე მფარველობას, ნაყოფიერ ხეს რომ მოგვაგონებს. მოძალადეთა ხელს გამოვტაცებთ ჩაგრულსა და დამცირებულს, რათა მართალი სამსაჯავროს ჭერქვეშ მივუჩინოთ თავშესაფარი, მძლავრი მუხის ჩრდილს რომ წააგავს.

XVIII

22. ისე გევედრები და გემუდარები, უფალო, როგორც გვაძლევ სიხარულსა და ძალას; „დაე, „იშვას სიმართლე დედამიწაზე და სამართლიანობამ გამოანათოს ზეციდან“[119]; დაე, „გამოჩნდნენ მნათობნი მყარზე“[120]. დაე, ვუნილადოთ ჩვენი პური მშიერთ, ჩვენს ჭერქვეშ შემოვიყვანოთ მიუსაფარნი, შევმოსოთ შიშველ-ტიტველნი და ნუ შეურაცხყოფთ მონებს, რომლებიც ჩვენსავით კაცნი არიან[121].

მიწამ აღმოაცენა ნაყოფნი: შეხედე, რა კარგნი არიან... „დაე, დროულად გაბრწყინდეს ჩვენი ნათელი“[122]; და როცა ჩვენი უბადრუკი მოსავლის ნაცვლად ვეზიარებით სიხარულს - პირისპირ ვჭვრეტდეთ სიცოცხლის სიტყვას, დაე, გამოვჩნდეთ, როგორც „მნათობნი სამყაროში“[123], შენი საღმრთო წერილის მყარზე დაფუძნებული.

იქ გვასწავლი, როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან გონით საწვდომი და გრძნობადი, როგორც დღე და ღამე; ერთის მხრივ, - გონით საწვდომის, ხოლო მეორეს მხრივ, გრძნობადის მიმართ მიდრეკილი სულნი. და ახლა, როგორც მყარის შექმნამდე, მარტო როდი გაარჩევ შენი საიდუმლო გადაწყვეტილებით, მარტო როდი ჰყოფ ერთმანეთისაგან

---

[116] მიწა (ხმელეთი), წყლიდან გამოჩენილი და ნაყოფის გამომღები, ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, ეკლესიაა.

[117] „დაე, მადლს გწირავდეს, უფალო, დაე, მადლს გწირავდეს ყოველი ხალხი: მიწამ გამოიღო თავისი ნაყოფი. რა ნაყოფი? დაე, მადლს გწირავდეს ყოველი ხალხი. იყო მიწა, ნარ-ეკლით მოფენილი; მიადგა „ხელი ამომძირკველისა“, გაისმა ხმობა მისი, მოწყალე და დიდებული. მადლი შესწირა მიწამ, და უკვე „იძლევა მიწა თავის ნაყოფს“ (დაბად. I, 12). განა შეძლებდა ნაყოფის მოცემას ღვთის გულმოწყალება რომ არ გადმოსულიყო მასზე? მოავლინა ღმერთმა წვიმა თავის ბაგეთაგან, და აღსრულდა ის, რასაც ვკითხულობთ სახარებაში: დაუშვა წვიმა თავისი ღრუბლებიდან - მოავლინა მოციქულები და ჭეშმარიტების მქადაგებელნი, და გამოიღო მიწამ თავისი ნაყოფი, და აღივსო ქვეყანა მოსავლის სიუხვით“ („ფსალმუნებისათვის“, 66, 6).

[118] შდრ. დაბად. I, 12.

[119] ფსალმ. 84, 12.

[120] დაბად. I, 14.

[121] შდრ. ესაია LVIII, 7.

[122] შდრ. ესაია LVIII, 8.

[123] ფილიპ. II, 15.

ნათელს და ბნელს: შენი სულიერი ქმნილებანი, იმავე მყარზე რომ დაგიფუძნებია ქვეყნიერებისათვის მოვლინილი მადლის წყალობით, თავს დაჰნათიან მიწას, ერთმანეთისაგან ათავისთავადებენ დღესა და ღამეს და დროთა მონაცვლეობის ნიშნებად გვევლინებიან[124]: „ძველი წარხდა, და, აჰა, ყოველივე არის ახალი“[125], „ვინაიდან ახლა უფრო ახლოა ჩვენთან ხსნა, ვიდრე მაშინ, როცა ვირწმუნეთ“[126]. „ღამე განგვეშორა“, „დღე კი მოგვეახლა“[127], და შენ „აკურთხებ შენი წლის გვირგვინს“[128] და „შენი ყანის მოსამკალად აგზავნი მომკალთ“[129], ყანისა, რომელიც სხვებმა დათესეს და დაიმუშავეს[130]. შენ სხვა ყანის მოსამკალად აგზავნი მათ, რომლის მოსავალიც მოიწევა საუკუნეთა დამლევს.

ასე ასრულებ მთხოვნელის ლოცვა-ვედრებას და აკურთხებ მართლის წელიწადს. შენ კი მარად ივივე ხარ და შენი წარუვალი წლებით[131] ამზადებ წარმავალ წელთა ბეღელს.

23. შენი მარადიული ზრახვით თავის დროზე მოუვლენ ზეციურ სიკეთეს მიწას: „ზოგს სულისაგან ეძლევა სიბრძნის სიტყვა“[132]; - ესაა დიადი მნათობი მათთვის, ვინც ისე ტკბება ჭეშმარიტების სხვისნობით, როგორც ცისკრის ნათლით; „ზოგს - ცოდნის სიტყვა, იმავე სულით“[133]; ეს უფრო მცირე მნათობია; „ზოგს - რწმენა, ზოგს - ნიწი მკურნალობისა; ვის - სასწაულთმოქმედება, ვის - წინასწარმეტყველება, ვის - სულთა გარჩევა, ვიც - სხვადასხვა ენა“[134], - და ყველა ესენი ვარსკვლავებია. „ხოლო ყოველივე ამას შეიქმს ერთი და ივივე სული, და უწილადებს თვითეულს, როგორც თავად ნებავს“[135]; და აიძულებს მნათობთაც გამოჩნდნენ და სარგოდ ნათობდნენ.

ხოლო სიტყვა ცოდნისა, რომელიც მოიცავს ყველა იმ საიდუმლოს[136], მთვარესავით რომ იცვლებიან დროში, აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სიკეთე, ვარსკვლავებს რომ ჰგვანან, ისევე განსხვავდებიან სიბრძნის კაშკაშა სინათლისაგან, როგორც განთიადის სხივცისკროვნება - მწუხრის ბინდბუნდისაგან. და მაინც, ისინი აუცილებელნი არიან კაცთათვის, რომლებთანაც შენ ყველაზე გონიერ მსახურს „არ შეეძლო ელაპარაკა როგორც

[124] შდრ. დაბად. I, 14.
[125] II კორ. V, 17.
[126] რომ. XIII, 11.
[127] რომ. XIII, 12.
[128] შდრ. ფსალმ. 64, 12.
[129] მათე IX, 38.
[130] იოანე IV, 38.
[131] ფსალმ. 101, 28.
[132] I კორ. XII, 7.
[133] I კორ. იქვე... ნეტარი ავგუსტინე „იობზე“ (XXVIII, 28) დაყრდნობით - „უფლის შიშია სიბრძნე და ბოროტისაგან განდგომა - ცოდნა“, - შემდეგნაირად განასხვავებს ერთმანეთისაგან „სიბრძნეს“ (sapientia) და „ცოდნას“ (scientia): „ამ განსხვავებიდან გამომდინარე, სიბრძნე მიემართება მარადისობის ჭვრეტას, ცოდნა კი - მოქმედებას“ („სამებისათვის“, 12,14,22).
[134] I კორ. XII, 9-10.
[135] I კორ. XII, 11.
[136] „ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ძველი და ახალი აღთქმის საიდუმლოებანი (sacramenta): სხვანი არიან ცხონების მომნიჭებელი საიდუმლონი და სხვანი საიდუმლონი, რომელნიც მხოლოდ აღგვითქვამენ მაცხოვარს. ახალი აღთქმის საიდუმლონი ცხონებას გვანიჭებენ, ძველისა კი აღგვითქვამდნენ მაცხოვარს. შენ უკვე ფლობ აღთქმულს; მაცხოვარი გყავს; მაშ, რაღას ეძებ აღთქმულს? საიდუმლონი შეიცვალნენ: მათი ოდენობა შემცირდა; ახლა ისინი უფრო მსუბუქნი არიან, უფრო მეტად მაცხოვენებელნი და სიხარულის მგვრელნი“ („ფსალმუნებისათვის“, 73,2).

სულიერთა მიმართ, არამედ როგორც ხორციელთა, როგორც ყრმათა მიმართ ქრისტეში“[137], - მას, ვინც „ქადაგებს სიბრძნეს სრულქმნილთა შორის“.

მშვინვიერი კაცი, - აი, ყრმა ქრისტესი, რომელიც სვამს რძეს, ვიდრე არ მომაგრდება იმდენად, რომ უხეში საზრდოს მიღება და მზისათვის თვალის გასწორება შესძლოს[138]. დაე, ნუ ეგონება, რომ მარტოდმარტოა ღამეში, არამედ დასჯერდეს მთვარისა და ვარსკვლავთა შუქს.

აი, რას გვასწავლი, ყოვლისმცოდნე ღმერთო ჩვენო, შენი წარილით, ამ შენი მყარით, რათა საოცარი ჭვრეტის წყალობით შევიძლოთ ყველაფრის გარჩევა, თუნდაც ჯერ მხოლოდ ნიშების, დროის, დღეებისა და წლების მიხედვით[139].

XIX

24. მაგრამ თავდაპირველად „განიბანეთ, განიწმინდეთ, თვალთაგან განმარიდეთ ავი ზრახვანი“[140], რათა „გამოჩნდეს ხმელი“[141]; ისწავლეთ კეთილის ქმნა, დაიფარეთ ობოლი, გამოესარჩლეთ ქვრივს[142], „რათა აღმოაცენოს მიწამ ბალახი და ხე ნაყოფის მომცემი“[143]; რათა იყვნენ მნათობნი ცამყარის მანათობლად და ნათელს აფრქვევდნენ მიწას[144].

მდიდარი ჭაბუკი სახარებისა ეკითხებოდა კეთილ მოძღვარს, როგორ მოვიქცე, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდროო. ხოლო კეთილმა მოძღვარმა, რომელიც ჭაბუკს ადამიანად მიაჩნდა, - ის კი კეთილია იმიტომ, რომ ღმერთია, - ასე მიუგო მას: თუ გსურს შეხვიდე საუკუნო ცხოვრებაში, დაიცავი მცნებანი, განიშორე ბოროტება და გარყვნილების სიმწარე, არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო, რათა გამოჩნდეს ხმელი, და მან აღმოაცენოს პატივისცემა დედ-მამისადმი და მოყვასთა სიყვარული. „ყოველივე ეს დამიცავს, - უთხრა მდიდარმა ჭაბუკმა, - მაშ, თუ მიწა პოხიერია, ასიდანღაა ამდენი სარეველი და ეკალი? წადი, ამოძირკვე სიხარბის შამბნარი, გაყიდე რაც გაბადია, მონაგები მიეცი გლახაკთ და გექნება საუნჯე ცაში; მერე მოდი და შეუდეგ უფალს, თუკი გსურს იყო სრულქმნილი[145]. შეუერთდი იმათ, ვისაც თავისი ბრძნული სიტყვით მიმართავს ის, ვინც იცის, რა მიანიჭოს დღესა და ღამეს[146]. შენც შეიცანი ისინი, რათა მნათობებად გექცნენ ცამყრზე. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა შენი გული იქნება იქ, ვინაიდან „სადაც არის გული შენი,

[137] I კორ. III, 1.
[138] შდრ. I კორ. III, 2: „რძით გზრდიდით თქვენ და არა საჭმლით, ვინაიდან ჯერ კიდევ არ შეგეძლოთ მისი მონელება და არც ახლა შეგიძლიათ“.
[139] შდრ. დაბად. I, 14.
[140] იხ. ესაია I, 16: „განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა“.
[141] დაბად. I, 9... იხ. აქვე, შენ. 116.
[142] ესაია I, 17.
[143] დაბად. I, 11.
[144] დაბად. I, 14-15.
[145] იხ. მათე XIX, 16-22; მარკ. V, 17-22; ლუკა XVIII, 18-23.
[146] ე.ი. რა მისცეს ეკლესიას და არა - ქვეყანას.

იქვე იქნება საუნჯეც შენი“[147]. აი, ეს სიტყვები გესმა კეთილი მოძღვრისაგან. მაგრამ დამწუხრდა უნაყოფო ქვეყანა[148], და სარეველამ მოაშთო სიტყვა[149].

25. ხოლო თქვენ, „რჩეულო ხალხო“[150], „უძლურნო სოფლისა“[151], რომელთაც მიგიტოვებიათ ყველაფერი, რათა შესდგომოდით უფლის კვალს[152], კვლავაც მისდიეთ თქვენს წინამძღოლს, რათა „არცხვინოთ ძლიერნი“[153]; მისდიეთ, „ფეხმშვენიერნო“[154], და ნათელი მიჰფინეთ მყარს, რათა „ცანი ხმობდნენ ღმერთის დიდებას“[155]; ერთმანეთისაგან განაცალკევეთ სრულქმნილთა „ნათელი“, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან ანგელოსთა მსგავსნი, და მცირეთა, მაგრამ არა უიმედოთა „წყვდიადი“. ნათელი მოჰფინეთ მთელ დედამიწას, რათა მზის სხივებით გაბნყრინვებულმა დღემ „დღესვე აუწყოს სიბრძნის სიტყვა“[156], ხოლო მთვარით განათებულმა ღამემ „ცოდნის სიტყვა აუწყოს ღამეს“[157]. მთვარე და ვარსკვლავები ღამით ნათობენ, მაგრამ ღამე ვერ აბნელებს მათ, რადგან თვით ისინი შეძლებისდაგვარად ანათებენ ღამეს. და, აჰა, როგორც თქვა ღმერთმა: „იქმნან მნათობნი ცის მყარზე“[158], „და ანაზდად იყო ხმა ზეცით, თითქოს გრიგალი აგუგუნდაო, და მოევლინა მათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თვითეულ მათგანს“[159]; და „გაბრწყინდნენ მნათობნი ცაში, რომლებსაც ჰქონდათ ცხოვრების სიტყვა“[160]. თქვენა ხართ „ნათელი სოფლისა“[161], და „ხვიმირის ქვეშ“[162] როდი ხართ. ამაღლდა ის, ვისთვისაც იყავით ხმობილნი, ამაღლა და თქვენც აგამაღლათ.

XX

26. დაე, ჩასახოს ზღვამ და დაბადოს თქვენი საქმენი. დაე, „წარმოშვან წლებმა ქვეძრომნი, ცოცხალი სულის მქონენი“[163]. რადგანაც ერთმანეთისაგან რომ აცალკევებდით ფასეულსა და უფასურს, ღვთის ბაგედ იქეცით[164], რომელიც ამბობს: „დაე, წარმოიქმნას წყლისაგან ცოცხალი სული, არა იმნაირი, რანაირსაც წარმოქმნის მიწა“, არამედ

[147] მათე VI, 21.
[148] შდრ. ლუკა XVIII, 23.
[149] მათე XIII, 7.
[150] I პეტრე II, 9.
[151] I კორ. I, 27.
[152] შდრ. ლუკა XVIII, 28: „და უთხრა პეტრემ: აი, ჩვენ მივატოვეთ ყველაფერი და შენ გამოგყევით“.
[153] I კორ. I, 27.
[154] რომ. X, 15; ესაია LII, 7.
[155] ფსალმ. 18, 2.
[156] ფსალმ. 18, 3.
[157] ფსალმ. 18, იქვე.
[158] დაბად. I, 14.
[159] მოციქ. საქმ. II, 2-3.
[160] შდრ. ფილიპ. II, 15-16.
[161] მათე V, 14.
[162] მათე V, 15.
[163] შდრ. დაბად. I, 20.
[164] იხ. იერემია XV, 19: „ამიტომ ასე ამბობს უფალი: თუ შეინანებ, მოგაბრუნებ, რომ დადგე ჩემს წინაშე; თუ ფასეულს გამოარჩევ უფასურისგან, ჩემი ბაგესავით იქნები“.

„ქვემოძრომნი, ცოცხალი სულის მქონენი, და ფრინველნი, მიწის ზემოთ მფრინავნი“[165]. და ასე, შენი წმიდა საიდუმლონი[166], ღმერთო, შენსავე წმიდათა ღვაწლით, ქვემძრომებივით განიფანტებიან ამა სოფლის საცთურთა მფრთოვან ტალღებს შორის, რათა განბანონ შენი ერი წმიდა ნათლისღებით, შენივე სახეით რომ სრულდება.

ამასობაში აღსრულდა დიდი სასწაული, „ვეება ვეშაპთა“[167] მსგავსი; და შენი სიტყვების ქადაგთა ხმებმა თავს გადაუფრინეს დედამიწას, შენივე წერილის მყარს, თავისი ავტორიტეტით რომ იფარავდა მათ ფრენას ნებისმიერი მიმართულებით. რადგან „არ არის სიტყვა და არც ნათქვამი, კიდით-კიდემდე რომ არ ისმოდეს; მთელ დედამიწას სწვდება მათი ხმა, ვიდრე თვით სამყაროს ზღვრამდე“[168], ვინაიდან შენი კურთხევით ამრავლე, უფალო, იგი.

27. განა ვცრუობ, ან ერთმანეთისგან ვერ ვასხვავებ, ერთის მხრივ, იმ საგანთა ნათელ შემეცნებას, რომელთაც ცამყარი მოიცავს, ტალღებში რომ სრულდებიან, ცამყარს ქვემოთ? არსებობს მყარი და დაუსრულებელი ცოდნა, რომელიც არ მატულობს თაობებიდან თაობებამდე[169] - ესაა სიბრძნისა და ცოდნის ნათელი. მაგრამ ის ვლინდება მრავალგვარი და ნაირ-ნაირი გარეგნული მოძრაობის წყალობით, რაც შენი კურთხევით იზრდება და მრავლდება, ღმერთო. ამრიგად ანუგეშებ ჩვენი მოკვდავი გრძნობების უმწეობას, რაკიღა საშუალებას აძლევ სულს მრავალნაირი გზით შეიცნოს ერთიანი ჭეშმარიტება, ათასგვარად გამოხატული გარეგნულ მოძრაობათა საშუალებით.

აი, რა წარმოშვეს წყლებმა, მაგრამ მხოლოდ შენი სიტყვის წყალობით. შენი მარადიული ჭეშმარიტებისაგან განდგომილი ხალხის გაჭირვებამ განაპირობა ამის წარმოქმნა შენივე სახარების მიხედვით. რადგან თვით წყალთა მღელვარებამ გამორიყა ნაპირზე ეს, და კაცთა მწარე სისუსტე იყო ამის წარმომშობი მიზეზი.

28. მშვენიერია ყველაფერი, რაც შენ შეჰქმენი, და, აჰა, შენც, ყოვლის შემოქმედო, ენით უთქმელად მშვენიერი ხარ[170]. ადამი რომ არ განგდგომოდა, მაშინ არც ზღვიური სიმლაშე გადმოიღვრებოდა მისი მუცლიდან - ეს მისი უკიდურესად ცნობისმოყვარე, ბორგნეულად ქედმაღალი და მერყევი მოდგმა[171]. მაშინ არც შენი მქადაგებელნი გახდებოდნენ იძულებულნი ამ მფრთონავ ზღვაში ეღვაწათ და გრძნობადი სახით ეუწყებინათ ჩვენთვის შენი იდუმალი საქმენი თუ სიტყვანი. ამნაირად წარმომიჩნდებიან ამჟამად „ქვემოძრომნიცა“

---

[165] იხ. დაბად. I, 20: „...ქვემძრომნი“ და „ფრინველნი“, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, საიდუმლონი (sacramenta) არიან, ჭეშმარიტების შეცნობაში რომ შეეწევიან საერო წოდების ხალხს, „ზღვა“ კი ცოდვილი სამყაროა.

[166] ტერმინით „საიდუმლონი“ აქ აღინიშნება უპირატესად სასწაულები და ნიშები, რომლებიც თან ახლდა სახარების მქადაგებელთა მოღვაწეობას საეკლესიო ცხოვრების საწყის ეტაპზე.

[167] იხ. დაბად. I, 21.

[168] შდრ. ფსალმ. 18, 4-5; შდრ. მოციქ. საქმ. II, 7-11.

[169] იგულისხმება აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომელიც განვითარებას არ საჭიროებს.

[170] შემოქმედის მშვენიერება ქმნილების მშვენიერების დასაბამიერ მიზეზი. „გიყვარდეს მშვენიერება, ჩრდილი უფლისა, განფენილი მთელს სამყაროში“, - ამბობს დიდი ჩილელი პოეტი ქალი გაბრიელა მისტრალი („ხელოვანის ათი მცნება“).

[171] იგულისხმება კაცთა მოდგმა.

და „ფრთოსანნიც“[172], მაგრამ თვით ამ სიმბოლოთა არსში მწვდომნიც კი შორს ვერ წავიდოდნენ, მათი სული რომ არ ცოცხლობდეს და თანდათანობით არ მაღლდებოდეს შენი მადლით, საწყისი სიტყვიდან სრულქმნილების მიმართ მლტოლველი.

XXI

29. ამიტომაც იყო, რომ, შენი სიტყვისამებრ, ზღვის უფსკრულმა კი არა, მწარე წყალთაგან განმხოლოებულმა მიწამ წარმოშვა არა ცოცხალი სულის მქონე ქვემძრომნი და არა ფრთოსანნი, არამედ „ცოცხალი სული“[173].

ამ სულს უკვე აღარ სჭირდებოდა ნათლისღება - რაც აუცილებელია წარმართთათვის, - როგორც მაშინ, როცა წყლით იყო დაფარული. რადგანაც სხვა გზით ვეღარ აღწევენ ცათა სასუფეველს მას შემდეგ, რაც შენ დაადგინე სასუფეველში შესვლის პირობა.

ის არ მოითხოვს რწმენისათვის რაღაც დიადსა და საკვირველს, რადგანაც „ნიშებისა და სასწაულების“[174] გარეშე სწამს, რაკიღა მორწმუნე მიწა უკვე განცალკევებულია ურწმუნოები მწარე წყალთაგან, ვინაიდან „ენები ნიშებია არა მორწმუნეთათვის, არამედ ურწმუნოთათვის“[175]. მიწას, რომელიც „დააკვიდრე წყალთა ზემოთ“, აღარ სჭირდება ის ფრთოსანი ქმნილებანი, შენი სიტყვისამებრ რომ წარმოიქმნენ წყალთაგან[176]. მოუვლინე მას შენი სიტყვა შენსავე მაცნეთა მეშვეობით. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სიტყვებით გადმოვცეთ მათი საქმენი, მაგრამ შენ მოქმედებ მათი მეოხებით, რათა შესძლონ ცოცხალი სულის შექმნა.

მიწამ შექმნა იგი, რადგანაც სწორედ მიწამ განაპირობა მათი მოქმედება, როგორც ზღვამ გამოიხმო არსებობისთვის ცოცხალი სულის მქონე ქვემძრომნი და ცამყარს ქვემოთ მფრინავი ფრთოსანნი. მიწას უკვე აღარ სჭირდება ისინი, თუმცაღა დიახაც შეექცევა ზღვის სიღრმიდან ამოყვანილსა და ტრაპეზზე დადებულ თევზ[177], ტრაპეზზე, რომელიც „განამზადე მორწმუნეთა წინაშე“[178]. ის ამოყვანილ იქნა სიღრმიდან, რათა ესაზრდოებინა ხმელი მიწა[179]. ფრთოსანნიც ზღვის ნაშიერნი არიან, მაგრამ ისინიც მიწაზე მრავლდებიან. პირველი ხმაც სახარების ქადაგებისა კაცთა ურწმუნოების გამო გაისმა, მაგრამ მორწმუნეთაც დღითიდღე

[172] იხ. აქვე, შენ. 165.
[173] დაბად. I, 24.
[174] იოანე IV, 48.
[175] I კორ. XIV, 22.
[176] „რაკიღა ნათლისღებით დაემკვიდრნენ ურყევ წმენაში, ამიტომაც ითქვა მათზე: „დაამკვიდრა მიწა წყალთა ზემოთ“ („ფსალმუნებისათვის“, 135, 8).
[177] თევზი ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ქრისტეს ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიმბოლო იყო. თავის დიად ქმნილებაში „ღვთის ქალაქისათვის“ (XVIII, 25) ნეტარი ავგუსტინე წერს: „თუ ხუთი ბერძნული სიტყვიდან - Ιησοῦς Χριστός Θεοῦ Υἱός Σωτήρ - ე.ი. იესო ქრისტე ძე ღვთისა მაცხოვარი - ცალკე გამოვყოფთ და დავაჯგუფებთ პირველ ასოებს, მივიღებთ სიტყვას (თევზი), იესო ქრსტეს მისტიურ სახელს, იესო ქრისტესას, რომელმაც შესძლო ჩვენი მოკვდავობი უფსკრულში, როგორც ზღვის უძირო სიღრმეში, ცოცხალი, ანუ უცოდველი დარჩენილიყო“.
[178] ფსალმ. 22, 5. „ტრაპეზი“ ევქარისტიას გულისხმობს.
[179] იგულისხმება „თევზი“ - იესო ქრისტე.

უშურველად აზიარებს იგი შეგონებასა და კურთხევას. ცოცხალი სულიც მიწისაგან იღებს დასაბამს, მაგრამ მხოლოდ მართლმორწმუნეთათვისაა სასარგებლო განეშორონ ამა სოფლის სიყვარულს, რათა შენთვის ცოცხლობდეს მათი სული, რომელიც მკვდარი იყო, როცა განცხრომით ცხოვრობდა, მომაკვდინებელ სიამეთა შორის[180], რადგანაც წმინდა გულისთვის მხოლოდ შენა ხარ, უფალო, ცხოველმყოფელი სიამე.

30. მაშ, დაე, სხვანაირად მუშაკობდნენ მიწაზე შენი მსახურნი, და არა ისე, როგორც ურწმუნოების წყალთა შორის, როცა სიტყვით თუ შეგონებით აუწყებდნენ წარმართთ ჭეშმარიტება, სასწაულების, ნიშებისა თუ მისტიურ გამონათქვამთა მეშვეობით, რათა ზემოქმედება მოეხდინათ უმეცართა სულზე (უმეცრება ხომ განცვიფრების დასაბამია), და ამ ბუნდოვანი ნიშნებით დაეშინებინათ ისინი. ასე მიდიან რწმენამდე ადამის ძენი, რომელთაც დავიწყნიხართ და შენგან განშორებულნი „უფსკრულად“[181] ქცეულან. დაე, ისე მუშაკობდნენ შენი მსახურნი, როგორც ზღვის სიღრმიდან გამოყოფილ მიწაზე. დაე, ერთგლთა თვალწინ მიდინარეობდეს მათი ცხოვრება, რათა რწმენის ნიმუშად იქცეს[182] და მიბაძვის სრუვილი აღძრას მათში. მარტო იმისთვის ხომ არ ისმენენ, რომ ისმინონ, არამედ იმისთვისაც, რომ იმოქმედონ. „ეძიეთ ღმერთი და ცოცხალი იქნება თქვენი სული“[183]; მიწა დასაბამს მისცემს ცოცხალ სულს. „ნუ ემსგავსებით ამ ქვეყენას“[184], არამედ განდექით მისგან. სული ცოცხალია, როცა ამ სოფელს გაურბის და კვდება, როცა მისკენ მიილტვის. ეკრძალეთ საზარელსა და არაადამიანურ ამპარტავნებას, გარყვნილების ფუჭ სიამეს და იმას, რაც ყალბად იწოდება მეცნიერებად[185], რათა მოშინაურებულ იქნენ გარეული მხეცები, მოთვინიერდნენ შინაური ცხოველები და უვნებელნი გახდნენ გველები. ყველა ისინი ნართაულად გამოხატავენ სულიერ მდგომაერობებს[186], მაგრამ ქედამაღლური თვითგანდიდება, უკეთური გულისთქმით თრობა და ცნობისმოყვარეობის შხამი თვისებებია მკვდარი სულისა. სულის სიკვდილი სრულ უგრძნობელობას როდი ნიშნავს: ის კვდება, როცა განეშორება ცხოვრების წყაროს[187], წუთისოფლის ბობოქარი დინებით წარიტაცება და ცდილობს მიესადაგოს მას.

31. ხოლო შენი სიტყვა, უფალო, საუკუნო ცხოვრების წყაროა[188] და არასოდეს გარდავა იგი. ამიტომაც გვიკრძალავს შენი სიტყვა განვეშოროთ მას, და ამიტომაც ითქვა: „ნუ

---

[180] შდრ. I ტიმ. V, 7: „ხოლო ფუფუნებაში ჩაფლული ცოცხლადვე მკვდარია“.
[181] იხ. აქვე, შენ. 56.
[182] შდრ. I თესალ. I, 7: „ასე რომ, ყველა მორწმუნის ნიმუშად იქეცით“...
[183] ფსალმ. 68, 33.
[184] რომ. XII, 2.
[185] შდრ. I ტიმ. VI, 20: „...განეშორე ბილწ ფუჭსიტყვაობას და ცრუმეცნიერების ცილობას“.
[186] შდრ. პლატონი, „ტიმეოსი“, 70c: „მოკვდავი სულის მეორე ნაწილს, რომლისთვისაც ნიშნეულია სმა-ჭამისა და ყოველივე იმის სურვილი, რასაც ბუნებით მოითხოვს ჩვენი სხეული, ღმერთებმა შუასაძგიდსა და ჭიპს შორის მიუჩინეს ბინა და მთელი ეს ნაწილი თითქოს სხეულის ბაგად აქციეს. იქ მტაცებელი ცხოველივით („თრემმა აგრიონ“) დააბეს მოკვდავი სულის ქვენა ნაწილი, ცხოველივით, რომლის მოთვინიერებაც შეუძლებელია, მაგრამ კვებით კი ძალაუნებურად უნდა კვებო, რომ ეს ცხოველი ერთავად ბაგაზე ყოფილიყო დაბმული, სულის გონივრული ნაწილისაგან რაც შეიძლება შორს, რათა თავისი ღმუილითა და ღრიალით არ შეეწუხებინა იგი და მას დაუბრკოლებლად შესძლებოდა გადაწყვეტილების მიღება როგორც მთელი სხეულის, ისე თითოეული ასოს სასიკეთოდ“...
[187] შდრ. იერემ. II, 13.
[188] შდრ. იოანე IV, 14.

ემსგავსებით ამ ქვეყანას“[189]. დაე, აღმოაცენოს მიწამ ცხოვრების წყაროსაგან ცოცხალი სული, თანახმად შენი სიტყვებისა, შენივე მახარებლების მიერ რომ გადმოგვეცა ჩვენ: სული თავდაჭერილი და შენი ქრისტეს მიმბაძველია მბაძავი. სწორედ ამას ნიშნავს სიტყვები: „თავისი გვარისდა მიხედვით“[190], რადგანაც მეგობარი მეგობარს ბაძავს. „იყავით ჩემსავით, - გვეუბნება იგი, - რადგანაც მეც ისე ვარ, როგორც თქვენ“[191].

ამრიგად, „ცოცხალი სულის“ წყალობით კეთილი და თვინიერი მხეცები იმოქმედებენ. რადგან შენ თვითონ დაგვიდე აღთქმა: „მშვიდად წარმართე შენი საქმენი და ღვთის სათნო კაცი შეგიყვარებს“[192]. შინაური პირუტყვიც ყოველთვის კეთილი და მშვიდი იქნება: მაშინაც, როცა უხვადა აქვს საკვები, და მაშინაც, როცა აკლია იგი[193]. არც კეთილი გველები იქნებიან საშიშნი და არავის ავნებენ რასმე[194]; თავს აარიდებენ წარმავალს და მხოლოდ იმდენად გამოიკვლევენ მას, რამდენადაც ეს საჭიროა, რომ ქმნილების მიხედვით შეიცნონ წარუვალობა. ამრიგად, გონების მორჩილი ყველა ეს ცხოველი თავ დააღწევს სიკვდილის გზას[195], რათა თავიანთი სიკეთით ცოცხალნი დარჩნენ.

XXII

32. აი, როდის აღიკვეთება, უფალო ღმერთო ჩვენო, ყოვლის შემოქმედო, ჩვენი მიდრეკილება ამა სოფლისადმი: ჩვენ ვკვდებით ამ მიდრეკილებით, როცა უკეთურად ვცხოვრობთ, და, პირიქით, როცა კეთილია ჩვენი ცხოვრება, აღმოცენებას იწყებს ცოცხალი სული[196]; მაშინ სრულდება შენი სიტყვა, თქმული შენივე მოციქულის პირით: „ნუ ემსგავსებით ამ ქვეყენას“[197]; მაშინვე ისხამს ხორცს შენი მომდევნო სიტყვებიც: „გარდაიქმენით თქვენი გონების განახლებით“[198], მაგრამ არა „თქვენი გვარისამებრ“[199], ესე იგი, არა ჩვენი წინამორბედების მიბაძვით და არა იმით, რომ ჩვენზე უკეთესთა მსგავსად ვიცხოვროთ. შენ

---

[189] რომ. XII, 2.
[190] დაბად. V, 21.
[191] გალატ. IV, 12.
[192] სიბრძნე ზირაქ. III, 17.
[193] შდრ. I კორ. VIII, 8: „მაგრამ საჭმელი როდი გვაახლოებს ღმერთთან, რადგან ჭამით არაფერი გვემატება, და უჭმელობითაც არა გვაკლდება რა“.
[194] როგორც წინა თავიდან (30) ჩანს, მხეცებიც, შინაური პირუტყვიცა და გველებიც ალეგორიულად გამოხატავენ სულიერ მდგომარეობებს.
[195] იგულისხმება სულიერი სიკვდილი.
[196] შდრ. ვაჟა-ფშაველა:
[197] რომ. XII, 2.
[198] რომ. იქვე.
[199] სულ სხვანაირმა მსოფლგანცდამ, სულ სხვანაირმა თვითშეგრძნებამ დაახლოებით იგივე ათქმევინა ჩვენი საუკუნის ინტელექტუალიზმის ერთ-ერთ ლიდერს:

„ჩვენი პიროვნების, ჩვენი აზრების, სიკვდილისა თუ სიყვარულის ჩვენმიერი განცდის უინტიმურესი და უღრმესი სუბსტანცია სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი წინაპრების გულუბრყვილობა, მათი ხატოვანი ლუღლუღი, მათი ზიზღი, მათი უმწეობა ფსიქოლოგიური მოვლენების სფეროში, მათი ენობრივი სიღატაკე და ა.შ.

ხოლო ჩვენ ვაგრძელებთ ამ უბადრუკ წანამძღვრებს, ვაგრძელებთ მათ ჩვენი სიჩქარით, ფაციფუცით, არათანმიმდევრულობითა და ჩვენი უცნაური და ნერვიული დროის ეგზომ ბოროტად გამოყენებით“ (პოლ ვალერი, სულის კრიზისი, თბ. 1994, გვ.26).

ხომ არ გითქვამს: „შეიქმნას კაცი თავისი გვარის მსგავსად“, არამედ თქვი: „შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად და მსგავსად“[200], რათა საშუალება მოგეცა ჩვენთვის შეგვეცნო შენი ნება.

ამიტომაც ამბობს შენი სიტყვის მქადაგებელი, რომელმაც ამდენი შვილი შეგძინა შენივე სახარების მეოხებით[201], და არ სურდა მარადჟამ ყრმათა მზრდელი ყოფილიყო, რომელთაც რძით უნდა კვებავდნენ და ელოლიავებოდნენ, როგორც ძიძა - ძუძუმწოვარ ჩვილს[202]; დიახ, ამიტომაც ამბობს: „გარდაიქმენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ნება ღმრთისა, კეთილი, სათნო და სრული“[203]. აკი არც შენ ამბობ: „შეიქმნას კაცი“, არამედ - „შევქმნათ კაცი“; არც ამას: „მისივე გვარის მსგავსად“, არამედ - „ჩვენს ხატად და მსგავსად“. გონებით განახლებულსა და შენი ჭეშმარიტების შემცნობს აღარ სჭირდება ადამიანი, რომელიც უჩვენებდა, როგორ მიებაძა „თავისი გვარისათვის“. შენი მინიშნებით თვითონვე შეიცნობს „შენს ნებას, კეთილს, სათნოს და სრულს“. შენ ასწავლი და მას უკვე უნარი შესწევს იხილოს ერთობის სამპიროვნება და სამპიროვნების ერთობა. ასე რომ, მრავლობით რიცხვში ნახმარ სიტყვებს - „შევქმნა კაცი“, იქვე ერთვის მხოლობითი - „და შექმნა ღმერთმა კაცი“; ხოლო მრავლობითს - „ჩვენს ხატად და მსგავსად“, მოსდევს მხოლობითი - „ხატად და მსგავსად ღმრთისა“. ამრიგად, კაცი ღვთის შემეცნებით განახლდება[204] „მისივე შემოქმედის ხატად“, და სულიერად ქცეული „განსჯის ყველაფერს, თვითონ კი არავისგან არ განისჯება“[205].

XIII

33. ხოლო სიტყვები - „განსჯის ყველაფერს“ - იმასა ნიშნავს, რომ ადამიანს მორჩილებენ ზღვის თევზები და ცის ფრინველები, ყოველი მხეცი და ცხოველი, მთელი ქვეყანა და მიწაზე მხოხავი ყველა ქვემძრომი[206]. ის მბრძანებლობს მათზე თავისი გონების ძალით, რომლითაც ესმის, რომ „ღვთის სულისაგან არის“[207]. თორემ „ადამიანი, რომელიც პატივშია და არ კი ესმის ეს, შეიძლება უგუნურ პირუტყვს შევადაროთ და მასვე ვამსგავსოთ“[208].

ამიტომ შენს ეკლესიაში, ღმერთო ჩვენო, შენი წყალობით, რომელიც მიჰმადლე მას, - „რადგანაც შენი ქმნილებანი ვართ, კეთილ საქმეთათვის შექმნილნი“[209], - მარტოოდენ სულიერი წინამძღვარნი კი არ არიან, არამედ ისინიც, სულიერად რომ ჰმორჩილებენ მათ.

---

[200] დაბად. I, 26.
[201] იგულისხმება პავლე მოციქული. იხ. I კორ. IV, 15: „ვინაიდან მრავალი მზრდელი გყავთ ქრისტეს მიერ, მაგრამ არა მრავალი მამა; რადგანაც ქრისტე იესოს მიერ სახარებით მე გშობეთ თქვენ“.
[202] იხ. I კორ. III, 1-2.
[203] რომ. XII, 2.
[204] კოლოს. III, 10.
[205] I კორ. II, 15.
[206] შდრ. დაბად. I, 26, 28.
[207] I კორ. II, 14.
[208] ფსალმ. 48, 21.
[209] ეფეს. II, 10.

აკი შენ შეჰქმენი ადამიანი, „კაცად და ქალად შეჰქმენი ისინი“[210], მაგრამ შენი სულიერი მადლით, „აღარც მამრია და აღარც მდედრი“, ვინაიდან „აღარც იუდეველია, აღარც წარმართი, აღარც მონა, აღარც თავისუფალი“[211]. ხოლო სულიერი ადამიანნი, წინამძღვა-რნიცა და მათი მორჩილნიც, სულიერად განსჯიან და განიკითხავენ[212]. მაგრამ მათი მსჯავრი სულიერ ჭეშმარიტებებს როდი ეხება, სამყაროში რომ ნათობენ, რადგანაც ამ ჭეშმარიტებათა ავტორიტეტი იმდენად მაღალია, რომ არავისა აქვს მათი განსჯის უფლება. იგივე ითქმის შენი წმიდა წიგნის მიმართაც, თუმცაღა მასშიაც არის ერთგვარი ბუნდოვანება: ჩვენ მას საკუთარ გონებას ვუქმემდებარებთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ თვით ისიც კი, რაც დაფარულია ჩვენი თვალისთვის, სწორად და მართებულადაა ნათქვამი. თუნდაც სულიერი და „ღმერთის, ანუ ხატად და მსგავსად თვისა მისი შემოქმედის შემეცნებით განახლებული კაცი“[213] სჯულის აღმსრულებელი იყოს, და არა მისი განმსჯელი თუ განმკითხველი[214]. ის როდი განსჯის, თუ ვინ უნდა მივაკუთვნოთ სულიერთ და ვინ - ხორციელთ. ეს მხოლოდ შენი ნათელმხილველი თვალისთვისა შესაძლებელი, უფალო, ჩვენთვის კი ჯერ არ გაცხადებულა მათი საქმე, რათა „თავიანთი ნაყოფით ვიცნოთ ისინი“[215]. ხოლო შენ, უფალო, ჯერ კიდევ მყარის შექმნამდე იცნობდი მათ, ჯერ კიდევ მანამ დაჰყავი და იდუმალი მიზნით იხმე ისინი. ამიტომ კაცი, სულ მთლად სულიერიც რომ იყოს, არ განიკითხავს ამა სოფლის მშფოთვარე ბრბოს. როგორ „განიკითხოს გარეშენი“, თუკი არ იცის, ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ ვის ელის შენი მოწყალების სიტკბოება, და ვის - მარადიული ტანჯვის სიმწარე?[216]

34. ამიტომ კაცს, რომელიც შენს ხატად შეჰქმენი, არ მისცემია ხელმწიფება არც ციურ მნათობებზე, არც თვით იდუმალ ცაზე, არც დღესა და ღამეზე, რომლებსაც ცის შექმნამდე უწოდე სახელი, და არც წყალთა შესაკრებელზე, ანუ ზღვაზე. მას მიეცა ხელმწიფება ზღვის თევზებსა და ცის ფრინველებზე, ყველა ცხოველზე და მთელს ქვეყნაზე, აგრეთვე ყველა ქვემძრომზე, რომლებიც დახოხავენ მიწაზე[217].

ის განსჯის და იწონებს იმას, რაც მართებულია, და იწუნებს იმას, რასაც უხამსობად მიიჩნევს, იქნება ეს საიდუმლოთა აღსრულებისას, რასაც ეზიარებიან ისინი, შენს გულმოწყალებას რომ მოუძიებია წყალთა სიღრმეში; წმიდა ტრაპეზისას, სადაც დებენ ზღვის უფსკრულიდან ამოყვანილ თევზს[218], რომელსაც შეექცევა ღვთისამოსავი მიწა[219]; შენი წიგნის ავტორიტეტს დაქვემდებარებულ ნიშანთა თუ სიტყვათა აზრში წვდომისას, ჩიტებივით რომ

[210] დაბად. I, 27.
[211] გალატ. III, 28.
[212] შდრ. I კორ. II, 15.
[213] შდრ. კოლ. III, 10.
[214] იხ. იაკ. IV, 11: „ნუ იტყვით, ძმანო, ერთმანეთის ძვირს; ვინც ძმის ძვირს იტყვის და განსჯის ძმას, სჯულის ძვირს იტყვის და განსჯის სჯულს; ხოლო თუ სჯულს განსჯი, სჯულის აღმასრულებელი კი არა ხარ, არამედ განმსჯელი“.
[215] მათე VII, 20.
[216] შდრ. I კორ. II, 26.
[217] დაბად. I, 28.
[218] იხ. აქვე, შენ. 177, 178.
[219] ე.ი. ღვთისმოშიში ადამიანი.

ფრთხიალებენ მყარს ქვემოთ, და განმარტავენ შენს წერილს, გადმოგვცემენ მის შინაარსს, ბჭობენ, კამათობენ მის გამო, ლოცვა-კუთხევას აღავლენენ და ხმაწკრიალა სიტყვებით გიხმობენ შენ, რათა ხალხმა პასუხად შეღაღადოს: ამინ! ყველა ეს სიტყვა წარმოთქმულ უნდა იქნეს, ყველამ უნდა გაიხმიანოს, რადგან „ეს სოფელი“ უფსკრულია, ხორცი კი - ბრმა: რაკიღა წმინდა აზრის დანახვა არ ძალუძს, ამიტომ აუცილებელია ხმამაღალი ბგერებით განიწონოს მისი სასმენელი. და თუმცა ფრინველებიც მიწაზე მრავლდებიან, მაინც წყალისაგან იღებენ დასაბამს.

სულიერი კაცი განსჯის და იწონებს იმას, რაც მართებულია, და იწუნებს იმას, რასაც უკეთურად მიიჩნევს მორწმუნეთა ქცევასა თუ ზნე-ჩვეულებებში, მათ მონყალებაში, მიწის ნაყოფიერებას რომ მოგვაგონებს; ის განსჯის ცოცხალ სულს, რომლის ვნებებიც მოუთვინიერებია უმანკოებას, მარხვას და საღვთისმოსაო აზრებს[220] იმის შესახებ, თუ რა შეიძლება აღიქვას ხორციელი გრძნობებით. ასე რომ, მხოლოდ იმას განსჯის, რისი გამოსწორებაც შეუძლია.

XXIV

35. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ან ეს რა საიდუმლოა? აჰა, შენ აკურთხებ, უფალო, ადამიანებს: იზარდეთ, იმრავლეთ და აღავსეთ ქვეყანაო[221]. ხომ არ მიგვანიშნებ ამით რაღაც ისეთზე, რასაც უნდა ჩავწვდეთ და გავიგოთ? რატომ არ აკურთხე ამნაირადვე ნათელი, რომელსაც დღე უწოდე?[222], ანდა ცამყარი, მნათობები თუ ვარსკვლავები, მიწა თუ ზღვა? მე ვისურვებდი, ღმერთო ჩვენო, მეთქვა, რომ შენ, რომელმაც შენს ხატად და მსგავსად შეგვქმენი[223], კეთილ-ინებე მხოლოდ კაცნი გეკუთხებინა; ვისურვებდი, მაგრამ აკი ასევე აკურთხე თევზებიც და ზღვის ურჩხულნიც: იზარდეთ, იმრავლეთ და აღავსეთ წყალნი ზღვისანი, ხოლო ფრინველებმა იმრავლონ ქვეყანაზეო. მე ვიტყოდი, რომ ეს კურთხევა ეხეა იმ არსებებს, რომლებიც შთამომავლობას აჩენენ და ამრიგად აგრძელებენ თავიან გვარს, მაგრამ ვერ ვნახე, რომ ასევე გეკუთხებინოს ხეებიც, ბუჩქებიც და ცხოველებიც. „იზარდეთ და იმრავლეთო“, - ეს არც ბალახებზეა ნათქვამი, არც ხეებზე, არც ცხოველებსა და გველებზე, თუმცაღა ისინი, თევზების, ფრინველებისა და ადამიანებისა არ იყოს, თავიანთ ნაშიერთ აჩენენ და ასე იცავენ, ასე ინახავენ თავიანთ ჯიშსა და ჯილაგს.

36. მაშ, რა ვთქვა, ნათელო და ჭეშმარიტებავ ჩემო? - ის, რომ ფუჭად და ტყუილუბრალოდ ითქვა ეს სიტყვები? არამც და არამც, მამაო ღვთისმოსაობისაო! შორს შენი მსახურისგან ამგვარი სიტყვა! თუ მე არ მესმის მისი აზრი, მაშინ, დაე, ჩემზე უკეთესებმა, ესე

[220] შდრ. II კორ. VI, 5.
[221] დაბად. I, 28.
[222] დაბად. I, 5.
[223] დაბად. I, 26-27.

იგი, ჩემზე უფრო ჭკვიანებმა განმარტონ იგი; აკი ყველას მისი შესაფერისი გამჭრიახობა უბოძე, ღმერთო ჩემო.

მაშ, შეინყნარე ჩემი აღსარება, შენს წინაშე რომ წარმოვთქვამ. ვაღიარებ ჩემს რწმენას, უფალო; დიახ, ვაღიარებ, რომ ტყუილად როდი გითქვამს ეს. იმასაც ვიტყვი, რანაირი აზრები აღმიძრა ამ ადგილის კითხვამ. ისინი სარწმუნონი არიან, და მე ვერ ვხედავ, რა მიშლის ხელს იმაში, რო გადატანითი მნიშვნელობით მესმოდეს შენი წერილის სიტყვები. მე ვიცი, რომ ის, რაც ერთსახოვნად აღიქმება გონების მიერ, სიტყვიერად შეიძლება მრავალსახოვნად გამოიხატოს, ხოლო ის, რაც მრავალსახოვნად აღიქმება გონებით, შეიძლება ერთადერთი სიტყვიერი ფორმულით იქნეს გამოხატული[224]. აი, ერთიანი აზრი ღმერთისა და მოყვასის სიყვარულის შესახებ; აზრი, რომელიც უამრავი სხვადასხვა სიმბოლოთი, ურიცხვი ენითა და თვითეულ ენაში უთვალავი სახითაა გამოთქმული.

აი, ასე იზრდებიან და მრავლდებიან წყლის ნაშიერნი. დაე, ჩემმა მკითხველმა ყურადღება მიაქციოს შემდეგს: აი, საღმრთო წერილის ერთი წინადადება მისი ერთადერთი სახით: „თავდაპირველად შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“[225]. განა ათასნაირად არ ესმით იგი (მე არ ვგულისხმობ მცდარსა და ყალბ გაგებას), იმ ურიცხვი თვალსაზრისის შესაბამისად, რომელთაგანაც თვითეული სწორი და სარწმუნო ჩამს? აი, ასე იზრდებიან და მრავლდებიან ადამის ძენიც.

37. თუ ჩვენ ისე ვიფიქრებთ საგანთა ბუნების შესახებ, რომ არავითარ ალეგორიას არ მივმართავთ, მაშინ სიტყვები - „იზარდეთ და იმრავლეთ“ ყველაფერს სეიძლება მიესადაგოს, რაც კი თესლისაგან იბადება. ხოლო თუ მათ გადატანითი მნიშვნელობით გავიგებთ - მე მგონია, სწორედ ეს იყო საღმრთო წერილის მიზანი: ტყუილად ხომ არ აკურთხებს მარტოოდენ ზღვის ცხოველებს და ადამიანებს, - მაშინ ამ „სიმრავლეს“ სულიერ და სხეულებრივ არსებებს შორის აღმოვაჩენთ, - ისინი აღინიშნებიან სიტყვებით „ცა და მიწა“, - ისევე, როგორც მართალთა და ცოდვილთა შორის, რომელთაც „ნათლით და ბნელით“ აღნიშნავენ; იმავე „სიმრავლეს“ ვპოვებთ წმიდა ავტორებშიც, რომლებმაც გვიბოძეს სჯული (როგორც მყარში, წყალსა და წყალს შუა რომ დაამკვიდრე); ადამიანებთან მწარე ურთიერთობაშიც (როგორც ზღვაში); ღვთისმოსავ სულთა გზნებაშიც (როგორც „ხმელში“); ამქვეყნად აღსრულებულ გულმოწყალების ყველა საქმეშიც (როგორც „ნათეს ბალახსა თუ ნაყოფიერ ხეებში“); ჩვენდა სასიკეთოდ გაცხადებულ ყველა სულიერ ნიჭშიც (როგორც „ცის მნათობებში“) და ზომიერებით დაურვებულ გულისთქმაშიაც (როგორც „ცოცხალ სულში“).

[224] ნეტარი ავგუსტინე ცდილობს ახალი თვალსაზრისითა და ახალი სიმბოლური გამოხატულებით განამტკიცოს ბიბლიის ცალკეულ პასაჟთა სხვადასხვანაირი გაგების მისეული კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ამ სხვადასხვა გაგებათაგან მხოლოდ ერთი როდი შეიძლება იყოს ლეგიტიმური. იხ. მეთორმეტე წიგნის შენ. 93.
[225] დაბად. I, 1.

მთელს ამ სიმრავლეში ჩვენ აღმოვაჩენთ სიჭარბეს, ზრდას და მატებას, მაგრამ ეს „ზრდა და სიმრავლე“ იმნაირია, რომ მხოლოდ გრძნობად ხატებათა და გონით საწვდომ მოვლენათა სამყაროშია შესაძლებელი ერთი და იგივე რამ ათასნაირად გამოითქვას, ხოლო ერთი, ერთადერთი დებულება ათასნაირად იქნას გაგებული.

წყალთა ნაშიერებად ჩვენს მიერ იგულისხმებიან ის გრძნობადი ხატებანი, რომელნიც აუცილებელნი არიან უკიდურესად ხორციელ კაცთათვის; კაცთა ნაშიერებად კი - ნაყოფიერი გონების მიერ ნაშობი აზრობრივი წარმოდგენები.

ჩვენ გვგონია, რომ ერთთაც და მეორეთაც სწორეს ამიტომ უთხარი, უფალო: იზარდეთ და იმრავლეთო. ჩემის აზრით, ამ კურთხევამ მოგვმადლა იმის ძალა და უნარი, რომ ერთსახოვნად აღქმული მრავალსახოვნად გამოვხატოთ, და მრავალსახოვნად გვესმოდეს ერთსახოვნად გამოხატული ბნელი და ბუნდოვანი ადგილი[226]. ასე აღივსებიან წყალნი ზღვისანი და ფრთონავენ სხვადასხვა განმარტებით აზვირთებულნი[227]. ასე აღივსება მიწაც კაცთა ნაშიერით; მის სიხმელე[228] ცოდნისკენ სწრაფვაში ვლინდება, და გონება მბრძანებლობს მასზე[229].

XXV

38. იმის თქმაც მინდა, უფალო ღმერთო ჩემო, თუ რას შთამაგონებენ შენი წერილის მომდევნო გვერდები. თამამად ვიტყვი ყველაფერს, რადგანაც, შენს მიერ შთაგონებული, სიმართლეს ვიტყვი. სწორედ შენ მკარნახობ იმას, რისი თქმაცა გსურს ჩემი მეშვეობით. მწამს, რომ სიმართლეს ვამბობ შენი შეგონებით, რადგანაც მხოლოდ შენა ხარ ჭეშმარიტი[230], „ყოველი კაცი კი ცრუა“[231]. ამიტომ „ვინც სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს“[232]. ასე რომ, სიმართლის სათქმელად შენმიერის თქმა მმართებს.

აი, შენ მოგვეცი საზრდოდ „ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კია დედამიწის ზურგზე, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი“[233], - და არა მარტო ჩვენ, არამედ

---

[226] ნეტარ ავგუსტინეს მიაჩნდა, რომ მთელი საღმრთო წერილი ღრმა და საიდუმლო მნიშვნელობითაა სავსე, რომელიც მიკვლეულ უნდა იქნენ, რადგან ეს საკრაული მნიშვნელობა პირდაპირი, სიტყვა-სიტყვითი გაგებითაა მიჩქმალული. „ეჭვი არ მეპარება, რომ საღმრთო წერილის სიბნელე და ბუნდოვანება წინასწარ განსაზღვრულია ღვთაებრივი სიბრძნით, რომელმაც ინება შრომით მოედრიკა ადამიანის სიამაყე და ამრიგად ეხსნა მისი გონება იმის უგულებელყოფისაგან, რასაც ის შეიძლება ადვილად ჩასწვდეს“... („ქრისტიანული მოძღვრებისათვის“, II,6,7).

[227] მცონარა გონება უნდა გამოვაღვიძოთ იმის წყალობით, რომ საშუალება არ მივცეთ ერთადერთი განმარტებით დაკმაყოფილდეს.

[228] „მიწის სიხმელე“ - იგულისხმება იმ სულთა სწრაფვა შემოქმედისკენ, „რომლებსაც ღმერთი სწყურიათ“ (იხ. ამავე წიგნის 21-ე თავის დასაწყისი).

[229] აქ ალეგორიულად იგულისხმება შემდეგი: გონება მართავს ხმელეთს (ანუ ეკლესიას, - იხ. აქვე, შენ. 116), მაშინ როდესაც „წყალთა“ (ე.ი. საწუთროს) ხორციელი გონება ნიშებსა და სასწულებს მოითხოვს... „კაცთა ნაშიერსო“ რომ ამბობს, ნეტარი ავგუსტინე სხვადასხვა კონცეფციას, ადამიანური გონების ნაირ-ნაირ ნაყოფს გულისხმობს.

[230] შდრ, იოანე XIV, 6.

[231] ფსალმ. 115, 2.

[232] იოანე VIII, 44.

[233] დაბად. I, 29.

ყოველ ფრინველს ზეცისას, ცხოველს ქვეყნისას და თვით გველებსაც, თევზებისა და ზღვის ურჩხულთათვის კი არ მიგიცია.

ჩვენ ვამბობთ, რომ მინის ეს ნაყოფნი ალეგორიულად განასახიერებენ მოწყალების საქმეს, რასაც ამქვეყნიურ გასაჭირში გვთავაზობს ნაყოფიერი მინა: ამნაირი მინა იყო ღვთისმოსავი ონესიფორე, ვის სახლსაც მიაგე წყალობა, რადგანაც „მრავალგზის მოუფონა“ პავლეს და „სირცხვილად არ უჩნდა მისი ბორკილები“[234]. იგივე მოიმოქმედეს „მაკედონიიდან მოსულმა ძმებმა“, რომლებმაც მოიწიეს უხვი მოსავალი და „შეავსეს მისი ნაკლულოვანება“[235]. მაგრამ ზოგ ხეს კი უჩივის, ჯეროვანი ნაყოფი რომ არ გამოიღეს მისთვის: „ჩემი პირველი თავის მართლებისას არავინ ამომიდგა მხარში, არამედ ყველამ მიმატოვა; ნუ მოეკითხება მათ“[236]. ეს „ნაყოფი“ უნდა მიეძღვნას იმათ, ვინც გვაზიარებს გონივრულ მოძღვრებას და ღვთაებრივი საიდუმლოს შეცნობაში გვშველის; ეს „ნაყოფი“ უნდა მიეძღვნას მათ, როგორც ადამიანებს და კეთილისმყოფელთ, ყოველგვარი მოთმინების მისაბაძ ნიმუშად რომ სთავაზობენ თავიანთ თავს „ცოცხალ სულს“, აგრეთვე როგორც ცის ფრინველებს, მათი კურთხევის გამო, მთელ დედამიწას რომ მოეფინება, რადგანაც „ქვეყნიერებას კიდით კიდემდე სწვდება მათი სიტყვები“[237].

XXVI

39. ამ საზრდოთი საზრდოობენ ისინი, ვინც მას შეჰხარის; არ ხარობს ის, „ვისი ღმერთიც არის მუცელი“[238]. და მათ შორისაც, ვინც „ნაყოფს“ სთავაზობს მოყვასს, „ნაყოფის“ სახელს ის კი არ იმსახურებს, რასაც ისინი იძლევიან, არამედ ის გრძნობა, რომლითაც მას იძლევიან.

მე ვხედავ, რომ შეჰხარის ის, ვინც ღმერთს ემსახურება და არა თავის მუცელს, ვხედავ და ვულოცავ კიდეც. მან ფილიპელთაგან მიიღო ის, რაც ეპაფროდიტოსის ხელით გამოეგზავნათ[239]; მე ვხედავ, რაც უხარია, და რაც უხარია, სწორედ ისაა მისი საზრდო, ვინაიდან მართალს ამბობს: „დიდად გავიხარე უფლის მიერ, რომ კვლავ დაიწყეთ ჩემზე ზრუნვა; თუმცა უწინაც ზრუნავდით, მაგრამ ვითარებამ დაგაბრკოლათ“[240]. ფილიპელები დამყაყდნენ ამ ხანგრძლივი დაბრკოლების გამო რამაც დააჭკნო მათი ქველმოქმედების ნაყოფი. მოციქულს უხარია, რომ კვლავ ამოიწვერა მათი მზრუნველობის ნორჩი ყლორტები; თავისი თავის კი არა, იმის გამო ხარბს, რომ შეეწიენ მის გასაჭირს. აკი იქვე დასძენს: „იმიტომ როდი ვამბობ, რომ რამე მაკლია, რადგან მე ვისწავლე კმაყოფილი იყო იმით, რაცა მაქვს.

[234] იხ. II ტიმ. I, 16: „წყალობა მისცეს უფალმა ონესიფორეს სახლს, რადგანაც მრავალგზის მომიფონა, და სირცხვილად არ უჩნდა ჩემი ბორკილები“.
[235] იხ. II კორ. XI, 9.
[236] II ტიმ. IV, 16.
[237] ფსალმ. 18, 5.
[238] ფილიპ. II, 19; შდრ. რომ. XVI, 18.
[239] იხ. ფილიპ. IV, 18.
[240] ფილიპ. IV, 10.

გაჭირვებაც ვიცი და ხელგაშლილობაც; ყველაფერი მისწავლია ყოველში, სიმაძღრეც და შიმშილიც, სიმწირეც და სიუხვეც. ყველაფერი შემიძლია ჩემი გამაძლიერებელი ქრისტეს მიერ“[241].

40. მაშ, რა გიხარია, დიდო პავლე? რა გიხარია და რა გასაზრდოებს, კაცო, ღმერთის შემეცნებით განახლებულო[242], ღმერთისა, ხატად და მსგავსად თვისაც რომ შეგქმნა შენ? რა გიხარია, ცოცხალო სულო, შენივე თავის ბატონ-პატრონო, ფრთიანო ენავ, საიდუმლოთა არსზე მეტყველო? სწორად ამბაირ სულებს შეჰფერის ეს საზრდო. კი მაგრამ, მაინც რა გასაზრდოებს? - სიხარული. შემდეგიც მოვისმინოთ: „კარგად მოიქეცით რომ გაიზიარეთ ჩემი გასაჭირი“[243]. აი, რა ახარებს, აი, რა ასაზრდოებს: მათი კარგად ქცევა, და არა თავისი გასაჭირის შემსუბუქება. ის ამბობს: „ვიწროების ჟამს შენ მომეცი გასაქანი“[244], რადგანაც ყველაფერს მიეჩვია - „სიუხვესაც და სიმწირესაც“, შენი შეწევნით, უფალო, რომელიც განამტკიცებდი და გააძლიერებდი მას. „ხოლო თქვენც იცით, ფილიპელნო, - კვლავ ამბობს იგი, - რომ სახარების დასაბამს, როცა გამოვედი მაკედონიით, არცერთმა ეკლესიამ არაფერი გამიზიარა, მოცემითა თუ მიღებით, თქვენს გარდა, ვინაიდან თვით თესალონიკეშიც ერთი-ორჯერ გამომიგზავნეთ, რაც საჭირო იყო ჩემთვის“[245]. და მას უხარია, რომ ისინი კვლავ მიუბრუნდნენ ქველმოქმედებას, და ნეტარებას ეძლევა, რაკიღა ხედავს, როგორ იზრდება მათში სიკეთის ნორჩი ყლორტები, თითქოს დიდი ხნის ნანატრი წვიმის შემდეგ ხელახლა აბიბინებულ ყანას ხედავსო.

41. განა თავის საჭიროებაზე ფიქრობდა, როცა თქვა: „გამომიგზავნეთ, რაც საჭირო იყოს ჩემთვისო“? განა ეს უხაროდა? არა, ეს არა. კი მაგრამ, რა ვიცით? ცოტა ქვემოთ თვითონვე ამბობს: „საბოძვარს კი არ ვეძებ, არამედ ნაყოფს“[246].

შენგან ვისწავლე, ღმერთო ჩემო, საბოძვარისა და ნაყოფის გარჩევა. „საბოძვარია“ ის, რასაც გვაძლევენ გასაჭირში ჩვენი შემწენი: ფული, სასმელ-საჭმელი, შესამოსელი, დახმარება, თავშესაფარი. „ნაყოფი“ კი საბოძვარის გამღების წრფელი და კეთილი ნებაა. ამიტომ კეთილ მოძღვარს მარტოოდენ ეს როდი უთქვამს: „ვინც შეიწყნარებს წინასწარმეტყველს“, არამედ იქვე დასძენს: „წინასწარმეტყველის სახელით“; არც მხოლოდ ეს უთქვამს: „ვინც შეიწყნარებს მართალს“, არამედ იქვე უმატებს: „მართლის სახელით“. მხლოდ მაშინ მიიღებს საზღაურს ერთი - წინასწარმეტყველისას, ხოლო მეორე - მართლისას[247]. არც მარტოოდენ ამას ამბობს: „ვინც ცივ წყალს მიაწვდის ერთს ამ მცირეთაგანს“, არამედ დასძენს: „მონაფის სახელით“, და

[241] ფილიპ. IV, 11-12.
[242] იხ. კოლოს. III, 10.
[243] ფილიპ. IV, 14.
[244] ფილიპ. 4, 2.
[245] ფილიპ. IV, 15-16.
[246] ფილიპ. IV, 17.
[247] მათე X, 41: „ვინც წინასწარმეტყველის სახელით შეიწყნარებს წინასწარმეტყველს, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს; და ვინც მართლის სახელით შეიწყნარებს მართალს, მართლის საზღაურს მიიღებს“.

ასე აგრძლებს: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, არ დაეკარგება თავისი საზღაური“[248]. წინასწარმეტყველის შეწყნარება, მართლის შეწყნარება, ვიცი წყლის მინვდა მოწაფისათვის - ყოველივე ეს საბოძვარია, ნაყოფი კი ისაა, რომ ყველაფერ „წინასწარმეტყველის სახელით“, „მართლის სახელით“, „მოწაფის სახელით“ გაკეთდეს. ამნაირი ნაყოფით საზრდოობდა ელია ქვრივი ქალისას, რომელმაც იცოდა, რომ ღვთის კაცს ინახავდა, და სწორეს ამიტომ ინახავდა მას. საბოძვარს კი ყვავისაგან იღებდა იგი[249]: ამ საზრდოთი შინაგანი ელია კი არ საზრდოობდა, არამედ გარეგანი, რომელიც შეიძლებოდა დაღუპულიყო ამნაირი საზრდოს გარეშე.

XXVII

42. იმასაც ვიტყვი, უფალო, რაც ჭეშმარიტია შენს თვალში. როდესაც უმეცარნი და ურწმუნონი[250], რომელნიც მხოლოდ ნიშებითა და დიადი სასწაულებით თუ შეიძლება ეზიარონ რწმენას და შეემატონ შენს სამწყსოს (მე მგონია, სწორედ ესენი იწოდებიან საღმრთო წერილში „თევზებად“ და „ზღვის ურჩხულებად“), - თავს იდებენ დაეხმარონ და ცხოვრებისეულ გასაჭირში შეეწიონ შენს შვილებს[251], ისე, რომ არც კი იციან, რისთვის, ან რა მიზნით სჩადიან ამას, არც ისინი გასცემენ ჭეშმარიტ საზრდოს, და არც სხვები ღებულობენ მას. პირველნი ქველმოქმედები წმინდა და წრფელი განზრახვით როდი იქცევიან ასე, მეორენი კი არ ხარობენ მათგან მიღებული საბოძვარით, რადგან ჯერ კიდევ ვერ ხედავენ „ნაყოფს“. სულს კი მხოლოდ ის ასაზრდოებს, რაც სიხარულს ანიჭებს მას. ამიტო

იგივე შეიძლება ითქვას მშვენიერ სხეულებზედაც. მთელი სხეული, რომელიც მშვენიერი ნაწილებისაგან შედგება, გაცილებით უფრო მშვენიერია, ვიდრე თვითეული ნაწილი ცალ-ცალკე. ყოველი მათგანი თავისთავადაც მშვენიერია, მაგრამ მხოლოდ მათი მწყობრი ურთიერთშერწყმა წარმოქმნის მშვენიერზე მშვენიერ მთელს.

XXIX

44. მე ვცდილობდი გამეგო, მაინც რამდენჯერ - შვიდჯერ თუ რვაჯერ იხილე, რომ შენი ქმნილება კარგია და შენთვის მოსაწონი. მაგრამ ვერსად მივაკვლიე იმის დასტურს, რომ ეს მოხილვა დროში ხდებოდა, რაც საშუალებას მომცემდა დამედგინა, რამდენჯერ მოიხილე შენი ქმნილება. და მაშინ შემოგღაღადე: „უფალო, განა მართალი არ არის შენი წერილი, რომელიც შენ, თვით ჭეშმარიტებამ და სიმართლემ, მოგვეცი?![253] მაშ, რაღად გვეუბნები, რომ ეს შენი მიმოხილვა დროში არ ხდებოდა, შენი წერილი კი გვიჩვენებს, რომ დღითიდღე უმზერდი შენს ქმნილებას და კეთილად მიგაჩნდა იგი; - ვინ მოსთვლის, რამდენჯერ დამითვლია ეს!“

ამაზე შენ მეუბნები, რადგანაც ჩემი ღმერთი ხარ, შინაგან ყურში ჩამძახი და შემუსრავ მის სიყრუეს: „ჰე, კაცო, რასაც ჩემი წერილი ამბობს, იმას მე ვამბობ. მხოლოდ ის დროში იტყვის, ჩემი სიტყვა კი დროს არ ექვემდებარება, რადგანაც მარადჟამ ჩემთანაა, ჩემივე თანამარადისი[254]. რასაც თქვენ ჩემი სულით ხედავთ, იმას მე ვხედავ; რასაც თქვენ ჩემი სულით იტყვით, იმას მე ვიტყვი. მაგრამ თქვენ დროში ხედავთ, ხოლო მე - დროის გარეშე; ზუსტად ასევე, თქვენ დროში იტყვით, ხოლო მე - დროის გარეშე“.

XXX

45. მე მოვისმინე ეს, უფალო ღმერთო ჩემო, და არ დამიღვრია შენი უტკბესი ჭეშმარიტების არცერთი წვეთი. მე მივხვდი, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ შენი საქმენი[255]: ისინი ამტკიცებენ, რომ ბევრი რამ აუცილებლობით იძულებულმა შეჰქმენი, როგორც მაგალითად, ცათა წესრიგი და მნათობთა განლაგება; მათი აზრით, შენი საკუთარი მასალისაგან კი არ შეგიქმნია ისინი, არამედ უკვე სადღაც იყვნენ, ვიღაცის მიერ შექმნილნი, შენ კი მხოლოდ შეკრიბე, შეაერთე და შეაკავშირე, როცა სძლიე შენი მტრები და გალავნით შემოზღუდე სამყარო, რათა ძლეულნი კვლავაც არ აღძრულიყვნენ შენს წინააღმდეგ; ხოლო ბევრი რამ თურმე საერთოდ არ შეგიქმნია და არც მოგიწესრიგებია: არც ხორციელი არსებანი, არც პაწაწკინტელა ცხოვრელები, არც ის, რაც მიწას ჩასწვნია და ჩასჭიდებია

[253] შდრ, იოანე III, 33.
[254] იგულისხმება იესო ქრისტე.
[255] იგულისხმებიან მანიქეველები.

ფესვებით: ყოველივე ეს თითქოს სხვა, მტრულმა ბუნებამ შექმნა და ჩამოაყალიბა სამყაროს ქვედა სფეროში, ბუნებამ, რომელიც შენ კი არ შეგიქმნია, არამედ უცხოა შენთვის და კიდევაც გიპირისპირდება თურმე[256].

უგუნურნი ამბობენ, რომ შენ თვალით როდი ხედავენ შენს საქმეებს, და ვერც შენ გცნობენ მათში.

XXXI

46. ხოლო ვინც შენი სულითა ხედავს, სწორედ შენ ხედავ მათში. და როცა ისინი ხედავენ, რომ შენი ქმნილებანი კარგნი არიან, ისევ შენ ხედავ მათ სიკარგეს. ხოლო იმაში, რაც მათთვის ძვირფასია შენს გამო, თვითონ შენა ხარ ძვირფასი მათთვის; ის კი, რაც შენი სულით მოგვწონს, შენვე მოგწონს ჩვენში. „რადგან რომელმა კაცთაგანმა იცის კაცისა, თუ არა კაცის სულმა, რომელიც არის მასში? ასევე არავინ იცის ღმრთისა, თუ არა ღმრთის სულმა. ხოლო ჩვენ ამ ქვეყნის სული კი არ მიგვიღია, არამედ სული, რომელიც არის ღმრთისაგან, რათა ვიცოდეთ, რა მოგვანიჭა ღმერთმა“[257].

მაშასადამე, მე უფლება მაქვს ვთქვა: რა თქმა უნდა, „არავინ იცის ღმრთისა, თუ არა ღმრთის სულმა“. მაგრამ ვინ იცის, „რა მოგვანიჭა ღმერთმა“? აი, რა მესმის პასუხად: რაც ჩვენ ვიცით მისი სულით, „არავინ იცის, თუ არა ღმრთის სულმა“. ასე რომ, მართებულად ითქვა მათ მიმართ, ვინც ლაპარაკობს ღმრთის სულით: „თქვენ როდი ამბობთ ამას“[258], ისევე, როგორც მართებულად ითქვა მათ მიმართაც, ვინც იცის ღმრთის სულით: „თქვენ როდი იცი ეს“. არანაკლებ მართებული იქნება, თუ ვეტყვით მათ, ვინც ღმრთის სულითა ხედავს: „თქვენ როდი ხედავთ ამას“. ამრიგად, ვინც ღმრთის სულითა ხედავს რაღაც კარგს, თვითონ კი არა, ღმერთი ხედავს, რომ ეს კარგია.

აი, პირველი შემთხვევა: ვიღაცას ცუდი ჰგონია ის, რაც კარგია, - იმ ხალხის მსგავსად, ვისზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. აი, მეორე: ადამიანი ხედავს, რომ კარგი კარგია; ბევრს მოსწონს შენი ქმნილებანი, იმიტომ, რომ კარგნი არიან, მაგრამ შენ როდი უყვარხართ მათში; ისინი ამჯობინებენ ამ ქმნილებებით ტკბებოდნენ, და არა შენით. და ბოლოს, მესამეც: ადამიანი ხედავს რაღაც კარგს; ეს რომ კარგია, ამას ღმერთი ხედავ მასში, და ამიტომ ღმრთის ქმნილებაში თვით ღმერთი უყვარს. მაგრამ ამ სიყვარულს შეეძლო თავი ეჩინა მხოლოდ სულის მეშვეობით, რომელსაც ღმერთი გვანიჭებს: „ვინაიდან ღმრთის სიყვარული ჩაიღვარა ჩვენს უგლებში სულის წმიდის მიერ, რომელიც მოგვეცა ჩვენ“[259]. სწორედ ეს გვაძლევს იმის დანახვის საშუალებას, რომ კარგია ყოველივე არსებული, მიუხედავად იმისა, თუ რანაირად

[256] იხ. მესამე წიგნის შენ. 25.
[257] I კორ. II, 11-12.
[258] შდრ. მათე X, 20: „რადგან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ სული თქვენი მამისა ილაპარაკებს თქვენში“.
[259] რომ. V, 5.

არსებობს ივი: ყველაფერი მის მიერია, ვინც ასე თუ ისე კი არ არსებობს, არამედ აბსოლუტურად არსებობს[260].

XXXII

47. მადლობას გწირავ, უფალო![261] ჩვენ ვხედავთ ცასა და მიწას, ანუ მატერიალური სამყაროს ზედა და ქვედა ნაწილს: სულიერსა და სხეულებრივ არსებებს. და როგორც სამკაულს ამ ნაწილებისასმ რომელთაგანაც შედგება მთელი ეს უსასრულო სამყარო, ანუ ყოველი ქმნიელბის დიადი ერთობლიობა, - ჩვენ ვხედავთ ნათელს, შექმნილსა და ბნელისაგან გამოყოფილს. ვხედავთ ცამყარსაც, ზენა, ანუ სოლიერსა და ქვენა, ანუ მატერიალურ წყალთა შორის რომ მდებარეობს, სამყაროსა პირველ სხეულსა და იმ ჰაეროვან სივრცეს, რომელსაც ასევე ცას უწოდებენ, სადაც დაჰქრიან ცის ფრინველები, იმ წყალთა შუა, რომელთაგანაც ერთნი, ორთქლად ქცეულნი, სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევენ, რათა მშვიდი და მყუდრო ღამით ცვარ-ნამად დაეფინონ მიწას, მეორენი კი, უფრო მძიმენი, ღვართქაფად თავს ატყდებიან ქვეყენას. ჩვენ ვხედავთ ზღვის უკიდეგანო სივრცეში ერთად შეკრებილ წყალთა მშვენებას; მიწას, ხან უსახოს და უდაბურს[262], ხანაც ხილულსა და სიკეთით შემკულს, ხეთა და ბალახთა დედას[263]. ვხედავთ ცის თაღზე მოელვარე მნათობებს: მზეს, ურომლისოდაც არ იქნებოდა დღე, და ღამის ნუგეშს - მთვარესა და ვარსკვლავებს; ყველა ისინი დროის ნიშნებად და საზომად გვევლინებიან[264]. ჩვენ ვხედავთ, რომ ნოტიო სტიქიონი მთლიანად თევზებით, ვეება ურჩხულებითა და ფრთოსანი არსებებითაა დასახლე-ბული[265], რადგანაც ჰაერის სიმკვრივეს, ფრინველთა ფრენას რომ უწყობს ხელს, წყალთაგან ანადენი ორთქლი განაპირობებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყნიერების ზედაპირი მიზიერ ცხოველებს დაუმშვენებიათ; ვხედავთ კაცსაც, შენს ხატად და მსგავსად შექმნილს და ყველა უგონო ცხოველის მეუფედ და მბრძანებლად დასმულს[266], სწორედ შენი ხატებიას და მსგავსების, ანუ გონიერებისა და შემეცნების ძალით. და როგორც მის სულში ერთი ნაწილი განსჯის და ბრძანებს, მეორე კი მას ემორჩილება, ხორციელად ასევეა შექმნილი კაცისთვის ქალიც: მისი ბუნება, გონიერებით და შემეცნებით, კაცის ბუნების სწორია, მაგრამ თავისი სქესით ქალი კაცს ექვემდებარება, მსგავსად იმისა, როგორც მოქმედების სურვილი ექვემდებარება გონების კარნახს, სწორი მოქმედების გზას რომ უჩვენებს მას. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ქმნილება კარგია, ხოლო ყველა ერთად - ძალიან კარგი.

---

[260] შდრ. გამოსვლა III, 14.
[261] გამოცხ. XI, 17.
[262] შდრ. დაბად. I, 2.
[263] შდრ. დაბად. I, 9; 11-12.
[264] შდრ. დაბად. I, 14-18.
[265] შდრ. დაბად. I, 20-21.
[266] შდრ. დაბად. I, 27-28.

XXXIII

48. გადიდებენ, უფალო, შენი საქმენი[267], რათა შეგიყვაროთ ჩვენ, და ჩვენ გვიყვარხარ, რათა შენი საქმენი გადიდებდნენ შენ. დროშია მათი დასაბამიც და დასასრულიც, აისიცა და დაისიც, აღმასვლაც და დაღმასვლაც, მშვენიერებაც და არასრულქმნილებაც. მათ დილას საღამო მოსდევს, შეუმჩნევლადაც და ცხადადაც.

ყველაფერი „არაფრისგან“ შეჰქმენი შენ, თუმცა შენი საკუთარი სუბსტანციისაგან კი არა, არამედ მატერიისაგან; მაგრამ არა იმ მატერიისაგან, რომელიც არ გეკუთვნის შენ, ანდა უწინაც არსებობდა, არამედ შენს მიერ სამყაროს შექმნასთან ერთად შექმნილისაგან, რადგანაც უსახოს შენ მიანიჭე სახე დროის ყოველგვარი შუალედის გარეშე.

სხვაა მატერია ცისა და სხვაა მატერია მიწისა, სხვადასხვანაირია ცისა და მიწის იერიც. ეს მატერია შენ შეჰქმენი „არაფრისაგან“, სამყარო კი - ამ უსახო მატერიისაგან. ორივენი ერთად შეჰქმენი: უსახო მატერიამ ყოველგვარი შეყოვნების გარეშე მიიღო სახე.

XXXIV

49. ჩვენ ვფიქრობდით, რა ალეგორიული აზრი გსურდა ჩაგედო შესაქმის ამნაირ თანმიმდევრობაში, ანდა იმავე შესაქმის სიტყვიერად გადმოცემის ამნაირ წყობაში. ჩვენ ვნახეთ, რომ ყოველი შენი ქმნილება, ცალკე აღებული, კარგია, ხოლო ყველა ერთად - ძალიან კარგი. შენს სიტყვაში კი, შენს მხოლოდშობილ ძეში, მთელი ცა და მიწა ვიხილეთ, ეკლესიის თავი და სხეული, წინასწარგანსაზღვრულნი ყოველგვარი დროზე უწინარესად, ყოველგვარი ცისკრისა თუ მწუხრის გარეშე. ხოლო როდესაც წინასწარგანსაზღვრულის დროში ხორცშესხმა დაიწყე, რათა გაგეცხადებინა დაფარული და მოგეწესრიგებინა ჩვენი უწესრიგობა (რადგანაც ცოდვები თავს გადაგვდიოდა[268] შენგან განშორებულთა და პირქუშ უფსკრულში დანთქმულთ, მაგრამ თავს დაგვტრიალებდა შენი კეთილი სული, რათა დროულად მოევლინა ჩვენთვის შემწეობა), მაშინ გაამართლე უღმერთონი, ცოდვილთაგან განაცალკევე ისინი და განამტკიცე შენი წიგნის ავტორიტეტი უზენაესთა შორის, რომელნიც შენ გმორჩილებენ, და მათ მორჩილ მდაბალთა შორისაც; ერთად მოუყარე თავი ერთსულოვნებით შეკრულ ურწმუნოთ, რათა უფრო ნათლად წარმოჩენილიყო მართლმორწმუნეთა გზნება, გულმოწყალებით აღძრულნი მიწიერ სიკეთეს რომ უწილადებენ უპოვართ, რათა სანაცვლოდ დაიმკვიდრონ ზეციური სიკეთე.

და მაშინ ცამყარზე აღანთე ლამპარი: ესენი არიან შენი წმიდანნი, რომელთაც აქვთ ცხოვრების სიტყვა, სულიერი ნიჭით გაბრწყინვებულნი და უზენაესი ავტორიტეტით მოსილნი.

---

[267] ფსალმ. 144, 10; იგავნი სოლომ. XXXI, 31.
[268] შდრ. ეზეკ. XXXIII, 10.

იმავდროულად, ურწმუნო ერთა მოქცევის მიზნით, სხეულებრივი მატერიიდან ამოაფრქვიე სასწაულნი, საიდუმლონი და წინასწარმეტყველებანი, თანახმად შენი წიგნის მყარისა, რათა კურთხევა მოჰფენოდა მორწმუნეთ, და შემდეგ შეჰქმენი მათში ცოცხალი სული, თავდაჭერილობის ძალით რომ მოაწესრიგე მათი გრძნობები. გონება, როემლიც მხოლოდ შენ გემორჩილება და არავითარ ადამიანურ ავტორიტეტს არ საჭიროებს მიბაძვისათვის, შენ განაახლე შენსავე ხატად და მსგავსად; როგორც ქალი - კაცს, გონების კარნახს დაუმორჩილე ყველა გონივრული ქმედება, და მოისურვე, რომ ყველა შენს მსახურს, რომელნიც ესოდენ საჭირონი არიან ამქვეყნიურ ცხოვრებაში მორწმუნეთა სრულყოფისათვის, სწორედ ესენი უკანასკნელნი შეეწეოდნენ ცხოვრებისეულ გასაჭირში; მომავალ ცხოვრებაში უხვ ნაყოფს გამოიღებს ეს შემწეობა.

ჩვენ ვხედავთ ყოველივე ამას და ვრწმუნდებით, რომ ყველაფერი ძალიან კარგია, რადგანაც ჩვენში შენ ხედავ ამას, შენ, ვინც მოგვეცი სული, რათა მისი მეშვეობით ვხედავდეთ შენს ქმნილებებს და მათში გვიყვარდე შენ.

XXXV

50. უფალო ღმერთო, რომელმაც მოგვეცი ყველაფერი, მოგვეც მშვიდობაც![269] სიმშვიდე მოსვენებისა, შაბათის სიმშვიდე, სიმშვიდე, რომლისთვისაც უცხოა მწუხრი. მთელი ეს მშვენიერი მწყობრი ძალიან კარგი ქმნილებებისა თავის გზას დაასრულებს და გარდავა: მათ ისევე ექნებათ თავიანთი მწუხრი, როგორც ოდესღაც რიჟრაჟი ჰქონდათ.

XXXVI

51. მეშვიდე დღისთვის კი უცხოა მწუხრიც და დასავალიც, რადგან შენ შემოსე სიწმინდით, რათა მარადის ეგოს. შენი საამო შრომის ბოლო, მას შემდეგ, რაც დაასრულე „ძალიან კარგი“ ქმნილება, მეშვიდე დღეს განისვენე (თუმცა ისე ქმნიდი სამყაროს, რომ შენი სიმშვიდე არაფერს დაურღვევია). - და შენი წიგნის ხმით გვეუწყა, რომ ჩვენც უნდა განვისვენოთ ჩვენი შრომის შემდეგ, რომელიც „ძალიან კარგია“, იმიტომ, რომ შენი შემწეობით დავასრულეთ იგი; საუკუნო ცხოვრების შაბათს ჩვენ განვისვენებთ შენში.

[269] რიცხვ. VI, 26.

XXXVII

52. და მაშინ შენც განისვენებ ჩვენში, როგორც დღეს ჩვენშივე მოქმედებ. და ჩვენი დასვენებაც შენი იქნება, როგორც ჩვენი შრომაა შენი[270]. ხოლო შენ, უფალო, მარად მოქმედებ და მარად ისვენებ. დროის გარეშე ხედავ, დროის გარეშე მოქმედებ და დროის გარეშე ისვენებ, ჩვენ კი იმის უნარს გვაძლევ, რომ დროში ვხედავდეთ; შენ ქმნი თვით დროს და განსვენებასაც დროის დასასრულს.

XXXVIII

53. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რაც შეჰქმენი, რადგანაც სამყარო არსებობს, მაგრამ იმიტომ არსებობს, რომ შენ ხედავ მას[271]. გარე სამყაროს ჭვრეტისას ჩვენ ვხედავთ, რომ ის არსებობს; მასზე ფიქრისას ვხდებით, რომ ის კარგია; შენ კი მაშინვე ხედავდი უკვე შექმნილს, როცა იხილე, რომ უნდა შეგექმნა.

და ახლა ჩვენში იღვიძებს სიკეთის ქმნის სურვილი, მას შემდეგ, რაც ჩვენს გულში შენი შეგონებით აღიძრა იგი. მანამდე კი, შენგან განშორებულნი, მხოლოდ ბოროტებისთვის თუ აღვიძროდით. შენ კი, ღმერთო ერთო და ყოვლად კეთილო, არასოდეს შეგიწყვეტია სიკეთის ქმნა. შენი წყალობით, ჩვენც მოგვეძებნება თითო-ოროლა კეთილი საქმე, მაგრამ წარუვალნი როდი არიან ისინი. თუმცა იმედი გვაქვს, რომ მათი დასრულების შემდეგ განვისვენებთ შენს სიწმინდესა და სიდიადეში. შენ კი, ყოვლად კეთილო, არავითარი სიკეთე არა გჭირდება და მარად ისვენებ, რადგანაც შენი დასვენება თვითონ შენა ხარ.

ვინ, რომელი კაცთაგანი გააგებინებს ამას კაცს? რომელი ანგელოზი - ანგელოზს? რომელი ანგელოზი - კაცს? შენ უნდა გეკითხებოდეთ, შენში უნდა ვეძებდეთ და შენვე ვიკაკუნებდეთ კარზეც[272]: მხოლოდ ასე თუ მივიღებთ, ასე თუ ვპოვებთ და ასე გაგვიღებენ კარსაც.

---

[270] „როგორც მართებულად ითქვა, რომ როდესაც რაღაცას ვაკეთებთ, ღმერთი მოქმედებს ჩვენში, ასევე მართებულია ნათქვამი, რომ ღმერთი ისვენებს, როცა მოსვენებას გვანიჭებს ჩვენ“ (De Gen. ad litt. 4, 9, 16).

[271] „ჩვენ ვერ შევიცნობდით სამყაროს, ის რომ არ არსებულიყო, ღმერთს რომ წინასწარ არ ეხილა იგი, სამყარო არ იარსებებდა“ („ღვთის ქალაქისათვის“, II, 10).

[272] მათე VII, 8.